ხ. ჩეჩუბინაძე

ბაფია:
დანაშაულობის კვალდაკვალ

63

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თ ბ ი ლ ი ს ი — 1987

ცნობილი მწერლისა და პუბლიცისტის ს. ჩერვინკას წიგნში მოკლედაა მოთხრობილი მაფიის ისტორია. ნაჩვენებია მაფიოზთა საქმეების შეპბნელი სურათები. კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი მონოპოლიზაციის პროცესები სრულიად კანონზომიერად გავრცელდა დანაშაულეობის სფეროზეც, შეიქმნა მსხვილი განგსტერული გაერთიანებანი. ავტორი გვიჩვენებს დანაშაულეობის სამყაროს წარმომადგენელთა მთელ გალერეას, რომელთაც მთავრობის უმაღლეს სფეროშიც კი შეაღწიეს.

ჩეხურიდან თარგმნა ა. ბაკულიამ

0604000000—225
Ч——————23—87.
М601(08)—87

© სტანისლავ ჩერვინკა, 1984.
© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1987.

1. აჯანყებულები და მაფიის დაარსება

მაფია ოდესღაც სიცილიაში მეტსახელებიანი დამნაშავეების ჯგუფი იყო, რომლებსაც საერთო წესები და კანონები ჰქონდათ. იგი არცთუ ისე დიდი ხნის წინათ წარმოიშვა, მაგრამ სულ მოკლე დროში სიცილიელთა ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. მაფია იფარებდა ბოროტმოქმედთა სამყაროს წარმომადგენლებს, მაგრამ ზოგჯერ თვითონვე გადასცემდა ხოლმე დამნაშავეებს პოლიციას. მაფიის წევრები შედიოდნენ დიდი მამულების დასაცავად შექმნილ შეიარაღებულ რაზმებში, ხოლო ღამით ცეცხლს უკიდებდნენ ბეღლებს და მეორე დღეს კი ამტკიცებდნენ ცეცხლი არ დაგვინახავსო, მაფია, თუ საჭიროება მოითხოვდა, გასცემდა კიდეც მისივე დაქირავებულ ხალხს, რომლებმაც ცეცხლი გაუჩინეს შენობას. მისი სახელი „გმირული“ შარავანდედით იყო მოსილი. საუკუნეების მანძილზე მაფია კეთილი იყო ყველას მიმართ, ვინც მზად იყო ებრძოლა მისი კეთილდღეობისათვის.

ისტორიკოსებმა ვერ შეძლეს ზუსტად დაედგინათ მაფიის შექმნის თარიღი. არ გაუმართლდათ პოლიციის ექსპერტებსაც, რომლებიც 1952 წელს დაიქირავა ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტრომ. მათი მრავალწლიანი დაძაბული მუშაობის შედეგი გახდა შესანიშნავი კოლექცია მაფიასთან სხვადასხვა შეხედულებებისა, რაც კი ოდესმე გამოქვეყნებულა მის შესახებ.

ისტორიკოსები მხოლოდ ერთში შეთანხმდნენ, რომ ტერმინი „მაფია“ არის არა სიცილიური, არამედ ტოსკანური წარმოშობისა და რომ ამ სიტყვის ზუსტი ახსნა შეუძლებელია. იგი სიცილიურ-იტალიურ ლექსიკონში პირველად შეიტანეს, როდესაც სიტყვა „კამორას“ სინონიმი.

„კამორა“ ჩამოყალიბდა 1417 წელს ესპანეთის ქალაქ სევილიაში და ესპანელებთან ერთად შეაღწია ნეაპოლში. ბოროტ-

მოქმედთა ორ ბანდას შორის ატეხილ ულმობელ ომში გამარჯვებული მაფია დარჩა.

„კამორას“ არსებობის შეწყვეტას ხელი შეუწყო სასამართლო პროცესმა, რომელიც დაიწყო ვიტერბოში მისი შექმნიდან 494 წლის შემდეგ. მართლმსაჯულებას გადარჩენილი ბანდიტები გაიქცნენ ახალ ორლეანში. ზოგიერთი მათგანი შეიფარა კრიმინალურმა ორგანიზაციამ „შავი ხელი“, რომელიც საჭიროების მიხედვით გამოიყენებდა ხოლმე მათ როგორც მძარცველებსა და მკვლელებს.

სიტყვა „მაფიას“ წარმოშობაზე აზრთა სხვადასხვაობაა ფილოლოგებს შორისაც. სიცილია საკმაო ხანს რომის იმპერიის პროვინცია იყო, შემდეგ მოვიდნენ არაბები და მათთან ერთად შესაძლოა სიტყვა „Mahia“-ც (უხეშობა, ქედმაღლობა), ან „Maehfil“ (თავშესაფარი). მართლაც, მაფია თავის გაჭირვებულ თანამოაზრეებს ყოველთვის აძლევდა თავშესაფარს. დაახლოებით 200 წლის შემდეგ სიტყვა „მაფია“ მეორედ შედის სალიტერატურო ენაში პალერმოს დიალექტიდან და ნიშნავს „მამაცი და ფიზიკურად ძლიერი ადამიანების ჯგუფს“. მკვლევარები ამ ვერსიას შემდეგნაირად ასაბუთებენ — როდესაც ესპანელებმა დაიპყრეს სიცილია, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს, შექმნეს ზუსტი წესები „სრულყოფილი და ძლიერი მამაკაცისათვის“. შურისმაძიებლები კლავდნენ მტერს, უცხოელი მმართველების კანონებს არაფრად აგდებდნენ. სიცილიელები არ ასმენდნენ შურისმაძიებლებს, მათ შიში და მომძლავრებული პატრიოტიზმის გრძნობა ამოძრავებდათ. მიუხედავად იმისა, რომ მაფიოზები ბანდიტ-მაგნატებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე რობინ ჰუდს, სიცილიელები ამბობდნენ, ისინი „სუფთა სისხლის სიცილიელები მაინც ხომ არიანო“.

ზოგიერთი ისტორიკოსი ტერმინ „მაფიას“ წარმოშობას უკავშირებს ლოზუნგს „Morte Alla Francia, Italia Anela“ (სიკვდილი საფრანგეთს, აღსდეგ იტალია), რომელსაც სიცილიელები ფრანგ ოკუპანტებთან ბრძოლაში იყენებდნენ. ეს ლოზუნგი პირველად გაჩნდა სიცილიელთა აჯანყების დროს 1282 წელს. პალერმოში უკვე 16 წელი იყო, რაც კარლოს ანჟუელის მოლაშქრეები დათარეშობდნენ.

აჯანყებამ მოულოდნელად იფეთქა საღამოს წირვის დროს,

ალდგინის ორშაბათს. კადნიერი პროვანსელი ახალგაზრდა ქვეითი ჯარისკაცი პიერ დრუე ეკლესიაში გადაეკიდა ახალგაზრდა სიცილიელ გოგონას, რითაც უსეშად დაარღვია საუკუნოვანი ადათ-წესები. მღვდელმა იგი გააგდო, ხოლო ხალხმა ქუჩაში ყვირილით „Mortel" და Mafial" შური იძია ქალიშვილის შეურაცხყოფისთვის. წლების განმავლობაში დაგროვილმა ბოღმამ ძალა მისცა მოქალაქეებს. იზრდებოდა დახოცილთა რიცხვი. დასახმარებლად გამოძახებული ფრანგთა რაზმები იძულებულნი გახდნენ ებრძოლათ პალერმოს ყოველი ქუჩისათვის. ეს იყო ლეგენდარული, თუმცა უშედეგო, ცდა ხალხისა თავი დაეღწია შემოჭრილი უცხოელების მარწუხებისაგან.

ანჟუელ ბატონთა წინააღმდეგ აჯანყებაც მთლიანად ვერ ამტკიცებს მაფიის არსებობას, მიუხედავად ლოზუნგის საწყისი ასოების დამთხვევისა. ნათელია მხოლოდ ის, რომ სიცილიის აჯანყებების დროიდან მოდის დუმილის კანონი (omerta), სიკვდილის ამბორისა და სისხლის აღების (vendetta) წესები, რომლებიც „ნათლიების" მიერ ტახტისათვის ატეხილ ბრძოლებში ჩამოყალიბდა და დაკანონდა. „ნათლიის" ტიტულისათვის ბრძოლებმა გააპარტახა მთელი მხარე. ფრატუზებსა და სტოპალიერებს შორის ომი დაიწყო 1872 წელს და ექვს წელიწადს გრძელდებოდა. უსასრულო ჟლეტვაში ჩაებნენ ყველაზე შორეული ნათესავებიც და ეს ჟლეტვა მხოლოდ მაშინ დამთავრდა, როცა ამოწყდა ყველა, ვინც ფრატუზის და სტოპალიერის გვარს ატარებდა.

მაფიოზები უმტკიცებდნენ კუნძულის მოსახლეობას: „ჩვენ ვართმევთ მხოლოდ მდიდრებს!" რასაკვირველია, ისინი ძარცვავდნენ სასახლეებს, მამულებს, წისქვილებს, დუქნებს, მაგრამ გლეხობის ძარცვასაც არ თაკილობდნენ. ვისაც არ სურდა, რომ თავს დასტეხოდა უბედურება, „კეთილშობილ მაფიას" მიმართავდა დახმარებისა და დაცვისათვის. ეს დაცვის სისტემა თანდათანობით სიცილიელთა ცხოვრების შემადგენელ ნაწილად იქცა. ვინც მფარველობას არ ითხოვდა და არ იხდიდა ამ დახმარების საფასურს, მაფიის რისხვა ატყდებოდა თავს — მას მთელ სარჩო-საბადებელს უნადგურებდნენ.

გადასახადს განსაკუთრებული „სიამოვნებით" თავიანთი დანაზოგიდან ყველაზე ღარიბები იხდიდნენ. მათ მაფიის რისხვისა უფრო ეშინოდათ, ვიდრე გვალვისა, რომელსაც შეეძლო გაენად-

ეგერებინა მთელი წლის მოსავალი, მაგრამ სახლს ვერაფერს ავნებდა. ასეთ პირობებში გაჩნდა განსაკუთრებული პრინციპი ყალბი კოლეგიალობისა და მეგობრობისა. ყალბი იმიტომ, რომ ესოლოდ მაფია საზღვრავდა და მსჯელობდა „ნამდვილ" პატიოსნებასა და მეგობრობაზე. ვისაც სხვა აზრი დაებადებოდა შურისძიების მსხვერპლი ხდებოდა. მოძალადის ან მაფიის „ჯალათის" გაცემას „ნათლიები" სამშობლოს ღალატად თვლიდნენ.

თანამედროვე მაფიის ფესვები უდავოდ ანჟუელების დროს აღმოცენდა. იმ დროს ფერდინანდ კათოლიკემ ქვეყანაში შემოიღო ინკვიზიცია, კარზე მიიწვია მეცნიერები, რომელთა შორის ბევრი შარლატანი ერია. ხალხი შიმშილით იხოცებოდა, ოქროს ხანა დამთავრდა კუსძულის დიდგვაროვნებისათვისაც. უპარატესობით მხოლოდ უცხოელები სარგებლობდნენ. აღშფოთებულმა ბარონებმა დააარსეს ძმობა „ბეატი პაოლის" სახელწოდებით. უმაღლესი ხელისუფალნი, საიდუმლო კავშირის „მისნები", ყოველი თვის პირველ რიცხვში იკრიბებოდნენ ტრაპანეს კლდოვან გამოქვაბულებში. სახელი „მაფია" შეიძლება სწორედ ამ ძმობის სახელთანაა დაკავშირებული.

თავდაპირველი მიზეზი „კურთხეული პაოლელების" შეკრებისა ანუ პოლიტიკა 67 წლის მეფისნაცვლის მარკიზ კარაკიოლასი, რომელიც 1785 წელს ბურბონებმა ნეაპოლიდან პალერმოში გადააგზავნეს. კეთილშობილმა მარკიზმა სცადა შეეცვალა სიცილიელთა ყოფის მრავალსაუკუნოვანი სტრუქტურა. მან ისარგებლა თავისი უფლებამოსილებით და ინკვიზიციის მიერ მიღებული შემოსავლიდან დააარსა ახალი სკოლები, ხოლო სენატის შენობიდან გამოატანინა ბარონთა უფლებების დამცველების მონუმენტირისა და დე ნაპოლის ბიუსტები. ბარონების მოოშინება გადაიწურა, როდესაც კარაკიოლამ ბრძანა მხედართმთავარ დი სპერლინგის ცხენში ჩასმა „მხოლოდ იმიტომ", რომ მას, ცულ ხასიათზე მყოფს, ვიღაც შემოაკვდა.

დიდგვაროვანები აღდგნენ ძველ წესჩვეულებათა დასაცავად, ხოლო „კურთხეულ პაოლელთა" ძმობამ მოხერხებულად გაჩარდა თავისი რიგები კარაკიოლას კანონების მოწინააღმდეგეთა ხარჯზე. ახალ წევრებს ბიბლიაზე და იარაღზე უნდა დაეფიცათ, რომ მთლიანად დაემორჩილებოდნენ ძმობას.

საიდუმლო კრებები მიმდინარეობდა მთვარის შუქზე ბნელ გამოქვაბულებში, სადაც ახალბედები თვალებახვეულები მიჰ-

ყავდათ მახვეულ-მოხვეული ბილიკებით. მოავიანებით „კოზა ნოსტრაში“ მისტიკური პროცესი აღსარებით იწყებოდა. საკრებულოს სელმძღვანელობდა ძმობის მეთაური — აუცილებლად დიდებული ან მემამულე.

შემორჩენილია ფაიცის ჩანაწერი, რომელსაც თხსავდა ძმობის სულიერი მამა: „ანჯელო ლა პარმა! თუ გადაწყვეტთ გახდეთ ერთ-ერთი ჩვენგანი, თქვენი სიცოცხლე ერთხელ და სამუდამოდ გადაეცემა ძმობას!“

შემდეგ სულიერი მამა მაჯას იშიშვლებდა, სისხლის წვეთი ეცემოდა გადაშლილ ბიბლიას. ისევ გაისმოდა მბრძანებლური ხმა: „ეს წიგნი შეიცავს საღვთო წერილს და მოციქულ წმინდა პავლეს ჩანაწერს. სისხლით დაუსვით ჯვარი ამ გვერდზე და დაიფიცეთ, რომ გააკეთებთ ყველაფერს, რასაც გიბრძანებთ. დაიფიცეთ, რომ ვერანაირი წამება ვერ გაიძულებთ ღალატს. ამიერიდან, თქვენი სული და ხორცი ეკუთვნის ჩვენს ძმობას“.

დიდებულები ისევ ერთობოდნენ, ცეკვავდნენ, ნადირობდნენ და აწყობდნენ ინტრიგებს. დარწმუნებულები იყვნენ თავიანთ სიძლიერეში და იმაში, რომ კარაკიოლას მმართველობას მალე მოელებოდა ბოლო, რადგან მეფისნაცვლის წინააღმდეგ აღდგნენ უკმაყოფილო დიდებულები, განათლებული ადამიანები, მოსამსახურეები და სიცილიის წმინდა ტრიბუნალიც. შეთქმულებმა მიაღწიეს მიზანს, კარაკიოლა იძულებული გახდა დაეტოვებინა კუნძული.

ახალი მეფისნაცვალი, თავადი დი კარამანიკო დონ ფრანჩესკო დ' აკინო ცდილობდა თავისი წინამორბედის საქმეების გაგრძელებას და აგრეთვე დიდებულების კეთილგანწყობილების მოპოვებას. დაძაბულობა შენელდა. ტყუილი ისევ სიმართლეზე ძლიერი იყო. ახალმა მეფისნაცვალმაც მთელი ათი წლის მმართველობის შემდეგ დატოვა სიცილია. მისმა და კარაკიოლას კანონებმა შეწყვიტა მოქმედება. „კურთხეული პაოლელები“ და ძველი „ნათლიები“ საკუთარი წესებით მართავდნენ და ერთად იპყრობდნენ ყოველივეს, რასაც ჯერ კიდევ უცხოელები ფლობდნენ. შემოსავალს მხოლოდ თავიანთ მეგობრებს უნაწილებდნენ. ეგრეთ წოდებულ „ოჯახების“ უფროსებს, რომელთაც შეადგენდნენ ბარონები ან მმართველები და მაფიოზები, მიეკუთვნათ მიმართვა „დონ“. ისინი ხდებოდნენ თავიანთი მევობრების „ნათლიები“ და თავის მხრივ პირდებოდნენ, რომ დაიცავდნენ

მათ ყველა მტრისაგან, იმისდა მიუხედავად, ბანდიტი იქნებოდა ის, თუ სახელმწიფო დაწესებულება. ეს მეგობრები, რომელთაც „ნათლიები“ თავიანთ შვილებს ეძახდნენ, ეფიცებოდნენ მათ ერთგულებას კუბოს კარამდე.

მაფია სიცილიელ, ფრანგ და ესპანელ ბატონებთან დაკავშირებული ძლიერი და დიდი ორგანიზაცია გახდა. ყველაზე დიდი შეკვეთა მან მიიღო ნეაპოლელი ბურბონებისაგან. დაქირავების სისტემა ფეოდალებსა და მაფიას შორის მოქმედებდა 1860 წლამდე. პრივილეგიური მდგომარეობა და დაუსჯელობა შესაძლებლობას აძლევდა „დონებსა“ და „ნათლიებს“ აშკარად დაერღვიათ კანონები, მოეწყოთ შანტაჟი და ეძარცვათ.

დუმილის კანონი უკვე მთელ კუნძულზე გავრცელდა. ვინ გაბედავდა ვინმეს გაცემას? ყველამ კარგად იცოდა, რომ გამცემი საღამოს თავისი სახლის ზღურბლზე ნახავდა ძაღლის მოჭრილ თავს, შეუბრალებელი და საშინელი განაჩენის წინამორბედს.

[მეცხრამეტე საუკუნიდან მაფიას დასჯის (უფრო ზუსტად მკვლელობის) განსაკუთრებული რიტუალი ჰქონდა. ეს იცოდა ყველა სიცილიელმა. „ნათლია“ იძახებდა მკვლელს, „პიკიოტოს“ (პატარა ადამიანს, გადატანითი მნიშვნელობით კაცს, რომელიც ყოველთვის დამჯერი უნდა იყოს) კოცნიდა მას ტუნებში და ჩასჩურჩულებდა: „როცა დედა ბრძანებს, შვილი უნდა დაემორჩილოს“. ორივე შვილი ემორჩილებოდა, პირველი მბიმე ლუპარით ხელში, მეორე კი სასიკვდილოდ განწირული.

იარაღი დღემდე წარმოადგენს მაფიის სამართლიანობის აღმასრულებელ, შურისძიების, ძალისა და ტრადიციის საზიზღარ სიმბოლოს. ტრადიციებს ეკუთვნის მაფიის ოთხი ძირითადი პრინციპიც. მასში ნათქვამია: „ოჯახის“ წევრები ერთიანდებიან ერთმანეთის დასახმარებლად; ვალდებულნი ჰრიან სიტყვაშეუბრუნებლად დაემორჩილონ „ნათლიებს“; თუ ვინმე შეურაცხყოფს მაფიოზის, ის შეურაცხყოფს „ოჯახს“; ვინც დაარღვევს დუმილის კანონს მოკვდება, ხოლო მის ძმებზე, დებზე, მშობლებზე, შვილებზე შურს იძიებენ.]

„ნათლიებს“ და „პიკიოტოებს“ მოსალოდნელი უსიამოვნებისაგან და დასჯისაგან იცავდა სიჩუმის მაღალი კედელი. მოწმეებს არასოდეს „არ ესმოდათ“ გასროლის ხმა, მით უმეტეს, „ვერ ხედავდნენ“ დამნაშავეს. მიზეზი? სიცოცხლე უნდოდათ.

ასევე იქცეოდნენ „ჯარისკაცები“, „ლეიტენანტები“, „ნათლიები“ მაშინაც კი, როცა საქმე მოწინააღმდეგე „ოჯახს“ ეხებოდა. გადამტერებულ „ოჯახებს“ უფლება არ ჰქონდათ მკვლელთა სახელების გაცემისა. მით უფრო უძლურნი იყვნენ ხელისნები, ვაჭრები და სოფლის მოსახლეობა. უკეთესი იყო რაიმე შეეწირათ „მეგობრობისათვის“ ვიდრე სიცოცხლე.

ტყუილის, ფარისევლობისა და ძალადობის სამყაროში მაფია ერთგულად ემსახურებოდა ყველას, ვისაც საკმარისი ფული გააჩნდა და ხელეწდა მომსახურების ამ სისტემას. ბურბონების დაწესებულებებში ვერაფერს ამჩნევდნენ. სამოცი წლის განმავლობაში მათი ტახტი სამჯერ დაეცა და მის აღდგენაში 30 „ნათლიამ“ მიიღო მონაწილეობა.

თავისი ისტორიით სამეფო ოჯახის ინტერესებთან დაკავშირებული მაფიის „კეთილშობილთა საზოგადოება“ წყნარ ცხოვრებას 1848 წელს გამოემშვიდობა.

ხალხის გაჭირვებისადმი გულგრილი მდიდრები ძრწოლვით იხსენებდნენ შეიარაღებულ სახალხო რაზმებს, რომლებიც რევოლუციური მოძრაობის პირველ დღეებში მძლავრად უტევდნენ ბურბონების პოლიციას. სიცილიის დროებითი მთავრობის წევრები თავს იმტვრევდნენ იმაზე, თუ როგორ დაებრუნებინათ ყველაფერი ძველ რელსებზე.

1849 წლის აპრილში კარგა ხნის არეულობის, პანიკისა და ძალადობის შემდეგ მათ ისევ აღადგინეს „სახელმწიფოებრივი წესრიგი“.

ისევ გაჩნდა სამეფო სასამართლო, ქალაქის თავი, ჟანდარმები და პოლიციელები. დიდებულთა და ბურბონთა სახელმწიფო საპყრობილეები პატიმრებით გაივსო.

დადგა საუკეთესო დღეები მაფიისათვის. რად არ უნდა დახმარებოდნენ „ნათლიები“ თავიანთ ახლობლებს სატუსაღოებში? ციხეში სხვადასხვა გზებით აღწევდა წერილები და საჭმელი. ამბოხებულთა მცირე ქონება გასამრჯელოს სახით გადადიოდა მაფიის თავკაცების ხელში, რომლებიც დახმარებას პირდებოდნენ. მაგრამ დაპირება დაპირებად რჩებოდა.

განსვენებულ ფერდინანდ II ნეაპოლელის მაგივრად ტახტზე ავიდა ფრანჩესკო II. „ნათლიებისათვის“, ისევე როგორც დიდებულებისათვის მძიმე, 1860 წელი დადგა.

4 აპრილს, დილას საგანგაშოდ ჩამოჰკრეს პალერმოს მონასტერ დე ლა განჩიას ზარებმა. დასავლეთ სანაპიროზე გად-

ᲨᲝᲡᲐᲡᲚᲓᲝᲛᲐᲓ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲒᲐᲠᲘᲑᲐᲚᲓᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲐ. ᲓᲘᲓᲒᲕᲐᲠᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲐᲛ ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲡ ᲪᲘᲪᲐᲓ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲙᲘ ᲓᲦᲘᲜᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲙᲐᲡᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲡᲐᲭᲣᲚᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲠᲘᲑᲐᲚᲓᲘᲡ ᲛᲔᲝᲛᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲙᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲘᲛᲣᲥᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ: „ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲫᲐᲚᲚᲔᲑᲘ ᲘᲡᲔ ᲛᲝᲔᲬᲐᲛᲚᲝᲗ! ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲝᲜ?“

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲝᲡ — ᲐᲑᲑᲝᲑᲓᲜᲔᲜ „ᲜᲐᲗᲚᲘᲔᲑᲘ“. ᲛᲐᲗ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲜᲔᲜ ᲕᲘᲜ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲓᲐ — ᲒᲐᲠᲘᲑᲐᲚᲓᲘ, ᲛᲔᲤᲔ, ᲗᲣ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ — ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲒᲐᲦᲐᲠᲘᲑᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲘᲡᲔᲕᲔ ᲔᲜᲓᲝᲛᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲐᲗ, ᲕᲘᲜᲪ ᲒᲐᲛᲓᲘᲓᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲐᲓ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲔᲡᲘ, ᲓᲘᲓᲒᲕᲐᲠᲝᲕᲜᲔᲑᲡ ᲘᲠᲩᲔᲕᲓᲜᲔᲜ. ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ, ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲔᲑᲘᲡ, ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ „ᲜᲐᲗᲚᲘᲔᲑᲘ“ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲛᲘᲘᲚᲢᲕᲝᲓᲜᲔᲜ.

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ ᲩᲐᲣᲓᲒᲐ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲐᲡ ᲛᲔᲤᲔ ᲕᲘᲥᲢᲝᲠ-ᲔᲛᲐᲜᲣᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ. ᲒᲐᲠᲘᲑᲐᲚᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲑᲣᲠᲑᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲐᲑᲝᲠᲐᲪᲘᲝᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲓᲔᲕᲜᲐ, ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲓᲐᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ, ᲘᲛ ᲛᲘᲬᲘᲡᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲜᲔᲜ. ᲛᲐᲗ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲐᲗ ᲣᲐᲡᲣᲮᲐ.

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲤᲘᲐ ᲘᲧᲝ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲛᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲐᲗ ᲨᲔᲐᲦᲬᲘᲔᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲘᲓᲒᲕᲐᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲑᲘᲫᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲫᲔᲔᲑᲛᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲣᲮᲡᲜᲐ ᲛᲐᲡ ᲒᲖᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ. „ᲜᲐᲗᲚᲘᲔᲑᲛᲐ“ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲨᲔᲫᲚᲔᲡ ᲠᲝᲮᲓᲘᲜᲐᲗ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ. ᲕᲘᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲓᲐ ᲒᲐᲔᲒᲝ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲣᲐᲠᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲛᲐᲤᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ ᲮᲛᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐᲖᲔ, ᲘᲛᲐᲗ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲔᲚᲝᲚᲐᲗ. ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲐ, ᲛᲝᲢᲘᲤᲣᲒᲑᲐ, ᲛᲙᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲘᲡᲔᲕᲔ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ „ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲣᲚᲘ ᲞᲐᲝᲚᲔᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲓᲠᲝᲡ.

ᲡᲐᲡᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ — ᲗᲣ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡ ᲣᲬᲔᲕᲓᲐ ᲛᲐᲗ — ᲕᲔᲠ ᲔᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲐᲤᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲫᲐᲚᲐᲓ ᲐᲮᲕᲔᲕᲓᲜᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲡ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ ᲓᲘᲚᲔᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲓᲒᲐ — ᲛᲐᲤᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲞᲝᲑᲐ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲩᲐᲧᲣᲜᲔᲑᲐ.

„ᲜᲐᲗᲚᲘᲔᲑᲛᲐ“ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲘᲖᲐᲜᲡ. ᲛᲐᲗᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲩᲘᲧᲠᲔᲑᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲓᲔᲑᲘᲓᲐ. ᲛᲐᲗ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲔᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔ-

გებოდა. ყველგან ნეგიბრები ჰყავდათ. ზხოლოდ ერთხელ შეშინდა მერყევი ბოიერობა. რიგის პარლამენტმა დანიშნა გასაძიება დაუსრულებელი მკვლელობების გამო. თუმცა ამ ლონისძიების წინააღმდეგ აღდგა ტრადიციები და დეპილის რკინისებური კანონი.

მხოლოდ სახელმწიფო კომისიაში განცდილი ფიასკოდან ორი წლის შემდეგ ჩაერია საქმეში პოლიციის პრეფექტი მალუსარდი, რომელსაც ძლიერ გაუმართლა, რადგან პალერმოს საავადმყოფოში მოიძებნა სამი ბოწმე მაფიის წინააღმდეგ. ეს იყო წეეთი დანაშაულობათა ზღვაში, მაგრამ მაინც, მან მისცა პრეფექტს საშუალება რამოდენიმე ათეული „ნათლია“ ბორკილდადებული გაეგზავნა ლიპარის კუნძულებზე.

გაოცებულმა, შესაძლოა დაშინებულმა, ახალ ტერიტორიებს დახარბებულმა მაფიამ პირველი ელჩები გაგზავნა იტალიის სამხრეთში, შემდგომ კი ამერიკაში. ისინი მოსერხებულად შეერივნენ ემიგრანტებს, რომლებიც ოკეანის იქით ეძებდნენ აღთქმულ ქვეყანას.

2. შკანასკნელმა ბანდიტმა მოაჭენა ცხენი „შავ ხელშიან“

1790 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა ოთხი მილიონი ადამიანი, რომლის მეოთხედს შავკანიანი მონები შეადგენდნენ. ნახევარი საუკუნის შემდეგ ამერიკაში უკვე 17 მილიონი მცხოვრები იყო. ეს გამოიწვია ემიგრაციის ზრდამ, უპირატესად ინგლისელების, გერმანელების, ჰოლანდიელებისა და ლუიზიანელი ფრანგების ხარჯზე. ახალმოსახლეები ერად ჩამოყალიბდნენ, მიაღწიეს დამოუკიდებლობას, დაამკვიდრეს ახალი ტრადიციები და იდეალები.

სამოქალაქო ომის შემდეგ (1861—1865 წწ.) მიწის რეფორმამ, მონობის გაუქმებამ და შიდა ბაზრის გაერთიანებამ შეცვალა გადმოსახლებულთა ჩვევები. ახლა ოკეანეს გადმოსერავდნენ ძირითადად შუა, სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის ხალხების წარმომადგენლები, რომლებიც პოლიტიკურ დევნას განიცდიდნენ. ესენი იყვნენ: იტალიელები, პოლონელები, სლრვა-

კები, უკრაინელები, რუსები, ებრაელები. საუკუნის მიწურულს დაახლოებით 350 ათასმა ჩეხმა დატოვა სამშობლო. ისინი დასახლდნენ აღმოსავლეთის ქალაქებში, ჩიკაგოსა და „ველურ“ დასავლეთში. ასევე ირლანდიელებიც ტოვებდნენ თავიანთ მშობლიურ მიწებს შიმშილის გამო. ჩამოსულებს თან მხოლოდ პატარა ჩემოდნები ჰქონდათ, რომელშიც მთელი მათი ქონება იყო მოთავსებული. ადრე ჩამოსულებისაგან ისინი ძირითადად ინგლისური ენის უცოდინარობით და რელიგიური რწმენით განსხვავდებოდნენ.

ემიგრანტების დინება მეცხრამეტე საუკუნის მიწურულამდე არ შეწყვეტილა. სარკინიგზო ქსელის, ქალაქების და მრეწველობის ზრდა მუშახელს მოითხოვდა. ყველაზე მეტი ემიგრანტი იტალიიდან იყო. 1895 წელს შტატებში უკვე 65 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. მასების ამ დენადობაში მაფიოზებმა ადვილად მოახერხეს ამერიკაში შეღწევა. ასე შეძლეს „ნათლიებმა“ ორი პრობლემის გადაჭრა: გადაარჩინეს „ძმობის“ ის წევრები, რომლებსაც მეტი საშიშროება ელოდათ და ამავე დროს მიიღეს მიწის ახალი ნაკვეთები მდიდარი ამერიკის ტერიტორიაზე.

ბოროტმოქმედთა საზოგადოების საპატიო წევრები სიამოვნებით გადასცემდნენ გადმოსახლებულებს ამერიკულ ოცნებას, არწმუნებდნენ, რომ ყოველ ჩვეულებრივ ადამიანს შეუძლია გახდეს მდიდარი. თუმცა რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, ვიდრე ისინი გაბატონდებოდნენ ქალაქის ჯურღმულებში, სადაც უკვე აღმართულიყო მრავალსართულიანი სახლები, ხოლო ფართო ქუჩებს გაზის ნათურები ანათებდნენ. მათ აოცებდათ ეს ახალი სამყარო, მაგრამ სწორედ ამ ქალაქებში მოიკიდეს ფეხი.

უკლებლივ ყველა იტალიიდან ამერიკაში გადმოსახლებულს ზიზღით უწოდეს დაგოს სახელი. ეს დამცინავი სახელი წარმოიშვა ესპანური სიტყვიდან „დიეგო“. ამერიკელები ადრე ამ სიტყვას უმცირესი მონეტის აღსანიშნავად ხმარობდნენ, ისინი თავბრუდამხვევი მეცხრამეტე საუკუნის ვარდისფერი ოპტიმიზმით აღსავსენი, არ წყალობდნენ გადმოსახლებულებს, რომლებიც თავიანთი მძიმე შრომით ზრდიდნენ მათ ექვსციფრიან ანგარიშს.

1958 წლის მაისში „ნიუ-იორკ ჰერალდმა“ გამოაქვეყნა წერილი: „ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის ფართო ფენები ოცნე-

ბობენ ტკბილ ცხოვრებაზე. საზოგადოებრივი ცხოვრების იმპულსი აგებს დიდ სახლებს, ეტლებს, ქმნის ძვირფას ტანსაცმელს. ჩვენს ხალხს აინტერესებს აქციები და რკინიგზები. ხელოსნობა გადავიდა უცხოელების ხელში, რომლებიც აშენებენ ამ ქვეყანას, ამ დროს კი ამერიკელები დანაშაულებრივად იქცევიან, დაუფარავად ატარებენ რევოლვერებს და უცერემონიოდ ხმარობენ მათ; დაეხეტებიან ბარებში როგორც ყაჩაღები და საზიზღარ მკელებობებს ჩადიან. მოტყუება, კორუფცია, სიყალბე საზოგადოებრივ დაწესებულებებში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა".

ბევრმა ახალმოსახლემ გაჭირვებისაგან თავის დასაღწევად მიიღო მაფიის წევრების მიერ შეთავაზებული დახმარება. ისინი ვერ ხვდებოდნენ, რომ ხაფანგში შეიტყუეს.

მეჩვიდმეტე საუკუნეში ამ ნაძირალებს ძირითადად ირლანდიელები და ებრაელები შეადგენდნენ. პირველები შიშის ზარს სცემდნენ ხალხს თავიანთი სისასტიკით, ხოლო ებრაელები — ეშმაკობითა და სპეკულაციით.

ებრაელებმა და ირლანდიელებმა დაიკავეს პრივილეგიური ადგილი ახალი ორლეანის მაფიის სამოქმედო რაიონებში. რამოდენიმე წლის შუღლის შემდეგ სიცილიელებმა გააერთიანეს დამნაშავეთა იმპერია „პატიოსნების კოდექსით". ეს იყო სასტიკი რომანტიკა, მაფიის საპატიო პატრიარქების კანონი: ყველანაირი გზით მოეხვეჭათ ფული და პატივი, მოღალატე კი სიკვდილით უნდა დასჯილიყო. მთავარ წესად ტრადიციული სიჩუმის კანონი დარჩა. უსაფრთხოების მიზნით მაფიის ყველა რგოლი აერთიანებდა მხოლოდ ათ წევრს, ამ რგოლის მეთაური იყო capo di diecina „ათისთავი". „ათისთავი" ყოველ შემოხვევისათვის ჯგუფს ორ „ხელად" ყოფდა — ხუთ-ხუთ „ჯარისკაცად".

ასეთმა ორგანიზაციამ, როგორც შემდგომ გამოირკვა, „ნათლიებს" მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია. თავისი კავშირის სახელისა და ბეჭდის გამოგონებისათვის ფიქრი აღარ დასჭირებიათ. ამერიკაშიც ყოველი ახალი წევრი ფიცს სანთელზე დებდა, ხოლო ნიშანს მის დამწვარ ხელზე ცვლიდა კლანის ბეჭედი „შავი ხელი". დასახელებას Mano nera სიცილიელები არ თარგმნიდნენ. სამაგიეროდ მასობრივად იცვლიდნენ მეღერ იტალიურ სახელებს. ებრაულ და ირლანდიურ ჯგუფებში მათ ჯიმის, ჯონის და პოლის სახელებით იცნობდნენ. ამ დროიდან

ამერიკელი ისტორიკოსები ცნობილ განგსტერებს ჯონ ბეტრს, ფრენკ იალას ან ჯონ ვოლფს ყველაზე ამერიკულ „ნათლიებად“ მიიჩნევენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იტალიელები იყვნენ სახელებით: ჯოვანი უბერტო, ანტონიო ვალე, იგნაციო სიეტა.

ახალ ორლეანში, ისტ საიდსა, ე. წ. „მაკარონისჭამიათა“ უბანში უმიზნოდ მოსეტიალე ახალმოსახლეებმა დაიჯერეს „ძაე ხელზე“ გავრცელებული ხმები და ირწმუნეს მისი მფარველობა. გეგმა ასეთი იყო: „შავი ხელის“ წევრები უმუშევრებს აწყობდნენ სამუშაოდ და აძლევდნენ თავშესაფარს. როგორც კი ეს, ვისაც „მფარველობდნენ“, ეკონომიურად მომძლავრდებოდა „შავი ხელი“ მაშინვე აჩუნდა თავის ნამდვილ სახეს და იწყებდა გამოძალვას. „დაცვის“ შესატანი მერყეობდა კვირაში ერთი დოლარიდან შავი მუშებისათვის, ხუთი ათას დოლარ ერთჯერად შესატანამდე. ამდენი დაუჯდა ცნობილ მომღერალ ენრიკო კარუზოს თავისი ხმის დაცვა ნიუ-იორკში ყოფნის დროს.

„შავი ხელის“ პირველი მსხვერპლნი თანამემამულენი იყვნენ. მაფიისათვის წინააღმდეგობის გაწევა არ არსებობდა. თუ ღამე ვილაც აკაკუნებდა სიცილიელის კარზე და ითხოვდა დაცვის შესატანს, ახსნა-განმარტებები აღარ იყო საჭირო.

დამშეული იტალიელები, რომლებიც საკუთარმა ქვეყანამ ვერ გამოკვება, ხშირად ნავსადგურშივე ხდებოდნენ „შავი ხელის“ მსხვერპლნი. ხელს აწერდნენ ხელშეკრულებებს, რომლებიც არ ესმოდათ, შემდეგ კი იძულებულები ხდებოდნენ ახალ ორლეანში ან ნიუ-იორკში გაცილებით ნაკლებ საფასურად ემუშავათ. არავის აინტერესებდა რა სახსრებით ჩამოაღწიეს მათ ამერიკამდე. იმიგრაციული სამსახური მათ არაფრად აგდებდა, მაფია კი მაშინვე სესხს სთავაზობდა. ყველა თანხმდებოდა, მაგრამ ვალის დაკვიანებისათვის მათ ჯერ ხელებს ამტვრევდნენ, ხოლო შემდეგ სიცოცხლეს ასალმებდნენ გეტოს მოედანზე.

ვინც გაბედავდა და მკვლელს გასცემდა, მას უეჭველი სიკვდილი ელოდა.

ახალორლეანელები შურს იძიებდნენ „ჩამოსულებზე“ და ყველა ბოროტმოქმედებას მათ აბრალებდნენ. პოლიციას კი გეტოს საქმე არასოდეს განსაკუთრებით არ აინტერესებდა.

ახალი ორლეანის საიდუმლო ორგანიზაციის სათავეში ძმები მატრანგები მოექცნენ. ანტონიო და კარლო მატრანგებმა

მძიმე საგადასახადო სისტემა დააწესეს ნაესალგურში. მათი ნებართვის ვარეშე სამხრეთის ამ ულიდეს პორტში თითს ვერავინ გაანძრევდა.

თუმცადა „ძავი ხელის“ ტასტბე პრეტენსიებს ძმები პროვენზანებიც აცხადებდნენ. „ნათლიის“ ტახტისათვის ხანმოკლე და ულმობელი ბრძოლა გაჩაღდა. 1890 წლის 1 მაისს ქალაქის ცენტრში სროლა ატყდა. მოსახლეობამ პოლიციის ჩარევა შეითხოვა. ქალაქის საშმართველომ გასცა ბრძანება: დაეჭირათ ყველა სიცილიელი, ვინც იმ დღეს ქალაქში გამოჩნდებოდა.

დაკავებულებს შორის აღმოჩნდნენ ძმები პროვენზანებიც, მაგრამ დროებით დაკავებულების სტატუსით, რადგანაც ისინი რეგულარულად უგზავნიდნენ „გადასახადს“ ქალაქის პოლიციის უფროსს დევიდ ჰენესს. ამას გარდა მას უძრაკი ქონებით ვაჭრობაში ესმარებოდნენ და „ამარაგებდნენ“ ახალგაზრდა გოგონებით.

1890 წლის 15 ოქტომბერს სამოქალაქო ტასსაცმელში ჩაცმული დევიდ ჰენესი სახლში ბრუნდებოდა. როცა მან კლიტეს გასაღების მორგება დაუპირა ეზოს მეორე მხარეს ისროლეს. პოლიციის უფროსი მოტრიალდა, მაშინვე გაისმა კიდევ სამი გასროლა. ახალი ორლეანი მღელვარებამ მოიცვა. ამბობდნენ: „რასაკვირველია დაგოებმა მოკლეს!“ მხოლოდ ოთხმოცდაათი წლის შემდეგ 1981 წელს ეაირკვა, რომ პენესმა მოკლა მისი წინამორბედი კაპიტანი როესო, მისი ხალხი დაითხოვა სამსახურიდან და მათ კი შური იძიეს. სიცილიელების საუბედუროდ ლუიზიანის ძველი დედაქალაქის მცხოვრებლებმა „ძავი ხელის“ სასტიკ კანონებს დაუპირისპირეს მართლმსაჯულების არანაკლებ სასტიკი კანონი. ახალი პროცესი სიცილიელებზე დაიწყო 1891 წლის 28 იანვარს და დამთავრდა 12 მარტს. ეერავინ დასაჯეს — ისევ სამხილთა უკმარისობის გამო. მაგრამ ცხრამეტი აბალჩამოსული მაინც ისევ იჯდა ციხეში.

განაჩენის გამოტანიდან ორი დღის შემდეგ სიცილიელების მოწინააღმდეგენი შეეყივნენ სატუსალოს და თერთმეტი სიცილიელი მოკლეს. მათი რიცხვი შეიძლება ცხრამეტიც ყოფილიყო, მაგრამ ამ სისხლის ღვრის ორგანიზატორმა ადვოკატმა უილიამ პარკერსონმა, რომელიც იმპროვიზებულ ტრიბუნაზე იდგა, შესძახა: „საკმარისია, კეთილო მოქალაქენო, ლინჩის მოსამართლე კმაყოფილია“.

ლუიზიანის გაზეთებმა სიცილიელთა გაჟლეტვა დაგოებისათვის ჭკუისსასწავლებელ მაგალითად ჩათვალეს.

დაძაბულობა იზრდებოდა ატლანტის ოკეანის ორივე სანაპიროზე. იტალიაში დი რუდინის მთავრობამ პროტესტი განაცხადა, ხოლო მეფე კი დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტით იმუქრებოდა. ელჩი ფავე ვაშინგტონიდან აძალებდა ლუიზიანის გუბერნატორ ბლაინს, რომ ამ უკანასკნელს დაეწყო გამოძიება თვითმარქვია ჯალათებზე. განსაკუთრებული კურიერის ხელით ფავეს შეუთვალეს: „გადაეცით ძვირფას ბატონ პრემიერ დი რუდინს, რომ ამერიკის მთავრობისათვის სულ ერთია, თუ რას ფიქრობს რომი ჩვენს ინსტანციებზე“.

მარკიზმა დი რუდინმა გამოიწვია ელჩი და იტალიამ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ქვეყანასთან, სადაც მილიონობით იტალიელი ცხოვრობდა. მხოლოდ დეკემბერში გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჰარისონმა ფორმალური ბოდიში დახოცილი სიცილიელების ყოველ ოჯახს და დაჰირდა გადაეხადა თითოეულისათვის 120 ათასი ლირი.

იტალიელების ტრაგედია მალე დავიწყებას მიეცა პოლიტიკური უთანხმოებების გამო, ხოლო სავაჭრო ხელშეკრულებებმა რომი ღამცირებას გადაარჩინა. დღეს ეს სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტა განიხილება მხოლოდ როგორც ამერიკაში სიცილიური მაფიის პირველი გამოჩენის ოფიციალური დოკუმენტი.

მალე „შავმა ხელმა“ ახალ ორლეანიდან საცეცები ათას კილომეტრზე, სენტ-ლუისისაკენ გაიწვდინა. აქ დასავლეთის თითქმის დაუსახლებელი მიწების კარიბჭეზე „ნათლიებმა“ გადაწყვიტეს ახალი მსხვერპლი ჩაეგდოთ ხელში. მათ ორგანიზაციის სახელი შეუცვალეს — „მწვანეთა ძმობა“ უწოდეს, მეთოდები კი, რა თქმა უნდა, ძველებური დარჩა. როდესაც „შავი ხელის“ საცეცები მისისიპის მიდამოებს მოედო, მისმა მესვეურებმა სხვა ადგილების დასაკუთრებაც გადაწყვიტეს. პირველი იყო ჩიკაგო, ისეთივე მნიშვნელოვანი სავაჭრო და სატრანსპორტო ცენტრი, როგორიც სენტ-ლუისი. თუმცაღა აქ საქმე სხვაგვარად იყო. ჩიკაგო მანამდე იქცა სიმდიდრის, მანკიერებისა და განვითარებული მრეწველობის ცენტრად, ვიდრე მასში მაფიოზები გაჩნდებოდნენ.

მეცხრამეტე საუკუნეში ამ ადგილზე ალმავლობას არაფერი მოასწავებდა. იქ, სადაც ახლა ცათამბჯენებია, ორმა ფრანგმა

მისიონერმა აიშენა ფიცრული ქოხი და დაიწყო ინდიელების გაკათოლიკება. ჯერ კიდევ გასულ ასწლეულში აღნიშნავდნენ მოგზაურები ამ სოფელს, როგორც პრერიების ჭაობს. მხოლოდ მეოცნებეს შეეძლო წარმოედგინა, რომ ეს სოფელი ოდესმე გაიკელვლა გზას ზღვისაკენ ჩრდილოეთით — დიდი ტბებისა და წმინდა ლავრენტის მდინარის გავლით და სამხრეთით — მდინარე მისისიპისაკენ. მსხვილ ქალაქად ჩიკაგო რკინიგზის მაგნატების აქციებმა და 3000-კილომეტრიანმა ტრანსკონტინენტურმა ტრასამ გადააქცია. იგი გახდა უმთავრესი მაკავშირებელი კვანძი აღმოსავლეთსა და „ველურ“ დასავლეთს შორის.

ტრანსკონტინენტალის მატარებლებმა იმდენად მიიზიდა ბანდები, რომ კომპანია იძულებული გახდა შეექმნა სპეციალურად მომზადებული დეტექტივების ბიურო. მატარებლებისა და საჯგურების დაცვა მოგვიანებით „შავმა ხელმაც“ ითავა.

ბანდების ყველაზე აქტიური დამაარსებლები იყვნენ ძმები იანგები. მათ კონკურენციას მხოლოდ ყოფილი ჯარიკაცი ჯესი ჯეიმსი უწევდა.

პირველმა დანაშაულებებმა მცხოვრებნი იმ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა, რომ შემოელოთ საკუთარი კანონები. ამ შემთხვევაში ყველას ლინჩის კანონი ჯობდა, მაგრამ მანაც კი ვერ შეძლო გაეფუჭებინა მადა ნაძირალებისათვის. მათ ახალი სამყაროს პირობები იზიდავდათ. აქ მათ შეეძლოთ განურჩევლად ეძარცვათ და დარწმუნებულები ყოფილიყვნენ, რომ არავინ დაიჭერდა, დაუსჯელად შეეძლოთ გამოეცვალათ სახელი და გვარი. მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის დაწესებულებებმა მსოფლიოში პირველებმა გამოიყენეს ტელეგრაფი და ტელეფონი, ფედერალური პოლიცია არ არსებობდა, ხოლო ადგილობრივის მოსყიდვა ყოველთვის შეიძლებოდა.

უიღბლო კოვბოებს, ოქროს მაძიებლებსა და მოხეტიალე ყაჩაღებს „ველური“ დასავლეთიდან სამოქალაქო ომის შემდეგ შეუერთდნენ სამხრეთის არმიის ყოფილი მეომრები, რომლებსაც ჩრდილოეთი არასოდეს არ მიიღებდა და აპატიებდა. ტრანსპორტის განვითარებამ მათ ხელ-ფეხი შეუბოჭა. სპეკულანტებსა და ბნელი საქმეების მიმდევრებს ქალაქებში დაბრუნებისა

და მიღებული ჭრილობების მოშუშების გარდა სხვა აღარაფერი დანრესოდათ.

უკანასკნელი მპარველი, რომელიც ცათამბჯენებთან ცხენით მივიდა იყო ჰენრი სტარი. 1914 წლის სექტემბერში სტროულში ძარცვისას მას შერიფის ტყვია მოხვდა და მთელი მისი ძალაუფლება ელ სპენსერის ხელში გადავიდა. ენაბლუ სპენსერმა საიმედო ხიდი გაღო „ველურ“ დასავლეთსა და ჩიკაგოს მაფიის „შავ ხელს“ შორის. არცთუ სასურველი სტუმრები, მხოლოდ ცხენებითა და კოლტებით, სიცილიური მაფიის გარეშე ვერ გაძლებდნენ ქალაქში. თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მათ დაარქვეს ორგანიზებული დამნაშავეობის ჩამოყალიბება. კოვბოები ორგანიზებულ განსტერობას თავად ვერ მოახერხებდნენ. სიცილიის ჩრდილო-დასავლეთით ქალაქ კასტელამარე დელ გოლფოში გამობრძმედილ „ნათლიებს“ შეუდარებლად მეტი გამოცდილება ჰქონდათ.

ოავდასხმებისა და მკვლელობების შიშმა დაისადგურა ბიზნესების კორიდორებში, ლიფტებსა და ჩიკაგოს ბანკების ჰოლებში.

ქალაქის ცუდი რეპუტაცია კიდევ უფრო გაუარესდა სიცილიელების მოსვლის შემდეგ.

ჩამოსულებს ქალაქის ცენტრში სტუმართმოყვრულად ხვდებოდა ოცდაათი კაზინო საროსკიპოებით. ყველაზე უფრო ცნობილი იყო ვერნელის სათამაშო სახლი, დევიდის ცნობილი სასახლე. გართობის მომწყობებმა ყველაფერი გაითვალისწინეს. სასახლის ცენტრალური დარბაზიდან ერთი კორიდორი გადიოდა საროსკიპოში, მეორე — საცხედრეში. ვესტიბიულში ხელოსნები ამზადებდნენ ფიჭვის იაფფასიან კუბოებს.

დანაშაულებრივი საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ სახეობად იქცა ვაჭრობა „ცოცხალი საქონლით“, ანუ „თეთრი მონა ქალებით“, როგორც მაშინ ეძახდნენ მეძავებს. ბრიტანეთიდან და საფრანგეთიდან ჩამოსული ქალიშვილები დიდი სიამოვნებით იწერდნენ ჯვარს იმ ადამიანზე, ვინც მათ მიმართ ინტერესს გამოიჩენდა. ვისაც არ უმართლებდა დამნაშავეთა ბრჭყალებში ხვდებოდა.

ჩიკაგოს დამნაშავეობის ძველ სამყაროსა და „შავ ხელს“ შორის კავშირის კოორდინირება სამოქალაქო ომის ბოლო თვეებში დაიწყო მიშელ მაკდონალდმა. მაკდონალდმა რატუშაში იყიდა ქალაქის ინსპექტორის ადგილი და პირველად ამერიკუ-

ლი მაფიის ისტორიაში მოხდა გარიგება. მაფიოზებმა სახელმწიფო ფულებლებისა შეპირებული კანდიდატურის საპასუხოდ ორმოცდაათი ათასი ხმა მისცეს დემოკრატიული პარტიის სასარგებლოდ და ამით მაჟღენეს იქ კანდიდატის არჩევას ქალაქში, რომელიც მაფიასთან მეგობრობდა.

მაკდონალდის მერე (გადაწყვეტა დაესვენა და ვინლა სხვადასხვა დაწესებულებებისა და გაზეთ „ეკლობის“ მეპატრონე) სახელი მოიხვეჭა მორტ ტენესიმ.

მან რეორგანიზაცია მოახდინა მაკდონალდის კომპანიაში და საროსკიპოებში გზავნილა თავის ინკასატორებს. მისმა ენერგიულმა მოღვაწეობამ კომბინირებული კაზინოების გახსნაში სიკვდილის წინ ტენესის მოუტანა „თეორი მონების“ მეფის ტიტული. საზოგადოებას დიდხანს არ სჯერილა, რომ ასეთმა საპატიოსანმა მოქალაქემ გაყიდა ან ძალით აიყვანა საროსკიპოში სამუშაოდ ოცი ათასი ფიფონა. მისი ყველაზე პოპულარული და საიმედო საქონელი იყო დამშეული ახალშოსახლეების დები, დეიდაშვილები და ბიძაშვილები. იგი ბაზარს აყართოებდა 1910 წლამდე, ვიდრე მთავრობა არ შეეცადა ბოლო მოეღო ამ უხამსობისაოვის ახალი კანონით. თუმცა ბუნდოვნად ფორმულირებულმა კანონმა ცოტა ვინმე თუ მიიყვანა ციხის კარამდე. ჩიკაგოშიც იყო იტალიელთა კვარტალი. „ნათლიები“ ცენტრში ცხოვრობდნენ და არც მალავდნენ, რომ მაღაზიების „დაცვამ“ მათ პირველივე წელს ნახევარი მილიონი დოლარი მოგება მოუტანა.

ხელოსნებს, რომლებიც უარს ამბობდნენ მაფიის დაცვაზე, დილით თავიანთი სამრეცხაოები, ხორცის ფარდულები თუ საცხობები უფანჯრო, ზოგჯერ კი მთლად დაფერფლილი ხვდებოდათ. მოგვიანებით „შავმა ხელმა“ შეადგინა მდიდართა სია და თავის საფეარელ საქმეს — შანტაჟს მიჰყო ხელი.

ილინოისის სახელმწიფო პოლიციის ინსტიტუტს აქვს შანტაჟის წერილების დიდი კოლექცია. ყველა მათგანი გამოირჩევა ინგლისურის ცუდი ცოდნითა და დაუფარავი ცინიზმით. მაგალითად: „ჩვენ იძულებულები შევიქენით, რაც ძალიან გვაწუხებს, წავიყვანოთ თქვენი ბიჭუნა დღეს დილის 10 საათზე. მას მზრუნველობა არ მოაკლდება. ერთადერთი, რაც ჩვენ გვინდა, ის არის, რომ ბიჭუნამ თავად გამოაგზავნოს სახლის გზა.

რასაკვირველია, თქვენ აფასებთ მის სიცოცხლეს და არ გაუშვებთ ხელიდან ასეთ კარგ შემთხვევას. მიეცით ხუთი ათასი დოლარი რომელიმე ჩვენს მეგობარს, რომლებიც შემთხვევით თქვენს სახლთან ჩაივლიან. არ დაგავიწყდეთ".

მანო ნერა.

ეს წერილი მასინომ იპოვა კარის ქვეშ. ცოტა ხნით ადრე კი საიდუმლო ვითარებაში გაქრა მისი ექვსი წლის ბიჭი.

უშვილო მდიდრები სხვა შინაარსის წერილებს იღებდნენ: „დიდად პატივცემულო ბატონო სილვან! ჩვენ გვჯერა, რომ საჩუქარი, რომელსაც ჩვენ თქვენ გთხოვთ, ძალზედ არ შეგაწუხებთ. გთხოვთ გამოგვიგზავნოთ ორი ათასი დოლარი. კიდევ უფრო ძალიან გთხოვთ, გიყვარდეთ თქვენი სიცოცხლე და დღის ოთხ საათამდე დადოთ ფული ქვის ქვეშ თქვენი სახლის შესასვლელთან. თუ ამას არ გააკეთებთ, ვფიცავთ, რომ კვირის განმავლობაში თქვენ შეგემთხვევათ უბედურება და თქვენი ოჯახიდან ფერფლიც არ დარჩება.

საუკეთესო სურვილებით თქვენი ერთგული მეგობრები მანო ნერას ძმობიდან".

სანამ ამერიკელი ძლიერნი ამა ქვეყნისანი ფიქრობდნენ, სად და როგორ ჩარეულიყვნენ მსოფლიო პოლიტიკაში, სიცილიური მაფია მდიდრდებოდა და განაგრძობდა ულმობელ ბრძოლას ჩიკაგოს 19 რაიონისათვის. ეს იყო ირლანდიური კლანის შეფის ჯონ პაუერის ბოლო სურვილი. ირლანდიელების სიძულვილმა დროებით გააერთიანა ჩიკაგოს დამნაშავეობის სამყაროს ლიდერები: იზი კრის ბუხალსკი, ჯიმი კოსმენი, მკვლელი-მანიაკი ფრენკ მაკერლანი და გერმანელი უმცირესობის ბელადი ზიგფრიდ ჰეიტლერი, მონათლული მიკ შტიკად.

განგსტერულ ომს გადარჩენილი ირლანდიელები ერთსულოვნად გადავიდნენ „შავი ხელის" ბანაკში სიცოცხლის შენარჩუნების იმედით.

3. ალ კაპონე ძარცვის ქალაქში გადაბარგდა

ჩიკაგოს შემდეგ სიცილიური მაფია ნიუ-იორკში დაფუძნდა. 1935 წელს აღმოსავლეთის ყველაზე დიდი ქალაქი 300 ათას მცხოვრებს ითვლიდა და ეს რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. ცხენშებმული ეტლების ხმაური შესცვალა ტრამვაის ხმაურმა. იზრდებოდა მეტროპოლიტენის ქსელი. სწრაფმავალ მიწისქვეშა მატარებლებს ყოველდღიურად ათასობით მგზავრი გადაჰყავდათ. ბრუკლინიდან ბატერამდე აღმოსავლეთის მდინარის ქვეშ დაწყებული მშენებლობა წარმოადგენდა ნამდვილ საინჟინრო სასწაულს. ასეთი სწრაფი განვითარება ბევრ, განსაკუთრებით კი ევროპიდან გადმოსახლებულ იაფფასიან მუშახელს საჭიროებდა. ისინი გემებს, როგორც წესი, ელისაილენდის პორტში მოჰყავდათ. ნიუ-იორკის მცხოვრებლებს სჭირდებოდათ ემიგრანტები, მაგრამ, ისევე როგორც ახალი ორლეანის მკვიდრი მოსახლეობა, ისინი ევროპელებს აგდებულად ეპყრობოდნენ. ამერიკელებმა ისიც იცოდნენ, რომ მსოფლიოს ყველა კუთხიდან მათკენ ყველა ჯურის თაღლითი მოისწრაფოდა. მაგრამ გასაქირავებელი სახლების, სასტუმროებისა და სხვა მესაკუთრეებისათვის ემიგრანტების მოზღვავება, — მიუხედავად იმისა, თუ რა განზრახვით მოდიოდნენ ისინი, — ოქროს მდინარეს ნიშნავდა. ნიუ-იორკელმა მაკლერებმა სამშენებლო ნაკვეთების ფასი ასტრონომიულად გაზარდეს. შეუძლებელი იყო, რომ ასეთ მდიდრულ სუფრას მაფია დაკლებოდა. იგი პირველი არ მიჯდომია მაგიდას, მაგრამ სამაგიეროდ მისი გამოჩენა ყველაზე მოურიდებელი და ხმაურიანი იყო.

სიცილიელებამდე აქ უკვე არსებობდნენ ბანდები. ეს ბანდები დააარსეს მეთვრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გადმოსახლებულმა ირლანდიელებმა. ყველაზე მსხვილი ბანდებიდან შემორჩა მხოლოდ „ფაივ პოინტსი“ სიცილიელთა მაფიასთან და ტამანი ჰოლის დემოკრატიული პარტიის კლუბთან გაერთიანების წყალობით.

რამდენიმე წლის შემდეგ ამ კავშირში საპატიო ადგილი დაიკავა ბანდა „ფაივ პოინტსის“ შეფმა პოლ კელიმ. მან ეს საზოგადოება დემოკრატიული პარტიის ბურჯად გადააქცია.

პოლ კელის მოღვაწეობის პერიოდში ნიუ-იორკს შიშის ზარს სცემდა ბანდა „ბოვერი ბოიზი“ მონკ ისტმანის მეთაურობით. ამ ორი მიწინააღმდეგის დაუფარავმა სიძულვილმა ქალაქი ბრძოლის ველად გადააქცია. ოშში თითქმის ყველა მონაწილეობდა ტამანი ჰოლის რამოდენიმე პოლიტიკოსის გამოკლებით, რომლებიც დაზავებას მოითხოვდნენ. 1903 წლის დასასრულს დასავლეთის ქუჩა № 2-ში მდებარე კინოთეატრის გადაჭედილ დარბაზში ჩატარებულ სხდომაზე ორივე კლანის მეთაურებმა ზავი გამოაცხადეს, მაგრამ დაზავებამ მხოლოდ თექვსმეტ დღეს გასტანა.

ყველაფერ ამას ბოლო მიუღო ერთმა, თითქმის კომედიურმა შემთხვევამ. მონკ ისტმანი საკუთარი მცველის თანხლებით ბრუკლინის მაგისტრალზე დასეირნობდა. მათ მხოლოდ საიდუმლო საწყობებში საბრძოლო ამუნიციის დაკვეთა სურდათ. გზაზე ისინი შეჩერდნენ ერთ-ერთი ბეწუეულის მდიდრული მაღაზიის თვალისმომჭრელ ვიტრინასთან. აქ მათ უცნობი ახალგაზრდა მამაკაცი წამოეწიათ.

„ეს კაცი, რა თქმა უნდა, ქურდია და მდიდარ მსხვერპლს უთვალთვალებს“, გაიფიქრა ისტმანმა. „საჭიროა დავეწიოთ მას!“ შეუმა რევოლვერი იძრო. ისტმანის გასროლა ახალგაზრდა „ქურდის“ გასროლას დაემთხვა. საბედისწერო შეცდომა! ეს ახალგაზრდა ჯიბის ქურდი კი არა და პინკერტონის დეტექტიური კანტორის საუკეთესო აგენტი აღმოჩნდა, რომელიც თურმე გზად მიმავალ ნიუ-იორკელი მილიონერის შვილს იცავდა. მილიონერს საკმაოდ ბევრი მეგობარი ჰყავდა ტამანი ჰოლში, რათა საქალაქო სასამართლოს ბანდა „ბოვერი ბოიზის“ მეთაური ათი წლით ჩრდილოეთის ციხეში გაეგზავნა.

მიუხედავად იმისა, რომ მონკ ისტმანის დაცემამ დამნაშავეთა სამყაროს იერარქია შეცვალა, პოლ კელიმ მაინც ვერ დაიკავა ნიუ-იორკის „სამეფო ტახტი“. მის გარდა კიდევ ბევრი ე. წ. „საინტერესო მამაკაცი“ ოცნებობდა ნიუ-იორკის „ნათლიობაზე“. მაგალითად, არნოლდ როტშტეინი, ბროდვეის მეფე, ნიუ-იორკელი გაზეთების სიმპათია და მანჰეტენის ბნელი სამყაროს ბელადი.

როტშტეინს თავისი ორპირობისა და თვალთმაქცობისათვის, რის შესახებაც მისმა მშობლიურმა აღმოსავლეთის № 47 ქუჩამ კარგად იცოდა, მეტსახელად „ქრცვინი“ შეარქვეს. უკვე თექვს-

მეტი წლის ასაკში სულ ცოტა ხუთი წელი სათამაშო სახლებში ჰქონდა გატარებული და უკვე საინფორმაციო აგენტურის მფლობელი იყო. სათამაშო სახლში იგი საბეჭდავად იყენებდა „პატიოსან პასტორებს“, სინამდვილეში კი შულერებს. როცა 23 წლის როტშტეინმა ცხრამეტი წლის მსახიობი ქალი კაროლინა გრინი შეიყვარა, ირგვლივ ათასნაირი ჭორები გავრცელდა. პოკერის პარტიაში, რომელიც 36 საათს გაგრძელდა, მან დანიშნული კარტებით 21 ათასი დოლარი მოიგო. ქონების ზრდასთან ერთად მატულობდა მისი პოპულარობაც.

როტშტეინს, ახალ კაზინოსა და ორი საროსკიპოს პატრონს, ყვარე მფლობელს, დიდება და ტკბილი ცხოვრება შერიფებმა კი არა მისმა ბეჯითმა მოწაფეებმა დააკარგვინეს.

ერთ-ერთი მათგანი გახლდათ იგნაციო საიეტა, რომელმაც ჯერ კიდევ 1899 წელს დატოვა სიცილიის მარად ლურჯი ცა თავის ქვისლ ჯუზეპე მორელისთან ერთად. სამშობლო მათ შიმშილმა კი არა, ორჯერ ჩადენილი მკვლელობისათვის გამოტანილმა სასჯელმა დაატოვებინა.

ნიუ-იორკში იგნაციო ჯოზეფ ვოლფად (მგელი) წარმოგვიდგა და ყოველდღე ამართლებდა თავის მეტსახელს. იგი მხოლოდ „ომერტას“ სცემდა პატივს. მისი ხროვა საჯინიბოების ნანგრევებში ცხოვრობდა 125-ე ქუჩაზე, ისტ ჰარლემის საცხოვრებელ მასივში. ამ ბანდამ დახოცა იმაზე გაცილებით მეტი ადამიანი, ვიდრე ამ საჯინიბოებში ცხენებს გაუჭაჭანებია.

დაშინებულ თანამემამულეთა შანტაჟირებას „მგელი“ წარმატებით აგრძელებდა მანამდე, სანამ ყალბი ათდოლარიანი ბანკნოტების გამოშვება არ დაიწყო. „მგელი“ გასცეს მისი კონკურენტის, ციერო ტერანოვას ადიუტანტებმა, ტერანოვა უფრო „არტიშოკის მეფის“ მეტსახელით იყო ცნობილი. ტერანოვა ფლობდა ბოსტნეულით საბითუმო ვაჭრობის ჭსელს და არც არავისთან სურდა მოგების განაწილება. „მგელი“ ციხეში ჩასვეს, ტერანოვამ კი ისედაც დიდი იმპერიის სახლვრები უფრო გააფართოვა. თუმცა „არტიშოკის მეფეს“ რეორგანიზაციის პროცესში მხედველობიდან გამორჩა ნიუ-იორკის „ნათლიის“ ტიტულით დაინტერესებული კიდევ ერთი კონკრეტული პირი ჯუზეპე მასერია. ჯუზეპეს ჯო ბოსს ეძახდნენ. ნიუ-იორკში იგი არალეგალურად 1907 წლის მცხუნვარე ზაფხულში ჩამოვიდა. ჩასერია არა მარტო ზუსტი მსროლელი, არამედ ვერაგული

მოქმედების ოსტატიც იყო. ამაში მალე დარწმუნდა ცირო ტერანოვა, როდესაც განგსტერთან „მშვიდობიანი მოლაპარაკებისათვის“ თავისი მოადგილე გაგზავნა. ჯო ბოსმა ტერანოვას ელჩს მარცხენა ხელი გაუწოდა, მარჯვენათი კი ექვსი ტყვია დაახალა. ელჩის სიკვდილმა ტერანოვა ჭკუაზე მოიყვანა. მან მასერია თავისი ტერიტორიის პატრონად ცნო. ბევრი იტალიელი და მათ შორის სიცილიელებიც, რომელთაც არ მოსწონდათ იტალიელებს რომ ეძახდნენ, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა „შავ ხელში“ შეეღწიათ. მათ ღირსების საქმედ მიაჩნდათ რეაბილიტაცია საზოგადოების იმ ნაწილის თვალში, რომლისგანაც მხოლოდ საყვედურებსა და ზიზღს ღებულობდნენ. „არტიშოკის მეფის“ სიკვდილის შემდეგ „შავ ხელს“ დაუპირისპირეს ახალი საზოგადოება ე. წ. „თეთრი ხელი“. თუმცა მალე მიხვდნენ, რომ განგსტერები გაცილებით ძლიერნი იყვნენ და კანონის მსახურთა ეს საზოგადოება დაშალეს. ამ გადაწყვეტილებას მხოლოდ ორნი არ დაემორჩილნენ — ადვოკატი პარკპერსტი და პოლიციის ლეიტენანტი ჯეზეფ პეტროსინო. პირველი გარდაიცვალა ნიუ-იორკში, მეორე კი ერთი წლის შემდეგ თავის სამშობლოში.

იმ დროს, როცა მაფია დედაქალაქის მომარაგების საქმეს ემუქრებოდა, პეტროსინომ ქალაქის პოლიცია დაარწმუნა, ჩამოეყალიბებინათ განსაკუთრებული რაზმი „იტალიან სკუოდი“ და საკუთარი სურვილით ჩაუდგა მას სათავეში. იგი მოუსყიდავ ოფიცრებს განეკუთვნებოდა და მაფიისადმი მის ზიზღს ისევე, როგორც „თეთრი ხელისას“ ერთი საფუძველი ჰქონდა: მას სურდა თავისი თანამემამულეების შელახული რეპუტაცია აღედგინა.

პეტროსინოს ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი იტალიელი მშობლებისაგან და თავისი თანამშრომლებისათვის შეეძლო აეხსნა, რომ მაფიის საქმიანობის შესწავლის ერთ-ერთი საშუალება იყო გამოძიება პირდაპირ მათ ბუდეში — სიცილიაში დაწყებულიყო. მაგრამ პეტროსინომ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა: თანაშემწეებად და მთავარ სპეციალისტებად მოიწვია „შავი ხელის“ ყოფილი წევრები. ასეთმა ნდობამ იგი უბედურებამდე მიიყვანა.

როდესაც ოცდაშვიდი წლის პოლიციელი სიცილიისაკენ გაემგზავრა „ნათლიების“ სახელების დასადგენად, მისი ბედი

უკვე გადაწყვეტილი იყო. „შავი ხელის“ ყოფილმა თანამშრომლებმა, ამჯერად პეტროსინოს თანაშემწეებმა, სიცილიელ „ნათლიებს“ შეატყობინეს ოპერაციის დეტალები და პეტროსინოს ფსევდონიმიც კი.

პეტროსინო რომში ჩავიდა და ნიუ-იორკის პოლიციის შეფის დავალებით ვიზიტით ესტუმრა შინაგან საქმეთა მინისტრს. საფოსტო ამანათები ამერიკის შეერთებული შტატებიდან კონსპირაციული მიზეზების გამო გაგზავნილი იყო იტალიის კომერციული ბანკის მისამართით. ამ დროს სიცილიელი „დონების დონი“ ვიტო კაშია ფეროს ჯაშუშები თვალს არ აშორებდნენ დაუპატიჟებელ სტუმარს, რომლის ბანკში გაგზავნილ დეპეშებს ისინი უფრო ადრე კითხულობდნენ, ვიდრე ადრესატები.

პალერმოში პეტროსინო 1909 წლის 28 თებერვალს ჩავიდა. იგი მარანსის მოედანზე პირველი კლასის სასტუმროში დაბინავდა და ძიებას შეუდგა.

12 მარტს, შუადღეს მაფიის მთავარმა ჯაშუშებმა „დონ“ ვიტოს მოახსენეს, რომ პეტროსინო დაინახეს გარიბალდის ძეგლთან ახლოს მიმდებარე ქუჩაზე.

ვიტო ფერომ მიატოვა სპაგეტის ულუფა, ჩაჯდა მანქანაში და გაემგზავრა. ძეგლთან მისვლისთანავე იგი აუჩქარებლად გადმოვიდა მანქანიდან და ოთხი ტყვია დაახალა ლეიტენანტს. მერე, ასევე დინჯად ჩაჯდა მანქანაში და დარჩენილი სპაგეტის ულუფის შესაჭმელად დაბრუნდა.

მკვლელობის მომენტში ახლომახლო ათობით ადამიანი იდგა. პოლიციამ სამოცდასამი პალერმოელი მოქალაქე დაკითხა. ყველა ერთხმად პასუხობდა: „არავინ დაგეინახავს! როგორ, განა ვინმე მოკლეს? სროლა? რას ბრძანებთ, სროლის ხმა ჩვენ არ გაგვიგია!“.

ჯოზეფ პეტროსინოს მკვლელის ვინაობა ხელისუფალიანობის დაუდგენელი დარჩა, არადა იგი იცოდა ნიუ-იორკის დამნაშავეთა სამყაროს კიდევ ერთი შეფის ფრენკ იალას ყველა „მებრძოლმა“.

იალა არაერთხელ გაექცა მოხერხებულად მართლმსაჯულებას, მოქალაქეთა და მეგობართა ინტრიგებს, თავისებური ხერხით ანადგურებდა ადრე არსებულ ცნობილ, მსხვილ ბანდებს: „დახოცილ ბაჭიებს“, „ორმოც ყაჩაღს“ და „ველურ ქუდებს“. ეს ბანდები მიეკუთვნებოდნენ დამნაშავეთა იმ უკანასკნელ ჯგუ-

ფებს, სადაც ფრანგულ, იტალიურ, პოლონურ, უერმანულ და ჩეხურ ენებზე გაიგებდით საუბარს.

სიცილიური დიალექტების ოსტატებმა გაამდიდრეს სხვა ენები საკუთარი ჟარგონით და „ნათლია“ იალას გარშემო გაერთიანებულები მყარ საფუძველს უყრიდნენ მომავალ „კოზა ნოსტრას“.

ამერიკელი ბანდიტები, ახლა უკვე იალას მეთაურობით, არაფერსე არ იხევდნენ უკან, გარეგნულად კი ცდილობდნენ ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ ყველასათვის, თითქოს კანონის დამრღვევთა რიცხვს არ ეკუთვნოდნენ. თუმცა არავისთვის საიდუმლო არ იყო, რომ გასროლები ლეგენდარული ლუპარიდან ფარავდნენ წარუმატებელი გარიგებების კვალს.

ლუპარა — იარაღი გადაჭრილი ლულით სიცილიაში მგლებზე სანადირიოდ გამოიყენებოდა, ხოლო მაფიამ „მართლმსაჯულების“ იარაღად აქცია. ლუპარების ცეცხლი რწმენას უნერგავდა „ნათლიებს“, რომელთაც „ჯარისკაცების“ საკმაო რაოდენობა ჰყავდათ. ლუპარის გამოყენებას ახალ სამყაროში წყვეტდა არა მარტო „ნათლია“, ძველებურად პადრინო, არამედ პირველი მოადგილეც, ჩვეულებრივ მკვლელი პარანოიკი.

„ნათლიის“ მეორე მოადგილე, ეგრეთ წოდებული „ლეიტენანტი“, განათლებით იურისტი ან ეკონომისტი, დანაშაულებრივ საქმიანობაში არ მონაწილეობდა. პირიქით, იგი დაკავებული გახლდათ სასამართლოებში დაცვის საკითხებითა და ქრთამის მიცემით.

„ნათლია“ იალამ ამერიკული მაფია სიცილიის „კეთილშობილთა საზოგადოების“ მოდერნიზებულ ასლად აქცია.

მან გააფართოვა მაფიის „მართლმსაჯულების“ აღმასრულებლებისა და გადასახადების ამკრეფების უფლებები. ამის შედეგად ბანდიტებმა ირწმუნეს, რომ მაფიის რიგებში მოხვედრით შესაძლებლობა ეძლეოდათ, თუ ცოცხლები დარჩებოდნენ, სანუკვარი ოცნებისათვის — „ნათლიის“ ტახტისათვის მიეღწიათ.

ნებისმიერ შემთხვევაში მაფიის წევრის კარიერა იწყებოდა ეკლესიიდან და მთავრდებოდა ექსტრავაგანტური დაკრძალვით. მათთვის ღვთისმოსაობა ნიშნავდა ეკლესიაში რეგულარულ სიარულს, სასულიერო პირებთან მეგობრობას, მაგრამ ალსარებას კი თავს არიდებდნენ — ვინ იცის, ვის ემსახურებოდა პასტორი?!

კარიერის მიღწევაში ლიდ როლს ასრულებდა აგრეთვე მაღალპროფესიონალიზმი, ექსტრემალურ პირობებთან შეგუება, ბიზნესმენის ალღო.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისება ნაკლებად ჰქონდა დაუცხრომელ ინდივიდუალისტ ფრენკ იალას. ამან მას სამართლიანად მოაპოვებინა დირექტორის პოსტი „დაწესებულებაში", სადაც გამეფებული იყო ასარტი, პროსტიტუცია, შანტაჟი — იალას რელიგიის ეს ყველაზე წმინდა სამეული. ამ გზით მან საკმაოდ დიდი შემოსავალი მიიღო და შეძლო მოკლე ვადაში ხუთასი ათასი დოლარი დაებანდებინა თამბაქოს წარმოებაში. იალას ნაწარმზე, რომელსაც ჭირიან სიგარებს უწოდებდნენ, უდიდესი კონკურენცია გაჩაღდა ნიუ-იორკელ თამბაქოთი მოვაჭრეთა შორის. ხოლო იმ ვაჭრთა მაღაზიები, რომლებიც იალას საქონელს არ შეისყიდიდნენ, ჰექონის წყალს მიჰქონდა. იალა არც თელიდა საჭიროდ სიგარეტების დეკორატიულ გაფორმებას, სიგარებს მხოლოდ მისი პორტრეტი ამშვენებდა. ტექნიკური პროგრესის პიონერმა ფაბრიკანტმა იალამ გააბედნიერა ნიუ-იორკი მსოფლიოში პირველი თამბაქოს გასაყიდი ავტომატებით. ბუნებრივია, რომ ეს ავტომატები დაიდგა უნივერმაღებში, ლუდის ბარებში, იქ, სადაც მუდამ ხალხმრავლობა იყო. შემდეგ მოდიოდნენ იალას „ბიჭები", ხვდებოდნენ ამ დაწესებულებების მფლობელებს და დამტკბარი ხმით მიმართავდნენ: „ამ ავტომატებიდან ცვივა საუკეთესო სიგარები და სიგარეტები, ხოლო მათში რჩება უამრავი დოლარი.

ოპ, მაპატიეთ, თავი არ გაგაცანით. ჩვენ გახლავართ მსხვილი მწარმოებლის და საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ბატონ იალას წარმომადგენლები. მოვედით, რათა პირველი ფულადი გადასახადი მივიღოთ თქვენგან".

ზოგიერთი ვაჭარი გაოცებული კითხულობდა: „ფულადი გადასახადი? რამდენი და რისთვის?"

„საზღაური იმისათვის, რომ თქვენ გაქვთ ავტომატური დანადგარი", — უპასუხებდნენ დაუპატიჟებელი სტუმრები და მაშინვე ტყავის ბლოკნოტებში იწყებდნენ ქექვას.

„გადასახადის რაოდენობა ადვილად შეგიძლიათ დაიანგარიშოთ. ეს არის მოგების 20-დან 50 პროცენტამდე. ჩვენ ახლავე შევამოწმებთ მთელ თქვენს შემოსავალს. ამიტომ, აჯობებს რომ გადაიხადოთ".

„მაინც რას წარმოადგენს თქვენი ფირმა, რომელსაც ფაბრიკანტი იალა ხელმძღვანელობს? რისთვის უნდა მიიღოს ამდენი თანხა?“ „თქვენ აქ გაქვთ ბატონ იალას სიგარებით მოვაჭრე ავტომატი და ისინი ხელშეუხებელია. ამაზე ზრუნავს ბატონი იალა, ის დაგიცავთ თქვენ და თქვენს მრავალრიცხოვან ოჯახსაც. ხომ შეიძლება მათ ვინმე დაემუქროს! დიახ, აუცილებლად დაემუქრება. ეს კარგად დაიმახსოვრეთ. ბავშვების მოტაცებაზე არაფერი გსმენიათ?“

თუ მეპატრონეები განაგრძობდნენ ჯიუტობას, „ნათლიის“ წარმომადგენლები ჯერ ზრდილობიანად, მაგრამ დამაჯერებლად აფრთხილებდნენ, რომ მათ აქვთ საშუალებები, რათა გადაახდევინონ აღნიშნული თანხები.

ურწმუნოები ბანდიტების ნათქვამის სიმართლეში შვიდი ღღის განმავლობაში რწმუნდებოდნენ. ჯერ იმსხვრეოდა ვიტრინის მინები, შემდეგ იწვოდა მაღაზიები. ამის შემდეგ ყველა სვდებოდა, რომ აუცილებელი იყო მაფიის კანონებს დამორჩილებოდა. არავის სურდა საიქიოში გამგზავრება და შვილების ობლად დატოვება.

„ნათლიასთან“ თანამშრომლობდა პოლიციელების ნაწილი, ეწარმოებლები და ვაჭრები დამჯერები იყვნენ და ბიზნესის მანქანაც შეუფერხებლად მუშაობდა. ხოლო ამერიკა არ აღიარებდა იტალიელებს და აბუჩად აგდებდა მათ. „ნათლია“ ფრენკ იალამ სცადა მოეწესრიგებინა ეს ურთიერთობა და დააარსა ამერიკის სიცილიური კავშირი. თავის თავს მან ამ კავშირის პრეზიდენტი უწოდა. „უნიონე სიცილიანოს“ ორი სახე ჰქონდა. ერთი თავაზიანად მომღიმარი — ემიგრანტებისათვის, რომლებსაც ეგონათ, რომ კავშირის დამაარსებლებს სურდათ მათი ენისა და ტრადიციების შენახვა. კავშირში გაერთიანების მსურველი ბევრი აღმოჩნდა. 1901 წლიდან 1913 წლამდე იტალია, განსაკუთრებით კი ნახევრად ფეოდალური სიცილია, დატოვა 8 მილიონმა ადამიანმა. ისინი იმ იმედით ტოვებდნენ სამშობლოს, რომ სამუშაოს იშოვიდნენ და თავს დააღწევდნენ ბარონებს, ეპისკოპოსებს, სამეფო სასამართლოსა და „ნათლიებს“, რომლებიც მათ სამშობლოში ავიწროებდნენ. ისინი ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ ამერიკაშიც უნდა აეყვანათ „ნათლიები“ დიდებისა და პატივის კვარცხლბეკზე. სწორედ ეს იყო „უნიონე სიცილიანოს“ მეორე სახე — შეუბრალებელი და ცრუ დიდების

მოყვარული. ამ კავშირს ფრენკ იალა მთელ ამერიკაზე უნდა გაებატონებინა, თუმცა იალას სურვილი არ შეესაბამებოდა მის შესაძლებლობას. ამიტომ იალამ დიპლომატიას მიმართა, მან დაუშვა პატენტები, გასცემდა ჯილდოებს, იალამ დააკმაყოფილა აგრეთვე დამნაშავეთა სამყაროს ახალი „ნათლიის" ჯონ ტორიოს თხოვნა, რომელიც ეძებდა მაფიოზის „ვალების გარეშე". იალამ ციხიდან დაიხსნა უმნიშვნელო ნაძირალა ალფონს კაპონე.

კაპონეს გარეგნობა — მსუქანი პირი, ნაიარევი მარცხენა ლოყაზე, პირფერული ღიმილი, საკმარისი იყო იმისათვის, რათა ჭკვიან ხალხს გვერდი აეცალა მისთვის. მაგრამ პირველ ომისშემდგომ წელს, უჭკუო ხალხი საკმარისი აღმოჩნდა. კაპონეს მაშინ მაფიისაგან ჰარვარდის დასინგის „დაცვა" ჰქონდა დავალებული. მას ერთ-ერთი სტუმარი თვალში არ მოუვიდა. ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ალ კაპონეს სტუმრისათვის სული ამოეხადა. ყოველ შემთხვევაში კაპონე ასე ფიქრობდა, როდესაც ცხედარს ბარიდან ერთ-ერთ ქუჩაზე მიათრევდნენ. მაგრამ მაშინ კაპონეს არ გაუმართლა. „მიცვალებული" გაცოცხლდა და პოლიციას მიაკითხა.

ფრენკ იალამ თავისი ზედმეტად გულმოდგინე მოადგილე გააფრთხილა: თუ ეს დაჭრილი მოკვდება, შენ იქნები დამნაშავე, და მაშინ პოლიცია სხვა მკვლელობებსაც გაგასსენებსო.

ერთადერთი ადამიანი, რომელიც ალ კაპონეს უყვარდა, იყო მამამისი ლუისი, ყოფილი დალაქი ნეაპოლიდან. მან შვილს ურჩია, რომ კარგს იზამდა, თუ ჩიკაგოს შეაფარებდა თავს — „ამ ქალაქში, პოლიცია ტორიოს ეკუთვნის".

ლუის კაპონემ იცოდა, რასაც ამბობდა, „ნათლია" ჯონ ტორიო ჩიკაგოში ცხოვრობდა. იგი თავისი ბიძის, ორგანიზებულ დამნაშავეთა იმპერიის ლეგენდარული ფიგურის ჯიმ კოლოსიმოს მთავარი რწმუნებული იყო.

4. [illegible] ჯიმ კოლისიმოს ამირნია [illegible] მმართველობა

ჯიმ კოლისიმოს ძმისწული ჯონ ტორიო საკუთარ სათამაშო სახლებსა და საროსკიპოებს მართავდა კანტორიდან, რომელიც კომპლექს „ოთხი ორიანის“ პირველ სართულზე იყო მოთავსებული. მის სავიზიტო ბარათზე იყო მისამართი: ჩიკაგო, სამხრეთ ვაბაშ ავენიუ 2222. „ოთხი ორიანი“ სახლის ნომერი იყო და იქ ჩიკაგოელი ნაძირალები იყრიდნენ ხოლმე თავს.

„ოთხი ორიანის“ პირველ სართულზე დიდებული ბარი იყო. ბარის უკანა მხარეს, რკინის კარს მიღმა, ტორიოს კაბინეტი, მეორე და მესამე სართულებზე კაზინოები, უკანასკნელი მეოთხე სართული კი დაყოფილი იყო ოთახებად მსუბუქი ყოფაქცევის ქალიშვილებისათვის.

„ოთხი ორიანი“ გახდა თავშესაფარი ყველაზე საზარელი მკვლელებისათვის, როგორებიც ოდესმე ჰყოლია მაფიას თავის რიგებში. ჭიქა ვისკიზე მოდიოდნენ მაფიის შეფებიც: ძმები ჯენოვეზეები, ჯონ სკალიში, ალბერტ ანსელმი, ვინსენტ დრუჩი მეტსახელად „ინტრიგანი“ და „მრისხანე კოლოსი“ სამუელ მორტონი.

ბარში ხშირად იყო კოვბოი ლუის ალტერი, რომელსაც ვერაფრით ვერ შეეგნო, რომ ჩიკაგო დიდი ხანია აღარ იყო ოქროს მაძიებელთა ქალაქი, და სამხრეთ ვაბაშ ავენიუზე ცხენზე ამხედრებული დაბრძანდებოდა. ჯიმ კოლისიმოს მდიდრული აპარტამენტები „ოთხი ორიანის“ გვერდით იყო სამხრეთ ვაბაშ ავენიუ 2128-ში. ტორიოს ბიძა, პირველი და შეუზღუდავი მეთაური ქალაქის ნაძირალებისა, ჩიკაგოში მაშინ ჩამოვიდა, როცა ქალაქში მილიონი მცხოვრები იყო და აქედან ორასი ათასი საზღვარგარეთ იყო დაბადებული. იგი ისე ენერგიულად „მოღვაწეობდა“, რომ თუ ღამით შემთხვევით პოლიცელი გამვლელს შეაჩერებდა, ის კითხულობდა: „ეს ჯარიმაა, თუ ძარცვა?“

კოლოსიმო, სანამ დიდ ჯიმს შეარეშევდნენ, უიღბლო ქურდი იყო. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფეხსაცმლის მწმენდავი გახდა და თავისი კლიენტების ჯიბეზე ხელი მიუწვდებოდა, შეძლო ქალაქის მმართველობაში შეეპინა უმნიშვნელო ადგილი და ღამეგობრებოდა მის წევრებს: მაიკლ კენის და ჯონ

კოფლინის. ქალაქის ეს ორი წარმომადგენელი მეფე პინკი და ჯონ მეაბანოე, როგორც მათ განსაკუთრებული უწოდებდნენ მეტსახელად, სახელმწიფოს „ერთგული“ ქვეშევრდომნი იყვნენ.

პირველი ლუდის ბარის მფლობელი იყო, ხოლო მეორემ თავისი პოლიტიკური კარიერა დაიწყო რიგორც მასაჟისტმა აპანოში.

ამერიკაში, მაშინ, ისევე როგორც ღღეს, ორი პარტია იყო — დემოკრატიული და რესპუბლიკური. ამ ორი პარტიის შექმნა — ამერიკელ ფილოსოფოს რალფ ემერსონის თქმით — გამოიწვია არა პრინციპულმა განსხვავებამ მათ შესახებ ლებათა შორის, არამედ სხვადასხვა გარემოებებმა. ეს პარტიები არ პყოფდნენ ხალხს გარკვეულ ჯგუფებად. ისინი მხოლოდ იმაზე ზრუნავდნენ, რომ თითოეულ პარტიას ამა თუ იმ ხერხით მიეღო ს

როცა არჩევნების დრო დადგა, არჩევნების მესვეურებმა კვლავ კოლოსიმოს მიმართეს: საჭიროა ხმები!

ახალმოსახლენი ყველგან თავიანთ ენაზე საუბრობდნენ, რასაც მათთვის არაერთი უსიამოვნება მოჰქონდა ხოლმე.

ადამიანებისმოყვარე დიდმა ჯიმმა შექმნა ქუჩის დამსუფთავებელთა საზოგადოება და გახსნა პოლიტიკური კლუბი, რომელიც აერთიანებდა გადამყიდველებს, ფეხსაცმლის მწმენდავებს, წვრილ ქურდებს, მეეტლეებს და ქალაქის პერიფერიის სხვა ნაძირალებს: მაფიის ნაღების სხვა წევრები ჯიმის განზე განუდგნენ.

დამფრთხალ მაფიოზებს კოლოსიმო უხსნიდა, რომ პოლიტიკურ ძალას ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძენდნენ, თუ ის, დიდი ჯიმი, თავმჯდომარე გახდებოდა. ასეთ პირობებში ჯიმმა თავისუფლად შეძლო ქალაქის მმართველობაში შეღწევა, სადაც მუნიციპალიტეტის წევრებმა მას დიდი პატივისცემის ნიშნად გადასცეს საროსკიპოების გასაღებები, რომელთა აქციონერებადაც ისინი რჩებოდნენ. ამით თავმდაბალი ჯიმი კოლოსიმოს შემოსავალი ბუნებრივია შემცირდა და წევრები იძულებულნი გახდნენ გასაღებებისათვის დაემატებინათ კანდიდატობის ტიტული ლივის კვარტალიდან.

ამით ბატონ დიდ ჯიმს ხელ-ფეხი გაეხსნა და მის ბრიგადებს დაუსჯელად შეეძლოთ ეთარეშათ. მათი მოღვაწეობის შედეგად სწრაფად იზრდებოდა მეძავთა რიცხვი. გამომძიებლებმა პირველად სცადეს დიდი ჯიმის ციხეში მოთავსება. მთელი წლის დაუღალავი ძიების შედეგად მათ შტატ კონექტიკუტში მიაკვლიეს მეძავს, რომელიც დათანხმდა მიეცა ჩვენება დიდი ჯიმის წინააღმდეგ. პოლიციელებმა მეძავი ქალი ივონ პალისი უსაფრთხოების თვალსაზრისით შორეული ბრიჯპორტიდან გადმოიყვანეს ჩიკაგოს გარეუბნის ერთ-ერთ სასტუმროში, ხოლო შენობას დაცვა დაუყენეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მეორე ღღეს მეძავი ქალი მკვდარი იპოვეს.

ქალაქის მერმა ჰარისონმა ამის გამო დაკეტა რამოდენიმე ცნობილი საროსკიპო, ხოლო პროკურორმა ჯონ ვეიმანმა დაიწყო გამოძიება. დამნაშავეობის სამყაროს შეფებმა, ქალაქის მმართველობაში მათდამი კეთილგანწყობილ წარმომადგენლებთან შეთანხმებით, ელვისებური აქციით უპასუხეს.

საროსკიპო სახლებმა თავიანთი ნახევრადშიშველი ქალბა-

ტონები დაგზავნეს, ხანდახან შიშელები ქუჩაშიც კი გამოდიოდნენ, რათა საპატიო მოქალაქეებისათვის საჭმელი და თავშესაფარი ეთხოვათ. როგორც ვარაუდობდნენ, ის მოქალაქეებიც კი, რომლებიც ამ საროსკიპოების სტუმართა რიცხვს ეკუთვნოდნენ ქალებს უარს ეუბნებოდნენ. აღარ იცოდნენ რა მოეხერხებინათ უსახლკაროდ დარჩენილ ასობით მეძავისათვის. მაგისტრატმა გადაწყვიტა ეს გადაუჭრელი პრობლემა — ქალაქის მმართველობის წევრები სამი დღის განმავლობაში არწმუნებდნენ ქალაქის პოლიციის შეფს, რომ ყველაზე კარგი გამოსავალი იყო, ნება მიეცათ ისევ გაეხსნათ საროსკიპოები. მართლაც, პოლიცია ეხტუმრა საროსკიპოების პატრონებს და ნება დართო მათ ისევ აენთოთ „წითელი ფარნები“.

მმართველობის წევრები ჯონი და კენი, ჰპირდებოდნენ „ნათლია“ კოლოსიმოს, რომ უახლოეს არჩევნებზე მისი კანდიდატურა საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე იქნებოდა წარმოდგენილი. მაგრამ საჭირო იყო ცოლის შერთვა, რათა კოლოსიმოს პიროვნებისათვის უფრო სოლიდური იერი მიეცათ. ჩიკაგოს კანონების მცოდნე დიდებას იხვეჭდა, მისი რჩეული კი გახდა მდიდარი ქალი, შემოსავლიანი საროსკიპოს მფლობელი ვიქტორია მორესკო. „მაგრამ არც მე ვარ ღატაკი“, ამბობდა კოლოსიმო. მან მოდერნიზაცია გაუკეთა შეძენილი „სიყვარულის სახლს“, გახსნა რამოდენიმე ფილიალი მდიდარი კლიენტურისათვის და აგრეთვე ვაბაშ ავენიუზე მდებარე რესტორანი კაფედ გადააკეთა.

„საუკეთესო კაფეს“ მფლობელმა ცოლქმრულ ცხოვრებაში თანდათან მიიღო მსუქანი და მხიარული კაცის სახე. იგი იცვამდა ყველაზე ძვირადღირებულ კოსტიუმებს და თითოეულ ხელზე ეკეთა სამ-სამი ძვირფასთვლიანი ბეჭედი, ეკუთვნოდა ქალაქის მცხოვრებთა წარჩინებულ წარმომადგენელთა რიცხვს და თვით ქალაქის მმართველობის წარმომადგენლებიც კი უდიდესი პატივით ეპყრობოდნენ. ახალი მერი ტომპსონი კოლოსიმომ ისე მოხიბლა, რომ მერმა მისი დაჯილდოებაც კი გადაწყვიტა. „ნათლიას“ თვალს ეკლად მხოლოდ დები ლესტერების „ევერლეი ქლაბი“ ხვდებოდა. ეს არალეგალური საროსკიპო განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. ამიტომ კოლოსიმომ პოლიციას უბრძანა, რომ მოქალაქეთა მორალურა სიწმინდის დაცვის თვალსაზრისით „ევერლეი ქლაბი“ დეხურათ.

კოლოსიმო დიდების მწვერვალზე იმყოფებოდა, იგი ყოველწლიურად მილიონ დოლარს ინახავდა ბანკში. განსაკუთრებულ ანგარიშზე კი ფულს ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე ფეშენებელური და მდიდრული საროსკიპოს მშენებლობისათვის აბანდებდა, სადაც „ევროპიდანაც კი ჩამოვიდოდნენ სტუმრები“.

დამპროექტებლებთან საუბრის დროს მას არაფერი ადარდებდა, რადგან მისი და ხელისუფლების წარმომადგენლების ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა, მაგრამ მხიარულ დღეებს უეცრად ჩრდილი მოადგა. კოლოსიმოს ბანკის ანგარიში ნახა ადამიანმა, რომელმაც იგი დაასმინა მის კონკურენტ ბანდასთან.

გაღარიბებულმა მაფიოზებმა ჯიმ კოსმენის მეთაურობით მდიდარსა და ძლევამოსილ კოლოსიმოს „საჩუქარი“ მოსთხოვეს.

წვრილფეხა „ნათლია“ კოსმენმა გაამართლა თავისი ზედმეტი სახელი „ბრძენი ჯიმი“ და შეთხზა შემპარავი, მაგრამ მაინც გაბედული წერილი. აღშფოთებული ადრესატი მიუხედავად თავისი ამპარტავნობისა ხუთი ათასზე დათანხმდა, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისგან სახიფათო სიახლოვეს გაისმა რამდენიმე გასროლის ხმა.

კარგი ცხოვრებით გაზარმაცებულმა კოლოსიმომ გადაიხადა ეს თანხა, მაგრამ ბანდა, მიუხედავად იმისა, რომ სულს ღაფავდა ყურადღებიდან არ უშვებდა მის კაპიტალს. შემდეგ წერილში უკვე ოცდახუთ ათასს ითხოვდნენ და აფრთხილებდნენ, რომ, თუ ამ თანხას სამ დღეში არ გადაიხდიდა, ბოლოს მოუღებდნენ. დიდ ჯიმს, უდიდესი თანხის პატრონსა და ყველას მეგობარს, ღამე ცუდად ეძინა. მან საკუთარი გამოცდილებით იცოდა, თუ რას ნიშნავდა ეს და არ უნდოდა მუდმივად ეხადა მსხვილ-მსხვილი თანხები. დეკემბრის შუა რიცხვებში განსაკუთრებულმა წარგზავნილმა მას საშობაო მილოცვა მიართვა შენიშვნით, რომ ბატონ ჯიმს საშობაოდ უნდა გადაეხადა ორმოცდაათი ათასი. კოლოსიმომ ვადის ერთი კვირით გადაწევა ითხოვა, ხოლო თავად თავზარდაცემული ნიუ-იორკისაკენ გაეშურა დახმარების საძებნელად, მან მოძებნა თავისი სიძე ჯონ ტორიო, რომელსაც წინასწარ შეპირდა მილიონ დოლარსა და „ლეიტენანტის“ ჩინს. ტორიო არ იყო სიცილიელი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არავის უცდია გაეკიცხა იგი ამ ნაკლისათვის, რად-

გან მას ცოლად ჰყავდა „ნათლია“ კოლოსიმოს შვილიშვილი, წმინდა სისხლის სიცილიელი ანა კოლოსიმო.

ჯონ ტორიო იარაღით სავსე ჩემოდნით გაჰყვა კოლოსიმოს ჩიკაგოში. ის არც ერთ საქმეს არ დებდა ხელისათვის, მეორე დღესვე წავიდა კოსმენის ხალხის სანახავად, მიუხედავად იმისა, რომ იმ დღეს ტორიოს თავისი დაბადების ოცდამეშვიდე წელი უნდა აღენიშნა. დათქმულ ადგილზე ტორიო მივიდა დიდი ჩანთით, თითქოსდა მზად იყო თავისი წილი შეეტანა საშობაო ტკბილეულის შესაძენად. მარჯვენა ხელში მას ეჭირა პალტოში დამალული თანამედროვე სამხედრო ტექნიკის საოცრება, ავტომატური თოფი. ტორიომ სახლში დაბრუნებისთანავე დაურეკა ჯიმ კოსმენს, რათა დაწვრილებით აეწერა მისი „ბიჭების“ განადგურების ამბავი, თან დაემუქრა: „ხოლო თუ შენ, ძვირფასო მეგობარო, ოცდაოთხი საათის განმავლობაში არ გაქრები ჩვენი ქალაქიდან, შეგიძლია დღესვე შეუკვეთო მეოთხე კუბო“ — გამომძალველმა გაქრობა არჩია.

ნიჭიერმა მაფიოზიმ ტორიომ ჩიკაგოს სცენაზე თავისი „დებიუტის“ მერე პირველი ადგილი დაიკავა „ნათლია“ კოლოსიმოს ახლობელთა შორის. 1910 წლიდან მისი შემოსავალი სწრაფად იზრდებოდა. იგი აკმაყოფილებდა მომთხოვნი საზოგადოების ყველა სურვილს, თუმცა კოლოსიმო დაარწმუნა, რომ საჭირო არ იყო ამერიკაში ყველაზე ფეშენებელური საროსკიპო სასლის აშენება. ტორიოს ეს ჩარევა დაფუძნებული იყო რეალობაზე. ვაშინგტონმა უბრძანა ჩიკაგოს ქალაქის მმართველობას, შეექმნათ ყოველგვარ მანკიერებასთან მებრძოლი კომისია, ხოლო მისი წევრების დასახმარებლად გამოგზავნეს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლები. კომისიის წევრებს გაუმართლდათ: „მათ ქალაქში ათას ორასზე მეტ საროსკიპოს მიაგნეს. კოლოსიმოს გული თითქოს მარწუხებში მოექცა. ისევე ტორიომ გამოიჩინა ორგანიზატორული ნიჭი. თითქმის ხუთი ათასი მეძავი ქალი გადაიყვანეს ნაჩქარევად აშენებულ ხის სახლებში, რომლებიც ამ დროისათვის ჩიკაგოს გარეუბან ციცეროში ააგეს. თან გოგონებს ამშვიდებდნენ: ორი თვის შემდეგ ისევ სახლში იქნებითო!

ზუსტად ამღენივე დრო დასჭირდა ტორიოს იმასათვის, რომ დაეშალათ კომისია და შეცვლილიყო საზოგადოებრივი აზრი. მისი „ლეიტენანტები“ ადვოკატები და მოანგარიშეები

ერთ ღამეში გახდნენ საშაგალითო მოქალაქეები და დაიწყეს იმ თანამოქალაქეებზე ზრუნვა, რომლებიც საროსკიპოებისა და კაზინოების გვერდით ცხოვრობდნენ. მათ, ვისაც ოჯახური უსიამოვნება ჰქონდა ფინანსური პრობლემების გამო, ან უთანხმოებანი სახელმწიფო დაწესებულებებთან, უცბად აღმოაჩინეს, რომ ვიღაცა მათ ვალებს იხდიდა და მათ სახელზე შეჰქონდა ფული ბანკში. მამაკაცები, რომლებიც ციხეში უნდა წასულიყვნენ, გაოცებულები შეჰყურებდნენ, თუ როგორ უღიმოდნენ პოლიციელები, ხოლო პროკურორები საქმეებს ხურავდნენ. კოლოსიმოსა და ტორიოს მეზობლების თვალში ანგელოზის ფრთები ეზრდებოდათ.

განგსტერებმა მიაღწიეს თავიანთ მიზანს — ხუთი ათასი ლამაზმანი ციცეროდან ისევ ცენტრში გადმობარგდა.

მაგრამ საქმე მაინც არ მიდიოდა კარგად. ერთ-ერთი გაუთვალისწინებელი შეტაკების დროს კოლოსიმომ რევოლვერით მოკლა სპეცფორმიანი დარაჯი და სამი სხვა დაჭრა. მთელი ჩიკაგოს გასაკვირად, ჯიმი კოლოსიმომ რამოდენიმე დღე სატუსაღოში გაატარა. თუმცა სასამართლომდე საქმე არ მისულა არასაკმარისი დამამტკიცებელი საბუთების გამო. მდგომარეობა იცვლებოდა, პოლიციელთა გამბედაობა იზრდებოდა. მათ დააკავეს „ნათლიის“ საუკეთესო „მსროლელი“ ჯეიმს დაფი. დაფიმ მოკლა პოლიციის დამსმენი ისააკ ჰენგოუ, რომელმაც კოლოსიმოში შეიცნო კაცი, ვინც სამი კვირის წინ მოკლა სპეცფორმიანი დარაჯი.

სასამართლომ მისი მოქმედება მძიმე ბოროტმოქმედებად მიიჩნია: რამოდენიმე მოწმემაც დაადასტურა, რომ, როდესაც ჰენეოუ დღისით სამხრეთ ვაბაშის ავენიუზე მიდიოდა, 2128 სახლიდან გამოვიდა დაფი და წარბშეუხრელად უკნიდან ესროლა თავში. კოლოსიმო იძულებული გახდა ორი ათასი დოლარი გადაეხადა, რათა მოწმეებს საქმის ხელახალი გარჩევის დროს ეთქვათ, რომ „ბატონი ჯეიმს დაფი მოქმედებდა თავდაცვის მიზნით და მისი სიცოცხლე მხოლოდ მისმა მოხერხებულობამ იხსნა...“

„მადა ჭამაში მოდისო“ — ეს ანდაზა ჩიკაგოს პოლიციასაც ეხებოდა. დიდმა ჯიმმა შეიტყო, რომ კანონის დამცველებისათვის უნდა გადაეხადა გაზრდილი გადასახადი, თუ სურდა, რომ მასთან ეთანამშრომლათ. ხოლო, როდესაც ამ

„იდიოტებმა“, რომელთაც იარაღის სახალხოდ ტარება შეეძლოთ და თან ხალხი ჯამაგირს უხდიდა, თავის მოთხოვნებს მუქარაც მოაყოლეს, ტორიომ, დიდი ჯიმის თანაშემწემ, იმით უპასუხა, რომ ძველი სამოქმედო ადგილიდან გამოიძახა „მსროლელები“ როკსი ვანილი და მაიკ ფიცპატრიკი.

ვანილიმ პირველივე შეტაკებაში დაკარგა მარცხენა ხელი, მაგრამ ორი პოლიციელის სიკვდილი აშკარა გაფრთხილება იყო მექრთამეებისათვის. ტორიომ თავისას მაინც მიაღწია, ადმინისტრაციისაგან მიიღო მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან კონტრაქტის დადების ნებართვა, როგორც ამას კანონი მოითხოვდა. შემდეგ ისევ სიმშვიდემ დაისადგურა. კოლოსიმოსა და ტორიოს თითქმის 20-იანი წლების დასაწყისამდე უმართლებდათ.

5. ამერიკამ ლუდი დაასამარა, სმის სალერწელი კი ყველას აეშალა

შეერთებულ შტატებში ომისშემდგომი პირველი თვეების ლოზუნგი გახდა ემანსიპაცია. ყველანი სექსზე, ქალთა საარჩევნო უფლებასა თუ ალკოჰოლიან სასმელებზე ლაპარაკობდნენ. ეს იყო ბუნებრივი რეაქცია ომამდელ ფერისცვლილ ადეალიზმსა და ზნეობაზე. სულ უფრო ხშირად გაისმოდა ხმები, რომ საზოგადოების ჭირი — ალკოჰოლი, რომელიც ამერიკასთან ერთად დაიბადა, უნდა გამქრალიყო. ოდესღაც ახალ სამყაროში ალკოჰოლი ყოველდღიური მოთხოვნილება იყო და დიდი მყიდველობითი უნარიც ჰქონდა. ოც გალონ ვისკად ახალგაზრდა, ჯანიანი ზანგის ყიდვა შეეძლებოდა ბაზარზე. მაგრამ უკვე სამოქალაქო ომის დროს ამერიკაში ალკოჰოლს გამოუჩნდა საკმაოდ ბევრი ფანატიკური მტერიც, რომლებიც 1826 წელს ბაპტისტური სექტის პასტორის უილიამ კასლორის მიერ ჩამოყალიბებულ აბსტინენტთა კავშირში გაერთიანდნენ. პასტორის საზოგადოებამ გახსნა რამდენიმე ფილიალი, და მათგან ყველაზე გავლენიანმა, ბალტიმორის მერილენდის ნავსადგურის ფილიალმა რამდენიმე წლის ბრძოლის შემდეგ რვა შტატს მიაღებინა

„ცეცხლოვანი წყლის“ წარმოების აკრძალვის კანონი.

ამერიკაში ლუდის ყველაზე თავგამოდებულ მოწინააღმდეგედ ითვლებოდა კერი ნეიშენი. კანზასში მან ჩამოაყალიბა ქალთა განყოფილება, რომელშიც ძირითადად ლოთების ცოლები შედიოდნენ. ეს ქალები დადიოდნენ რესტორანებსა და ბარებში, როგორც ხსნის არმიის ბანოვანნი, ხოლო გადამწყვეტ მომენტში მოულოდნელად იშიშვლებდნენ ხოლმე კაბის ნაკეცებში დამალულ ცულებს. ბოთლებს რომ დაამსხვრევდნენ, შემდეგ კასრებს მიადგებოდნენ. მათი შემოსევების შემდეგ მთელ მხარეში ერთი ბარი არ რჩებოდა.

ვაიომინგში, რომელიც იმხანად ჯერ კიდევ არ იყო შტატი, ქალებმა ესთერ მორისის მეთაურობით მოიპოვეს უფლება მონაწილეობა მიეღოთ სამსჯავრო ტრიბუნალებში. ლოთებს ისე უმოწყალოდ სჯიდნენ, რომ ნაფიცი მანდილოსნების წინაშე მრავლისმნახველი მამაკაცებიც კი თრთოდნენ.

აბსტინენტთა კავშირის საქმეში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ლუდის წინააღმდეგ მებრძოლი ლიგის წევრი ქალებიც. ისინი დიდ მუშაობას ეწეოდნენ კონგრესის წევრთა შორის და ქალური გულმოდგინებით დაჰქონდათ მათთან პეტიციები, რომელშიც მოითხოვდნენ „მშრალი კანონის“ შემოღებას.

სენატში კონსტიტუციის შეცვლის საკითხი პირველად მაშინ დაისვა, როდესაც ევროპის ცაზე პირველი მსოფლიო ომის ღრუბლებმა მოიყარა თავი. „მშრალი კანონის“ მომხრენი ამჯერად დამარცხდნენ.

1920 წლის არჩევნებში გაიმარჯვეს რესპუბლიკელებმა, რომელთა ლოზუნგი იყო „დავუბრუნდეთ ნორმალურ ცხოვრებას“. მათ მიიმხრეს კონსერვატორები, ტრადიციონალისტები და, რა თქმა უნდა, ამომრჩეველთა ახალი, ძლიერი ჯგუფი — ქალები, რომლებმაც სწორედ მაშინ მიიღეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

კონსტიტუციის შეცვლა კვლავ დადგა დღის წესრიგში. ამჯერად აბსტინენტებმა იმარჯვეს, 1920 წლის 17 იანვარს მთავრობამ დაამტკიცა „მშრალი კანონი“, რომელიც კრძალავდა შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ეწარმოებინათ, შემოეტანათ და გაეყიდათ ყოველგვარი ალკოჰოლიანი

სასმელი ნაკლებად ალკოჰოლიანი ლუდის გარდა. პირველ თვეებში ალკოჰოლის მიღება მხოლოდ ექიმის დანიშნულებით შეიძლებოდა. მოგვიანებით კანონმდებლებმა სამედიცინო ნებართვაც გააუქმეს და ყოველგვარი სასმელი, რომელიც ერთ პროცენტზე მეტ ალკოჰოლს შეიცავდა, ეშმაკეულ სითხედ გამოაცხადეს.

ცოტა ხნის შემდეგ ლუდისა და იმ სასმელების აკრძალვას, რომლებსაც ყოველდღიურად ეტანებოდა უწინარეს ყოვლისა მილიონობით ემიგრანტი, დაემატა ჯონსის კანონიც, რომელიც მკაცრ სასჯელს უქადდა იმათ, ვინც „მშრალი კანონის" დარღვევას მოიწადინებდა.

კანონის გამოქვეყნების წინ აბსტინენტთა კავშირები კმაყოფილებით წერდნენ: „ბოლოს და ბოლოს, ამერიკელ მოქალაქეებს ნათელი მზერა და ჯანსაღი ორგანიზმი ექნებათ".

ქალთა კავშირები საზოგადოებრიობის კრებებზე გამოსვლისას წვავდნენ სიმბოლურ არაყის ბოთლს. ამ სცენას აკვირგვინებდა ბოთლის „დამარხვის" ცერემონიალი.

„მშრალმა კანონმა" ამერიკა ორ ბანაკად გაყო, რადგანაც მოქალაქეთა ნაწილი ალკოჰოლს ამერიკის უბედურებად არ თელიდა.

ახალი კანონის მოწინააღმდეგეებს შეგნებული ჰქონდათ, თუ რა პრობლემებს წააწყდებოდნენ. მართლაც, „მშრალი კანონის" შემოღების პირველი დღეებიდანვე სპეკულანტებმა შექმნეს სპირტიანი სასმელებით ვაჭრობისა და შემოტანის არალეგალური ქსელი. შემდეგ ისინი მაფიამ გააერთიანა და თავის კონტროლს დაუქვემდებარა. შაკი ბაზრის შემოსავალი მათ შესაძლებლობას აძლევდა ფული დაებანდებინათ უკანონო მეწარმეობაში.

ასეთ შედეგებს, რა თქმა უნდა, „კაფე-ბარების წინააღმდეგ მებრძოლ ლიგაში" გაერთიანებული მანდილოსნები არ ელოდნენ.

„მშრალი კანონის" წინააღმდეგ (რომელსაც, სხვათა შორის, არავინ არ იცავდა) მიმართული პროტესტის სიმბოლო გახდა არალეგალური რესტორანები და ჯიბის ბრტყელი ბოთლები. ქალაქად უფრო სვამდნენ, ვიდრე სოფლად, აღმოსავლეთში — უფრო მეტს, ვიდრე შუა დასავლეთში, და გაცილებით უფრო ბარაქიანად, ვიდრე აკრძალვამდე. რამდენიმე

თვის შემდეგ კანონმდებლებმა ალარ იცოდნენ რა ელონათ, ვისაიდან სასმელს მიეტანნენ ისინიც, ვინც აქამდე არც კი იცოდა, რა ღირდა ბოთლი ლუდი. ერა, რომელიც აბსტინენტთა ლიგამ ნათელი და დაუბინდავი გონების ერად გამოაცხადა, ლოთების ოქროს ხანად გადაიქცა.

აკრძალვის პირველ წელს ამერიკელებმა გამოსცალეს მილიარდი გალონი მაგარი ალკოჰოლიანი სასმელები (1 გალონი შეერთებულ შტატებში უდრის 3,785 ლიტრს) და ხუთი მილიარდი ლიტრი ღვინო.

უსაფუძვლო გამოდგა კონგრესმენთა ვარაუდიც, რომ აკრძალვა შეაჩერებდა დამნაშავეობის სწრაფ ზრდას. პირიქით, დანაშაულობათა ტალღამ იმძლავრა. ცალკეული შტატებისა და დიდი ქალაქების პოლიცია მოზღვავებულ საქმეებს ველარ აუდიოდა. თანაც, კანონის დამცველებს სულაც არ ეპიტნავებოდათ სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება კონტრაბანდისტთა დაპატიმრებისათვის, რადგანაც პოლიტიკური მაქინაციებისა და მოხელეთა მოქრთამვის წყალობით ისინი მაინც თავიდან იცილებდნენ სასჯელს.

„მშრალმა კანონმა“ განსაკუთრებით დააზარალა წვრილი მეწარმეები. თუ რესტორანში მომსვლელ კაცს ვისკი, ღვინო ან თუნდაც ხეირიანი ლუდი არ დაალევინე, მაშ სხვა რით გინდა შემოიტყუო? ამიტომ, რაკი სასმელის ლეგალურად ყიდვა არ შეიძლებოდა, მას უკანონოდ შოულობდნენ. ალკოჰოლის წარმოება და გავრცელება კვალიფიციურ სპეციალისტთა ხელიდან გადავიდა მაფიოზთა „ოჯახების“ გამგებლობაში, რომლებმაც ყველა შესთავაზეს მწყურვალ ამერიკას თავიანთი საბსახური.

სასელმწიფოს მოესპო შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო — გადასახადი, მაშინ, როდესაც აკრძალული და გაძვირებული სასმელის გაყიდვით „ნათლიები“ მდიდრდებოდნენ და კორუფციის მეოსებით შეძლეს მთელ რიგ ქალაქებში პოლიტიკური და საზოგადოებრივი სფეროს ყველაზე საპატიო სავარძლებში მოკალათება.

მათ თანდათან შეისყიდეს სამორინეები და საროსკიპოები, გახდნენ საცეკვაო დარბაზების, სასტუმროებისა და სამრეცხაოების, გარაჟებისა და რძის მაღაზიების თანამფლობელები. პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი, რომელიც სწორედ

იმ დროს ტოვებდა თავის პოსტს, არ ეთანხმებოდა ახალ კანონს და გამუდმებით იმეორებდა: „...სულ მალე უბედურება დაგვატყდება თავს!“. მისი სიტყვები მალევე ახდა, როგორც პრეზიდენტის სავარძელი დაიკავა რესპუბლიკელმა უორენ ჰარდინგმა. სწორედ ჰარდინგის, „წესიერი ცხოვრების“ დამცველისა და მოყვარულის გამგებლობის დროს იმატა ამორალურმა და კორუფციულმა აფერებმა.

მწერალი ანდრე მორუა აღნიშნავს: „ჰარდინგი, უწინარეს ყოვლისა, ზედმეტად მიმნდობი პრეზიდენტი იყო“.

ამიტომ იყო, რომ მაფიოზი ჯონ ტორიო „ნათლია“ კოლოსიმოს არწმუნებდა, სენატორ ვოლსტედის მოთხოვნა ალკოჰოლის აკრძალვის შესახებ გამდიდრების საუკეთესო შესაძლებლობააო. ტორიომ ჯერ კიდევ მაშინ შეიმუშავა ალკოჰოლის არალეგალური წარმოებისა და გაყიდვის გეგმა, როდესაც კონგრესი პირველად განიხილავდა კანონის პროექტს. მაგრამ კოლოსიმო ცერად უყურებდა ასეთი ფარული პროგრამის დაფინანსების იდეას. მას მოგების წყაროდ მხოლოდ მეძაველი და რევოლვერი მიაჩნდა. ალკოჰოლის კონტრაბანდისტული შემოტანა მას ძალზე რთული ეჩვენებოდა. სამაგიეროდ, კაპონეს სახით, რომელიც სცენაზე სწორედ ამ დროს გამოჩნდა, ტორიომ ერთგული თანამოსაქმე პოვა. „ჯონი, — ეუბნებოდა ტორიოს კაპონე, — შენი იდეები წმინდანისა და ბედნიერი მერმისის მოღვაწის შესაფერისია“.

შეფის მიუხვედრელობამ როდი შეუბორკა ხელ-ფეხი ტორიოსა და კაპონეს. მათ, ისარგებლეს რა საწარმოთა მფლობელების პანიკით, სულ იაფად შეისყიდეს მიტოვებული არაყისსახდელი საწარმოები და განაახლეს ძველი ლუდის ქარხნები. მაგრამ როგორ იფიქრებდნენ, რომ ბოსი კოლოსიმო ჯიუტად გააგრძელებდა ტრადიციულ მეწარმოებას, მაშინ როდესაც „მშრალმა კანონმა“ ასე გამოაცოცხლა კონკურენტი ბანდები, აქამდე რომ სულს ღაფავდნენ.

ბარში მისული თვალ-მარგალიტში ჩამჯდარი კოლოსიმო ცდილობდა საყოველთაო ყურადღება მიეპყრო და გულუხვად უმასპინძლდებოდა მეგობრებს. ასეთი საქციელი ტორიოს საძრახისად მიაჩნდა და ცერად უყურებდა, თავმოყვარეობა აკლიაო.

მაფიოზების ურთიერთობა კიდევ უფრო მეტად გაართუ-

ლა კოლოსიმოს პირადმა ცხოვრებამ. საქმე ის იყო, რომ გადამწყვეტ მომენტში დიდი ჯიმი უეცრად გაუმიჯნურდა მომღერალ დეილი ვინტერს. როდესაც ეს თავზეხელაღებული კაცისმკვლელი მეთოდისტურ ეკლესიაში „ღვთაებრივი“ დეილის გალობას ისმენდა, ჭკუას კარგავდა. რას იფიქრებდა, რომ გუნდის მომღერალ გოგონას, ასე მორცხვად რომ ხრიდა თავს და თვალს ვერ უსწორებდა, ერთი სული ჰქონდა, როდის წარდგებოდა საზოგადოების წინაშე კოლოსიმოს ყველაზე ფეშენებელურ რესტორანში.

დიდი ჯიმის კანონიერი მეუღლე, ქალბატონი ვიქტორია, რომელმაც საუცხოო საროსკიპოს წყალობით განამტკიცა ქმრის წარმატება და ოჯახური ბედნიერება, ამ გატაცებას ზიზღით უყურებდა. იგი იოლად მიხვდა იმას, რასაც სიყვარულით დაბრმავებული მისი ქმარი ვერ ამჩნევდა, — დიდი ჯიმის ძალაუფლებას ყავლი გასდიოდა. პირველი, რითაც ქურდების საუფლოს გამგებელი საკმაოდ უხეშად დაამცირეს, იყო ვიღაც ბრიყვი გამომძალველის ბარათი: „მთავარი ვაგზლის წინ, თამბაქოს ფარდულის ქვეშ დადეთ ხუთი ათასი, სანამ თქვენი გოგო შარში არ გახვეულა!“ კოლოსიმომ დაუყოვნებლივ გადაიხადა, თუმცა იცოდა, რომ ეს გამომძალველი არ იყო რომელიმე ძლიერი კონკურენტი „ოჯახის“ წარმომადგენელი.

ვინტერს არაფერი შემთხვევია, სამაგიეროდ გამოჩნდნენ სხვა გამომძალველები. კაცისკვლაში ჭიპმოჭრილი ჯიმი უსიტყვოდ იხდიდა ფულს 1920 წლის 20 მარტის შემდეგაც, როდესაც იგი გაცილდა ვიქტორია მორისს. კოლოსიმოსა და „ღვთაებრივი“ მომღერლის ქორწილზე ზღვა ხალხი მოისწრაფოდა. მაგრამ ტორიოსა და ქურდულ სამყაროში სახეგაიარეკვად წოდებულ ალ კაპონეს ახალდაქორწინებულებისათვის ბედნიერება არ სურდათ. მოუთმენლად ელოდნენ, როდის გაემგზავრებოდა ბოსი ინდიანის შტატის პროვინციულ კურორტზე თაფლობის თვის გასატარებლად. განქორწინება მათ ისეთივე საძრახის საქციელად მიაჩნდათ, როგორც ალკოჰოლის არალეგალური ვაჭრობის დაფინანსებაზე უარის თქმა. სანამ შეფი კურორტზე დასეირნობდა, ორივენი ამერიკის მაფიის ფაქტობრივ ბოსს ფრენკ იალას ესტუმრნენ. ნიუ-იორკელი „ნათლია“ დაეთანხმა ყმაწვილებს, რომ კო-

ლოსიმომ დროის მოთხოვნებს ალღო ვერ აუღო და ამიტომ ესოდენ ფართო ორგანიზაციის მართვის ღირსი არ იყო. დასასრულ, ფრენკმა ამ თამამი გეგმის განხილვა ასეთი მგრძნობიარე შენიშვნით დაამთავრა: „ნათლიას“ აქვს უფლება კომფორტით მოკვდესო.

ახალდაქორწინებულ კოლოსიმოს 1920 წლის 11 მაისს მართლაც რომ სამღერლად ჰქონდა საქმე. იგი თავის საუკეთესო რესტორანში ერთობოდა და თან კანადიდან მოელოდა ვისკის პარტიას, რომლის გახსენებაზეც ნერწყვი ადგებოდა. მაგრამ ამ უაღრესად ძუნწსა და ფრთხილ კაცს მაინც არ უნდოდა ფული ამ საეჭვო საქმეში დაებანდებინა. ამიტომ ამ საქმის ორგანიზატორი იყო მისი საყვარელი სიძე ჯონ ტორიო. კოლოსიმო ვერ ხვდებოდა, რომ ჯონს ალკოჰოლი მხოლოდ და მხოლოდ შეთქმულების სცენარისათვის სჭირდებოდა. რესტორანში ფრენკ იალაც იყო მიპატიჟებული. ტორიო იძულებული იყო მოეწვია იალა, რადგან მხოლოდ „ნათლიას“ შეეძლო ტყვია ესროლა მეორე „ნათლიისათვის“.

მკვლელობის ადგილზე მოსულ პოლიციას სათაევში ედგა ჩიკაგოს პოლიციის უფროსი გარიტი. ბატონ მერის მეგობრის გვამი უდავოდ იყო ასეთი ყურადღების ღირსი. გამომძიებლებმა მხოლოდ ერთადერთ კვალს მიაგნეს. ვიღაც შემთხვევითმა გამვლელმა თვალი მოჰკრა მამაკაცს, რომელმაც პალტოს ქვეშ ლუპარა დამალა და შემდეგ კოლოსიმოს ცნობილ რესტორანში შევიდა. პროვინციელმა ყმაწვილმა ისე დაწვრილებით აღწერა შაშხანიანი უცნობი, რომ პოლიციელებს მყისვე დაუდგათ თვალწინ სიგარებზე მოოქროვილი ბაფთით გამოსახული პორტრეტი.

მოულოდნელმა ჩვენებამ ეჭვები გამოიწვია, ვინაიდან ყველამ იცოდა, რომ „ნათლია“ იალა ამერიკის დედაქალაქში მუშაობდა. თუმცა სხვა ვინ გაკადნიერდებოდა, რომ ტყვია დაეხალა მაფიის სუპერვარსკვლავისათვის? ამ არგუმენტმა დაარწმუნა ისინი, რომ თამბაქოს მაგნატი ჩიკაგოში ბატონ ტორიოსთან იქნებოდა სტუმრად.

პოლიციის ორმა ოფიცერმა იალა მაშინ დააპატიმრა, როდესაც იგი ჩიკაგო — ნიუ-იორკის ექსპრესში აპირებდა ჩაჯდომას. ამასობაში კი გვარიანად ნაცემმა მოწმემ თავის საბედნიეროდ „მეხსიერება დაკარგა“. დაპირისპირებისას

მან ეჭვმიტანილი ვერ იცნო და მკვლელის გარეგნობა ისე წარმოსახა, რომ იგი ყველას ჰგავდა იალას გარდა. პოლიციელებმა დიდი სიხარულით მოუბოდიშეს „ნათლიას“ და მკვლელიც არხეინად გაემგზავრა ნიუ-იორკში, თავის იმპერიაში.

ჯონ ტორიო მწარედ დასტიროდა თავის შეფს. ცრემლს ღვრიდა ახალგაზრდა ალ კაპონეც, და, როგორც ღირსეული სიცილიური ადათი მოითხოვდა, შეფის დაკრძალვამდე წევრი არ გაუპარსავს. დიდი ჯიმი კოლოსიმოს სახლში რამდენიმე შტატიდან ჩამოსულიყვნენ დამწუხრებული სტუმრები. განსვენებული ვერცხლის კუბოში ჩაესვენებინათ. მეგობრები, მათ შორის იალაც, თავდახრილნი იდგნენ დიდ დარბაზში და საგალობელს ისმენდნენ. ქუჩაში ტევა არ იყო. პროცესიას, სასაფლაოსაკენ რომ მიემართებოდა წირვის შემდეგ, ათიოდე მეტრით წინ მიუძღოდა ახალგაზრდა ქვრივი, რომელსაც მხარში ამოდგომოდა მერი კენოუ. მათ ეტლით უკან მოჰყვებოდა სამი მოსამართლე, ქალაქის პროკურორი, სამი სენატორი და ჩიკაგოს ოპერის დირექტორი.

პრივილეგიური სიკვდილი ღირსეულ გამოთხოვებას იმსახურებდა. ტორიომ თავი მოიქაჩლა: ხუთი ათას სტუმარს შორის მრავლად იყვნენ დაქირავებული მოტირალები, გულამოსკვნილი რომ ზლუქუნებდნენ. პროცესიას ბოლოს მოუყვებოდა დემოკრატიული პარტიის ათასამდე წევრი. მათ ცილინდრები ეხურათ და მკლავზე შავი ლენტი გაეკეთებინათ. კოლონას გვერდით მოსდევდნენ ღრმად დამწუხრებული კაცისმკვლელები, პარაზიტები და ქურდები, ჩახმახზე შეყენებული რევოლვერები რომ ედოთ ჯიბეებში. მათ თავად იზრუნეს „ნათლიების“ უსაფრთხოებისათვის ამ დაკრძალვაზე, რომლის მსგავსი ჩიკაგოს არ ახსოვდა აბრამ ლინკოლნის დაკრძალვის დროიდან. ცხედარი უკანასკნელი სავანის ადგილზე დაასვენეს, გვერდით ჩაიჩოქა მაგისტრატის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯონ კოფლინმა, ანუ ლაზენსკიმ. ქალაქის მმართველობას აქამდე ესოდენ ცხადად არასდროს გამოუაშკარავებია პოლიტიკისა და დამნაშავეობის სამყაროს კავშირი. მაგრამ წინააღმდეგობას მაინც წააწყდნენ და ეს არქიეპისკოპოსის ბრალი იყო. მისი უწმინდესობა ჯორჯ უილიამ მანდელეინი გაჯიუტდა და არ დართო ნება გადაეხა-

დათ პანაშვიდი კათოლიკურ ეკლესიაში, ვინაიდან ბატონმა კოლოსიმომ თავისი განქორწინებით დიდი ცოდვა ჩაიდინა. კათოლიკე არქიეპისკოპოსი შეცვალა პრესბიტერიანელმა პასტორმა დეკაროლმა, რომელმაც დიდი გზნებით წარმოთქვა შთამბეჭდავი სიტყვა მაფიოზის კუბოსთან.

მდიდრული კუბო მიწაში ჩაასვენეს, ჩიკაგოს საქალაქო ორკესტრი კი სულ უფრო ხმალაბლა უკრავდა „შენთან მოვდივარ, უფალო ჩემო"-ს. ბოლოს, უახლოესი მეგობრების სახელით სიტყვა წარმოთქვა კონკურენტი საროსკიპის მფლობელმა აიკ ბლომმა: „ჩვენს საყვარელ კოლოსიმოს, დიდ ჯიმს, თმა რაა, ისიც კი არ ჰქონია თავზე მრუდე. ამ ალალ კაცს არასოდეს მიუტოვებია მეგობარი გასაჭირში და დაუღალავად იღვწოდა ჩვენი საერთო საქმის საკეთილდღეოდ".

ჯონ ტორიოს, ამ დროს უკვე ჩიკაგოს დამნაშაველობის სამყაროს დიდი ნაწილის თავკაცს, აღმასრულებელი ძალაუფლება კაპონესათვის გადაეცა, თვითონ კი საღამოებს შინ ატარებდა და ვერდის მუსიკით ტკბებოდა. ამ დინჯსა და დარბაისელ კაცს, რომელიც მუდამ ცდილობდა გამართული, ლიტერატურული ენით ელაპარაკა, გადაეწყვიტა ერთხელ და საბოლოოდ გადაექცია ამერიკელები ალკოჰოლიკებად, გაელოთებინა მთელი ერი და ამასთანავე შეენარჩუნებინა „მშრალი კანონი". კოლოსიმოს ალბათ უკვე შეეტყო ჯოჯოხეთში, რომ მის მკვლელებს, რომელთა რიცხვს ტორიოც ეკუთვნოდა, კარგი სვლა გაეკეთებინათ.

ახალ თანამდებობაზე დანიშნულმა 23 წლის კაპონემ ნიუ-იორკში შიკრიკი აფრინა და თავის ძმა რალფს ბარათი გაუგზავნა: „ჩამოდი და ჩამოიყვანე ბიძაშვილები როკო, ჯოზეფ და ჩარლზ ფისჩეტები, მე საიმედო ბიჭები მჭირდება!". მან განაახლა მჭიდრო თანამშრომლობა ქალაქის მმართველობის იმ წარმომადგენლებთან, რომლებისგანაც მოითხოვა — „ხმა ჩაეკმინდათ აბეზარი რეპორტიორებისთვის!". საქმე ის იყო, რომ ყმაწვილი განგსტერი აღაშფოთა ჩიკაგოს „დეილი ნიუსის" სტატიამ, სადაც ეწერა: „ბატონი ტორიო ამ ცოტა ხნის გარდაცვლილი ჯიმ კოლოსიმოს ნამოწაფარია. მის დაუკითხავად ვერავინ ბედავს პოლიტიკაში ჩარევას. წინააღმდეგ შემთხვევაში ტორიო იძულებული იქნება მიმართოს მკვლელობას, რაც ხშირად ჩაუდენია. მას საკმარისი ძალაუფლება აქვს, რომ დაიცვას თავი მიგზავნილი მკვლე-

ლებისაგან. ტორიოს ერთგული კომპანიონი იმდენად თავზეხელაღებული კაცია, რომ ჩვენთვისაც კი ერთობ სახიფათოა გავამხილოთ მისი ვინაობა. ბოლოს და ბოლოს, პოლიცია და სასამართლო შეიტყობენ, ვინ არის იგი!". ვინ იყო ეს კომპანიონი იცოდნენ ჩიკაგოს მოქალაქეებმაც, მაგრამ ვისკის სიყვარულმა თანდათან დააახლოვა ისინი კაპონესთან. მაფიოზებისათვის სმისმოყვარულ შემკვეთებს რომ არ დაეჭირათ მხარი, მათი მაქინაციები სულ მალე ჩაიფუშებოდა.

ალფონს კაპონემ (იტალიაში ალფონსო კაპონიმ) ბინა დაიდო ვაბაშ ავენიუზე № 2220 სახლში, როგორც ნახმარი ავეჯით შოვაჭრემ. საკომისიო მაღაზიაში იდგა მხოლოდ მოსაჯღრეული პიანინო, ორი სკამი, მუხის მაგიდა და სარწეველა სავარძელი, — ეს იყო და ეს. ათასში ერთხელ, თუკი ვინმე შემთხვევით გადააწყდებოდა ამ მაღაზიის ნომერს ტელეფონის წიგნში და დარეკავდა, მას წყნარად უპასუხებდნენ: „დაკეტილია!". კაპონეს მხოლოდ ფირმის საფოსტო ქაღალდი ჭირდებოდა თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობის დამტკიცებელ საბუთად და გულის გამაწყალებელი საგადასახადო კანტორისაგან დასაცავად. პირობითი მისამართიც ისევე ესაჭეისებოდა გეგმას, როგორც მოლური სადარბაზო ბარათი: ალფონს კაპონე, ნახმარი ავეჯით მოვაჭრე 2220, სამხრეთ ვაბაშ ავენიუ.

კაპონე ცდილობდა მაქსიმალურად გამოეყენებინა კონგრესის ნაბოძვარი „მშრალი კანონი". ალკოჰოლის იატაკქვეშა წარმოების ქსელში ჩაბმული ჰყავდა ათასამდე კაცი. ალ კაპონეს ემსახურებოდნენ აგრეთვე სპეციალისტები სხვადასხვა პოლიციელების მოსაქრთამავად. მას გზაზე მხოლოდ მცირერიცხოვანი ბანდები ეღობებოდნენ. კაპონემ, სულ ორიოდ წლის წინ თვით ნაძირალებს შორისაც არარაობამ, ხელში ჩაიგდო ძალაუფლება, ფული და საშუალებანი, რითაც შაშის ზარს სცემდა ყველა, პატიოსან თუ უპატიოსნო, ჩიკაგოელს.

შეფის პირველი დიდი ქება ალმა მაშინ დაიმსახურა, როდესაც გახსნა არაყის სახლელი, სადაც ყოველდღიურად ოთხმოც ათას ლიტრ ალკოჰოლს აწარმოებდა.

არაყის სახლელს ეკავა „დივერსეის ილინოის აირონ კომპანის" ქარხნის ზედა სართულები. ქარხნის თანამშრომ-

ლებს ვერც კი წარმოედგინათ, რომ დასურულ სართულებში „ლაქის საწარმოო საამქრო“-ფირფიტიანი კარის მიღმა კარ-ტოფილის, სიმინდისა და ბადაგის ნაზავი გადაიქცეოდა „საუკეთესო სითხედ“. კაპონე, როცა არ უსდა შემოსულიყო აქ, ყოველთვის მადლობას უთვლიდა და ლოცავდა ქალბატონ უილარდს და მის სმისმოძულეთა კავშირს „ვუმენს ქრისტიან ტემპერანს იუნიონს“ ფანატიზმისათვის.

კაპონეს საამქროებში სითხის ანალიზი წარმოებდა დეგუსტაციის მეშვეობით (საკმაოდ მაგარი იყო თუ არა დისტილატი), ან ნიმუშებისათვის ცეცხლის წაკიდებით (იწყოდა თუ არა). რა თქმა უნდა, მარილმეკავათი „გაკეთილშობილებული“ სითხე დიდად არ უწყობდა ხელს მომხმარებლის „ნათელ მზერას“ და პირიდან ამოფრქვეული სურნელის გაუმჯობესებას. ერთხელ როდესაც, პოლიციის აგენტებმა კონფისკებული არყის ნიმუში ლაბორატორიაში გაგზავნეს, გზაში არაყმა ჭურჭლის მინანქარი ამოჭამა. მაგრამ ასეთ „დეტალებზე“ ზრუნვით ალ კაპონე თავს არ იწუხებდა. მას გუნებას უფუჭებდნენ მხოლოდ ყველაზე ჯიუტი განგსტერები, რომლებიც კოლოსიმოს სიკვდილის შემდეგ კვლავ გაერთიანდნენ და უარს ამბობდნენ ეცნოთ ტორიოსა და კაპონეს პრიორიტეტი. მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ ბანდებს შორის ომი გარდაუვალი იყო.

ომი წამოიწყო ო' ბანიონის ბანდამ, რომელიც ალკოჰოლით ვაჭრობაში ფულის მოსახვეტად ჩვეული თავხედობითა და რევოლვერების ბათქა-ბუთქით შეიჭრა.

დიონ ო' ბანიონმა თავისი კარიერა დაიწყო როგორც ეკლესიის მსახურმა. იგი ჩამოუვლიდა ხოლმე მლოცველებს ფულის შესაგროვებლად, გალობდა გუნდში. როდესაც ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი მეფსალმუნედ დანიშნეს, მას უკვე აშკარად ეტყობოდა, რომ ქრისტეს ათი მცნება გულზე არ ეხატებოდა. თუმცა გალობა არასდროს არ მიუტოვებია, პირიქით — მუშაობა დაიწყო მომღერალ ოფიციანტთა ტრიოში და გამოდიოდა ყველაზე საეჭვო სამიკიტნოებში, სადაც ანგარიშში ატყუებდა შექეიფიანებულ მეინახეებს. ამ პერიოდში გაიცნო ჯონ გლარი, კაცი, რომელსაც თვითონაც არ ახსოვდა, რამდენჯერ იყო ციხეში ნაჯდომი; ისინი ერთად გაეშურნენ მთავარი ფოსტის გასაძარცვავად. მაგრამ... ხელი

მოეცარათ. მწარედ ინანეს, რომ არ დაუჯერეს გამოცდილ ქურდებს. თანაც მათ გამოუცდელობას დაერთო მოუსყიდველი დეტექტივის ჯონ რიანის მეტისმეტი სიფხიზლე და საბოლოო ანგარიშით იძულებული გახდნენ სამიოდე თვით დაესვენათ სახელმწიფოს ხარჯზე. ვერ ვიტყვით, რომ ო' ბანიონი საპატიმროში არაფერს აკეთებდა. იგი დიდის გულმოდგინებით ეწაფებოდა ცოდნას, თუ როგორ აეცილებინა მომავალში თავიდან „ვირის აბანო". მან გამოსვლისთანავე შეკრიბა ბანდა უპირატესად ძველი გვარდიელებისაგან — ირლანდიელთაგან, ებრაელთაგან, სიციილიელთაგან.

ხრიკების ოსტატ და ყვავილების მოტრფიალე ო' ბანიონს პოლიტიკა არ უყვარდა, მაგრამ შეფს ესაჭიროებოდა თავისი კაცი ქალაქის მმართველობაში. თავის მხრივ, კანდიდატებს ჭირდებოდათ ამომრჩეველთა ხმები. ამ ხმების შეგროვებაში მათ ო' ბანიონი ეხმარებოდათ. იგი წლების მანძილზე დემოკრატიული პარტიის ერთგული იყო, თუმცა რესპუბლიკელთაგანაც არაერთხელ იღებდა ერთობ მიმზიდველ წინადადებებს. გავლენიან სმისმოძულე ო' ბანიონთან ფორთობლის წვენის გადასაკრავად დადიოდნენ სენატორობის კანდიდატი რობერტ შვეიცერი და ჩიკაგოს პოლიციის ახალი შეფის მაიკლ ჰიუზის შტაბის ზოგიერთი წარმომადგენელი.

„ნათლია" დიონ ო' ბანიონი სიხარულს არ მალავდა, მან დიდის ამბით მიიღო დემოკრატებისაგან მონოგრამიანი საათი, შემდეგ კი სამუდამოდ გადაბარგდა რესპუბლიკელთა ბანაკში. არჩევნების დროს სულ იმის ცდაში იყო, რომ „მის რაიონებში" ხმების უმრავლესობა მოეპოვებინათ რესპუბლიკელებს, რომლებიც უეჭველად დაუჭერდნენ მხარს სასმელის აკრძალვას და ძველ, ზნეობრივ, ცხოვრების წესს. „მშრალი კანონი" რომ არა, მაშინ არც ალკოჰოლის ფარული წარმოება იქნებოდა და განგსტერები დაჰკარგავდნენ თავიანთი მოგების წყაროსა და ძალაუფლების საფუძველს. ამიტომ ო' ბანიონი, მიუხედავად იმისა, რომ თავის მეტოქე ჯონ ტორიოზე ათი წლით უმცროსი იყო, უფრო დიდ გავლენას ახდენდა არჩევნებზე, არ წყრებოდა კანდიდატებზე, რომლებიც საჯაროდ გამოდიოდნენ, როგორც მაფიის მტრები და ამომრჩევლებს ქმედით ღონისძიებებს ჰპირდებოდნენ.

იმ დროისათვის, როდესაც დემოკრატი ო' ბანიონი რესპუბლიკელად ინათლებოდა, მას უკვე ოცდაექვსი კაცი ჰყავდა მოკლული. სწორედ იმ დროს იყიდა მან ახალი ელეგანტური ყვავილების მაღაზია ნორთ სთეით სტრიტზე, № 738 სახლში.

დამნაშავეობის სამყაროს დაუწერელი კანონი, რომელიც ყოველთვის ზუსტად სრულდებოდა, მოითხოვდა, რომ დამკრძალავ ორგანიზაციებს ყვავილები ეყიდათ მხოლოდ და მხოლოდ ო' ბანიონთან, რომლის მაღაზიაც მოქალაქეობრივი ზნეობრივი სისპეტაკის ნიმუშს წარმოადგენდა. ამ დაუწერელ კანონს განამტკიცებდა ის გარემოებაც, რომ ქრიზანთემების ექსპერტი აუცდენლად ისროდა როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ხელით, და ფეხსაც არ გადგამდა შინიდან, თან რომ არ ჰქონოდა სამი სახეობის იარაღი: ორ პისტოლეტს იღლიაში ატარებდა, ხოლო კოლტს — საგანგებოდ შეკერილი კოსტიუმის უბეში.

სიცოცხლეს გამოსალმებული მეგობრების დაკრძალვის ცერემონიებზე ყვავილების მიმწოდებელი განგსტერი ცნობილი იყო, როგორც დიდი გაიძვერა, თავკერძა და ამასთანავე უდრეკი კაცი. შფოთიანი სიჭაბუკის შემდეგ იგი აღარავის უნახავს სამსჯავროს წინაშე წამდგარი, ვინაიდან გვარიანად ჰყავდა მოქრთამული შესაბამისი დაწესებულებანი. პოლიცია ყვავილების მოტრფიალე „ნათლიას" მაშინაც კი აფარებდა ხელს, როდესაც იგი მოწმეების თანდასწრებით ისროდა. ერთხელ ტორიოს დამხმარე რაზმების წევრმა, ერთგულმა, მაგრამ აშკარად მოყეყეჩო მიულერმა შეურაცხყოფა მიაყენა ბანდაში შემავალ ერთ-ერთ განგსტერს. ბოს ო' ბანიონს ბევრი არ უფიქრია და იმ თეატრისაკენ გაემართა, სადაც უყვარდა სიარული ფრანტ მიულერს. თავაზიანი და ზრდილი მეყვავილე დაელოდა ანტრაქტს, მერე კი დარბაზში ასობით მაყურებლის თვალწინ ტყვია დაახალა მიულერსაც და იმ მანდილოსანსაც, რომელიც მას ახლდა.

„მშრალი კანონის" მოქმედების პერიოდში ო' ბანიონი ვისკის კონტრაბანდაში იყო დასპეციალებული. ეს სასმელი ყველაზე ძვირფას პროდუქციას განეკუთვნებოდა. იგი მხოლოდ ინდივიდუალური შემკვეთებისა და პოლიციის მოხელეების მაგიდებს ამშვენებდა. ასეთ შემთხვევაში ხარისხიც

უმაღლესი იყო, თუმცა, ფასიც ასტრონომიულ სიდიდეს აღწევდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მდიდარი სტუმრებისათვის მას საგანგებოდ ჩამოჰქონდა კონიაკი ევროპიდან, საფრანგეთის მეღვინეობის ოლქებიდან. ო' ბანიონმა ღირსეულად დაიმსახურა საუკეთესო მცოდნის რეპუტაცია. მან კარგად იცოდა, რომ, როგორც კი კონიაკი მინის ჭურჭელში მოხვდება, იგი უკვე აღარ ძველდება, მაგრამ ო' ბანიონი სნობებს დიდის ამბით საიდუმლოდ გაუმხელდა ხოლმე: „რაც უფრო მეტ ხანს არის კონიაკი ბოთლში, მით უფრო კარგია იგი!"

ჯონ ტორიო და მისი მარჯვენა ხელი ალ კაპონე კი იაფი არაყისა და ლუდის დამზადებაზე იყვნენ დასპეციალებულნი. ამიტომ თავდაპირველად არავითარი საფუძველი არ ჰქონდათ ო' ბანიონთან მტრობისა. ლუდს მათთვის უდიდესი მოგება მოჰქონდა, ამასთან მისი წარმოება არ იყო ძნელი დასამალი. „მშრალი კანონი" ერთგრადუსიანი ლუდის გამოხდას არ კრძალავდა, მაგრამ წყალწყალა ლუდს არავინ ეტანებოდა, ამიტომ ტორიოს მელუდეები მას სპირტით აკეთილშობილებდნენ. ასეთი ძვირფასი აღმოჩენა მყისვე აიტაცეს ო' ბანიონის „ბიჭებმა", რამაც ძალზე გაანაწყენა ტორიო, მაგრამ საპასუხო ზომების მიღებას ჯერ კიდევ ვერ ბედავდა — კონკურენტის ბანდაში სახელგანთქმული განგსტერები შედიოდნენ. ესენი იყვნენ: ბაგსი მორანი, ერლ ვაისი მეტსახელად ჰაიმი, ნეილზ მორტონი, ლუის ალტერი, მაქს აიზენი, ფრენკ გუსენბერგი. გარდა ამისა, დაძრწოდნენ მაფიოზების წვრილ-წვრილი ჯგუფებიც, რომლებიც, მართალია მხოლოდ ერთ ქუჩაზე ბოგინობდნენ, მაგრამ როგორც მოკავშირენი ზურგს უმაგრებდნენ ო' ბანიონის ბატალიონებს.

ჯონ ტორიო მხოლოდ ჩიკაგოში როდი ფლობდა ლუდის დიდ საწარმოებს. იგი დაეპატრონა აგრეთვე არაყის სახდელებს გარეუბნებში. რა საჭირო იყო ასეთი ფართო ექსპანსია? უწინარეს ყოვლისა, იგი არ იყო მაინც და მაინც დარწმუნებული, რომ არჩევნები ყოველთვის მისთვის სასურველი შედეგით დამთავრდებოდა; გარდა ამისა, ტორიოს ეწადა გაეფართოებინა ლუდისა და არაყის მომხმარებელთა ქსელი, რათა ორივე ბეჭით გაეკრა მიწაზე ო' ბანიონი, ოღონდ — მშვიდობიანი გზით.

„ნათლია“ ტორიო კეთილშობილურად მოქმედებდა. მისი ყოველი „გართობის სახლი“, ციცეროსა თუ პოსენში, — ეს იყო „სამოთხე“, სადაც სამორინეებსა და სარესტორანებს სპირტიანი სასმელების ჭდინარეები ჩამოუდიოდა. ასეთი სისტემა ბევრ დროს ზოგავდა. მუშტარს არ უხდებოდა მთელ ქალაქში სირბილი, აქ ყველაფერი ერთ ჭერქვეშ იყო.

ტორიოს პოლიტიკურ და სამეურნეო პროგრამაში მთავარი იყო ცალკეული ბანდების დაპავების გეგმა. ქალაქი უნდა დაეყოთ გავლენის ზონებად. „ნათლიის“ იდეა ყველას ჭკუაში დაუჯდა. იგი გაიზიარეს არა მარტო მაფიის წევრებმა, არამედ თვით ქალაქის მერმა ბილ ტომპსონმაც. მაგრამ საკმარისი იყო დაეთფას შედგომოდნენ, რომ ტორიომ მაშინვე მოინდომა დაპატრონებოდა ქალაქის საუკეთესო ნაწილს, — ლუპს, ავრეთვე რამდენიმე სხვა უბანს, სადაც ცხოვრობდნენ ან სმასგადაყოლილი ლოთები, ანდა ყველაზე ბოიდარი კლიენტები. დანარჩენ ბანდებს უნდა ემოქმედათ მხოლოდ ჩიკაგოს ტერიტორიის შემოგარენში.

„ნათლიები“ დაბაგდნენ, მაგრამ ეს მშვიდობიანობა ღიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. მათ აღიზიანებდათ ის აბბავი, რომ ქუჩებში გაჩნდა კონკურენტების იატაკქვეშა ლუდის ბარები. მოულოდნელად მაღაზიების დახლებზე გამოჩნდა სადისტილაციო აპარატები, საფუარი, მომინანქრებული ჭურჭელი, ბოთლები და სპილენძის ქვაბები. ხოლო როდესაც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოსცა ბროშურა, რომელშიც ქეჩით იხსენიებდა კოლონიური დროის ადათ-წესებს, და ასწავლიდა მკითხველს, როგორ მიეღო ალკოჰოლი კაკლისაგან, მაფია მიხვდა, რომ დასამალი აღარაფერი აქვს და დროა გამოვიდეს იატაკქვეშეთიდან.

„მშრალი კანონის“ დარღვევა ყველასთვის ცნობილი საიდუმლო გახდა, ტორიო და კაპონე ამერიკელთა ხელშეწყობითა და ტაშისკვრით დიღის ზარ-ზეიმით სსნიდნენ ახალ-ახალ რესტორანებს. უფრო მეტიც, ბილ ტომპსონი 1921 წელს კვლავ აირჩიეს ქალაქის მერად, ხოლო პლეიბოი ლენ სმოლსა საკმარისი ხმები მიიღო საიმისოდ, რომ ილინოისის შტატის გუბერნატორი გამხდარიყო.

სმოლის დაწესებულება ყოველმხრივ საჭირო და მნიშვნელოვანი ინსტიტუტი იყო, ვინაიდან, თუ მოუცლელ მერს

მეტისმეტად თავგამოდებული მუშაკის რაიმე ნაბიჯი გამორჩებოდა, შესაძლო განაჩენის გაუქმება გუბერნატორს შეეძლო.

არჩევნების დროს, რომელშიც ესოდენ დიდ წარმატებას მიაღწიეს ტომპსონმა და სმოლმა, მოხდა რამდენიმე უცნაური ეპიზოდი, რომლებიც ალბათ ამერიკის 20-იანი წლების პოლიტიკაში ყველაზე საგულისხმო და ნიშანდობლივ მოვლენებად რჩება.

კუკის რაიონის შერიფის მოადგილედ ერთხმად აირჩიეს ალ კაპონე. ჩიკაგოში კი დაიწყო ქალაქის მმართველობის წევრთა ომი. მეგაზეთენი თვალს ადევნებდნენ გიგანტურ სპექტაკლს, როდესაც ტონი დ'ანდრეს მაფიოზები მერის ადგილის ხელში ჩასაგდებად ებრძოდნენ „მკვდრეთით აღმდგარ" ჯონ პაუერსს. ორივე კანდიდატმა დაიქირავა მკვლელები, ბომბის ამფეთქებელი სპეციალისტები, და ჩიკაგოში მოიხმეს ნიუ-იორკისა და ბუფალოს საუკეთესო „მსროლელები".

ძმებმა გენებმა დ' ანდრეს მხარე დაიჭირეს და მოიწვიეს სამი პალერმოელი მკვლელი. მათი წინამძღოლი ანტონიო სპანო, რომელიც უფრო „სიკვდილის კავალერის" სახელით იყო ცნობილი თავის სამშობლოში, დასავლეთ სიცილიაში მაფიის ოფიციალურ ჯალათად ითვლებოდა.

„არჩევნების" პირველ წრეში დაიღუპა დ'ანდრეს მოადგილე. გენების ბანდა ვალში არ დარჩენილა და სიცოცხლეს გამოასალმა პაუერსის ორი თანაშემწე.

ამ ფაზაში მაფიამ სიცილიის ტრადიციულ მეთოდებს მიმართა და დაქირავებულ მკვლელთა ორიენტაციისათვის „მაკარონისჭამიების" უბანში, ასწლოვან ჭადარზე, რომელიც მკვდარი მამაკაცის ხედ იყო ცნობილი, გამოაკრა დასახვრეტ კანდიდატთა სია. დაიწყო არეულობა, ორი მოქიშპე კლანის სახლებში წამდაუწუმ სკდებოდა ბომბები, დახოცილთა რიცხვმა ოცდაათს მიაღწია. წინასაარჩევნო კამპანია ამით შეიძლებოდა დამთავრებულიყო, მაგრამ ტორიომ და კაპონემ განაცხადეს: რაც უნდა მოხდეს, მთელი ჩიკაგოც რომ დაიქცეს, ტომპსონს და სმოლს მაინც აირჩევენო.

6. ჯინის ჯადოქრები

ტორიოს „საზავო პაქტის“ თანახმად მცირე იტალია ანუ „მაკარონისჭამიების“ უბანი ძმებ გენებს ერგოთ. ამის სამაგიეროდ „ნათლიამ“ მიიღო გენების კონცერნის ნებართვა თავისი ტრანსპორტის მიმოსვლაზე მათ ტერიტორიაზე, აგრეთვე თანხმობა — გაეყიდა მცირე იტალიაში ლუდი ორმოცდაათ დოლარად. სინამდვილეში კი დიპლომატი ტორიო იძულებული იყო დათანხმებოდა ამ პირობებს, ვინაიდან გენების ბანდას წელიწადში ხუთი მილიონი დოლარი შემოსავალი და ამრიგად საკმარისი სახსრები ჰქონდა ძრავალრიცხოვანი არმიის შესანახად.

„საშინელი გენების“ ბანდაში შედიოდნენ ძმები — ანჯელო, მაიკლი, ტონი ჯენტლმენი, სეში, პიტერი და ჯიმი. ექვსივე ზემოხსენებული ძმა შეერთებულ შტატებში ჩავიდა 1910 წელს მშობლებთან — სიცილიური მაფიის ცნობილ წევრებთან ერთად. ამრიგად სიცილიას, სადაც იმხანად 3 529 260 კაცი ცხოვრობდა, კიდევ რვა ღირსეული მოქალაქე მოაკლდა. გაქნილმა ოჯახმა მალე გაითქვა სახელი ამერიკელ „ნათლიებში“ თავისი სიჯიუტითა და სისასტიკით. უჩვეულოდ იწყებდა ცხოვრებას მხოლოდ ტონი ჯენტლმენი, ყოველთვის ელეგანტურად რომ იცვამდა და ისე ცხოვრობდა, როგორც მის მეტსახელს შეეფერებოდა. მან შეისწავლა არქიტექტურა, უარი თქვა მაფიოზთა იერარქიაში ხელმძღვანელ ადგილზე და საოჯახო ფირმის ტექნიკური მრჩეველი გახდა.

ძმებმა გენებმა იტალიელ იმიგრანტთა ბინები სადისტილაციო აპარატებით მოამარაგეს და სულ ცოტა ხნის შემდეგ მცირე იტალიაში არ იყო სამზარეულო ან საკუჭნაო, სპილენძის აბაზანებსა და ცილინდრებში რაღაც სითხეს რომ არ ებუყბუყა.

მთელი უბანი საფუარის სუნად ყარდა. მისმა მცხოვრებლებმა სულ მალე შეიძინეს გამოცდილება, როგორ დაეყენებინათ კარგი ღვინო ისე, რომ მარცვალი ყურძენიც კი არ დაეწურათ.

ასევე დაოსტატდნენ ისინი ქონისაგან „ზეითუნის ზეთის“ წარმოებაში, ხოლო მოგვიანებით, — რაც უფრო სარფიანი საქმე გამოდგა, — ისწავლეს ცხიმის გადაქცევა ყვითელ კარა-

ქად. ნამდვილ სასწაულებს ახდენდნენ, როდესაც ყველს ამზადებდნენ პროდუქტებისაგან, რომლებსაც სიზმარშიც კი არავინ გამოიყენებდა რაიმე სხვა მიზნით, გარდა სასუქისა. ყველაზე უკეთ საღდებოდა გამოწურული ჭაჭა და ყველის ქერქი.

სიცილიური ეშმაკობისა და მოხერხებულობის გენიის მიხვეულ-მოხვეულმა ბილიკმა უმაღლეს წერტილს მიაღწია აბაზანის ჯინის წარმოებაში, რომლის დამზადების საიდუმლო დღემდე არ არის ცნობილი. „მშრალი კანონის“ აგენტები მცირე იტალიის მცხოვრებთა ბინებში ვერ პოულობდნენ ვერავითარ აკრძალულ მინარევებს, ვინაიდან საკმარისი იყო „მაკარონისჭამიათა“ უბანში საეჭვო კაცი გამოჩენილიყო, რომ ბავშვები მაშინვე აჭყიტლდებოდნენ: „ბანჯგვლიანები მოდიან!“. გარდა ამისა, საგანგებოდ დაქირავებულმა ქიმიკოსებმა, რომლებსაც გვარიან ხელფასს აძლევდა ტონი ჯენტლმენი, ისეთი აქტიური ნივთიერებები გამოიგონეს, რომ დულელი სულ რამდენიმე საათში მთავრდებოდა.

ყოველ საღამოს შემგროვებლები ღარიბთა სახლებს ჩამოუვლიდნენ ხოლმე და ნაირ-ნაირი ჭურჭლით მიჰქონდათ ყოველდღიური პროდუქცია ძმები გენების ქარხნებში. აქ ნამდვილ სასწაულს ჩადიოდნენ ჯადოქრები, რომლებიც არომატული ნივთიერებებისა და ჩაის საღებავების მეშვეობით მყრალ სითხეს აკეთილშობილებდნენ და მისგან იღებდნენ ვისკის, კონიაკსა და ჯინს.

ძმების „აბაზანის ალკოჰოლი“ დიდად არ განსხვავდებოდა კაპონეს ცეცხლოვანი წყლისაგან. იგი ასევე გამოდგებოდა თვითმკვლელობის უეჭველ საშუალებად. სასამართლოს ექიმებმა დაადგინეს, რომ ეს სასმელი იწვევდა ჰალუცინაციებსა და, ხშირად, სიბრმავესაც.

მაფიოზების ბანდები არად აგდებდნენ ჰიგიენის მოთხოვნებს. როდესაც ერთხელ ჯიუტი პოლიციელი ჯონ სტეიჯი შესამოწმებლად მივიდა მცირე იტალიაში, ეზოებში აღმოაჩინა ათობით კასრი, რომლებიც რაღაც ნალექით იყო სავსე. აქტში მან ჩაწერა, რომ ამ კასრებს შორის ერთიც ვერ ნახა, სადაც დამხრჩვალი ვირთხა ან კატა არ გდებულიყო. განაჩენი, მაფიამ რომ გამოუტანა წინდაუხედავ პოლიციელს, როგორც მოხუცი გენა ამბობდა, სულგრძელი იყო: „ეს ყმაწვი-

ლი ლუპარის გასროლას ვერ გაიგონებს, იგი რევოლვერის ტყვიის ღირსია!“

გამოძიებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. გენები გავლენიან მოხელეებს ყოველთვიურად ექვსიათას ხუთას დოლარს უხდიდნენ. გარდა ამისა, ქალაქის პოლიციის ოფიცრებს შეეძლოთ თვითღირებულების მიხედვით ეყიდათ ალკოჰოლი. მოქრთამული კანონის მსახურნი კბილებით იცავდნენ გენების საწარმოს. მაგალითად, ტონი ჯენტლმენმა მიიღო პოლიციელთა სია მათი სამსახურებრივი ნიშნების ნომრებით, რაც ძმებს დიდად გამოადგათ. რამდენჯერმე ისე მოხდა, რომ ფორმიანი ბატონი მიდიოდა გენების ქარხნების მოანგარიშესთან გადასახადის ასაკრეფად, თუმცა (ნომრის თანახმად) სულ სხვა რაიონში მსახურობდა. ინჟინერ-არქიტექტორმა ანტონიო გენამ იჩივლა პოლიციის პრეზიდიუმში და მას ზარალი იმით აუნაზღაურეს, რომ მისი ოჯახის ქარხნებს მისცეს უფლება შეუჩერებლივ ემუშავათ. გენების ბანდის, „ნათლია“ ტორიოსა და პოლიციის თანამშრომლობა დიდი სიამტკბილობით მიმდინარეობდა. სიძნელეები სულ სხვაგან წამოიჭრა. იგი გამოიწვია ქალაქის დანაწილებამ და საზავო შეთანხმების ხელმოწერამ, რომელზეც ტორიოს დააყენეს მოეწვია წარმომადგენელი ბანდისა, რომლის შეფი სპაიკ ო'დონელი ამ დროს საპატიმროში იჯდა გაძარცვის მიზნით თავდასხმისა და ორი მკვლელობისათვის. ეს, რა თქმა უნდა, შეცდომა იყო, და ტორიოკაპონეს ღუეტი ამ შეცდომას მხოლოდ მაშინ მიხვდა, როდესაც 1923 წლის ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ირლანდიელი სპაიკ ო'დონელი ციხიდან გამოვიდა. ამ სახეშეშუპებულმა, მუდამ აჭარხლებულმა კაცმა დაადგინა, რომ მოგება, რომელსაც სიცილიელი მეგობრები იღებდნენ ალკოჰოლის არალეგალური წარმოებითა და გაყიდვით, თორმეტი მილიონი დოლარით სჭარბობდა საროსკიპოებისაგან მიღებულს.

სპაიკ ო'დონელმა სიცილიელებს შესთავაზა, თქვენთან ვიმუშავებო უშიშროების სამსახურის უფროსად. ტორიომ იგი მასხარად აიგდო: „მსროლელები ჩვენს ავტომობილებს მხოლოდ სასალამოდ დაჭყეტიან, დიდი ტრანსპორტი პოლიციის საიმედო საპატრულო მანქანებს მივანდეთო“.

შეურაცხყოფილმა სპაიკ ო'დონელმა დაიფიცა, რომ

შურს იძიებდა. ხუთი დღის განმავლობაში შეიყარა და დაირაზმა მისი ძველი „ოჯახი“. ამ რაზმში შედიოდნენ: მისი ძმები სტივი, ვალტერი, თომასი და ოთხი დაქირავებული მკვლელი. სამ თვეს ხდიდნენ უმაგრეს ლუდს, რომელსაც სპირტის გვარიან დოზასაც ურევდნენ. შემკვეთები საკმაოდ ორიგინალური ხერხით იშოვეს: წყნარად შედიოდნენ რესტორანში და მეპატრონეს ყურში ჩასჩურჩულებდნენ: დღეიდან ლუდს იყიდი სპაიკ ო' დონელისაგან, თუ არ გინდა შარში გაეხვიო! ეი ასეთი საუბრით არწმუნებდნენ ქალაქის სამხრეთი რაიონების ყველა მოვაჭრეს. მხოლოდ ჯოზეფ კლეპკას, 51-ე ქუჩის რესტორანის პატრონმა გამოიჩინა გაუგონარი ურჩობა. 1923 წლის 7 სექტემბერს საღამოს მას ესტუმრნენ ძმები ო' დონელები და მათი მეგობარი ჯერი ო' კონორი. კლეპკას ჩაულეწეს რესტორანის ფანჯრები, ხოლო უკან რომ ბრუნდებოდნენ, გზად სხვა რესტორანებშიც შეიარეს და ჭკუა ასწავლეს ზოგიერთ ურჩ მეპატრონეს. მერე საყვარელ კაფეში, ლინკოლნ სტრიტზე მოილხინეს. ამასობაში კი ამ ამბავმა ალ კაპონეს ყურამდეც მიაღწია. ოგი ტორიოს იმპერიაში წესრიგზე აგებდა პასუხს.

„ნათლია“ ტორიოს არ უნდოდა, რომ ვიღაც ქარაფშუტების გამო დაერღვია საზავო შეთანხმება, მაგრამ მისი მოადგილე ალ კაპონე — სახენაიარევი სულ სხვა აზრისა იყო. იგი კაფეს მიადგა შეიარაღებულ რაზმთან ერთად, რომელსაც ზურგს უმაგრებდა რაიონული შერიფის მოადგილე დანიელ მაკფოლი. კარი გაიღო და კაპონეს მებრძოლთა ლაშქარმა დაარღვია ჩვეული სიმყუდროვე. „დაგვნებდით!“ დაჰკივლა მაკფოლმა მამაკაცს, რომელიც კატლეტს შეექცეოდა, და სპაიკ ო' დონელის თავს ზევით ისროლა ტყვია. სტუმრები ფანჯრებიდან გადახტნენ და ქუჩიდან დაუშინეს ტყვია შენობას, სადაც წუთის წინ ლუდს მიირთმევდნენ. ათიოდ წუთის შემდეგ კვამლი გაიფანტა, რამაც იქ მყოფთ შესაძლებლობა მისცა დაენახათ ჭიწაზე გართხმული ჯერი ო' კონორის უთავო გვამი. პოლიციელები პირველი შეხედვისთანავე მიხვდნენ, რომ ასეთი რამ მხოლოდ ლუპარით შეიძლებოდა გაეკეთებინათ.

ძალის ამ დემონსტრაციის შემდეგ ლუდის ბიზნესი კვლავ შეუფერხებლად ამუშავდა და სიძნელეები თვით საროსკა-

ბოებშიც კი აღარ წამოჭრილა. კლანების შეფებს ახლა დასვენება სჭირდებოდათ. ციცეროში არჩევნებისათვის ემზადებოდნენ. იქაურ ქალაქის მმართველობაში მერი იყო ტორიოს ძმაკაცი ჯოზეფ კლენჰა. ბოსი ტორიო და მისი მოადგილე ალ კაპონე ვერ გარისკავდნენ, რომ 1924 წლის 1 აპრილიდან კლენჰას ადგილზე სხვა მერი აერჩიათ, რადგანაც ჩიკაგოს დასავლეთ გარეუბანში ძალზე ბევრი ფული ჰქონდათ დაბანდებული — ასსამოცდახუთი რესტორანი და ლუდის ბარი და სამი საროსკიპო საკმაოდ დიდი კაპიტალი იყო.

არჩევნებამდე ერთი დღით ადრე უბანში, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა, გაემგზავრა ტორიოს ორასი თავით ფეხამდე შეიარაღებული მებრძოლი. 1 აპრილს დილაადრიან ისინი ნელი ნაბიჯით დადიოდნენ ქალაქის ქუჩებში, აჩერებდნენ გაოცებულ მოქალაქეებს და ეუბნებოდნენ: „გეთაყვათ, თუ არ შეწუხდებით, გვიჩვენეთ საარჩევნო ბიულეტენი“. თუკი იგი ისე არ იყო შევსებული, როგორც კაპონესა და მის ამფსონებს სჭირდებოდათ, ისინი ამომრჩეველთან ერთად პირდაპირ საარჩევნო უბანში მიდიოდნენ და ბიულეტენს ასწორებდნენ. ზოგიერთმა მოქალაქემ, რომლებსაც კლენჰა დიდად არ ეპიტნავებოდათ, ეურად არ იღო ეს მეგობრული გაფრთხილება. მაშინ კაპონეს ბიჭები იძულებული გახდნენ უფრო მტკიცედ ემოქმედათ. ჯიუტ ამომრჩეველს მანქანაში სვამდნენ და ქალაქიდან შორს გაჰყავდათ. უკან დასაბრუნებლად ამ მოქალაქეს 10-20 კილომეტრის ფეხით გავლა უხდებოდა. ასეთი გასეირნება კი ყველას საოცრად მშვიდობიანად განაწყობდა ხოლმე.

მარტო სამი ამომრჩეველი ვერ მოარჯულეს. ამის გამო ორი მათგანი საავადმყოფოში მოხვდა.

პოლიციელები ქრთამს იღებდნენ და ხელს არავის უშლიდნენ. რომც არ აეღოთ, უპირატესობა მაინც კაპონეს კარგად შეიარაღებული ასეულების მხარეს იქნებოდა.

ვინ იფიქრებდა, რომ ილინოისის შტატის უმაღლესი სასამართლოს თავჯდომარე ასეთ გარეუბანში პოლიციელთა რჩეულ შენაერთებს გამოგზავნიდა. უკვე ბინდდებოდა, და არჩევნების დამთავრებას რაღაც წუთები აკლდა, როდესაც პოლიციელები ქალაქში შემოვიდნენ. სახეგაბადრული ალ კაპონე უფროს ძმა ფრენკთან ერთად 22-ე ქუჩის კუთხეში იდ-

გა, რესპუბლიკელთა საარჩევნო ცენტრის მახლობლად. მან შეამჩნია მოახლოებული რაზმები, მაგრამ არაფრად არ ჩააგდო ისინი. ფრენკი უფრო სწრაფად გაერკვა ვითარებაში. მყისვე მოიმარჯვა თოფი, გამოპკრა ჩახმახს, მაგრამ იგი არ გავარდა. სამაგიეროდ პოლიციელის პისტოლეტი აღმოჩნდა წესრიგში და ფრენკ კაპონე მოცელილივით დაეცა.

ფრენკმა სამარადისო სასუფეველი პოვა დალაქი მამის გვერდით. სამარის ქვაზე ამოკვეთეს სახელი, ნათლობისას რომ მისცეს ოდესღაც ნეაპოლში — სალვატორე კაპონე. ასე შეწყვიტა პოლიციელის ტყვიამ სალვატორეს კარიერა მაშინ, როდესაც ერთი გოჯიდა აკლდა ყველაზე მაღალ მდგომარეობამდე. მან უდავოდ დაიმსახურა დიდი პატივით დაკრძალვა. დიონ ო' ბანიონის საყვავილემ სარფიანი შეკვეთა მიიღო.

ო' ბანიონის შემოქმედებითი შთაგონების მწვერვალი იყო „პრეზიდენტის" ჯიშის წითელი მიხაკებისაგან გაკეთებული ორმეტრიანი გული. ქუჩის მტვერს ხვეტდა რვამეტრიანი აბრეშუმის ლენტი, რომელიც გვირგვინისათვის მიეებნიათ და რომელზეც ოქროს ასოებით ეწერა: „პატიოსანი ჩიკაგოელი ყმაწვილებისაგან". ლენტის დაჭერის უფლებას ერთმანეთს ეცილებოდნენ ქალაქის მმართველობისა და მაფიოზთა „ოჯახების" წარმომადგენლები. სამგლოვიარო პროცესია საროსკოპოებთან ჩერდებოდა და მსუბუქი ყოფაქცევის გოგონები მისასამძიმრებლად გარეთ გამოდიოდნენ.

ციცეროში რატუშის შენობაზე ძაძებიანი ღროშა გამოეკიდათ, ვინაიდან განსვენებულმა თავი შესწირა მართალ საქმეს: ჯოზეფ კლენჰამ მოაგროვა საჭირო რაოდენობის სმები.

ტორიოსა და კაპონეს ამფსონის მერად არჩევა ციცეროში ყველას სწორად მიაჩნდა ვიღაც ედი თენკლის გარდა. იგი ჰოთორნ ინის რესტორანს ფლობდა და თავისი მტკიცე ხასიათი ჯერ კიდევ ერთი წლის წინ გამოამჟღავნა, როდესაც ალ კაპონეს, რომელმაც ქალაქიდან წასვლა უბრძანა, უპასუხა: „მე აქ მანამდე ვცხოვრობდი, სანამ თქვენ ჩიკაგოდან მოეთრეოდით. ფეხებსაც ვერ მომჭამთ ვერავინ". ის იყო, მერმა კლენჰამ შესავალი სიტყვა დაამთავრა, რომ ორ მაფიოზ მკვლელს შესაბამისი ბრძანება მისცეს. ისინი ჰოთორნ ინში შეცვივდნენ და ურჩიეს თენკლსა და ბარმენს უკანასკნელად ჩაეკოკლოზინებინათ ყელი ლუდით. დაკრძალვა ჩვეუ-

ლებრივი იყო. კაპონემ ქვრივს ყვავილები გაუგზავნა, ხოლო ედის რესტორანი მიითვისა და თავის პირად ქონებას დაუმატა. ალმა იგი გადააკეთა და სათადარიგო ციხე-საროსკიპოდ აქცია. შენობის სამხრეთ ნაწილში განალაგა არსენალი, ხოლო ჩრდილოეთისაში — სალონი. დასავლეთი ნაწილი განკუთვნილი იყო საროსკიპოსათვის, აღმოსავლეთი კი აზარტული თამაშების ასპარეზად დატოვეს. კაპონეს ვილამ შორს გაითქვა სახელი. ესკურსიამძღოლები დღესაც უჩვენებენ ტურისტთა ჯგუფებს კაპონეს ციხე-საროსკიპოს, რომელშიც ამდენი ცნობილი ამერიკელი ყოფილა.

ტორიოს მარჯვე მეომრებმა ალის მეთაურობით ციცერო დააშოშმინეს, მაგრამ შინ რომ დაბრუნდნენ, უსიამოვნო სიურპრიზი ელოდათ. ჩიკაგოს მერ უილიამ ჰეილ ტომპსონს ვერ დაეგროვებინა საკმარისი რაოდენობის ხმები.

ქალაქის მმართველობაში სრულიად უცხო კაცი მოვიდა. თავისი სამი წლის მოღვაწეობის მანძილზე მან ჩამოაყალიბა ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისია და გამოაქვეყნა ყველაზე საშიში ადამიანების სია. სიაში პირველი ეწერა ალ კაპონე. შემდეგ მოდიოდნენ მაფიის დანარჩენი წევრები: რალფ კაპონე, ჯეკ მაკმერნი, ჯეიმს ბელკასტრო, ჯეიკ გუზიკი, ბაგსი მორანი, ჯო სალტისი, ჯეიმს სამონსი და უილიამ ო' დონელი. გარდა ამისა, ახალმა მერმა პოლიციას დაახურინა ყველა რესტორანი, სადაც აკრძალული ალკოჰოლი იყიდებოდა. იგივე ბედი ეწია ზოგიერთ საროსკიპოსაც.

სახენაიარევმა „ნათლიისაგან" მიიღო ბრძანება გადაეადგილებინა საწარმოები, რომელთაც ციცეროში საფრთხე ემუქრებოდათ. მაფიას ასეთი სტრატეგიული გეგმა ჰქონდა: ალკოჰოლის მარაგის გადატანა და მეძავების ევაკუაცია ჩიკაგოს ცენტრიდან უნდა უზრუნველეყოთ სპეციალური მატარებლებით. ციცერო ამ დროს ისე გამოიყურებოდა, როგორც დაუსონ სიტი ოქროს ციებ-ცხელების დროს. მარტო ლოტერბეკის კაზინოს სათამაშო მაგიდაზე კონტროლმა ასათი ათასი გადამალული დოლარი აღმოაჩინა. ალკოჰოლის გასაყიდი მაღაზიების, სამორინეებისა და საროსკიპოების ქსელი ისეთი ხშირი იყო, რომ „ნათლია" ტორიო იძულებული იყო ნიუ-იორკელი მეგობრებისაგან ეთხოვა კლიენტები. გავიდა

ხანი... ტორიომ კაპონეს დროებით გადააბარა საქმეები, თვითონ კი ევროპაში გაემგზავრა, რათა „ცხელ-ცხელი“ მილიონები შეეტანა შვეიცარიისა და იტალიის ბანკებში. ტორიო დაბრუნებას არ ჩქარობდა. გულში შიში შეეპარვოდა. საკმაო დრო ჰქონდა საიმისოდ, რომ საყვარელი დედისათვის ვილა ეყიდა ნეაპოლის მახლობლად და ოცი წლის ფული წინასწარ გადაეხადა მომსახურე პერსონალისათვის, რომელიც თხუთმეტი კაცისაგან შედგებოდა.

„ნათლიას“ ევროპაში გამგზავრება გადააწყვეტინა მეორე გარემოებამაც: იგი დასანახად ვერ იტანდა სისხლს. ამჯერად კი სწორედ სისხლი უნდა დაღვრილიყო, რადგან მაფია ჩიკაგოს ხელახლა დაპყრობას აპირებდა. კაპონე ისე გულმოდგინედ ასრულებდა დავალებას, რომ პოლიციამ გამოძიებისათვის ევროპიდან ახლად დაბრუნებული ტორიოც მოიხმო. ბოსს დიდად არ შეუწუხებია თავი. მან პოლიციაში გაგზავნა იურიდიული წარმომადგენელი — ადვოკატი მ. ლ. იგოლა — ცნობილი პიროვნება დემოკრატთა პარტიაში, რომელიც არჩევნების დროს შტატის გენერალური პროკურორის ადგილზე აცხადებდა პრეტენზიას. და საჯაროდ დებდა პირობას, რომ გაწმენდდა ქალაქს დამნაშავეებისაგან. დოქტორი იგოლა ტორიოს ინტერესებს ძალზე აქტიურად იცავდა. არ დავიწყებია ეცნობებინა პოლიციისათვის, რომ მისი პატივცემული კლიენტი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე იყო. ადვოკატი სიტყვას ქარს არ ატანდა. ტორიოს იარაღზე გული აცრუებოდა და თავის მაფიოზ „ლეიტენანტებს“ უბრძანა, რომ მშვიდობა მყარდებოდა. ტორიო მაშინვე შეუდგა თავისი გეგმის შესრულებას. მან იმდენი ხალხი მოქრთამა, რომ ქალაქმა კვლავ აირჩია მისი საყვარელი ბილ ტომპსონი. აქ თავისი როლი ითამაშა მოქალაქეთა სურვილების გაორებამაც, რომლებიც თუმცა ოცნებობდნენ ქალაქის წყნარ ქუჩებზე, სადაც სროლის ხმას აღარ გაიგებდნენ, მაგრამ ამასთანავე სევდით იგონებდნენ ალკოჰოლის მაღაზიებსაც, რომლებიც მერი დეევერის ბრძანებით ციცეროში გადაეტანათ. ახლა ყოველი ბოთლისათვის მატარებლით უხდებოდათ მგზავრობა. თან ველარც მაფიის უკანონო ვაჭრობის ხარჯზე ითბობდნენ ხელს. ბოლოს და ბოლოს, რეფორმები შეწყდა, კაპონე თავის ანტიკვარიატის მაღაზიას დაუბრუნდა ვაბაშ ავენიუზე, ხოლო რატუშაში კვლავ

შეუდგა თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას დიდი ბილ ტომპსონი. მაგრამ კაპონეს არ ასვენებდა ის ფიქრი, რომ სახელგანთქმული ტორიოს ჩრდილში ცხოვრობდა. მას ანდამატივით იზიდავდა „ნათლიის“ საყარძელი, მაგრამ ყოველნაირად ცდილობდა დაეთრგუნა ეს ცდუნება. მაგალითად, ჯო ჰოვარდს განზრახა სამი მოწმის თანდასწრებით აუღო ზომა კუბოსათვის, როდესაც ჯიმ ყოველად მიუტევებლად შეურაცხყო ჯეიკ გუზიკი, კაპონეს „მოძღვარი“. აზნაური გუზიკი წარმოშობით ოდესიდან იყო, საიდანაც იგი წითლებს გამოქცეოდა. მეფის რუსეთის სარისკაპოების სისტემა გუზიკმა ბავშვობიდანვე აითვისა და ამერიკაშიც იჩენდა გულისამაჩუყებელ მისწრაფებას, რასპუტინის ხანის მადლი ჩიკაგოსთვისაც მოეცხო. იგი ქალთა დაწესებულებებში მთავარი დამქირავებლის ფუნქციებს ასრულებდა. ამ „არისტოკრატიული“ საქმიანობის წყალობით მან მაფიაში გავლენიანი მდგომარეობა მოიპოვა. მას მეტსახელად „თითოლოკიას“ ეძახდნენ, რადგანაც ბანკნოტების დათვლისას წარამარა ილოკავდა ხოლმე თითს. ეს ბანკნოტები კი მის სალაროში მსოფლიოს ყველა კუთხიდან შემოდიოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მთელ ამ ფრანკებს, დოლარებსა და მარკებს ერთი საერთოც ჰქონდათ: გოგონები მათ ჩვეულებრივ წინდაში მალავდნენ ხოლმე. ღალით ჯეიკ გუზიკი ჩამოუელიდა გოგონებს, ფულს აკრეფდა, გაასწორებდა, გადაითვლიდა. ყოველივე ამას თავისი მოკლე, კოტიტა, ნერწყვით დასველებული თითებით აკეთებდა.

ზრდილი და თავაზიანი გუზიკი ერთ მიყრუებულ რესტორანში სამსახურებრივი ჩაცოვლის დროს უზრდელ და ხეპრე ჰოვარდს გადააწყდა. „ნათლია“ ტორიოს ბრძანებით გუზიკს ერთი ავი სიტყვაც კი არსად დასცდებოდა ხოლმე და მაშინაც კი სათნო გამომეტყველებას იღებდა, როდესაც განგსტერები შეურაცხყოფას აყენებდნენ. რესტორანის მეპატრონემ იგრძნო, რომ ჰოვარდთან შეტაკება შეიძლებოდა ცუდად დამთავრებულიყო და გუზიკს სთხოვა გაცლოდა იქაურობას. ჯეიკმა დაუჯერა, მაგრამ კაპონეს მაინც შესჩივლა.

გაშმაგებული ალი მაშინვე გავარდა ჰოვარდის საძებნელად, მაგრამ სამიკიტნოში, სადაც ინციდენტი მოხდა, ჰოვარდს ვერ მიუსწრო.

ალ კაპონემ ჰოვარდს მხოლოდ მესამე რესტორანში მიაგ-

ნო, სადაც იგი ორ ახალგაზრდას ებაასებოდა. ვაუბატონები ბართან ჩამომდგარიყვნენ და იალას სიგარას აბოლებდნენ. შურისმაძიებელმა კაპონემ იქვე იშიშვლა ექვსვაზნიანი რევოლვერი და ერთი მეტრი მანძილიდან ექვსივე ტყვია ზედიზედ დაასალა ჰოვარდს. მეორე დილით გაზეთმა „ჩიკაგო დეილი ტრიბუნმა“ დაბეჭდა შენიშვნა სათაურით „ისევც უქნიათ...“ სტატიის აეტორმა სამი მოწმის ჩვენებათა საფუძველზე დამნაშავედ ალ კაპონე მიიჩნია. გამოძიება ისე დამთავრდა, როგორც ჩვეულებრივ მთავრდებოდა ხოლმე. პირველი მოწმე, უცნობი ავტომექანიკოსი, საერთოდ ვეღარ იპოვეს; ბარმენი ამტკიცებდა, სროლისა არაფერი ვიცი და არც არაფერი მინახავს, ვინაიდან იმ მომენტში საპირფარეშოში ვიყავიო გასული. მესამე მოწმემ, დურგალმა ჯეიმს გოდვოთერმა იმღეჟერ შეცვალა ჩვენება, რომ ბოლოს და ბოლოს დაიფიცა, არავითარი ალ კაპონე არ ვიცი და ასეთი სახელი საერთოდ არც კი მსმენიაო. პოლიციელებს გაეცინათ, მაგრამ ჩვენებები მაინც მიიღეს, მიუხედავად იმისა, რომ დურგალი კაპონეს ანტიკვარიატის მაღაზიის მახლობლად ცხოვრობდა და საკუთარი ხელით გაუკეთა მას კედლის პანელები. ალ კაპონეც სულ ცოტა ხნით „მოაცდინეს“ დაკითხვაზე.

„იცნობთ თუ არა მამაკაცს, რომელსაც სახელად ჰოვარდი ჰქვია?

— არა, თვალით არ მინახავს!

— ნუთუ, ვერც იმას გვეტყვით, ვინ არის ჯეიკ გუზიკი?

— პირველად მესმის, რა ბრძანეთ, რა ჰქვია?“

ქალაქის პროკურორს მოწმეები არ ჰყოლია. საქმე 1924 წლის 26 ივნისს დაისურა კონსტატაციით, რომ ჯო ჰოვარდი მოკლა უცნობმა პირმა ან რამდენიმე უცნობმა თეთრკანიანმა მამაკაცმა.

ტორიო კმაყოფილი იყო იმით, თუ როგორ ეძღვებოდა კაპონე მასზე მინდობილ ტერიტორიას. ერთხელ წუთიერი სასუსტის ჟამს „ნათლია“ გამოუტყდა თავის ჭოსისხლე მტერ დიონ ო'ბანიონს, რომელთანაც მაინც ამხანაგობდა — „მოწყალე კაპონემ თავის მასწავლებელს აკლობა. ალბათ, სულ მალე პოლიტიკას თავს დავანებებ და ქრისტიანიმების მოშენებას მოეკიდებ ხელს. ევროპაში საუცხოო ჯიშები შეეძინა“.

ქლესა დიონმაც, რომელსაც გული აუჩუყა ტორიოს ნდობამ, ასევე მოიკატუნა თავი, ვითომ მათი თანამშრომლობის ბნელი მხარეები დავიწყებოდა, და მეგობრობისა და პატიებისცემის ნიშნად მეტოქეს შესთავაზა თავისი შვიდგრადუსიანი ლუდის ქარხანა. ის ერთ-ერთი იყო ჩიკაგოს იმ რამდენიმე ქარხნიდან, რომლებსაც მცირე შემცველობის ალკოჰოლიანი ლუდის წარმოების ოფიციალური პატენტი ჰქონდათ. მაგრამ მანამდე, სანამ ტორიო ო'ბანიონს შეხვდებოდა, ფედერალურმა ორგანოებმა აღმოაჩინეს, რომ დიონ ო'ბანიონი ლუდში სპირტს უმატებს, და გადაწყვიტეს 1924 წლის 19 აპრილს ჩაეტარებინათ რევიზია. ო'ბანიონმა ეს გადაწყვეტილება იცოდა. საუცხოო შემთხვევაა, რომ თავიდან მოვიშორო ლუდის ქარხანა, შევინარჩუნო ფული და კისერი წავატეხინო ტორიოსო, ფიქრობდა იგი. ეჭვი რომ არ გამოეწვია, ბანიონი ერთხელ კიდევ ეწვია ტორიოს და დიდის ამბით აუწერა ცხოვრება კოლორადოში, სადაც ვითომდა სამუდამოდ აპირებდა გადაბარგებას თავის საუკეთესო მსროლელთან და მეგობართან ლუის ალტერთან ერთად. ამ შეხვედრის შემდეგ ო'ბანიონმა შეუარა ადვოკატ სლიიტს, რომელმაც შემდეგი გეგმა შესთავაზა:

„თუ 19 აპრილს, როდესაც პოლიცია შემოგივარდება, არ გაუძალიანდები, ისე დააპატიმრებინებ თავს, უარეს შემთხვევაში ჯარიმას გადაგახდევინებენ. მე კი ვიზრუნებ იმისათვის, რომ შენი დოსიე უხინჯო იყოს. ტორიოს საქმეში კი აღწერილი იქნება მთელი მისი ცოდვები სიყმაწვილიდან დღემდე. ეს კი ნიშნავს, რომ ციხეში სწორედ მას უკრავენ თავს" — დაამთავრა ვექილმა.

ო'ბანიონი მეტად კმაყოფილი დარჩა. მასზე ვერავინ მიიტანდა ეჭვს, თუნდაც ორივენი ერთად დაეპატიმრებინათ.

უხარიოდა ტორიოსაც. მან კაპონეს დაურეკა: „ძვირფასო ალ, ვინ იფიქრებდა, რომ ასე უმტკივნეულოდ მოვიშორებდით თავიდან ო' ბანიონს. უთხარი გუზიკს ფული გაამზადოს, მივცეთ ლუდის ქარხნისათვის ბედ ნახევარი მილიონი".

ტორიოს, კაპონესა და ო'ბანიონის წმინდა სამეულმა ლუდის ქარხნის საზეიმო გადაცემა გადაწყვიტა 19 მაისის საღამოსათვის, შემდეგი დღიდან ქარხანას უკვე „ნათლია" ტორიო დაეპატრონებოდა.

დათქმულ დღეს ტორიო და ო'ბანიონი მორიგების თანახმად ერთმანეთს შეხვდნენ ლუდის ქარხნის ეზოში, რომელიც ასობით სატვირთო ავტომობილის საბურავებს დაესერა.

„ნათლიებს" თან ახლდნენ უახლოესი თანამშრომლები და პირადი მცველები.

არ იყო მხოლოდ მუდამ მოუცლელი ალ კაპონე. ლუდის კასრებით დატვირთული ცამეტი დიდი ავტომობილი, ის იყო ადგილიდან უნდა დაძრულიყო, რომ მოულოდნელად, ტორიოს გასაკვირად, მთელი ეზო ლურჯფორმიანმა პოლიციელებმა გაავსეს.

ორიოდ წუთის შემდეგ ამ სპექტაკლის მონაწილენი უკვე პოლიციის განყოფილებაში აღმოჩნდნენ. აქ ტორიომ ოცი ათასი დოლარი გირაოდ დატოვა და დროებით გაათავისუფლეს. გული რაღაც ცუდს უგრძნობდა, მაგრამ მხოლოდ მეორე დღეს მიხვდა ყველაფერს. ცხრა საათზე დაურეკა პოლიციის ოფიცერმა, რომელთანაც რამდენიმე წლის წინ დაედო შესაბამისი ხელშეკრულება. „ბატონო ტორიო, ბატონმა ო'ბანიონმა წინასწარ იცოდა ქარხანაზე თავდასხმის ამბავი, მაგრამ მე არ ვმუშაობდი და ამიტომ ვერ მოვახერხე მეცნობებინა თქვენთვის. ერთხელ კიდევ მაპატიეთ, ბატონო ტორიო".

ყველაფერი თითქმის ისე გამოვიდა, როგორც ო' ბანიონს ჰქონდა დაგეგმილი, ოღონდ იმ სასიხარულო წუთს, როცა უნდა დაენახა საყრობილეში მიმავალი მეტოქე, ვერ მოესწრო. „ნათლია" ტორიო დიდად არ დაუმწუხრებია ნახევარ მილიონი დოლარის დაკარგვას, მაგრამ დამცირებამ გააშმაგა და გადაწყვიტა შური ეძია. დიონ ო'ბანიონის უსწრაფესი ლიკვიდაციის გზაზე მას ეღობებოდა ერთადერთი, მაგრამ წმიდათაწმიდა მიზეზი სიცილიელთათვის: კვდებოდა „უნიონე სიცილიანოს" პრეზიდენტი მაიკ მერლო.

ჯონ ტორიომ ტაქტიანად გაიგო ექიმებისაგან, რამდენი ხნის სიცოცხლე დარჩენოდა კავშირის პრეზიდენტს, რათა ო' ბანიონის მკვლელობით არ მოესწრაფა მისთვის სიცოცხლე.

მერლო 8 ნოემბერს, სამხრობის ჟამს გარდაიცვალა თავისი მეგობრებითა და ავისმდომებით გარემოსილი. დიონის საყვავილე მაღაზიას მაშინვე მოაკითხეს განსვენებულის ოჯახის წევრებმა. დამწუხრებულმა ალ კაპონემ და „ნათლია"

ჯონ ტორიომ ასევე შეუკვეთეს ვარდები, შესაბამისად, რვა და ათი ათასი დოლარისა.

ყველაზე დიდი შეკვეთა ადგილობრივ მოქანდაკეს „უნიონ სიციილიანოს“ ხელმძღვანელობამ მისცა: „ცვილისაგან გამოძერწეთ განსვენებული ბატონი მერლოს ნატურალური სიდიდის ფიგურა, რათა მან საყვარელ ავტომობილში ფეხზე მდგომმა საკუთარი თვალით დაინახოს როგორ გლოვობენ მის სიკვდილს თანამემამულენი“.

მაღაზიაში სულ ბოლოს მივიდნენ ძმები გენების წარმომადგენლები და განაცხადეს: „გვირგვინები და ყვავილის კალათები დილისთვის უნდა გაამზადოთ. წასაღებად ანჯელო გენა მოვა!“.

ო' ბანიონმა ყველა თანაშემწე დაასაქმა და ისინი შუადღემდე ერთად წნავდნენ გვირგვინებს. განთიადისას კი უკვე ძაღაზიაში იყვნენ. პირველი მოვიდა შავი მუშა უილიამ კრაჩფილდი. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ სანამ ო' ბანიონი თავისი ნაღვაწით ტკბებოდა და თავს იწონებდა, მაღაზიასთან გაჩერდა შავი სედანი, რომელშიც ოთხი ახალგაზრდა იჯდა. ერთი საჭესთან დარჩა. კრაჩფილდი შემდეგ პოლიციაში ჰყვებოდა, რომ ო'ბანიონი კარგად იცნობდა მოსულთ, რადგან მხიარულად შესძახა: „დილა მშვიდობისა, ბიჭებო, მაკ მერლოს ყვავილების წასაღებად მოხვედით?“ მარცხენა ხელში შავი ლენტი ეკავა, მარჯვენა კი ჩამოსართმევად გაეწვდინა. ერთმა შემკვეთმა მოულოდნელად ხელი სტაცა გამოწვდილ მარჯვენაში ო' ბანიონს და გულში ჩაიკრა. ამრიგად ორ მსროლელს შეებლო კარგად ამოეღო მეყვავილე მიზანში. თანაშემწე უილიამმა პოლიციაში დარეკა და ორიოდ წუთის შემდეგ ინსპექტორი უკვე მისაკენსა და ქრიზანთემებში გართსმული ო' ბანიონის გვამზე დასრილიყო. როდესაც ინსპექტორი წელში გაიმართა, თავისთვის ჩაიბურტყუნა: „ექვსი ტყვია, თან ნიერის სუნიც იურძნობა“. ამრიგად, ეჭვმიტანილთა სია მაფიის წრემდე დავიწროვდა. დამნაშავენი მტკიცედ იცავდნენ ტრადიციას — ტყვიებს ნიორს უსვამდნენ. მოწმეთა აღწერით მკვლელები უნდა ყოფილიყვნენ ტორიო, კაპონე და ოჯახური ბანდის „ნათლია“ ანჯელო გენა. მაგრამ, როგორც პოლიცია ვარაუდობდა, დამნაშავეებს ალიბი აღმო-

აჩნდათ. ამიტომ ოფიციალურად საქმე ასე დაიხურა: „მკვლელებს ვერ მივაკვლიეთ“.

კაცი, რომელიც შავი სედანის საჭესთან იჯდა, იყო ფრენკ იალა. იგი ყოველთვის იქ გამოჩნდებოდა ხოლმე, სადაც რაღაც დიდმნიშვნელოვანი ხდებოდა. პირსისხლიანი ტრიუმვირატის წევრებს — ტორიოს, კაპონესა და გენას ბრილიანტიანი ბეჭდები ეყიდათ და გრავიორისთვის დაევალებინათ ამოეტვიფრა ამ ბეჭდებზე ო' ბანიონის სიკვდილით დასჯის თარიღი.

მომდევნო დღეებში დიდის ამბით ემზადებოდნენ გამოთხოვებისათვის. „ღვთისმოსავი აბსტინენტი ო' ბანიონი, რომელსაც პოლიციამ უსამართლოდ დასწამა ოცდარვა მკვლელობა, უდაოდ არის იმის ღირსი, რომ დიდი პატივით დაიკრძალოს“, განაცხადა ტორიომ.

განგსტერის ცხედარი სამ დღეს იყო დასვენებული ბრინჯაოს კუბოთი, რომელიც რჩეულთა დამკრძალავ ბიუროს პირდაპირ ფილადელფიიდან ჩამოეტანა. გამოცდილ ნიუ-იორკელ გრიმიორს პლასტელინით ამოევსო ნატყვიარები და სახეზე გრიმის მეშვეობით გამოეხატა მოწამეობრივი ღიმილი, რომელიც წმინდანთა სურათებზეა გამოსახული. ო' ბანიონის სასლში მოტირალებმა წამოიწყეს სიმღერა „როცა ირლანდიელი დედა ტირის“.

ბაჯაღლო ოქროს ტახტრევანზე დასვენებულ კუბოს სასაფლაოზე ორი ათასი კაცი მიაცილებდა. იშვიათი ორქიდეების საოცარი თაიგულები გამოეგზავნა საზოგადოება „ამერიკულ ბიუტისაც“. ყველაფერი შთამბეჭდავი იყო: მიცვალებულიც, თითებში კრიალოსანი რომ ეკავა, და წარწერაც საფლავის ქვაზე: „დიონ ო' ბანიონი — დაე, მოვიდნენ ჩემთან პატარები“.

მაგრამ ყველაზე შესანიშნავი მაინც გამოსათხოვარი სიტყვა იყო. იგი დაწერა და თავად წარმოთქვა განსვენებულის ერთ-ერთმა მკვლელმა ალ კაპონემ — „დიონი კაცური კაცი იყო. დიდებამ, ცოტა არ იყოს, თავბრუ დაახვია, მაგრამ ჩვენ ვაპატიეთ მას და მანაც შეგვინდოს. ყველას მხურვალედ გვეყვარება იგი, თუმცა ჩვენს შორის უკვე აღარ არის. მან ბევრი რამ გააკეთა ჩვენი საერთო საქმისათვის. იგი არასდროს დაგვავიწყდება“.

უკანასკნელი სიტყვები სამმა მამაკაცმა გაიმეორა. პირველი მათგანი იყო ო' ბანიონის მემკვიდრე „ლეიტენანტი" ჰაიმ ვაისი. ორი სხვაც საფლავის ორივე მხარეს იდგა და გაოცებისაგან პირდაღებულები შესცქეროდნენ ტორიოსა და კაპონეს, რომლებიც გულამოსკვნილი ტიროდნენ. თვით ვაისის თანამზრახველთა სახელები — ვინსენტ დრუჩი, „ინტრიგანი" და ლუის ალტერი — „ორი თოფი" შიშის ზარს სცემდა ყველას. ისინი ცერემონიალის დამთავრებისთანავე საიდუმლო ბჭობისათვის შეიკრიბნენ და დადეს ფიცი, რომ სასტიკად იძიებდნენ შურს. ვაისისა და დრუჩის მიერ საგანგებოდ ნაყიდი ტომპსონის სრულყოფილი ავტომატების სამიზნე უნდა გამხდარიყო „ნათლია" ტორიო, მათი აზრით, ო' ბანიონის მკვლელობის ორგანიზატორი.

ჯონ ტორიოს გული ცუდს უგრძნობდა, დანარჩენი კი მსტოვრებმა მოახსენეს. მას აღარ დაუწყია ლოდინი, როდის აღასრულებდნენ ვაისი, დრუჩი და ალტერი თავიანთ საზეიმო ფიცს. ტორიომ მაშინვე დატოვა ჩიკაგო, გაემგზავრა არკანზასში, შეიარა ახალ ორლეანში და, ბოლოს, დაწყვეტამდე მისული ნერვები კარიბის კუნძულებზე დაიწყნარა. გამგზავრების წინ კაპონეს დაურეკა: „ჩვენს ძაღლიებს უხელმძღვანელე, შეინარჩუნე სიმშვიდე, მე კი მტერს გავეცლები".

ალ კაპონე ზუსტად ისე მოქმედებდა, როგორც „ნათლიამ" უბრძანა. მოქიშპე ქურდული ბანაკის წარმომადგენლებს ანჯელო გენას ქორწილის დემონსტრატიული სამზადისით აგრძნობინა, რომ არავისი არ ეშინია. მაიკ მერლოს სიკვდილის შემდეგ „ნათლიებმა" სწორედ ანჯელოს მიანდეს პრეზიდენტობა „უნიონე სიცილიანოს" თეალუწვდენელ ორგანიზაციაში, რომელიც სიცილიის ყველა მკვიდრსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ მათს შთამომავალთ აერთიანებდა: ყოველივე ეს კი ყველაზე მეტად კაპონეს დამსახურება იყო.

ანჯელო გენას ცოლად უნდა მოეყვანა ვავლენიანი ადვოკატის, აბაზანის ჯინის არალეგალურ მწარმოებელთა უდრეკი მცველის ჰენრი სპინგოლას და ლუსი.

სეზონის უმთავრეს მოვლენაზე დასასწრებად ნეფემ მთელი ჩიკაგოს დიდკაცობა მოიწვია შთამბეჭდავი განცხადებით, რომელიც გაზეთის მთელ გვერდზე იყო დაბეჭდილი: „მოდით

ყველანი! ანჯელო გენა". მართლაც, სამი ათასამდე სტუმარი მოვიდა. ყველა გახდა მოწმე მაფიის ნადიმისა, რომელზეც გენას ბანდის სამოცმა „გორილამ" ერთტონიანი ტორტი შეშოაციმციმა. იტალიელმა კულინარმა ფერარამ ამ საკონდიტრო მონსტრის დასამზადებლად ცენტნერი შაქარი და ათასობით კვერცხი დახარჯა.

სამ დღე-ღამეს გრძელდებოდა ნადიმი. ქორწილის დამთავრებიდან ორი დღის შემდეგ ალ კაპონეს ერთ-ერთ რესტორანში რაღაც საკითხი უნდა გადაეწყვიტა ადგილობრივ პროკურორთან. მან მძღოლი და ორი პირადი მცველი მანქანაში დატოვა. ის იყო ყოვლისმძლე განგსტერი კარს უკან ცხიმალა, რომ მის მანქანას შავი ლიმუზინი მიადგა. აკაკანდა სამი ავტომატი. „გორილები" მიწას განერთხნენ, მძღოლმა კი ვერ მოასწრო. კაპონე მიხვდა, რომ დაიწყო ომი. ომი ბანდიტებით, უაღრესად მუხანათური და მზაკვრული, ომი სამმილიონიან ქალაქში, ომი, რომელსაც ვაისი და დრეზი კვლავ სათავეში.

ახალ მძღოლს კურინგიონე ერქვა. იგი სამუშაოზე სულ ცოცხალი დღის აყვანილი იყო. შემთხვევითმა გამვლელმა ორი ოვის შემდეგ იპოვა მისი სასტიკად ნაწამები გვამი. დამწვარი და იარიბით დაფარული სხეული მოწმობდა, რომ მან არ [illegible] ფეის გეგმები — როდის და სად აპირებდა კაპონე [illegible]ს. ჩიკაგოს „სათლიის" შეშინებულმა მოჯგილეებ[illegible] ფერარას მეშვეობით მიმართა საავტომობილო მრეწველობას [illegible] — დაენ

ჩიკაგოსა და ნიუ-იორკის ქუჩებში დრამატული სროლა ავტომობილებზე „ამხედრებულ“ დამნაშავეებსა და ცხენებზე ამხედრებულ პოლიციას შორის. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო მთავრობამ გადაწყვეტილება უზრუნველეყოთ პოლიციის პატრულები სპეციალური მანქანებით. მოტორიზებული პოლიციის შექმნას ბიძეი მისცა ფედერალური გამოძიების ბიურომ, მაგრამ მაფია, რომლისთვისაც მანძილების სწრაფი გადალახვა თითქმის ყოველთვის ხსნას ნიშნავდა, ფულს არ იშურებდა და თავის სამანქანო პარკს უზრუნველყოფდა ისეთი ავტომობილებით, რომლებიც ტოლს არ უდებდნენ პოლიციის მანქანებს.

1928 წელს ალ კაპონეს უკვე იმდენი ფული ჰქონდა, რომ შეეძლო ფლიტვუდში შეეკვეთა „სედანის“ ტიპის ოცდაათი ახალი „კადილაკი“. აქამდე მას ჰქონდა „ჯენერალ მოტორსის“ ფირმის ექვსადგილიანი, ოთხკარიანი სპეციალური ავტომობილი, რომლის სიგრძე ექვს მეტრს აღწევდა. ეს იყო დაახლოებით სამოცი კილოვატი (82 ცხ. ძ.) სიმძლავრის რვაცილინდრიანი ავტომობილი. ძარა გაკეთებული ჰქონდა სამსანტიმეტრიანი ფოლადის ჯავშნისაგან, ხოლო ძრავას, ავზსა და სავარძლებს ოთხი ტონა ფოლადი იფარავდა. ავტომობილი ძალზე მძიმე იყო, რაც აძნელებდა სწრაფ სტარტს. ამიტომ სისწრაფეში იგი მეტოქეობას ვერ გაუწევდა პოლიციის მანქანებს. მხოლოდ შინაგანი გაფორმება აკმაყოფილებდა სიბარიტი კაპონეს მოთხოვნებს: კაბინის კედლებზე უნაზესი აბრეშუმი იყო გაკრული, ხოლო სავარძლები ცხენის ძუით ამოვესოთ. ორი წლის შემდეგ დამნაშავეობის სამყაროს მეუფემ შეიძინა პირველი თექვსმეტცილინდრიანი ავტომობილი — „კადილაკ—452“. ავტოქარხნების ინჟინრებმა სიჩქარე საათში 170 კილომეტრამდე გაზარდეს, ხოლო 164 ცხენის ძალის სიმძლავრის ძრავას ოთხსანტიმეტრიანი ჯავშანი იცავდა.

მაგრამ არც პოლიცია თვლემდა. მას სპეციალური ტექნიკების გამოყენებით შეეძლო გაერღვია ჯავშანი. ეს იყო აგრეთვე ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ „ნათლიებმა“, რომლებსაც ოცდახუთი ათასამდე დოლარი ჰქონდათ გადახდილი „კადილაკში“, მოითხოვეს, რომ მათი მანქანების კაპოტქვეშ დაემონტაჟებინათ სარბოლი ავტომობილების ძრავები და

მუხრუჭები ყველა თვალზე დაეყენებინათ. „კოზა ნოსტრას“ უმდაბლეს წევრებს შეეძლოთ ესარგებლათ მხოლოდ იაფი „ფორდი A+B“-თი, რომლის სიიჩქარე შეადგენდა 140 კმ/სთ-ს ამ ავტომობილში ჰოვეს სიკვდილი ბონიმ და კლაიდმა, რომლებიც ხალისით თანხმდებოდნენ გადაეღოთ სურათი სხვადასხვა შეტაკების დროს.

ავტომობილი მაფიის მოღვაწეობაში სულ უფრო დიდ როლს ასრულებდა. 1933 წელს პოლიციამ უპირატესობა მოიპოვა დიდი სიმძლავრის „კრაისლერ იმპერიალის“ მოდელის წყალობით. მას ჰქონდა ტყვიაგაუმტარი სალტეები, დაჯავშნული რადიატორი და, იმისათვის, რომ სროლის დროს ეკიპაჟის წევრებს არ დასჭირვებოდათ თავის გაყოფა გვერდითი ფანჯრებიდან, საქარე ტყვიაგაუმტარ მინაში დატანებული იყო ჰატარა სათოფურები. მაგრამ დამნაშავეებს მეტი ფული ჰქონდათ, ამიტომ მათ შეეძლოთ შეეკვეთათ კიდევ უფრო სწრაფი და უფრო გამძლე ავტომობილები უკანა სათადარიგო საფეხურიანი კარითა და ჩამოსაშვები მინებით, სადაც საჭიროებისამებრ ტყვიამფრქვევის ლულას გაჰყოფდნენ ხოლმე.

მაგრამ ჯერჯერობით აღვწერთ 1925 წელს, როდესაც კაპონე შეისწავლიდა კომპანია „ჯენერალ მოტორსის“ წინადადებას. ფირმის კონსტრუქტორებმა ტყვიაგაუმტარ ფირებიან ძრავაში ჩადგეს კოლოფი რამდენიმე ავტომატისა და შაშხანისათვის. სპეციალისტებმა ყველაფერი გაითვალისწინეს. სავალი ნაწილი თითქმის მიწას ეხებოდა, რათა რომელიმე ტერორისტს ავტომობილის ქვეშ ხელყუმბარის შეგდება ვერ მოეხერხებინა. კაპონემ თავის ტანკს მაინც დაუმატა თანმხლები მანქანა. თუკი იგი გზად სადმე გადმოვიდოდა, თანმხლები მანქანა კეტავდა სივრცეს, ხოლო ლიმუზინიდან კაპონემდე გადმოდიოდნენ „გორილები“, რათა საკუთარი სხეულით დაეფარათ ბატონი. კაპონეს ბინა და კანცელარია მეტალურგიულ ქარხანას წააგავდა. განგსტერთა რამდენიმე ბატალიონის შეფი, ასე იოლად რომ სცემდა მკვლელობის ბრძანებებს, შიშით იყო შეპყრობილი, რომ ერთხელაც იქნებოდა და თვითონ გახდებოდა მსხვერპლი.

მის შიშს ფრიად სერიოზული საფუძველი ჰქონდა. იგი იცნობდა ო' ბანიონის მეგობრებს და იცოდა, როგორ ოცნე-

ბობდნენ ისინი „ნათლიის“ სავარძელზე. ალ კაპონე ყოველ მათგანთან თანამშრომლობდა მშვიდობიან დროს. ყველაზე ახლოს გაიცნო ჰაიმ ვაისი, ახლა მოსისხლე მტრად რომ გადაჰკიდებოდა. ვაისს სინამდვილეში პეტრე ვაისოვსკი ერქვა და სათავეში ედგა კლანს, რომელიც უპირატესად პოლონელი იმიგრანტებისაგან შედგებოდა.

კაპონესათვის ძალზე საშიში მოწინააღმდეგე იყო ბაგსი მორანიც, რომელიც მის მტრებს მიმხრობოდა. არ შეიძლებოდა ო' ბანიონის ყოფილი ბანდის სხვა წევრების უგულებელყოფაც.

ვაისი, მორანი, დრუჩი და ალტერი — აი, მთავარი ძალა, რომლებისთვისაც ანგარიში უნდა გაეწიათ ტორიოსა და ალ კაპონეს. ამ ოთხეულს ჰყავდა ორმოცდაათი საუცხოოდ გაწრთვნილი მაფიოზი მკვლელი. მათ ტორიოს კარიბის კუნძულებიდან დაბრუნების შემდეგ სულ რამდენიმე დღეში მიაგნეს.

პოეტურად განწყობილი „ნათლია“ 1925 წლის 17 მაისს საიუველირო მაღაზიასთან შეჩერდა მიჩიგან ავენიუზე. მას არ უყვარდა დიდი ზარ-ზეიმით სიარული კაპონეს მსგავსად, ამიტომ პირადი დაცვა შინ დაეტოვებინა. იგი მის წინ გროვად დაყრილ საყურეებს, ბეჭდებსა და გულქანდებს ათვალიერებდა და ვერც კი შენიშნა, როგორ გაჩერდა მაღაზიასთან თოვლივით თეთრი „კადილაკი.“ მზრუნველმა მეუღლემ ძვირფასი ყელსაბამი აარჩია და ცოლთან ერთად გაემგზავრა კლაიდ ავენიუზე, სადაც № 7011 სახლში შვიდოთახიანი ბინა ჰქონდა. ანინას, ტორიოს მეუღლეს, ერთი სული ჰქონდა, როდის მოირგებდა საჩუქარს, მანქანიდან პირველი გადმოვიდა და სახლს მიაშურა. ის იყო ჯონ ტორიოც შინ უნდა შესულიყო, რომ იქვე უხმაუროდ გაჩერდა მანქანა. თეთრი „კადილაკიდან“ გადმოვიდა ბაგსი მორანი, ხოლო მეორე მანქანიდან, რომელიც პირველს მოჰყვა, გადმოხტა ორი კაცი, ერთი — რევოლვერით შეიარაღებული და მეორე — ლუპარით. ტორიომ გაქცევით უშველა თავს. „ნათლია“ ისე მარდად გარბოდა, გეგონებოდათ, ტყვია ვერ დაეწევაო. მორანი მსხვერპლს გამოეკიდა, მაგრამ სანამ უკანასკნელ დარტყმას მიაყენებდა, გამოჩნდა ტორიოს დაცვა, რომელიც შურდულივით მოქროდა.

დაძრული „კადილაკიდან“ ერთ-ერთმა თავდამსხმელმა სცადა კიდევ ესროლა, მაგრამ ტყვიები აღარ ჰქონდა.

ტორიოზე თავდასხმა იმით დამთავრდა, რომ „ნათლიას“ მარცხენა ფეხი გაეკაწრა და ყბა დაეჩეჩქვა. საავადმყოფოში ტორიო სიძნელეებს წააწყდა. მას უნდა ეპასუხა პროკურორის კითხვაზე, თუ ვინ ესროლა. „განა ვინმემ მესროლა?“ — იკითხა გაკვირვებულმა ტორიომ. მეორე დღეს გამომძიებლებს განუცხადა: „დიახ, მე ვიცნობ თავდამსხმელებს, მაგრამ სულაც არ არის აუცილებელი, რომ მათ თქვენც იცნობდეთ“.

ალ კაპონე საავადმყოფოში მიიჩქაროდა და ამზადებდა თავდაცვითსა და შეტევით ღონისძიებებს. მან ორი მცველი ტორიოს პალატის კართან დააყენა და ყოველი შემთხვევისათვის შენობაში დატოვა სხვა ყმაწვილებიც, რომლებიც საავადმყოფოს პერსონალის სალათებში იყვნენ გადაცმულნი.

მკურნალობის შემდეგ ტორიო სათადარიგო გასასვლელიდან გამოვიდა საავადმყოფოდან. მისი უოკეგანის საპატიმროში მიცილება პირადად კაპონემ იკისრა. „ნათლიის“ სურვილმა, მოესადა სასჯელი, რომელიც გასული წლის მაისში მიუსაჯეს შვიდგრადუსიანი ლუდის ქარხნის საქმის გამო, გააოცა საზოგადოებრიობა. მხოლოდ კაპონემ იცოდა, რაშიც იყო საქმე. შეფი თავისი სანგრძლივი მოგზაურობის დროსაც ვერ გრძნობდა თავს მშვიდად. ყველგან შურისმაძიებელნი ელანდებოდა. „ნათლია“ ტორიოს სურდა ციხის სქელ კედლებში ეპოვა სიმშვიდე და უკეთეს დრომდე შეეცადა.

ტორიო საპატიმროში დიდი კომფორტით ცხოვრობდა. მან კატეგორიულად უარყო საპატიმროს უფროსის წინადადება, შეეძლიათ გოგონები მიიღოთო. „რა ჯანდაბად მინდა ეს როსკიპები, — უპასუხა ტორიომ. — ხალიჩები რომ გამითელონ?“.

საკნის ცენტრში იდგა მოოქროვილი საწოლი, რომელზეც ბალიშები დაესვაებინათ, კარს მიღმა კი მომველელი ქალი ფხიზლობდა. ასეთ პირობებში „ნათლიამ“ სწრაფად მოიკეთა და სასეირნოდ გასვლა კონფერენციაც კი გამართა. იგი ჯერ კიდევ საავადმყოფოში წოლისას მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სიმშვიდეს და უსაფრთხოებას მხოლოდ ნეაპოლში ბოვებდა. სასთუმალთან დაუსხდნენ ადვოკატები, მაფიის ორი ოფიცერი და ალ კაპონე.

ჯონ ტორიომ საჯაროდ განაცხადა, რომ სამუდამოდ ტოვებს

პატიოსან ვაჭრობას. ამასთან მთელ უფლებებსა და მოვალეობებს გადასცემს თავის მეგობარ კაპონეს.

„ჩემი ძირითადი კაპიტალი ჟენევასა და რომშია. ალი ყოველი დეკემბრის დამლევს გამომიგზავნის ხოლმე მილიონ დოლარს“.

„ნათლიის“ ანდერძით გულაჩუყებული კაპონე, რომელიც ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ ტახტის ხელში ჩასაგდებად თავისი მასწავლებლის საიქიოში გასტუმრება აღარ დასჭირდა, მუხლებზე დაეცა და ტორიოს ხელზე ეამბორა. „ნათლიაზეც“ იმოქმედა ამ განსაკუთრებულმა ატმოსფერომ; მან მოგუდული ხმით დასძინა: „ყოველივე ეს შენია, მთავარია, ჩემო ალ, შენ მყავდე კარგად და მარჯვედ მოიხმარო ყოველივე“.

კაპონემ მაფიოზის კვალობაზე დიდხანს იცოცხლა. მბრძანებლის კვერთხი მას მაშინ გადაულოცეს, როდესაც ვანთავისუფლებულმა ჯონ ტორიომ პირველი კლასის სამი კაიუტა შეუკვეთა უახლოეს თბომავალზე, ოკეანისგაღმა რომ მიემგზავრებოდა.

რეგულარულად, ყოველ შობა დღეს ნეაპოლის ბანკის განმკარგულებელნი ბატონ ტორიოს ამალფის ვილაში აუწყებდნენ, რომ მის კაპიტალს მილიონი დოლარი შეემატა. „ნათლიაც“ ასრულებდა თავის სიტყვას, არ ერეოდა კაპონეს გეგმებში. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დროს იყო ალის სიცილიელთა მრჩეველი. ამერიკაზე „კეთილმა“ მოგონებებმა, იგი მხოლოდ ორმოცდაათიან წლებში ჩაიყვანა ნიუ-იორკში. 1957 წლის 14 აპრილს ბრუკლინის სადალაქოს სალონი შუადღეს აჩვენებდა, როდესაც ტორიოს ინფარქტმა დაარტყა და სული განუტევა.

7. მბრძანებლის ღმერთ

ალ კაპონე ტორიოს ყოფილ იმპერიაში ისეთი სისასტიკით შეუდგა მბრძანებლობას, რომ თავისი „ლეიტენანტებიც“ კი დააფეთა. იმ ადამიანთა შორის, რომლებიც თანდათანობით გაისტუმრა საიქიოს, როგორც თავად ამაყად ამბობდა, ათამდე გამოჩენილი მოღვაწე იყო და იგი მათ მკვლელობას პირადად ადევნებდა თვალს. მაგრამ ცოცხალთა შორისაც ჰყავდა

მტრები, რომლებიც არ ცნობდნენ სახენაიარევ „ნათლიას“. მათი მოთავენი იყვნენ ჰაიმ ვაისი და ბაგსი მორანი, რომლებმაც ალ კაპონეზე ფრიად მტკივნეულად იძიეს შური.

მისის კაპონეს თავის ქმარზე საყვედური არ ეთქმოდა ,ამ დღემდე, სანამ ალ კაპონე თეატრში შეხვდებოდა ჯუნ ფრენელს. გამიჯნურებულმა ბანდიტმა ჯუნის მამას ახალ ორლეანში ნახმარი ავტომობილების მაღაზია უყიდა და მთელი მისი ვალებიც გაისტუმრა. ეს სიყვარული ალს ასი ათასი დოლარი დაუჯდ'. ჯუნ ფრენელს კი კაპონემ აჩუქა კომფორტაბელური ბინა ჩიკაგოში და კართან პირადი დაცვა დაუყენა.

მაგრამ ერთ დილას კაპონემ თავისი ქალბატონი საძინებელ ოთახში მკვდარი ნახა. ამის შემდეგ კაპონე რამდენიმე დღით გაქრა. რაში დასჭირდა გაქცევა, თუ ჯუნი მისი მოკლული არ არისო? — კითხულობდა ხალხი. შურისძიება მართლაც სასტიკი გამოდგა, მაგრამ კაპონეს უბედურება ამით არ დამთავრებულა. მას აუმხედრდნენ მყიდველები, რომლებსაც ეგონათ, მაფია ანგარიშს მხოლოდ თავის მოწინააღმდეგეებს უსწორებდა.

ერთი კვირის შემდეგ პოლიციამ გამოაცხადა, რომ კაპონეს ალიბი ჰქონდა. კრიმინალისტებმა იპოვეს ორი მოწმე, რომლებმაც დაინახეს, რომ მკვლელობის დღეს ჯუნ ფრენელის ბინიდან ორ კაცს დიდი ჩემოდნები გამოჰქონდა.

ჩემოდნებში მათ ჩაედოთ დანაკუწებული გვამი მცველისა, რომელიც კაპონეს საყვარელს სდარაჯობდა.

გამოირკვა „ნათლიის“ გაქრობის ამბავიც. კაპონეს წუთითაც არ ეეჭვებოდა, რომ სატრფო ვაისმა მოუკლა, და ამჯობინა გამქრალიყო, რათა გაეძლიერებინა თავისი პალერმოელი მებრძოლების რაზმი. თავდამსხმელთა ოცეული შეაიარაღა ტყვიამფრქვევებითა და „ანანასებით“, როგორც უწოდებდნენ მილსის ხელყუმბარებს ქურდულ ჟარგონზე. ალმა შექმნა კიდევ ერთი შტაბი სასტუმრო „მეტროპოლში“, მიჩიგან ავენიუზე. თავის ბინაში, რომელიც რვა ოთახისაგან შედგებოდა, კაპონემ ერთი ოთახი დაუთმო პირად დაცვას, ხოლო პირველ სართულზე მოაწყო სპორტული დარბაზი: ჩემი სამუშაო სპორტულ ჩვევებს მოითხოვს, რომელიც კაცს ასაკისა და წონის მატებასთან ერთად აკლდებაო.

მაგრამ შურისმაძიებელი ვაისი არ ისვენებდა. დროდადრო კაპონე ჩადიოდა ციცეროში, სადაც სათადარიგო შტაბი ჰქონდა.

მან შეასრულა პირობა, მრავალი წლის წინ რომ მისცა ციცეროს მერს ედ კონვალინკს — აქ მერად ყოველთვის ის კაცი იქნება, ვინც მე მინდაო.

სამრეწველო ქალაქ ციცეროს „დამცველს“ მან ყოველი შემთხვევისათვის გამოუყო განსაკუთრებული რაზმი, რომელიც ტორიოს ყოფილ „თავდამსხმელთა ბრიგადის“ წევრებისაგან შედგებოდა.

20 სექტემბერს შუადღისას ბიფშტექსებისა და ტკბილი ღვინოების მოყვარული ალ კაპონე თავისი მებრძოლების მეთაურთან ფრენკ რიოსთან ერთად ციცეროს საუკეთესო რესტორანში იჯდა. მათ უამრავი სამუშაო ჰქონდათ. მეორე დღეს ჰოთორნში დოღის სეზონი იწყებოდა. მათ გამოეპარათ, რომ მაყურებელთა და მონაწილეთა მანქანებს შორის შეიძლებოდა ყოფილიყო ვაისის სამხედრო ესკორტიც, რომელშიც რამდენიმე გადახურული ავტომობილი შედიოდა. მისი ავტომობილი რესტორანს მიადგა და ავტომატის ჯერით გააფრთხილა კაპონე, რომ ომი გრძელდება. როდესაც სროლა შეწყდა, დამნაშავეთა მეუფე იატაკიდან წამოხტა და დააპირა გარეთ გავარდნილიყო. ფრენკ რიო მიხვდა, რაშიც იყო საქმე და „ნათლია“ გააჩერა: „არა! ნუ იზამთ მაგას. ეს მხოლოდ ოინია. მათ უნდათ, გარეთ გაგიტყუონ!“. ნიუ-იორკელი ექსპერტი რიო, იგივე „გაქნილი“, მართალს ამბობდა. სამი წუთი სიჩუმის შემდეგ ვაისის ბრიგადის წევრებმა სროლა განაახლეს. რესტორანთან დაყენებული ორმოცამდე მანქანა ამ კანონადას ემსხვერპლა. ზოგიერთი ავტომობილი იწვოდა, დანარჩენებს კარ-ფანჯარა ჰქონდათ შელეწილი. „ეს იყო ნამდვილი ომი!“ — განაცხადა მეორე დღეს გაზეთ „ჩიკაგო ჰერალდის“ მიმომხილველმა მოწინავე სტატიაში. ამ შემთხვევის თავისებურება ის იყო, რომ ცეცხლდაშენილთაგან არავინ დაღუპულა. კაპონეს გუნდის ერთადერთი მძიმედ დაჭრილი წევრი ჯიმი ბარკო ჩვეული თავაზიანობით უმტკიცებდა გამომძიებლებს, რომ ძებნილი ვაისი აგერ უკვე წელიწადზე მეტია თვალით არ ენახა — „აბა, როგორ შეეძლო თავს დაგესხმოდა?“

განრისხებულმა კაპონემ ფიცი დადო, რომ სულ მალე იძიებდა შურს. მან შეავსო თავისი მებრძოლების რიგები და 11 ოქტომბერს ბრძოლა მოიგო. კაპონემ უარი თქვა გაქანებული ავტომობილიდან ტყვიამფრქვევის ცეცხლის დაშენაზე, რომელსაც თავის დროს იყენებდა, და ამჯობინა უფრო საიმედო ტა-

ქტიკა: ციცეროში ვაისის შემოჭრიდან მეორე დღეს კაპონეს ერთ-ერთმა დამქაშმა დაიქირავა მთელი სართული, რომლის ფანჯრებიდან მოჩანდა ეკლესია, სადაც ვაისს უყვარდა სალოცავად სიარული. ეს 11 ოქტომბერს დილის ათ საათზე მოხდა. როდესაც სროლა შეწყდა, მიწაზე ეყარა ვაისისა და მისი ამხანაგების ხუთი გვამი. ვაისს სხეულში თორმეტი ტყვია უპოვეს. ალ კაპონემ სახელდახელო პრესკონფერენციაზე განაცხადა: „ძალიან ვწუხვარ, რომ დაიღუპა ვაისი, ჩემი ძველი ამხანაგი. ჩვენ საუკეთესო მეგობრები ვიყავით. მას კიღევ დიდხანს უნდა ეცოცხლა. იგი სიმ მხოლოდ 29 წლის იყო. მე ამ ამბავთან საერთო არაფერი მაქვს. და თუ ვინმე რაღაც სხვას ამბობს, მაშინ ცილს მწამებს, და სასამართლოში ვუჩივლებ! დაწერეთ ეს ვაზეთში, ემაწვილებო, დაე იცოდეს ყველამ, ვისაც ესებას!“

უფლის ტაძართან დამარცხების შემდეგ ვაისის ბანდამ გადაწყვიტა დათანხმებოდა კაპონეს პირობებს და ეცნო იგი ბოსად. თუმცა, რაღა ჩარა ჰქონდათ: მოთავეები ო' ბანიონი და ვაისი ცოცხლებში აღარ ეწერნენ, გენების ბანდის ნაშთებმა ხელი აიღეს ჯინის მონოპოლიაზე კაპონეს სასარგებლოდ, ხოლო მაფიის სხვა „ოჯახების“ რიგები კაპონესთან სროლაში ხშირ შეჯიბრებათა შედეგად ფრიად შეთხელებულიყო. თუმცა მათ მაინც არ უთქვამთ საბოლოოდ უარი შურისძიებაზე და ფრიად უკმაყოფილონი ადგენდნენ თვალს კაპონეს თავბრუდამხვევ აღზევებას. ისინი აღშფოთებულნი და შეურაცხყოფილნი იყვნენ, რომ ალ კაპონემ მიითვისა სიცილიის მაფიის უზენაესი შეფის — „კაპო დი ტუტი კაპის“ ტრადიციული ტიტული, თუმცა, „სადღაც ნეაპოლში“ დაბადებულიყო.

ჩიკაგოს დამნაშაეეთა სამყაროს მბრძანებლის ნამდვილ რისხვას იწვევდა „უნიონე სიცილიანოს“ არსებობა, რომლის პრეზიდენტიც კაპონე ვერ იქნებოდა სწორედ იმის გამო, რომ წარმოშობით ნეაპოლიდან იყო. ალს ამასთან თავის მოსისხლე მტრად მიაჩნდა კაეშირის პრეზიდენტი ანჯელო გენა, რომელიც სულაც არ მალაეღა, რომ ცოცხალი თავით არავის დაუთმობდა თავის ადგილს.

კაპონეს მთელი არსებით ეწადა, რომ ანჯელო გენა რაც შეიძლება მალე გამქრალიყო. მაგრამ პრეზიდენტს საიმედო ფარი ჰქონდა: მისი ცოლისძმა იყო მაფიის ადეოკატი ჰენრი სპინგოლა. ახლა ჯანმრთელობას არ იკითხავთ? მას მხოლოდ საკუთარი

თავი უყვარდა და მხოლოდ მაშინ უფუჭდებოდა გუნება, როდესაც ისეთი დავალება უნდა შეესრულებინა, რომელიც ვინმეს მკელელობით არ მთავრდებოდა. ანჯელოს მხარში ედგა ხუთი ძმა—კლასიკური სიცილიური მაფიის ხუთი „ლეიტენანტი", რომელთაც სულაც არ შურდათ მისი „ნათლიობა" და პრეზიდენტობა! შესანიშნავი მსროლელი ანჯელო გენა ყოველ წამს მზად იყო სროლისათვის და მთელი თავისი დღე და მოსწრება ცხოვრობდა პრინციპით: ქონება ეკუთვნის არა იმას, ვისაც იგი ნოტარიუსმა საბუთებით გაუფორმა, არამედ იმას, ვინც ამ ქონებას ხელში ჩაიგდებს, და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, — რა გზით. თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ამას, იგი შეგვიძლია დღეგრძელადაც კი ჩავთვალოთ.

თავისი მბრძანებლობის მეშვიდე თვის პირველ დღეს ანჯელო მანქანით მიდიოდა ოგდენ ავენიუზე სამხრეთის მიმართულებით. შემდეგ მოვლენები ძველი სცენარის მიხედვით განვითარდა: გვერდიდან ქუჩიდან გამოეარღა შავი ლიმუზინი, გზა გადაუკეტა ანჯელოს ავტომობილს და დაიწყო საკმაოდ ჩვეულებრივი სცენა. სროლამ სულ ცოტა ხანს გასტანა. „უნიონე სიცილიანოს" პრეზიდენტმა პროტექციით იშოვა ადგილი სასაფლაოზე ნათლია ო' ბანიონის მახლობლად.

გამოთხოვების ცერემონიალმა მაფიოზების „გულუხვობის" ყველა ნიშანი გამოამჟღავნა. ვერცხლის ტახტრევანი კავშირის წევრებს თორმეტი ათას ხუთასი ღილარი დაუჯღათ. მოოქროვილ კუბოს, ცნობილ პოლიტიკურ და სასელმწიფო მოღვაწეებთან ერთად, მიჰყვებოდა ხუთასამდე იტალიელი კოლონიისტი, რომლებსაც განსვენებულის დავალებით ერთ დროს თავიანთი საშიარეულოები შინაურ არაყის სასდელებად გადაეკეთებინათ; აბაზანის ჯინის მწარმოებლებს უკან მოსდევდა ათიათასიანი ბრბო. კუბოსთან იდგა „ღრმად დამწუხრებული" ალ კაპონე. ძმები გენები ხუთნიდა დარჩენილიყვნენ. შემდგომ მაფიოზიცხეი სწრაფად კლებულობდა. გავიდა სამი კვირა და განსვენებულს მიჰყვა აიკი, მეტსახელად „ქაჯი", რომელიც ჩვიდმეტი ტყვიით იყო დაცხრილული. დაკრძალვის ცერემონიალი ისეთი მდიდრული არ ყოფილა, როგორიც მისი ძმისა, თუმცა აიკი კლანს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ემსახურა: როგორც კი მის თავზე პოლიციელი დაიხარა, რათა დახმარება გაეწია, აიკმა წესრიგის დამცველს კოლტი დაახალა. ეს მოხდა ორშა-

ბათს, ხუთშაბათს კი ჯუზეპე გენა გაუყენეს საიქიოს გზას. ხოლო როდესაც არისტოკრატ ტონი ჯენტლმენის აღსასრულიც დადგა, ძმები გენების ვარსკვლავი საბოლოოდ ჩაესვენა. მათი ამოხოცვის შემდეგ ალ კაპონემ ბოლოს და ბოლოს შეძლო ჩიკაგოს სიცილიაზეც გამეფებულიყო. ამ იმედს განუმტკიცებდა ის გარემოებაც, რომ ახლა „უნიონე სიცილიანოს" პრეზიდენტი გახდებოდა მისი ერთგული მეგობარი ლომბარდო.

კაპონეს მრავალი ბინა ჰქონდა: ხან ფეშენებელურ ოტელში ცხოვრობდა, ხან თავის სასახლეში — ჩიკაგოს გარეუბანში, ხან კი ბისკანის ყურის პირას, თოთხმეტოთახიან ვილაში. ყოველ დილას, საუზმისათვის რომ ემზადებოდა, ახალ აბრეშუმის პიჟამოში გამოეწყობოდა და ხელის გაწვდენაზე გატენილ პისტოლეტს დაიდებდა ხოლმე. მაგრამ ცნობამ, რომ „უნიონე სიცილიანოს" შეფი მისი ნების საწინააღმდეგოდ გახდა განსვენებული გენას ერთგული თანამოსაქმე სანუტს ამატუნა, განარისხა ალ კაპონე და შეაწყვეტინა მშვიდობიანი ცხოვრება. მან დაუყოვნებლივ მოიხმო „ლეიტენანტები" და ბატალიონის მეთაურები. „ამჯერად ჩვენ არა გვაქვს დრო ათასგვარი დიპლომატიური სისულელისათვის!". თავმომწონე სანუტს ამატუნა 1925 წლის უკანასკნელ დღეს სადალაქოში გაეშურა საკუთარი სიკვდილის საძებნელად. ის იყო სავარძელში მოიკალათა, რომ სალონში კიდევ ორი მამაკაცი შევიდა. პირველმა ოთხჯერ ესროლა და ოთხჯერვე ააცილა (მოგვიანებით მას საკადრისი მიეზღო უნიათობისათვის). სამაგიეროდ მისი კოლეგა ისე დინჯად მოქმედებდა, თითქოს ტირში ისვრისო.

ახლა უკვე მედგარი სიცილიელებიც გატყდნენ და ორივე ხელით მისცეს ხმა კაპონეს კანდიდატს — ლომბარდოს. ეს კარგ დროს მოხდა. საქმე ეხებოდა კაპონეს მონოპოლიას ალკოჰოლის მიწოდებაში. 15 ათას შინაურ მწარმოებელთაგან უმრავლესობა სამუშაოს იღებდა მხოლოდ „უნიონე სიცილიანოს" ხელმძღვანელობის მითითებით. ალ კაპონეს სურდა დაუფლებოდა აბაზანის ჯინის წარმოებასაც და შეეერთებინა იგი თავის ლუდის ქარხნებთან. მაგრამ გაერთიანებას მხოლოდ სიცილიელთა კავშირის თანადგომით თუ შეძლებდა, და თანაც გადამწყვეტ მომენტში თავი იჩინა სხვა სიძნელეებმაც.

პატარა, მაგრამ ეშმაკი დრუჩი-„ინტრიგანი" კვლავ გზაზე გადაეღობა. მასთან ერთად იყო ბაგსი მორანიც. ისინი ერთად

დაესხნენ თავს კაპონეს, რომელიც მანქანით მიდიოდა. გადარჩენილმა კაპონემ მანქანა თავის პირველ „ლეიტენანტს“ გადაულოცა, ფირმა „ჯენერალ მოტორსს“ კი შეუკვეთა ახალი — უკვე მესამე — მანქანა-ტანკი, რომლის ტყვიაგაუმტარი მინების სისქე შვიდ სანტიმეტრ-ნახევარს აღწევდა. როგორც წინა მანქანაში, „ნათლიამ“ ამ ახალშიც 24 ათასი დოლარი გადაიხადა და, როდესაც ფოტოგრაფებმა ამ მომენტის უკვდავყოფა დააპირეს, მან ხელი დააფარა სახელმწიფო მარკას, რათა ნომერი არ გამჟღავნებულიყო. ამის თაობაზე ჩიკაგო დიდხანს იცინოდა. ყველამ იცოდა, რომ მძლავრი ჯავშნოსანი ავტომობილი კაპონეს ეკუთვნოდა და დანახვისთანავე ეცლებოდნენ გზიდან.

იმ დროს ვაშინგტონი ჯერ კიდევ არ იცნობდა მაფიას, სენატორები არხეინად დასეირნობდნენ ქუჩებში და მშვიდად ცხოვრობდნენ, ხოლო ალ კაპონეს შორეულ ჩიკაგოში უკვე გული შევარდნოდა ამ ქალაქზე. იმიტომ კი არა, რომ ჰუმანური გრძნობები დაუფლებოდა, არა, საქმე ის იყო, რომ ვაჭრობას სულ უფრო ნაკლები მოგება მოჰქონდა. და აი, „ნათლიების“ ნეაპოლელი „ნათლია“ შეუდგა მეგობრობისა და თანამშრომლობის ქადაგებას. 1926 წლის 20 ოქტომბერს ღამით ჩიკაგოს ოტელ „შერმანში“ მოქიშპეებმა მშვიდობის ყალიონი გააბოლეს. მდიდრულ დარბაზში მაფიის ისტორიაში პირველად შეკრებილიყვნენ ბჭობისათვის ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა შტატიდან ჩამოსული „ნათლიები“. პრეზიდიუმში ისხდნენ კაპონე, მისი ბანდების უმაღლესი „ლეიტენანტი“ შელდონი და ჯეიკ გუზიკი. საპატიო ადგილებზე დაებრძანებინათ ო'ბანიონის ყოფილი კლანის ახალი „ნათლია“ „ინტრიგანი“ დრუჩი და მისი მოადგილენი. მონაწილეთა შორის იყო ათობით „ღვაწლმოსილი მოღვაწე“, რომლებმაც ამჯობინეს ზავი დაედოთ, სანამ კაპონე სიცოცხლეს მოუსწრაფებდა.

ალ კაპონემ თავისი იმპერიის შენარჩუნებისა და ალკოჰოლის შეუფერხებელი წარმოების ინტერესებისათვის დამსწრეთ შესთავაზა მთელი ტერიტორიების ხელახლა გადანაწილება, დამნაშავეთა ამნისტია და ყოველგვარი დავის გადაწყვეტა სროლის აუტეხავად, ოღონდ, მისი თავმჯდომარეობით. სხდომის დასასრულს კაპონემ ჩაატარა სემინარი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ: „მერე, დიიდი ბილ ტომპსონი კვლავ აცხადებს პრეტენზიას თანამდებობაზე, მზადდება შტატის გუბერნატორის

არჩევნები, ამიტომ მოუსმინეთ ჩემს მოადგილეს იურისპრუ-დენციის დარგში, რომელიც აგიხსნით მერის არჩევის მეთოდს".

ყველაზე საჩოთირო პრობლემა თათბირის ბოლოს წამო-ტიეტიეადა. ალ კაპონეს მოეწადინებინა სამუდამოდ შეერაცხა ივი „ნათლიების ნათლიად". მისი სურვილის წინააღმდეგ არა-ვის გაულაშქრია, ყოველ შემთხვევაში — ხმამაღლა.

ჩიკაგოს სიურპრიზი ელოდა. დაზავებამ სამოცდაათ დღეს გასტანა. მოქალაქენი ხარობდნენ: წინა წელს მაფიის წყალო-ბით 126 გასვენების მოწმენი გამხდარიყვნენ. მაგრამ მოქალა-ქეთა სიხარულმა დიდხანს არ გასტანა. სამოცდამეთერთმეტე დღეს კაპონემ გასცა ბრძანება: „ავირჩიოთ დიდი ბილი!". ამაოდ აფრთხილებდა გაზეთი „ჩიკაგო ტრიბუნი" მოქალაქე-ებს: „თუ ჩვენ კვლავ გავუღეთ ქალაქის მმართველობის კარი ტომპსონის ხროვას, მაშინ ჩიკაგოს საუკეთესო ჯარის ნაწილ-ები დასჭირდება. ისინი აქ გაცილებით უფრო საჭირონი იქნებ-იან, ვიდრე ნებისმიერ ბრძოლის ველზე".

ტომპსონმა საბოლოოდ მოწინააღმდეგეზე ოთხმოცდასამი ათასით მეტი ხმა მოიპოვა. ჩიკაგოს კვლავ უიმედობა დაე-უფლა, აღარავის სჯეროდა ხვალინდელი დღისა. მათ შორის თვით კაპონესაც, რომელსაც ამ დროისათვის ორმოცდაათ ოთახამდე გაეფართოებინა თავისი ბინა, სადაც ყოველ კვირას, დილის ლოცვის შემდეგ იღებდა ხოლმე მოქრთამულ ჩიკაგო-ელ მოხელეებსა და პოლიციის რაზმის წევრებს.

კანონით ოფიციალურად აღიარებული სიცილიელთა კავ-შირის შუამავლობით „ნათლია" კაპონე მცირე ხანში ქალაქ-ის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოღვაწე გახდა. როდესაც ფაშისტთა დიქტატორმა მუსოლინიმ ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი წარმომადგენელი დე პინედო გამოგზავნა, იტალიელთა მისიის მეთაურის დამხვდურთა შორის იყო ალ კაპონეც, რომელიც სალამოს საზეიმო დარბაზობის მონაწილეც გახდა. და მაინც, მოვლენები მთლად ისე არ ვითარდებოდა, რო-გორც მას ეწადა. სასტუმრო „შერმანში" დადებული ზავი ისტო-რიის კუთვნილება გამხდარიყო.

ყველაზე ძლიერი ბირთვი, რომელიც კონფერენციის შემ-დეგაც უარყოფდა კაპონეს სამუდამო ბატონობას, შექმნეს გაუ-ტეხავმა ძმებმა აიელებმა და დრუჩი „ინტრიგანმა". ტომპსონის არჩევის შემდეგ ისინი კვლავ აჯანყდნენ. კაპონემ მაშინვე მოამ-

ზადა ფრონტალური შეტევა და ძველი პირადი გვარდია განმტკიცა ოცდარვა გამოცდილი მსროლელით — ნიუ-იორკის დამნაშავეთა სამყაროს მარჯვე ჩუბინებით. გავიდა სულ ცოტა ხანი და ჩიკაგოს დასავლეთით ველზე ეიღაც მაწანწალა ორ გვამს წააწყდა. მათმა ამოცნობამ სენსაცია გამოიწვია. მოკლულთაგან ერთი იყო პროფესიონალი განგსტერი ჯიმ დოჰერტი, ხოლო მეორე — სახელმწიფო პროკურორი უილიამ მაკსვეგინი. მას მაფიის მოუსყიდველი და მიუდგომელი მდევნელის რეპუტაცია ჰქონდა. ვინ და რატომ მოკლა ერთად სისხლის სამართლის დამნაშავე და სასამართლოს მოხელე? ან ვინ დააწვინა გვამები ისე, თითქოს ერთმანეთს ხელს ართმევენო? გამოძიებამ ცხადყო, რომ უილიამ მაკსვეგინმა რამდენიმე წლის წინ სცადა ემხილებინა ალ კაპონე მკვლელობაში და დაიწყო ახალი საქმე „ნათლიის" წინააღმდეგ, ხოლო ჯიმ დოჰერტი დახმარებას დაპირებია შესაფერისი გასამრჯელოს საზღაურად. სასამართლო საქმეში გაჩნდა სიტყვები: „დადგენილია, რომ მაკსვეგინისა და ჯიმ დოჰერტის მკვლელებს წარმართავდა ალ კაპონე, ანუ სახენაიარევი". მაგრამ კაპონეს კვალი გამქრალიყო. პოლიცია მისი ქალაქგარეთა რეზიდენციიდანაც პირში ჩალაგამოვლებული დაბრუნდა.

კაპონეზე, რომელსაც ამ დროისათვის მხოლოდ ოცდაათი წელი შესრულებოდა, ისეთი გავლენა მოახდინა საქმის სერიოზულმა გამოძიებამ, რომ ნერვებმა უმტყუნეს. „ნათლია" მხოლოდ შემდეგი წლის 28 ივნისს გამოჩნდა ჩიკაგოში. იგი ლუიზიანის ერთ-ერთ კურორტზე ისვენებდა. ხოლო ჩიკაგოში გამართულ პრესკონფერენციაზე მისთვის ჩვეული უტიფრობით განაცხადა: „ეიღაცას ჩემი ჯინი სჭირს, გამუდმებით მაბრალებს რაღაც სიბილწეს. უმცროსი მაკსვეგინის სიკვდილში მე ხელი არ მირევია. რატომ? იგი კარგი ყმაწვილი იყო, სიკვდილის წინ ჩემთან მოვიდა და ვისკი მთხოვა, მამარემისათვის მინდაო. მოგეხსენებათ, ალკოჰოლი ძნელი საშოვნელია და მეც შეეუსრულე თხოვნა".

სასამართლოდან კაპონე წელში გამართული გამოვიდა, სქელ ტუჩებზე ჩვეული დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა. მაგრამ გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები, რომლებმაც თავად იკისრეს მისი საქმის გამოძიება, თვალს არ აშორებდნენ. ჯერჯერობით კი ხელჩასაჭიდი არაფერი ჰქონდათ. თუმცა იცი-

დრეს, კაპონე ხელსაყრელ მომენტს, ელოდა, რათა დრო ეხელ-ოა და სიცოცხლეს გამოესალმებინა დრუჩი. ასეთი მომენტიც დადგა. „ინტრიგასს“ ცამეტი ათასი დოლარი „გადასახადი“ მიჰ-ქონდა ჩიკაგოს რატუშაში ჯანდაცვის განყოფილების გამგეს-თან. კაპონეს მსროლელთა ავტომობილი წამით შეჩერდა ტრო-ტუართან იმ შენობის წინ, რომელშიც დრუჩი შედიოდა ფულით გატენილი პორტფელით. სროლის შემდეგ გამოძიების ფედერა-ლური ბიუროს აგენტების მიერ დაპატიმრებულმა დრუჩიმ „ვერ გაიხსენა“, ვინ უპირებდა მოკვლას. იგი დაჟინებით უარ-ყოფდა გამოძიების ფედერალური ბიუროს მტკიცებას, რომ კაპონეს სურდა ისიც ო'ბანიონის მსგავსად საიქიოს ტაესტუმ-რებინა. ახალი 1928 წლის დამდეგს ალკოპოლის ბანდიტმა დოზამ გონება დაუბნელა ბაგსი მორანს. მას სტანჯავდა წად-ილი — სიხლი აეღო „ნათლია“ ო'ბანიონის მოკვლისათვის, ავიწყდა ის, რომ კაპონე ერთობ დიდხანს მბრძანებლობდა და-ნაშავეთა სამყაროს. პირველი თავდასხმა ბაგსმა ტონი ანტონ-ის რესტორანში მოაწყო. ამ დაწესებულებაში, რომელიც გან-თქმული იყო თავისი საუცხოო სამზარეულოთი, ცალკე ოთახ-ში ბოსი კაპონე დაბრძანებულიყო და საყვარელ ბიფშტექსს შეექცეოდა. გვიან ღამით, როდესაც რესტორანის პატრონს ეპაასებოდა, ვიღაცამ კარზე დარეკა. „გვიანი სტუმრები არი-ან“, თქვა ტონიმ, „წავალ, უკან გავაბრუნებ!“. ტონი აღარ და-ბრუნებულა. მისი გვამი პოლიციამ სანაგვეზე იპოვა ჩიკაგოს ეარეუბანში.

„ნათლიების ნათლიის“ ლიკვიდაცია ორჯერ სცადა „ინტრი-განმა“ დრუჩიმ. მისი რაზმი ამ ოპერაციისათვის დიდი მონდო-მებით ემზადებოდა. კლივლენდის საჭურვლის ფირმამ ისინი მოამარაგა სპეციალური ჭურვებითა და ხმის ჩამხშობებით. კაპონეზე თავდასასხმელად მათ ამოარჩიეს სამორინე — „ჰოტ სპრინგსი“ არკანზასში, სადაც დასვენებას აპირებდა ვადა-ღლილი „ნათლია“. და მაინც, გაბოროტებულმა დრუჩიმ, და-სვენების მაგიერ მუდმივსასუფეველს რომ უმზადებდა კაპონეს, რვა მეტრის მანძილიდან ააცილა ტყვია. შემდეგი თავდასხმა კურორტიდან დაბრუნებისას მოუწყვეს კაპონეს. თავდამსხმელ-ებმა ბოსს ჯავშნოსანი ავტომობილიდან გადმოსვლა არ აცალეს ღ. სროლა აუტეხეს. ალი მანქანიდან გადმოხტა და სახლს ამო-ეფარა. ასე ადვილი ალ კაპონემ თავიდან შურისგება. თავდას-

ხმის შემდეგ დრუჩი და მორანის ბანდის წევრები მაშინვე გაემგზავრნენ, რათა დაერბიათ ყოფილი მერის, დეევრის საარჩევნო ცენტრი, რომელსაც კვლავ წამოეყენებინა თავისი კანდიდატურა და ქადაგებდა კანონების განუხრელ დაცვას და ამერიკიდან მაფიოზების გაძევებას. შენობა ჯერ არ დამწეარიყო, რომ დრუჩის უკვე ხელბორკილი ჰქონდა დადებული. მეორე დილით ადვოკატმა თავდებით გამოაშვებინა იგი, ხოლო პოლიციის კაპიტანმა მას თავისი ხალხი გააყოლა საპატიმრიდან მთავარი კომისარიატის კანცელარიაში მისაცილებლად. მანქანაში, რომელსაც დრუჩი გადაჰყავდა, იჯდა პოლიციელი დემ ჰილი, რომელიც მაფიოზების მოსისხლე მტერი იყო. ერთი თვის წინ განგსტერებს მისი ძმა მოეკლათ.

დრუჩი მანქანაში ორ პოლიციელს შუა იჯდა. ფოლადის სამაჯურით იგი სწორედ ჰილისთან იყო მიბმული. დრუჩიმ, სცადა თავისუფალი ხელით ბუდიდან ამოეცალა პოლიციელისათვის იარაღი, ჰილიმ კი, რომელიც განგსტერთა ოინებში დიდად ვერ ერკვეოდა, არც აცია, არც აცხელა და დრუჩის ორი ტყვია დაახალა თავში.

მძღოლმა გეზი შეიცვალა და მანქანა მორგთან გააჩერა. დრუჩის ადვოკატმა პოლიციის შეფს მოსთხოვა, რომ მას ჰილისათვის წაეყენებინა განზრახ მკვლელობის ბრალდება, მაგრამ დრო შეცვლილიყო: პოლიციის პრეზიდიუმის შეფმა უარყო ადვოკატის მოთხოვნა. განგსტერის დაკრძალვის ცერემონიალი, როგორც ყოველთვის, ექსტრავაგანტური იყო. გათხრილ სამარესთან სამგლოვიარო დელეგაციაში გვერდიგვერდ იდგნენ განსვენებულის მეგობრები და მტრები, პოლიტიკური თანამოსაქმეები და მოწინააღმდეგენი. კაპონეს, რომლის მიკვლაც ამდენჯერ სცადა დრუჩიმ, გვერდში ამოსდგომოდა ბაგსი მორანი. ორივენი გულამოსკვნილი ტიროდნენ და ამასთან თავს იტეხდნენ, როგორ გამოესალმებინათ ერთმანეთი წუთისოფელს. აქ ბაგსს აშკარა უპირატესობა ჰქონდა.

ყოველ სიცილიელს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი „წათლიობის“ ნატვრა. ამით ისარგებლა ძმები აიელების კლანმა, რომელიც მოელაპარაკა ბაგსი მორანს და წინაღუდგა კაპონეს მონოპოლიას — თავად დაენიშნა „უნიონე სიცილიანოს“ პრეზიდენტები. მათ ფარულად მოიხმეს მაფიოზთა „ოჯახების“ დელეგატები კლივლენდიდან, მილუოკიდან, სენტ-ლუისიდან,

ნიუ-იორკიდან, პიტსბურგიდან და დეტროიტიდან. გრძელ საბრალდებო აქტში მათ „უნიონე სიცილიანოს“ პრეზიდენტი მოხსენიებული ჰყავდათ მხოლოდ კაპონეს, ამ წყეული ნეაპოლელის მარიონეტად, რომელიც ჯრად აგდებს სიცილიელთა ზნეჩვეულებებს. მაგრამ სავაჭრო ინტერესების გამო ამ თათბირის ერთ-ერთმა მონაწილემ ისინი კაპონესთან დაბეზღა, რომლის მრისხანებას მალე თორმეტი კაცის სიცოცხლე შეეწირა. სასოწარკვეთილმა აიელებმა ბაგსი მორანთან და კაპონეს რამდენიმე სხვა მოწინააღმდეგესთან ერთად გამოიტანეს დასკვნა: „თუ სიცოცხლე გვინდა, კაპონე ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავაღუბოთ“.

მაგრამ შეთქმულნი საკუთარი ძალებით კაპონეს ვერ გაუმკლავდებოდნენ, ამიტომ მკვლელების დაქირავება გადაწყვიტეს. აიელებისა და მორანის აგენტები შტატების სხვადასხვა კუთხეში გაემგზავრნენ. განგსტერებს სთავაზობდნენ ორმოცდაათ ათას დოლარს ნაღდ ფულად და მგზავრობის ხარჯების გასტუმრებას.

ამასობაში კი კაპონე აჯამებდა თუ, რამდენი დაუჯდა ორი კონკურენტის საიქიოს გასტუმრება, რათა თვინიერი და დამყოლი ლომბარდი კავშირის პრეზიდენტი გაეხადა. ამ ფიქრში იყო გართული, როდესაც ადიუტანტებმა აცნობეს, აიელების „მბრძანებლებმა“ „უნიონე სიცილიანოს“ პრეზიდენტს დღისით-წასვლით, სთვითისა და მედისონ ავენიუს ყველაზე გამოცოცხლებულ კვანძებზე ტყვიით ნასვრი კეფა წაეცალესო. ლომბარდოს პირად მცველს სერსემალში მოსვედროდა ტყვიები და ორიოდ საათში ისე გარდაიცვალა, რომ მკვლელის სახელის თქმა ვერ მოასწრო. „სიცილიანოს“ უმაღლეს ორგანოში ლომბარდი შეცვალა პასკვალინო ლოლორდომ, ასევე კაპონეს დაქაშმა. მისი პრეზიდენტობაც ცოტა ხანს გაგრძელდა. ერთ საღამოს მან თითო ჭიქის გადასაკრავად დაპატიჟა რამდენიმე ამსანაგი. შეხვედრა ძალზე მშვიდობიანად და ტკბილად მიმდინარეობდა, სანამ ბატონი პრეზიდენტის მეუღლე ტუალეტში გავიდოდა. ქალბატონს მოესმა ორი გასროლის ხმა, მაგრამ მაფიის კანონების ერთგულმა გამომძიებლებს მხოლოდ ის უთხრა, რომ მეგობრობის ამაღლებული გრძნობისა აღარაფერი მჯერაო.

სიციელიელებმა კავშირის ახალ პრეზიდენტად აირჩიეს ჯო

აიელა. ხოლო მსტოვრებმა კაპონეს მოახსენეს, რომ ჯოს მოსყიდული ჰყავდა რესტორან „ლითლ იტალი კაფეს“ შეფი, რათა მას კაპონესათვის კერძში კალიუმის ციანიდი ჩაეყარა.

გაუთავებელმა თავდასხმებმა, რომლებიც დაკრძალვის ბრწყინვალე ცერემონიალით მთავრდებოდა, სულ მიალად აუშალეს კაპონეს ისედაც დაძაბული ნერვები. ამიტომ ალ კაპონემ გაიჩინა დაზვერვის საკანონებო სამსახური, რომელიც ნიადაგ აცნობებდა მას, თუ რა მზადდებოდა მის წინააღმდეგ. მზადდებოდა კი ბევრი რამ. პირველი, ვინც აიელებისა და მორანისაგან „ნათლია“ კაპონეს მოკვლის სარფიანი წინადადება მიიღო, იყო ანტონიო ტორხიო, ნიუ-იორკელი მაფიოზის ლაკი ლუჩანოს საუკეთესო „მსროლელი“.

რკინიგზელები, რომლებმაც ჩიკაგოს ვაგზლის მიდამოებში ნახეს მისი გვამი, ძალზე გაოცდნენ, რას მოეკრუნჩხა ასე ეს კაცი. ხოლო პოლიციელები ამტკიცებდნენ, იგი მატარებლიდან ჩამოსვლისთანავე მოკვდაო. საიდუმლოს ამოცნობის გასაღები იყო ხუთცენტიანი მონეტა, რომელიც გვამს ხელისგულზე ედო. ასეთივე მონეტები მოემუჭათ ხელში ალ კაპონეს მკვლელობისათვის ორმოცდაათიათასიანი პრემიის სხვა მოტრფიალეებსაც. ასეთი ნიშნით აღნიშნავდა თავის მსხვერპლთ ჯეკ-ტყვიამფრქვევი მაკ ჰერნი, რომლის ნამდვილი სახელი იყო ჯეიმს დე მორა, იგი თავის სამსხვერპლოს როგორც წესი საძგურთან უსაფრდებოდა ხოლმე. მაფიის ისტორიაში მისი სახელი მაინც და მაინც არ ბრწყინავს, მაგრამ იგი ყველაზე თავზეხელაღებულ განგსტერებს ეკუთვნოდა. ბოლოს და ბოლოს, კაპონეს ბრძანებით მან დახოცა აიელების ექვსი კაცი და ორი პოლიციელი. ამან თავეზა აუბნია ქალაქის გვარიანად მოქრთამულ მმართველობას. ჩიკაგოს პოლიციის უფროსმა პირველი მსოფლიო ომის ყოფილ მონაწილეთაგან ჩამოაყალიბა სპეციალური რაზმი, ნიუ-იორკმა გამოგზავნა მეტყვიამფრქვეველთა ოცეული და რამდენიმე ჯავშნოსანი მანქანა. ჩიკაგოს პოლიციის ახალი უფროსი მაინცდამაინც არ იტკიებდა თავს კანონების ღაცვით და ომის ვეტერანებს უბრძანა: აღგილზევე გაუცხებინეთ სული ყველას, ვინც იარაღით ხელში კანონის წინააღმდეგ აღდგებაო.

ქალაქის მცხოვრებნი შიშით ქუჩაში ველარ გამოდიოდნენ, ვაჭრებმა მაღაზიებზე რკინის ფარდები ჩამოუშვეს, სკოლებში

კი არდადეგები გამოაცხადეს. ჩიკაგოში ნამდვილი ომი გაჩაღებულიყო: ხუთასი პოლიციელი ათას თავით ფეხამდე შეიარაღებულ მაფიოზის ეომებოდა. რამდენიმე საათის სროლის შემდეგ კანონის წარმომადგენლებმა ორმოცდახუთი განგსტერი დააპატიმრეს. მაგრამ ძმები აიელებისა და ბაგსი მორანის ორმოცი მგლის ბრძოლა კაპონეს ტაქსისტებად გადაცმული ასეულის წინააღმდეგ არ წყდებოდა. ხოცვა-ჟლეტა ისეთი სასტიკი იყო, ხოლო კაპონეს უპირატესობა — იმდენად აშკარა, რომ ჯოზეფ აიელმა გაქცევით უშველა თავს და ნიუ-ჯერსიში მიიმალა. მისი ძმა დომინიკო ნაკლებად იღბლიანი გამოდგა, და ექიმებმა ორი დღის უნაყოფო ცდების შემდეგ იგი ანატომიურ განყოფილებაში გადაიყვანეს.

ომი ფრედ დამთავრდა, მსტოვრებმა კი ალს აცნობეს, რომ ახლა საჭირო იყო მოეკლოთ ფრენკ იალასათვის, კაპონეს ძველი ამხანაგისათვის. მან თავის კომპანიონ ფრენკ კოსტელოსთან ერთად შექმნა ხომალდების ფლოტილია, რომელსაც კანადური ვისკი დიდი ტბების გავლით ჩამოჰქონდა ჩიკაგოში, კლივლენდში, დეტროიტში, ბუფალოსა და ნიუ-იორკში.

იალამ დიდძალი ფული დააბანდა აგრეთვე სწრაფი მოტორიანი ნავების მთელი ფლოტის შესაქმნელად, რომლებიც იმავე ფერში იყო შეღებილი, პოლიცია რომ იყენებდა თავის მცურავ სატრანსპორტო საშუალებებისათვის.

იალას ეჭვი გაუჩნდა, რომ კაპონეს გამო დაჰკარგა ვისკის ექვსი მსხვილი პარტია, რომლებიც ჩიკაგოს სატრანზიტო სადგურიდან ნიუ-იორკში უნდა მოხვედრილიყო. ხოლო კაპონემ შეიტყო, რომ დედაქალაქიდან დაბრუნებულ მაფიის ოფიციალურ ჯალათ ჯეიმს დე ამატოსათვის ფრენკს მიეყიდა ერთხელ უკვე სხვისთვის მიყიდული საქონელი. ასეთივე ოპერაცია ჩაეტარებინათ ერთი თვის წინ, ოღონდ საწინააღმდეგო თანამიმდევრობით.

ალ კაპონემ სასწრაფოდ აფრინა ამატო ფრენკზე თავდასასხმელად. დასავლეთის 44-ე ქუჩაზე ფრენკის ლიმუზინი ტროტუარის კიდესთან მიიმწყვდიეს და ავტომატებით დაცრხილეს. პოლიციამ ვერ იპოვა ვერაფერი ხელმოსაკიდი, რათა დაედგინა დამნაშავეთა პიროვნება. ნიუ-იორკის დამნაშავეთა სამყაროს ახალი „ნათლია“ მოევლინა.

კაპონემ მას შემდეგ, რაც ხელიდან გამოეცალა კეთილი

მეგობარი, რომლისგანაც დიდად იყო დავალებული, მიიღო უაღრესად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება: გაეხადგურებინა „ნათლია“ მორანის მტრული კლანის ნაშთები. შან არ დაიშურა რამდენიმე ასეული ათასი დოლარი შავ ბაზარზე ნაშოვნი ასხუთი მილიონიდან და საჩუქარი გაუგზავნა „პერპლ ვანგის“ კლანის „ნათლიას“ დეტროიტში. ამ ბანდის შეფმა კარგად იცოდა შეთქმულების ამბავი და პატივისცემა ალის იმით გადაუხადა, რომ მიუგზავნა კაცი, რომელსაც ჩიკაგოში ნაქურდალი ვისკის გადამყიდველის სახელი ჰქონდა გავარდნილი. გეგმის მიხედვით მას მორანისათვის უნდა ეცნობებინა, რომ დიდი გაჭირვებით ჩაიგდო ხელში ხუთი ყუთი საუცხოო ვისკი „ოლდ ლონგ კებინი“, რომელსაც იმ დროს დეტროიტის შეფი მხოლოდ და მხოლოდ კაპონეს უგზავნიდა. ბაგსი მორანს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ღალატს უმზადებდნენ, თუმცა ყოველმა მაფიოზმი იცოდა, რაშიც იყო საქმე. ვერც ერთი ავანტიურისტი, ოქროს მთებსაც რომ შეპირებოდნენ, ვერ გაბედავდა ხელეყო საუკეთესო საქონელი, რომელიც პირადად ალ კაპონესათვის იყო განკუთვნილი. მორანს ამანათი თებერვლის შუა რიცხვებში უნდა მიეღო. კაპონეს რომანტიკის უჩვეულო გრძნობა დაეუფლა: მან არარსებული ამანათის გადაცემის ვადად დანიშნა 14 თებერვალი — დღე, რომელიც ამერიკაში მიჯნურთა შორის საჩუქრების გაცვლას ეძღვნება. თავად იგი წმინდა ვალენტინის დღესასწაულს მაიამიში ატარებდა და იმავე დღეს ეწვია სასელმწიფო რწმუნებულს, რათა პასუხი გაეცა ნიუ-იორკელი პოლიციელების რამდენიმე შეკითხვაზე, სახელდობრ, ეთქვა, ხომ არ იცის ბატონმა კაპონემ რაიმე მოქალაქე ფრენკ იალას სიკვდილის შესახებ.

იმ დროს, როდესაც პროკურორი კაპონეს ჩვენებას ართმევდა, მაიამიდან ორი ათას კილომეტრზე დრამა იწყებოდა. შავმა „პაკარდმა“, რომელსაც პოლიციის ციმციმა ეკეთა და რომელშიც ოთხი სამოქალაქოტანსაცმლიანი მამაკაცი და ორი პოლიციელისფორმიანი პირი იჯდა, ჩიკაგოში ნორტ კლარკის ქუჩაზე გადაუხვია და შეჩერდა №2122 სახლთან, რომლის წინაც დიდი გარაჟი იყო. პირობის თანახმად, სწორედ აქ მოელოდა მორანის ბანდა კაპონეს საყვარელ ვისკის. მანქანიდან ხუთნი გამოვიდნენ, მეექვსე ძრავაგამოურთავი ავტომობილის საჭესთან დარჩა.

ალბათ, პოლიციის კონტროლი იქნებაო, ფიქრობდნენ გამვლელნი.

ზარაჟში კი მორანის კლანის საუკეთესო წარმომადგენლები შეკრებილიყვნენ. შვიდ მაფიოზის უნდა შეერთებოდნენ დანარჩენები და მათ შორის პირადად ბაგსი მორანიც. მაგრამ იმ მომენტში, როდესაც მორანი და მისი ძმაკაცები კლარკის ქუჩის კუთხიდან გამოჩნდნენ და გარაჟთან შავი მანქანა დაინახეს, წამში მიხვდნენ რაშიც იყო საქმე და გაუჩინარდნენ. ამ დროს კი გარაჟში ნამდვილი ჯოჯოხეთი დატრიალებულიყო — შვიდი კაცი კედელთან მიეყენებინათ და ავტომატებითა და ლუპარებით ცხრილავდნენ. ბრძოლის შემდეგ შემთხვევითმა გამვლელებმა დაინახეს, როგორ გამოჰყავდა გარაჟიდან ორ ფორმიან „პოლიციელს“ სამი მაძაკაცი, რომლებსაც სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვათ. ვინ იფიქრებდა, რომ „დაპატიმრებული სამოქალაქო პირნი“ ისინი იყვნენ, ცოტა ხნის წინ „პოლიციელებთან“ ერთად რომ გადმოვიდნენ შავი „პაკარდიდან“.

ოცდახუთი წუთის შემდეგ დანაშაულის ადგილზე გაჩნდნენ ნიკაგის მკვლელობათა გამოძიების განყოფილების მუშაკები. გარაჟში შვიდი გვამი ეგდო. პიროვნებათა დადგენა რთული საქმე გამოდგა. აშკარად ჩანდა, რომ მათ დასახოცად ლუპარები ესროლათ. „ნათლია“ ბაგსი მორანი, რომელიც დაგვიანების წყალობით სიკვდილს გადაურჩა, ისე იყო თავზარდაცემული, რომ დაკარგვია დუმილის კანონი და განაცხადა: „ისინი ალ კაპონემ დახოცა!“. მაგრამ ქალაქის პოლიციისათვის მას ახალი არაფერი უთქვამს. სამაგიეროდ, საბელმწიფო პროკურატურის გამომძიებელმა ჰერმან ბანდენსენმა გააკვირვა მაფია. მან ენერგიულად შეჰკიდა სელი გამოძიებას და სულ მალე დააღგინა, რომ კაპონეს „მსროლელები“ ჯეკ მაკ ჰერნი, ფრედი გეტსი და მკვლელი ფრედ ბერკი, რომელიც სენტ-ლუისის „იგანელი ვირთაგვების“ ბანდიდან იყო მოწვეული, გარაჟის მასლობლად იდგნენ. ბანდენსენს მეტი აღარაფერი უნდა გამოეჩხრიკა. კაპონე ცდილობდა ისე მოეწყო საქმე, რომ ყველაფერი ჩვეულებრივ წარმართულიყო: მოწმენი სდუმდნენ, მკვლელები გამქრალიყვნენ, დამამტკიცებელი საბუთები კი არ არსებობდა. მაგრამ „ნათლიების ნათლიას“ ერთი რამ გამორჩა: ჰერმან ბანდენსენმა ფედერალური ორგანოების მხარდაჭერა მიიღო — ქალაქის პოლიციისაგან დიდ დახმარებას იგი არც ელოდა! — და მოიწვია

პირველი ამერიკელი ბალისტიკოსი ექსპერტი, კელვინ გოდარ-ლი. გოდარდმა წინა წელს დაამტკიცა, რომ ყოველი იარაღი ტოვებს გასროლილ ტყვიებზე „ანაბეჭდებს“ — სპეციფიკურ ღარებსა და სხვა, ერთი შეხედვით შეუმჩნეველ, ნაკვალევს. მაგრამ ჯერჯერობით სასამართლო ბალისტიკისათვის პოლიციას ეს აღმოჩენა არ გამოეყენებინა. როდესაც გოდარდი ნიუ-იორკიდან ჩიკაგოში მიემგზავრებოდა, არც კი ფიქრობდა, რომ ხოცვა-ულეტის გარემოებათა წარმატებით გამოძიება შესაძლებლობას მისცემდა დაეარსებინა მეცნიერული კრიმინალისტიკის ერთგვნული ლაბორატორია. წინასწარ მომზადებული მიკროსკოპისა და სხვა სამარჯვების მეშვეობით მან ეარაჟში ნაპოვნი ტყვიები და ჰილზები შეადარა გვამებიდან ამოღებულ ტყვიებს და დასკვნაში ჩაწერა, რომ ბანდიტებმა იხმარეს 45 კალიბრის ორი ავტომატური „ტომპსონ“-ის ტიპის პისტოლეტი — მოძრავლულიანი უახლესი ავტომატების წინამორბედნი. ერთ იარაღს ჰქონდა ოცვაზნიანი სეგმენტისებური სავაზნე, ხოლო მეორეს — ორმოცდაათვაზნიანი დისკოსებური სავაზნე.

დაკვირვებულმა გოდარდმა ჰილზის ფსკერზე ამოიცნო კვალიც, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა ჩახმახის სახეობასთან, მან ზუსტად განსაზღვრა ფრენის ტრაექტორია და მსროლელთა პოზიცია, ხოლო ჩიკაგოს სასამართლომ ეს დასკვნა კანონიერად ცნო.

1929 წლის 14 დეკემბერს ნაშუადღევს ფედერალურმა პოლიციამ ასალი დამამტკიცებელი საბუთები მიიღო. ეშვმეტანილი ჯეიმს დეინის ბინის ჩხრეკისას კრიმინალისტებმა აღმოაჩინეს ექვსი შაშხანა და ორი ავტომატი „ტომპსონ-45“. იარაღი კელვინ გოდარდს გაასინჯეს. ბალისტიკოსმა შესამოწმებელი იარაღით რამდენიმე ათეული ტყვია ესროლა ყუთს, რომელიც ბამბის ქაღალდით იყო ამოვსებული და მიკროსკოპის მეშვეობით ჩატარებული ანალიზის შემდეგ დაწერა დასკვნა: „წმინდა ვალენტინის დღეს მკვლელებმა იხმარეს ავტომატები; რომლებიც დეინთან არის ნაპოვნი“.

იმის დადგენა, რომ ჯეიმს დეინი იყო მეპისტოლეტე ფრედ ბერკი, რომელიც მკვლელობის დღეს გარაჟის მახლობლად იდგა, ძნელი არ იყო. ფრედ ბერკი სხვისი სახელით და ალ კაპონეს ნაბოძვარი გვარიანი თანხით ცხოვრობდა მიჩიგანში. მსჯავრდების წყალობით იგი გადაურჩა ხეიდრს, ეროი თვის შემ-

დეგ რომ გაუმზადა ბაგსი მორანმა მასობრივი ხოცვა-ულეტვის თაოსნებს.

ალ კაპონე ფლორიდიდან დაბრუნდა, სადაც უმტკიცესი ალიბი ჰქონდა და მოისმინა ჯეიკ გუზიკის — „თითილოკიას" ინფორმაცია: „ამბხება უკვე ჩავახშეთ, ახლა ისღა დაგვრჩენია, ჭკუაზე მოვიყვანოთ და მოვარჯულოთ ზოგიერთები!". ყველაზე საინტერესო ცნობა, რომ დიდ ბილ ტომპსონს თავისი კანდიდატურა შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე წამოეყენებინა, მან ორჯერ მოისმინა. კანდიდატს საარჩევნო ტურნესათვის კაპონემ რამდენიმე ათასი დოლარი შესწირა. ტომპსონმა მთელი შეერთებული შტატები მოიარა და ამომრჩეველთა წინაშე სიტყვით გამოდიოდა. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ყველგან ხვევნა-კოცნით ხვდებოდნენ: ექვს ქალაქში სასტუმროში ადგილიც კი არ მისცეს. დიდი ბილი ჩიკაგოში თავლაფდასხმული დაბრუნდა.

8. პრეზიდენტ ჰუვერის თეთრად გათენებული ღამე

სამეურნეო კონიუნქტურამ რესპუბლიკელებს საშუალება მისცა წამოეყენებინათ თავიანთი წარმომადგენლის — ჰერბერტ ჰ. ჰუვერის კანდიდატურა. გადადგომის წინ კელვინ კულიჯმა, ასევე რესპუბლიკელმა, რომელიც პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა პრეზიდენტ ჰარდინგის სიკვდილის შემდეგ, კონგრესის ბოლო სხდომაზე განაცხადა, რომ „კმაყოფილია დღევანდელი დღით და ოპტიმიზმით უყურებს მომავალს!". ამერიკულ ეკონომიკას, სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით უკეთესი შედეგები ჰქონდა. მარტო ამერიკაზე მსოფლიო ბაზრის თითქმის 16 პროცენტი მოდიოდა.

ახალი პრეზიდენტი ჰუვერი აცხადებდა, რომ ამერიკა მალე უფრო მეტად აყვავდებოდა. მხოლოდ რამოდენიმე საზოგადო მოღვაწემ გამოთქვა ეჭვი ამის შესახებ. სინამდვილეში, ამერიკის ეკონომიკა ოციან წლებში მართლაც იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ყოველ ოჯახს ჰქონოდა აქციები, რაც ქმნიდა უკეთესი მომავლის ილუზიას. ეს იყო დრო, როდესაც ბოლო ელებოდა ალკოჰოლის არალეგალურ წარმოებასა და მაფიის მეფო-

ბას. ალ კაპონე, როგორც ყოველთვის, არ იყო დაინტერესებული ქვეყანაში მიმდინარე პროცესებით. მთელი მისი ყურადღება მიმართული იყო მოლაპარაკებაზე ბანდასთან, რომელიც თავს ესხმოდა კანადიდან დეტროიტში მიმავალ ალკოჰოლით დატვირთულ გემებს.

კაპონემ ყურადღება არც იმას მიაქცია, რომ ილინოისის შტატის გუბერნატორმა ჩიკაგოში წესრიგის დამყარების მიზნით მიმართა გამოძიების ფედერალურ ბიუროს. მას ნაკლებად აინტერესებდა ის ფაქტიც, რომ უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ პრეზიდენტ ჰუვერთან შეთანხმებით პროცენტების გადახდა დააკისრა ცნობილ ნიუ-იორკელ ალკოპოლით მოვაჭრესა და კონტრაბანდისტს მენლი სალივანს იმ საბაბით, რომ მთელი მისი შემოსავალი არალეგალური იყო. სალივანის ადვოკატები ამაოდ ცდილობდნენ დაეცვათ პატრონი კანონით, რომლითაც მსჯავრდადებულს შეეძლო არ მიეცა თავისი თავის საწინააღმდეგო ჩვენება. მაგრამ, უმაღლესი სასამართლო არ ცხრებოდა.

უსიამოვნებები ერთმანეთს მოსდევდნენ. ეს იყო ბალისტიკოსი გოდარდი, „ნათლიის" ტახტის მსურველები, დაბოლოს პრეზიდენტი. ჰუვერმა უფლება მისცა სახელმწიფო სალაროს შეფს, ენდრიუ მელონს დაეპატიმრებინათ სახელმწიფო წესრიგის მტერი ალ კაპონე.

პრეზიდენტის სურვილი კატეგორიული იყო: „ბატონო მელონ, არ მაინტერესებს როგორ და რა გზით, მაგრამ კაპონე უნდა დააპატიმროთ!" მინისტრმა იცოდა, რომ პრეზიდენტი პირადად იცნობდა ალ კაპონეს. პრეზიდენტს კარგად ახსოვდა ის ღამე, რომელიც კაპონეს წყალობით თეთრად გაათენა მაიამიში. პრეზიდენტს არ შეატყობინეს, რომ მის მეზობლად ცხოვრობდა ალ კაპონე. კაპონესთან, ისევე როგორც ყოველ საღამოს, მეგობრები შეიკრიბნენ და იმით ერთობოდნენ, რომ ჩერჩეტი მეძავი ქალების თანდასწრებით კოლტიდან ესროდნენ ნავთობის ცისტერნებს.

დამნაშავეთა იმპერია შიგნიდანაც ირღვეოდა. ალ კაპონეს კაცი—აგოსტინო ლოვერდი, „უნიონე სიცილიანოს" კიდევ ერთი პრეზიდენტი ჩიკაგოდან, კაფე „ელამ ძაღლში" ზეცას გაგზავნეს. განთავისუფლებულ ადგილზე დადგა ალ კაპონეს ყოფილი

„ლეიტენანტი“ ჯოზეფ გიუნტი. მან კაეშირის ვიცე-პრეზიდენტად დანიშნა სკალისი.

უმადურმა განგსტერებმა დაივიწყეს ალ კაპონეს სულგრძელობა, გადიდგულდნენ და კაპონეს წინააღმდეგ დაიწყეს ინტრიგების ბადის ქსოვა.

საბედისწერო განცხადება გააკეთა სკალისმა: „ახლა ჩვენ ყველაზე ძლიერები ვართ ჩიკაგოში!“ ამის პატიება კი კაპონეს ალარ შეეძლო.

კონფლიქტის კულმინაციას წინ უძღოდა შემთხვევა, რომელიც მოხდა ერთ-ერთ წვეულებაზე, სადაც შეფი ფრენკ რიოს გაუწყრა. ალ კაპონემ რიოს ზედმეტი თავხედობა შეამჩნია. საბოლოო ჯამში კი ხელში რიოს ყური შერჩა. შედეგი ისეთი იყო როგორსაც კაპონე ელოდა. „უნიონე სიცილიანოს“ პრეზიდენტმა შეურაცხყოფილი რიო თავისთან მიიწვია და ისე ესაუბრა როგორც თანასწორს — თან კაპონეს ჭორავდა და თვალს ანიდებდა ყურის ადგილზე დარჩენილ ღრმულს. ალკოჰოლმა რიოს სითამამე შემატა. ამით ისარგებლა სკალისმა, დაიხარა და უჩურჩულა „ზოგიერთები კაპონეს გვამში 50 ათასს გადაიხდიან“.

რიო შეუერთდა შეთქმულებას, მაგრამ ცოტა სხვაგვარად, ვიდრე მისგან მოელოდნენ. მართალია, იგი კაპონეს გამო ყურს გამოეთხოვა, მაგრამ არ სურდა თავიც დაეკარგა.

1929 წლის 7 მაისს ალ კაპონეს საკუთარ რესტორანში შეეკრიბნენ საპატიო სტუმრები. მთელი მომსახურე პერსონალი „ნათლიის“ ხალხით იყო დაკომპლექტებული. შვეიცარიის ოფიციანტების ტანსაცმელზე სპეციალური ჯიბეები ჰქონდათ მიკერებული ახალი ტიპის კოლტის შესანახად. სადილის შემდეგ „ნათლია“ წამოდგა. კაპონეს პირველმა თანაშემწემ განაცხადა, რომ „ნათლიას“ საზეიმო სადღეგრძელოს თქმა სურდა. შეფი თვალს არ აშორებდა „უნიონე სიცილიანოს“ მთავარ მოღვაწეებს. კაპონემ მოულოდნელად დაიღრიალა: „მაშ თქვენ ფიქრობთ, რომ არაფერი არ ვიცი?! სულელად მთვლით? მაგრამ მე, მე...“.

ოფიციანტმა გაცეცხლებულ კაპონეს წინასწარ გამზადებული ბეისბოლის ჯოხი მიაწოდა, პირველი საშინელი დარტყმა სკალისს ერგო. შემდეგ კაპონემ მაგიდას შემოუარა და კაეშირის ხელმძღვანელობიდან კიდევ ორი მაფიოზი დაამახინჯა. დანარჩენები შიშმა სკამებს მიაჯაჭვა.

სისხლიანი ბანკეტის შემდეგ ოფიციანტებმა აალაგეს დამტვრეული ჭიქები, გაიტანეს გვამები, ხოლო „ნათლიამ" იურისტების თათბირი მოაწყო. დილით კაპონე მიემგზავრებოდა ნიუ-ჯერსიში — ატლანტიკ-სიტიში გრძელდებოდა საერთო-სახელმწიფოებრივი კოლოკვიუმი, რომელიც 5 თვის წინ დაიწყო კლივლენდში. მასში მონაწილეობის მიღების უფლება მისცეს მხოლოდ მაფიის რჩეულ წევრებს, რომელთა წინაპრებიც მაფიოზები იყვნენ. ატლანტიკ-სიტიში სასტუმრო „პრეზიდენტ"-თან ჩერდებოდნენ ავტომობილები დეტროიტიდან, სენტ-ლუისიდან, ბოსტონიდან და სხვა ქალაქებიდან. ალ კაპონემ, ლაკი ლუჩანომ და ლონგ ცვილმანმა მოითხოვეს უფრო მეტი წარმომადგენლების დასწრება. ამიტომ შეკრების მოსაწვევი ბარათები, რომელიც 1929 წლის 13-16 მაისს გაიმართა, მიიღეს „ნათლიებმა" რომსა და ნეაპოლშიც.

ლაკის შეფი მასერია, მეტსახელად ბოსი ჯო მართალია არ ეთანხმებოდა წმინდა პრინციპის დარღვევას, მაგრამ თათბირის მოწვევის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, ამიტომ დამსწრეთა სიებში შეიტანეს ცნობილი სახელები ამერიკის შორეული შტატებიდანაც.

კონფერენციაში მონაწილე მაფიოზებმა შეერთებული შტატების ტერიტორია ცალკეულ ოლქებად დაყვეს და დანიშნეს შეფები სხვადასხვა ქალაქების აგლომერაციაში. დაყოფისას ამ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ნიუ-იორკი ძალზე დიდი იყო ერთი „ნაღლიისათვის".

საატესტაციო ბატონებმა გაანაწილეს მხოლოდ ჩიკაგოზე დაუშვეს, რადგანაც ამ ქალაქში ერთი ადამიანის ძალაუფლება შეუფარავი იყო. მაიამი და ლას-ვეგასი გამოაცხადეს ღია ქალაქებად. აქ ნებისმიერ „ოჯახს" შეეძლო დამოუკიდებლად ემოქმედა, ოუმცა სურვილს არც ერთი „ოჯახი" არ გამოოქვამდა. ჩიკაგოს შეფს გულუბრყვილოდ ეგონა, რომ ამ თათბირზე შეძლო თავისი უსაფრთხოების გარანტირება და რომ რეორგანიზებულ სინდიკატში იგი გახდებოდა ბოსების ბოსი.

მართალია მაფიოზებმა დააკანონეს ერთიანი ორგანიზაცია, მაგრამ თითოეულ ტერიტორიულ კომპლექსს სათავეში დამოუკიდებელი „ნათლია" ედგა.

კაპონეს გავლენამ ზემოქმედება ვერ მოახდინა ნიუ-იორკელ სტუმრებზე კოსტელოსა და ლუჩანოზე: პირიქით, მათ წამოა-

ყენეს წინადადება, რომ მაფიოზებს შორის ყველა ტერიტორიული დავა გადაეწყვიტა ეროვნულ კომისიას 9 კაცის შემადგენლობით.

მაფიამ, რომელსაც კონფერენციის შემდეგ ეწოდა „კოზა ნოსტრა“ (ჩვენი საქმე), მიიღო ფართო მოქმედების ასპარეზი. „ნათლიებმა“ თანდათანობით თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს ეროვნული კომისია, სასამართლო, დამსჯელთა ბრიგადები და ფედერალური კომიტეტები.

ლაკი ლუჩანო თანამოძმეებს აფრთხილებდა, თავი შეეკავებინათ ღვინისა და ლუდის ქარხნების შესყიდვისაგან: ჩემი მეგობრების შეტყობინებით „მშრალი კანონი“ მალე უნდა შეიცვალოსო.

„კოზა ნოსტრას“ ყრილობა დამთავრდა და „ნათლიები“ წაეიდ-წამოვიდნენ თავთავიანთ სახლებში საუკუნოვან მეგობრობაში დარწმუნებულები. მხოლოდ ალ კაპონე თრთოდა შიშისაგან. შიშმა მიიყვანა ალ კაპონე ატლანტიკ-სიტიდან ფილადელფიის შერიფთან. იგი ზრდილობიანად მიესალმა პოლიციელს და შეატყობინა, რომ მას და მის მეგობარ ფრენკ რიოს იარაღი ჰქონდათ, რაც კანონსაწინააღმდეგო იყო და როგორც ასეთ შემთხვევაში ხდებოდა ხოლმე, ისინი უნდა დაეპატიმრებინათ 90 დღით. შერიფი მსგავს სიტუაციაში არასოდეს მოხვედრილა. საფუძველი ასეთი უჩვეულო გადაწყვეტილებისა იყო ტელეფონის ზარი. ატლანტიკ-სიტიში კაპონეს დაურეკა ჯეიკ გუზიკმა: „ზოგიერთ ქალაქებში გელოდებიან მკვლელები, რომლებიც თქვენი მოკვლისათვის 50 ათას დოლარს მიიღებენ“. „ნათლიამ“, ისევე როგორც მისმა წინამორბედმა ტორიომ, ისეთი ადგილი აირჩია, სადაც შეეძლო უსაფრთხოდ დაეცადა ამინდის გაუმჯობესებისათვის. დიდი სიურპრიზი მოუწყო ალ კაპონეს ფილადელფიის შერიფმა (იგი ინფორმირებული იყო ვაშინგტონის გადაწყვეტილების შესახებ — გაეჩაღებინა ბრძოლა მაფიის წინააღმდეგ). მან ორივე მაფიოზის 90 დღის ნაცვლად მიუსაჯა პატიმრობა 1 წლითა და 90 დღით.

ფილადელფიის შერიფის გაბედულებამ გაახარა ჩიკაგოს საზოგადოება, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ მარტო ალ კაპონეს დაჭერა არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ დამნაშავეთა სამყაროს ძლიერება შერყეულიყო.

ალ კაპონემ მაინც მოახერხა საქმეები გადაეცა მოადგილეე-

ბისათვის: თავის ძმა რალფისთვის, გუზიკისთვის, ფიჩეტისთვის, ნიტისთვის. ალ კაპონეს მათთან მუდმივი სატელეფონო კონტაქტი ჰქონდა.

9. ფ. დ. რუზველტი, კათსა ლუდი თითოეულისათვის

ამერიკის ეკონომიკა აღმავლობას განიცდიდა. ადამიანები ფულს აბანდებდნენ ბანკებში, ყიდულობდნენ გაძვირებულ ალკოჰოლს, ავტომობილებს. საცეკვაო მოედნები, საიდანაც ფოქსტროტის ხმა მოისმოდა, დღედაღამ ღია იყო. ოციან წლებში გართობისა და სპეკულაციის ციებ-ცხელებამ ერთნაირად მოიცვა მდიდრებიც და ღარიბებიც. აქციონერთა რიცხვი იზრდებოდა. ძალიან ადვილად შეიძლებოდა კრედიტის მიღება. ბევრი სამაკლერო ფირმა ფასიანი ქაღალდებისათვის, რომლებიც „თავდებით იყიდებოდა", ნაღდი ფულის სახით ღირებულების მხოლოდ 10 პროცენტს თხოულობდა.

მილიონობით ადამიანი ილუზიებით ცხოვრობდა. მათ ხიბლავდათ ისეთი ამბები, როგორიც იყო მაგალითად, ჯონ რასკობის წარმატება. რასკობი უბრალო მოსამსახურიდან ბიზნესმენად იქცა და ნიუ-იორკში ააგო ყველაზე მაღალი შენობა — „ემპაიერ სტეიტ ბილდინგი". „ყველას შეუძლია გახდეს მდიდარი" — აცხადებდა მეტისმეტად ოპტიმისტური სტატია, რომელიც ჟურნალ „ლეიდიზ ჰოუმ ჯორნალში" გამოქვეყნდა.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ უოტსონი ბიზნესმენობას მოწყენილობისაგან განკურნების საშუალებადაც კი აცხადებდა. „სექსი იმდენად ბანალური მოვლენა გახდა, რომ ის უკვე დიდი ხანია აღარავის აღელვებს ისე, როგორც წინათ. სპეკულაციები უოლ სტრიტზე ერთადერთია, რაც გვაღელვებს და ღირს კიდევაც ჩიტი ბდღვნად".

მაგრამ მხოლოდ ერთეულებმა, მათ შორის „ნათლიებმა", იცოდნენ, რომ 1928 წლის ბოლოს უკვე მიმდინარეობდა შიდა ფარული პროცესები, რომლებიც კონიუნქტურის ტრაგიკულ დასასრულს მოასწავებდა.

1929 წლის ოქტომბერში ნიუ-იორკის ბირჟაზე გამომჟღავნდა სამრეწველო წარმოების მნიშვნელოვანი შეზღუდვა, რამაც

აქციების ღირებულების სწრაფი შემცირება გამოიწვია. დევალვაცია იმდენად საგრძნობი იყო, რომ აქციონერები პანიკამ მოიცვა. უოლ-სტრიტი თითქოს სამხედრო ალყაში მოექცა. ერთი ღამის განმავლობაში აქციები უფასო ქაღალდების გროვად იქცა. ალ კაპონე ჯერ კიდევ ციხეში იჯდა, როდესაც ნიუ-იორკის ბირჟამ პირველი კრაში განიცადა. დაიწყო ეკონომიკური კრიზისი.

ალაგრამ ალ კაპონე არ მიეკუთვნებოდა იქით რიცხვს, ვინც სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა. ის დასცინოდა თვითმკვლელებს. ალ კაპონე არ აბანდებდა ფულს აქციებში, რადგანაც ისინი ისეთი საიმედონი არ იყვნენ, როგორც სათამაშო სახლები და ბორდელები. „სათლია" ნაღდ ფულს და ოქროს ინახავდა. სიცილი ალ კაპონემ მხოლოდ მაშინ შეწყვიტა, როდესაც ციხიდან გამოვიდა. ხალხი აღარ ყიდულობდა ალკოჰოლს, სათამაშო სახლები დაცარიელდა.

მაფიოზებმა შეფს მხოლოდ ორი კარგი ამბავი დაახვედრეს: „უნიონ სიციილიანოს" პრეზიდენტი ბარიდან — „თეთრ ქალბატონთან"—გამოსვლისას მეზობელ სახლთან დადგმული ორი ტალიბურქეების ცეცხლის მსხვერპლი გამხდარიყო, ხოლო ბაგში მორანი კი, რომელსაც სამაგიეროს გადახდის იმედი გადაწყვეტილა, სადღაც ახალ ორლეანში გადაკარგულიყო. მორანი გაქრა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ და 1975 წელს სიცოცხლე დაასრულა პატიმრების სასაფლაოზე ატლანტაში.

ჩიკაგოს დამნაშავეობის სამყაროს გამგებელი, მოწინააღმდეგეთა დევნაში გაერთო და დაიკიწყა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არსებობა. სამაგიერთდ ჰერბერტ ჰ. ჰუვერს ასსოვდა ალ კაპონე. მან უბრძანა გენერალურ პროკურორ ჯორჯ ჯონსონს გადამწყვეტი იერიში დაეწყო.

1929 წელს შემოდგომაზე ჯონსონმა ჩამოაყალიბა პოლიციის რჩეულ აგენტთა ჯგუფები. მათ მოქმედების სრული თავისუფლება მიეცათ. ისინი მხოლოდ ჯონსონს ექვემდებარებოდნენ. ჩიკაგოს ბეტონის ჯუნგლებში გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებს იოლი საქმე არ ელოდათ.

კაპიტან ელიოტ ნესს ჯერ მუქარა არ უნდა ჩაეგდო არაფრად, ხოლო შემდეგ კი უარი ეთქვა კაპონეს დესპანის წინადადებაზე, რომ პოლიციის ჯგუფის თითოეული წევრი, რომელიც შეწყვეტდა ძიებას, ყოველთვიურად ორი ათას დოლარს მიი-

ღებდა. ერთი კვირის შემდეგ ნესის მანქანაში იპოვეს უცნაური შეკვრა. იგი საათისმექანიზმიანი ბომბი კი არა, როგორც ეს პოლიციას ეგონა, არამედ ასდოლარიანი ბანკნოტების დასტა აღმოჩნდა.

მოუსყიდავებმა არად ჩააგდეს „ნათლიის“ ბოლო წინადადებაც — ოცი ათასი დოლარი თითოეულს, ეინც მაშინვე გაქრებიდა ქალაქიდან.

ნესის 9 კაცი დაუკავშირდა ფინანსთა უფროსობრივი სამინისტროს ჩინოვნიკებს, რათა ერთობლივად, სწრაფად და ძალიერზებულად შედგომოდნენ საქმეს. გამოძიება დაიწყო მაშინ, როდესაც ალ კაპონე მოიდევნო „ტეხასში“ ეკეგზავნა, ხოლო ალკოჰოლის არალეგალური გადაგზავნის ხელმძღვანელობა დაავალა ძმას — რალფს. კაპონე II-მ თავისი შტაბის რეზიდენციად აირჩია კაფე „მონმარტრი“ — დიდებული სასტუმრო „ფეხრერნის“ გვერდით, ციცერონში. პოლიციელებმა იქ სასწრაფოდ დაიყენეს ფარული მოსასმენი აპარატები. ამ საქმესათვის კაპიტანმა ნესმა შეარჩია ორი გამოცდილი აგენტი — ლაპარტი და ფრიელი. „ბარიდან წაიყვანეთ ორი ქალიშვილი და რამდენიმე საღამოს განმავლობაში სასელმწიფოს ხარჯზე გაართვეთ ღამის იმ რესტორნებში, სადაც არალეგალურად ვაჭრობენ ალკოჰოლით. იქიდან თანდათან მიადწევთ „მონმარტრამდეც“ და გაარკვევთ, თუ სად დგას რალფ კაპონეს ტელეფონი“. ორი დღის შემდეგ დარეკა ლაპარტმა: „ნონმარტრში“ მე სასურველი სტუმარი ვარ. ბაქეს უფლება ვისარგებლო კერძო ტელეფონით“. „კარგი, ხვალ ჩავეროვებით“ — გაიგონა მან კაპიტნის პასუხი, — „მაგრამ უნდა მივასერსოთ რესტორანის უკან მდგარ ბოძთან მისვლა“. საჭირო იყო კაპონეს „ეორილეპის“ კაფედან გამოტყუება. მეორე დღეს ოთხი პოლიციელი იმდენ ხანს უყლიდა გარშემო კაფე „მონმარტრს“, რომ უკან გაიყოლა მაფიის მთელი დაცვა. ამ ხნის განმავლობაში ელიოტის კაცები მიცოცავდნენ ბოძის წვეროსაკენ და თან ფარულ მოსასმენ მიწყობილობას აერთებდნენ.

უკვე დილით ჩაიწერეს ლაპარაკი:

„ალო, შემაერთეთ რალფს!

— გისმენთ,

— გელაპარაკებათ მაკოი. სალამი, მე ორი დიდი შეკვეთა მაქვს.

— აქ შეკვეთები აღარ მიიღება, დარეკეთ გუზიკთან, ვაბაშზე“.

მაშასადამე, შეკვეთებს ღებულობდა მთავარი ეკონომისტი ჯეფ გუზიკი.

მეორე დიალოგი უფრო საინტერესო იყო:

„ალო“, რალფ!

— ერთი წუთით,

— რალფი გისმენთ,

— გელაპარაკებათ ფუსკო,

— ვფიქრობ, უკვე შეიძლება რისკის გარეშე ღამის რესტორან „სამხრეთ ვაბაშის“ გახსნა, რაო? თუმცა, თუ შენ თვლი, რომ რისკი მინიმალურია მაშინ ო' კეი.

— კარგი, არის რაიმე ახალი შორკისაგან?

— არაფერი. მალე დაბრუნდება. უკვე გზაშია.

— კეთილი, მაშინ მე მივდივარ „სამხრეთ ვაბაშში“.

„ნათლია“ კაპონე, რომელსაც უახლოესი თანამებრძოლები შორკის ეძახდნენ, ჩიკაგოში ბრუნდებოდა. რესტორან „სამხრეთ ვაბაშში“ კაპიტანმა დაახურინა და მასზე პოლიციის მუდმივი მეთვალყურეობა დააწესა. კაპონეს თანაშემწეებმა სასტუმროში ალკოჰოლის ახალი მარაგი მოიტანეს. ელიოტის ხალხმა კი კვლავ ჩხრეკა მოაწყო. დააპატიმრეს 6 მამაკაცი, კონფისკაცია გაუკეთეს ლუდის ავტოფურგონსა და ათასობით ბოთლ ალკოჰოლს.

მოუსყიდავთა მიერ ტელეფონის ფარულმა მოსმენამ შედეგი გამოიღო.

კაპონე დაბრუნდა და კვლავ ვაჭრობაზე დაიწყო ფიქრი. მას არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ მისი „ბრწყინვალე ერა“ მთავრდებოდა და ყოველი შემთხვევისათვის ბრძანა: სასტუმრო „მეტროპოლში“ დაცვა გაეძლიერებინათ და მოემზადებინათ საიდუმლო გასასვლელი, რომელიც უახლოესი სახლის სარდაფიდან სასტუმროს ეზოში გადიოდა.

საგადასახადო კანტორა ვარაუდობდა, რომ კაპონეს წლიური შემოსავალი შეადგენდა 20 მილიონ დოლარს. მოგვიანებით გამოირკვა, რომ ალკოჰოლის წარმოება, სპეკულაცია შავ ბაზარზე და სროსკიპოები მას ყოველწლიურად 100 მილიონ დოლარს აძლევდა. ამ თანხის დაახლოებით ნახევარი მიდიოდა ქრთამებსა და შეიარაღებული რაზმების სარჩენად.

საფინანსო მოხელეებს მთელი წელი აწუხებდათ ის, რომ

ვერ აიძულებს მაფიოზი მიღებინოს გადასახადები ფული. თავდაპირველად ისინი ცდილობდნენ დაეშტკიცებინათ, რომ კაპონე წელიწადში იღებდა ოფიციალურ 5 ათასზე მეტს, ე. ი. იმ თანხაზე მეტს, რომელიც გადასახადით არ იბეგრებოდა. მათ ამაშიაც არ გაუმართლდათ. გაქნილი ალ კაპონე ხელს არ აწერდა არც ჩეკებსა და არც ქვითრებს. ის ყველაფერს ნაღდი ფულით იხდიდა.

მათ უგერგილობაზე შენიშვნებით თავმობეზრებული საგადასახადო კანტორა გაერთიანდა ნესის ჯგუფთან. ოტელ „მეტროპოლში" გამოჩნდა მაიკ მალონე, საფინანსო კონტროლის „ინტერნალ რევენიუ ბიუროს" მოხელე. მან მაიკ ლეპიტო დაირქვა და საიდუმლოდ ყვებოდა, რომ მას ეძებდა ფილადელფიის პოლიცია. მალონე ისე დამაჯერებლად თამაშობდა როლს, რომ ალ კაპონეს ერთ-ერთი მსახური ანკესზე წამოეგო და რამდენიმე ხნის შემდეგ მალონეს შესახებ „ნათლიას" მოახსენა.

ფედერალური ბიუროს გამომძიებლები და საგადასახადო კანტორის თანამშრომლები ჩინებულად და დიდხანს მუშაობდნენ. ბოლოს დადგა მომენტი, რომელსაც მაიკ მალონე მთელი წელიწადნახევრის განმავლობაში მოთმინებით ელოდა. სალამოს ბარში მას კაპონეს „ლეიტენანტმა" მიმართა: „მეგობარო, შეიფს თქვენთან ლაპარაკი სურს!".

მაიკს, როგორც ბანდის ახალგამომცხვარ წევრს, საშუალება მიეცა შეეხედა მაფიის კულისებში. მან ეს შანსი მოლიანად გამოიყენა.

კაპონეს ბედი მალონეს კოლეგის ფრენკ ვილსონის შეუპოვარმა მუშაობამაც გადაწყვიტა. ის ჩიკაგოში ფედერალურმა დაწესებულებებმა მიაელინეს, რათა გამოეძიებინა კაზინო „სმოუკის" ყბადაღებული საქმე. საბოლალტრო დოკუმენტებით ამ საქმის გარჩევა მოითხოვდა გულმოდგინე მუშაობას და დეტექტივის ნიჭს. დაწესებულებას ყალბი პატრონი ჰყავდა, მაგრამ კაპონე პოლიციის ალყის დროს ისე გამძვინვარდა, რომ საგადასახადო კანტორის მოხელეებს განუცხადა: „მე ვერავინ შემამოწმებს საკუთარ საწარმოშიო!".

ვილსონი სწავლობდა ხელნაწერ ჩანაწერებს კომერციულ წიგნებში და რამდენიმე თვის განმავლობაში ადარებდა მათ დაახლოებით 200 ჩიკაგოელი განგსტერის ხელწერის ნიმუშებს. ასევე რთული იყო მოწმეების საშუალებით იმის დამტკიცება,

რომ „სალონი“ ყოველწლიურად იბლეოდა 3 მილიონი დოლარის შემოსავალს. ვილსონს შეუერთდნენ საფინანსო ინსპექტორებიც და კაპიტან ნესის ჯგუფი. მათ ოფიციალურად მხოლოდ იმის დადგენა შეძლეს, რომ ჩიკაგოს დამნაშავეობის სამყაროს შეფმა მოკლე დროში 168 ათას დოლარად იყიდა ვერცხლის საწერი მოწყობილობა, რამდენიმე კოსტიუმი და რომ ის აწარმოებდა და ყიდდა ალკოჰოლს. იმ სახიფათო აქციისათვის, რომელიც პოლიციამ წამოიწყო, ეს ძალზე მცირე შედეგი იყო, მაგრამ იგი მაინც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რათა პროკურატურას ბრალდება წაეყენებინა კაპონესა და მაფიის ხელმძღვანელობისათვის იმის თაობაზე, რომ ისინი შეგნებულად არ ისდიდნენ გადასახადს და არღვევდნენ „მშრალ კანონს“.

„კოზა ნოსტრას“ ადვოკატებმა ერთსმად განაცხადეს: „საქმეს საზოგადოებრივი აზრი გადაწყვეტს, მოისყიდეთ ქუჩა!“. ქალაქში 5 ათასი ინდაური დაარიგეს: ეს კეთილი „ნათლიის“ საჩუქარი იყო. ძღვენი ყველაზე ღარიბებმაც კი მიიღეს. ყველა კუთხეში იდგა ქვაბი წვნიანი, საჭმლით. მაგრამ ამჯერად მაფიას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ოინების ოსტატი საკუთარ თვალს არ უჯერებდა, როდესაც სასამართლოში გამოცხადების უწყება მიიღო.

1931 წლის 16 ივლისს დღის პირველ ნახევარში დამნაშავეობის სამყაროს ყოფილი განუსჯელი მბრძანებელი წარსდგა სასამართლოს წინაშე საგადასახადო კანონის დარღვევისათვის. მისმა იურისტებმა მიაღწიეს საქმის საბოლოო გარჩევის გადადებას ოქტომბრამდე, რათა დრო მოეგოთ და ნაფიცი მსაჯულების ვინაობა დაედგინათ, „იმ ბიჭებს, სასამართლოდან, მიეცით მილიონი, პროკურორ უონსონსა და საგადასახადო კანტორის დირექტორს - კი — ტყვია!“ ნესის საპოლიციო ჯგუფმა ხელი შეუშალა მკვლელობას, მაგრამ „ნათლიის“ ადვოკატებმა ნაფიც მსაჯულებს კიღევ ნახევარი მილიონი დაუმატეს. და საქმეც თითქოს გაიჩარხა, მაგრამ კაპონეს სიურპრიზი ელოდა. ფედერალური სასამართლოს პრეზიდენტმა ვილკერსონმა ბოლო მომენტში შეცვალა სასამართლოს წევრების შემადგენლობა. მათ თავის მხრივ მოუსმინეს 50 მოუსყიდავ მოწმეს.

ვაჭრები, ხელოსნები და მოხელეები ერთხმად ამტკიცებდნენ თუ რამდენად, როდის და რა იყიდა კაპონემ ანგარიშზე ხელმოუწერლად. საგადასახადო დეკლარაციაში კი წერდა, რომ ღა-

რიბი და უქონელი იყო. 18 დღის შემდეგ ექსპერტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ალ კაპონე ხუთ მცირე 1 000 000 დოლარის მფლობელი იყო და აქამდე ცენტიც კი არ გადაეხადა.

ალფონსო კაპონემ მოისმინა განაჩენი — 11 წლის პატიმრობა და სასამართლოს ხარჯების გადახდა. ვილკერსონმა უარი თქვა შეთავაზებულ ქრთამზე, მას ასსოვდა პრეზიდენტ ჰუვერის სურვილი — კაპონე ციხეში უნდა ჩაჯდესო.

შიშით შეპყრობილმა „ნათლიამ" უკანასკნელ ცდას მიმართა თავისუფლების მოსაპოვებლად: „მე მარიოლსაკუთრებას დაეხმარები. მოვძებნი გატაცებულ ადამიანებს", მაგრამ მოსამართლემ მაშინვე მიუბრუნა შერიფ ლუფენბერგერს: „რიდის შეგიბეჭდიათ, ჩასაცერდადებულის გადაგვარა ციხეში?" „ბატონო, თქვენო ბრწყინვალებავ!".

ბოლო სიტყვა კაპონემ მისთვის ჩვეული მანერით წარმოთქვა: „ყველა აქ დამსწრეს ბევრი ნაჩვრეტი ეტყობა". მაგრამ მისი წინასწარმეტყველება არ გამართლდა.

ციხეში ის მატარებლით წაიყვანეს. სელბორნელდადებული ავტომობილების გამტაცებელ უილიამ მორეიცისა და ალ კაპონეს ნახვა ყველა გაზეთის სატიტულო გვერდზე შეეძლო 1931 წლის ნოემბრისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ 25 მილიონ იმიგრანტს.

კაპონე არ უჩიოდა პირობებს კანზასის ციხეში. ის თამაშობდა ჩოგბურთს, გოლფს, აწყობდა პრესკონფერენციებს ივ ლენდე, ვიდრე პრეზიდენტი ჰუვერი გაიგებდა ნომერ 40886 პატიმრის წყნარი ცხოვრების შესახებ. მან შინაგან საქმეთა მინისტრს უბრძანა, რომ კაპონე გადაეყვანათ საკატორღო ციხეში კუნძულ ალკატრასზე სან-ფრანცისკოს მახლობლად. სისხლის სამართლის დამნაშავეთა ყოფილ სამსედრო ბანაკს უბრალოდ „კლდეს" ეძახდნენ, მაგრამ მის ხსენებაზე ყველაზე თავზეხელაღებულებსაც კი ჟრუანტელი უვლიდათ ტანში. ციხის არსებობის 30 წლის მანძილზე ბეჯითმა ზედამხედველებმა აქ მოათვინიერეს ათას ხუთასამდე განსაკუთრებით საშიში დამნაშავე.

კაპონეს პრივილეგიების დასასრულიც მოვიდა. ამ სპეციალურ ციხეში მაფიოზი არაფერს ნიშნავდა და იქ მათ დასკვაზე უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე აღზრდაზე. „კლდის" არსებობის პირველი დღეებიდანვე ადმინისტრაცია ხელმძღვანელობდა ორი პრინციპით: „გაენადგურებინა პიროვნება და ჰყოლოდა ისეთ

პირობებში, რომ გაქცევაზე არც კი ეფიქრა". პატიმრების ზედმეტი კვებისათვის მიზანდასახულად ზრუნავდა მზარეულთა ჯგუფი. ყოფილი ციხის, 1963 წლიდან კი ტურისტული ობიექტის მნახველებს დღესაც შეუძლიათ წაიკითხონ სადილის მენიუ პატიმრებისათვის: შემწვარი წიწილა, კარტოფილი ხარისვარდას საწებელათი, ბატის კუჭმაჭი, სატაცური ზეთით, ფუნთუშა კარაქით, წითელი მოცვის ღვეზელი, პუდინგი, ხილი და ყავა.

ასეთივე ნოყიერი, გემრიელი და მრავალფეროვანი იყო საუზმე და ვახშამი, სადილი და სამხარი. ისედაც მსუქან კაპონეს დიდი პრობლემები ჰქონდა ამ აუცილებელი ზედმეტი კვების გამო. მაგრამ სულ მალე შიმშილობის დროც დაუდგა. მისი ციხეში ყოფნის პირველი წლები დაემთხვა არამარტო დიდ ეკონომიკურ კრიზისს და რუზველტისეულ ახალ ერას. ეს იყო ბავშვთა გატაცების, ამერიკის საყვარელი მფრინავის ლინდბერგის ვაჟის მკვლელობისა და დილინგერის ტიპის დამნაშავეთა თარეშის პერიოდი. რუზველტის ამერიკას სურდა ერთბაშად გაეტეხა ყველაზე სასტიკი დამნაშავეები, მოეხდინა მათი იზოლაცია. ამიტომ, 1933 წლის ბოლოს კუნძულზე დიდი გარდაქმნები დაიწყო. ძველ ციხეებში მოათავსეს 600 პატიმარი. არმიას ალკატრასი ყველაზე საიმედოდ მიაჩნდა, რადგან აქ თვით კუნძული ქცეულიყო დარაჯად. ზღვის დინებებს გაქცეული პატიმრები ღია ზღვაში მიჰქონდა, თუ ისინი მანამდე ზვიგენების ლუკმად არ იქცეოდნენ. მაგრამ 1933 წელს სამოქალაქო მმართველობამ არ გაიზიარა სამხედროების აზრი და ციხის მაგარ კედლებს მიუშენა ახალი სადარაჯო კოშკები, საიდანაც შორსმსროლელი შაშხანებით შეიარაღებული პოლიციელები მთელ კუნძულს უწევდნენ კონტროლს. ბოლო მოეღო ზედმეტ კვებასაც. მშენებლებმა საერთო საკნები გადააკეთეს ცალკეულ პატარ-პატარა ერთადგილიან საკნებად პატარა ფანჯრებით და სპეციალური ფოლადისაგან დამზადებული გისოსებით, რომლის გადახერხვა შეუძლებელი იყო. ამ საკნებში შესვლას ვერ ბედავდა ვერც ერთი შეიარაღებული მცველი. პოლიციელებს თვალს ადევნებდნენ მათივე კბილებამდე შეიარაღებული კილეგები, რომლებიც ერთი სართულით მაღლა იმყოფებოდნენ.

ალკატრასი სწორედ კაპონეს დროს წარმოადგენდა ყველაზე მკაცრი რეჟიმის ციხეს.

არც დაპატიმრების მოტივი და არც სასჯელის ზომა ალ კაპონეს კუნძულზე გადაყვანის საბაბს არ იძლეოდა. მაგრამ ყველამ იცოდა, რომ მაფიის ომებში ალმა პირადად ათობით და ასობით კონკურენტი და „უვარგისი" მოქალაქე გამოასალმა სიცოცხლეს.

რეჟიმის ამგვარი შეცვლის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი უპირველესი განგსტერი უჩვეულოდ მორჩილი გახდა. ციხის მცველების წინაშე ასეთმა მორჩილებამ მას პატიმრებს, განსაკუთრებით კი მაფიოზებს, შორის ავტორიტეტი დაუკარგა.

1935 წლის ზაფხულში ვინმე ჯიმ ლუკასმა, რომელიც ალკატრასში ატლანტის ფედერალური ციხიდან გადმოიყვანეს, ალ კაპონე გავაში დაჭრა მაკრატლით, რომელიც ციხის დალაქს მოპარა. კაპონე სიკვდილს მსუბუქი ჭრილობით გადურჩა.

საბოლოოდ ალ კაპონეს ბოლო მოუღო-ვენერიულმა დაავადებამ, რომლითაც იგი დაავადდა ახალგაზრდა და ლამაზი ბერმენი ქალის ნიობესაგან. ეს ნიობე ოდესღაც ჩიკაგოში ალ კაპონეს სარისკიპოში „მუშაობდა".

1932 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარეობდა პრეზიდენტის არჩევნები. რესპუბლიკელები კანდიდატად ასახელებდნენ ჰუვერს, იგი ამომრჩეველთა სურვილით მხარს უჭერდა „მშრალი კანონის" გაგრძელებას. ეს ფაქტი ძლიერ ამაგრებდა დემოკრატების პოზიციას. მათი კანდიდატი პრეზიდენტის პოსტზე ფრანკლინ დელანო რუზველტი იყო. ეს უაღრესად განათლებული და არაჩვეულებრივად ძლიერი პიროვნება, მისი კანდიდატურის დამტკიცების შემდეგ ჩიკაგოში ჩაფრინდა.

რუზველტმა გამოაქვეყნა თავისი პროგრამა „ახალი კურსის" სახელწოდებით. დეკემბერში ჩიკაგოში, სადაც იმ დროისათვის 700 ათასი უმუშევარი იყო, იგი გამოვიდა ეკონომიკურ პოლიტიკაში ღრმა გარდაქმნებისა და „მშრალი კანონის" სრული აკრძალვის პროგრამით. ამ პროგრამამ მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა მაფიის „ნათლიებს".

ახლა ძნელია განსაზღვრა, თუ როგორ იმოქმედა ამომრჩევლებზე „მშრალი კანონის" გაუქმების პროექტმა, მაგრამ რუზველტმა ხმების არნახული უპირატესობა მიიღო — 23 მილიონი ამომრჩევლის ხმა პრეზიდენტ ჰუვერის 16 მილიონი ხმის წინააღმდეგ.

პრეზიდენტ რუზველტის დემოკრატიულმა მთავრობამ ხელისუფლება ჩაიბარა მეტად დაძაბულ პერიოდში. და მიუხედავად ამისა, და, შესაძლოა, სწორედ ამიტომაც, რუზველტის ხანგრძლივი პრეზიდენტობის პერიოდს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში.

მნიშვნელოვანი ღონისძიებების კომპლექსმა, რომელიც რუზველტმა მისი პრეზიდენტის პოსტზე არჩევამდე შეიმუშავა, ქვეყანა გამოიყვანა მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისიდან. „ახალი კურსის"პირველმა სამმა თვემ მიიღო „100 დღის" სახელწოდება.

ამერიკაში მას „სასწაულებრივ 100 დღეს" უწოდებდნენ. პრეზიდენტმა მოიწვია კონგრესის საგანგებო სხდომა და დამსწრეებს ერთიმეორის მიყოლებით გააცნო 70 ახალი კანონი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და ფინანსების დარგში.

ამ პერიოდისათვის ქვეყანაში 14 მილიონ ადამიანს სამუშაო არ გააჩნდა, ქუჩებში მშიერი ადამიანები დაბორიალობდნენ. ამ უბედურების ერთ-ერთ მიზეზად პრეზიდენტი „მშრალ კანონს" ასახელებდა. მაგრამ მას კონგრესის ნებართვის გარეშე არ ჰქონდა უფლება ეს კანონი გაეუქმებინა. თუმცა რუზველტმა შეძლო ამ კანონის დამფუძნებელი კონსტიტუციის დანამატის ბოლიანად მოხსნამდე სპეციალური დეკრეტით გაეზარდა სასმელებში ალკოჰოლის დასაშვები პროცენტი და ნება დაერთო ლუდის წარმოებაზე.

გავიდა 10 დღე დეკრეტის გამოცემიდან და პრეზიდენტმა კონგრესს წარუდგინა 72 სიტყვიანი განცხადება. 1933 წლის 5 დეკემბერს, დილით დამთავრდა მაფიანური ალკოჰოლის ერა. 13 წლის, 9 თვისა და 29 დღის შემდეგ რუზველტმა გააუქმა „მშრალი კანონი". მან თავის ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადა: „ახალი ეპოქა იმსახურებს კათხა ლუდს თითოეულისათვის!".

გამოცარიელებულმა სახელმწიფო ხაზინამ მოკლე დროში შევსება დაიწყო. ახლადგახსნილმა ლუდისა და არაყის სახდელმა ქარხნებმა სამუშაო მისცა ასობით ათას ადამიანს. სამუშაო იშოვეს ტყისმჭრელებმა, მეშუშეებმა, მეპურეებმა. 40 მილიონი კასრი ლუდის წარმოება მოითხოვდა მილიონობით ბოთლსა და ჭიქის წარმოებას. რესტორანებში მომსახურე პერსონალს

სჭირდებოდა კოსტიუმები, ფეხსაცმელი და დალაქები. კალა-ტოზები აშენებდნენ ახალ ლუდის ქარხნებსა და რესტორა-ნებს. ტრანსპორტზე სამუშაოდ დებულობდნენ ათასობით მძღოლს, პტვირთავს, ბემანქანესა და მეარეს.

მაგრამ გამოცოცხლებული ეკონომიკა ორგანიზებული დან-ნაშაულეობის დასასრულს არ ნიშნავდა.

იუსტიციის მინისტრმა რამზეი კლარკმა ეველაზე უკეთ იცოდა სინამდვილე: „შეუძლებელია იმ ზარალის გამოანგარი-შება, რაც „მშრალი კანონით" თვითმოტყუებამ გამოიწვია. ყველაზე სავალალო შედეგი, რაც ამ კანონს მოჰყვა იყო ის, რა-ც ქვეყანაში დამკვიდრდა სიცილიური მაფია და შეიქმნა განგ-ტერული იმპერია. ალკოჰოლის არალეგალურმა წარმოებამ მაფიას მოუტანა უდიდესი მოგება. ჩვენი პოლიცია უკეთესად მომზადებულიც რომ იყოს, მაინც ვერ დაიმსახურებდა მოქა-ლაქეთა პატივისცემასა და მსარდაჭერას იმ კანონების დაცვის გამო, რომლებსაც ამერიკის ბაცხიერებლები არ ეთანხმებ�d-ნენ. მაფია ასე უცებ ვერ გაქრება".

„მშრალი კანონის" გაუქმებამ კაპონეზე განუკურნებელი ავადმყოფობის მსგავსად იმოქმედა. ცხის საავადმყოფოდან გაძღისვლის შემდეგ მან პირობით განთავისუფლების თხოვნით მიმართა სასამართლოს.

1939 წელს, უკვე ნახევრად პარალიზებული, საყელისა-ლ დაავადებული კაპონეს წინ გაიღო საკარეოდო ცხის კარები. თანამეინახეებს ალ კაპონე მხოლოდ თავისი 20 წლის ვაჟის-ალბერტის ქორწილზე შეხვდა. ალბერტს არ გამოჰყვა მამის გენიალური ტალანტი. მისმა საქციელმა კაპონეს საქვეყნოდ მოჭრა თავი. მეოთხეული საუკუნის შემდეგ ალბერტი დაპატიმ-რეს იმისათვის, რომ ჩიკაგოში რატუშის ძახლობლად თვით-მომსახურების მაღაზიიდან მოიპარა ორი კოლოფი ასპირინი და ელემენტების კომპლექტი ტრანზისტორული რადიომიმ-ღებისათვის. თუმცა „ნათლია" კაპონე ამ დროს უკვე გარდაც-ვლილი იყო. 1947 წლის 25 იანვარს მისი ცხედარი დაასვე-ნეს მილიარდერების მეკუბოვე ვინდჰემ ტილდრიკის დამკრ-ძალავი ბიუროს შენობაში.

მგლოვიარე „ნათლიები" ალ კაპონეს მაუნტ ოლივეტის სასაფლაოზე გამოეთხოვნენ და დამწუხრებულნი შეუდგნენ

თათბირს, თუ ვინ და როგორ შეძლებდა ქალაქის მმართველობასთან წინანდელი კონტაქტების აღდგენას.

ახალი მერი ედვარდ ჯ. კელი მათთვის დიდ დაბრკოლებას არ წარმოადგენდა. მისი მმართველობის დროს მიყრუებულ ქუჩებსა და მთავარ მაგისტრალებზე ათასობით არალეგალური სათამაშო სახლი აღმოცენდა.

მაფიის თავისუფალი ტახტი დაიკავა დაუნდობელმა გიგანტმა მოსვირინგებულმა ტონი აკარდომ. თუმცა აკარდოს ჯეიკ გუზიკი მართავდა. აკარდოს იმპერია დაეცა 1957 წელს. ახალმა, გაცილებით ინტელექტუალურმა „ნათლიამ“ სალვატორე ჯანკანამ, მეტსახელად „მომომ“ ანუ „მთავარეულმა სემმა“, მიაღწია კაპონეს სანატრელ მიზანს. ჯანკანამ თავისი ტალანტის წყალობით შეაღწია ლეგალური წარმოების ყველა სფეროში. იმ დროიდან, რაც ჯანკანამ დაიკავა „კაპო დი ტუტი კაპის“ ტახტი, ქუჩებში ომები წარსულს ჩაბარდა. მაფია ახალ კურსს დაადგა. იგი ძალას იკრებდა.

10. „ლორმუცელა“ მასერიას „სეშეში ფვერის“ აჩრდილი

ნიუ-იორკში დიდებისაკენ ილტვოდა ახალგაზრდა თაობა. თავისი წინამორბედებისაგან ეს თაობა დანაშაულებრივი საქმიანობის მეთოდებითა და სტილით განსხვავდებოდა. ძველი გვარდიის წევრები, თუმცა კარგი მსროლელები იყვნენ, მაგრამ ვაჭრობის კანონებში არაფერი გაეგებოდათ. სერიოზული უთანხმოების მოსპობა მხოლოდ ბართლომეს ღამეს შეეძლო.

უთანხმოების მშვიდობიანი გზით მოგვარების მთავარი მოწინააღმდეგე იყო ნიუ-იორკის „დონი“ ჯუზეპე მასერია. მისი იმპერია, რომელიც ტონის მიმცემი იყო ჩიკაგოსთვისაც კი, მან გაყო 2 ნაწილად: ბრუკლინის მთავარი შტაბიდან მაფიას მართავდა მასერიას მოადგილე ფრენკ იალა, მანჰეტენს კი ჩარლზ ლუჩანო, მეტსახელად „ლაკი“ (იღბლიანი).

როდესაც 1906 წელს 9 წლის ბიჭუნა ნიუ-იორკში ჩამოვიდა, სულ სხვა სახელი — სალვატორე ერქვა. მის მეხსიერება-

ში სამუდამოდ ჩარჩა 15 ივნისის დილას ძველი გემიდან დანახული უზარმაზარი ცათამბჯენების კონტურები. ბატონმა ლუჩანომ ვაჟიშვილს შორსმჭვრეტელურად უთხრა: „აი ქალაქი, სადაც ყველა ფულს ინახავს. შენ მათ უნდა დაეხმარო, რომ ამდენი საზრუნავი აღარ ჰქონდეთ!“

დაძონძილმა სალვატორემ, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ უწოდებდა თავის თავს ჩარლზ ლუჩანოს, მონდომებით დაიწყო მამის სურვილის განხორციელება. სალვატორემ მიატოვა ნიუ-იორკის პორტში მასთან ერთად მომუშავე 4 თანამემამულე და ძარცვას მიჰყო ხელი. 15 წლისა ბანდა „ხუთი წერტილის“ წევრი გახდა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი, თავისი წინამორბედის მსგავსად, იმიგრანტებს ადგილობრივი წეს-ჩვეულებების სწავლა დაუწყო.

მომავალი „ნათლია“ ადრეული ბავშვობიდან მარტო პროფესიონალ განგსტერებს კი არ მეგობრობდა, ის ეხმარებოდა ყასბებსაც, რომლებიც ღატაკი იტალიელების კუჭებს ცხენის ხორცით ავსებდნენ, და პურის მცხობლებსაც, რომლებიც ფქვილში ნახერხს ურევდნენ.

ლუჩანო სიჭაბუკეშივე მიხვდა, რომ მაცდური ოქრის მონეტები ნიუ-იორკის დამნაშავეობის სამყაროში შეღწევის საშუალებაა, სამყაროში, რომელსაც იმ დროს მართავდა შანტაჟისტი და გამომძალველი არნოლდ როტშტეინი.

გამჭრიახი გონების მოზარდმა იმდენად დაინტერესა შეფი, რომ მან 18 წლის ლუჩანო მაფიის ერთ-ერთ ბოსად აქცია. მიუხედავად იმისა, რომ ლუჩანოს თავისი კეთილმოსურნისათვის ერთგულების ფიცი ჰქონდა მიცემული, იგი თავიდანვე ღალატის გზას დაადგა. როდესაც როტშტეინმა ომი დაიწყო „ველურ ჰოლანდიელ“ შულცთან, ლუჩანომ გაყიდა საყვარელი შეფი. თუმცა შეფის სიკვდილი მაშინ ჩარლზს უმართებულოდ მიაწერეს. როდესაც 1928 წლის 4 ნოემბერს როტშტეინი ტელეფონით გამოიძახეს ღამის კლუბში და უთხრეს, რომ ოტელ „პარკ სენტრალში“ მეგობრები ელოდებოდნენ, ლუჩანო ციხეში იჯდა. როტშტეინმა დააწყო დარიგებული კარტი და „სენტრალში“ წავიდა. ის უკან აღარ დაბრუნებულა, „ჰოლანდიელი“ შულცის „ლეიტენანტები“ მიზანში ზუსტად ისროდნენ.

ლუჩანო ციხიდან ისე გვიან გამოუშვეს, რომ თავისი მასწავლებლის უკანასკნელ გზაზე გაცილების ცერემონიაზეც კი

დააგვიანდა. მაფიისგან მან მიიღო 720 დოლარი, დღიური თანხა სინგ-სინგში ყოფნისათვის და ფრენკ კოსტელოსთან ერთად „კოზა ნოსტრას“ საკუთარი ფილიალი ჩამოაყალიბა. ორ წელიწადში მან „დონების დონის“ ჯო მასერიას კეთილგანწყობა დაიმსახურა.

„მშრალი კანონის“ მოქმედების პერიოდში ლუჩანო უკვე 7 ქალაქში „მოღვაწეობდა“, გარეგნულად უაღრესად სერიოზული მეწარმის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ტესასში ის ნავთობით სპეკულაციას ეწეოდა, შემდეგ ბელი ორგანიზებულ პროსტიტუციაშიც სცადა. დამწაბავეობის სამეარიში წარმატებებისათვის მას მეტსახელიც კი შეარქვეს — „ლაკი“.

ლუჩანოს მეტსახელი „იღბლიანი“ ზედმიწევნით მიესადაგებოდა ფირმა „დაუნტაუნ რეალთი კომპანის“ ჩამოყალიბებას ოცეას ძესვეულის მსხვილი საწარმოების „არმორის“, „სვიფტის“, „მორის ნელსონის“ და „ემაუნტის“ ნიმუშების მიხედვით. ლუჩანომ მაფიის 7 საწარმო ერთ გიგანტურ კონცერნად გაერთიანა, რითაც შესაძლებლობა მიეცა ეკარნახა ფასები არალეგალურად წარმოებულ ალკოჰოლზე. ლეგალურ ქარხანას, რომელიც კარგად ნიღბავდა არალეგალურ ვაჭრობას, გააჩნდა ფილიალები ნიუ-ჯერსიში, ბოსტონში, როდ-აილენდსა და ატლანტიკ-სიტიში. ატლანტის ოკეანეს ლუჩანოს ნებართვის გარეშე წვეთი სპირტიც ვერ გადაკვეთავდა. „დიდი შეიდეული“ ფლობდა საზღვაო ფლოტიღლიას და გადასატვირთავ პუნქტს კანადასა და ბაჰამის პორტებში.

ნიუ-იორკში ლექსინგტონის აეენიუზე ერთ-ერთ სასტუმროში სადღეღამისო რადიოკავშირი ჰქონდა გემებთან და ბაზებთან საფრანგეთის კუნძულებზე — სენ პიერსა და მიკველონზე, აგრეთვე ნიუ-ფაუნდლენდის ნაპირებთან და ბაჰამაში. კოდირებულ ცნობებში მითითებული იყო კონტრაბანდული გემების მოსვლისა და წასვლის დრო, აგრეთვე მონაცემები ალკოჰოლის რაოდენობისა და ხარისხის შესახებ. „მშრალი კანონის“ გაუქმების შემდეგ ლაკიმ ყველა საწარმო ნარკოტიკული საშუალებების დამუშავებასა და გავრცელებაზე გადაიყვანა.

ლეგალური საწარმოების ჩამოყალიბება და საბრძოლო იარაღის გვერდზე გადადება ნიშნავდა მაფიის ძველი სიცილიური ფრთის, ე. წ. „ხეხეში წვერის“ წინააღმდეგ გამოსვ-

ლას. ამ სიახლეს არ აღიარებდა არც „ნათლია“ ჯუზეპე მასერია, მეტსახელად „ღორმუცელა“.

ის თავს მთელი ამერიკის დამნაშავეობის სამყაროს შეფად თვლიდა და ამიტომ გასცა ბრძანება, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ლაკი ლუჩანოსა და ფრენკ კოსტელოს ნება-სურვილს: „ნიუ-იორკის მაფიის ყველა „ოჯახის“ „ბოსების ბოსი“ იქნება პიტერ მორელო, ხოლო კასტელამარელი სიცილიელები (სიცილიის ქალაქ კასტელამარე დელ გოლფოდან გადმოსახლებულები) დაეხმარებიან მას“. მასერიას სურვილი — მაფიაში შეენარჩუნებინა ერთხელისუფლებიანობა, არც ებრაელთა ბანდებს მოსწონდათ. ლუჩანო და კოსტელო მასერიას ამ სურვილს თითქოს მხარს უჭერდნენ, სინამდვილეში კი ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ. ეს მომენტიც მალე დაღგა მასერიას თანამემამულის სალვატორე მარანცანოს სახით.

თვითდაჯერებული მასერია საშიშროებას არაფრად აგდებდა. ჯაშუშები ტყუილად იწუხებდნენ თავს, როცა მოახსენებდნენ კასტელამარედან ყოველდღიურად ახალი მაშველი ძალების ჩამოსვლის შესახებ. უკეთ რომ ვთქვათ, ნაპირს მიახლოებული გემიდან წყალში ხტებოდნენ, რათა თავი აერიდებინათ საბაჟოს თანამშრომელთა მომაბეზრებელი შეკითხვებისათვის.

ასეთივე გზით ჩამოვიდნენ ამერიკის დედაქალაქში მომავალი „ნათლიები“ ჯოზეფ ბონანო და პიტერ მაგადინო. სიცილიური წარსულის გამო ისინი მალე მარანცანოს „ლეიტენანტები“ გასდნენ. ამ გულმოდგინე მოადგილეებმა ბრუკლინში ახალი „ოჯახების“ შედგენა და მეწარმეთა შანტაჟირება დაიწყეს ისე, რომ თავიანთი საქმიანობის შესახებ „ნათლია“ ჯო მასერიასაც კი არ შეუთანხმდნენ. ბოსმა მასერიამ კი ბრუკლინს კოლექტიური ბეგარა დააკისრა. ჭირვეული მარანცანო იცინოდა! „რას გადავიხდი, თუ კი ლაშქარი უფრო ძლიერი მყავს?“

ასეთ უჩვეულო სიტუაციაში მასერიამ თავისი უპირატესობის ჩვენება იმით შეძლო, რომ მოაკვლევინა მარანცანოს თანაშემწე და მოატაცებინა მისი ერთ-ერთი „ლეიტენანტი“, თან გამოსასყიდად 10 ათასი დოლარი მოითხოვა. მარანცანომ გამოისყიდა მოტაცებული „ლეიტენანტი“ და ამით საქმე დამ-

თავრეპულად ჩათვალა. მაგრამ მასერია სხვაგვარად ფიქრობდა. ჯერი მარანცანოს მთავარ „ლეიტენანტზე“ ტომ რეინზე მიდგა.

ტომ რეინის მკვლელობა შეიძლება ჩაითვალოს ლეგენდარული კასტელამარული ომის პრელუდიად. ამ ომის დასასრულისათვის მეკუბოეებმა 60 მიცვალებული დათვალეს. მხოლოდ ატლანტიკ-სიტიში დადებულმა ხელშეკრულებამ შეწყვიტა საომარი მოქმედებანი.

თავდაპირველად ისე ჩანდა, რომ მასერიას დაჯგუფება გაიმარჯვებდა. მათ უფრო დიდი სამხედრო არსენალი ჰქონდათ და მათ შემადგენლობაში იყვნენ ოდესღაც ფრენკ იალას მიერ გაწვრთნილი „ოჯახები“, მასერიას მხარეზე იყვნენ აგრეთვე მისი მეგობარი „ნათლიები“: ახალგაზრდა დაუცხრომელი ლაკი ლუჩანო, ვიტო ჯენოვეზე, ჯო ადონისი და ფრენკ კოსტელო.

მარანცანოს არმიას შეადგენდნენ პირადი რაზმები და ასეულები ჯოზეფ პროფაჩის, ჯოზეფ ბონანოსა და ტომი ლუჩეზეს, მეტსახელად „სამთითა ბრუნოს“ მეთაურობით. აქვე იყო სტეფან მაგადინოს არმია, რომელსაც მხარს უჭერდა მარანცანოს ბიძა პეტერ მაგადინო. მაგადინოს გვარი წარმოშობით კასტელამარე დელ გოლფოდან იყო.

მაგადინო ბუფალოდან პროფესიონალი მკვლელების შესანახად მარანცანოს ყოველკვირეულად 6 ათას დოლარს უგზავნიდა.

მარანცანომ შეტევა წამოიწყო. თავდამსხმელთა რაზმის მეთაურად მან დანიშნა საშინელი რეპუტაციის მქონე კაცი მეტსახელად „ფანტომი ჩიკაგოდან“.

პოლიციამ ვერ შეძლო გაერკვია, თუ რა იმალებოდა ამ ფსევდონიმის მიღმა. სერიოზული, ფერმკრთალი სახის მქონე ფანტომი თეოლოგიის სტუდენტს მოგაგონებდათ. ოღონდ ბიბლიის მაგივრად ის ვიოლინოს შალითაში მოთავსებულ ავტომატს ატარებდა. იგი მაშველი ძალების თანხლებით გაეშურა მორელოს საიქიოში გასასტუმრებლად, მაგრამ „მსროლელთა“ ნაწილი ქუჩაში დატოვა, თვითონ კი მდიდრულად მორთულ კანტორაში მარტო შევიდა.

პეტერ მორელოს სიკვდილმა მაფიოზების კლასიკური ომი

უმაწყალო სასაკლაოდ გადააქცია, რომლის შედეგები მაფიის რიგითმა წევრებმაც იგრძნეს;

მათ განეკუთვნებოდა ჯოზეფ ვალაჩიც, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ, სასიკვდილო განაჩენისათვის რომ თავი დაეღწია, გასცა „კოზა ნოსტრას“ საიდუმლოება.

თავისი კარიერა ვალაჩიმ დაიწყო 20-იან წლებში ქურდების პატარა, ნაკლებად ცნობილ ბანდაში, რომელთაც თავისი მოქმედების ადგილიდან ელვისებურად გაქრობის უნარის გამო „წუთიერი კაცების“ სახელწოდება მიიღეს. ეს სახელი დამნაშაველობის საშყარომ ისესხა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდიდან. მაშინ მოქმედებდა მილიცია „მინიტმენი“, რომელიც ისე იყო გაწვრთნილი, რომ სალაშქროდ გასელა ბრძანების მიღებისთანავე შეეძლოთ. „წუთიერები“ კი ყოველთვის როდი იყვნენ ასე სწრაფები, სწორედ ამან მიიყვანა ვალაჩი სინგ-სინგში.

პატიმართა შორის ვალაჩიზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოხუცმა მკვლელმა ალესანდრო ვოლერომ. იგი ციხეში 1919 წლიდან იჯდა და ახალგაზრდა მეზობელს უამბობდა ძალიან ძლიერი და საიდუმლო ორგანიზაციის არსებობის შესახებ. „მის შეფებს ხელში უჭირავთ ყველა კლანი, შენ კი მის შესახებ არაფერი იცი. ვალაჩი, ეს შენი საუკეთესო შანსია!“

ჯოზეფ ვალაჩის ძლიერ და საიდუმლო ძმობაში მოხვედრის სურვილი არ ასვენებდა, მაგრამ თავდაპირველად გამოცდა უნდა ჩაებარებინა. ვალაჩიმ თავისი ზედამხედველობის ქვეშ ჩაიბარა სინგ-სინგში პატიმრობაში მყოფ მაფიოზებს შორის საკურიერო ფოსტა. მან იმდენად კარგად გაართვა ამ საქმეს თავი, რომ ვოლერომ განთავისუფლებამდე რამდენიმე დღით ადრე უთხრა: „გარეთ გელოდება ტეპი, პოლიციისათვის კი დომინიკ პეტრილი“. მაგრამ ტეპმა ვალაჩის იმედი გაუცრუა — მიღებაზე ვილაპარაკებთ მაშინ, როდესაც ყველა უსიამოვნება დამთავრდებაო. უსიამოვნებაში იგულისხმებოდა კასტელამარეს ომი. ვალაჩიმ ჯერ არ იცოდა ვინ იყო მარაჩანო, თუმცა მის დავალებებს ასრულებდა.

„კოზა ნოსტრაში“ მიღების ყველა დეტალს იგი 20 წლის შემდეგ შემდეგნაირად აღწერდა: „ეს მოხდა ნიუ-იორკის სამხრეთით. მე შემიყვანეს ორსართულიანი სახლის პატარა ოთახში, სადაც იდგა თეთრსუფრაგადაფარებული მაგიდა. სკამებზე, რო-

გორც პარტერში, იჯდა დაახლოებით 40-მდე კაცი. როდესაც შეკრება, თანმხლებმა მითხრა: „აკოცე დონს ხელზე". შემდეგ მარანცანოს ადიუტანტმა დადო ჩემს წინ მსხვილი კალიბრის პისტოლეტი და მოკლე, ორივე პირით ბასრი ხანჯალი. დონი ადგა და საზეიმო ხმით მითხრა: „ამ წუთიდან შენ მხოლოდ პისტოლეტისა და დანისთვის ცოცხლობ და მათთან ერთად მოკვდები". მას უნდოდა ვაეკო, რომელი ხელით ვისვრი, მერე მიბრძანა ხელები დამეწყო თუნუქის თასზე. ჩაღო შიგ ცეცხლმოკიდებული ქაღალდი და მიბრძანა გაგიმეორებინა მათთან ერთად: „აი ასე დაეიწვეები, თუკი გაეცემ მაფიის საიდუმლოებას". ბოლოს მარანცანომ დაუმატა: „ძალე გაიგებ, როგორია ჩვენი კანონები, მაგრამ ორ მათგანს აბლავე გეტყვი: თუ იტყვ რამეს „კოზა ნოსტრას" შესახებ, ჩვენ ჩავთვლით, რომ სიკვდილი გინდა და დავაკმაყოფილებთ შენს სურვილს. მეორე კანონი ასეთია: გინც ბატივს არ ხცემს და მოსვენებას არ აძლევს მეგობრის ცოლს, ასევე დაასრულებს ცხოვრებას." ქაღალდი ბოლომდე დაიწვა და მარანცანომ ჩემი თავი შეუს წარუდგინა: „ეალაჩი, ამიერიდან შენი ერთადერთი უფროსია ჯო ბონანო". ბონანომ, იგივე ბანანმა, მიჩსვლიტა თითზე და როდესაც სისხლი დაინახა, პათეტიურად განაცხადა: „ამ წუთიდან შენ ჩვენ გვეკუთვნი".

„სისხლმა ჩვენ ერთ ოჯახად გაგვაერთიანა".

საზეიმო ვახშმობის შემდეგ ვალაჩი გაპის თანხლებით გაემართა ბინაზე ბრონკს რიგერ ტარკვეიზე, რომელიც მას „ნათლიამ" გამოუყო. ორი დღის შემდეგ მასთან დააკაკუნა შიკრიკმა: „მისამართი უნდა შეიცვალო!". მარანცანოსა და მასერიას ბანდებს შორის მტრობა მოითხოვდა არალეგალურ თავშესაფარს.

2 ნოემბერს წვიმიან დილით, ვალაჩის ბედმა გაუღიმა. ლიფტში ოტელ „გულთან" ის პირისპირ შეეჩეხა მასერიას.

ვალაჩიმ მაშინვე გაგზავნა პატაკი მარანცანოს შტაბში. მასერიას კვალს დაადგნენ ჩიკაგოელი ფანტომი და მძარცველი ნიკი, მაგრამ მასერიასაც გაუმართლა, ის მიიმალა თავისი „ლეიტენანტის" სტივ ფერინის საიდუმლო ბინაში.

გამარჯვების სასწორი მარანცანოს მხარეს გადაიხარა. მან თათბირი მოიწვია სალონ დანს ჰოლში. მარანცანომ, რომელიც ეჭვს ენაზე სუფთად ლაპარაკობდა, ნიუ-იორკი ხუთ „ოჯახად"

დაყო. „პატარა კეისარმა“, როგორც მას მეგობრები უწოდებდნენ, შეიცვალა მეტსახელი და დაირქვა „დიდი კეისარი“. მის კაბინეტში სტუმრებს უმზერდნენ კეისართა ბრინჯაოს ქანდაკებანი. მარანცანოს უყვარდა მათი ყურება, ოცნებაში იგი გარდაისახებოდა ხოლმე სახელმწიფო მოღვაწედ ან მაფიის უსაზღვრო იმპერიის სარდლად. აბსოლუტური ძალაუფლების მოპოვების სურვილით შეპყრობილმა გადაწყვიტა ყველა კონკურენტის ჩამოცილება. პირველი იყო ჯუზეპე მასერია თავისი შეთხელებული ბატალიონებით. ნიუ-იორკის განაწილებით უკმაყოფილო, ძალაუფლების მოპოვების მსურველებმა — ლუჩანომ, კოსტელომ და ჯენოვეზემ ფიცი დადეს, რომ მასერიას სამუდამოდ დაადუმებდნენ. უმადური ლუჩანო ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა. მან 1931 წლის 20 აპრილს პატივცემული „ნათლია“ სადილად რესტორან „ნუოვო ეილა ტამპაროში“ მიიწვია. ამ რესტორანმა ნიუ-იორკის გარეუბან კონი-აილენდში სახელი გაითქვა ლოკოკინებიანი სპაგეტით. საღამისათვის რესტორანის დარბაზი დაცარიელდა. ორი ბოთლი ჩიანტის შემდეგ ლუჩანომ მასერიას შესთავაზა პოკერის პარტია ეთამაშათ. ოთხის ნახევარზე ლუჩანო სიტყვებით: „მაპატიეთ, ღვინოა დამნაშავე“ გაქრა ტუალეტში, საიდანაც მაშინვე მსროლელთა ჯგუფი გამოიჭრა. „ნათლია“ მასერია, რომელიც იკვებნიდა მსოფლიოში ყველაზე სწრაფი მსროლელი ვარო, არ იყო იმდენად მარდი, რომ თავი აერიდებინა ოთხი რევოლვერის ტყვიებისათვის. ლაკი ლუჩანო წინდაზენდულად დაელოდა, სანამ სროლა შეწყდებოდა და შემდეგ დაბრუნდა დარბაზში. მისი ბატონი პირაღმა ეგდო. მარჯვენა ხელში ყვავის ტუსი შერჩენოდა.

ღვთისმოშიშმა ლუჩანომ პირჯვარი გადაისახა და ოფიციანტს დაუძახა: „რა ხდებოდა აქ? თქვენ რასაკვირველია, ნახეთ, რომ ბატონი მასერია სროლის დროს მარტო იჯდა. ვფიქრობ საჭიროა პოლიციის გამოძახება“.

მასერიას სხეულში ჩაჭედილმა ცხრამეტმა ტყვიამ დაასრულა ბრძოლის პირველი წრე. მასერიას სიკვდილმა ხელები გაუხსნა მარანცანოს.

11. ლუჩანოს სიცილიური „საიდუმლო სერობა“

მასერიას სიკვდილიდან ხუთი დღის შემდეგ ბრუკლინში შეიკრიბნენ სიცილიურ დიალექტებზე მოლაპარაკე „ლეიტენანტები“ და საუკეთესო „მსროლელები“. ყურადღების ცენტრში იყვნენ ჯო ადონისი და ალბერტ ანასტასია, რომლებზეც პოლიციამ ეჭვი მიიტანა „ნათლია“ ჯუზეპეს მკვლელობაში. ლუჩანოს მიმართ კი ეჭვის ნატამალიც არ გამოთქმულა.

გამარჯვებული მხარე, რომელსაც „ნათლია“ მარანცანო ხელმძღვანელობდა, მასერიას სიკვდილს სამი დღე და ღამე ზეიმობდა. მაგრამ მათ შორის უკმაყოფილონიც იყვნენ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ იგივე ლუჩანო, კოსტელო და ჯენოვეზე — სამი ასპროცენტიანი ამერიკელი სიცილიური სისხლითა და სიცილიელი წინაპრებით. მათი აზრით, მარანცანო მოძველებული იდეების მქონე შეფი იყო. მას მაფიის მეთოდების შეცვლის შესახებ გაგონებაც კი არ სურდა, ისევე როგორც ოდესღაც კოლოსიმოს. და მაინც, ოპოზიცია ლაკი ლუჩანოს მეთაურობით ჯიუტად უარყოფდა მაფიის სხვა „ოჯახებში“ მტრების ამოხოცვის საჭიროებას. რასაკვირველია, მათ მკვლელობის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ, მაგრამ ძალადობას ეფექტიანად მხოლოდ მაშინ თვლიდნენ, როდესაც იგი ვაჭრობის საქმეს ეხებოდა.

ძალაუფლებისათვის ბრძოლის მეორე ეტაპზე არანაკლები როლი შეასრულეს „ნაილიებმა“ — ლეპკემ, შაპირომ, შულცმა, ლანსკიმ და სიგელმა, რომელნიც მარანცანოს მხიარულებაში არ მონაწილეობდნენ. ისინი ყველა ებრაელები იყვნენ, მარანცანო კი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მეთაურები წარმოშობით მხოლოდ სიცილიელები ყოფილიყვნენ.

ლუჩანო, ჯენოვეზე და კოსტელო კი საწინააღმდეგო აზრისა იყვნენ. ისინი მხარს უჭერდნენ ებრაელთა ბანდებთან შეგობრულ ურთიერთობას, რადგანაც იცოდნენ, რომ „სიცილიელთა და ებრაელთა ომი“ კასტელამარეს ომზე საშინელი იქნებოდა და რამდენიმე წლით შეაჩერებდა ვაჭრობას.

ჯიუტ მარანცანოს შერიგების შესახებ გაგონებაც კი არ სურდა. მან არ დააყოვნა იერიშის მიტანა ლეპკეს შანტაჟების

„ოქროს ძარღვზე“ — მსუბუქი მრეწველობის პროფკავშირებზე, რომელიც ელექტრიფიკაციისა და სოფლიურ ქსოფილების წყალობით იმ დროისათვის ყველაზე მომგებიანი იყო. მან ლეპკეს შეუთვალა, რომ იმ „ჭინკებიდან“ მიღებული მოგებიდან ათი პროცენტი მას უნდა რგებოდა, და თან გადაწყვიტა „ურჩი“ მაფიოზების ლიკვიდირება.

მარანცანომ დაიქირავა თავზესელალებული მკელელი ვინსენტ კოლი, რომელიც უფრო მეტად „ცოფიანი ძაღლის“ მეტსახელით იყო ცნობილი, და 1931 წლის ცხრა სექტემბერს გამოიძახა თავისი პირადი მძღოლი, სინგ-სინგის ყოფილი ტუსაღი:

„ვალაჩი, ჩვენ ძნელი სამუშაო გველის. მე უკვე ველარ ვიტან ამ ორ სუბიექტს. მათ უღალატეს თავიანთ „ნათლიას“ და უნდათ, რომ მეც მიღალატონ! უთუოდ უნდა მოვიშოროთ ისინი. ისინი ხელს გვიშლიან“. შემდეგ მან სხვებზეც ილაპარაკა. მათ შორის ლუჩანოზე, ვიტო ჯენოვეზეზე და ფრენკ კოსტელოზე. ბოლოს „ნათლია“ მარანცანომ ვალაჩის უბრძანა, მეორე დღეს ორ საათზე მისულიყო მასთან.

მეორე დღეს ვალაჩის გაპმა დაურეკა: „ყველაფერი რიგზეა, მარანცანოსთან წასვლა საჭირო აღარაა, ახლა შეგიძლია ჩემთან ერთად წამოხვიდე!“.

ბრუკლინში გოგონებთან დაპატიჟება ვალაჩიმ სიბარულით მიიღო. ის კი არ იცოდა, რომ წინადღით ლაკი ლუჩანომ „ცოფიანი ძაღლი“ მოისყიდა, რათა მას მარანცანოსათვის ეღალატა. იმის შესახებ კი, რაც მოხდა, ნიუ-იორკის პოლიციის ოქმი გვაუწყებს: „1931 წლის 10 სექტემბერს, დაახლოებით 14 საათსა და 30 წუთზე სალვატორე მარანცანოზე — მამრობითი სქესი, თეთრკანიანი, მცხოვრები ბრუკლინი 2706, მოხდა თავდასხმა ცივი და ცეცხლსასროლი იარაღით „იგლ ბიზნეს კორპორეიშენის“ კანტორაში. თავდასხმა მოაწყო ხუთმა უცნობმა მამაკაცმა, რომელთაც პოლიციელის ფორმა ეცვათ. მსხვერპლს ოთხი ტყვია ესროლეს და ექვსი ჭრილობა მიაყენეს დანით“.

მარანცანოს სიკვდილიდან რამოდენიმე საათის შემდეგ, განსაცვიფრებელი სისწრაფით მოეღო ბოლო ათეულობით სხვა „ნათლიას“. 10-11 სექტემბრის ღამეს დამნაშავეთა სამყარომ „საიდუმლო სერობა“ უწოდა. ქვეყნის 12 შტატის

სამოცამდე „ნათლია“ ტყვიებმა იმსხვერპლეს. ყველა ისინი სიცოცხლეში გულმოდგინედ მისდევდნენ სიცილიური მაფიის ტრადიციებს და თანმიმდევრულად კაპონეს, მასერიასა და მარანცანოს უჭერდნენ მხარს.

ნიუ-იორკის სიცილიელთა გაერთიანების მეთაური ლაკი ლუჩანო გახდა და ამერიკის შეერთებული შტატების მაფია ამ სიტყვის კლასიკური გაგებით, ისტორიას ჩაბარდა.

ბოსების ბოსი ლაკი ლუჩანო ჩარლზ როსის სახელით სასტუმრო „უოლდორფ ასტორიაში“ მოეწყო. თავის პირველ მოადგილედ მან ვიტო ჯენოვეზე დანიშნა. ვიტომ ვალაჩის მანჰეტენში, სასტუმრო „კორნიშ არმზში“, ახალი გარემოებანი გააცნო: „ყოველმა ჩვენგანმა უნდა იცოდეს, რომ, როდესაც „ნათლია“ კვდება, მას თავისი ახლობლებიც თან მიყვებიან. მაგრამ, შენ ვალაჩი, სწორ გზას მიყვები და მძიმე მუშაობა გელის“.

თავისი მმართველობის ერთი თვის თავზე ლუჩანო დარწმუნდა იმ სიტყვების სიმართლეში, რომელსაც ასე ხშირად იმეორებდა მისი ყოფილი ბოსი — „caveant consules“ — სიფრთხილეს თავი არ სტკივაო. ტახტისაკენ უკვე იკაფავდა გზას ორი გაერთიანება, რომლებსაც ამბიციური მაფიოზები, ბრუკლინელი აბე რილესი და ჰეფი მაიონე ხელმძღვანელობდნენ.

აბე რილესი და ჰეფი მაიონე თავისი წოდებით უკმაყოფილონი იყვნენ და უფრო ფართო ასპარეზზე უნდოდათ გასვლა. ლაკი ლუჩანოს შურისძიების შიშმა და ძალაუფლებისაკენ სწრაფვამ ისინი მიიყვანა გადაწყვეტილებამდე. დაეარსებინათ ისეთი ფირმა, რომელიც მიიღებდა შეკვეთებს მკვლელობაზე. „მშრალი კანონის“ გაუქმებამ მათი გადაწყვეტილება უფრო მეტად განამტკიცა, რადგანაც მათ თავიანთი მოგების წყაროს მოსპობისა ეშინოდათ.

მოგვიანებით (1942 წ.) მაიონეს მკვლელობისათვის ელექტროსკამზე სიკვდილი მიუსაჯეს.

მართალია, რილესის გეგმას საიმედო დასაწყისი არ გააჩნდა, მაგრამ მალე მისი ფირმა ცნობილი გახდა სახელით „მარდერ ინკორპორეიტიდი“, იგივე „მკვლელობის კორპორაცია“.

ლაკი ლუჩანო სერიოზულად შეშფოთდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ფირმას შეუერთდა უმაღლესი კლასის „მსროლელი“ ვიტო გურინი. ეს ეწინააღმდეგებოდა მის გეგმას, რამდენადაც

ცალკეული „ნათლიები“ „მარლერ ინკორპორეიტედს“ შეკვეთებს აძლევდნენ და მათი „შესრულებისათვის“ არავითარ საშუალებაზე არ ამბობდნენ უარს. მათთან შედარებით „შავი ხელის“ დროინდელი მკვლელები „ხსნის არმიის“ მქადაგებლებს ჰგავდნენ. ამასთან, ჩეტოეიბა რილესის ბანდასა და მაფიის „ოჯახებს“ შორის შეიარაღებულ კონფლიქტებში ჩეღლავნდებოდა, ამით კი მხოლოდ პოლიცია რჩებოდა მოგებული.

ფრთხილი დიპლომატიური მოლაპარაკების შემდეგ ლუჩანომ მოასერსა რილესის „მკვლელობის კორპორაციის“ შეერთება მაფიის ბანდების ნარჩენებთან და საერთაო კონტროლისათვის ლაქვემდებარება.

ლაკი ლუჩანოს „საკანონმდებლო და სამართალმცოდნეობის“ საქმიანობამ აპოგეას მიაღწია 1934 წელს, როდესაც მან ჩამოაყალიბა ყოფილი „კოზა ნოსტრას“ მსგავსი დამნაშავეთა საძმაკაცო. მისი ხელმძღვანელობით განსაკუთრებულ ინდივიდუალობად შექმნეს მონოპოლია თავისებურად ორგანიზაციულ საფეიქვლებზე, გაიყვეს ნიუ-იორკი და ნიუ-ჯერსი, ლაფალტერეს რილესის ფირმის, როგორც „კოზა ნოსტრას“ დამსჯელი ნაწილის სტატუსი და ჩამოაყალიბეს ცხრაწევრიანი „ეროვნული კომისიის“ უფლებები და მოვალეობანი; ამ კომისიას დაეკალა გაკონტროლებინა წესების შესრულება და გადაეწყვიტა მაფიის „ოჯახებს“ შორის დავა. ლუჩანოს შეუერთდნენ აგრეთვე ებრაელთა და ირლანდიელთა შეთანხმებული ბანდების „ნათლიები“, რომლებიც დათანხმდნენ ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთა სამყაროს 24 „დონეს“ შორის დაყოფაზე. საწინააღმდეგო აზრი არ გამოუთქვეიათ იმ ამბის მიმართაც კი, რომ შესერდა ფარულ გაერთიანებებში ახალი წევრების მიღება. გამონაკლის შემთხვევაში, კლანში შეიღებდნენ წარმოშობით სიცილიელს, ისიც მხოლოდ „ეროვნული კომისიის“ შუამდგომლობით. „ოჯახების დონეები“ ან „ნათლიები“ წარმოშობით მხოლოდ მაფიის სამშობლოდან უნდა ყოფილიყვნენ. „ეროვნულმა კომისიამ“ გამონაკლისი დაუშვა მხოლოდ ოთხი ებრაელისათვის, რომლებიც „რამდენიმე წლის განმავლობაში ლოიალობასა და ერთგულებას ამტკიცებდნენ“. ესენი იყვნენ ბაგსი სიგელი, ლეპკე ბუხჰალტერი, ლონგ ცვეიმანი და მაიერ ლანსკი. ამ უკანასკნელს ჩააბარეს სათამაშო სახლებზე ზრუნვა, ბაგსის კი ახალი ტერიტორიები უნდა გამოეძებნა. უმთავრესი „ნათლიები“

მხოლოდ „ჰოლანდიელი“ შულცის კანდიდატურას არ იხილავდნენ, ვინაიდან მცდარი აზრი ჰქონდათ მის შესახებ, ეგონათ, რომ შულცისათვის სამუდამოდ იხურებოდა სინგ-სინგის კარი. „ჰოლანდიელი“ შულცი წელიწადში ორ მილიონ დოლარად „იცავდა“ ყველა არისტოკრატიულ რესტორანს მანჰეტენში და ბრავალი წლის განმავლობაში უსიამოვნება ჰქონდა საგადასახადო კანტორებთან. როცა პოლიციამ მიაკითხა, შულცი უკვე გადასული იყო ჰუძონის მეორე ნაპირზე, ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ნიუარკში. იგი მხოლოდ 1934 წლის დეკემბერში დაბრუნდა და მოსთხოვა თავის „ლეიტენანტ“ ბო ვიენბერგს ახსნა-განმარტება — „რატომ ჩაიგდო ხელში ლეპკემ ჩვენი რესტორნები მანჰეტენში, ლუჩანომ—ლატარია ჰარლემში, ჯენოვეზემ კი ჩემი მოვალეები?“. ახსნა-განმარტებებმა იგი რომ არ დააკმაყოფილეს, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მან ბო ვიენბერგს ხახაში ესროლა პისტოლეტი.

მკვლელობისათვის მას მრავალწლიანი პატიმრობა ემუქრებოდა, მაგრამ მხოლოდ იმ მომენტამდე, სანამ მისმა ადვოკატებმა საჩივარი სირაკუზში არ გადაიტანეს. ნიუარკს, როგორც იქაური სასამართლოს თავმჯდომარემ აღიარა, არ შეეძლო მისთვის მიუკერძოებელი ნაფიცი მსაჯულების მიჩენა.

შულცი სირაკუზში სასამართლომდე ექვსი თვით ადრე ჩავიდა, დაიქირავა ადგილსამყოფელი და ხუთი ქველმოქმედი საზოგადოება დააარსა. დედაქალაქში და ნიუ-ჯერსიში გამოძალეთ ნაშოვნმა კაპიტალმა ხელი შეუწყო იმას, რომ ნახევარი წლის შემდეგ, ადგილობრივი სასამართლოს ნაფიცი მსაჯულების წინაშე წარსდგა არა დამნაშავე, არამედ ღარიბების დამცველი. შულცის დოლარებით სავსე ჯიბეებით „ღრმად გულაჩვილებული“ ქალაქის გამოჩენილი პირები დათანხმდნენ შულცის სისხლის სამართლის საქმე განეხილათ ქალაქ მელოუნში, ნიუ-იორკის შტატში. მორწმუნე მელოუნელი მოქალაქეების შეგნებამ „ნათლია“ ისევე აღიქვა, როგორც სირაკუზელებმა. რასაკვირველია, იგი აქაც უდანაშაულოდ აღიარეს. ტრიბუნალის თავმჯდომარემ ფრედერიკ ბრიანტმა, ვიდრე გამოაცხადებდა განაჩენს განთავისუფლების შესახებ, განაწყენებულმა აღნიშნა: „ყველა ეჭვი ბატონი არტურ ფლეგენჰეიმერის წინააღმდეგ, რომელსაც უზრდელი ადამიანები ჰოლანდიელ შულცს ეძახიან, ნაკარნახევი იყო შურისძიებით და არა დამამტკიცებე-

ლი საბუთებით". „კოზა ნოსტრას" „ეროვნულმა კომისიამ" „ჰოლანდიელი" ნაადრევად ჩამოწერა. შულცის ნიუ-იორკში დაბრუნებისათვის ერთადერთ შავ ლაქად ითვლებოდა ახლახან დანიშნული პროკურორი, ახალგაზრდა შემლებული ადვოკატი და რესპუბლიკური პარტიის გავლენიანი წევრი თომას ე. დიუი.

ლუჩანოს იმპერიაში დასცინოდნენ კანონების ასეთ გულმოდგინე მცველს. მხოლოდ მაშინ, როდესაც პროკურორმა სანქცია გასცა შულცის დაპატიმრებაზე, „ნათლიებმა" დაიჯერეს, რომ ხუმრობებს ბოლო ელებოდა. „ჰოლანდიელმა" მოითხოვა დიუის სიკვდილით დასჯა. „ეროვნული კომისია" კი სხვა აზრისა იყო: „სასელმწიფო წარმომადგენლის მკვლელობა აღაშფოთებს საზოგადოებრიობას, დავიცადოთ, დიუის ერა არჩევნების შემდეგ დამთავრდება".

„ნათლიების" უმაღლესი საბჭოს" გადაწყვეტილებით მეტისმეტად განაწყენებულმა მილიონერმა შულცმა განიზრახა ჩამოეშორებინა დიუი მანამდე, სანამ სასამართლოს წინაშე წარსდგებოდა.

განაჩენი 1935 წლის 25 ოქტომბერს უნდა აღსრულებულიყო. ერთი თვით ადრე კი „კომისიამ" შულცი, გამონაკლისის სახით, დაუშვა თათბირზე, რომელიც მთელ ღამეს გაგრძელდა. ლუჩანომ შეკრებილთ კომპრომისი შესთავაზა: „ვაკეზავნოთ აბრამთან მოწმეები, მათ გარეშე დიუი ვერაფერს შეძლებს. მხოლოდ რამდენი არიან ისინი?" „კომისიის" სხვა წევრების აზრით კი დიუის მკვლელობა დიდ აღშფოთებას გამოიწვევდა და გაამწვავებდა ვითარებას.

მიუხედავად ამისა, შეფებმა „მარდერ ინკორპორეიტიდის" ახალ დირექტორს დაავალეს ყველაფრის გაკეთება პროკურორის გასაჩუმებლად. მათ შეისწავლეს დიუის ჩვეულები, სად და როდის იმყოფებოდა, მოამზადეს ორი. მოპარული ავტომობილი, ერთი მკვლელებისათვის, ხოლო მეორე შესაძლო მდევრებისათვის გზის გადასახერგად, შეცვალეს ავტომობილების განმასხვავებელი ნიშნები იმევე, როგორც უცხოეთიდან ჩამოტანილი იარაღის საფირმო ბეჭდები. ასეთ მზადებას ყოველი სერიოზული შემთხვევის დროს იწყებდა „მარდერ ინკორპორეიტიდის" შეფი — ანასტაზია.

ანასტაზიამ მოქმედების ადგილად აირჩია პატარა რესტორანი, სადაც ორი თავისი აგენტი მოაწყო — ერთი მზარეულად,

ხოლო მეორე შვეიცრად. მზადება დამთავრდა, მაგრამ მეორე საბჭოზე ვანგსტერებმა მხოლოდ დიუის მოწმეების ლიკვიდირება გადაწყვეტეს. პროკურორი ცოცხალი უნდა დარჩენილიყო.

შულცი კი, ჯიუტად მოითხოვდა თავისი გეგმის შესრულებას. თათბირის დამთავრების შემდეგ მან მკვლელებს უბრძანა „საქმის“ სისრულეში მოყვანა „იმ ქალაჩუნების აკრძალვის“ მიუხედავად. მკვლელებად შეარჩია ჩარლი უორკმენი, იგივე „მხეცი“, მენდი უეისი და მძღოლი პიგი. უკანასკნელ წუთს უორკმენს შეეშინდა და ყველაფერი ლუჩანოს შეატყობინა. ივივე სიჯიუტით, როგორითაც „ჰოლანდიელი“ შულცი ითხოვდა ბრძანების შესრულებას, „სათლიებიც“ დაჟინებით მოითხოვდნენ თავისას. ბოლოს და ბოლოს, შულცი „ეროვნული კომისიისადმი“ არასაკმარისი პატივისცემისათვის სასიკვდილოდ გაწირეს.

1935 წლის 23 ოქტომბრის ბნელ ღამეს მდინარე ჰუძონთან ჰოლანდის გვირაბით ჩაიარა შავმა ავტომობილმა. ჩარლი უორკმენი თავისი დამხმარეებით ნიუ პარკში აღმოჩნდა და დაუყოვნებლივ სისრულეში მოიყვანა სისხლიანი საქმე, რაც დიუის გადარჩენას ნიშნავდა. ბედის ირონიით ჩარლი უორკმენს პროკურორმა დიუიმ ოცდასამი წლით პატიმრობა მიუსაჯა. ასეთმა „უმადურობამ“ ლუჩანო აიძულა ზურგი შეექცია რესპუბლიკელისათვის და იმედი დაემყარებინა ნიუ-იორკელ პოლიტიკოსზე ალფრედ სმიტზე, დემოკრატიული პარტიის კანდიდატზე, რომელსაც გადმოსახლებულთა სარჯზე გაუნაღდა ამომრჩეველთა ხმების საჭირო რაოდენობა. სხვანაირად რესპუბლიკელ დიუიზე ლუჩანო ვერ ვაიმარჯვებდა. თავიდან ლუჩანო პროფკავშირულ ორგანიზაციებს იყენებდა ამომრჩეველთა ხმების შესაგროვებლად. მისი ინტერესები თანდათანობით გაიზარდა. ლუჩანომ განიზრახა „დაეცვა“ პორტის პროფკავშირის მუშებიც. ევროპასთან და აზიასთან კავშირის უხილავი ძაფები სწორედ პორტში იყრიდა თავს და მაფიას ნარკოტიკული ნივთიერებების უფრო სწრაფად და მოხერხებულად გადატანის შესაძლებლობას აძლევდა. პორტებზე ზრუნვა „მარდერ ინკორპორეიტიდის“ შეფს ანასტაზიას ჩააბარეს.

დადგა მაფიის ახალი აღმავლობის წლები. ლუჩანო ამზადებდა კოდექსის ახალ გამოცემას, რომელიც „ძველი გვარდიის“ წესებს შესცვლიდა. ამ ახალი კოდექსის მიხედვით

ყოველი „ნათლია“ ვალდებული იყო საბუშაოზე მიეღო საუკეთესო ადვოკატი, ბანდის წევრები ფედერალური მმართველობის მოხელეებზე ძალას ვერ იხმარდნენ, ვიდრე „უმაღლესი სასჯელის“ ნებართვას არ მიიღებდნენ.

„ნათლიები“ და მათი „ლეიტენანტები“ გადასახადს პატიოსნად იხდიდნენ, რათა თავიდან აეცილებინათ ისეთი უბედურება, როგორიც კაპონეს შეემთხვა. ძველი ადათ-წესებიდან მხოლოდ აბსოლუტური ღუმილის ვალდებულება დარჩა. მაფიის ადრე თითქმის ღამოუკიდებლად არსებული 24 „ოჯახიდან“ ლუჩანომ შექმნა ცენტრალიზებული ორგანიზაცია, რომელიც ახალი წარმოებების შექმნის გადაწყვეტილებებს იღებდა.

ლუჩანომ „კოზა ნოსტრასაითვის“ აღმოაჩინა კუბა. ჰავანის სასტუმროებსა და საროსკიპოებში იგი საკუთარი ფირმებიდან აგზავნიდა საუკეთესო „საქონელს“.

ორგანიზებული პროსტიტუციით შემოსავლის გაზრდის იდეა ახალი არ იყო მაფიაში. ლუჩანომ მხოლოდ დასვეწა მეთოდი იმით, რომ კონტრაბანდული ჰეროინის ნაწილის რეალიზაცია დაავალა საროსკიპოების მფლობელებს, ამავე დროს, აცნობა მათ, რომ საქმეს თავის ხელში იღებდა. საროსკიპოების მფლობელები და ქუჩაში საკუთარი სსეულით მოვაჭრეთა „მწყემსები“ დიდი სიბარულით დაითანხმდნენ და „თეთრი სიკვდილის“ საჭირო რაოდენობაც შეუკვეთეს. მხოლოდ დეივ მილერი გაჯიუტდა. მაგრამ აეტომატის რამდენიმე ტყვიამ მარცხენა ფეხში იგი მეორე დღესვე დააჭკვიანა.

12. ნიუ-იორკის გმირი ცოლის დიუი

„ჰოლანდიელი“ შულცის შემდეგ თომას დიუის სამიზნე გახდა ლაკი ლუჩანო. პროკურორს მოსვენებას არ აძლევდა ის ფაქტი, რომ მაფიის შეფს ყველაზე სახელგანთქმულ ბანკებში საროსკიპოებიდან, სათამაშო სახლებიდან და ნიუ-იორკის საწარმოებიდან გამოძალული ოქრო შეჰქონდა.

ლუჩანომ თითქმის ხუთასი კერძო საროსკიპო გააერთიანა, ხოლო მათი მთავარი შტაბი განალაგა კანფეტებით საბი-

თუმო ვაჭრობის კანტორებში მალბერი სტრიტზე, პოლიციის სამმართველოს ახლოს.

1935 წელს, როდესაც პროკურორმა დიუიმ დაიწყო თეთრი მონობისა და ორგანიზებული პროსტიტუციის საქმეთა გამოძიება, მისთვის ბევრი რამ იყო უცნობი, მაგრამ მას შემთხვევა დაეხმარა.

დაღლილმა „მწყემსმა“ დეივ მილერმა ლუჩანოსთან უთანხმოების შემდეგ კალიფორნიაში იყიდა პატარა სასლი და „ნათლიას“ აცნობა მაფიიდან თავისი გამოსვლის შესახებ. დეივი ნიუ-იორკში ცოტა ხნით დაბრუნდა, რათა თავი დაეხსნა ტკივილისაგან, რომელსაც მას ნატყვიარი ფეხი აყენებდა. ერთერთ ბარში მან გაიგო, რომ მისი ტკივილით დაინტერესდა „მარდერ ინკორპორეიტიდი“. ამიტომ მას საკმაო საფუძველი ჰქონდა, რომ პოლიციას ჩაბარებოდა და ლიუის ასისტენტისათვის სიტყვა გადაეკრა, რომ იტყოდა რაიმეს მაფიის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეძლებდა კალიფორნიაში დაბრუნებას. კანონის დამცველებს სრულად აუნაზღაურდათ მილერის დაცვაზე მიცემული დაპირება. ყოფილმა მაფიოზიმ მათ აცნობა, რომ ნიუ-იორკის საროსკიპოების მთავარი დარექტორი იყო ლილო ბერტილო, ხოლო სამმართველო იმყოფებოდა მალბერი სტრიტზე, სწორედ პოლიციის პრეზიდიუმის შენობასთან. ამის შემდეგ გამოძიება, რომელსაც თომას დიუი ხელმძღვანელობდა, ვერ შეაჩერა მისმა ყოფილმა კოლეგამ, „კოზა ნოსტრას“ იურიდიული განყოფილების შეფმა აბე კარპმაც კი. დიუიმ კარგად იცოდა, რომ საჭირო იყო მოწმეთა საკმარისი რაოდენობა, რათა ლაკი ლუჩანო სასამართლოს წინაშე წარმდგარიყო. მან გაითვალისწინა, რომ პოლიცია მოიცვა კორუპციამ და გამოძიება უჩვეულო გზით დაიწყო. 1936 წლის 1 თებერვალს, საღამოს მან შეკრიბა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი რამდენიმე ათეული პოლიციელი. თითოეულმა წყვილმა მიიღო დაბეჭდილი კონვერტი და ბრძანება, რომ გაეხსნათ იგი მხოლოდ მითითებულ მისამართზე, ხოლო შემდეგ კონვერტში არსებული ინსტრუქციით ემოქმედათ.

ზუსტად საღამოს რვა საათზე პოლიციელები შევადნენ ბრუკლინის თერთმეტ საროსკიპოში, ჩაიწერეს იქ მყოფთა სახელები, ჩამოართვეს კომერციული წიგნები, ხოლო სიაში აღ-

ნიშნული პირები მიიყვანეს პოლიციის სამმართველოში. დილით დიუიმ პრესას აცნობა, რომ დააპატიმრა 100 ქალი და 17 მამაკაცი, მათ შორის ლილო ბერტილო და მისი მოადგილე ტომი პენოჩი.

მუქარისა და დაპირებების შემდეგ პირველი ალაპარაკდა ნენსი პრესერი ჯენი ფეტორის საროსკიპოდან, რომელიც 23-ე ქუჩაზე მდებარეობდა. მალე პრესერის მეგობარი ქალებიც ალაპარაკდნენ.

„კოზა ნოსტრა" პანიკამ მოიცვა. ხოლო, როდესაც დიუიმ დააპატიმრა ლაკი ლუჩანო, მთლიანად აეხადა ყველაფერს ფარდა. სამოცდარვა მეძავი და საროსკიპოთა მფლობელები ზუთ დღეს აფრქვევდნენ სხვადასხვა ფაქტებს. ქალბატონმა კოკი ფლრმ და ლუდის ჩამომსხმელმა მილდრიდ ჰარისმა დაიფიცეს კიდეც, რომ ლუჩანო პროსტიტუციისა და თეთრი მონების სულიერი მამა იყო.

1936 წლის 17 ივლისს, დღისით „უნიონე სიცილიანოს" პრეზიდენტი და „კოზა ნოსტრას" „ნათლია" ლუჩანო გაასამართლეს. მაფიის წევრებს ვერ დაეჯერებინათ, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი თვალით დაინახეს, როგორ ჩაამწყვდია ლუჩანო დიუიმ ჰოტ სპრინგსის ციხეში, არკანზასში. ვერც ის ელაეჯერებინათ, რომ პროკურორის წინადადებას, მიესაჯათ ოცდაათიდან ორმოცდაათ წლამდე პატიმრობა ლუჩანოსათვის, ოხუთმეტი წელი მისი დირექტორის ლიგუორისათვის და ოცდაზუთი წელი ბერტილოსა და პენოჩისათვის, დაეთანხმა ტრიბუნალი და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

ლუჩანოს გასამართლებით გამოწვეულმა ხმაურმა დაჩრდილა რამდენიმე მკვლელობა, რომლებიც პროცესის დამთავრებისთანავე გაიხსნა. ერთი მათგანი ვაშინგტონში, ნიუ-ჰემპშირ ავენიუზე მოხდა. პოლიციამ გამოიკვლია, რომ მსხვერპლი, ჯანეტ ლუისი, ერთი წლის წინათ ჩვენებას აძლევდა, როგორც მოწმე ლუჩანოს წინააღმდეგ. მკვდარი ქალის ზურგზე ამოტვიფრული იყო ასოები ჩ. ლ. (ჩარლზ ლუჩანო).

ლუჩანოს დაცემა არ იყო ერთადერთი დარტყმა, რომელიც „კოზა ნოსტრას" აგემეს. პრეზიდენტ ფ. დ. რუზველტის ბრძანებით მაფიის საქმეებით დაინტერესდა განსაკუთრებული კომიტეტი სენატორ კოპლენდის ხელმძღვანელობით, ხოლო ნიუიორკის მერი — ჯიმი უოლკერი იძულებული გახდა გამოძიე-

ბის შემდეგ აღგილი გაენთავისუფლებინა ქალაქის ახალი თავისათვის. მას ფიორელლო ლა გუარდია ერქვა და უნდოდა ყველასათვის დაემტკიცებინა, რომ იტალიიდან ყველა გადმოსახლებული დამნაშავეთა სამყაროს როდი ეკუთვნოდა. ფიორელლომ, უპირველეს ყოვლისა, მიზანში ამოიღო გამოძალვა, აზარტული თამაშები, გასართობი სახლები, რომელთაც ფრანჩესკო კასტილია განაგებდა.

მსხვილმა ბეწარმემ კოსტელლომ უკვე დიდი ხანია დაივიწყა თავისი სიცილიური სახელი ფრანჩესკო კასტილია. მისი ფირმის — „ირუ მინტ კომპანის“ დირექტორმა ფილ კასტელმა, ანუ დენდი ფილმა, კოსტელლოს ბანკში „მშრალი კანონის“ დროს მოპოვებული ფინასსური სახსრები შეიტანა. კოსტელლომ შეიძინა რამდენიმე ათასი სათამაშო ავტომატი, რომელთაც „ცალხელა ბანდიტებს“ ეძახდნენ. სხვადასხვა ადგილებში დაკიდეს ხუთი ათასი ასეთი მანქანა. თუ რომელიმე რესტორანის ან უნივერმაღის მფლობელი არ დათანხმდებოდა რიგიანად გაფორმებული სათამაშო ავტომატების დაკიდებას, მის დაწესებულებას ფერფლად აქცევდნენ. ფრენკ კოსტელლოს „ცალხელა ბანდიტების“ ლიკვიდაცია ლა გუარდიასათვის ულიდესი მიღწევა იქნებოდა. მერმა შეასრულა ამომრჩევლებისათვის მიცემული დაპირება და უბრძანა მაგისტრატის თანამშრომლებს ცულებით დაეჩეხათ საზოგადოებრივ ადგილებში განლაგებული ყველა სათამაშო ავტომატი.

კოსტელლო წინდახედულად გაემგზავრა ახალ ორლეანში. იგი არ ჩქარობდა, მიირთმევდა საუკეთესო სენდვიჩებს კიბოებით, მალავდა ფულებს და ელოდა ლა გუარდიასა და პროკურორ დიუის საქმიანობის დასასრულს. კოსტელლო დიდხანს და ამაოდ ელოდა. ლუჩანოს დასჯით შეშინებულმა განგსტერებმა ნიუ-იორკში იმდენი შეცდომები ჩაიდინეს, რომ დიუის არ გაჭირვებია ბევრი მათგანის დაპატიმრება. მათ შორის იყო ბუხალტერი, დანაშაულებრივი ელიტის წარმომადგენელი, რომელმაც 1944 წელს სიცოცხლე ელექტროსკამზე დაასრულა. დაუცხრომელმა პროკურორმა დაამტკიცა, რომ ეკლესიის მუდმივი სტუმარი, აბსტინენტი და თამბაქოს მოძულე ბუხჰალტერი სამოცდათორმეტი მაფიოზის დასჯის თაოსანი იყო და მათგან, ორმოცდაორის მკვლელობაში პირადად მონაწილეობდა.

ბუხჰალტერი, იგივე ლეპკე, ვიდრე დიუი ძებნას დაუწყებ-

და, კანადაში დაიმალა. მონრეალიდან მან ქალაქ ბოსტონში გაგზავნა მისცა, რომ დიუის ყველა მოწმე გაეხუმებინა. მაგრამ, რაც უფრო სწრაფად იზრდებოდა გვამების რიცხვი, მით უფრო შეუპოვრად ცდილობდნენ ლეპკეს, ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში ყველაზე დიდი გამომძალველის, დაჭერას. ბუხჰალტერი, იგივე ლეპკე, იყო ერთადერთი „ნათლია", რომელსაც პირადად გამოძიებათა ფედერალური სამინისტროს შეფის მიერ გამოცემულ სამძებრო ცირკულარებში უმაღლესი ადგილი ეჭირა. უკვე ცხრამეტი წლის ასაკში, 1897 წელს, იგი აღმოჩნდა სინგ-სინგში, სადაც ოდესის მიდამოების მკვიდრის, ყოფილი თეთრგვარდიელის ჟაკ შაპიროს კეთილგანწყობილება მოიპოვა. მათი დრო 1926 წლის დასაწყისში დადგა, როდესაც ერთად მოაწყვეს საფეიქრო მრეწველობაში გაფიცვათა სერიის ინსცენირება. ხოლო როდესაც მეწარმეებმა სათანადო საფასური გადაუხადეს, მოაწყვეს ხელფასის შემცირებით უკმაყოფილო მუშების საწინააღმდეგო პროვოკაცია.

იარაღითა და ფულით ბუხჰალტერის ბანდა თანდათან დაეუფლა ტაქსების სამსახურს, სასაკლაოს, სამრეცხაოს, გასართობ დაწესებულებებს, ნარკოტიკებს; ნარკოტიკებით ვაჭრობის საქმეში მას დასჭირდა ლუჩანოსა და ადონისთან გაერთიანება. ისინი ერთად ახერხებდნენ საბაჟოს მოხელეების მოსყიდვას, თანაც ისეთი წარმატებით, რომ შეერთებულ შტატებში შემოზიდეს ათი მილიონი დოლარის შსამი.

ლეპკეს პირდაპირ ავადმყოფურად სწყუროდა დიდება. სელიდან არასოდეს არ უშვებდა იმ გაზეთის წაკითხვის შესაძლებლობას, რომელშიც მისი სახელი იყო ნახსენები. მას უყვარდა ევროპაში დროს ტარება. განსაკუთრებით ბელგიის სპაში ან კარლოვი ვარში გრძნობდა თავს კარგად. საუკეთესო სასტუმროს ვერანდაზე იგი თამაშობდა გოლფს და ხვდებოდა „საუკეთესო ადამიანებს". აქ მას არავინ ახსენებდა, რომ იყო დევნილი დამნაშავე, გაუნათლებელი პლეიბოი, რომელმაც ცოლად შეირთო მაფიის პარიკმახერის ბეტი ვასერმანის ქალიშვილი. კარლოვი ვარში მისი ერთ-ერთი სასიამოვნო დროს ტარება ცისით დამთავრდა — ნიუ-იორკის სასამართლო სწორედ ტყავის მრეწველობაში გამოძალვის საქმეს არჩევდა. ბუხჰალტერს ემუქრებოდა ორი წლის პატიმრობა და ჯარიმა ათი

ათასი დოლარი. მაგრამ მან ჯარიმას ღაუმატა ჩეკი ვირაოდ და შეინარჩუნა თავისუფლება. უნდობლობამ, ეჭვებმა, საკუთარმა სიცრუემ ბუხჰალტერი გამოაშტერა. მას სულ უფრო ხშირად გამოჰქონდა განაჩენები, ხოლო „მარდერ ინკორპორეიტიდს" ისინი სასწრაფოდ სისრულეში მოჰყავდა.

ახლოვდებოდა არჩევნები და გუბერნატორსა და ნიუ-იორკის მერს ხმები სჭირდებოდა. ლეპკეს დაპატიმრება მისთვის ყველაზე კარგი რეკლამა იქნებოდა. ამიტომაც ფედერალურმა ხელისუფლებამ ლეპკეს დასაჭერად დანიშნა ჯილდო ორმოცდაათი, ხოლო შემდგომში კი ასი ათასი დოლარი.

დეტექტივები ლეპკეს ეძებდნენ ჰავანაში, ბელგიაში, ჩეხოსლოვაკიაში, მაგრამ ამაოდ, რადგან მას მშობლიური ბრუკლინიც არ დაუტოვებია. ცხოვრობდა იგი ბინაში, პოლიციის განყოფილებასთან ახლოს, სადილის შემდეგ კი გამოდიოდა სასეირნოდ ბრმების ხელჯოხითა და შავი სათვალით. მისი დაპატიმრება გამოძიების ფედერალური ბიუროს შეფისათვის პრესტიჟის საკითხი გახდა. ამიტომაც შეხვდა ჰუვერი ფრენკ კოსტელოს და ყოველისშემძლე „ნათლია" ჯო ადონისს.

„თუ ორმოცდარვა საათის განმავლობაში არ ჩავიბარებ ბუხჰალტერს, ვბრძანებ, რომ დააპატიმრონ „უნიონე სიცილიანოს" ყველა წევრი".

„კოზა ნოსტრას" უმაღლესი საბჭო ხანგრძლივი, დაძაბული განხილვის შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ასეთ მძიმე სიტუაციაში ვერ დაუშვებდა რაიმე ახალი პრობლემების წარმოქმნას. დელიკატური მისია ანასტაზიას მიენდო. მისი არგუმენტების გავლენით ლეპკე იძულებული გახდა დანებებოდა. მან კარგად იცოდა თავისი ამხანაგების მეთოდები და ისიც, რომ თუ იგი ურჩობას დაიწყებდა, მაფია მას გამოძიების ფედერალური ბიუროს ციხეშიც კი მიიყვანდა.

ლეპკე დათანხმდა ხელშეკრულებას, რომლის თანახმად ფედერალური ორგანიზაცია გამოიძიებდა მხოლოდ მის ნარკოტიკებით მოვაჭრე მაღაზიების საქმიანობას, პროკურორი დიუი კი შეწყვეტდა მკვლელობის გამოძიებას და სასამართლოც არა უმეტეს ხუთი წლით პატიმრობას მიუსჯიდა.

1939 წლის 24 აგვისტოს საღამოს, ლოვერ ისტ საიდის სავაჭრო ნაწილში გაჩერდა შავი „კადილაკი". მასში იჯდა გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტი. იგი მანქანიდან უნდა

გადმოსულიყო მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოჩნდებოდა „ნათლია“ ალბერტ ანასტაზიას მანქანა. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა. ბუხჰალტერი მაფიის მანქანიდან პოლიციის ლიმუზინში გადაჯდა. შემდეგ გამოჩნდა ჯ. ე. ჰუვერი, რათა ფოტოკორესპონდენტთა კამერების წინ განგსტერისათვის ხელბორკილი გაეკეთებინა. ანასტაზია, სცენარის მიხედვით, შეუმჩნეველად გაუჩინარდა.

პირველი სიურპრიზი ლეპკეს გამოძიების ფედერალური ბიუროს შენობაში ელოდა. „ბატონო ბუხჰალტერო!“ — მიმართა მას ჰუვერმა, — „არაფერი არ არის უცვლელი!“. გამოძიების დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ტუსაღი პროკურორმა დიუიმ ჩაიბარა. ლეპკეს საქმე მას მაგიდაზე უკვე ორი წელი ედო, დიუიმ ბრალდებას რამდენიმე ფაქტი დაუმატა და ქალაქის სასამართლომაც არ დააყოვნა განაჩენის გამოტანა. კონტრაბანდის ვირტუოზს მიუსაჯეს თითხმეტი წლით პატიმრობა ნარკოტიკების არალეგალური შემოტანისა და გაყიდვისათვის. უკმაყოფილო პროკურორმა ნიუ-იორკის შტატის უმაღლეს სასამართლოს მოსთხოვა მაფიოზის სასჯელის კიდევ ოცდაათი წლით გაზრდა „მარდერ ინკორპორეიტიდის“ აქციებში მონაწილეობისათვის.

„ნათლია“ ლეპკე ბუხჰალტერი ლიეენეორთის ციხეში ჩასვეს, ხოლო 1944 წლის მარტში მან ელექტროსკამზე დაასრულა სიცოცხლე.

13. როცა აბემ „სიმღერა დაიწყო“

ლეპკე ბუხჰალტერს დაპატიმრების შემდეგ მისი და ლაკი ლუჩანოს იმპერიები გაერთიანდა და ფრენკ კოსტელოს მმართველობაში გადავიდა.

„პრემიერი“ კოსტელო (როგორც მას უწოდებდნენ დამნაშავეთა სამყაროსა და პრესაში) ძალების უდიდესი დაძაბვით აკონტროლებდა შესრულებას იმ ბრძანებებისა, რომლებსაც ლუჩანო ციხიდან იძლეოდა. მისი ხშირი არყოფნისა და დაღლილობის გამო, დროთა განმავლობაში ნიუ-იორკში ყველაზე გავლენიანი პიროვნება გახდა ლუჩანოს მეგობარი

ჯო ადონისი. იგი დაიბადა 1902 წლის 22 ნოემბერს, ნეაპოლის მახლობლად, მონტე მარანოში (ცოტა მოშორებით დაიბადა ადონისის კერპი—ალ კაპონე). ისევე, როგორც იტალიის სამხრეთის ასობით სხვა მცსოვრებმა, მშობლიური ნეაპოლი დატოვა ადონისის ოჯახმაც — კანადაში გაემგზავრა ბედის საძებნელად. ამ დროისათვის მათი შვიდი წლის ვაჟი ჯერ კიდევ ჯუზეპე დოტო იყო. მამამისი, პროფესიით დურგალი, მალე გაემგზავრა მონრეალიდან ბრუკლინში გემების მშენებლობაზე. სანამ ის პორტში მუშაობდა, მისი ათი წლის ვაჟი ქურდობაში იწაფებოდა. მოზარდთა ბანდები, რომლებშიც ალ კაპონე, ლაკი ლუჩანო, ჯუზეპე დოტო გამოირჩეოდნენ, „შავი სელის“ მოზარდი თაობის, ხოლო შემდეგ ბინდიკატ „კოზა ნოსტრას“ ყველაზე საიმედო დამსმარეები იყვნენ. ისინი სახიფათო საქმეებზეც მიდიოდნენ — ხშირად მაფიოზების დავალებით ხიფათს შეამოსვევდნენ ხოლმე პოლიციელებს, ან უსეში მეწარმეები კარგ განწყობაზე მოეყვანდათ. სიმპათიური ჯუზეპე დოტო ყველაზე გარყვნილებს მიეკუთვნებოდა, თუმცა მისი მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები დოტოს სასიამოვნო და საყვარელ ადამიანად თვლიდნენ. 15 წლის ფრედერიკა ალვრსით ადონისსაც კი ეძახდა.

ჯუზეპე დოტომ არაფერი იცოდა ბერძნული ფითის გმირის, მომხიბვლელი ადონისის შესახებ, მაგრამ თვით სახელი კი ძალიან მოსწონდა. დროთა განმავლობაში მან სახელიც გადაიკეთა და ჯო ადონისი დაირქვა.

იმედის მომცემი მოზარდი პირველად „ნათლია“ ფრენკ იალამ შეამჩნია, ხოლო 1920 წელს 18 წლის ლაკი ლუჩანოსთან ერთად მიიღო „ოჯახში“. ჯუზეპე დოტომ, ახლა უკვე ჯო ადონისმა, „ფრიადზე“ გაართვა თავი გამოსაცდელ ვადას და „მშრალი კანონის“ დროს მიღებული პირველი მილიონის ნაწილი დააბანდა უწყინარ დაწესებულებაში მომხიბვლელი სახელწოდებით „ადონის ქლაბ“.

გულუბყვილონი შედიოდნენ პატარა მყუდრო კაფეში, ხოლო მეგობრები სარდაფში მდებარე რესტორანში, სადაც ადონისი რევოლვერით სროლის გაკვეთილებს ატარებდა და ზრდიდა დამნაშავეთა სამყაროს ახალ ტალანტებს. ბრუკლინში მან შექმნა საკუთარი ბანდა, რომელიც მაფიისათვის იპარავდა მხოლოდ სატვირთო ავტომანქანებს, რომლებითაც შემდეგ აკრძა-

ლული ალკოჰოლი გადაჰქონდათ. შეფის კვალიფიკაცია ადონისმა ადვილად აიოვისა. ეს ნათლად გამომჟღავნდა ერთ წვიმიან დღეს, როდესაც ჯო გაემართა ერთ-ერთი მოწინააღმდეგის სალიკვიდაციოდ, რომელიც არ თანხმდებოდა ჯოსათვის „ნათლიობის" მინიჭებას. მან მოიპარა შავი „ბიუიკი", ჩასვა შიგ ოთხი მკვლელი და ყოველგვარი ფიქრის გარეშე გასცა ბრძანება თავდასხმის შესახებ. სიჩქარეში მან არ შეატყობინა პოლიციელებს, რომელთაც გულუხვად და დროულად მოისყიდდა ხოლმე, მკვლელების მარშრუტისა და საბოლოო მიზნის შესახებ. სერიოზულმა დაუდეგრობამ ადონისი პირველად მოახვედრა ციხეში. იგი იძულებული იყო საკანში გაეთია ღამე. „ნაილია" იალას დაეზარა ღამით ადგომა და თავდებისათვის აუცილებელი თანხა მხოლოდ დილით მიიტანა ციხეში.

ადონისმა მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინა. იგი უკვე არავის და არასოდეს აღარ უნახავს მოქმედების ადგილზე და არც არავისათვის აღარ უთხოვია მას დახმარება. იგი ყოველთვის თანმიმდევრულად ზრუნავდა კარგ რეპუტაციაზე, ობლების თავშესაფრებსა და მოხუცებულთა სახლებში საშობაოდ არიგებდა ნახმარ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს. ადონისმა თითქმის სრულყოფამდე მიიყვანა სამორინეების ფსონების მისაღები არალეგალური ბიურიოებისა და ყალბი ფულის საჭრელი სახელოსნოების ნიუ-იორკის იმპერია. მანვე დიდი ძალ-ღონე შეალია პროფკავშირების შანტაჟს. ადონისს ნებისმიერ დროს შეეძლო პროფკავშირების ხელმძღვანელობის „ჭკუაზე მოყვანა". 1931 წლის სექტემბერში ჯომ ვაჭრის როლს ჯალათის როლიც მიუმატა. მის საზრუნავს შეადგენდა „კეთილშობილი", კომფორტული სიკვდილის უფლების მქონე მაფიოზების მკვლელობა. თითოეული დაკვეთის შესრულებისათვის ბანკისაგან ჯო შეტყობინებას იღებდა თავის ორსართულიან ვილაში, უკვე მაშინ ცნობილ ბრუკლინის 81-ე ქუჩაზე. პროფესიონალი მკვლელი უპირველესად თავის უსაფრთხოებაზე ფიქრობდა. ფანჯრები მის ბინაში ტყვიაგაუმტარი იყო, ხოლო კედლები ყუმბარაგამძლე. საკუთარი ბუდის ბრწყინვალებისათვის ჯო არაფერს იშურებდა. მარტო საბაზანოს ონკანის ოქროს ვენტილებში მან სამოცდაორი ათასი დოლარი გადაიხადა.

ადონისს ცოტა მეგობრები ჰყავდა. ყველაზე ახლობლად

იგი ნარკოტიკების განსაკუთრებული კონტრაბანდული ქსელის შეფს ჯო ამბერგს თვლიდა. ამის მიუხედავად, ვერც მეგობრობამ, ვერც საერთო ინტერესებმა და ვერც ფულმა ვერ უშველეს ჯოს მეგობარს მაშინ, როდესაც „ნათლიებმა" გამოიტანეს გადაწყვეტილება ბოლო მოეღოთ ჯო ამბერგისათვის. ჯომ მეგობრის გაუფრთხილებლად გასცა ბრძანება ამბერგის მკვლელობაზე. განგსტერმა ჰეფი მაიონემ დამხმარეებთან ერთად მოკლა ადონისის ძვირფასი მეგობარი, ხოლო ყუთი, რომელშიც მისი სხეული მოათავსეს, ბეტონით ამოავსეს და ჰუძონის ტალღებში მოისროლეს.

მეორე მსოფლიო ომის წინახანებში ადონისი ცხოვრობდა, როგორც სამოთხეში. თუმცა მთელი ძალაუფლება ლაკი ლუჩანოს ეკუთვნოდა, მაგრამ აქტიურ „მოღვაწეობაში" მას პატიმრობა უშლიდა ხელს. ადონისს აწყობდა ასეთი მდგომარეობა. ნიუ-იორკში არ შეიძლებოდა მომხდარიყო რაიმე, მას რომ არ სცოდნოდა. „ეროვნულ კომისიაში" მის სიტყვას დიდი წონა ჰქონდა. „კოზა ნოსტრასა" და პოლიციის სამმართველოში ცოტას თუ უკვირდა, რომ იმდროინდელ ნიუ-იორკში ყოველი ათასი დანაშაულიდან პოლიცია საშუალოდ მხოლოდ თორმეტს იძიებდა.

ჯუზეპე დოტომ, იგივე ჯო ადონისმა, სახელი გაითქვა, როგორც თანამედროვე „მარდერ ინკორპორეიტიდის" უნიჭიერესმა ორგანიზატორმა. მისი ფირმა — „მკვლელობის კორპორაცია", არა მარტო მაფიას ემსახურებოდა, არამედ კერძო პირებისაგანაც იღებდა დაკვეთებს. დაინტერესებულ პირებს მხოლოდ საკმაო ფული უნდა ჰქონოდათ.

ფირმა „მარდერ ინკორპორეიტიდის" ერთ-ერთი დამაარსებელი ადონისი ენდობოდა მხოლოდ აბე რილესს, ვიწროწყლიანთვალება საზიზღარ ტიპს, რომელიც მოითხოვდა, რომ ბარებში მისთვის დაეძახათ „ბატონი კომპოზიტორი". ყველა, ვინც მას ოდნავ მაინც იცნობდა, ამაზე უარს არ ეუბნებოდა. თავის სიმღერას — „მოკალი იგი, გაისტუმრე იგი" — აბე ცეხეშიც კი ღიღინებდა. მიუხედავად ყველა პრივილეგიებისა, რომელიც მას კარიერაში ელოდა, აბე კინალამ მაფიის იმპერიის დაცემის მიზეზი გახდა. იმ დროის ცნობილმა ადვოკატმა და მარჯვე პოლიტიკოსმა უილიამ ო' დუაიერმა მოიპოვა ნიუ-იორკის მერის ნდობა და სამინისტროში შეცვალა პრო-

კურორი დიუი — „კოზა ნოსტრას“ შიშის და სიძულვილის სიმბოლო. ო' დუაიერის მოადგილე გახდა ბარტონ ტურკუს', მკვლელობების განყოფილების უფროსი. თავის ახალ კანცელარიაში მოკალათება ვერც მოასწრო, რომ მან მიიღო წერილი სიკვდილმისჯილი განგსტერის ჰარი რუდოლფისაგან. იგი ამტკიცებდა, რომ იცოდა, ვინ იყო მკვლელი მისი მაფიოზი მეგობრის ალექს ალპერტისა, რომლის სხეულიც იპოვეს მეეზოვეებმა 1940 წლის პირველ იანვარს. პრეზიდენტ რუზველტის სახლთან მე-20 ავენიუზე. ალექსმა, რომელმაც მანამდე ვერ გამოიჩინა სათანადო წინდახედულება ყოვლისშემძლე აბე რილესთან ურთიერთობაში, შობამდეც ვერ მიაღწია. იგი არავის აღარ ახსოვდა. მაგრამ ბრალდებულ ჰარი რუდოლფს „რიკერს აილენდის“ ციხეში საკმაო დრო ჰქონდა სინდისის გასახსენებლად. ჰარის სიკვდილისწინა გადაწყვეტილება — შური ეძია მეგობრისათვის და გაემხილა პროკურორისათვის, რომ მკვლელი „ნათლია“ აბე რილესია, გახდა დასაწყისი ზვავისა, რომლის შედეგადაც ციხეში რამდენიმე ათეული განგსტერი აღმოჩნდა.

აბე, უზარმაზარი ხელებით, სქელი, რბილი თითებით და შეშუპებული პირით, მკვლელი, რომელიც საკუთარ კომპანიონებსაც კი ადვილად იმეტებდა სასიკვდილოდ, დასაწყისში ჯიუტად არ ცნობდა თავს დამნაშავედ. მიუხედავად ამისა, ტურკუსმა ძვირფასი ტუსაღის კარგად დაცვა ბრძანა. ამრიგად, „ნათლიებმა“ დაკარგეს ციხეში მისი თავიდან მოშორების შანსი, ხოლო გამომძიებლებმა კი დაიწყეს 20-იან და 30-იან წლებში აბეს ცოდვების აღრიცხვა. ძარცვა, გამომძალველობა, თავდასხმა გაძარცვის მიზნით და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება გამოტოვებული იქნა. ბრალდებათა სია მათ გარეშეც საკმაოდ გრძელი იყო. გამოძიება და, რაც მთავარია, ზოწმეთაგან ჩვენებების მიღება საოცრად რთული იყო „მარდერ ინკორპორეიტიდის“ საქმიანობის შედეგად, რომლის სულიერ მამათა რიცხვსაც მიეკუთვნებოდა რილესიც.

ბარტონ ტურკუსს კვლავ შემთხვევა დაეხმარა. უშედეგო გამოძიების დამთავრებიდან ერთი დღის შემდეგ ო'დუაიერის კაბინეტის კარზე დააკაკუნა სახენაიარევმა ახალგაზრდა ქალმა: „მე ველაპარაკე ქმარს, მაქს ცვეიბახს, თქვენ მას აბე რილესს უწოდებთ. მას სურს აღიაროს ყველაფერი“.

რასაკვირველია, რილესს ყველაფრის აღიარება არ უწდოდა, მაგრამ მზად იყო მოეყოლა იმდენი, რამდენიც საჭირო იყო, რომ თანამონაწილეები გაეცვალა საკუთარ თავისუფლებაზე. სამინისტროს შეფი ბრმა და ყრუ დარჩა ამ პირობისადმი. სამაგიეროდ, ბარტონ ტურკუსმა დაუგო მახე რილესს. მასთან შეხვედრაზე მიიწვია მისი მეუღლე, რომელმაც რილესს უთხრა: „შენ არ უნდა მოკვდე, ივნისში ჩვენ ბავშვი გვეყოლება". ტურკუსმა კი ულმობლად დაუმატა: „მაგრამ თქვენ საატუსაღოდან ბავშვის სიკვდილს ვერ დაინახავთ!" რილესმა თავისი პირობები წამოაყენა. ბოლოს და ბოლოს ტურკუსი დათანხმდა 10 წლით თავისუფლების აღკვეთაზე იმ პირობით, რომ ყველაფერს შეიტყობდა.

მაქს ცვეიბახს, იგივე ბბე რილესს, დეტექტივის მეხსიერება აღმოაჩნდა. ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ჩადენილი ორმოცდაათი მკვლელობა მან დაწვრილებით აღწერა, დიდი რაოდენობით დეტალების, დროის ზუსტი მითითებითა და, რაც მთავარია, სახელების მოხსენიებით. ბრუკლინში სისრულეში მოყვანილი ოთხმოცდახუთი „განაჩენის" დეტალების აღწერისას სტენოგრაფისტებმა 25 რვეული გაავსეს. ორი ათასი ნაბეჭდი გვერდი შეადგინა 56 მაფიოზის ცხოვრების შესახებ ოქმებმა. რილესმა ბევრი რამ იცოდა აგრეთვე „წათლიების", ანასტაზიას, კოსტელოს, ჯენოვეზეს, ადონისისა და „კოზა ნოსტრას" გარსკვლავის ლუჩანოს შესახებ. „მარდერ ინკორპორეიტიდის" შექმნისა და „მუშაობის" შესახებ ჩვენებების მიცემისას ზბეჭლავ-მემანქანეები გრძნობასაც კი კარგავდნენ.

ერთხელ შოკირებულმა ტურკუსმა ჰკითხა რილესს, აწუხებდა თუ არა მას ოდესმე სინდისი და რას გრძნობდა, როდესაც ვინმეს კლავდა. დამნაშავემ კითხვითვე უპასუხა: „თქვენ რაღას გრძნობდით, როდესაც პირველი ადამიანი გაგზავნეთ ელექტროსკამზე?" ტურკუსმა უპასუხა, რომ წერვიულობდა.

„რას გრძნობდით მეორეჯერ?"

„კიდევ უფრო მეტად ეწერვიულობდი".

„შემდეგ?" — ჩაეკითხა რილესი.

„თანდათან მივეჩვიე".

„ასე ვიყავი მეც“ — უპასუხა მაფიოზმა და მშვიდად განაგრძო შემზარავი ისტორიების ჩამოთვლა.

ბოლოს და ბოლოს ტურკუსს ისეთი აპათია დაეუფლა, რომ აბე რილესის დანაშაულთა გამოაშკარავებიდან საქმიან კონფერენციაზე გადავიდა.

„თქვენ მოჰკალით ჯეკ პეინტერი?“

„დიახ, 1943 წლის ივნისში“.

„ვინ მოჰკლა ჯორჯ რუდნიკი?“

„ჰეფი მაიონემ“.

„თქვენ მოჰკალით პროფკავშირების ლიდერი პატ გრინბლატი?“

„დიახ, ამ საქმეში რამდენიმე კაცი მონაწილეობდა.

„თქვენ იცნობდით ადამიანს, სახელად როლანდ როკს, რომელიც მოკლეს 1938 წლის დეკემბერში?“

„არა, ეს სახელი მე არ გამიგია“.

„თქვენ მოჰკალით პაგი ფეინშტეინი კოლუმბია სტრიტზე?“

„დიახ, მე ვიყავი თავდამსხმელთა შორის“.

რილესმა ახსნა აგრეთვე ირვინ პენის საიდუმლოებით მოცული მკვლელობა. „ეს იყო შეცდომა, — თქვა მან, — ლეპკე ბუხპალტერმა დაადგინა, რომ უნდა მომკვდარიყო ფილიპ ორლოვსკი, რომელმაც ძალიან ბევრი იცოდა. 1939 წლის 28 ივლისს, ღამით ჩვენ დავუდარაჯდით ორლოვსკის სახლის წინ. ჯგუფში იყვნენ ჯო მაგუნი, ლუის კაპონე, დენდი ჯეკ პარისი და მე. როდესაც კაცი, რომლის გარეგნობა ორლოვსკისას ემთხვეოდა გამოჩნდა კარებში, ჩვენ ცეცხლი გავხსენით. დილით შეგვატყობინეს, რომ მოკლული აღმოჩნდა გრამფირფიტების სტუდიის მფლობელი ირვინ პენი. რას იზამ, ის ძალიან ჰგავდა ორლოვსკის“.

მაფიის წინააღმდეგ მიმართული მძლავრი დარტყმის პირველი ეტაპი დასრულდა. მთავარი მოწმე რილესი იმყოფებოდა ტურკუსის მეთვალყურეობის ქვეშ სასტუმრო „ნახევარმთვარეში“ კონი-აილენდზე, სადაც საიდუმლო პატიმრობაში უნდა ეცხოვრა სამი თვის მანძილზე, ვიდრე ჩვენებებს მისცემდა ტრიბუნალისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე.

რილესს მუდმივად იცავდა ექვსი პოლიციელი ოფიცერი.

1941 წლის 12 ნოემბერს, საღამოს შვიდ საათზე ერთ-ერთმა ოფიცერმა შეიხედა რილესის საკანში. ასე იქცეოდნენ მცველები ყოველი საათის შემდეგ. ლოგინი ცარიელი იყო. კარის კლიტეებს არ ეტყობოდა ძალადობის კვალი, მთავარი მოწმის სსეული კი ეზოში ეგდო. საკნის ფანჯრიდან, რომელსაც გისოსი არ ჰქონდა, გადაკიდებული იყო ზეწარი. ორგანიზებული დამნაშავეობის ბრალმდებლების ტრიუმფი „კოზა ნოსტრას“ ტრიუმფად იქცა. ამერიკული კანონების მიხედვით, ბრალდებულთა გასასამართლებლად საჭირო იყო წერილობითი ჩვენებები, აბე რილესს კი გადატეხილი ხერხემლით ლაპარაკი აღარ შეეძლო. და მაინც, ო' დუაიერს ხელთ ჰქონდა საკმაო დამამტკიცებელი საბუთები და ინფორმაცია იმისათვის, რომ თავს დასხმოდა ანასტაზიასა და ადონისს, მაგრამ 1951 წელს სენატორ ტობის მიერ ო' დუაიერის დაკითხვისას, ყოფილი პროკურორი თავს არიდებდა ამ საქმის გარშემო დასმულ კითხვებზე პასუხს. კომისიის წევრებს სურდათ ამოეწურავი პასუხი მიეღოთ ნიუ-იორკის პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილის ფრენკ ბეილსისაგან, რომელიც ფორმალურად პასუხს აგებდა რილესის უსაფრთხოებაზე. მათ შორის შემდეგი დიალოგიც გაიმართა.

ტობი: „მთავარი მოწმის სიკვდილის გარემოებათა პირველი გამოძიებისას თქვენ მიხვედით იმ დასკვნამდე, რომ რილესი ვიღაცამ ფანჯრიდან გადმოაგდო“.

ბეილსი: „შემდგომი გამოძიებისას კი მე გავიფიქრე, რომ ტუსაღს სურდა ზეწრით დაბლა დაშვება, მაგრამ უეცრად მოსწყდა და ჩამოვარდა“.

ტობი: „ფანჯარა მიწიდან 14 მეტრის სიმაღლეზეა და როგორ მოხდა, რომ თვით პოლიციის გამოცდილმა ოფიცრებმაც კი ვერაფერი შეამჩნიეს?“

ბეილსი: „როგორც ჩანს, იმ წუთს ყველას ეძინა“.

ტობი: „ბატონო ბეილს, ასეთ ისტორიას თვით თავისი დიდების ზენიტში მყოფი ო' ჰენრიც კი. ვერ მოიფიქრებდა!“

მაგრამ 1941 წელს ო' დუაიერსა და ბეილსს ეს ლეგენდა უფრო აძლევდათ ხელს. ტობი გრძნობდა, რომ აქ რაღაცაში იყო საქმე, ხოლო სენატორი კეფოვერი რამდენიმე წლის შემდეგაც დარწმუნებული იყო, რომ ო' დუაიერი რილესის საიდუმლოებით მოცული მკვლელობით კმაყოფილიც კი იყო. მხო-

ლოდ 1963 წლის ოქტომბერში აღიარა სიმართლე ჯოზეფ ეალაჩიმ:

„სასტუმრო „ნახევარმთვარეში" პატიმართან შევიდა ორი ჩვენი კაცი. მათ მოისყიდეს მცველები, რომლებიც გარეთ დარჩნენ. ფანჯარასთან რადიატორზე მიბმული ზეწარი იმის დამადასტურებელი უნდა ყოფილიყო, თითქოს რილესი გაქცევას ცდილობდა".

მთავარი პროკურორის ო'დუაიერის ხელმძღვანელობით მაფიის საქმეთა გამოძიებამ გეერდი აუარა ანასტაზიასა და ადონისს. „მარდერ ინკორპორეიტიდის" შეუმა ალბერტ ანასტაზიამ ამ რთულ ვითარებაში გაცლა ამჯობინა და ნებაყოფლობით წავიდა ჯარში. ადონისიც კი ვერ გრძნობდა ადრინდელივით მშვიდად თავს ნიუ-იორკში. ყოველი შემთხვევისათვის მან საჩქაროდ გაჰყიდა თავისი გამაგრებული ვილა ბრუკლინში და გადაბარგდა ჰუძონის მეორე ნაპირზე ნიუ-ჯერსიში.

მას უყვარდა ფორტ ლის ბორცვზე ახალი მამულის შესაწიშნავი გადასახედიდან იმ მდინარის ხვეულის ცქერა, რომლის ფსკერზეც განისვენებდა მისი ბრძანებით ბეტონით შემოსილი მრავალი გვამი.

სანამ ნიუ-იორკელი „ნათლიები" შიშისაგან ოფლად იღვრებოდნენ, მარჯვე ადონისი ფლორიდაში კაზინოებს ყიდულობდა. ნიუ-იორკში ის დაბრუნდა მხოლოდ ერთხელ და ისიც იმისათვის, რომ გაენადგურებინა ვალტერ სეიჯი, მეტსახელად „ბლისცხვირა", რომელიც ადონისის დაკალებით ბრუკლინში სათამაშო ავტომატებს მეურვეობდა. სეიჯის საუბედუროდ, ადონისმა დაასკვნა, რომ „ბლისცხვირა" თავისთვის იტოვებდა იმ თანხის ნაწილს, რომელიც ადონისის ანგარიშზე უნდა გაეგზავნა.

„ნათლია" ადონისმა ყოველმხრივი ანალიზის შემდეგ გადაწყვიტა, თუ როგორ უნდა დაესაჯა იგი. მან ბრძანა ვალტერ სეიჯი მიებათ წვრილი მონეტებით სავსე სათამაშო ავტომატზე, ხოლო შემდეგ ადამიანისა და სათამაშო ავტომატის ეს საკვირველი ნაერთი ქეთსკილსის ტბის ტალღებში გადაეგდოთ.

ამის შემდეგ ადონისს ხელ-ფეხი გაეხსნა. შეეძლო რეგულარულად ენახულა ლუჩანო, რომელსაც სიცოცხლის დარჩენილი დღეები დანემორის ციხეში უნდა გაეტარებინა.

თუმცა ბედნიერ ლუჩანოს ამ ციხეში დიდხანს ყოფნა არ ეწერა. ეს არ იცოდნენ „კოზა ნოსტრას“ საბჭოში, რომელშიც შედიოდნენ ფრენკ კოსტელო, ჯო ადონისი და იტალიაში მყოფი ვიტო ჯენოვეზე.

შეიძლება მხოლოდ ალბერტ ანასტაზია, იმ დროს ამერიკის სახმელეთო ჯარების სერჟანტი ხვდებოდა, რომ ყოფილი მთავარი პროკურორი, ხოლო 1942 წლიდან უკვე ბრიგადის გენერალი, ო' დუაერი იქნებოდა ერთ-ერთი იმათგანი, ვინც ლუჩანოს ციხის კარებს გაუღებდა.

14. დამნაშავეთა სამყაროსა და საიდუმლო სამსახურის მეფე

1939 წლის პირველ დღეებში ამერიკა, 130 მილიონი მცხოვრებით, აღსავსე იყო ქვეყნის ბყვავების რწმენით. იტალიიდან მშიერ ემიგრანტთა რიცხვი ეცემოდა, სამაგიეროდ ჩამოდიოდნენ ნაცისტური იდეოლოგიისა და რასობრივი დისკრიმინაციის მსხვერპლნი — ექიმები, ინჟინრები, ფილოსოფოსები, მეცნიერები, მწერლები. მაგრამ, როგორც 1860 წელს, ახლაც ახალმოსახლეებში ხდებოდა მაფიოზეების შერევა, გერმანიიდან და იტალიიდან ჩამოსულთა შორის იყვნენ ჯაშუშებიც.

„კოზა ნოსტრას“ ბნელი საქმიანობის მხილებამ და როლესის ჩვენებებმა უკანა პლანზე გადაიწია. ისინი დაჩრდილა ცნობებმა საომარი მოქმედებების შესახებ. მეორე მსოფლიო ომმა ამერიკა ორ ბანაკად გაჰყო. შეერთებული შტატები მხარს უჭერდა ანტიფაშისტებს, მაგრამ, ამავე დროს, მკაცრად იცავდა ნეიტრალიტეტის პოლიტიკას. პრეზიდენტი რუზველტი იძულებული იყო ანგარიში გაეწია საზოგადოებრივი აზრისათვის, რომელიც სრული იზოლაციის პოლიტიკას მოითხოვდა.

ამიტომ, ომის მესამე დღეს პრეზიდენტმა რუზველტმა გამოაცხადა, რომ დაიცავდა ჩაურევლობის პოლიტიკას, მაგრამ აღნიშნა, რომ გარკვეულ ვითარებაში ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული გახდებოდა ჩაბმულიყო ომში.

ამასობაში ფაშისტური ორგანიზაციები — „ჯერმან ამერიკენ ბენდ", ანუ „თეთრი კამელიის რაინდები" და მათი მსგავსნი, პროპაგანდას უწევდნენ და თუ შესაძლებლობა მიეცემოდათ ემხრობოდნენ კიდეც ჰიტლერისა და მუსოლინის პოლიტიკას.

საფრანგეთის დამარცხების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, თუმცა შეერთებული შტატების პოზიცია, ჯერ კიდევ 1940 წლის გაზაფხულამდე, რუზველტის გამონათქვამით შეიძლებოდა დაგვეხასიათებინა: „ქვეყნის მთავარი ამოცანაა — წარმოადგენდეს მებრძოლი სახელმწიფოების მხოლოდ არსენალს". მაგრამ, ამავე დროს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამხედრო მზადებაც დაიწყო. ამას მოწმობს კანონპროექტი 18-დან 65 წლამდე მოქალაქეთა საყოველთაო სამხედრო გაწვევის შესახებ და ამერიკის საზღვაო ფლოტისათვის მიცემული ბრძანება გაენადგურებინათ ფაშისტური წყალქვეშა ნავები ატლანტის ოკეანის დასავლეთ ნაწილში.

დაიწყო გამოუცხადებელი ომი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ფაშისტური გერმანიის მომხრე სახელმწიფოთა შორის, რამაც ორგანიზებული დამნაშავეობის სამყაროს საშუალება მისცა დრო მოეგო. „ნათლიებმა" თავიანთი საქმიანობის ტრადიციულ სფეროებს დაუმატეს ახალი, მომგებიანი საქმე — ვაჭრობა დეფიციტური ბენზინით. დაპირებებისა და იარაღის საშუალებით მათ გამოაძევეს ბენზინით გასამართი სადგურებიდან ძველი გამყიდველები და ამ საწვავით ვაჭრობის საქმე გადასცეს თავიანთ ხალხს, რომელთაც ჯიბეები სავსე ჰქონდათ ბენზინის ყალბი ტალონებით. ერთი წლის შემდეგ სახელმწიფო დაწესებულებებმა გაამკაცრეს სასჯელი ყალბი ტალონების დამზადებისათვის. მაფია შეეგუა მდგომარეობას, შეწყვიტა მათი ბეჭდვა და ამის შემდეგ ნავთობმეწარმენი ამ ტალონებს მოქრთამული მოხელეებისაგან ყიდულობდნენ.

ამერიკის ფასების კომისიამ დაადგინა, რომ მაფია ყოველდღიურად სამხედრო ეკონომიკას 2 მილიონ ლიტრ ბენზინს პარავდა. საწვავით იატაკქვეშა ვაჭრობის აღიარებული ექსპერტები იყვნენ კარლო გამბინო, ვინსენტ მანგანო, სეტენო აკარდი.

„ნათლია" ლუჩანომ არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ 1941 წლის პირველ ნახევარში გამოძიების ფედერალურმა

ბიურომ დააპატიმრა 75 ნაცისტი აგენტი, მაგრამ, ამის მიუ-ხედავად, საბოტაჟების რიცხვი მაინც იზრდებოდა და რო-გორც ჩანს, სწორედ ფაშისტებისა და მაფიის (ძმები ანასტა-ზიების ხელმძღვანელობით) ერთიანი საქმიანობის შედეგი იყო 300 მეტრამდე სიგრძის გიგანტური გემის დაწვაც. ეს იყო გემი „ნორმანდია", რომელიც ლე ჰავრიდან ამერიკისა-კენ დაიძრა 2170 მგზავრითა და ეკიპაჟის 1320 წევრით. იგი 1935 წლის 29 მაისს ჩაეიდა ნიუ-იორკში. პრეზიდენტი ფრან-კლინ დელანო რუზველტი ვაშინგტონიდან სპეციალურად გაემგზავრა მის დასასვედრად.

პორტის თავზე ასობით თვითმფრინავი ტრიალებდა, ზღვის გოლიათს მიესალმებოდა ათეულათასობით ამერიკელი. „ნორ-მანდიის" კაპიტანმა პუნემ საფრანგეთისათვის მოიპოვა „ცისფერი ლენტი", რომელიც მას მიანიჭეს ატლანტის ოკე-ანის ყველაზე სწრაფი გადალახვისათვის. ფრანგებმა 4 დღესა და 3 საათში გადასერეს ოკეანე და ამით პირველობა ჩამოარ-თვეს იტალიის ფაშისტური რეჟიმის სიამაყეს — საფოსტო სწრაფმავალ გემს „რექსს". ასეთ დამცირებას რომის ნაციონა-ლისტები და ნიუ-იორკის ყოყოჩი მაფიოზები ვერ შეურიგდე-ბოდნენ. მათ შურისძიებით უპასუხეს. „ნორმანდიის" ხანძრის შემდეგ ოპოზიციურმა პრესამ ბრალი დასდო ამერიკის მთავ-რობას, რომ მან „სანაპიროდან კარი გაუღო გერმანელ, იაპო-ნელ და იტალიელ აგენტებს".

თუმცა ამერიკის სამხედრო ფლოტის საიდუმლო სამსა-ხურმა შექმნა წყალქვეშა ნავებზე დაკვირვების მთავარი შტა-ბი, რომელიც ნიუ-იორკში ჩერელ სტრიტზე ვულვორტის კონცერნის ცათამბჯენში მდებარეობდა, მაგრამ კლიფტონებს აღელვებდათ საკითხი, როგორ დაკავშირებოდნენ იტალიე-ლებს, ან მათ მეგობრებს „კოზა ნოსტრადან". მათ აჩქარებ-დათ საბოტაჟების საშიშროება და შეგნება იმისა, რომ ყველ-გან ხიფათი ელოდათ. ძნელი გასარკვევია, საიდუმლო სამსა-ხურიდან ვის მოუვიდა აზრად მაფიასთან თანამშრომლობა. ერთობლივ გეგმას კი ეწოდა „დამნაშავეთა სამყაროს ოპე-რაცია", რომლის მიზანი იყო რაც შეიძლება სწრაფად და-ეღწიათ თავი ფაშისტი ემიგრანტებისაგან, რომელთა უმ-რავლესობა მხარს უჭერდა ომის დროს ამერიკის შეერთე-ბულ შტატებში შემოგზავნილ ნაცისტ აგენტებს. მაფიასთან

მჭიდრო თანამშრომლობა „დამსაშაყეთა სამყაროს ოპერაციის“ გეგმით, მინდობილი ჰქონდათ ლეიტენანტ ჯეიმს ო, მალის და მაიორ ენტონი მარსლოუს. ამერიკის სამხედრო ფლოტის საიდუმლო სამსახურის ორივე ოფიცერი ლაპარაკობდა იტალიურად, იცოდა სიცილიური დიალექტები. ორი თვის შემდეგ ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მაფიოზების კონტროლის ქვეშ იმყოფება მთელი აღმოსავლეთი სანაპირო. თავდაპირველად ლაპარაკი იყო მხოლოდ გაცვლით ვაჭრობაზე. ზოგიერთმა „ნათლიამ“, მას შემდეგ რაც შესაფერის ჯილდოს დაპირდნენ, აცნობა მათ, თუ გერმანელ და იტალიელ ემიგრანტებს შორის ვინ ემხრობოდა, ან ვინ იყო მზად ფაშისტებთან თანამშრომლობისათვის. რადგანაც საიდუმლო სამსახურის „კოზა ნოსტრასთან“ კონტაქტმა გაამართლა, ეს თანამშრომლობა გრძელდებოდა სიცილიაში ამერიკის არმიის გადასხმის დროსაც.

ამერიკაში ჯაშუშების გამომჟღავნებას საქმე მიჰყავდა ისეთი კანონის მიღებისაკენ, რომელიც უფლებამოსილს ხდიდა მთავრობას გაეკონტროლებინა ყველა ორგანიზაცია, რომელიც ფაშიზმს თანაუგრძნობდა. 1941 წლის მაისში კონგრესმა პრეზიდენტს უფლება მისცა პორტებში კონფისკაცია გაეკეთებინა ფაშისტური გერმანიის მომხრე სახელმწიფოთა ასი ხომალდისათვის. მაგრამ იზოლაციონისტებისა და პაციფისტური განწყობილების საბოლოოდ დასაძლევად საჭირო გახდა პერლ ჰარბორის ტრაგედია. ეს მოხდა 1941 წლის 7 დეკემბერს. იაპონიის ავიაცია ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს ამერიკის შეერთებული შტატების მთავარ ბაზას წყნარ ოკეანეში, პერლ ჰარბორს. ამ დღეს ნავსადგურში იდგა 96 ამერიკული სამხედრო ხომალდი, რაც მთელი წყნარი ოკეანის ფლოტის ნახევარზე მეტს შეადგენდა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაკარგა 18 ხომალდი, დაახლოებით 200 თვითმფრინავი და 3 ათასი ჯარისკაცი. მეორე დღეს პრეზიდენტმა რუზველტმა განაცხადა: „გუშინ, 1941 წლის 7 დეკემბერს, რომელიც მეხსიერებაში უმძიმეს დღედ დარჩება, შეერთებულ შტატებზე მოხდა თავდასხმა“. ამერიკის შეერთებული შტატები ომში ჩაება. გამოცხადდა საყოველთაო მობილიზაცია და თუ 1939 წელს ამერიკაში 9 მილიონი უმუშევარი იყო, ახლა, როდესაც ქარხნებმა დაიწყეს ათასობით ტანკის, თვით-

მფრინავისა და გემის შენება, საჭირო გახდა მუშახელის ძებნა.

ამერიკის შეერთებული შტატების გენერალური შტაბი ამზადებდა ჩრდილო აფრიკაში ჯარების გადასხმის გეგმებს. ეს იქნებოდა თავისებური ტრამპლინი სიცილიისაკენ, იტალიისაკენ.

ფაშისტებმა უარი არ თქვეს თავიანთ პროგრამაზე. კასარისის აგენტურა, რომელიც მოსპო ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალურმა ბიურომ, უნდა შეეცვალა ჰიმლერის ექსპერტებს სს-იდან. ამ ოპერაციას ეწოდებოდა „პასტორიუსი“ და მას ბერლინში ამზადებდნენ, როგორც პასუხს ომის გამოცხადებაზე.

ნაცისტებმა აირჩიეს ფაშისტური პარტიის 15 წევრი, რომლებიც დაბადებული იყვნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში და ჰყავდათ მეგობრები ემიგრანტებსა და მაფიის წევრებს შორის. თვეობით გრძელდებოდა მათი ვარჯიში უხმაურო მკველელობის დაუფლებაში, ნაღმების ჩაწყობაში და რაც მთავარია, ამერიკული სამხედრო წესების შესასწავლად. აგენტების, რომლებსაც აკონტროლებდა გესტაპოს უმაღლესი წარმომადგენელი. კალტენბრუნერი, ამოცანას შეადგენდა არ დაეშვათ ოკეანის მეორე მხარეს ალუმინის წარმოების განვითარება, რასაც მიაღწევდნენ ქარხნებისა და, რაც მთავარია, ნიუ-იორკის პორტების განადგურებით. სწავლების დამთავრების შემდეგ მესაბოტაჟეები გაყვეს ორ ნაწილად. პირველი ჯგუფის მეთაური გახდა გეორგ დაში, მეორე ოცეულს მეთაურობდა კერლინგი. ბანდებს შორის კავშირი რადიოს საშუალებით უნდა დაემყარებინა აბვერის ჩიკაგოელ რეზიდენტს.

დაშმა და კერლინგმა მიიღეს ცხვირსახოცები, რომლებზეც უხილავი მელნით ეწერა იმ აგენტების სახელები და ტელეფონები, რომლებიც გადაურჩნენ გამოძიების ფედერალურ ბიუროს. ორივე მეთაურმა ბერლინში პრესცენტრ „კაუკასის“ შენობაში მიიღო 80 ათასი დოლარი.

საბოტაჟის განყოფილების უფროსმა ლაჰაუზენმა აბვერის დღიურში ჩაწერა: „ოპერაციის მონაწილენი საფრანგეთის ნაპირებიდან გავიდნენ 1942 წლის 26 და 28 მაისს. პირველები გაემეზავრნენ დაში, ბურგერი, ჰეინკი და კეირინა

წყალქვეშა ნავით U-202. ეკიპაჟს მეთაურობდა კაპიტანი ლინდერი. შმიდტი მოულოდნელად ავად გახდა და პორტ ლორიენდში დარჩა. 16 დღის ცურვის შემდეგ კაპიტანმა გამოაცხადა, რომ მიაღწიეს ამერიკის ნაპირებს და წყალქვეშა ნავი ამოცურდა ლონგ-აილენდთან. ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული მძიმე ჩემოდნების გადატანისას, შეშინებული მატროსები ძალზე ჩქარობდნენ; წყალქვეშა ნავი რამდენიმე კილომეტრის დაშორებით იდგა პორტიდან, როშელსაც იცავდა ამერიკის სანაპირო დაცვა. როგორც კი U-202-ის გემბანიდან გამგზავრების ნიშანი მისცეს, მათ დაში ბედის ანაბარა მიატოვეს და გაიქცნენ.

სიჩქარეში მესაბოტაჟეებმა პლაჟზე ტომრების გარდა დატოვეს სიგარეტის კოლოფი წარწერით „Overstolz", ბოთლი ეტიკეტით „Weinbrand" და გერმანული საზღვაო ფორმის ტყავის ბლუზა. ათწუთიანი სწრაფი მარშის შემდეგ ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ჩემოდნები მეტად მძიმე იყო და მათ თრევას აზრი არ ჰქონდა, გათხარეს ორმო და ყველაფერი მზრუნველობით ჩამარხეს: „ამისათვის ოდესმე დავბრუნდებითო!".

როცა მათ პირველ პატარა სადგურს მიაღწიეს, დათქვეს ნიუ-იორკში შეხვედრის ადგილი და დაიფანტნენ. იმავე საღამოს დაში ვახშამზე შეხვდა თავის თანაშემწე ბურგერს მდიდრულ რესტორან „ასტორიაში". მათ საკმაოდ ბევრი დალიეს და მეთაურმა თავი ნამდვილ ამერიკელად იგრძნო. კარგმა სმა-ჭამამ და ბერლინიდან შორს ყოფნამ დაშს სიმამაცე შემატა. დოლარებით სავსე ჩემოდანი კი უფრო მეტს ნიშნავდა მისთვის, ვიდრე ნაციზმისადმი ერთგულება.

გათამამებულმა დაშმა ჩაიბურტყუნა: „დილით დავრეკავ გამოძიების ფედერალურ ბიუროში და ვეტყვი, რომ ვარ აგენტი, რომელიც ალუმინის ქარხნის აფეთქებას აპირებს". ბურგერმა თვალები დააჭყიტა და შეეცადა დაშის დაწყნარებას, მაგრამ დაშმა მასაც ურჩია ნებაყოფლობით მიემართა ამერიკის პოლიციისათვის, თვითონ კი გათენებას არ დაელოდა და ბარიდან დარეკა გამოძიების ფედერალურ ბიუროში და განაცხადა: „ტელეფონთანაა პასტორიუსი, კარგი იქნება, თუ ჩაიწერთ. მე ვილაპარაკებ საბოტაჟზე, რომელიც მზადდება ალუმინის ქარხანასა და პორტში".

გამოძიების ფედერალური ბიუროს მოხელემ ჰარიოლდ ბრეინმა ხელიდან გაუშვა ბრწყინვალე შანსი; როდესაც დაშმა ლაპარაკი დაიწყო საავიაციო ქარხნებზე და შეფთან საუბარი მოითხოვა ბრეინმა ყურმილი დაკიდა. ამასთან 24 საათში ბიუროს კანცელარიაში უკვე იდო სანაპირო პოლიციის პატაკი იმის შესახებ, რომ რიგითი კალი ღამით შეხვდა უცნაურ ჯგუფს, ხოლო პლაჟის დათვალიერებისას წააწყდნენ გერმანულ სიგარეტის კოლოფს და ფორმის ნაწილს. ერთი კვირის შემდეგ სანაპიროს დაცვამ იპოვა ასაფეთქებელი ნივთიერებებით სავსე ორი ყუთი და მაშველი რგოლი. ძებნის შედეგები მაშინვე აცნობეს გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორს ედგარ ჰუვერს, რომელმაც თუმცა განგაში გამოაცხადა, მაგრამ სანამ პატაკმა ვაშინგტონამდე მრავალი ინსტანცია გაიარა, დაიკარგა ძვირფასი დრო.

✓განაწყენებული დაში ქალაქში მატარებლით გაემგზავრა და სასტუმრო „ჩესტერფილდის" ადმინისტრატორს ჩასვლის შესახებ მხოლოდ 16 ივნისს აცნობა. ამ დროს რამდენიმე კილომეტრით სამხრეთით, ფლორიდის ნაპირებს მოადგა წყალქვეშა ნავი U-170, რომლიდანაც გადმოსხდა კერლინგის ჯგუფი. ასაფეთქებელი ნივთიერებები აგენტებმა ჩაფლეს ჯექსონვილის მახლობლად, სწორედ იმ დროს, როდესაც დაში მეორედ ცდილობდა ეცნობებინა ამერიკის პოლიციისათვის მესაბოტაჟეების გადმოსხმის შესახებ. მან ხელახლა აკრიფა ნომერი და გაიგონა ქალის ხმა: „გამოძიების ფედერალური ბიურო. რა გნებავთ?"

„რამდენიმე დღის წინ მე მსურდა შეფთან ლაპარაკი ჯაშუშების გადმოსხდომის შესახებ".

ქალიშვილმა ზედმეტი ლაპარაკის გარეშე შეაერთა დაში.

„თქვენ ამბობთ, რომ გაქვთ ინფორმაცია ლონგ-აილენდზე ჯაშუშების გადმოსხდომის შესახებ" — დირექტორის სამდივნოს მოხელის ხმაში ღელვა იგრძნობოდა.

„დიახ, — უპასუხა დაშმა, — მე მათი მეთაური ვარ და მინდა პირადად ველაპარაკო ჰუვერს".

„თქვენ ვინა ხართ? ხომ არ გაგიჟდით?"

„გეუბნებით უკანასკნელად, რომ მე ვარ „პასტორიუსის" დესანტიდან, ეს ოპერაციის პირობითი სახელწოდებაა, რომელიც ჰიტლერმა მოიწონა".

შემდეგ დაშმა გაიგონა რაღაც კვნესისმაგვარი და წამოყვირება: „თუ ღმერთი გწამთ, მე მინდა ვიცოდე საიდან რეკავს ეს ყმაწვილი!“

„თავს ნუ იმტერეეთ, — ჩაერია დაში, — მე სასტუმრო „ჩესტერფილდში“ ვარ“.

„დარჩით იქ, სადაც ხართ, თუ შეიძლება, ბატონო პასტორიუს. მთავარია, არ გაინძრეთ, ორი წუთის შემდეგ თქვენთან იქნება კაცი სახელად კონოლი“.

დაშმა უკან მოხედვა ვერ მოასწრო, რომ კარებში შემოვარდა გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტი. მასთან ლაპარაკში გერმანელს უნებლიეთ დასცდა, რომ ფლორიდას უკვე მეორე ჯგუფი მოადგა. კონოლი გველნაკბენივით გავარდა, ათი წუთის შემდეგ კი გამოძიების ფედერალურმა ბიურომ საერთო-სახელმწიფო ძებნა გამოაცხადა. ოთხი დღის განმავლობაში ნიუ-იორკსა და ჩიკაგოში ყველა აგენტი დააპატიმრეს. ზოგიერთი მათგანი თავის მაფიოზ მეგობრებთან დააკავეს.

დაკავებული ჯაშუშების დაკითხვამ შემაძრწუნებელი სურათი გამოამჟღავნა. როგორც ომისშემდგომი გამოძიებითაც დადასტურდა, ნაცისტური სადაზვერვო და საბოტაჟო სამსახურები ამერიკის დედაქალაქის სიამაყის — ემპაიერ სტეიტ ბილდინგის, ნიაგარის ჩანჩქერისა და ნიუ-იორკის პორტების განადგურების გეგმას ამზადებდნენ.

აგენტების შეპყრობამ და ოფიცრების — ო' მალისა და მარსლოუს წარმატებებმა საიდუმლო სამსახური მიიყვანა მაფიასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებამდე. მის პრელუდიად იქცა 1942 წლის საშობაო ზეიმობა სენტრალ პარკ ვესტის აპარტამენტებში. ნიუ-იორკის რჩეული საზოგადოების რეზიდენცია მოინახულეს მაფიის საქმიანობის კარგმა მცოდნემ, ნიუ-იორკის ყოფილმა პროკურორმა უილიამ ო' დუაიერმა, ამჟამად უკვე გენერალ-მაიორმა და მისმა მეგობარმა ფრენკ ჰოგანმა. ჯენტლმენებს შორის იყვნენ ყოფილი „ნათლია“ ფრენკ კოსტელო და მისი მოადგილე ადონისი.

სამხედრო სარდლობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ევროპაში შემდგომი ოპერაციების წარმოების თავის სტრატეგიულ გეგმებში განიცდიდა დაწვრილებითი ტაქტიკური ინფორმაციის ნაკლებობას და რაც მთავარია, არ ჰქონდა მოხერხებული ადგილი სიცილიაში გადასხმისათვის.

ამ დროს დაიწყო ახალი ერა „ნათლია“ ლაკი ლუჩანოსი, რომელზედაც ფსიქიატრების დასკვნაში ნათქვამია, რომ ეს არის ადამიანი, რომლის ხასიათის გამოხატულ თვისებას წარმოადგენს „სისასტიკე და მოქმედებისაკენ ინსტინქტური სწრაფვა“.

სამხედრო ფლოტის საიდუმლო სამსახურის შტაბში მას საშუალება მისცეს დაეკმაყოფილებინა მოქმედებისაკენ ლტოლვა. შობის შემდეგ ციხის სამმართველომ საიდუმლო სამსახურის მოთხოვნით ის დანემორიდან გადაიყვანა კომსტოკის ციხეში, რომელიც ავადმყოფი პატიმრებისათვის იყო განკუთვნილი. „ბედნიერი ჩარლი“ ლუჩანო უკვე ხვდებოდა ცელილებების მიზეზს. მის საკანში დადგეს რადიო და ტელეფონი — მას ისევ შეეძლო მაფიის იმპერიის მართვა.

ამერიკელ „კოზა ნოსტრასა“ და სიცილიურ მაფიას შორის თანამშრომლობის ხელმძღვანელად დანიშნეს გამოცდილი მაიორი ჰოფენდენი, რომელიც მეგობარმა ო'დუაიერმა დაარიგა, რომ თავისი პრინციპების ერთგული „კოზა ნოსტრა“ არასდროს ივიწყებს „ნათლიებს“ და თუკი შემთხვევა მიეცემა ფაშისტებსაც მიეხმარება. ჰოფენდენი ასეთ მზრუნველობას არაფრად აგდებდა. მას ბევრი სხვა მნიშვნელოვანი ამოცანა ჰქონდა: მოკლე დროში უნდა გადაეცა დაწერილებითი ტოპოგრაფიული მონაცემები სამმილიონიან სიცილიაზე თავდასხმის არმიის მთავარი შტაბის საიდუმლო სამსახურისათვის, ინფორმაცია პორტების, ქალაქებისა და სოფლების, ცალკეული მდინარეებისა და რაც მთავარია, მტრის ჯარების განლაგების შესახებ. ამიტომ ამერიკის ფლოტის საიდუმლო სამსახურის „F“ სექციის შეფმა მოინახულა ნიუ-იორკის შტატის ციხეების სამმართველოს დირექტორი. დამნაშავეობის სამყაროს მეფე ლუჩანო კვლავ სხვაგან გადაიყვანეს. ციხის ჰოლში მას ელოდებოდა ფართო ოთახი. წინა კედელზე, რომელიც დაფარული იყო ნიშნებით, ფერადი ხაზებით, ეჯიდა ევროპის რუკები და სიცილიის განსაკუთრებული რუკა. ზუსტად ასე იყო მოწყობილი „F“ სექციის შეფის მაიორ ჰოფენდენის კაბინეტი. ორივე შენობაში, რომელთაც მზრუნველობით იცავდნენ მნახველებისაგან, შედიოდნენ მხოლოდ ისეთი ადამიანები, რომელთა შესახებ არავის არაფერი არ უნდა სცოდნოდა და თუ გაიგებდა, მაშინ-

ვე უნდა დაეეიწყებინა. ამას ითვალისწინებდა საბჭოთა ფრონტის პრინციპები და საიდუმლო სამსახურსა და მაფიას შორის დადებული ხელშეკრულებები.

არანაკლები პრობლემები ჰქონდა კონტრდასეირვის კავშირგაბმულობის ხაზით, რომელიც პრაქტიკულად არ არსებობდა მეოშარ ქვეყნებს შორის, მაგრამ აქ იყო ლუჩანო და მისი რწმუნებული ვინსენტ მანგანო. უხილავი საქმიანობის ძაფები მთავრდებოდა მის რესტორანში მანჰეტენის მახლობლად. მუსოლინის მეგობარი „ნათლია“ ვიტო ჯენოვეზეც აგზავნიდა ძველ ლუდხანაში ანგარიშებს სიცილიის შედარებით იოლი დაპყრობის შესაძლებლობაზე. ვინსენტ მანგანოსა და ვიტო ჯენოვეზეს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ სიცილიის მაფიასთან. ჯენოვეზეს რეზიდენტებმა შეხვედრების ადგილად აირჩიეს სიცილიური პიცერია ბრუკლინის მეოთხე ავენიუზე. მისი მფლობელი იყო ლუჩანოს მეგობარი ჯო ადონისი. აქაც, თითქმის არ იხურებოდა კარები მაფიოზების, პროფესიონალი ჯაშუშებისა და ოფიცრებისათვის, რომლებიც აქ ერთიმეორის მიყოლებით მოდიოდნენ.

საიდუმლოება იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხა მაფიამ საკურიერო კავშირის დამყარება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ იტალიას შორის, თან წაიღეს „ნათლიებმა“ მანგანომ და ჯენოვეზემ.

კავშირის საიდუმლო არხებს ინტერესით, მაგრამ ამაოდ იკვლევდნენ სენატორ კეფოვერის გამოძიების ომისშემდგომი კომისიის წევრებიც. მხოლოდ ზოგიერთი მოწმეები ბუნდოვნად ლაპარაკობდნენ სიცილიის მაფიის „დონის“ — კალოგერო ვიტინის დახმარების შესახებ. ლაკი ლუჩანოს სახელი მხოლოდ ერთხელ ამოტივტივდა, როდესაც სამხედრო-საზღვაო ფლოტის საინფორმაციო სამსახურის წარმომადგენელმა, ჩასუქებულმა პოლკოვნიკმა სმიტმა უცოდველი გამომეტყველებითა და დაუფარავი აღტაცებით განაცხადა: „ლუჩანო რეკავდა ტელეფონით, თათბირობდა, ღებულობდა უცნობ პირებს, მაგრამ ყოველთვის მკაცრად იცავდა კონსპირაციის წესებს. ომი არ გვაძლევდა დიდი არჩევანის საშუალებას. შესაძლოა, ომის შემდეგ ეს ვინმეს უცნაურადაც მოეჩვენოს, მაგრამ ჩვენ დახმარება გვესაჭიროებოდა როგორც ვერმანელი აგენტების შეჭრისაგან პორტების დასაცავად, ისე, ცოტა

ბრიტანეთი, სიცილიასა და იტალიაზე თავდასხმისათვის".

„ჰასხანო, სპაგეტი, სინიორინები" და „იტალიური" ომიც 60 ათასი ამერიკელი ჯარისკაცისათვის დაიწყო 1943 წლის 10 ივნისს, სამს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა. ოპერაცია „ჰასკის" ლუჩანო უთვალთვალებდა ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ოლბანის მახლობელი საოლქო ციხის საკნიდან.

სიცილიის დაპყრობა ნიშნავდა იტალიის ოთხი სახმელეთო დივიზიის, იტალიის სანაპირო დაცვის ხუთი დივიზიის, 15 ვერსადერული დივიზიისა და სს-ის რჩეული დივიზიის „ჰერმან გერინგის" განადგურებას. თუმცა კი მთიანი გარემო და ცუდი, ვიწრო გზები ფაშისტებს დაცვისათვის იდეალურ პირობებს უქმნიდა.

ლეპეშები ბრიტანეთისა და კანადის ჯარებიდან, რომლებიც მიიწევდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთით მესინასაკენ, მოკავშირეებს საგონებელში აგდებდა. შეტევა გადაიზარდა მძიმე ბრძოლებში, ინგლისელები დიდ დანაკარგებს განიცდიდნენ. მესინაში შესვლა მათ 5 კვირის ცხარე ბრძოლების შემდეგ შეძლეს. მთის ციხესიმაგრეების დაბომბვამაც არ უშველათ. ბრიტანეთის მე-8-ე არმიის ნაწილმა მხოლოდ 3 სექტემბერს გადაჭრა მესინის ყურე და არტილერიის დახმარებით, რომელიც სიცილიის სანაპიროდან უტევდა, წაიწია რეჯიო დი კალაბრიასაკენ.

ამერიკის მე-7 არმიას გადმოსხმის შემდეგ რამდენადმე სხვაგვარი სიტუაცია შეექმნა. პონტონებით აღჭურვილი ნაწილები მიემართებოდნენ დასავლეთისაკენ, სანაპიროს გასწვრივ მარსალისა და ტრაპანისაკენ და უკვე 22 ივლისს შეეიდნენ პალერმოში.

„ამერიკის არმიის ყველა დაწყებითმა გადაადგილებებმა წ�არად ჩაიარა და სანაპიროზე ჩვენ შევხვდით მეტისმეტად სუსტ წინააღმდეგობას", — წერდა ოპერაცია „ესკიმოსთა ძაღლის" (HUSKY) შესახებ მოკავშირეთა ჯარების უმაღლესი მთავარსარდალი გენერალი ეიზენჰაუერი, — „სამი საათის შემდეგ უკვე შეიქმნა პლაცდარმი 160-კილომეტრიან მონაკვეთზე სირაკუზიდან ლიკატამდე".

მეორე და მესამე დღეს, როდესაც მოულოდნელობის ფაქტორმა ძალა დაკარგა, ამერიკული კოლონები ძლიერ ცეცხლში მოექცნენ. გერმანელთა ნაწილებმა აქა-იქ დაიყო-

ლიეს იტალიელებიც და კარგად გამაგრებული ბუნკერები აღებულ ციხესიმაგრეებად აქციეს. მეოთხე დღეს ოპერაციის ხელმძღვანელობამ გასცა ბრძანება სვლის შეწყვეტის შესახებ.

1943 წლის 14 ივლისს, კამარატისა და ლუსასის მშობლიურ ლერკარა ფრიდთან ახლოს, ღრუბლებიდან გამოცურდა ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის თვითმფრინავი. გაურკვეველი ტრიალის შემდეგ მის ფრთებქვეშ გაიხსნა პატარა პარაშუტი. ეს იყო რაღაც შეხვეულის მსგავსი, ყვითელი აბრეშუმის თავსაფრით, რომელზეც ქალიშვილებმა ღამაზად ამოქარგეს შავი L და რომელიც ელჩმა ნუცილეზემ გადასცა გრიზპი კალოგერო ვიცინის, რომელიც უფრო ცნობილი იყო „დონ“ კალოს სახელით. ლეგენდარული წინამორბედის ვიტო კაშია ფერას სიკვდილის შემდეგ, რომელსაც მაფიოზები „დონ“ ვიტოს ეძახდნენ, კალო გახდა სიცილიის „კეთილშობილთა საზოგადოების დონი“.

„დონ“ კალო ჩაფიქრებული ათვალიერებდა თავსაფარს, რომელმაც დაარწმუნა იგი მისი ბრძანების სისწორეში. ეს ბრძანება მან გასცა წინა ღამეს, ხოლო მიიღო ის „დონის“ მოადგილე ჯენკო რუსომ. მოკლე ბრძანება — „მოამზადე ყველაფერი აუცილებელი“, წარმოადგენდა სიგნალს, რომელიც ამცნობდა, რომ მის უბანზე შესაძლებელია საომარი მოქმედება დაიწყოს მხოლოდ იტალიური წარმოშობის ჯარისკაცთაგან შედგენილმა ამერიკულმა სამხედრო ნაწილმა. შემდგომ ბრძოლებში მათ ერთხელაც არ გაუსვრიათ.

მეგაფონებით შეიარაღებული სერჟანტები, კარგად ინფორმირებული „კეთილი ძიების“ თანხლებით, მიუვალი ციხესიმაგრეებისა და იტალიელთა არმიების თავშესაფრების წინ გაჰყვიროდნენ მეთაურთა სახელებსა და წოდებებს და ყველას დაბეჯითებით ურჩევდნენ ბრძოლაზე ხელი აეღოთ, თუ უნდოდათ, რომ ოდესმე კიდევ დაელიათ კარგი ღვინო, მხოლოდ ერთეულებმა ვერ გაუგეს ამ ინფორმაციას.

1943 წლის 20 ივლისს, ზუსტად შუადღეს, ამერიკული ტანკები შევიდნენ ვილალბაში — სიცილიის მაფიის წმინდა ადგილში. მაფიის სამეფო კარი, ისტორიული ვილალბა ამ დროს წარმოადგენდა სოფელს მაღალი ეკლესიით, 42 ვიწრო ქუჩითა და „დონ“ კალოგეროს ბანკით, რომლისკენაც უხკად

მიედინებოდა დოლარები, ლირები, ფრანკები და მარკები.

საღამო ჟამს ამერიკული დივიზიის მცირე ავანგარდი მიუახლოვდა ქალაქ მუსომელის, რომელსაც, როგორც ფაშისტები ამტკიცებდნენ, უკანასკნელ წუთამდე დაიცავდნენ. მაგრამ აქაც ჯენკო რუსომ ინახულა ფაშისტი ოფიცრები და გულითადად ურჩია: „დაყარეთ იარაღი, როდესაც ამერიკელები მივლენ მუსომელისთან. არ გაბედოთ არც ერთი გასროლა! თუ თქვენ არ შეასრულებთ ჩვენს ბრძანებებს, ჩვენ ვიზრუნებთ, რომ თქვენგან, თქვენი ცოლების, ბავშვებისა და სხვა ნათესავებისაგან, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი და როგორადაც არ უნდა დაიმალონ, არ დარჩეს არაფერი“.

ამერიკის საინფორმაციო სამსახურსა და მაფიას შორის ურთიერთობა მოკავშირეთა სიცილიაზე გადმოსხმის დროს ზუსტად აღწერა ბრიტანეთის დაზვერვის ოფიცერმა ნორმან ლუისმა: „ახლოებით 1943 წლის 20 ივლისიდან, ამერიკის არმიის მზვერავთა რაზმი წინ მიიწევდა დროშით, რომელზეც შავად იყო ამოქარგული ასო L. ოფიცრები, რომლებსაც ტანკით წინ მიუძღოდა სიცილიელი კალოგერო ვიტინი, სვდებოდნენ იტალიური შტაბის წარმომადგენლებს და გადასცემდნენ მაფიის მოთხოვნას: „იტალიელებს სახლებში დაბრუნება უნდათ!“

22 ივლისს შუადღისას გენერალ პატონის ნაწილები შევიდნენ პალერმოში. ისე, როგორც სხვა ქალაქებში, აქაც გახარებული ბავშვები ძვრებოდნენ ტანკებზე, ქალები კი ეხვეოდნენ ამერიკელ ჯარისკაცებს. ამ საერთო ხმაურში, სიხარულსა და ზარების რეკვაში ვერავინ ვერ გაიგონა რამდენიმე გასროლის ხმა. მაფია ანგარიშის გასწორებას ჩქარობდა. ვინ შეიწუხებდა ასეთ ვითარებაში თავს გამოძიებებით?

„კოზა ნოსტრას“, რომელმაც მოკავშირეთა გადმოსხმა თავისი გავლენის გავრცელებისა და ძველი სიცილიური მაფიის მოდერნიზაციისათვის გამოიყენა, მათი ჯარების შემდგომი წინსვლა აღარ აინტერესებდა.

ჯავშნიანი ავტომობილიდან, რომელიც ვილალბაში გაჩერდა, ჩამოვიდა ოფიციალური ინკასატორი, ლაკი ლუჩანოს ერთ-ერთი საიდუმლო „ლეიტენანტი“, ამერიკელი დამიანო ლუმინა. საღამოს გაიმართა ზეიმი „პადრინო“ კალოგეროს პატივსაცემად. ოფიცრებისა და სერჟანტების ჭრელ

საზოგადოებაში „დონის“ დიალექტი არავისათვის არ იყო გაუგებარი. კუნძულზე გადმოსხმული ყოველი მეხუთე პარტიზანი სიცილიური ან იტალიური წარმოშობისა იყო.

ღვინისაგან შეზარხოშებულმა „დონმა“ თავისი გამოსვლა ასეთი სადღეგრძელოთი დაამთავრა: „გაუმარჯოს მოკავშირეებს, გაუმარჯოს იტალიელ ანტიფაშისტებს!“

კარგად ეჭირა თავი გულუხვ მაიორ ბირსაც. „დონ“ კოლომ მისგან საჩუქრად მიიღო ორი სატვირთო მანქანა და ტრაქტორი. მაფიას უსათუოდ სჭირდებოდა გადაადგილების საშუალებები. თუ არადა „ანტიფაშისტებს“ მოუხდებოდათ საწყობებიდან ფქვილის, შაქრის, ხორცის კონსერვების, საბურავების, ბენზინის ავზებისა და ნავების ზურგით თრევა. შავი ბაზარი საჭიროებდა სხვა პროდუქტებსაც. „ნათლიები“ ხაზს უსვამდნენ ფაშისტური პუტჩის საშიშროებას: „არ ვიცით, როგორ გავუწიოთ წინააღმდეგობა ძველი იარაღით“. ინტენდანტებმა არსენალები გახსნეს. მაფიოზებს აქამდე არასოდეს არ მიუღიათ ასეთი მშვენიერი და იაფი იარაღი და არასოდეს არა ჰყოლიათ ისეთი გულუხვი მეგობრები, როგორებიც ისხდნენ „ოკუპირებული ტერიტორიების მოკავშირეთა სამხედრო მთავრობაში“. სასწაულები ხდებოდა ამერიკული შტაბის მფარველობის ქვეშ, შტაბისა, რომელიც შეიქმნა ძველი აპარატის რეორგანიზაციისათვის.

ამერიკული საოკუპაციო ჯარების უმაღლესი წარმომადგენელი სიცილიაში პოლკოვნიკი ჩარლზ პოლეტი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას ჩიკაგოს გასტრონომიას ამჯობინებდა. ყველაზე მეტად სიამოვნებდა ლუჩანოს წარგზავნილის — ლუმინოს აღიარება, რომ ღორის პაშტეტი ბოლონიურ სპაგეტიზე უფრო გემრიელია. მათ ბევრი საერთო ჰქონდათ არა მარტო ჭამისადმი სიყვარულში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სურვილში, რომ სიცილია ამერიკის დროშაზე ახალი ვარსკვლავი ყოფილიყო.

პოლეტის პოლკოვნიკის ფორმაც ვერ აიძულებდა, რომ აშკარად გამოეხატა გრძნობები და შეხედულებები. იგი არასოდეს არავის არ ეწინააღმდეგებოდა, პირიქით, ამბობდა, რომ ასეთი რამ ვნებს საჭმლის მონელების პროცესს. სიცილიელ „ნათლიებთან“ თავს მათ ძმად აცხადებდა, სეპარატისტებთან, რომლებიც ოცნებობდნენ იტალიისაგან სიცილიის

გამოყოფაზე, სეპარატისტი იყო, მონარქისტებთან ამბობდა, რომ მთელი ცხოვრება მეფეს უჭერდა მხარს, ხოლო რესპუბლიკელებს პროგრესულობას უქებდა. იმათ, ვინც აღტაცება და პატივისცემა არ გამოხატეს ასეთი დიპლომატიის მიმართ, მკაცრი გაკვეთილი მიიღეს ყმაწვილებისაგან, რომლებიც კუნძულის შეიარაღებულ დასაყრდენს წარმოადგენდნენ.

15. „ნაცილია“ ჯენოვეზე საქმეს უეუდგა

ლუჩანოს ყველაზე ერთგული მეგობარი, შემდგომ კი ყველაზე დაუძინებელი მტერი იყო ვიტო ჯენოვეზე. მან სახელი გაითქვა უთვალავი მკვლელობებით, ვერ იტანდა პოპულარობას და გულმოდგინედ ნიღბავდა თავის პირად ცხოვრებას.

ვიტო დაიბადა 1897 წელს პატარა სოფელ როსილიანოში მდებარე სახლში, რომელშიც მუდამ შემწვარი ხახვისა და საჭმლის ნარჩენების სუნი ტრიალებდა. 16 წლის ვიტო ამერიკაში გადასახლდა.

სიყმაწვილე გეტოში კამათლების თამაშში გაატარა. პირველი ქურდობის შემდეგ შეიყვარა ეს „წყნარი“ პროფესია, ხოლო მაფიის წევრობას უჩვეულო ბიზნესით ფარავდა — დადიოდა ბინებში, აგროვებდა ძველ ქსოვილებს და თან ადგენდა ბინების გეგმას. შემდეგ მისი თანამოსაქმენი ამ ბინებს „მოინახულებდნენ“ ხოლმე. „მშრალი კანონის“ გაუქმების შემდეგ ნარკოტიკული ნივთიერებების გაყიდვა დაიწყო და ჰეროინისადმი ერთგულება მან მთელი ცხოვრების მანძილზე შეინარჩუნა.

1925 წელს ჯენოვეზეს დაებადა აზრი საკაჭრო ფირმის — „ზი ჯენოვეზე ტრეიდინგ კომპანის“ დაარსების შესახებ. ამ დროიდან ის სამართლიანად ითვლებოდა ქალაქის ერთ-ერთ პატივცემულ კერძო მეწარმედ. ნიუ-იორკს კი, ისე როგორც არც ერთ სხვა ქალაქს, ზუსტად მიესადაგებოდა გოეთეს სიტყვები: „ვაჭრობა, ომი და მეკობრეობა — ეს სამეული განუყოფელია“.

ჯენოვეზეს ქარხნები, როგორც საავარიო რეესტრში იყო აღნიშნული, აწარმოებდნენ ფეხსაცმლის კრემს და, ამასთან ერთად, იტალიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში შემოქონდათ მაკარონი და მცენარეული ზეთი. მხოლოდ ორიოდ კომპანიონმა იცოდა, რომ კრემის თითქმის ყოველი მეორე კოლოფი ათ დოზა ჰეროინს შეიცავდა.

1933 წელს ჯენოვეზეს მშვიდ ცხოვრებაში უსიამოვნო ამბავი მოხდა. იგი გაემგზავრა პალერმოში, რათა პირადად გაეკონტროლებინა კავშირი სიცილიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის და დარწმუნებულიყო მართლა იყო განწყობილი მუსოლინი მისი ზოგიერთი მეგობრის წინააღმდეგ თუ არა. დაბრუნების შემდეგ ჯენოვეზეს პოლიტიკაზე არაფერი უთქვამს, არ მოუწვევია ტრადიციული თათბირი, მხოლოდ გასცა განკარგულება, რომ მისი უახლოესი თანამშრომელი ფერდინანდ ბოჩია, მეტსახელად „ჩრდილი“, უნდა „დადუმდეს“.

იმ ფაქტმა, რომ „ნათლიამ“ არ მიმართა მაფიის ოფიციალურ ფირმა „მარდერ ინკორპორეიტიდს“ და ლიკვიდაცია დაქირავებულ განგსტერს უოლტერ ბალოს, მეტსახელად „სვავს“ მიანდო, დაადასტურა დამნაშავეთა სამყაროს ვარაუდა იმის შესახებ, რომ უგუნურმა ფერდინანდ ბოჩიამ რომანი წამოიწყო „ნათლიას“ სატრფოსთან. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ეს ამბავი ცუდად დამთავრდებოდა, რადგანაც „ნათლიები“ უაღრესად მომთხოვნები იყვნენ საკუთარი ცოლების მიმართ და ოჯახში „უპატიოსნო“ ქალს არ გააჩერებდნენ.

ჯენოვეზემ მსგავსი სირცხვილი უკვე გადაიტანა. მისმა პირველმა მეუღლემ, მაფიისადმი სიმპათიით განწყობილმა მანდილოსანმა, აღძრა განქორწინების პროცესი იმ მოტივით, რომ „ნათლია“ მეტისმეტად არადელიკატურად იქცეოდა, თუმცა ესეც არ იკმარა და მოთმინებადაკარგულმა იმაზე მეტიც თქვა, რაც მაფიოზის მეუღლეს შეეფერებოდა. დუმილის კანონის დარღვევამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ჯენოვეზე დაქვრივდა. სამი წლის შემდეგ ჯენოვეზე შეხვდა სხვა ქალს, მაგრამ ისიც უმადური აღმოჩნდა. ამჯერად „სვავმა“ მოაშორა მეუღლე „ნათლიას“ ყოველგვარი კეალისა და ხმაურის გარეშე.

მომავალში უსიამოვნებისაგან თავის დაღწევის მიზნით,

ჯენოვეზემ დაქირავებულ განგსტერს ერნესტ რუპოლოს უბრძანა მოეშორებინა გალო, ანუ „სვავი“, რომელმაც ბოჩია მოკლა.

რუპოლომ აღასრულა ბრძანება ქუჩის ბნელ კუთხეში და შეატყობინა „ნათლიას“, რომ გალო ჯოჯოხეთში გაუსავნა. მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა. კოკისპირულმა წვიმამ გრძნობაზე მოიყვანა მძიმედ დაჭრილი მაფიოზი. გალომ ცოცვით მიაღწია პოლიციის უბნამდე და შური იძია; მან განაცხადა, რომ ბოროტმოქმედთა ყველა თავდასხმას ხელმძღვანელობს ვიტო ჯენოვეზე, ფირმა „ჯენოვეზე ტრეიდიგ კომპანის“ მფლობელი. სრულიად შემთხვევით, ერთი საათის შემდეგ პროკურორთან მოიყვანეს მკვლელობის სხვა მოწმე, ვინმე პიტერ ლა ტემპა. მაგრამ მანამ, ვიდრე პროკურორი ხელს მოაწერდა ორდერს დაპატიმრების შესახებ, „ნათლიის“ რეზიდენციაში ტელეფონი აწკრიალდა. სამმართველოს თანამშრომელმა ერთ-ერთმა პოლიციელმა აცნობა მას: „ბატონო ჯენოვეზე, ნახევარ საათში თქვენთან ვიქნებით. პროკურორს ჰყავს მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ თქვენ რამდენიმე კაცს მოუსპეთ სახეზე ღიმილი“.

ჯენოვეზემ სამგზავრო ჩემოდანი ფულით დატვსა და მიღოლს პორტისაკენ უბრძანა წასვლა. რომში მას უკვე ელოდებოდნენ მუსოლინის სასახლის მოხელეები. პირველად მან მუსოლინის სამსახური გაუწია 1931 წელს, როდესაც 60 ათას დოლარად მკვლელების რაზმი გაგზავნა იტალიის ანტიფაშისტური ჟურნალის — „მარტელოს“ ნიუ-იორკის გაყოფილებაში. კორესპონდენტ კარლ ტრესკის მკვლელობამ „ნათლიას“ ფულის გარდა ჯილდოც მოუტანა — Commendatore del re-ს ჯვარი.

ამჯერად რაინდი ჯენოვეზე იტალიის დედაქალაქში ივყოფებოდა, რათა თავიდან აეცილებინა პროკურორ დიუის არასასიამოვნო შეკითხვები საკუთარი ცოლის, ბოჩიასა და გალოს მკვლელობათა შესახებ.

„კეთილშობილი“ ბენიტო მუსოლინი მკვლელობებს ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ ტყუილ-უბრალოდაც არ სურდა ენერგიის ხარჯვა. მან ამერიკელ სტუმარს ფაშისტური პარტიის რეზიდენციის მშენებლობისათვის 250 ათასი დოლარი მოსთხოვა.

* * *

განმათავისუფლებლები ნეაპოლის გარეუბან ტორე დელ გრეკოში შევიდნენ 1943 წლის პირველ სექტემბერს. ამასობაში ხალხმა განდევნა ფაშისტები ქალაქიდან. ჯენოვეზე ამჯერად, როგორც ფაშიზმის სრული მოწინააღმდეგე, საჩქაროდ გაემგზავრა რომიდან ნეაპოლში, რათა თავისი პოლიტიკური მრწამსი საქმით დაემტკიცებინა. თავისი მისია მან დაიწყო ნოლეში, ნეაპოლის მახლობლად. აქ იგი მოეწყო თარჯიმნად ამერიკის საოკუპაციო სასამართლოში, რომელსაც ოლქი უნდა გაეწმინდა ფაშისტი კოლაბორაციონისტებისაგან.

რაც უფრო სწრაფად იძენდა ჯენოვეზე მეგობრებს სასამართლოში, მით უფრო იოლად ახერხებდა შეეეიწროებინა კონკურენტი ბანდები. დამოუკიდებელი მეწარმეები მან ფაშისტებად გამოაცხადა. ასეთმა „პატრიოტიზმმა“ ჯენოვეზეს ბევრი ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი ჩაუგდო ხელში, რომელიც აუცილებელი იყო ადგილობრივი მაფიის ამერიკანიზაციისათვის. ერთ-ერთი დოკუმენტი „ნათლიას“ საშუალებას აძლევდა თავისუფლად შეესყიდა ბენზინი და თავისუფლად ემოგზაურა. რეკომენდაციაში, რომელსაც 1943 წელს ხელი მოაწერა მაიორმა ე. ნ. ჰოლმგრენმა, ლაპარაკია ჯენოვეზეს პატიოსნებაზე, აღნიშნულია, რომ მას „თავისი მოღვაწეობისათვის არც ერთხელ არ მიუღია გასამრჯელო, მიუხედავად იმისა, რომ დღე და ღამე ქმედით დახმარებას უწევდა ამერიკის შტაბს მუშაობაში“. „ნათლია“ ჯენოვეზეს არასაკადრისად მიაჩნდა საქმის დაჭერა ისეთ ხალხთან, რომლებიც იპარავდნენ კარაქს ან ხილს. და თუ ისინი არ დაუჯერებდნენ, ჯენოვეზეს სხვა არაფერი დარჩებოდა გარდა იმისა, რომ ურჩები დაებეზღებინა. მისი ბანდის მიერ რომელიმე მაღაზიის მონახულების შემდეგ იქ ქილა ზეთიც აღარ მოიძებნებოდა. მაგრამ ამერიკელმა ოფიცრებმა იცოდნენ, რომ ბენზინისა და ზეთის ყიდვა მათ შეეძლოთ ჯენოვეზეს მეგობრებთან. საეჭვო პირებმა და ბენზინთან დაკავშირებული ოაღლითობით მოპოვებულმა გავლენამ წინდახედული განგსტერის კოლექციას შესძინეს ყველაზე ძვირფასი რეკომენდაცია, რომელსაც ხელს აწერდა მაიორი იანგი: „ყველას, ვი-

საც ეს ეხება! ვიტო ჯენოვეზე მოქმედებს, როგორ ჩემი უახლოესი თანამებრძოლი. ხაზს ვუსვამ იმ ფაქტს, რომ იგი ემსახურება შეერთებულ შტატებს".

დაახლოებით ამავე დროს, ოღონდ 1500 კილომეტრის დაშორებით, ინგლის-ამერიკის არმიებს ემუქრებოდა ბენზინის ისეთი ნაკლებობა, რომ ეიზენჰაუერი რამდენიმე დღის განმავლობაში უარს ამბობდა პარიზის განთავისუფლებაზე. 1944 წლის აგვისტოში პატონის მე-3 არმიის ტანკები საწვავის უქონლობის გამო გაჩერდნენ მდ. რაინზე.

20 წლის შემდეგ ამერიკელმა გენერალმა ბრედლიმ განაცხადა: „ჩვენ შეგვეძლო გიგანტური ნაბიჯი გადაგვედგა, მაგრამ არ გვეყო ბენზინი ორკვირიანი მარშისათვის". დაეკლდათ ის ბენზინიც, რომელიც ჯენოვეზემ და მისმა მაფიოზებმა მოიპარეს და შავ ბაზარზე გაყიდეს აქა-იქ უკანდასეულ ფაშისტურ ნაწილებზეც კი. შემდგომში, როდესაც პატონის არმიამ ამერიკიდან, სიცილიიდან და ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთის განთავისუფლებული ნაწილიდან მნიშვნელოვანი სტრატეგიული ნედლეული მიიღო, გერმანელების მაშველი ძალები უკვე ალყაში იყვნენ ზიგფრიდის ხაზს იქით და პატონმაც რაინის ფორსირება შეძლო მხოლოდ 7 თვის შემდეგ, 1945 წლის 22 მარტს.

ჯენოვეზეს საქმიანობა არ მოსწონდა უშიშროების განყოფილების გამომძიებელს მთავარი შტაბიდან. ამიტომ სერჟანტმა დიკიმ შეკვეთა გაგზავნა გამოძიების ფედერალური ბიუროს ცენტრში ვიტო ჯენოვეზეს შესახებ მონაცემებზე. იქ მონაცემები ჰქონდათ და საკმაო რაოდენობითაც.

გამოძიების ფედერალური ბიუროს დოკუმენტში, რომელსაც დაემატა ბრუკლინის სახელმწიფო წარმომადგენლის იულიუს ჰეფლანდის მონაცემები, ეწერა, რომ ჯენოვეზეს ბრალი ედება ფერდინანდ ბოჩიას მკვლელობაში და რომ არის ამის მოწმე, ვინმე პიტერ ლა ტემპა. დაპატიმრებისას დიკისა და ჯენოვეზეს შორის საინტერესო საუბარი გაიმართა:

„ბატონო სერჟანტო, ეს 250 ათასი დოლარის ჩეკი თქვენთვისაა. მას ადვილად მიიღებთ, საკმარისია დამივიწყოთ... სხვათაშორის, ამისათვის ლეიტენანტის ჩინს მიიღებდით",— შესთავაზა ჯენოვეზემ.

დიკი საწინააღმდეგო აზრს იცავდა: „მე აუცილებლად

მიმაჩნია მკვლელის გასამართლება, ვინც არ უნდა იყოს იგი, ჩვენ მივემგზავრებით ნიუ-იორკს!“

„ნუ იჩქარებთ, სერჟანტო, ამისათვის მადლობას არ გეტყვიან და მილიონის მეოთხედსაც ლაკარგავთ“, — არიგებდა ჯენოვეზე.

გამგზავრებამდე ჯენოვეზემ ნიუ-იორკში გაგზავნა საიდუმლო დეპეშა: „პოლიციასთან ერთად უკან ვბრუნდები. ლა ტემპას უბედურება უნდა შეემთხვეს!“ უბედური შემთხვევა არ მოხდა ისე სწრაფად, როგორც ამას „ნათლია“ ელოდა. გამოძიების ფედერალურმა ბიურომ წინდახედულად გადამალა მოწმე საიმედო ადგილას და თან დაარიგა: „გამოძიებას ციხეში დაელოდებით, გამოცხადდებით სასამართლოში და მაშინ ჯენოვეზეს ჩავსვამთ“.

ლა ტემპა აღტაცებით დათანხმდა: „რატომაც არა? რაც მთავარია, დიეტას დავიცავ, საღამოობით კი ფხვნილს მივიღებ. მე ხშირად მაწუხებს ნაღვლის ბუშტი“. 1945 წლის 15 იანვარს მან უკანასკნელად დალია საწამლავგარეული წამალი.

თუმცა მთავარი მოწმე ლა ტემპა მოკვდა, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო რუპოლო, რომელსაც გუბერნატორმა აპატია სასჯელის ნაწილი პოლიციისათვის გაწეული დახმარებისათვის. მაგრამ არავინ არ ფიქრობდა, რომ ის დიდხანს იცოცხლებდა. და მართლაც, მალე პოლიციამ რუპოლოს გვამი იპოვა ბრუკლინიდან სამხრეთით 20 კილომეტრის დაშორებით, პატარა ტბის ნაპირას.

ჯენოვეზეს საქმის სასამართლო განხილვა არ ჩატარდა საქმის უქონლობის გამო.

ძველი იმპერიის ტახტზე ჯენოვეზეს დახვდა ფრენკ კოსტელო, რომლის რესტორნებში გაფანტული მინიატურული სათამაშო ავტომატები იმდენ შემოსავალს იძლეოდა, რომ მან იყიდა ვისკის ჩამომსხმელი ქარხანა შოტლანდიაში და ლამაზი სახლი უოლ-სტრიტზე.

კოსტელო ამერიკელი გახდა 2 წლის ასაკში. დაიბადა იგი სიცილიაში 1889 წელს. თავისი კარიერა დაიწყო ინკასატორის თანამდებობით, ხოლო როდესაც მერმა ნიუ-იორკიდან გააგდო, ის დაეპატრონა ლუიზიანას და სათამაშო ავტომატებიდან კაზინოებზე გადაინაცვლა. პირველი მათგანი

„ბევერლი ქანთრი ქლაბი“, აღმოცენდა ნიუ-იორკში, მეორე — „პაიპინგ როკ კაზინო“, რომელსაც ის მართავდა ჯეკ ლანსკისთან და ჯო ადონისთან ერთად — სარატოგაში.

ინტელიგენტობა მას მშობლებისაგან დაჰყვა, გავლენიანი მეგობრები კი „ტამანი ჰოლში“ შეიძინა. ის „ნათლიების“ იმ რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელთა სხეულიდან ტყვიები არ ამოუღიათ. 1973 წელს, 84 წლისა იგი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, მაგრამ მაშინ, ომისშემდგომი პერიოდის პირველ წელს, ჯენოვეზეს კვერთხის დათმობაზე ლაპარაკის გაგონებაც არ სურდა.

დამნაშავეობათა იმპერიის ტახტის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მაძიებელი იყო ლუჩანო, რომელიც ჯერჯერობით ციხის კედლით გარშემორტყმულ მყუდრო ოთახში იჯდა. იჯდა და ესპანურ ანდაზას იმეორებდა: „ვინც არ დაეცემა, ვერც ადგება!“ მის ორივე ფეხზე მყარად დადგომას ცდილობდა ლუჩანოს ადვოკატი ვოლფი უკვე 1943 წელს.

სალვატორე ლუჩანოს განთავისუფლების შესახებ შუამდგომლობაში მოყვანილი იყო არცთუ სრულიად უმართებულო არგუმენტი, რომ ლუჩანოს მიუძღოდა დიდი დამსახურება ამერიკის არმიის საიდუმლო სამსახურების წინაშე, კერძოდ, სიცილიაში გადასხმისას „F“ სექციასთან ქმედითი თანამშრომლობა. არსად, რა თქმა უნდა, არ იყო ნახსენები, რომ „ბედნიერი ტყვე“ სიცილიის გაცემის საფასურად მაფიის იმპერიას იმორჩილებდა. თუმცა იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთები აქვეყნებდნენ ცნობებს მაფიის საზარელ საქმეებზე, მაგრამ მაშინ სტატიებს „ევროპის ომის“ შესახებ პირველი გვერდები ეკავათ. შესაძლოა, ამიტომაც დააკმაყოფილა ხელისუფლებამ ვოლფის შუამდგომლობა 1946 წლის 2 თებერვალს. იმ დღეს, ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა 30-დან 50 წლამდე პატიმრობის განაჩენი შეცვალა 9 წლითა და 6 თვით, რომელიც ლუჩანომ უკვე მოიხადა. პირობა იმის შესახებ, რომ „ნათლია“ განთავისუფლების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატებიდან მშობლიურ იტალიაში უნდა გამგზავრებულიყო, სიცილიის მაფიამ აღიქვა, როგორც დიდი სამსახური „ძია სემის“ მხრიდან.

ლუჩანო ჩქარობდა. თავის მოადგილეებს შეერთებულ შტატებში — სიგელს, კოსტელოსა და ლანსკის ცივი თებერვ-

ლის ბოლოს მან მისცა საბოლოო განკარგულებები, შემდეგ კი გემ „ლაურა კრინის“ ბარში ჭხიარულ ნადიმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა.

მულტიმილიონერმა ლუჩანომ ევროპაში გაბეზარებისას ხაზი გაუსვა იმას, რომ ამერიკა დაუტოვა „კარგ ბიჭებს“ და უახლოესი წლების ამოცანად მათ დაუსახა კალიფორნიაში, ნევადასა და კუბაში სრული გაბატონება.

„ნათლიის“ მგზავრობა სასიამოვნო გართობებში მიმდინარეობდა. დროდადრო ის კითხულობდა „პატარა მწყემსს“, სვამდა ვისკის, საღამოობით თავის ახალ საყვარელს ივა ლიზონის არწმუნებდა იმაში, რომ კარგად გაწმენდილი ფეხსაცმელი წარმატების საწინდარია, რადგანაც ამით დაიწყო მისი კარიერა.

ერთადერთი სირთულე შეიქმნა გენუის პორტში. ადგილობრივმა ხელისუფლებამ არ იცოდა სად გაეგზავნა საპატიო სტუმარი. რომის შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის კი ყველაფერი ნათელი იყო. დეპორტირებული ბოსი ბრუნდება მშობლიურ სიცილიაში, 14-ათასიან ლერკარა ფრიდში, პალერმოს სამხრეთით, აგრიჯენტოს მზიან სანაპიროზე.

თუმცა ლაკი ლუჩანო კარაბინერების მეთვალყურეობის ქვეშ მოგზაურობდა, მაგრამ მშვენიერ გუნებაზე იყო. მას თან ახლდნენ ორი მრჩეველი და ქერათმიანი საყვარელი.

მშობლიურ სახლთან ის დიდსულოვნად გამოემშვიდობა პოლიციელებს და თითოეულ მათგანს ჯიბეში ჩაუდო ას-ასი დოლარი „ყურადღებისათვის, რომელიც მის მიმართ გამოიჩინეს“. მაგრამ ამ პატარა ქალაქში, მერის, ჟანდარმერიის უფროსისა და მღვდლის სასიამოვნოდ, იგი დიდხანს არ გაჩერებულა. მეგობრებმა რომის ხელისუფალთა წრიდან ურჩიეს საცხოვრებლად აერჩია მისთვის სასურველი და ვაჭრობის მხრივაც უფრო ხელსაყრელი ადგილი. არჩევანი ნეაპოლზე შეჩერდა და ეს სავსებით გონიერული გადაწყვეტილება იყო. ძლიერი პორტი, რომელიც ზღვით დაკავშირებული იყო მთელ მსოფლიოსთან, ნარკოტიკებით ვაჭრობის ხელახლა აღორძინების დიდ იმედებს იძლეოდა.

ლუჩანომ დაიწყო იმით, რითაც ჯენოვეზემ დაასრულა. საკომანდო პუნქტად აირჩია სასტუმრო „ტურისტიკო“, რომლის პერსონალს მაფიოზები შეადგენდნენ, რომლებიც ამე-

რიკის არმიასთან ერთად სიცილიაში „ნათლიებმა“ გამოაგზავნეს.

უპირველეს ყოვლისა, მან გააუქმა პატარ-პატარა საროსკიპოები ბნელი დერეფნებით, სადაც ოდესღაც ჩერდებოდნენ ფრონტზე მიმავალნი. მანვე დაითხოვა იტალიელი მეგბილეთეები, რომელთაც ინგლისურად იცოდნენ მხოლოდ — „თქვენ სასიამოვნოდ გაატარეთ დრო, სერ?“ ფულის ამკრეფები კი შეცვალა ფრაკიანი ვაჟბატონებით. შემოსავალი, რომელსაც ლუჩანო იღებდა ნიუ-იორკის ლეგალური საწარმოებიდან, საკმარისი აღმოჩნდა ნარკოტიკებით მსოფლიო მნიშვნელობის საბითუმი ვაჭრობის გაჩაღებისათვის. ამასთან, ნეაპოლელი ვაჭრუკანები ამ საქმეში იმდენად უმნიშვნელო როლს ასრულებდნენ, რომ ისინი არ აინტერესებდა არც იტალიის პოლიციას და არც სახაზინო პალატას. კანონის დამცველების საზრუნავი იყო, როგორმე მიეგნოთ რომში, პალერმოში, მილანსა და გენუაში ლუჩანოსა და მისი ნიუ-იორკელი ექსპერტების მიერ ჩამოყალიბებული ახალი ბანდებისათვის. მაფიისათვისაც ადვილი როდი იყო მათი შექმნა. ამერიკის ხელისუფალთა მიერ იტალიაში გაწდევნილ „ნათლიას“, ოკეანის ორივე სანაპიროს პოლიციის გადაწყვეტილებით, უფლება არ ჰქონდა დაეტოვებინა ლერკარა ფრიდი. მაგრამ ამის მიუხედავად, 1947 წლის თებერვალში კუბის გაზეთი „ტიემპო დე კუბა“ იუწყებოდა, ბატონი ჩარლზ ლუჩანო ჰავანაში იმყოფებაო. „მეგობრული შეხვედრის“ პატივსაცემ სტუმართა შორის იყო კაპონეს ძმა რალფი და რამდენიმე კაცი ბოლივიიდან, რომელთა შესახებ კუბის დიქტატურის აგენტებმა არაფერი იცოდნენ.

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ ცნობაზე ოპერატიულად ამოქმედდა. ლუჩანო, ჯერ კიდევ Capo di tutti capi, იძულებული იყო დაეტოვებინა კუნძული თურქული გემით. თათბირის ასეთმა დასასრულმა ვერ იმოქმედა მის დიდ მნიშვნელობაზე. თავისი მნიშვნელობით ეს შეხვედრა უტოლდებოდა მაფიოზების შეკრებას ატლანტიკ სიტიში 1929 წელს. მისი მთავარი საკითხები იყო: ნარკოტიკებით ვაჭრობის რეორგანიზაცია, ევროპიდან გაქცეულ იტალიელ და გერმანელ ფაშისტებ-

თან თანამშრომლობა, აგრეთვე „აჯანყებული ნათლიის“ ბენჯამენ სიგელის საქმე.

ბრძანება იმის შესახებ, რომ „ნათლია“ სიგელი ძირფესვიანად ამოეგდოთ“ იყო ლუჩანოს ძალადობის უკანასკნელი აქტი ამერიკის კონტინენტზე.

ლუჩანოს სიკვდილის მიზეზები უცნობია. მათ განსაზღვრაში ისტორიკოსებისა და პოლიციელების აზრი არ ემთხვევა ერთმანეთს. ეჭვგარეშეა მხოლოდ, რომ 1962 წლის 26 იანვარს ის სვამდა ვისკის „ნათლია“ ადონისთან ერთად ნეაპოლის აეროპორტში. ადონისმა „შეუზავა“ სასმელი „ნათლიას“ თუ ჯენოვეზეს მიგზავნილმა მკვლელმა, სამუდამოდ საიდუმლო დარჩა.

სამგლოვიარო ეტლს, რომელიც მიემართებოდა წმინდა ჯონის ინგლისური სასაფლაოსაკენ ნეაპოლის გარეუბანში, ეწეოდა რვა თეთრი ცხენი. ხუთი თვის შემდეგ კი „კოზა ნოსტრამ“ ლუჩანოს „წმინდა ნარჩენები“ სპეციალური თვითმფრინავით ნიუ-იორკში გადაიტანა. შორსმჭვრეტელმა შეფმა 1935 წლის პირველ დღეებში აიშენა მავზოლეუმი ბერძნულ სტილში ქვინზის წმინდა ჯონის სასაფლაოს შესასვლელის ახლოს. დიდებული დაკრძალვით დასრულდა ლუჩანოსა და ჯენოვეზეს, წარსულში ოდესღაც ერთგული თანამებრძოლების მტრობა, რომელიც დაიწყო მაშინ, როცა ამერიკის დროშის წინაშე დამსახურებისათვის ციხიდან განთავისუფლებულმა ყოვლისშემძლე „პადრინომ“ „კოზა ნოსტრას“ პირველ მოადგილედ დაამტკიცა ფრენკ კოსტელო და გვერდი აუარა ვიტო ჯენოვეზეს.

დღეს, წმინდა ჯონის სასაფლაოზე, ბორიტმოქმედების ეს ორივე გენიოსი, ისე ახლოს არიან ერთმანეთთან, როგორც არასდროს. ჯენოვეზე განისვენებს ლუჩანოს გვერდით, სიკვდილის თეთრი ანგელოზით დამშვენებულ აკლდამაში.

16. არავის არაფერი გაუგია, არავინ არაფერი იცის

ორგანიზებული დანაშაულობის საქმეთა გამოძიებისათვის სენატორთა სპეციალური კომისიის დაფუძნებამ ჯენოვეზეს ჩაუშალა capo di tutti capi-ის ტიტულის მიპოვების პატივმოყვარული გეგმები. 1950 წლის მაისში გამოძიების კომიტეტის თავმჯდომარე გახდა ესტეს კეფოვერი. დაპირებას, რომ ამერიკას დანაშაულობისაგან გაწმენდდა, იგი თეორ სასლში უნდა შეეყვანა. მაგრამ მან ვერ შეძლო დაპირების შესრულება, მიუხედავად იმისა, რომ ასობით მაფიოზისა და ათას ხუთასი მოწმის ჩვენებების განხილვაში მას ეხმარებოდა ექსპერტთა ჯგუფი და კომიტეტის მთავარი მრჩეველი და იურისკონსულტი რუდოლფ ჰალი.

კეფოვერის შტაბი ვადადიოდა ქალაქიდან ქალაქში. ზოგჯერ ლაკითხვა წარმოებდა დახურული კარების უკან, ზოგჯერ კი საჯაროდ სატელევიზიო კამერების წინ. ამ გადაცემებს 20 მილიონამდე ამერიკელი უყურებდა.

მთავარი მრჩეველი ცდილობდა შეეკრიბა დამაჯერებელი მასალა, გამოეძახა მაფიოზები და მოწმეები, მაგრამ სენატორთა კომისიას ძალზე ხშირად ესმოდა: „უარს ვაცხადებ პასუხის გაცემაზე. ვეყრდნობი ამერიკის კონსტიტუციის მე-5 დამატებითი მუხლის დებულებას იმის შესახებ, რომ ეჭვიანს ვერ აიძულებთ სისხლის სამართლის საქმეში ჩვენება მისცეს თავისი თავის წინააღმდეგ".

მაფიოზების დუმილი იმდენად დამთრგუნავი იყო, რომ კეფოვერმა შეცვალა თავისი პოლიტიკური გეგმები და აღარ ფიქრობდა თავისი კანდიდატურის წამოყენებას შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე.

სიძნელეების მიუხედავად, კომისიამ მაინც შეაგროვა ძვირფასი მასალა, რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ისტორიკოსებისა და პუბლიცისტებისათვის ინფორმაციის წყაროდ დარჩა. ბრალდებულებიც თავდაპირველად შეეცადნენ არაფერი ეთქვათ „კოზა ნოსტრას" შესახებ. კომისიის მძიმე მდგომარეობაზე მეტყველებს ამონაწერი კანზას-სიტიში მაფიოზი ტონი ჯიზოს დაკითხვის ოქმიდან:

ალფონს კაპონე

ფრენკ იალა

„ნათლია“ ტორიო

ჯეიკ გუზიკი, მეტსახელად „თითილოკია“

ქალი, რომელსაც საროსკიპოდან გაქცევისათვის
გაუსწორდა მაფია

ნათესავი ჯონ ტერრიო (შუაში) თავისი შტაბის
წევრებთან ერთად



სალვატორე ლუჩანო

შულცი დაჟინებით მოითხოვდა, რომ პროკურორი თომას დიუი მოეკლათ. „ნათლიები" სხვაგვარად ფიქრობდნენ და თვით შულცი გამოასალმეს სიცოცხლეს

ჩიკაგოს მერი უილიამ ე. დევერი

მოუსყიდველი პოლიციელი
ელიოტ ნესი

„ნათლია“ ჯო მასერია

„ნათლია“ ვიტო ჯენოვეზე

პოლიციელს ადონისი შეპყავს სასამართლო დარბაზში

1962 წლის იანვარში ნეაპოლის აეროპორტ „კაპოდიჩინოში“ ლუჩანომ დალია ვისკი, რომელიც, როგორც ფიქრობენ, მოწამლული იყო „ნათლია“ ადონისის მიერ

ჭეკ დრაგნა

ნიუ-ჯერსელი „ნათლია“ ცვილმანი

„ნათლია“ თომას ლუჩეზე

ალბერტ ანასტაზია

ალბერტ ანასტაზიას ძმა ტონი

ბილ ბონანო

ჯოზეფ ბარბარა

ლეგენდარული „ნათლია" გამბინო გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა დააპატიმრეს 1973 წელს

ფრენკ სინატრა და ჟაკლინ კენედი თეატრ ვესტჩესტერში პრემიერის შემდეგ

გამოძიების ფედერალური ბიუროს შეფი ჯონ ედგარ ჰუვერი რიჩარდ ნიქსონთან ერთად

კომისიამ სენატორ ჩერჩის ხელმძღვანელობით დაამტკიცა, რომ „ნათლია“ ჯანკანა ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლო სამსახურთან აქტიურად თანამშრომლობდა



ვალაჩი გამოძიების კომისიას უჩვენებს ჭრილობებს. რომლებიც მას „მეგობარმა“ მაფიოზებმა მიაყენეს

მაიკლ ჯენოვეზე

პოლიცია მოწმეებს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა

ნიუ-იორკელი კარდიოლოგი თომას სინატრა კარლო გამბინოს ქალიშვილზე დაქორწინდა

სემ ჯანკანა დაპატიმრებისას

„ნათლია“ ნავარას სიკვდილი

ჯუდით კემპბელი

„კეფოვერი: ბატონო ჯიმი, თქვენ სურთ „კოზა ნოსტრას“, ან თუ გნებავთ მაფიის წევრი?

ჯიმი: რა არის ეს და ვის ემსახურება იგი?

კეფოვერი: თქვენ არ იცით, რა არის მაფია?

ჯიმი: მსგავსი რამ არასოდეს გამიგონია.

კეფოვერი: ბატონ ჯიმ ბეილსტრერს მაინც თუ იცნობთ?

ჯიმი: დიახ, ბატონო სენატორი.

კეფოვერი: მთელმა თქვენმა მხარემ იცის, რომ ბეილსტრერი არის „კოზა ნოსტრას“ ერთ-ერთი „ნათლიმამა“. გაგიგონიათ ამის შესახებ?

ჯიმი: ამის შემდეგ ალბათ მარტო თქვენ გაგიგონიათ, სერ.

კეფოვერი: თქვენ რაღა გაგიგონიათ?

ჯიმი: ის რაც თქვენ ახლა აქ თქვით, სხვა არაფერი“.

მსგავსი სიტუაცია იყო კომიტეტის სხდომაზე ნიუ-ჯერსიშიც, როდესაც გამოიძახეს ლაკი ლუჩანოს მეუობარი, 57 წლის ვილი მორეტი. დაკითხვას აწარმოებდა კომიტეტის მთავარი იურისკონსულტი.

„ჰალი: ბატონო მორეტი, ცნობილია თუ არა თქვენთვის რაიმე მაფიის, ანუ „კოზა ნოსტრას“ შესახებ?

მორეტი: რა? (ოფიციალურმა სტენოგრაფისტმა „რას“ შემდეგ სამი კითხვის ნიშანი დასვა).

ჰალი: მე გეკითხებით, რა არის მაფია, ან „კოზა ნოსტრა“ და ვამბობ ამას საკმაოდ გასაგებად.

მორეტი: ძალიან ვწუხვარ, სერ, მაგრამ წარმოდგენა არა მაქვს რაზე ლაპარაკობთ. ყველი ხომ არ გაქვთ მხედველობაში?

ჰალი: არასოდეს გაგიგონიათ ეს სიტყვები?

მორეტი: არა სერ, არასოდეს“.

დაკითხვის დასკვნით ნაწილში მორეტიმ ვეღარ გაუძლო და კითხვაზე როგორ გაიცნო კოსტელო და ლუჩანო უპასუხა: „ისინი დიდად პატივსაცემი მოქალაქეები არიან და რეკომენდაციით ისინი შეიძლება გაიცნოს თითოეულმა, ვინც ამის ღირსია“.

მორეტი შეპირდა კომიტეტს, რომ მეორე დღეს დაწერილებით ჩვენებებს მისცემდა. „კოზა ნოსტრას“ „ნათლიები“

ალელდნენ და დილით მოწმის ნაცვლად კომიტეტის თავმჯდომარესთან პოლიციელი გამოცხადდა ახალი ამბით: „გამოძახებული გარდაიცვალა კლიფსაიდ პარკში, ჯოს რესტორანში. ოფიციანტმა ქალმა გვითხრა, რომ გაიგონა ორი გასროლის სმა, მაგრამ არავინ დაუნახავს“.

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გაიხსენებს ჯოზეფ ვალანი, რომ მორეტი „პროფილაქტიკური“ მოსაზრებით მოკლა ჯოს რობილოტომ, თან განმარტა: „ნათლიებს ეშინოდათ, რომ მას შემთხვევით არ გაეცა პროკურორი უილიამ ო' დუაიერი“.

„ჯოზა ნოსტრას“ შესახებ არ გაეგონა არც „ნათლია“ ჯეკ დრაგნას, რომელიც ლოს-ანჟელოსში დაკითხეს.

„ჰალი: ბატონო დრაგნა, თქვენ არაფერი არ გაგიგიათ სიცილიის მაფიის შესახებ?

დრაგნა: მე რა, სიცილიაში დავიბადე?

ჰალი: ვფიქრობ, კი. ამის შესახებ წერია თქვენს დაბადების მოწმობაში.

დრაგნა: აჰ, სწორია, მახსენდება.

ჰალი: მოხარული ვარ, სხვაგვარად ჩვენ იძულებული ვიქნებოდით გაგვეძევებინეთ ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

დრაგნა: დიახ, ბავშვი ვიყავი კუნძულზე როცა ვცხოვრობდი და მაფიის შესახებ არასოდეს არაფერი გამიგონია. დამიჯერეთ!“

კომიტეტის წევრებმა შედარებით ნათელი პასუხი კალიფორნიაში მიიღეს კაპონეს პირადი დაცვის უკანასკნელი „ლეიტენანტისაგან“ ფილ დ' ანდრესგან. მან გაიხსენა, რომ ბავშვობაში რაღაც გაუგონია „ჯოზა ნოსტრას“ შესახებ, ხოლო „უნიონე სიცილიანო“, ეს მაინც ეჭვგარეშეა, მხოლოდ და მხოლოდ „კოოპერატიულ სადაზღვევო ასოციაციას“ წარმოადგენდა.

„ჰალი: განა შესაძლებელია, რომ თქვენი ასაკის ადამიანს, სიცილიაში დაბადებულს, გაეგონა მაფიის შესახებ მხოლოდ „რაღაც“ და ისიც ბავშვობაში?

დ' ანდრე: თუ საქმე ეხება ადამიანს, რომელიც სიცილიაში დაიბადა, მაშინ მას მაფიაზე შესაძლოა რაიმე ჰქონდეს გაგონილი. ჩვენს მამა-პაპას მისი ეშინოდათ, იცოდნენ, რომ ურჩობისათვის სახლს დაუწვავდნენ. მაგრამ ეს მხოლოდ შორეული მოგონებაა.

ჰალი: იქნებ გაიხსენოთ რომელიმე სახელი, რომელიც დაკავშირებულია დღევანდელ მაფიასთან სიცილიაში ან „კოზა ნოსტრასთან“ ამერიკაში.

დ' ანდრე: ასეთი სახელი არ მაგონდება, მაგრამ მახსოვს მაფიის ერთი კარგი დარიგება, რომ „ყველაფერს სჯობს ენას კბილი დააჭირო!“.

ჩიკაგო კეფოვერის კომიტეტმა სამჯერ მოინახულა. ამ ქალაქში საბოლოო დაპირისპირებას უნდა დასწრებოდა პოლიციის ლეიტენანტი უილიამ დრარი. მაგრამ მან 1400-გვერდიან ოქმს ვერაფერი დაუმატა და კეფოვერმა ზედმეტად ჩათვალა დრარის სანახავად ქალაქის მორგში მისვლა. კომიტეტმა მოწმე დაკარგა, მაგრამ მაინც წამოაყენა ბრალდება კაპიტან თომას ჰარისონის წინააღმდეგ კანონის 84-ჯერ დარღვევაში და მკვლელობის გამოძიების შეჩერებაში იმ პერიოდში, როდესაც ჩიკაგოს კრიმინალური ბიუროს უფროსის პოსტი ეკავა. დაკითხვისას ჰარისონი მტკიცედ უარყოფდა მაფიასთან კავშირს.

„კეფოვერი: რაკი თქვენ ამტკიცებთ, რომ არასოდეს დახმარებიხართ „კოზა ნოსტრას“, იქნებ პოლიციელების ხელფასზე გვითხრათ რაიმე. ისინი ხომ აშკარად თავისი სახსრებით არ ცხოვრობენ?

ჰარისონი: მე ხელქვეითთა პირად ცხოვრებაში არ ვერევი.

კეფოვერი: კარგით. როგორია თქვენი ხელფასი?

ჰარისონი: ხუთი ათას ორასი დოლარი წელიწადში!

კეფოვერი: უკანასკნელი სამი წლის მანძილზე თქვენ იყიდეთ სახლი 18 ათას დოლარად, აქციებში კი მიეცით 57 ათასი დოლარი. როგორ მოახერხეთ?

ჰარისონი: გამიმართლა, ბატონო სენატორო, დოღზე ჩემმა ცხენმა გაიმარჯვა და მოვიგე 30 ათასი“.

მეორე ოფიცერს, მკვლელობათა გამოძიების განყოფილების უფროსს, კაპიტან დენიელ გილბერტს პრესამ „მსოფლიოში ყველაზე მდიდარი პოლიციელი“ უწოდა. კომიტეტმა განმარტება მოსთხოვა საოლქო პროკურორს, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა გილბერტის საქმიანობისათვის.

საოლქო პროკურორმა ჯონ ბოილმა მისწერა კეფოვერს: „კაპიტანი დენიელ გილბერტი არის ყველაზე საქმიანი და

ხაზრიანი პოლიციის ოფიცერი მათ შორის, ვისაც ოდესმე ვიცნობდი. ვადასტურებ, რომ ამ კანონის ერთგულმა კაცმა უკანასკნელ წელიწადში იშოვა სამას სამოცი ათასი დოლარი. 1931 წელს ერთმა პოლიტიკოსმა ურჩია ბატონ გილბერტს ეყიდა აქციები 18 დოლარად, ხოლო როდესაც მათმა ფასმა მოიმატა, გილბერტმა ისინი 45 დოლარად გაყიდა". და მაინც შემდეგი წლის აგვისტოში კომიტეტმა კაპიტანი დაკითხვაზე გამოიძახა.

კეფოვერი: „ჩვენ გვაინტერესებს, ბატონო კაპიტანი, რა-გორ მოახერხეთ ამა წლის პირველ ექვს თვეში გეყიდა იახტა და ამავე დროს, გადაგედოთ 98 ათასი დოლარი?"

გილბერტი: „ამას, ბატონო სენატორო, მე უნდა ვუმადლოდე მხოლოდ ჩემს ცხვირს, რომელიც მომგებიანი საქმის სუნს იკრავს ხოლმე".

კომიტეტი იძულებული იყო დაკმაყოფილებულიყო ასეთი პასუხით და დაიწყო შეგროვება ოქმებისა, რომლებიც ეხებოდა ტონი აკარდოს „ოჯახს". „წათლია" აკარდომ და მისმა „ლეიტენანტებმა" სახელი გაითქვეს ჰოლივუდის კინოსტუდიების გამოძალვით. არც ერთ მათგანს აზრად არ მოსვლია თავი შეეწუხებინა და გამოძიების კომიტეტში მისულიყო. კომიტეტს მათი წარმომადგენელი ადვოკატი იუჯინ ბერნშტეინი ეახლა. გაცოფებულმა სენატორმა კეფოვერმა დაკითხვა შემდეგი კითხვით დაიწყო:

„ადვოკატო ბერნშტეინ, თქვენ გამოუსწორებელი განგსტერის ტონი აკარდოს ინტერესებს სრულიად ნებაყოფლობით იცავთ?"

ბერნშტეინი: „მე არ ვიცოდი, ბატონო სენატორო, რომ ბატონი აკარდო ბოროტმოქმედია. არ ვიცი ეს არც ახლა და მომავალშიც არ მეცოდინება. ბატონი აკარდო ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეა და ამდენად, მოვითხოვ თქვენგან, მასზე ასე არ ილაპარაკოთ".

კომიტეტმა გადაწყვიტა ტონი აკარდოსა და მისი „ლეიტენანტისათვის" საგადასახადო კანტორის საერთო ვალის — 141 631 დოლარის გადაუხდელობისათვის მაინც წარედგინა საჩივარი.

ბერნშტეინი: „მე არ გამაჩნია ასეთი თანხა. ჩემი კლიენტები კი ჩიკაგოს ძალზე ღარიბი მოქალაქეები არიან".

კეფოვერი: „თუ ვალს არ გადაიხდით ორი დღის ვადაში, ციხე გემუქრებათ“.

მეორე დილით ადვოკატმა კომიტეტს წარუდგინა 141 631 დოლარისა და წინა წლის დარჩენილი ვალის — 370 583 დოლარის გადახდილი ქვითარი.

კეფოვერი: „ბატონო ბერნშტეინ, სად შეეძლოთ ძალიან ღარიბ მოქალაქეებს ეშოვათ 24 საათის განმავლობაში ნახევარ მილიონ დოლარზე მეტი?“

ბერნშტეინი: „ბატონო სენატორო, მთელი ღამის განმავლობაში ჩემთან მოდიოდნენ უცნობი ადამიანები და მოჰქონდათ ფული. როდესაც თანხამ შეადგინა ის რაოდენობა, რომელსაც თქვენ მოითხოვდით, მათ შეწყვიტეს მოსვლა“.

კეფოვერი: „ეს რამდენადმე ფანტასტიკურად ჟღერს. მე არ შემიძლია ამის დაჯერება. ვინ გაიღებდა ასეთ თანხას განგსტერების ვალის დასაფარავად?“

ბერნშტეინი: „მეც მსურს ვიცოდე, მაგრამ ასე კი მოხდა“.

თუმცა აკარდომ და გუზიკმა თავი გადაირჩინეს კონსტიტუციის მეხუთე მუხლით დასჯისაგან, მაგრამ ადვოკატ ბერნშტეინის საშუალებით კეფოვერის კომიტეტმა მაინც საკმაო მასალა მიიღო „კოზა ნოსტრას“ ფინანსური მაქინაციების შესახებ.

გამომძიებლის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ჩიკაგოს ცენტრალურმა ბანკმა. 1947 წელს, სიკვდილამდე მას მართავდა იულიუს ბენვენუტი. მისი დაკრძალვის შემდეგ „კოზა ნოსტრას“ წარმომადგენლებმა ბენვენუტის ვაჟიშვილს შესთავაზეს ბანკის „დაცვა“. მემკვიდრეებმა ამაზე უარი თქვეს. რამდენიმე საათის შემდეგ ბანკის ჰოლში აფეთქდა ბომბი და ბანკირები თვითონ მივიდნენ ბატონ აკარდოსთან. „ნათლიამ“ მათ დაუნიშნა წლიური გადასახადი „დაცვისათვის“ — 270 ათასი დოლარი.

კომიტეტმა გადაწყვიტა მოესმინა ტეხასელი პატიმარის, ჰოლ ჯონსისთვისაც, რომელიც დათანხმდა ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე პატიმრობის ვადის შემცირების იმედით.

კეფოვერი: „ბატონო ჯონს, თქვენ დაგვპირდით, რომ მოგვცემთ სწორ ჩვენებებს“.

ჯონსი: „დიახ. როგორც უკვე ეუთხარი ბატონ ბატლერს,

ჩვენი „ოჯახი“ მოქმედებდა აღმოსავლეთი სანაპიროდან და-სავლეთ სანაპირომდე მთელს ტერიტორიაზე და ესპანეთშიც“.

კეფოვერი: „შეგიძლიათ დაგვისახელოთ ზოგიერთი ამერიკული ქალაქი, სადაც თქვენ ბანკებს „იცავდით“?“

ჯონსი: „ჩიკაგო, სენტ-ლუისი, კანზას-სიტი, ახალი ორლეანი და ლითლ როკი“.

კეფოვერი: „მაგრამ ვინ იყო, ან ვინ არის პასუხისმგებელი ბანკებისაგან ფულის აკრეფაზე?“

ჯონსი: „კოზა ნოსტრას“ მთავარი მოლარე ჯეიკ გუზიკ. ჩვენ მას „თითილოკიას“ ვეძახით“.

პოლ ჯონსმა, რომელსაც სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი ნარკოტიკებით ვაჭრობისათვის, აღიარა, რომ დალასსა და ჩიკაგოში მაფიოზებს მალავდა ორი პოლიციელი ოფიცერი, წელიწადში 150 ათას დოლარად.

საჯარო დაკითხვის დროს, კანზას-სიტის სასამართლოს დარბაზში სიცილიც კი მოისმა, მაგალითად მაშინ, როდესაც ირჩეოდა მაფიოზების რესტორანისა და სათამაშო სახლის — „ლასტ ჩენს ტავერნის“ საკითხი. სახლს საუცხოო, მდიდრული ადგილი ეკავა კანზასისა და მისურის შტატებს შორის საზღვარზე ისე, რომ სასაზღვრო ხაზი სწორედ რესტორნის ცენტრში გადიოდა. მისურის შტატის პოლიციის გამოჩენისას მოთამაშეები გადადიოდნენ დარბაზის კანზასის მხარეს, სადაც სხვა კანონები მოქმედებდა. ზოგჯერ ისინი თამაშს არც კი წყვეტდნენ, რადგან გუშაგები მათ დროზე აფრთხილებდნენ. კანზასელი პოლიციელების „სტუმრობისას“ მოქმედება ბირიქით თამაშდებოდა. ორივე შტატის კანონიერების დამცველებმა კი ვერ შეძლეს მოქმედებები იმგვარად წარემართათ, რომ თუნდაც ერთხელ, ერთობლივად დასხმოდნენ თავს მაფიოზებს.

სამრეწველო ქალაქ სენტ-ლუისში კომიტეტმა გამოარკვია, რომ გამოძახებული პოლიციელი ოფიცრები ველარაფერს დაუმატებდნენ 64 გაუხსნელ მკვლელობას. აზარტული თამაშების მეფე ჯეიმს ჯოზეფ კეროლი მაინც დაჟინებით მოითხოვდა, რომ სენატორ კეფოვერს ტელევიზიის საშუალებით წარედგინა იგი ამერიკელი ხალხისათვის. სამაგიეროდ მაყურებლებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ ილინოისის შტატის ბულასკის რაიონის საოლქო პროკურორის დაკით-

ხვას, პროკურორისა, რომელიც ხელმძღვანელობამ გადააყენა თანამდებობიდან კეფოვერის კომიტეტის მოთხოვნით.

ჰოლი: „შეგიძლიათ თუ არა თქვენ, ბატონო კონელი, გვიამბოთ ქალაქის საბჭოში გადაწყვეტილებათა მიღების სისტემის შესახებ?“

კონელი: „არ ვიცი, რა სიდიდის ქრთაში ჭრიდა თამაშმ, მაგრამ ქალაქის საბჭო და სამშენებლო დაწესებულებები საკითხებს წყვეტდნენ მხოლოდ „კოზა ნოსტრას“ მითითებების საფუძველზე. რაც შეეხება ეკლესიას, ომისშემდგომ პირველ წელს ღვთისმოსავმა ადამიანებმა ბაპტისტური ეკლესიიდან კაიროში ეკლესიის აგება გადაწყვიტეს. მათ ჰქონდათ პროექტიცა და ნებართვაც მშენებლობისათვის, მაგრამ ქალაქის საბჭომ ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ გადაწყვიტა, რომ ოქ შენობის აგების უფრო მეტი უფლება „ქალიშვილებს“ ქონდათ. მორწმუნეები იძულებული გახდნენ ქალაქგარეთ გადასულიყვნენ“.

ჰოლი: „შეგიძლიათ დააზუსტოთ სიტყვა „ქალიშვილები“?

კონელი: „დიახ. ლაპარაკია წარმატებით მოვაჭრე საროსკიპოების წარმომადგენლებზე, მაგრამ მე არ ვიცი და არც მსურს ვიცოდე ამ დაწესებულებების მფლობელის სახელი“.

კეფოვერის კომიტეტმა ბევრი მოწმე დაკითხა, მოისმინა მრავალი განცხადერის თავგადასავალი, ახალი ორლეანელი მოხელეების ჩვენებები. ოქმებმა ორი ოთახი აავსეს. დაკითხვის შედეგად დადასტურდა, რომ მუსიკის ქალაქს დაეპატრონენ „ნათლიები“ ფრენკ კოსტელო, ძმები მაიერ და ჯეკ ლანსკები, ჯო ადონისი და „კოზა ნოსტრას“ ადგილობრივი ბოსი კარლოს მარჩელო. სასამართლოში არც ერთი მათგანი არ გამოცხადებულა. მოწმეებს შიშისაგან მეხსიერება ღალატობდათ, ქალაქის ორმოც კაზინოსა და საროსკიპოზე კონცესიები კი „ნათლიების“ ხელში იყო.

კომიტეტის წევრებმა ქალაქების პოლიციის ორგანოების ზღაპრები „აღტაცებით“ მოისმინეს. შერიფმა კლანსმა, „მეფედ“ წოდებულმა, დაადასტურა ბოროტმოქმედთა 5 ათასი არალეგალური „სათამაშო ბუნაგის“ არსებობა ახალ ორლეანში და ეს მან საკმაოდ ორიგინალურადაც გაამართლა „ამით მე მუშაობის საშუალება მივეცი არაპრივილეგირებულ ხალხს“.

V სენტ-ბერნარელი შერიფი როული უფრო ეულად ჩანდა. „კოზა ნოსტრას“ საქმეებში ცხვირი არასოდეს ჩამიყვიან!“ მეორე ახალი ორლეანელი შერიფი ჯონ გროში პირიქით ამბობდა: „მაფიასთან კავშირი გავწყვიტე მაშინ, როდესაც მივიღე საუცხოო კადილაკი“. კომიტეტის წინაშე გროში კი სდუმდა, მაგრამ მისმა ზეუღლემ ვერ აუღო ალღო სიტუაციას და წამოსცდა: „დიახ, ჩვენ ყოველი ბენთხვევისათვის მუდამ გვაქვს კარადაში 160 ათასი დოლარი. ბევრი ფული არც გვეხარჯება, რადგან მაღაზიაში არასოდეს ვყიდულობთ. ყოველ შაბათს, დილით ჩამოიყვლის ხოლმე პროდუქტების დამტარებელი მანქანა და მძღოლი გვიტოვებს ყველაფერს საჭიროს მომავალი კვირისათვის.

— კი მაგრამ, ვის მოაქვს თქვენთვის ეს პროდუქტები და საერთოდ არ იხდით მის საფასურს?

— ეს მე არ მაინტერესებს. მთავარი ისაა, რომ საქონელი უმაღლესი ხარისხისაა“.

მხოლოდ შერიფის მოადგილე მაიკ როგენომ, 1946 წელს ახალ თანამდებობაზე არჩევის შემდეგ, გადაწვიტა გაეწმინდა ქალაქი „კოზა ნოსტრასაგან“: „თანამდებობაზე ჩემი არჩევის დროს სათამაშო სახლები ყველა ქუჩაზე იყო. ქენელ სტრიტსა და სიტი ჰოლს შორის ადგილი, ალბათ მსოფლიოში ყველაზე დიდი საროსკიპოთი, კაზინოს ეკუთვნოდა. ყოველ კუთხეში შეიძლებოდა ნებისმიერი რაოდენობით ნარკოტიკების ყიდვა. მაგრამ არ მქონდა არც ფაქტები და არც საჭირო მოწმეების ჩვენებები იმისათვის, რომ მაფიოზები ციხეში ჩამესვა“.

მხოლოდ ერთადერთმა მოწმემ სემუელ რამელმა გაბედა მაფიაზე საჯაროდ ლაპარაკი. მეორე დღეს მისი სკამი ცარიელი იყო. კეფოვერმა შეიტყო, რომ პირველი დაკითხვის შემდეგ, სალამოს რამელს შეხვედრა ჰქონდა ორ „ოცნობ ახალგაზრდასთან“.

საჯარო დაკითხვებისას ტელევიზიის ნამდვილ ვარსკვლავად იქცა არტურ სემიში. ეს მაღალი, ხშირთმიანი მამაკაცი ყველაზე ეშმაკური შეკითხვებითაც კი ვერ დააბნიეს. შეკითხვებზე, რომლებზეც მას ზუსტი პასუხის გაცემა არ სურდა (ასეთები კი მრავლად იყო), ის პასუხობდა დაუსრულებელი ლაპარაკით.

მონოლოგის დასასრულს აღმოჩნდებოდა, რომ კომიტეტის წევრებმა იცოდნენ იგივე, რაც მანამდე. ან კიდევ თავისი წინამორბედების მაგალითისამებრ, სემიში იმიზეზებდა მეხსიერების ღალატს. თავის „ოჯახთან“ ერთად მან შანტაჟის მთავარ ობიექტად აირჩია ლუდის კალიფორნიის სახელმწიფო ინსტიტუტი, რომლის ოფიციალურ დავალებას წარმოადგენდა „ლუდის დამდუღებელთა განათლების დონის ამაღლება“. სემიში კანონის დამცველთა მოქრთამვით „იცავდა“ ლუდის მწარმოებელთა ინტერესებს. ჰონორარის სახით იგი იღებდა ხუთ ცენტს ლუდის ყოველი ბარელიდან. გამოძიების დროს ბანკში მის ანგარიშზე აღმოჩნდა მილიონი, რომელიც თითქმის კაპიკებისაგან შეაგროვა.

კეფოვერი: „დაუბრუნდეთ კვლავ თქვენს საკითხს. გვითხარით, რა უყავით დანარჩენი ფული და სად გაქვთ კაპიტალდაბანდებები?“

სემიში: „ვწუხვარ, ბატონო სენატორო, რომ ვერ ვიგონებ, მეხსიერების საქმე ძალზე ცუდად მაქვს“.

კეფოვერი: „მაშასადამე, თქვენ ანგარიშების ასლებიც არა გაქვთ?“

სემიში: „არა, ჩემ ფინანსებზე მდივანი ქალები ზრუნავდნენ“.

კომიტეტმა უწყებები დაუგზავნა მდივან ქალებს. ერთი მათგანი იმავე დღეს შვებულებით ევროპაში გაემგზავრა და მისამართის დატოვებაც დაავიწყდა, მეორე არიზონაში გამგზავრებულიყო. კომიტეტმა დახმარებისათვის მიმართა არიზონის შტატის ხელისუფალთ, მაგრამ გუბერნატორის სამდივნომ აცნობა კეფოვერს, რომ ქალი, რომელსაც ეძებენ, არასოდეს არ გამოჩენილა მათ შტატში. დაკითხვა გაგრძელდა ერთი კვირის შემდეგ.

კეფოვერი: „ყველაფერი ეს აბსურდია! არ არსებობს ანგარიშები, მდივანი ქალები კი არავის აცნობებენ, სად და რამდენი ხნით მიემგზავრებიან?“

სემიში: „არა, ამ მხრივ ჩვენთან დიდი თავისუფლებაა“.

კეფოვერი: „ბატონო სემიშ, მე თქვენ გაფრთხილებთ, რომ საგადასახადო კანტორა ითხოვს ანგარიშებს, რათა ბეგარა დაგინიშნოთ. ლაპარაკია მილიონებზე, სხვაგვარად თქვენ პასუხისგებაში იქნებით მიცემული“.

სემიში: „ბატონო სენატორო, მაშინ პირდაპირ გეტყვით, ხურდა ფული არ მაინტერესებს და არასოდეს არ ვფიქრობდი, რომ ვინმე კაპიკიანების დაბეგვრას დაიწყებდა“.

კალიფორნიაში ჩატარებულმა დაკითხვებმა კომიტეტსა და საზოგადოებას საშუალება მისცა ჩაეხედა „კოზა ნოსტრას“ საიდუმლო სამყაროში, რომელიც არასოდეს განიცდიდ› თანაშემწეთა მოზღვავების ნაკლებობას. ისინი მოდიოდნენ ქურდების სამყაროდან, ღარიბთა კვარტალებიდან, სადაც შიმშილისაგან თავის დაღწევისა და გამდიდრების სურვილი საღ აზროვნებაზე მეტად ძლიერია. მაფიის ყველაზე უკანასკნელი ინკასატორიც კი კვირაში შოულობდა სამასიდან ექვსას დოლარამდე, ხოლო თუ ვინმე თავგანწირვით „მუშაობს“ „კოზა ნოსტრას“ დიდებისათვის, მაშინ ერთ მშვენიერ დღეს ის ჩინ-მედლებსაც მიიღებს. და ყაჩაღი, რომელიც ოდესღაც ძონძებში იყო გახვეული, უცებ საუცხოო კოსტუმში გამოეწყობა და მანქანით იელის.

„ლეიტენანტები“ ხომ საერთოდ „არ მუშაობენ“, კვირაში ერთხელ გამოიძახებენ ხოლმე ათისთავებს, მოისმენენ ანგარიშებს ვაჭრობის მიმდინარეობისა და მოგებების შესახებ და გასცემენ ახალ განკარგულებებს. ქუჩაში ისინი ვიოლინოს ბუდეში მოთავსებული ავტომატებით კი არ გამოდიან, როგორც ეს 30-იან წლებში იყო, არამედ როგორც კომერსანტები, ადვოკატისა და ბუხჰალტერის თანხლებით.

ყველაზე მეტად შემოსავლიან საქმეს ნარკოტიკების გაყიდვა და აზარტული თამაშები წარმოადგენენ. რესტორანის სათავსოებში, ან ბნელ ქუჩებში გარკვეულ ციფრზე ჩასულ დოლარებს მაფიოზების თანაშემწეები იჯიბავენ. იატაკქვეშა რულეტი აკრძალულია, მაგრამ თითოეულმა ამერიკელმა იცის, რომ რესტორანებსა და საპარიკმახეროებში ფულზე სათამაშოდ გადაცმული პოლიციელებიც კი დადიან. მაფიოზები საროსკიპოებშიც სთავაზობენ კლიენტებს ათასგვარ გასართობსა და „ლოტოსაც“. სულ ამ დაწესებულებებიდან „კოზა ნოსტრა“ წელიწადში ღებულობს 13 მილიარდ დოლარამდე. ამ თანხის მესამედს მაფიის თავკაცები უხდიან ინკასატორებს, სათამაშო სახლების მოიჯარეებს, ადვოკატებს კანონის წინაშე „დაცვისათვის“.

რა თქმა უნდა, არც ერთი სათამაშო კანცელარია არ დარ-

ჩება შეუმჩნეველი. მათი არსებობის შესახებ იგებს პოლიციელი, შემდეგ სერჟანტი და ბოლოს კაპიტანი. იმისათვის, რომ ეს დაწესებულებები აყვავდეს, საჭიროა მათ ყველაფერზე თვალები დახუჭონ. თვალებს კი პოლიციელები მაშინ ხუჭავენ, როცა მათ ქრთამით უსქელებენ ჯიბეს.

სენატის კომიტეტს შემდეგი ჩვენება მისცა „კოზა ნოსტრას“ დაპატიმრებულმა წევრმა მორის ჯონსმა: „ერთხელ დამირეკა უცნობმა მამაკაცმა და მითხრა, რომ სურს ჩემთან ლაპარაკი. ჩვენ მოვილაპარაკეთ შეხვედრის დროისა და ადგილის შესახებ. ავტობუსების გაჩერებასთან, სადაც დავთქვით შეხვედრა, იდგა პოლიციის პატრულის მანქანა. უცნობი გამეცნო როგორც სერჟანტი უეისი და განმიცხადა, რომ ბინის გამოცვლის შემდეგ მე მის რაიონში მოვხვდი. რას გავს ეს? რატომ არ მიუღია ამდენ ხანს თავისი ყოველთვიური 50 დოლარი? მე მას ვუპასუხე, რომ ჯერ შეეკითხებოდი „ლეიტენანტს“ და მომავალი შეხვედრა მეორე დღისათვის დავთქვით. აღმოჩნდა, რომ სერჟანტი მართალი იყო. საკითხი უნდა გადაეწყვიტა ჩემს „ლეიტენანტს“, მაგრამ მას დაავიწყდა თავის დროზე მისულიყო პოლიციაში. მისი განკარგულებით პოლიციის სერჟანტს მიეეცი წილი, რამდენსაც თხოულობდა. მან მითხრა, რომ მომავალში დროულად მეხადაფული და ჩვენ ერთმანეთს მეგობრულად დავშორდით“.

ჩარლზ უეიდი, პოლიციის უფროსი პენსილვანიის I რიდინგიდან, იგონებდა, თუ როგორ ასულელებდნენ საზოგადოებას ქალაქის მერის დავალებით: „ჩვენ სისტემატურად ვაწყობდით რეიდებს. ამ დროს გათამაშებული როლისათვის ჩვენთვის სამართლიანად შეიძლებოდა ოსკარის პრემიის მინიჭება. კორესპონდენტები გვიღებდნენ სურათებს, თუ როგორ ვამტვრევდით სათამაშო მაგიდებს მაფიის რესტორანებში, მაგრამ მათ არ იცოდნენ, რომ ამ სათამაშო სახლებს წინასწარ აფრთხილებდნენ და ძვირფასი მოწყობილობა მთლიანად გატანილი იყო მეზობელი ქუჩის კუთხეში. როგორც კი წავიდოდით იქიდან, ყველაფერი პირვანდელ სახეს იძენდა, გძელდებოდა ბანქოსა და კამათლების თამაში. მერი ამბობდა, რომ მოქალაქეები თვალნათლივ უნდა დარწმუნდნენ ყველაფერში“.

9 დღის განმავლობაში, დილიდან საღამომდე, გამომძიებლები ეცნობოდნენ მეკახშეობის წესებს. როდესაც ბანქოს მოთა-

მაშე უფულოდაა, მას შეუძლია მიმართოს „კოზა ნოსტრას“ სრულიად საიდუმლოდ, როგორც კომერსანტმა. თუ გაკოტრების გამეყლავნება არ სურს, ოპერატიულობა და თანაგრძნობაც გარანტირებულია. არავინ არაფერს არ აწერს ხელს, არავითარი საბუთი არ ფორმდება. მევალის გარანტია მისი სხეულია. ფული საკმარისზე მეტია. მაფიის ცალკეულ „ოჯახებს“ გააჩნიათ დოლარების უდიდესი რაოდენობა, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო არ არის „აღნიშნული“ სახელმწიფო ბანკში. ფულის დაბანდებით არაპირდაპირად გამოაშკარავდებოდა მათი უკანონო შემოსავალი. ეს კი დღევანდელ ამერიკაში მკაცრად ისჯება. ფულის ზაღალი პროცენტით სესხად გაცემა მოგებას იძლევა და, რაც მთავარია, თითის განძრევაც არ არის საჭირო. ნაღდი ფულის გაცემა მინიმალურია, მევახშეს არ ჭირდება არც კანცელარია, არც ტელეფონი და აგენტები, ის იოლად გადის პოლიციის დაცვის გარეშეც.

თუ რაოდენ ძნელია „კოზა ნოსტრას“ მევალეობიდან თავის დაღწევა, კარგად ჩანს მოწმე ჯოზეფ აკერმანის ჩვენებიდან: „თუ ვინმე გამოტოვებს თუნდაც ერთ შესატანს, ან მოლაპარაკებით დადგენილ ვადას გადააცილებს, ვალი 2-ჯერ იზრდება. გეტყვიან: კარგით, თქვენ უნდა გადაიხადოთ 50 დოლარი. თითქოს არაფერია ისეთი, მაგრამ შემდგომში გადაიხდით 100-ს! თქვენ იხდით პროცენტის პროცენტს. იწყებთ, დავუშვათ, 1000 დოლარის ვადიანი სესხით, ხოლო ბოლო შესატანით ფარავთ სესხს 5000 დოლარის ოდენობით. ეს წარმოუდგენლად ჟღერს, მაგრამ ჩვენს თავზე ცულია აღმართული. ერთხელ პროცენტები დამინიშნეს — მე კი ვალის ნაწილიც არ მქონდა გადახდილი, თან ბანკის ვალიც მედო, ამიტომაც სახლში ჯდომას ვამჯობინებდი“. აკერმანი თავშესაფრიდან მხოლოდ სასამართლოს უწყებამ გამოიყვანა, მასზე საჩივარი შეიტანა ბანკმა. აკერმანს ეგონა, რომ სასამართლოს შენობაში შეუმჩნეველად შევიდა. და არ დაუჯერა საკუთარ თვალებს, როდესაც მის შესახვედრად გამოემართნენ მაფიოზი მოძალადეები ვიტო ზაკანინი, იგივე „გიჟი“ და ედი ლიხნერი — „ღორი“. „მე მაშინვე მივხვდი რაც მელოდა. ჩვენ შევჩერდით ცენტრალურ დერეფანში სასამართლოს თავმჯდომარის კარების წინ. კარებთან ტელეფონის ჯიხური იდგა. შიგ შევვარდი: ედი ლიხნერი კვალდაკვალ მომყვა, დააძრო ყინულის საჭრელი დანა და მუცელზე მომაჭირა:

„დაკაცე ფული!“ ჯიბეში ოთხი ათასი მეკინდა. სამი ათასი უნდა შემეტანა გირაოდ სასამართლოში, რომ დაპატიმრებისათვის თავი დამეღწია და ათასიც ბანკისათვის უნდა მიმეცა. ვიდრე ედი ჩემს წინ ამ სასიკვდილო იარაღს ატრიალებდა, მე გადავთვალე ათასი. ამის დამნახველი ხალხი წამსვე გაუჩინარდა. მათ შეეშინდათ დახმარებისათვის არ მიმემართა. ზაკანინიმ და ლიხნერმა მაიძულეს გადამეხადა ზღაპრული პროცენტები სისხლის სამართლის სასამართლოს შენობაში. ამაზე შემიძლია დავიფიცო!“

ასე ბედნიერად ყველაფერი, რაც აკერმანს შეეძთხვა, იშვიათად მთავრდება ხოლმე. მხოლოდ ჩიკაგოში, კეფოვერის კომიტეტის იქ ყოფნისას მოხდა ათასამდე გაუხსნელი მკვლელობა, რომელთაგან ყოველი მესამის მსხვერპლს წარმოადგენდნენ მევალეები. ასე, რომ აკერმანი კიდევ იოლად გადაურჩა მაფიის შურისძიებას.

17. სენატორების საბჭო ნიუ-იორკში

„მარდერ ინკორპორეიტიდის“ ხელმძღვანელის ალბერტ ანასტაზიას საჯარო დაკითხვის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ნიუ-იორკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ეთერში გადასცეს უდიდესი შოუ — რვა დღის განმავლობაში ყველა სატელევიზიო სადგურს პირდაპირი გადაცემები მიჰყავდა სახელგანთქმული მაფიოზების დაკითხვების შესახებ. ნიუ-იორკი სენსაციის მოწმე გახდა, თუმცა არა ისეთის, როგორსაც ხელისუფლება ელოდა.

დაკითხვას პირადად სენატორი კეფოვერი აწარმოებდა. მისი პირველი შეკითხვა ასეთი იყო: „ალბერტ ანასტაზია, მოგვახსენეთ რამე შეერთებულ შტატებში თქვენი პირველი დღეების შესახებ?“

„ეს საკითხი მეტად მოსაწყენია და მე არა მაქვს სურვილი მასზე გიპასუხოთ“.

„კეთილი, რა იცით მაფიოზ ვინსენტო მანგანოს შესახებ?“

„ეს სახელი არ არის ჩემთვის ცნობილი და ისევ ვიმეორებ,

რომ არ გიპასუხებთ კითხვაზე, ვინაიდან საკუთარი თავის საწინააღმდეგო ჩვენება გ ომომივა".

ამით ანასტაზიას დაკითხვა დამთავრდა.

შემდეგი დიდი რეკლამირებული შოუ იყო „ნათლია" ფრენკ კოსტელოს დაკითხვა. მან განაცხადა, რომ სატელევიზიო კამერა ნერვებს უშლის. მალე ისიც გაირკვა, რომ კოსტელო არც ისე ბრწყინვალე და გაბედული ყოფილა, როგორც მაფიოზებს ეგონათ. Vიგი არა ერთხელ ამხილეს ტყუილში, მიუხედავად იმისა, რომ გამომძიებლები რაიმე განსაკუთრებულს არ ეკითხებოდნენ. „ნათლიებს" ტანში ჟრუანტელმა დაუარა, როდესაც ფრენკ კოსტელომ აღიარა: „დიახ, ნიუ-იორკის მერმა ლაგუარდიამ აგვიკრძალა სათამაშო ავტომატებით ვაჭრობა. ჩვენ სენატორის, ბატონი ჰიუ ლონგის მიწვევით გადავედით ლუიზიანაში. ბატონი სენატორი ლიცენზიაში არაფერს გვთხოვდა, მაგრამ ჩვენ მას ბატარა სამსახური გავუწიეთ".

კოსტელომ ვერ განმარტა, თუ რატომ ეძახდა მას სალვატორე მორეტი სატელეფონო საუბარში, რომელსაც გამოძიების ფედერალური ბიურო ფარულად ყურს უგდებდა, „ჩემო ნათლიას".

ბოროტმოქმედთა სამყაროს შეფებმა გადაწყვიტეს, რომ მათმა მოცახცახე კოლეგამ მხოლოდ ერთი სწორი შენიშვნა ვააკეთა, როდესაც ახალი ორლეანის სათამაშო სახლის — „ბეევერლი ქანტრი ქლაბის" შესახებ განაცხადა : „შეიძლება მორეტი „ნათლიას" იმიტომ მეძახდა, რომ იმ სათამაშო სახლთან ახლო კავშირი მქონდა. მისი მფლობელებისაგან ამ კეთილგანწყობილების გამო თვეში ათას დოლარს ვღებულობ". შემდეგ ყველა ამერიკელმა მოისმინა სახელმწიფო ტელევიზიის არხით კოსტელოს რეკომენდაცია: „ჩვენი სათამაშო სახლი წარმოადგენს ზღაპრულად გამდიდრებისა და დასვენების კერას". მაფიისათვის ეს იყო საჭირო და ეფექტიანი რეკლამა. თვითონ კოსტელოს ამ განცხადებამ ამერიკის მოქალაქეობის დაკარგვა და მოგვიანებით იტალიაში დეპორტაცია მოუტანა. გამომძიებლებისათვის კი ეს უკვე მეტისმეტი იყო. ისინი ისევ შეუდგნენ ფრენკის ბიოგრაფიის დეტალურ შესწავლას და დაადგინეს, რომ 1923 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობის მისაღებ შუამდგომლობაში მან დაფარა, რომ პასუხისგებაში იყო ნამყოფი მსხვილკალიბრიანი იარაღის უკანონო ფლობისათვის და

ყალბი სახელით — იგნაზიო საერიო — სარგებლობისათვის.

ხანგრძლივი და ძვირადღირებული გამოძიება მაფიოზებისათვის შედარებით მშვიდობიანად დამთავრდა. ყველაზე საინტერესო კი სენატორ კეფოვერის დასკვნითი სიტყვა იყო: „ხაზს ვუსვამ ორ გარემოებას:

შეერთებულ შტატებში არსებობს ბოროტმოქმედების ეროვნული სინდიკატი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე უარყოფს ამ ფაქტს.

შეერთებული შტატების ბოროტმოქმედთა ამ ორგანიზაციის ზურგს უკან დგას საერთაშორისო გაერთიანება, ცნობილი როგორც მაფია, ანუ „კოზა ნოსტრა!"

„ჩვენ ანგარიშს ვუწევთ იმას, — განაგრძობდა სენატორი,— რომ მოქალაქეთა უმრავლესობა შეაფასებს ამ განცხადებას, როგორც ფანტაზიის ნაყოფს და ძნელად დაიჯერებს, რომ მსგავსი რამ არსებობს სინამდვილეში!".

ორგანიზებულ ბოროტმოქმედებათა გამოძიების სენატის საბჭომ კეფოვერის მეთაურობით გააფრთხილა მთავრობის ორგანოები და საზოგადოებრიობა პოლიციის ზოგიერთი პასუხისმგებელი პირის მაფიასთან და „კოზა ნოსტრას" სახელმწიფო აპარატთან სახიფათო კავშირის შესახებ. მაგრამ საბჭო არ იყო უფლებამოსილი ემხილებინა ეს კავშირები და არც საამისო სახსრები გააჩნდა. მას შეეძლო მიეცა სანქცია და მხოლოდ მაშინ, თუ გამოარკვევდნენ, რომ ვინმე თავს არიდებდა სახელმწიფო გადასახადს, დაეწყო გამოძიება.

სენატის კომისიამ საბჭოს თხოვნაზე მიეღოთ განსაკუთრებული ზომები შექმნა სენატის იურიდიული კომისია, რომლის თავმჯდომარე გახდა პიტ მაკარენი ნევადიდან. საბჭოს მოთხოვნაზე მისთვის განგსტერების დასჯის უფლება მიენიჭებინათ, სენატორმა მაკარენმა განაცხადა: „ამისათვის არსებობს სასამართლოები!"

დიდი წინააღმდეგობა ხვდებოდა კეფოვერს გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან ურთიერთობაში, რადგან მისი დირექტორი ჰუვერი საბჭოსთან თანამშრომლობას უარყოფდა. ჰუვერმა მხოლოდ ერთხელ გამოიყენა შესაძლებლობა, რომელიც შესთავაზეს გამომძიებლებმა. საქმე ეხებოდა „ნათლია" ადონისის ჩვენებების ოქმებს.

უნაკლო ფრანტი ადონისი სენატორების ყველა შეკითხვა-

ზე პასუხობდა: „მე არა მაქვს სურვილი უარვყო ბრალდებები, რომლებიც თქვენ აქ, ჩემს მიმართ უსამართლოდ წამოაყენეთ", და თან ფრჩხილებს იქლიბავდა. მას თვითდაჯერებულობას ოცდაათი მილიონი დოლარის საბანკო ანგარიში მატებდა. გამომძიებლები ამაოდ ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ადონისის სიცრუე და უნდობლად მოეკიდნენ „ნათლიის" ურყევ მტკიცებას იმის შესახებ, რომ ის ამერიკაში დაიბადა. სამხრეთ იტალიის ქალაქ მონტე-მარანოში დაბადებულმა ჯო ადონისმა საბჭოს წარუდგინა საჭირო საბუთები. დაბადების მოწმობა პასაიკიდან ადასტურებდა, რომ მისი მფლობელი ამქვეყნად ამერიკაში გაჩნდა. ეს საბუთები სპეციალისტების ეჭვს იწვევდა, მაგრამ ადონისმა საბუთებს პასაიკში გადაღებული „მშობლიური სახლის" ფოტოსურათიც დაუმატა, რითაც დროებითი გამარჯვება მოიპოვა. მას სიზმრადაც არ მოეჩვენებოდა, რომ სწორედ ფოტოსურათი გამოააშკარავებდა მის სიცრუეს. კეფოვერის თანაშემწემ და გამოძიების ფედერალურმა ბიურომ დაადგინეს, რომ სახლი, რომელიც სურათზე იყო აღბეჭდილი, აშენდა ჯოს დაბადებამდე 2 წლით ადრე. მიმღები კომისიის ჩანაწერი 1904 წლით იყო დათარიღებული. მაგრამ ამ გამოაშკარავებამ სენატორებს მდგომარეობა არ შეუმსუბუქა. ხელისუფლებამ მხოლოდ 1954 წელს დაადგინა, რომ ადონისის ნამდვილი სახელი ჯუზეპე დიტო იყო, რომ შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მან ფეხი შედგა არალეგალურად და შეერთებული შტატების მოქალაქეობა მას არასოდეს არ მიუღია. სასჯელი ხელისუფლების მოტყუებისა და ყალბი ჩვენებისათვის მკაცრი იყო. ამიტომ ადონისის ციხეში 24 თვით გამოკეტვას „ნათლიის" ადვოკატებმა სხვა ბოროტების ჩადენა ამჯობინეს. მათ დაადანაშაულეს ადონისი ფლორიდაში შულერობაში და წამოიწყეს გრძელი, უაღრესად ჩახლართული პროცესი, რომლის დასრულებამდე შეუძლებელი იქნებოდა ადონისის დაპატიმრება. ამგვარად ადონისმა მოხერხებული და გულუხვად დასაჩუქრებული ადვოკატების წყალობით მოიგო დრო ქონების შესანარჩუნებლად. ის სასწრაფოდ აირჩიეს საზოგადოება „ავტომობილ ქონვეინგ კომპანის" გამგეობის თავმჯდომარედ, რომელიც ფორმალურად ეკუთვნოდა მის „ლეიტენანტს" ჩარლი ჩირს, ამის შემდეგ მას რჩებოდა ალტერნატივა — მოეხადა დამამცირებელი სასჯელი ან დაეტოვებინა ამერიკა. ადონისმა მეორე არჩია. კლანის ხელმძღვანელობა მან

ჯო ბინანოს გადაულიცა, ხოლო ვილა, იპოდრომი და ზღვის სასაპიროს მონაკვეთი — მეუღლეს. ყუმცა არც მშობლიურ იტალიაში, სადაც იგი ფეშენებელურმა თბილისელმა „კონტა ბიარკამანომ“ ჩაიყვანა, ადონისს ცხოვრების წესი არ შეუცვლია. მილანის სასახლე ვია ალბრიჩიდან იგი მართალია არალეგალურ სათამაშო სახლებს და დასავლეთ ევროპაში აყალიბებდა ახალ მაფიას. მის ცხოველ საქმიანობას ხელს უშლიდნენ მისი კამერდინერი, ყოფილი პოლიციის ოფიცერი და ყოვლისმცოდნე პრესა, რომელიც ყოველ მსხვილ ბოროტმოქმედებასთან დაკავშირებით მის სახელს ახსენებდა. პოლიცია ლაკი ლუჩანოს სიკვდილს ადონისს უკავშირებდა, ასევე, პალერმოს პროკურორის ჩკალიონის მკვლელობასა და შეიარაღებულ თავდასხმას „ნაკლებად ცნობილ პირებზე“ მას მიაწერდნენ, მაგრამ საქმის აღსაძვრელად მოწმეები იყო საჭირო.

რამოდენიმე ხნის შემდეგ მეგობრებმა რომიდან მიიღეს ზომები, რათა მას ეცხოვრა რომელიმე მშვენიერ აგარაკზე, მეთვალყურეობის ქვეშ. მისმა ახალგაზრდა საყვარელმა როზმარია ბლოხმა თავისი კერპი მხოლოდ მაშინ მიატოვა, როდესაც ქალბატონი ადონისი ქმრის დაკრძალვაზე ჩამოვიდა. გარდაცვალების მოწმობაში კი უკვე ადონისის ნამდვილი სახელი ეწერა — ჯუზეპე დოტო. იტალიის დამნაშავეობის სამყაროს ვარსკვლავი გარდაიცვალა „ნათლიებით“ გარშემორტყმული, თავისი დაბადების 69-ე წლისთავიდან ოთხი დღის შემდეგ, 1971 წლის 26 ნოემბერს. მალე მისმა მეგობრებმა გარდაცვლილის ცხედარი ბრინჯაოს კუბოში ჩაასვენეს და ავიაკომპანია „ალიტალიას“ რეაქტიულ თვითმფრინავში მოათავსეს. მხოლოდ ჰუძონის ნაპირზე, საგვარეულო ვილის მახლობლად დიდებულ სასაფლაოზე მისი დაკრძალვის შემდეგ გამოჩნდნენ მოწმეები, რომელთაც სურვილი გამოთქვეს მიეცათ ჩვენება კეფოვერის გაუქმებული საპჭოსათვის. ახალი ინფორმაცია ყველაზე განებივრებულ ადამიანზე, რომელიც კი ოდესმე უტარებია დედამიწის ზურგს, მიიღეს აგრეთვე გამოძიების ფედერალური ბიურის გამომძიებლებმა, მაგრამ ასევე გვიან.

ადონისს შეეძლო საათობით ელაპარაკა რავიელას დამზადების შესახებ, იმ დროს, როდესაც მისი ბრძანებით ასაფეთქებელ მოწყობილობას დებდნენ ახალი მსხვერპლის მანქანის ქვეშ. იგი ერთობოდა გოლფის თამაშითა და წვენებსა და საწებლებზე

მუსაიფით, მაშინ, როდესაც მისი დამქაშები უმოწყალოდ ყვლეფდნენ მეძავებსა და რესტორნის მესვეურთ „დაცვის“ გადასახადით.

ადონისზე არასოდეს არავის არ მოუხდენია თავდასხმა. მას ჩვეულებად ჰქონდა ესროლა მანამ, სანამ მისი მოწინააღმდეგე პისტოლეტზე გაფიქრებას მოასწრებდა. ადონისს, რა თქმა უნდა, არ დაულევია ვისკი, რომელიც, როგორც სჩანს, მან შესთავაზა ლუჩანოს ნეაპოლის აეროპორტის ბარში. ან, როგორ ოსტატურად მიჩქმალა თავისი ხელმძღვანელი როლი ბოროტმოქმედებებში და კონცერნ „მარდერ ინკორპორეიტიდში!“ „ნათლიებიც“ ქედს იხრიდნენ მის წინაშე. ის, ვინც მას უდიერად დაულაპარაკებოდა, სისხლისაგან იცლებოდა ტყვიებით დაცხრილული ან დანით მიყენებული ჭრილობებისაგან, ან ცოცხლად ჩაბეტონებული მდინარე ჰუძონის ფსკერზე ეშვებოდა.

კრიმინალისტებმა და კეფოვერის საბჭოს წევრებმა მაფიის შესახებ მრავალი სქელტანიანი ტომი გამოსცეს, მაგრამ არც თუ ბევრი მათგანიდან ჩანს, რომ სწორედ ადონისი იყო უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში „ნათლიებს“ შორის ყველაზე გულცივი და უძლიერესი.

იგი ფლობდა სათამაშო კაზინოების, საფინანსო კანცელარიების, საროსკიპოების უდიდეს იმპერიას, მოისყიდდა და უფრო ხშირად კი ირჩევდა პოლიტიკურ მოღვაწეებს, კონკურენციას უწევდა ჯენოვეზეს ნარკოტიკებით საერთაშორისო ვაჭრობაში და, მიუხედავად ამისა, თავისი ცხოვრების სამოცდაათი წლის განმავლობაში არცერთი დღე არ გაუტარებია ციხეში. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენმა ადამიანმა ამოისუნთქა თავისუფლად მისი სიკვდილის შემდეგ. ცხადია, მათი რიცხვი დიდი იყო, და მათში შედიოდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და იტალიის საზოგადოებრივი ცხოვრების მოწინავე ადამიანები, მსახიობები, მაფიოზები და დასავლეთ ევროპის დიდი საწარმოების გენერალური დირექტორები. მაგრამ ამავე რაოდენობის მანდილოსნები და მსახიობი ქალები დასტიროდნენ მას ნიუ-იორკში, 114-ე ქუჩის კუთხეში მდებარე ერთ-ერთ პატარა ბარში, რომელშიც დღესაც უკრავენ ჯაზს და ყოველ დილით ისმის იგივე მელოდიები, რაც ოცდაათი-ორმოცი წლის წინათ. მაშინ ეს მელოდიები გაისმოდა მხოლოდ და მხოლოდ „ნათლია“ ადონისთვის. ჯერ კიდევ სამოციანი წლების ბოლოს

კაბელმაისტერი ბატივისცემითა და გაბრაზებით აღნიშნავდა „ამ ბრამზადამ, სულ ცოტა ცამეტი ასეული ბავშვი გააკეთა თორმეტ ასეულ ქალთან". მაგრამ ადამიანების რიცხვი, მიუხედავად ამისა, არ გაზრდილა. ამაევ ხნის მანძილზე მან სიცოცხლეს გამოასალმა მინიმუმ თოთხმეტ ასეულამდე ადამიანი! უყურადა მხოლოდ თავისი თავი. ᲬᲐᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲘᲡ ასეთივე წყურვილით შეპყრობილ მის უახლოეს ნაცნობთა და თანამშრომელთა წრეს ეკუთვნოდნენ ძმები ანასტაზიები. ისინი ამერიკაში მოხვდნენ მათი წრისათვის ჩვეული გზით — გადასცურეს ოკეანე გემის ფუსკერზე მყოფ სხვა უამრავ გადასახლებულთა შორის, ხოლო ნიუ-იორკამდე ორი კილომეტრი რომ რჩებოდა, გადახტნენ ზღვაში. აქ მათ თევზსაჭერი ნავით ელოდა ოთხი ძმა, რომლებიც უკვე კარგად იყვნენ მოწყობილი ამერიკაში. შეერთებული ძალით ისინი შანტაჟს უწევდნენ ქარხანა „ფილიპს-დოდჯ ელიზაბეტის" ხელმძღვანელობასა და კოლექტივს. როცა ხელმძღვანელობამ უარი სთქვა გადაეხადა ყოველდღიურად ათასი დოლარი „დაცვისათვის", ანასტაზიებმა გაფიცვა მოაწყვეს. ხოლო, როცა გაფიცვის მოწყობა მუშებს უნდოდათ, ანასტაზიებმა გამოიძახეს საკუთარი შეიარაღებული დამსჯელები. მშრომელები არ დაემორჩილნენ პროფკავშირების მოსყიდული წარმომადგენლის ბრძანებას და უარი სთქვეს გაფიცვის შეწყვეტაზე. ანტონის ანასტაზიამ ბრძანება მისცა რაზმს და ერთ-ერთ ხარატს სიცოცხლის ფასად დაუჯდა თავისი ურჩობა.

ანასტაზიამ დახმარებისათვის მიმართა ჯო ადონისს. მათ სხვა ვერავინ გადაარჩენდა ციხეს. დახმარება უსასყიდლო არ ყოფილა. ანასტაზიას კლანმა დაკარგა დამოუკიდებლობა და იძულებული გახდა თავის შემდგომ საქმიანობაში დამორჩილებოდა „ნათლიების"—ადონისისა და კოსტელოს ნება-სურვილს.

ნიუ-იორკისა და ნიუ-ჯერსის საზღვაო პორტების ხელში ჩაგდების საქმეს წინ გადაელობა დოკერთა პროფკავშირების ახალი თავმჯდომარე ჯო ტურინა. ადონისმა ბრძანა, რომ ეს საქმე მოეგვარებინა ალბერტ ანასტაზიას, რომელმაც სხვა ვერაფერი მოიფიქრა ტურინას მოკვლის გარდა. ანასტაზიას დაავიწყდა, რომ ის ჯერ კიდევ არ იყო აღიარებული „ნათლიად" და რომ პოლიციას შეეძლო მიეგნო მოწმეებისათვის, რომლებიც მოინურვებდნენ ჩვენების მიცემას მის წინააღმდეგ. მოხდა ის, რასაც არ მოელოდნენ არც დიდი ალბერტი, არც მისი თანამო-

ნაწილე ჯიმი ფლარინი. მათ სასიკვდილო განაჩენი გამოუტა-ნეს.

ადონისმა და კოსტელომ მსჯავრდადებულნი ლოდინით გა-სტანჯეს, ვიდრე მათმა მეგობრებმა საქმე არ მოაგვარეს. და ის, რაც ნათელი იყო პირველი სასამართლო პროცესისათვის, საკა-საციო სასამართლომ გაუქმებულად სცნო. მოწმეებს ქალაქის სასაფლაოდან, სადაც ისინი ადონისმა გაამგზავრა, ჩვენების მი-ცემა არ შეეძლოთ. გავიდა მხოლოდ ორი წელი და დიდი ალ-ბერტი კვლავ წარსდგა ტრიბუნალის წინაშე. მოწმეები პოლი-ციაში ამტკიცებდნენ, რომ სამრეცხაოების ორი „ურჩი" მფლო-ბელის მკვლელობა ანასტაზიასა და მისი თანაშემწის ტონი რო-მეროს სინდისზე იყო. სასამართლოზე კი მათ მეტყველების უნარი წაერთვათ. ქრთამი კვლავ ზეიმობდა გამარჯვებას. ადო-ნისის მფარველობის ქვეშ ანასტაზია ხელშეუხებელი გახდა.

მოგვიანებით, თავის ლეგენდარულ ჩვენებებში, მაფიოზმა ვალაჩიმ ნათელი მოჰფინა სხვა მკვლელობას, რომლის ერთ-დერთ მოტივს წარმოადგენდა ანასტაზიას მიერ წარმოთქმული სიტყვები: „არ მიყვარს მოღალატეები!" ამ მკვლელობის გამო პოლიცია თავს იმტვრევდა რამდენიმე წელიწადს. რატომ მოკ-ლეს ბანკის მოხელე შუსტერი, რომელსაც, როგორც ცნობილია, არავითარი საერთო არა ჰქონდა დამნაშაეობის სამყაროსთან და არასოდეს ეურჩებოდა კანონს?

— ვალაჩი: „ალბერტ ანასტაზიამ სამსახური გაუწია კოლეგა სატონს, თუმცა ცხოვრებაში მას არ შეხვედრია. უილიამ სა-ტონი იყო უბრალო ჯიბის ქურდი, მაგრამ მისი სურათი მოა-თავსეს გაზეთ „ნიუ-იორკ დეილი ნიუსში", ხოლო შემდეგ უჩ-ვენეს ტელევიზიაში. კეთილსინდისიერმა მოქალაქე შუსტე-რმა პოლიციას შეატყობინა, რომ ქურდი, რომელსაც ეძებენ, მან ნახა მეტროში. ასე გახდა ის სატელევიზიო სიახლეების გმირი. საუბედუროდ, ამ გადაცემას უყურებდა ალბერტ ანას-ტაზიაც. როდესაც გადაცემა დამთავრდა, ის მიუბრუნდა თანა-შემწეს და უთხრა: „არ მიყვარს მოღალატეები. ეს ყმაწვილი უნდა გაქრეს!" რამდენიმე საათის შემდეგ მკვლელებმა „მარ-დერ ინკორპორეიტიდიდან" მოკლეს შუსტერი ნიუ-იორკის ყველაზე ხალხმრავალ მაგისტრალზე.

ვის მოუვიდოდა მაშინ აზრად, რომ ხუთი წლის შემდეგ

სხვა „ნათლია“ იტყოდა: „მოაშორეთ ანასტაზია. ეს ყმაწვილი უნდა გაქრეს!“

სიცოცხლის ბოლოს დიდი ალბერტის მფლობელობაში იყო „მოდერნ პრეს კომპანის“ ქარხნები. მისი ერთ-ერთი საბანკო ანგარიში კი გამუდმებით იზრდებოდა. ეს ის ანგარიში იყო, რომელზეც მაფიის ოჯახებიც, ხოლო დრიდადრო მდიდარი კერძო პირებიც რიცხავდნენ გადასახადებსა და ჰონორარებს შეკვეთით მკვლელობისათვის. „მარდერ ინკორპორეიტიდის“ დირექტორის როლში ანასტაზია თავს სრულ უსაფრთხოებაში გრძნობდა. განუსაზღვრელმა ძალაუფლებამ იგი მაფიის „უმაღლესი საბჭოს“ ბრძანების დარღვევამდეც კი მიიყვანა, ბრძანებისა, რომელიც კრძალავდა მაფიის წევრთა შემადგენლობის გაზრდას. დიდი ალბერტი განგსტერებს წევრობას აძლევდა ორმოცდაათი ათას დოლარად. მაგრამ მაფიაში წევრად მიღებაზე ვაჭრობა არ იყო გადამწყვეტი გარემოება, რის გამოც ანასტაზიამ ვერ მიაღწია პენსიამდე.

ლაკი ლუჩანომ, ამერიკიდან გასახლების შემდეგ, ხელშეკრულება დადო კუბის დიქტატორთან იმის შესახებ, რომ ისინი ერთად გადააქცევენ ჰავანას მშვენიერ, აზარტული თამაშობების სახლად. ჰავანა ანასტაზიასაც მოუნდა და კუბაში, ბატისტასთან გააგზავნა საიდუმლო მოციქული, რათა მიეღო ორი კაზინოს აშენების უფლება. ბატისტამ გასცა შესაბამისი ლიცენზია, როდესაც ანასტაზიამ გადაუხადა მილიონი დოლარი, მაგრამ ჩუმად შეატყობინა ამის შესახებ სანტო ტრაფიკანტეს. მაფიის საიმედო დირექტორმა ეს მაშინვე აცნობა ლუჩანოსა და „კოზა ნოსტრას“ „უმაღლეს საბჭოს“, რომელმაც დაასკვნა, რომ ანასტაზიამ ბევრად გადააჭარბა თავის უფლებებს. არავის, თვით „მარდერ ინკორპორეიტიდის“ შეფსაც კი არ ჰქონდა უფლება დაერღვია მკვეთრად განსაზღვრული საკაჭრო ტერიტორიების საზღვრები.

1957 წლის 25 ოქტომბერს, დილას, ანასტაზია შევიდა მანჰეტენის მეშვიდე ავენიუს კუთხეში მდებარე ფეშენებელურ სასტუმრო „შერატონის“ პირველ სართულზე განლაგებულ საპარიკმახეროში. საპარიკმახეროს მეპატრონემ, ჯოზეფ ბოჩინომ ყოველნაირი ყურადღება აღმოუჩინა კლიენტს. კედლის საათი უჩვენებდა ათ საათსა და ოც წუთს. მეოთხე სავარძელს, სადაც იჯდა ალბერტი ცხელი პირსახოცით სახეზე, მიუახ-

ლოვდა ორი მამაკაცი, რათა შეესრულებინათ ვიტო ჯენოვეზესა და პატივმოყვარე „ლეიტენანტის“ — კარლო გამბინოს ბრძანება. რამდენიმე წამის შემდეგ საპარიკმახეროდან სახეზე საპონწასმული კლიენტები გამოცვივდნენ. დაგვიანებით მოსულმა პოლიციამ სავარძლის მახლობლად აღმოაჩინა ათი ცხრაკალიბრიანი ჰილზი. ვერც ერთმა სტუმართაგანმა, ისევე როგორც ოსტატმა პარიკმახერმა, ვერ აღიდგინა მეხსიერებაში მკვლელთა სახეები, რომელთაც ამ დავალების შესრულებამ ახალი ჰორიზონტები გადაუშალა. მაგრამ სანამ გამბინო მოექცეოდა ანასტაზიას ოჯახის სათავეში, ჰუძონის ტალღებმა კიდევ მრავალი ათეული მიცვალებული დაფარა.

თუ კეფოვერის კომისიამ მიზანში ამოიღო უპირატესად „კოზა ნოსტრას“ სისხლის სამართლის დანაშაულობანი, სენატორ მაკლელანის ახალმა კომისიამ ძირითადი ყურადღება, მთავარი იურისკონსულტის, რობერტ კენედის რჩევით, მიაპყრო პროფკავშირებს.

18. როგორ გაიფმინდეს „ნათლიებმა“ ფილტვები ტყვია-ფაილისაგან

ნიუ-იორკში თავი მოიყარა რამდენიმე ათასმა მაფიოზმა და მათმა ჩიკაგოელმა თანაშემწეებმა, რომლებსაც ომის დღეებში სამუშაო შემოაკლდათ. ისევე „კოზა ნოსტრას“ „ეროვნულმა კომისიამ“ დაასაქმა ამდენი უმუშევარი. მათ ჯეიკ გუზიკმა მიმართა დევიზით: ვიყიდოთ ახალი „კონტინენტალ პრესი“. ამ ფირმის მფლობელმა ჯოზეფ როგენმა, ბოროტმოქმედთა სამყაროსთან თანამშრომლობის წინადადებას უარით უპასუხა და დახმარებისათვის გამოძიების ფედერალურ ბიუროს მიმართა. განგსტერებმა ურჩ კომერსანტს ზურგში ტყვია დაუსახლეს. ჯოზეფ როგენის მემკვიდრეებმა მაფიის წინადადებას დადებითი პასუხი გასცეს და ამის შემდეგ „კონტინენტალ პრესი“ „კოზა ნოსტრას“ ყოველწლიურად ათ მილიონ დოლარს უხდიდა, ვიდრე სენატორ მაკლელანის კომიტეტის მრჩეველმა რობერტ კენედიმ ასეთი ბიზნესი არაკანონიერად არ ჩათვალა. შემდგომში სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირით დოღის შედეგების გავრცელების უფლება მხოლოდ სახელმწიფო

დაწესებულებებს გადაეცათ და „კონტინენტალ პრესმა“ არსებობა შეწყვიტა.

ვიტო ჯენოვეზეს, რომელიც მხოლოდ სათამაშო კლუბების საქმეებით იყო დაკავებული, უსიამოვნება შეემთხვა. ჯენოვეზეს თქმით, მისმა პირველმა და უკანასკნელმა სიყვარულმა, ახალგაზრდა მეუღლემ — ანამ, რომელიც გონების სიმწირეს სხეულის სილამაზით ინაზღაურებდა, სხვა უამრავ სკანდალებთან ერთად გამოძიების ფედერალური ბიუროს ყურადღებაც მიიქცია (ისევე, როგორც ჯენოვეზეს ადრინდელმა ცოლებმა) იმით, რომ დაუფარავად ყვებოდა რატომ და როგორ იღებდა მისი მეუღლე ყოველ კვირას ოცდაათი ათას დოლარს რომელიმე პროფესიული კავშირიდან. ეს დიდი უმადურობა იყო ბარის ყოფილი მომღერლისაგან, რომლის პირველი მეუღლეც (რომელიც საღამოობით სახლის სახურავზე მტრედებს საკვებს უყრიდა) ეჭვიანმა ჯენოვეზემ წინდახედულად მოიცილა. ამ უსიამოვნებას სხვაც დაემატა. ჯენოვეზეს ბანდაში ბზარი გაჩნდა. მაფიოზ პეტრილ გაპს, როგორც გამოუსწორებელ მკვლელს, სამშობლოში დეპორტაცია მიესაჯა. ნიუ-იორკზე სევდამ იგი პირდაპირ ამერიკის პოლიციაში მიიყვანა. ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობის დაბრუნების საფასურად მან გასცა კურიერები, რომლებსაც ნარკოტიკები ნეაპოლიდან ნიუ-იორკში ჩამოჰქონდათ. მოგვიანებით, ბრუკლინში გაპი ათასგვარ ზღაპრებს ავრცელებდა იმის შესახებ, თუ როგორ გამოიქცა იტალიიდან, თანაც ისე არადამაჯერებლად და გულუბრყვილოდ იქცეოდა, რომ შენიშნა თუ არა იგი ნიუ-იორკის პორტში იმიგრაციის ბიუროს ჯაშუშმა მაშინვე შეატყობინა ჯენოვეზეს. 1953 წელს, შობა დღეს მაფიოზებმა ალბერტო მაურიელას რესტორანში, საღამო ხანს, გაპის ტყვიით გაუხვრიტეს თავი. თითქმის ოთხი წლის შემდეგ იმავე რესტორანში კარტის სათამაშოდ შეეიდა ჯენოვეზეს მეტოქე ფრენკ კოსტელო. შუაღამისას იგი სხვა რესტორანში გადავიდა და როცა სენტრალ პარკ ვესტზე ბინაში ბრუნდებოდა, კარებთან შემოესმა: „ესეც შენ ფრენკ“! და უცნობმა ჩახმახი დასხლიტა. დაჭრილმა კოსტელომ საავადმყოფოში განაცხადა: „მე ვერავინ შევიცანი და არც გასროლა არ გამიგია“. მაგრამ ყველაზე დამლუპველი შედეგი მაფიისათვის კოსტელოს დაჭრის გამო მოსალოდნელ შინაომს კი არა ჰქონდა,

არაბულ ქალალდს, რომელიც საავადმყოფოში ფრენკის პალტოს ჯიბიდან ამოიღო კრიმინალური პოლიციის მოხელემ და რომელზეც ჩანიშნული იყო კაზინოში მოგებული თანხა. როგორც გამოირკვა, სათამაშო სახლი „ტროპიკანა" ლას-ვეგასში გაიხსნა 1957 წლის 3 აპრილს და თვის ბოლომდე მიხმა მოგებამ 651 283 დოლარი შეადგინა. მოგების ბალანსი საკმარისი აღმოჩნდა ვადასახადისაგან თავის არიდების ბრალდებით სასამართლოში საქმის აღსაძვრელად. ჯენოვეზეს უხაროდა, რომ ფრენკს სისხლის გარეშე მოიცილებდა თავიდან, თან მოსალოდნელი იყო, რომ ციხიდან დაბრუნების შემდეგ კოსტელო დამსახურებულ პენსიაზე გავიდოდა. მაგრამ ნიუ-იორკს სიმშვიდე არ ეწერა. ჯენოვეზე იძულებული იყო ტახტს დალოდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ კოსტელო ჯერ კიდევ საავადმყოფოში იმყოფებოდა დაცვის მეთვალყურეობის ქვეშ, ათი დღის შემდეგ ისევ გაისმა სროლის ხმა. მსხვერპლი გახდა ფრენკ სკალისი ჯენოვეზეს საბჭოდან. მისი ფირმა „მარიო ენდ დე ბონო პლასტერინგ კომპანი ოფ კორონა" დიდ მოგებას იღლეოდა და თან ფარულად „ნარკოტიკების გზა" გატკეპნა იტალიისაკენ. ამ საქმეში სკალისი დეპორტირებულ ჯო ადონისსაც კი უწევდა კონკურენციას. იმ საბედისწერო დღეს სკალისი არტურის ქუჩაზე 2380-ე სახლში შევიდა და ბოსტნეულის მაღაზიის პატრონ თანამემამულეს გამოეცნაურა. ამ დროს კარების ზარის წკრიალმა მაღაზიის პატრონს ახალი კლიენტების მოსვლა აცნობა. მათ ბოლოკი მოითხოვეს, მაგრამ ფულის მაგივრად ჯიბეებიდან პისტოლეტები ამოიღეს. მკვლელებს მხოლოდ ხუთი წამი დასჭირდათ, რომ სკალისის სხეულში ხუთი ტყვია დაეტოვებინათ.

პოლიციის მთავარმა ინსპექტორმა გადაწყვიტა, რომ ამ მკვლელობის გახსნისათვის, საჭიროა ლონგ-აილენდზე მიცვალებულის ვილის დათვალიერება. მდიდრულად მორთულ ოთახში იპოვეს ტელეფონების სია და მისამართების წიგნი „კოზა ნოსტრას" დამხმარე პირების 400-მდე გვარით. ბლოკნოტში ჩაწერილი იყო პარიზის, ნეაპოლის, რომისა და პალერმოს მისამართები. იქვე იპოვეს რამდენიმე წერილიც. საქმეში ჩაუხედავი ამ კორესპონდენციიდან ვერაფერს გაიგებდა, მაგრამ სიცილიური დიალექტის მცოდნემ დაადასტურა გამოძიების ფედერალური ბიუროს ვარაუდი, რომ ეს წერილები წარმოადგენდნენ შეკ-

ფეიებს ნარკოტიკებზე და ჰეროინის მიღებაზე ჯენოვეზეს ბანდის წევრების ხელწერილებს. სკალისის მკვლელობა და მისი სახლის განხრეკა კოსტელოს ვერაგული შურისძიება იყო. ჯენოვეზეს მოადგილეებმა დაუყოვნებლივ გამოიძახეს საუკეთესო მკვლელი ტონი ბენდერი. ასოცი შეიარაღებული მაფიოზი დღე და ღამე, სამ ცვლად იცავდა შეფის მშვიდ ძილს. ჯენოვეზე ოცნებაში წარმოიდგენდა მკვდარ კოსტელოს. მომდევნო კვირას კი, როდესაც ის კიდევ ერთ უძილო ღამეს ათენებდა, საგამოძიებო განყოფილების შეფმა მას შეატყობინა, რომ უვნებელი ფრენკ კოსტელო ალბერტ ანასტაზიასთან თათბირობდა. „ნათლია" ჯენოვეზესთვის ფრენკ კოსტელოსა და ალბერტო ანასტაზიას შორის გულთბილი ურთიერთობა საიდუმლო არ იყო, თუმცა ისინი ხასიათითა და საქმიანობის მეთოდებით ერთმანეთს არ ჰგავდნენ — კოსტელო, როგორც გამოცდილი პოლიტიკოსი, ცდილობდა საქმეები კეთილგონივრულად, კომპრომისულად გადაეწყვიტა, მაშინ როდესაც ანასტაზია არ ინდობდა მისგან განსხვავებულად მოაზროვნეებს.

ჯენოვეზე და მისი „ლეიტენანტები" თავს იტეხდნენ, თუ რა ელონათ ასეთ რთულ სიტუაციაში. ჯენოვეზეს საინფორმაციო სამსახურმა გამოარკვია, რომ დიდი ალბერტ ანასტაზია კვლავ აპირებდა ჰავანაში საქმის წამოწყებას „ეროვნული კომისიის" თანხმობის გარეშე. კოსტელო კი საბოლოოდ გაანადგურა ჩვეულებრივმა სკოლის მოწაფემ.

სკალისის მკვლელობიდან თექვსმეტი დღის შემდეგ ნიუ-ჯერსის შტატში, ჰუძონ-ჰეიტის ხეობაში ყმაწვილმა იპოვა მიტოვებული ავტომანქანა. პოლიციამ მანქანიდან ორი გვამი გამოათრია, რომლებიც ძალიან ჰგავდნენ იმ ორ ჭაბუკს, რომლებიც კოსტელომ ბოსტნეულის მაღაზიაში გააგზავნა. მაზარის მაღაზიის დამლაგებელმა ისინი კარგად დაიმახსოვრა და მზად იყო კოსტელოს საწინააღმდეგო ჩვენება მიეცა, თუკი ბატონი ჯენოვეზე მოისურვებდა. კოსტელომ მოიხადა სასჯელი გადასახადის გადაუხდელობისათვის და განთავისუფლებისთანავე 1964 წელს „კოზა ნოსტრას" „ეროვნულ კომისიას" შემოსავლის კუთვნილი ნაწილი მოსთხოვა, მაგრამ კომისია ჯერჯერობით პერსონალურ საკითხებს არ იხილავდა.

„უმაღლესი საბჭო" სწორედ ამ დროს დაკავებული იყო კლანიდან იმ განსტერების გარიცხვით, რომლებსაც ანასტაზიამ

„კოზა ნოსტრას“ წევრობა მიჰყიდა. ახალმა წევრებმა ოცდაშვიდი თავდასხმა ჩაშალეს, თანაც ექვსი მათგანი ხელთ ჩაიგდო პოლიციამ და აალაპარაკა.

ჯენოვეზე იძულებული გახდა შემდეგ სხდომას დალოდებოდა. ახალი ბოსების ბოსის—ჯენოვეზეს, პირველი ოფიციალური აქტი გახდა „ნათლიების“ შვილების, ჯოზეფ ბონანოსა და როზალია პროფაჩის ნიშნობაზე ხელის მოწერა. ჯენოვეზე მათ სიყვარულს მიესალმებოდა. მან განკარგულება გასცა (ჯენოვეზეს ახსოვდა, რომ ბონანოსა და პროფაჩის კლანები უძლიერესი იყვნენ), რომ ქორწილი ნიუ-იორკში წმ. სამების ეკლესიაში შემდგარიყო, რომლის შენობაც „მათი პაპების „შავი ხელის“ დროიდან ქალაქში ყველაზე მაღალი იყო.

მაფიოზების ლიდერთა შვილების ქორწინების ცერემონიაზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. „კოზა ნოსტრა“ თავისი წინაპრების ტრადიციისამებრ ადამიანებს ნათესაური კავშირით სიკვდილამდე უკავშირებდა ერთმანეთს. ჯოზეფ ბონანოს მეუღლე ბანდის პირველი მოადგილის ფრენკ ლაბრუზოს და იყო, ჯოზეფ პროფაჩმა ცოლად თავისი „ლეიტენანტის“ ჯოზეფ მაგლიოჩის და მოიყვანა, „კოზა ნოსტრას“ მთავარ მბრალმდებელ მოწმეს — „ნათლია“ ჯენოვეზეს „ლეიტენანტს“ ჯო ვალაჩის ცოლად „ნათლია“ მასერიას „ლეიტენანტის“ ტონი რეინის ქალიშვილი ჰყავდა, ვალაჩის მაჭანკალი კი პირადად ჯენოვეზე იყო.

კასტელამარეს ომმა შეიწირა ვალაჩის სიმამრი. იტალიისა და შეერთებული შტატების მაფიის წამყვანი ოჯახები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან დანაშაულებრივი ქმედობით, შიშით, სიძულვილითა და ნათესაობით. პროფაჩისა და ზერილიოს ნათესაური კავშირი კი გაბმული იყო ჯერ კიდევ სიცილიელი წინაპრებიდან.

მამა ჯოს და სიმამრ ჯოზეფის სურვილით ბილი ბონანოს ბედნიერების დღე ისტორიაში უნდა შესულიყო. სამების ეკლესიიდან უამრავი მანქანა სასტუმრო „ასტორისკენ“ გაემართა. აპერიტივის შემდეგ სტუმრები იმ დროისათვის ყველაზე განთქმულ სასტუმრო „ანსონიაში“ მიიწვიეს. ადრე ამ სასტუმროში ცხოვრობდნენ მაფიის მიერ გაყვლეფილი ხელოვანნი კარუზო და ტოსკანინი. დაქირავებული ორკესტრები ასეთი შემთხვევისათვის ნახევარი წლით ადრე გადიოდნენ რეპეტიციებს.

სამი ათასი სტუმრიდან უმეტესობას შეადგენდნენ „ნაოლიები“ ორივე ოკეანის სანაპიროდან. ბევრი, სქელ კონვერტებს, რომლთა საშუალებითაც სტუმრები გამოხატავდნენ პატივისცემას ჯო ბონანოს მიმართ, ვიტო ჯენოვეზე, ჯოზეფ ბარბარა და ტონი აკარდო ღებულობდნენ და დებდნენ ვერცხლის ლანგრებზე. არცერთ კლანს არ დავიწყებია დელეგაციის გამოგზავნა ძვირფასი საჩუქრებით. ყველაზე საპატივცემულო იყო ლოს-ანჟელოსიდან ჩამოსული ოთხმოცდაერთი „ნათლია“, „ლეიტენანტი“ და ყველაზე უფრო მოხერხებული, ნიჭიერი და თავზე ხელაღებული განგსტერი.

სიძემ, ბილ ბონანომ, თავის სადღეგრძელოში განაცხადა, რომ გამოძიების ფედერალური ბიურო ქორწილში მიწვეული სტუმრების სიაში იმაზე მეტ ფულს გადაიხდის რაც ამ კონვერტებშიაო. ხუმრობამ ხასიათი არავის არ გაუფუჭა, რადგანაც დამსწრეთა საიდუმლო სია ინახებოდა საიმედო ხელში, აბსტინენტ ფრენკ ლაბრუზოსთან. ყოველი შემთხვევისათვის, სასტუმროს შესასვლელში მაინც იდგა რამდენიმე ათეული ჯენტლმენი, რომელთა ყუმბარებითა და კოლტებით გამობერილი ჯიბეები აფრთხობდნენ არასასურველ ცნობისმოყვარეებს. ქვე იყო უამრავი მოუქნელი „გორილაც“, რომელთა მოვალეობა დღეს სროლა კი არ იყო, არამედ ღვინითა და მაკარონით მოთენთილი „ნათლიებისათვის“ დახმარების გაწევა. ზეიმი წარმატებით დამთავრდა. „დონებმა“ განიხილეს სავაჭრო საქმეები, განაჩენი გამოუტანეს ექვს კაცს, რომელთაც უნდა დაეტოვებინათ ეს ქვეყანა, ხოლო ორ „ლეიტენანტს“ დაწინაურება გადაუწყვიტეს. დაქორწინებულმა წყვილმა მიიღო ასი ათასი დოლარი და უამრავი ოქროვერცხლეული. მხოლოდ აღშფოთებულმა სიდედრმა ჩაიღრინა: „შეეძლოთ საჩუქრები მაინც ეყიდათ. ყოველ მათგანზე სასტუმრო „ასტორის“ დამღაა“!

ბონანოს სუპერქორწილი იყო მაფიოზების უკანასკნელი, დაუვიწყარი საზოგადო თავშეყრა, რომელიც მოეწყო მაფიის სახელმწიფო ყრილობისათვის მზადების წინ. უმცროს „ნათლიებს“ სურდათ, რომ ყრილობა ჩატარებულიყო მაფიის ციტადელში—ჩიკაგოში. პატივცემულმა „ნათლიამ“ სტეფანო მაგადინომ განაცხადა, რომ მას უკვე აღარ ძალუძდა დიდ მანძილებზე მოგზაურობა. „ეროვნული კომისიის“ ყველაზე უფროსი წევრის აზრს სხვა მაფიოზებიც დაეთანხმნენ. ჯოზეფ ბარბარას

ციხე-დარბაზში, აპალაჩინში უკვე არაერთხელ ჩატარებულა მსგავსი ღონისძიება. გახარებულია ბარბარამ მაშინვე მიიხედა თანამოძმეები იმით, რომ მათ სრული იზოლაციისა და სუფთა ჰაერის გარანტია მისცა. ფილტვების განიავების შესაძლებლობაზე ბარბარა არ ტყუოდა და მაინც „ნათლიები" შემდგომ დიდხანს წყეულიდნენ ახლომახლო ტყეების სუფთა ჰაერს.

შემთხვევით გამვლელებს შორის, რომლებიც 1957 წლის 14 ნოემბრის დილას გაკვირვებულნი შესცქეროდნენ საუცხოო ლიმუზინებს, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების თითქმის ოცდახუთი შტატის ნიშანი ამშვენებდათ, იყო ნიუ-იორკის პოლიციის სერჟანტი ედგარ დ. კროსეული. პროფესიული ცნობისმოყვარეობით შეპყრობილმა მან გააჩერა ბარბარას რეზიდენციისაკენ მიმავალი ავტომობილი. მას უნდოდა გაეგო, თუ ვისთვის მიჰქონდათ, ჩვეულებრივ ცარიელ ვილაზე, ორასი კილოგრამი ბიფშტექსი. ამ სცენას შორიდან თვალს ადევნებდა ბარბარას უგუნური მსახური, რომელმაც დაუფიქრებლად დაიყვირა სახლის ჭიშკართან: „პოლიციამ ალყა შემოარტყა გასასვლელ გზას!". გზა ჯერ კიდევ თავისუფალი იყო, მაგრამ „ნათლიების" შეშინებულმა მძღოლებმა ორომტრიალში გაჭედეს ავტოსადგომი, როცა უთავბოლოდ დაიწყეს მანქანების გაჩერება. მაფიოზები, რომლებიც ვერ ასწრებდნენ მანქანებით გავლას, გარბოდნენ უახლოესი ტყისაკენ. პანიკა კიდევ უფრო გაამძაფრა გამოძახებული პოლიციის მორიგე მანქანის სირენის ხმამ. კანონის დამცველებმა მუხების ქვეშ დაიჭირეს კოლტებითა და ხელყუმბარებით დამძიმებული ორმოცდათვრამეტი გაქაფული „ნათლია". ამდენივე გადარჩა უახლესი მოდელის მანქანებით თავაწყვეტილი ქროლვის წყალობით.

დაპატიმრებულთა შორის იყვნენ ჩიკაგოელი სემ ჯიანკანა, ნიუ-იორკელი ჯოზეფ ბონანო, კალიფორნიელი ბელადის ჯო დრაგნას მემკვიდრე, დალასელი შეფი ჯეიმს ჩიველო, „ნათლია" დენვერიდან ჯეიმს კოლეტი, ჯონ სკალიში კლივლენდიდან, ჯოზეფ იდა, იგივე „გრძელი პეპე", ფილადელფიიდან, „ნათლიის" თანაშემწე ბუფალოდან ჯონ მონტანა და სანტა ტრაფიკანტე ფლორიდიდან. ელეგანტურ კოსტიუმებში გამოწყობილ ეუნებაწამხდარ ვაჟბატონებს „ჯიბეზე" აღმოაჩნდათ სამას ოცი ათასი დოლარი ნაღდი ფული, ხოლო სამას ათი

ათასი პოლიციამ აღმოაჩინა მახლობელ ველზე. „ალბათ ქარმა თუ მიიტანა იქ“ — განმარტა მასპინძელმა.

იმ საღამოს პოლიციის სამმართველოში მიყვანილი „ნათლიებიდან“ ოცდაათი სიცილიაში იყო დაბადებული, დანარჩენებს ჰყავდათ იტალიელი მშობლები ან ცოლები. პოლიციელებმა დაპატიმრების მიზეზად ასეთი დიდი თავშეყრის მიზეზის დამალვა გამოაცხადეს. სასამართლოზე კი „ნათლიებს“ გაახსენდათ, რომ ექვსი მათგანი აპალაჩინში მოხვდა სრულიად შემთხვევით, ორმა განაცხადა, რომ მათ მანქანები ჰქონდათ შესაკეთებელი, ხოლო ათმა მათგანმა დაიფიცა, რომ ჩამოვიდნენ, რათა ბატონი ბარბარასათვის თევზი მიეყიდათ. სხვები დომინოს სათამაშოდ მოდიოდნენ. თვითონ სახლის პატრონი ამტკიცებდა, რომ არავითარ სტუმრებს არ ელოდებოდა, მაგრამ რატომ არ შეიძლებოდა, რომ მისი მეგობრები ჩამოსულიყვნენ ამხანაგის ჯანმრთელობის ამბის გასაგებად.

ადვოკატებთან ხანმოკლე კამათის შემდეგ მოსამართლემ განაცხადა, რომ ავადმყოფზე ზრუნვა დანაშაული არაა და რომ „პოლიციელებს მხედველობიდან გამორჩათ მნიშვნელოვანი გარემოება, რომ დაკავებულები არიან კერძო მეწარმეები, სასტუმროებისა და მსხვილი მაღაზიების მფლობელები“.

ოფიციალური სია საწარმოო დარგებისა, რომლებშიც საქმიანობდნენ აპალაჩინის კონფერენციის დელეგატი „ნათლიები“, შედგებოდა რამდენიმე გვერდისაგან და დღესაც მეტად საინტერესო დოკუმენტად რჩება. აი, ეს სიაც: დომინიკ ალაიმო — ქიმიკატებით ვაჭრობა.

ჯოზეფ ბარბარა — სასმელების „კანადიან დრაის“ წარმოება და გაყიდვა.

ჯოზეფ ბარბარას შვილი — უალკოჰოლო სასმელები.

ჯოზეფ ბონანო — დამკრძალავი ბიურო, სამრეცხაოები და სასურსათო მაღაზიები.

ჯონ ბონვენტრე — მზა ტანსაცმლის წარმოება.

რასელ ბუფალინო — მანქანებით ვაჭრობა, მშენებლობა და მზა ტანსაცმელი.

როი კარლიკსი — იპოდრომის საჯინიბოები, მიწის ნაკვეთებით ვაჭრობა.

პოლ კასტელანო — წვრილმანით მოვაჭრეთათვის საკონსულტაციო მომსახურება.

ჯერარდო კატენა — ნავთით საბითუმო ვაჭრობა.

ჯეიმს ჩიველო — სასურსათო საქონლით ვაჭრობა.

ჯეიმს კოლეტი — ყველა სახის მიწის ნაკვეთები.

ფრენკ კუჩიარა — სასურსათო საქონლით ვაჭრობა.

ჯონ დემოკო — გასართობი ავტომატების მფლობელი.

ჯოზეფ ფალკონე — გასართობი ავტომატების მფლობელი.

სალვატორე ფალკონე — იპოდრომის საჯინიბოები.

კარლო გამბინო — ნახმარი ბოთლებისა და ჯართის შესყიდვა.

ვიტო ჯენოვეზე—გამანათებელი მოწყობილობების წარმოება, ზეთით საბითუმო ვაჭრობა და ფეხსაცმლის კრემები.

ჯეიმს ლა დუჩე — სასტუმროებისა და გასართობი დაწესებულებების მფლობელი.

ლუის ლარასო — მშენებლობა.

კარმინე ლომბარდოზი — დაზღვევის ბიუროსა და სატრანსპორტო დაწესებულების იანამფლობელი.

ჯოზეფ მაგლიოჩო — ყველა სახის მომსახურება და სურსათით ვაჭრობა.

ფრენკ მაიური — მშენებლობა.

როზარიო მანკუსო — რესტორნები.

მაიკლ მირანდა — გასართობი ავტომატები და ძვირფასეულობით ვაჭრობა.

ჯოზეფ პროფაჩი — საფეიქრო ფაბრიკის მეპატრონე.

ვინსენტ რაო — მზა ტანსაცმლით ვაჭრობა.

ჯოზეფ რიკობონო — ბეწვეულის ექსპორტი და იმპორტი.

ჯოზეფ როსატო — ავტოტრანსპორტი.

ჯონ სკალიში — გასართობი ავტომატები.

ანჯელო სკიანდრა — ქვანახშირით ვაჭრობა.

კონსტენზე ვალენტე — რესტორნების მეპატრონე.

ფრენკ ზიტო — გას რთობი ავტომატები.

ამ სიაში შეტანილი იყო მხოლოდ ლეგალური საწარმოები, რომლებიც დროულად და წესიერად იხდიდნენ გადასახადს.

აპალაჩინის მარცხის შემდეგ „კოზა ნოსტრას" „ეროვნულმა კომისიამ" მოიწვია რამდენიმე მცირერიცხოვანი თათბირი შეერთებული შტატების სხვადასხვა კუთხეში. მათზე ნიუ-იორკელი ბოსი ჯენოვეზე არ ესწრებოდა — მას ძვირად დაუჯდა თავისი სიხარბე, რადგანაც იტალიიდან დაბრუნების შემდეგ ყური

არ ითხოვა კოსტელოს გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ „ნათლიებს“ უნდა შეეწყვიტათ ნარკოტიკების გადაგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებში. პირიქით, კოსტელოსთან განხეოილების შემდეგ ნარკოტიკების კონტრაბანდა კიდევ უფრო გაიზარდა. უკანასკნელი გამაფრთხილებელი ნიშანი უნდა გამხდარიყო ჯენოვეზეს საუკეთესო თანამშრომლის ვალაჩის დაპატიმრება, მაგრამ ასე არ მოხდა. ნიუ-იორკის სასამართლომ ორმოცდათექვსმეტ წელს ვალაჩის ხუთი წლით პატიმრობა მიუსაჯა. მართალია, „ნათლიამ“ ფეხზე დააყენა გავლენიანი პოლიტიკოსები და პატიმარი გამოუშვეს, მაგრამ თვით ჯენოვეზემ ორი წლის შემდეგ დაკარგა თავისუფლება, როდესაც ის დააპატიმრეს ატლანტიკ ჰაილენდში. ჯენოვეზეს დაპატიმრებას დიდად შეუწყო ხელი ფინანსთა სამინისტრომ. ნიუ-იორკის საგადასახადო კანტორამ მისი ქონება შეაფასა ოცდაათ მილიონ დოლარად. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სენატის საბჭოს თავმჯდომარემ მაკლელანმა. თუმცა ტელერეპორტიორები შეებრძოლნენ მაყურებელს, რომ აჩვენებდნენ იმას, „რაც ჯერ არასოდეს უნახავთ“, მაგრამ პროცესის საჯარო გადაცემამ ყველას იმედი გაუცრუა. მოწყენილობას უჩიოდნენ წამყვანი ჟურნალების რედაქტორებიც. მათ მხოლოდ იმის ჩაწერა შეძლეს, რომ ვიტო ჯენოვეზემ თავისი სიტყვაძვირობითა და დამამცირებელი თავაზიანობით შეურაცხყოფა მიაყენა საბჭოს თავმჯდომარეს. სენატორი მაკლელანი: „ხართ თუ არა შეერთებული შტატების მოქალაქე?“

ჯენოვეზე: „დიდი პატივისცემით ვარ განწყობილი თქვენდამი, მაგრამ უარს ვამბობ გიპასუხოთ, რადგან ჩემი დასტური შეიძლება ჩემს წინააღმდეგვე იყოს გამოყენებული. დიდად ვწუხვარ ბატონო თავმჯდომარე“.

სენატორი ივსი: „მინდა ვიცოდე, რატომ არ გინდათ უპასუხოთ თავმჯდომარის შეკითხვას, რომელიც არავითარ ზიანს არ მოგაყენებთ. ხართ თუ არა შეერთებული შტატების მოქალაქე?“

ჯენოვეზე: „თქვენდამი დიდი პატივისცემის მიუხედავად ბატონო სენატორო, პასუხზე უარს ვაცხადებ, მე მაქვს ამის უფლება!“

სენატორი ივსი (აწეული ხმით): „თქვენ რა გრცხვენიათ, რომ შეერთებული შტატების მოქალაქე ხართ?“

ჯენოვეზე: „იძულებული ვარ კვლავ გავიმეორო, რომ პასუხზე უარს ვაცხადებ".

მომდევნო ასოცდაათ შეკითხვაზე ჯენოვეზემ ასევე უპასუხა. საბჭომ დაასრულა დაკითხვა განცხადებით, რომ საშიში დამნაშავე ჯენოვეზე დასცინის სასამართლოს და ბრძანება გასცა, რომ გამოძიების ფედერალური ბიუროსა და ფინანსთა სამინისტროს აგენტებმა ჯენოვეზეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ. ეს დავალება არცთუ ადვილი შესასრულებელი იყო, ვინაიდან „ნათლია" იშვიათად ტოვებდა კვალს ან მოწმეს.

ექვსი თვის დაუღალავი ძებნის შემდეგ პოლიციამ მიაგნო საიდუმლო ჯაჭვს ნეაპოლი — ნიუ-იორკი. მოულოდნელი და მეტად სასარგებლო თანაშემწე გამოდგა 1958 წლის აპრილში დაპატიმრებული კურიერი ნელსონ კანტელოპე. შეყვარებულ ნელსონს სამუდამო პატიმრობა ელოდა. გამომძიებელი შეპირდა: „თქვი რაც იცი ფირმის შესახებ, ვინ მართავს მას და ციხეში მხოლოდ ათი წლით ჩაგსვავთ, რომელთაგან ხუთს ჩამოგაკლებთ სანიმუშო ყოფაქცევისათვის. იფიქრე საცოლეზე".

„ნათლიის" დაცვის შეფმა ტონი ბენდერმა სიბრაზისაგან მთლად გაწითლებულმა, ბოლომდეც ვერ შეძლო ოქმის ამოწერის წაკითხვა. „ეს კანტელოპე სიკვდილით დასჯის ღირსიც კი არ არის. ვბრძანებ, იგი ცოფიანი ძაღლივით ტყვიით განგმიროს პირველივე შემხვედრმა!" მაგრამ ბრძანების სწრაფად შესრულება შეუძლებელი იყო, ვინაიდან პროკურორმა მეტად საჭირო მოწმე კარგად დაცულ ციხეში მოათავსა. ნელსონი ციხიდან გაანთავისუფლეს 1965 წლის ბოლოს. მაგრამ საცოლეს ნახვა მას არ დასცალდა. წყურვილმა იგი უახლოესი სასტუმროს ბარში მიიყვანა. მაფიამ სწორად განსაზღვრა გატანჯულა და შეწყალებული ნელსონის პირველი ნაბიჯები. პროკურორის თანაშემწის მიერ ინფორმირებულმა მკელელებმა, მას ლუდის დალევაც არ აცალეს.

სიტყვები „...მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა თხუთმეტიდან ოცდაათ წლამდე" ჯენოვეზეს შორიდან ჩაესმა. განაჩენის შეცვლა ვერ შეძლეს საპელაციო სასამართლოში ევროპიდან ჩამოყვანილმა საუკეთესო ადვოკატებმაც კი. მესამე დღეს ატლანტის ციხის ზედამხედველებმა გამოიტანეს ჯენოვეზეს წერილი. „შემსრულებელ თანაშემწეებად ვნიშნავ ტომი რიანა ებოლისა და ჯერარდო კატენას. ისინი უხელმძღვანელებენ

ჯახს“ ჩემი მითითებების მიხედვით განაჩენის შეცელამდე!“—
ასანებდა ჯენოვეზე.

გამოცდილ მაფიოზის ჯენოვეზეს იმედი ჰქონდა, რომ მის
ტს შეინარჩუნებდა ეს „ორი მამლაყინწა“. მაგრამ ამ დიპ-
ლომატიურ ნაბიჯს არაფრად დაგიდევდათ ტასტინ მემკვიდრე
ნი ბენდერი. „ნათლიის“ კვერთხის აჩრდილს ის დაემშვი-
ა მხოლოდ 1962 წლის 8 აპრილს. ტონი რამდენიმე წელი
„ორი მამლაყინწას“ რიანასა და კატენას უჩინარ მცველად.
ისში კი ქალბატონი ბენდერი „კოზა ნოსტრას“ „უმაღლესი
ჭოს“ სხდომაზე ჩიოდა: „ტონის უკანასკნელი სიტყვები, რო-
ც ვურჩიე პალტო ჩაეცვა, იყო: „არ ღირს, მე მხოლოდ ცო-
გავიელი“. და მართლაც, არ ღირდა, ვინაიდან ათი წუთის
ღეგ ტონიმ ბეტონის პალტო ჩაიცვა, რათა ნელ-ნელა ჩაშ-
ელიყო ჰუდსონის ფსკერზე.

გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა კვლავ გაიხ-
ეს ჯენოვეზეს ადიუტანტი, მაგრამ ვალაჩი უკანასკნელ
ის გაუჩინარდა და თავი შეაფარა კანადის დედაქალაქს. ხე-
ორედ იგი კონექტიკუტში დაიჭირეს და მიუსაჯეს თხუთ-
ი წლის პატიმრობა. გავიდა ექვსი თვე და მართლმსაჯულე-
სხვა შტატებშიც აღასრულა სამართალი და ვალაჩის კიდევ
ი წელი დაუმატეს.

ჯენოვეზე, რომელიც ციხის დიდებული საკნიდან ხელმძღ-
ლობდა ბოროტმოქმედთა სამყაროს, განუწყვეტლივ ფიქ-
და თანამონაწილის შედარებით პატარა სასჯელის შესახებ.
ნაკლები მიუსაჯეს, მაგრამ რატომ? მომავალმა „ოქროს
ღერაგლა“ და „წყეულმა მოღალატემ“ ვალაჩიმ შეამჩნია,
ძველი მეგობრებიც კი, მასთან ერთად რომ ტკეპნიდნენ ცი-
ეზოს, თავს არიდებენ მას. ატმოსფერო დღითი დღე იძა-
ოდა .ვალაჩის, რომელმაც იცოდა ბენდერის ხვედრი, სოხო-
ციხის დარაჯებს, შეეტყობინებინათ „ნათლიისათვის“, რომ
ახიულობს აუდიენციას. დადგა მიღების მომენტი და ვალა-
ელმოჩნდა შეფის ტელეფონითა და ტელევიზორით მოწყო-
საკანში.

„ძვირფასო მეგობარო, — დაიწყო ჯენოვეზემ საზეიმო
ი, — თუ გაქვს წითელი ვაშლებით სავსე კალათა და მაგ
ის აღმოაჩენ თუნდაც ერთ დამპალს, ბუნებრივია, ის უნ-
ადააგდო, რომ სხვა ვაშლები არ გააფუჭოს“.

ვალაჩი შეშინებული იყურებოდა და ძლივს პოულობდა
ბედაობას თავი დაეცვა:

„თუ მე დანაშაული ჩავიდინე, მომეცი აბი, რომ შენს თვ
წინ გადავყლაპო!“

„ვინ გითხრა, რომ შენ დანაშაული ჩაიდინე?“ — უპას
ჯენოვეზემ და აცახცახებულ ვალაჩის აკოცა. „ნათლიის“
ხის ადიუტანტმა რალფმა წაიჩურჩულა: „სიკვდილის ან
რი!“

გაბრუებული ვალაჩი გრძელი დერეფნით ბრუნდებოდა
ვის საკანში. „ნათლიამ“ განაჩენი გამოუტანა! შიში კიდევ
რო გაძლიერდა, როდესაც ერთმა ტუსაღმა შეატყობინა,
ჯენოვეზემ განაჩენის სისრულეში მოყვანა დაავალა ჯოზ
პალერმოს, რომელსაც უფრო ჯო ბეკის სახელით იცნო
ვალაჩიმ შესანიშნავად იცოდა, რომ ყველგან სიკვდილ
დებოდა და ამიტომ მოითხოვა ცალკე საკანში მოეთავს
სამი დღე-ღამის უძილობის შემდეგ იგი გამოვიდა ჰაერ
სასეირნებლად. მაგრამ გაზაფხულის ნიავით ტკბობა მ
ხანს არ მოუწია. ციხის ეზოს მოპირდაპირე მხრიდან გ
სამი კაცი. ისინი უხმოდ უახლოვდებოდნენ. ვალაჩი ელ
წრაფით შეტრიალდა კედელთან მდგარი მინაშენისაკენ
ეგდო რკინის მსხვილი ძალაყინი. მინაშენის კუთხიდან
ნას თვალყურს ადევნებდა მეოთხე პატიმარი. ვალაჩის
ნა, რომ ეს იყო იარებით დამახინჯებული ჯო ბეკის ს
ხელი სტაცა ძალაყინს და მერე არც არაფერი ესმოდა, ვ
რაფერს ხედავდა, მხოლოდ რკინას იქნევდა. მიწაზე დავ
ლა კაცის სახე სისხლმა დაფარა. ყოველი შემთხვევისათვ
ლაჩიმ კიდევ ორჯერ ჩასცხო რკინა. უცებ მის გვერდით
და ციხის დარაჯი და დაუყვირა: „მომეცი აქ ჯოხი!“

„თავი დამანებე, თორემ შენც მოგკლავ!“ — უპასუხა ვ
ჩიმ. ვალაჩის ეგონა, რომ ფორმიანი კაციც „ნათლიას“
შემწე იყო.

გამოძახებულმა მშველელთა ჯგუფმა ძლივს დაიმორ
ვალაჩი. ხანმოკლე დაკითხვის შემდეგ ციხის დირექტ
აჩვენა მას ფოტოსურათი: „შენ იცნობ ამ კაცს?“

„არა“.

„ეს ის ადამიანია, რომელიც შენ ახლახანს მოკალი“.
ტო „ჯალათი“ ჯო ბეკისა არ იყო. ეს იყო ჯიბის ქურდი

ება, ყოფილი ტაქსის მძღოლი, რომელიც ერთი თვის შემდეგ
და განთავისუფლებულიყო ციხიდან.

ჯოზეფ ვალაჩის წარუდგინეს არჩევანი—ელექტროსკამზე სი-
ცოცხლე, ან სამუდამო პატიმრობა იმ პირობით, რომ ითანამ-
შრომლებდა პოლიციასთან. იმაში, რომ მან ეს უკანასკნელი აი-
ჩია, დიდი როლი შეასრულა ნიუ-იორკში მცხოვრები ჩეხი
ადვოკატის ლდერიხ ლ. ჰაკენბრუგის იმ დროს გამოცემულმა
ბროშურამ. „განწირული შემთხვევების“ ადვოკატმა თავის ნაწარ-
მოებში „სიმარტოვის ზეიმი“ დეტალური სიზუსტით აღწერა
ამდენიმე განგსტერის უკანასკნელი წუთები საშინელ ელე-
ქტროსკამზე სიკვდილით დასჯის წინ.

ორი წლის შემდეგ გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენ-
ტებს მიერ სრულიად გამოწურული ვალაჩი ჩვენებას აძლევ-
და კლენანის საბჭოს. მან დაადასტურა, რომ „მშრალი კანონ-
ის“ შეცვლის შემდეგ ლუჩანომ, კოსტელომ და ჯენოვეზემ მო-
ინახულეს გამდიდრების ახალი გზა — აზარტული თამაშები და ნარ-
კოტიკები. ვალაჩის თქმით, „მათ შეწყვიტეს უსარგებლო მკვ-
ლელობები და ყურადღება გადაიტანეს ვაჭრობაზე“. ვალაჩის
ჩვენამდე ამერიკას ეგონა, რომ „მარდერ ინკორპორეიტიდი“
განგსტერების ფანტაზიის ნაყოფი იყო, მაგრამ სენატის გამო-
ძიების შემდეგ ხალხმა ირწმუნა, რომ სიკვდილის საწარმო
ფენილეში არსებობდა და წარმოადგენდა მკვლელთა საკ-
მაოდ კარგად ორგანიზებულ საზოგადოებას.

გამოძიების ფედერალურმა ბიურომ, ამერიკის შეერთებული
შტატების ფინანსთა სამინისტრომ და ნიუ-იორკის შტატის
უზენაესმა სასამართლომ მთავარი მოწმე ვალაჩი დაპკარგეს
1951 წლის 5 აპრილს. გუბერნატორის გადაწყვეტილებით, მაკ-
ლანის კომიტეტთან თანამშრომლობის გათვალისწინებით
ვალაჩი ციხიდან უნდა განთავისუფლებულიყო 1980 წლის დე-
კემბერში. მაგრამ, როგორც ჩანს, ის არ მიილტვოდა თავისუფ-
ლებისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ შურისმაძიებელ „ნათლია“
ალიო ჯენოვეზეს მასზე დიდხანს არ უცოცხლია. ამერიკის დე-
ბალაქის ყველაზე გულუბრყვილო მოქალაქეც არ მისცემდა
ნებადაც ერთ ცენტსაც კი, სანაძლეოში, რომ ვალაჩი ციხის
ფეხს უფრო მალე გადმოაბიჯებდა, ვიდრე მაფიის სამიზნედ
იქცეოდა. ალბათ, ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ ვალაჩი ცხოვ-
ბოდან საკუთარი ნებით წავიდა.

ვიტო ჯენოვეზეს პირობითად განთავისუფლების უკა-
ნელი შეამდგომლობა ადვოკატებმა წარადგინეს 1969 წ
იანვარში. ერთი თვის შემდეგ „ნათლია“ ვიტო ჯენოვეზე გ
დაიცვალა ქალაქ სპრინგფილდის ციხის იზოლატორში.

„ნათლიის“ ანდერძის შემსრულებელი გახდა მისი ძმა მა
ლი. მაიკლ ჯენოვეზეს სახელი პირველად გაისმა ამერიკის
ლევიზიით ჯო ვალაჩის ალსარების პირდაპირი გადაცე
დროს. „ოქრის მომღერალმა“ მაშინ ძალზე დაბნეულად და
თუ დამაჯერებლად აღნიშნა, რომ ვიტო ჯენოვეზე დამნაშავ
ბის იმპერიას კონტროლს უწევს ციხიდან ძმის მეშვეობით.
ტო თითქმის არავის ენდობა, ხოლო ყველაზე საიდუმლო
კარეულებებს გადასცემს პირადად მას, რეგულარული ყოვ
თვიური ვიზიტის დროს.

მაიკლ ჯენოვეზე თავისი მეტსახელის — „უჩინარის“ ერ
გული დარჩა 1976 წლამდე. სიბერეში შესული ბატონი ჯენ
ვეზე, რომელიც ამდენი წელი ებრძოდა პატივმოყვარეობას, ბ
ლოს და ბოლოს, აჰყვა ემოციებს. რატომ არ გამოვიდეთ ჩრ
ლიდან, ამბობდა მისი ცოლი, თუ ჩვენი ქალიშვილი მშობ
ბის სამშობლოში გათხოვდება?

ბოქორწილეთა მანქანები გაემართნენ რომის წმინდა მარ
მის ტაძრისაკენ, თუმცა ქუჩაში მოძრაობის ნიშნები ამას ს
ტიკად კრძალავდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა იტალ
პოლიციამ ამერიკელი სტუმრების გამოჩენა შეამჩნია.

ფრაკში გამოწყობილი მაიკლ ჯენოვეზე თავს იცავდა: „ჩ
არაფერი დაგვიშავებია, მხოლოდ ქორწილი გვაქვს წმ. მარ
მის ტაძარში.

— ტაძართან მანქანით მისვლა აკრძალულია, — უპასუ
პოლიციელებმა.

— ჩვენ მოვვცეს უფლება.

— კი მაგრამ, როგორ მოახერხეთ?

— ძალიან უბრალოდ, ჩემმა ვაჟმა დარეკა რატუშაში
მოითხოვა გამონაკლისის სახით დართონ ნება ტაძრის წინ მ
დანზე 100 ავტომობილის გასაჩერებლად. მას უპასუხეს, ბ
ბატონი ჯენოვეზე არ საჭიროებს ნებართვას, რომ არაფ
განსაკუთრებული ჩვენთვის არ გაუკეთებიათ და რომ ეს ქა
ქის ხელისუფალთა მხრიდან უბრალო თავაზიანობაა“.

პოლიციასთან „ამ უსიამოვნო შემთხვევის შემდეგ“ ალშ

ებულმა მაიკლ ჯენოვეზემ იტალიის დედაქალაქში, კელავ ქალაქის ხელისუფალთა ნებართვით, მოაწყო პრესკონფერენციაჰ „პატრიცია იმსახურებს იმას, რომ მისი ქორწილის შესახებ მთელმა ქვეყანამ გაიგოს. მე რეკლამას არ ვსაჭიროებ, მაგრამ თუ ასე გაინტერესებთ, რაშიც თქვენმა მრავალრიცხოვანმა შეკითხვებმა დამარწმუნეს, გეტყვით შემდეგს: ჩვენ იტალიელები ვართ! ვიცი, რომ საზოგადოებრიობას თქვენ არაფერს ცუდს არ შეატყობინებთ. ახლა კი მისმინეთ! მე დავიბადე ტურინში 1906 წელს. რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენ გადავსახლდით ამერიკაში. ვცხოვრობდით ლონგ-აილენდზე. ჩვენი საბრალო მამა გარდაიცვალა, როდესაც 20 წლისა ვიყავი. ვმუშაობდით სასაკლაოზე და ასე დავაგროვეთ სახლის ფული. არაფერი განსაკუთრებული, ეს იყო რვა ოთახისაგან შემდგარი პატარა შენობა. ის, ვინც დღეს ამტკიცებს, რომ მე და ჩემი ძმა მაფიას ვეკუთვნოდით და განსვენებულ მამასთან ერთად ვიცავდით სასაკლაოს, „ამატყუარაა!"

ჯენოვეზეს „ოჯახმა" მალე „დააგროვა" დიდი სასაკლაოს შესაძენი ფული, შემდეგ ქარხანაც იყიდეს: „ჩვენ ბევრი მეგობარი გვყავდა. ჩვენ მათ სამსახურს ვუწევდით, ხოლო ისინი მადლობით გვიხდიდნენ. კარგ ხალხში ასეა მიღებული".

— ბატონო ჯენოვეზე, პირადად თქვენ ხომ მალე იყიდეთ ქარხანა?

— დიახ, ახლაც მისი მფლობელი ვარ. თორმეტ ავტომუერკონს ყოველდღიურად დააქვს ამერიკაში სხვადასხვა საქონელი, რომელსაც მე ვღებულობ იტალიიდან. ძირითადად ესაა წ'ალი, კარაქი, პამიდორი.

— სარემონტო ქარხანაზე რას იტყვით?

— რა შეკითხვაა! რა თქმა უნდა, მე მაქვს ქარხანა, სადაც სარემონტებენ მანქანებს და არამარტო ჩემსას. იმ ასორმოცდაათ მუშას მე კარგ ხელფასს ვუხდი და კარგადაც ვსრუნავ მათზე. მაგრამ რაიმე განსაკუთრებულია იმაში, რომ ჩემს ქარხანაში მხოლოდ სიცილიელები მუშაობენ? ჩვენ მეგობრები ვართ!

— ბატონო ჯენოვეზე, თქვენი ძმაც კეთილი იყო, სულ ეიღაცას იცავდა ან სამსახურს უწევდა მეგობრებს, უპირველეს ოვლისა, სიცილიელებს.

— ამით რისი თქმა გსურთ?

— მხოლოდ იმისა, რაც ვთქვი, ბატონო ჯენოვეზე.

— იცით რა, ყმაწვილებო, დაცვა — ეს
ტყვაა. მას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხ
და მიხედვით, თუ როგორ დავწერთ ან
და ვიტოსათვის იგი ყოველთვის დახმარ
დიას, მე ყოველთვის ვეხმარები მას, ვის
როგორც ჩემი ძმა ვიტო. ისიც კეთილი
ბოდა, ხოლო თუ ადამიანი პატიოსანია,
გიხადოს ამ დახმარებისათვის.

— ბატონო ჯენოვეზე! თავი დავანე
პრობლემას და გადავდოთ იგი მომავლის
ბიც იზიარებენ თქვენს პრინციპებს?

— შვილები? პირველ რიგში, ისინი
ვი სცენ ძველ ტრადიციებს. უნდა იცოდ
რსება, ოჯახის ღირსება. ვიტო ყოველთ
ლგაზრდობაში იდრიკება. ძველი ხის მო
იგი გადატყდება!" ამ პრინციპებით ვზრდ
ბადებიდან. ჩვენი კრედოა სიმკაცრე, სამ
კანონების პატივისცემა.

ჩემი ცოლი წარმოშობით ნეაპოლიდ
დაც მეორე მსოფლიო ომის დროს მსახუ
სცემს პატივს ამ პრინციპებს. თუ ბავშვს
მე უნდა ვიცოდე—ვისთან ერთად. მაგალი
პატრიციას ქმარი სკოლაში სწავლობ
ერთად. იგი ვერასოდეს ვერ ბედავდა
ნობას, ვინაიდან მათი ოჯახიც, ისევე
პატივცემულთა რიცხვს ეკუთვნოდა. ეს
ოჯახი.

შეხედეთ, ბატონო რედაქტორებო, მ
რათს გაჩვენებთ. აქ მათი პატარა პური
რომ მათ ბევრი მეგობარი ჰყავდათ, რო
ტივს სცემდნენ და სამსახურს უწევდნენ,
მო, რომელიც განუწყვეტლივ მუშაობს ო
ვლობაში, კვირა დღეებში და დღესასწ
ზარა ფერერას ოჯახი იტალიური პური
ყანას. ამერიკას სერავს ორასორმოცდა
რომლებსაც გადააქვთ პური და ფერერ
ვერავინ ვერ გაბედავს... თუმცა ვერავინ

კარგ საქონელს, როგორც ლაზარა ფერერას ფირმა!

— რა აჩუქეთ თქვენს ქალიშვილს ქორწილში, ბატონო ჯენოვეზე?

— არაფერი, ჯერ არაფერი. შეიძლება მოგვიანებით...

— ძვირფასეულობაც კი?

— არა, ეს ქმარმა უნდა უყიდოს. მე ხომ მას ვაჩუქე ყველაზე ძვირფასი ქვა — ჩემი ქალიშვილი პატრიცია!

— მაგრამ სიძეს თქვენ ნაკლებად ეხმარებოდით.

— რად უნდა მას დახმარება? თუ თქვენ გულისხმობთ ამ ბოდიერ ნივთს — „როლს-როისს"?

— ბატონო ჯენოვეზე, გვიამბეთ კიდევ რაიმე თქვენი ძმის შესახებ.

— არ მესმის, რატომ ტრიალებთ სულ ვიტოს გარშემო? მე ჯერ ვაცხადებ: ეს იყო ანგელოზი ანგელოზთა შორის. ხოლო თუ თქვენ მხედველობაში გაქვთ ის, რომ მან „მშრალი კანონის" მოქმედების პერიოდში გაყიდა რამდენიმე ბოთლი სასმელი, უნდა მოგახსენოთ, რომ მაშინ მას მხარს უჭერდნენ ამერიკაში მეტად პატივცემული პიროვნებები, პოლიტიკოსები, ადვოკატები. მათ პასუხს არავინ სთხოვთ. ისინი სამინისტროებში სხედან, ფლობენ დიდ საწარმოებს, აბანდებენ ფულს მთელს მსოფლიოში, ხოლო მათი შვილები წარადგენენ თავის კანდიდატურას მერებისა და სენატორთა პოსტებზე. ჭეველა მათგანმა იცის, რომ ვიტო პატიოსანი ადამიანი იყო. ეს წერილობით დაადასტურა ამერიკის არმიის არაერთმა ოფიცერმა, რომელთაც ვიტო ეხმარებოდა. ვიტო შეერთებული შტატების მოქალაქე იყო. მე მინდა, რომ თქვენ ამის ანგარიში გაუწიოთ. დაწერეთ ამის შესახებ გაზეთებში! გააგებინეთ ყველას, რომ ცნობა, რომელიც გაზეთში დაიბეჭდა ჩემი შვილის ვათხოვების თაობაზე, მე სრულიადაც არ მომწონს!

— ბატონო ჯენოვეზე, „კოზა ნოსტრას" საგეარეულო ნუსხაში თქვენ მოიხსენიებით, როგორც „დონ" ვიტოს მთავარი კურიერი და საქმის გამგრძელებელი.

— რომელი გამგრძელებელი? მე ვიზიტების დროს მხოლოდ მეგობრების მოკითხვებს გადაეცემდი. ვფიქრობ, რომ ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია. ჩვენ ყოველთვის ვისხედით ერთმანეთისაგან ერთი მეტრის დაშორებით, გარდა ამისა, დაცვაც იქ იყო. მერე რა, რომ დაცვამ არ იცოდა სიცილიური დიალექტი?

მხოლოდ ერთხელ მოითხოვა ვიტომ გადაცემის მიღება. მ
მოინდომა ნეაპოლური მაგარი ყველი.

— ასე ზღუდავდა თავის თავს? მას ხომ მილიონობით დ
ლარი ჰქონდა, რაც თვითონვე გამოუტყდა საგადასახადო კ-
ნტორას.

— ამერიკის საგადასახადო კანტორაში მხოლოდ კანტ
ლარიის ვირთხები მუშაობენ. ვიტო არ იყო მდიდარი! ხოლ
ყველის ამბავს თქვენ ვერ მიხვდით.

— მაგრამ, იესებ ბისმა მეგობრებმა — ლუჩასო

პაერში იყვნენ. ზოგ მათგანს საბგზავრო ბილეთი ჰქონდა ბრიოლად პალერმომდე, ფრანკფურტამდე, პარიზამდე ან ლონდონამდე. სხვებს მიეწერებოდათ „კოზა ნოსტრას“ ბასტიონებისაკენ ნიუ-იორკში, ბოსტონში და ჩიკაგოში.

ერთი წლის შემდეგ პოლიციის ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ რომში, „კოზა ნოსტრას“ „უმაღლესმა საბჭომ“ გააერთიანა ქორწილი და „მაფია ინტერნეიშენელის“ ევროპული უილიალების შეფების თათბირი.

19. ITAVEJDOMARE JIOFAS „FEXITBRUL SAQMEKRULEBA“

ეს ფანტასტიკური ამბავი, რომელსაც მაკლელანის საბჭო განიხილავდა, დაიწყო 1957 წლის დასაწყისში. დამოუკიდებელმა ვაშინგტონელმა რეპორტიორმა კლარკ უილენდორფმა მოინახულა პროფკავშირის ყოვლისშემძლე ლიდერი ჯეიმს რიდლ ჰოფა და მიმართა მას: „ბატონო თავმჯდომარე, მე მაქვს საკმაოდ საინტერესო ცნობები „ტიმსტერს იუნიონის“ მუშაობის შესახებ და მჭირდება ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობა მანამ, სანამ დავიწყებდე წერას ამის შესახებ და...“

ჰოფამ მოსულს არ დაამთავრებინა: „ყველაფერს თავისი ფასი აქვს. როგორია თქვენი? ვფიქრობ, რომ ხუთი ასდოლარიანის ფასად შეწყვეტთ სხვის საქმეებში ცხვირის ჩაყოფას!“ საქმე ეხებოდა სატვირთო ავტოტრანსპორტის მძღოლთა პროფესიულ კავშირს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცნობილი იყო, როგორც „ტიმსტერსი“, რაც კლასიკურ ინგლისურ ენაზე ნიშნავს ოთხთვალს. ჯეიმს ჰოფას ბატონობის დროს ეტლები მნიშვნელოვნად შეიცვალნენ. ამერიკაში იყო სამი მილიონი თანამედროვე ურიკა. ცხენები კი, რომლებიც მათ ეწევიან, სატვირთო ავტომობილების ძრავებში იყო მოთავსებული.

„ტიმსტერსს“ სხვადასხვა საქონლის მთელი მოცულობის 70 პროცენტი გადაჰქონდა წყნარ და ატლანტის ოკეანეებს შორის. არ სცდებოდა ჯეიმს ჰოფა, როდესაც ამბობდა: „ჩვენ სამრეწველო მაგნატებზე უფრო ძლიერნი ვართო!“ 1957 წლიდან

დაწყებული 14 წლის განმავლობაში იგი გიგანტის სათაეში იდგა. როდესაც საჭიროდ თვლიდა, ამერიკის ქალაქებისა და შტატების ცხოვრების დეზორგანიზაციას ახდენდა. მისი კავშირის წევრები დაატარებდნენ ბავშვებისათვის რძეს დეტროიტში, ნიუ-იორკსა, ან ბუფალოში, აცარიელებდნენ ან პირიქით ავსებდნენ სამრეწველო საწყობებს ახალი ნაკეთობებით, დეტალებითა და ნედლეულით. ისინი მუშაობდნენ წარმოების ნარჩენების გატანაზე, ემსახურებოდნენ აეროპორტებს, პოლიციას, ხელისუფლებასა და „კოზა ნოსტრას".

ჰოფამ თავისი პროფკავშირის ფულით „აირჩია" ცხრა მოსამართლე, კონგრესში წარადგინა სენატორი ოჰაიოს შტატიდან. „ტიმსტერსის" ექსპლუატაციის ხარჯები 25 წლის წინათ 400 მილიონ დოლარს აღემატებოდა, ხოლო თავმჯდომარის პირადი ქონება — 12 მილიონს, მაგრამ ჰოფას რეგულარულად უნდა გადაეგზავნა მეათედი მილიონი „კოზა ნოსტრას" სალაროში. 30 წლის ერთგული თანამშრომლობის პერიოდში მან კარგად გაიცნო მაფია და მისი მეთოდები. ისინი ანგარიშს უწევდნენ ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ ჰოფა არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. „მეგობრებში უთანხმოება სიკვდილს ნიშნავს!" — ამბობდა იგი და ფხიზლად ადევნებდა თვალყურს, რომ კავშირის საქალაქო კომიტეტებს დროულად და სრული რაოდენობით შეეტანათ გადასახადები.

„კოზა ნოსტრა" ვალს იმით უბრუნებდა, რომ სთავაზობდა სამსახურს, მოღალატე პოლიციელებს, კონკურენტთა მანქანების ამფეთქებლებს, სხვადასხვა სახის მდიდრულ გართობებს. კავშირის საიდუმლოებაში ჩაწვდომის პირველი შესაძლებლობა გაჩნდა მაშინ, როდესაც სენატორმა მაკლელანმა „კოზა ნოსტრას" საქმიანობის გამოძიების უფლება მიიღო. ჯონ კენედი, მაშინ ამერიკის შეერთებული შტატების მომავალი პრეზიდენტი, გახდა მაკლელანის გამომძიებელთა ჯგუფის ხელმძღვანელი. მისმა ძმამ რობერტმა, კომიტეტის მთავარმა იურისკონსულტმა, დეტექტივის როლი გაითამაშა. როჯერსის ფსევდონიმითა და ასისტენტ კარმინო ბელინის თანხლებით დაიწყო წყნარი ოკეანის სანაპიროს პროფკავშირული ორგანიზაციების დაზვერვა. ეს საქმე გაცილებით რთული იყო, ვიდრე 1956 წელს, როდესაც პროფკავშირის იურისკონსულტმა ნათან შერფერმანმა ჩიკაგოს სასტუმრო „პალმერ ჰაუსში" კენედის დოკუმენტების

მთელი დასტა გააცნო. საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ სრულიად უცნობმა იურისტმა რობერტ კენედიმ თითქმის უშრომლად მიიღო დამამტკიცებელი საბუთები იმის შესახებ, რომ დეივიდ ბეკი, იგივე დეივი, აღნიშნული პროფკავშირის თავმჯდომარე, ბანდიტი იყო. ამ აღმოჩენამ კენედის შესძინა ამბოხჩეველთა ხმები, თუმცა პროფკავშირის ძირითად საქმიანობაში არაფერი არ შეცვლილა.

პროფკავშირის შეფებმა გადაწყვიტეს, რომ თავმჯდომარის ადგილი თავისუფალი დარჩებოდა ბეკის ციხიდან გამოსვლამდე, მაგრამ დაპატიმრებულის სურვილით, მისი ფუნქცია გადაეცა მის საყვარელ მეგობარს ჯეიმს რიდლ ჰოფას. ახალგაზრდა ჯეიმს ჰოფა, როგორც მალე გამოირკვა, ეკუთვნოდა უმადურ ადამიანთა რიცხვს და მაშინ, როდესაც ბეკი საკანში იტანჯებოდა, მან ინტრიგების ქსელის გაბმა დაიწყო.

დეივ ბეკმა დაიფიცა, რომ შურს იძიებდა და ციხეშიც განაგრძობდა ტრაბახს თავისი დამსახურებებით. თავის ყველაზე დიდ დამსახურებად იგი თვლიდა ფულის უაზროდ ფანტვას. მან ვაშინგტონში 5 მილიონ დოლარად აიშენა მინისა და ქრომის უზარმაზარი შენობა. მისი კაბინეტიდან, რომელსაც მთელი სართული ეჭირა, მოჩანდა თეთრი სახლი. ბეკმა დაანგრევინა თავისი რეზიდენცია მიდლ ვესტში და ახალი უფრო არისტოკრატიულ ნორდ ვესტში აიშენა. პროფკავშირის პრეზიდიუმმა მას ცალკე ვილაც აჩუქა ადმინისტრაციის რეზიდენციის ახლოს. მწვანე გაზონების ხალიჩა გადაჭიმული იყო მახლობელი ტბის ნაპირებამდე. ბეკი უკვე სიბერეზეც ფიქრობდა და მალე ვილა ისევ საბჭოს მიჰყიდა 165 ათას დოლარად, ოღონდ იმ პირობით, რომ სიკვდილამდე ექნებოდა შენობით სარგებლობის უფლება. მიღებული თანხა კი მან მაღალი პროცენტებით დააბანდა.

პროფკავშირების სალაროდან ბეკის მიერ მითვისებულმა თანხამ, საფინანსო ექსპერტების აზრით, 320 ათას დოლარს მიაღწია. მფლანგველი თავმჯდომარე იურიდიული ხრიკების საშუალებით გარკვეულ ხანს გაურბოდა გამოძიებას, მაგრამ საგადასახადო მაქინაციებმა ის ბოლოს და ბოლოს სასამართლომდე მიიყვანეს. ციხეში ყოფნის მთელი ხუთი წლის განმავლობაში პროფკავშირის პრეზიდიუმი მას ზარალის ანაზღაურების სახით ყოველწლიურად უხდიდა 50 ათას დოლარს.

„ეს კარგია“ — ამბობდა ბეკი, ამ დროს კი მის კაბინეტში დააბიჯებდა დაბალი ტანის ჯმუხი მამაკაცი კვადრატული სახით, რომელსაც ოდესღაც დევიდ ბეკი ეუბნებოდა: „შენ ჩემი შვილი ხარ“.

ჯეიმს ჰოფა, რომელიც ყოფილი კეთილმოსურნეს თვალში ამჟამად შხამიან გველს წარმოადგენდა, დეტროიტის რესტორანების, გეტოსა და ქარხნის მილების ჯუნგლებში იზრდებოდა. 18 წლისამ სამუშაო იშოვა საზღვაო პორტში და საათში 32 ცენტს ღებულობდა. თითოეულ თავის მეგობარს სასაცილო მეტსახელი შეარქვა, უყვარდა ჭვავის არაყი და ჩხუბი. სწორედ ავტომობილების ქალაქში მოაწყო ჰოფამ თავისი პირველი გაფიცება და აიძულა ფირმა დათმობაზე წასულიყო იმით, რომ საშიშროების წინაშე დააყენა ტონობით მარწყვის მანქანა-მაცივრებში ჩატვირთვა. იმ პერიოდში სამრეწველო სფეროებში ძალზე მკაცრი წესები მოქმედებდა—მეწარმეები ამბოხებულებთან საბრძოლველად დამკერელურ რაზმებს ქირაობდნენ და იარაღის საშუალებით ცდილობდნენ „წესრიგის“ დაცვას.

დროთა განმავლობაში ჰოფამ ისეთი სახელი მოიხვეჭა, რომ დეტროიტის სატვირთო ტრანსპორტის მძღოლთა კავშირის ხელმძღვანელობამ ის თანამემწედ დანიშნა ქალაქის ერთ-ერთ ფილიალში.

ბეკს უზომოდ მოსწონდა ბიჭი, რომელიც 1913 წლის ყინვიან იანვარში ბრაზილიაში მოევლინა ამ ქვეყანას. ხოლო, როდესაც გაიგო თუ რაოდენ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა „მის ბიჭს“ საეჭვო რეპუტაციის მქონე ადამიანებთან, მაშინვე მოიხმო კინცელარიაში.

ჰოფას ინტიმური მეგობარი სილვია პაგანი, რომელთანაც მას ოთხი წლის განმავლობაში ჰქონდა ურთიერთობა, ცოლად გაჰყვა „კობა ნოსტრას“ „ნათლიას“, ლუჩანოს მეგობარს — ფრენკ კასტელას.

ეშმაკმა ჯეიმს ჰოფამ ადვილად მოიპოვა სიყვარული ამ ოჯახში, რომელსაც „ბედნიერება მოუტანა“. „ნათლია“ კასტელასთან ერთად ის მსჯელობდა მომავლის გეგმებზე და გულის ამოუყვლელად ზრუნავდა თავისი ყოფილი ინტიმური მეგობრის სილვიას ვაჟზე. ყმაწვილს სახელად ერქვა ჩარლზ ო' ბრაიენი. რამდენიმე წლის შემდეგ მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჰოფას მკვლელობაში.

1937 წლის თებერვალში დეტროიტის ტრანსპორტის მუშებმა გაფიცვა მოაწყეს. ჰოფამ, რომელმაც უკვე ერთგულება შეჰფიცა მაფიას, ფრენკ კოპოლას დახმარებით შეძლო დაერწმუნებინა „კოზა ნოსტრას“ ბოსები, რომ ამ სიტუაციაში ნეიტრალური დარჩენილიყვნენ. „ჩვენ მეწარმეებზე მეტს მოვცემთ“,— განაცხადა მან. „კოზა ნოსტრას“ უმალლესი საბჭო დათანხმდა და კოპოლასა და ჰოფას დააკალა საერთო ხელშეკრულების შემუშავება. ხელშეკრულებამ მაშინვე დაიწყო მოქმედება. „პროფკავშირელებმა“ გაიმარჯვეს, ჰოფა კი მოელვებასავით გაქრა. მალე პროფკავშირულ ცენტრს, რომელიც ჰოფას მეტისმეტად მემარცხენედ მიაჩნდა, შეუერთდა მძღოლების ჯაჭვი მეზობელი მინესოტიდან. ცნობილ დეტროიტელ მოღვაწეს თავისი კოლეგებისათვის მორჩილებისაკენ უნდა მოეწოდებინა. თუ როგორ მოახერხა ეს, მან მოგვიანებით განაცხადა სატელევიზიო გადაცემაში: „... ასამდე კუნთმაგარი ბიჭის თანხლებით გავემართეთ მინესოტისაკენ და უბრალოდ ოში გამოვუცხადეთ მათ“.

მეზობელ შტატში ავანტიურისტული გამოხდომის წარმატებამ ჰოფას შთააგონა ახალი საგმირო საქმეები. უპირველესად, მან საკუთარი რანგი შეიცვალა „კოზა ნოსტრას“ ვანგსტერის როლანდ მაკმასტერის ოცეულით. ეს, თითქოს [illegible] საშინელებებისაგან გამოქანდაკებული ფიგურა ერთგულად თან სდევდა ჰოფას მთელი მისი თავგადასავლიანი კარიერის წლებში.

ორი მეტრის სიმაღლის როლანდი ცხვირზე ნაიარევით, თხელი ტუჩებითა და შუშის თვალებით, ნეტარებით იგონებდა იმ კეთილ დროს, როდესაც ხალხი, ხმაურიან ქუჩებშიც კი, მოკრძალებითა და შიშით უთმობდა მას გზას. „თავდაპირველად კეტები და ლითონის წკეპლები გვქონდა, შემდგომში კი უპირატესობა საუკეთესო კოლტებს მივანიჭეთ“.

ორგანიზებულ დანაშაულობებში მონაწილეობამ ჰოფას საკუთარი იმპერია შეუქმნა. ზოგჯერ მხოლოდ ოკისი ძალის სადემონსტრაციოდ იგი კრძალავდა ხალის დაკარგვას მაღაზიებში, ხოლო ერთი-ორი ღლის შემდეგ მიდიოდა და ათვალიერებდა საწყობებს, სადაც ლპებოდა ბანანები, ვაშლი და სხვა ხილეული.

დევიდ ბეკმა ვემო გაიცინა-ფულს და დათანხმდა, რომ ჰოფას

გაეფართოვებინა მაფიასა და პროფკავშირის ცენტრს შორის ხელშეკრულება. ამ დროიდან ბეკი და ჰოფა ფლობდნენ დოლარებსა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, როგორც ხელისუფლების პირად საშუალებებს. ისინი საწევრო შესატანებით აფინანსებდნენ სხვადასხვა საეჭვო დაწესებულებებს, უნივერმაღებსა და სათამაშო სახლებს ლას-ვეგასში, თაყვანს სცემდნენ მაფიასა და მეწარმეთა საერთო პრინციპს იმის შესახებ, რომ საჭიროა კონკურენტებისა და არაკეთილმოსურნე მოქალაქეების მოსყიდვა ან მოსპობა. მათი მეგობრები საბჭოს პრეზიდიუმსა და „კოზა ნოსტრაში" განგსტერული დუეტისაგან საშობაოდ ღებულობდნენ ვილებსა და მდიდრულ „კადილაკებს" ტელეფონებითა და ბარებით.

1955 წლისათვის კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ჰოფა მიეკუთვნებოდა ამერიკის ყველაზე მდიდარ ადამიანებს. ხოლო დაპატიმრებული ბეკის მაგივრად თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების დაწყებიდან 2 წლის შემდეგ, მისმა პოლიტიკურმა კარიერამ ზენიტს მიაღწია. ჰოფამ „კოზა ნოსტრასთან" ახალ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და კავშირის საპენსიო ფონდიდან მეგობრების სეიფში გადაიტანა მილიონი დოლარი. ეს თანხა აუცილებელი იყო ნევადაში კაზინოს მშენებლობის დამთავრებისათვის. ამ დროს თავმჯდომარის წინააღმდეგ გამოვიდა მისი პატივმოყვარე და შეუპოვარი მოწინააღმდეგე—რობერტ კენედი. ორივე ერთმანეთის სრული განადგურებისათვის იბრძოდნენ. ლიფტში ან რესტორანში შეხვედრისას ერთმანეთს ბობს და ჯიმს ეძახდნენ, მაგრამ სენატის გამოძიების კომიტეტის წინაშე, ან რეპორტიორების კითხვებზე პასუხის გაცემისას ერთმანეთის მიმართ საშინელი ზიზღის გრძნობით იმსჭვალებოდნენ. ნებისმიერ შემთხვევაში ორივე შესანიშნავი მსახიობი იყო. ჰოფა ჩვეულებრივ ხელით უთითებდა სენატორზე და ყვიროდა: „ამ კაპიტალისტმა არამზადამ ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ დაძაბა ძალ-ღონე, როდესაც უნდა დაბადებულიყო. მაგრამ მას ამაშიც ეხმარებოდნენ!"

კენედი ასევე პასუხობდა ჰოფას: „მე ამ დამნაშავისა და საზოგადოებრივი მავნებლის შეხედვაც კი არ შემიძლია!" პროფკავშირული შეფის წინააღმდეგ მას უბიძგებდა სურვილი შეენარჩუნებინა პოპულარობა, რომლითაც მისი ოჯახი სარგებლობდა მთელ ქვეყანაში.

ჰოფა მისთვის ჩვეული მანერით უტევდა. მან იწახულა მაკ-ლელანის კომიტეტის გავლენიანი მოხელე ჯონ ჩისტი და მა-გიდაზე 18 ათასი დოლარი დაუდო: „მე მინდა გავიგო კომიტე-ტის წევრების აზრი, თუ შესაძლებელია რეგულარულად. შემ-დეგში დამატებით გადავიხდი!“

ჩისტმა მოაჩვენა, რომ დათანხმდა, მაგრამ იმწამსვე ყველა-ფერი აცნობა კენედის. ჰოფას შემდეგი ვიზიტის დროს ფულის გადაცემისას გაჩნდნენ გამოძიების ფედერალური ბიუროს აგე-ნტები ფოტოგრაფის თანხლებით. კენედი ტკბებოდა გამარჯვე-ბით და ელოდებოდა სენატის კომიტეტის გამოძიების შემდგომ ეტაპს.

აუდიტორიაში ერთ მხარეს კენედის ოჯახური კლანის კარ-გად აღზრდილი ბატონები დასხდნენ, ხოლო მეორე მხარეს ერთთავად მუქ ლურჯ კოსტიუმებში გამოწყობილი კეთილ-შობილი მამაკაცები „კოზა ნოსტრადან“. ამგვარად „კოზა ნოსტრამ“ იქ ყოფნით საჯაროდ გამოხატა ჰოფას მხარდა-ჭერა.

გამოძიება ცუდად გათამაშებულ პიესას ჰგავდა. 108 კითხვა-ზე ჰოფას მიერ გაცემული პასუხები სტერეოტიპული იყო: „თუ მეხსიერება არ მღალატობს... კაცმა რომ თქვას, არც კი მახ-სოვს“.

მხოლოდ ექვსჯერ თქვა მან რაღაც სხვა და ისიც იგივე მნიშვნელობით. ბოლოს კი ისევ კენედის მიმართა:

„ბატონო კენედი, მხედველობაში მიიღეთ, რომ ფეხები კელაგ მაგიდაზე გაქვთ შემოწყობილი, ამით თქვენ შეგიძლიათ გააფუ-ჭოთ მთავრობის კუთვნილი ქონება! ზოგიერთები ცდებოდ-ნენ, როდესაც ამბობდნენ, რომ თქვენ კარგად აღზრდილ-ხართ!“

ჰოფას შემდეგ სიტყვით გამოვიდა მოწმე თავმჯდომარის დაცვის შტაბიდან — ბარნი ბეიკერი. 150-კილოგრამიან მაფიოზ-თა „გორილასა“ და კენედის შორის შემდეგი დიალოგი გაიმარ-თა:

კენედი: „იცნობდით შილჰუნ დანეას?“

ბეიკერი: „თქვენ გინდოდათ გეთქვათ მისტერ ჯონ დანეასზ“

კენედი: „სად არის იგი ამჟამად?“

ბეიკერი: „ის თავისი შემქმნელის საძებნელად წავიდა“.

კენედი: „როგორ მოხდა ეს?“

ბეიკერი: „ნიუ-იორკში ელექტროსკამზე“.

კენედი: „შერიდანს იცნობდით?“

ბეიკერი: „ენდრიუ შერიდანი გყავთ მხედველობაში?“

კენედი: „დიახ“.

ბეიკერი: „ისიც თავისი შემქმნელის საძებნელად წავიდა“.

კენედი: „როგორ მოკვდა?“

ბეიკერი: „ისევე, როგორც ბატონი ჯონ დანეა“.

კენედი ჰოფას მიუბრუნდა და ნიშნის მოგებით ჰკითხა: „ხომ კარგად გაიგონეთ მოწმის ლაპარაკი?“

დარბაზში სმამალლა გაისმა ჰოფას პასუხი: „დიახ“.

კენედი: „არ გრცხვენიათ სამუშაოს მიცემა ისეთი დამნაშავეებისათვის, როგორებიც თქვენი მრჩეველები არიან?!“

ჰოფა: „სრულიადაც არა. რატომ უნდა მრცხვენოდეს? მათ ხომ კარგად იციან თავისი საქმე“.

გამოძიება სხვა გზით წავიდა. ისევ და ისევ ლაპარაკობდნენ ნაძარცვ დოლარებზე, ძალადობასა და სექსზე. რობერტ კენედის მრჩეველმა წაიკითხა ექსპერტის დასკვნა „walk in“-ისა და „call in“-ის მნიშვნელობებს შორის განსხვავების შესახებ.

პირველი — ეს ჟარგონული სახელია ვულგარული საროსკოპოებისათვის, სადაც ყველას შეუძლია შესვლა. მეორე — იმავე დაწესებულებას ნიშნავს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ კლიენტს უნდა ჰქონდეს სარეკომენდაციო წერილი და ჰოფასავით ბევრი ფული.

დაწერილებითი ცნობები კავშირის თავმჯდომარის ცხოვრების შესახებ მრავლდებოდა; ხუთასი დაკითხვა, 150 მოწმე, სტენოგრაფისტებმა ოქმების 26 ათასი გვერდი შეავსეს.

გამოძახებულთა შორის იყო სახელგანთქმული მოკრივე ჯო ლუისი, რომელიც, მას შემდეგ რაც დახარჯა კრივით ნაშოვნი მილიონები, თავმჯდომარე ჰოფას პირადი მცველი გახდა.

დაკითხვებმა აშკარა გახადა ამერიკული პროფკავშირების ნამდვილი სახე. ქვეყნის ერთ-ერთი ცნობილი პიროვნება, სატომობილო მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე, უოლტერ ფაუტერი გამოტყდა, რომ სატვირთო ტრანსპორტის მძღოლებთან ერთად შანტაჟს უწევდა მუშებსა და მეწარმეებს. სენატორებმა პირველად გაიგონეს, ეროვნულ შეხვედრაში ასე აჩვენებდნენ თავს, რომ „მშრალი კანონის“ გაუქ-

ების შემდეგ მაფია შეუშინდა ფედერალური კანონის მიღებას
ავშვთა გატაცებისთვის გარდაუვალი სიკვდილით დასჯის შე-
ახებ და ამიტომ პროფკავშირებში დაინახა შემოსაელის უფრო
�აფრთხო და სარფიანი წყარო.

ბრალმდებელი ზეიმობდა, მაგრამ მისი აღტაცება საადრეო
�ო. შვიდმა მოსყიდულმა ნაფიცმა მსაჯულმა და ათობით ნა-
ოდმა მოწმემ დაასრულა სპექტაკლი 1957 წლის 19 ივნისს
ამართლების განაჩენით, „არასაკმარისი დამამტკიცებელი"
ბუთების" მოტივებით.

კენედის გავლენიანმა კლანმა ასეთი დამცირების საპასუ-
ოდ მოამზადა ახალი კამპანია. ექვსი თვის განმავლობაში დე-
ტროიტში პროფკავშირის სამმართველოს ყველა სატელეფონო
აზის არალეგალური მოსმენის შემდეგ კენედიმ განაცხადა:
ჩვენ ისინი დავიჭირეთ! ამიერიდან, თუ მას კვლავ გაანთავი-
უფლებენ, გპირდებით, რომ გადმოვხტები კაპიტოლიუმის სა-
ურავიდან".

არ გასულა სამი თვეც და 1958 წლის 23 ივნისს ჰოფას
ამყვანმა ადვოკატმა ედუარდ ბენეტ უილიამმა კენედის შესთა-
აზა პარაშუტი გადმოსასტომად. კავშირის ექსპერტებმა, იური-
ტებმა და თაეკაცებმა იცოდნენ, სად როგორ უნდა მოქცეული-
ვნენ, ვისთვის რა ღაპირება მიეცათ და სად დაედოთ სქელი
ონვერტი.

ჯიმი ჰოფა გაქარწყლა და მისი გავლენაც კიდევ უფრო გაი-
არდა. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. ორი წლის შემ-
ეგ ჯონ კენედი გადავიდა თეთრ სახლში და თავისი ძმა რო-
ერტი იუსტიციის მინისტრად დანიშნა. ახალი მინისტრი დიდი
ნთუზიაზმით მუშაობდა, მაგრამ საშინელი სიმწარის გრძნობა,
ომელიც ჰოფასთან წაგებული თამაშით იყო გამოწვეული, არც
რთი წუთით არ სტოვებდა მას. რობერტმა 15 საგანგებო აგენ-
ისაგან შექმნა ჯგუფი უოლტერ შერიდანის ხელმძღვანელო-
ით. მათ ერთადერთი ამოცანა ჰქონდათ — ცისში ჩაეყვანა პრო-
ესიული კავშირის ყველაზე მდიდარი თავმჯდომარე. რობერტ
ენედის შერცხვენილი პრესტიჟიც აწუხებდა. მან მობილიზაცია
უკეთა იმ უწყებებსაც კი, რომელთა საქმეებში ჩარევის უფ-
ებაც კონსტიტუციით არ ჰქონდა. მაკრამ ძმა პრეზიდენტი იყო
ა ფინანსების მართვის საგადასახადო კანტორასა და ტრანს-
ორტის სამსახურებმა ეს ფაქტი სწორად გაითვალისწინეს.

განსაკურთებული განყოფილების მოხსენებებიდან იუსტიციის მინისტრი იგებდა, რომ ჰოფას კავშირი ჰქონდა მთავრობის ამა თუ იმ ორგანიზაციასთან, რომ ის საჯაროდ გამოთქვამ და უკმაყოფილებას ტელეფონების მოსმენის, პროფესიული კავშირის კანცელარიებსა და ზოგჯერ კერძო ბინებშიაც კი ფარული მიკროფონების დამონტაჟების გამო. კენედის აგენტებმა სკოლაში ჰოფას შეილიც დაკითხეს, შეკითხვებს აძლევდნენ მის მეგობრებსაც იმის შესახებ, თუ რამდენი აქვს ხოლმე ბიჭუნას სკოლაში ფული. ქვეყნის ავიაკომპანიებმა კი მიიღეს ბრძანება, სასწრაფოდ ეცნობებინათ იუსტიციის სამინისტროს განსაკუთრებული განყოფილებისათვის, ჰოფასა და კავშირის პრეზიდიუმის წევრებისათვის ავიაბილეთების მიყიდვის შესახებ.

1961 წლის ოქტომბერში კენედის უკვე გააჩნდა დამამტკიცებელი საბუთი ბრალდებისათვის, რომლის ბირთვს შეადგენდა კონსტატაცია იმის შესახებ, რომ ჰოფამ კავშირის სოციალური კომისიის მიერ პენსიონერებისათვის სახლის მშენებლობაზე გამოყოფილი თანხიდან მიითვისა 500 ათასი დოლარი.

ამავე დროს, მინისტრს უნდა გადაეწყვიტა ერთი უსიამოვნო გართულებაც. განსაკუთრებულმა ჯგუფმა გააფრთხილა ის, რომ ჰოფა ეკუთვნოდა ადამიანთა იმ წრეს, რომელიც აკავშირებდა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს „კოზა ნოსტრასთან". თავმჯდომარის დამცველებმა და „მეგობრებმა" კვლავ გაიმარჯვეს.

გავიდა მხოლოდ 56 დღე და ჰოფას კვლავ მოესმა პროკურორის ხმა. პოლიციის აგენტებს ბედმა გაუღიმა. მათ ნახეს ისეთი მოწმე, რომელიც მზად იყო ფიცის ქვეშ დაემოწმებინა, რომ საქმის წინანდელი განხილვის დროს ჰოფამ მოისყიდა ნაფიცი მსაჯულები — თითოეული 10 ათას დოლარად. ბოლოს და ბოლოს მაინც კენედიმ თქვა საბოლოო სიტყვა — სასამართლომ ჰოფას მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. 5 თვის შემდეგ ამას კიდევ დაუმატეს 5 წელი პროფკავშირის საპენსიო ფონდის სახსრების დატაცებისათვის.

ნაფიც მსაჯულთა ხელახლა დანიშნულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო ჰოფას ცდა ძალის მეშვეობით თავიდან მოეშორებინა საშიში მოწინააღმდეგე. გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა სასამართლოს წარუდგინეს „ჯოჯობეთური

სასწავლა", რომელიც ჰოფას „ბიჭებმა" იუსტიციის მინისტრის
ალაქგარეთა რეზიდენციაში მოათავსეს.

1967 წლის მარტიდან ჰოფა სასჯელს იხდიდა პენსილვანიის სახელმწიფო ციხეში, პროფესიული კავშირის სათავეში კვ დადგა მისი პირველი მოადგილე ფრენკ ფიტცსიმონსი. კავშირის საფინანსო საქმეები გადავიდა ჯეკ დორფმანის ხელში, რომლის მამა კარტს ეთამაშებოდა ხოლმე დამნაშავეობის სამყაროს მეფეს ალ კაპონეს.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ფრენკ ფიტცსიმონსი რეგულარულად ნახულობდა ჰოფას, ისე, როგორც ოდესღაც ჰოფა ნახულობდა დევიდ ბეკს და სულ უფრო ხშირად ოცნებობდა ძალაუფლებასა და ფუფუნებაზე, რასაც მას თავმჯდომარის ფუნქციების შესრულება ჰპირდებოდა. სრულიად რეალური ხდებოდა ფიქრები საკუთარ რეაქტიულ თვითმფრინავზე, სამსახურებრივ ვილაზე ქალაქში და 156 ათას დოლარზე წელიწადში.

ჯეიმს ჰოფა თანდათან კარგავდა მალე განთავისუფლების იმედს. 1971 წლის მარტამდე სასამართლომ ორჯერ უარყო ვადაზე ადრე შეწყალების შუამდგომლობა. მაგრამ სად იყვნენ კოპოლა და „კეთილშობილთა საზოგადოება"? რას აკეთებდნენ მეგობრები კავშირის პრეზიდიუმიდან? აპრილში, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, პატიმარი კვლავ ინახულა მეგობარმა ფიტცსიმონსმა. „ჯეიმს, — უთხრა მას შეხვედრის ბოლოს ერთგულმა მეგობარმა, — დროებით უარი თქვი თავმჯდომარის ფუნქციებზე, ეს საშუალებას მოგვცემს გამოვტაცოთ შენი თავი ადვოკატურობას, მერე კი კვლავ აგირჩევთ! ჰოფა ბევრს ფიქრობდა, არ უნდოდა, რომ შემცდარიყო, როდესაც სხვა მეგობრებმაც დაუდასტურეს, რომ თავმჯდომარის თანამდებობაზე დასაბრუნებული იქნებოდა ფიტცსიმონსი, რომელიც უარს იტყოდა ამ თანამდებობაზე. მაშინვე, როგორც კი ჰოფა ციხიდან გამოვიდოდა, ჰოფა დათანხმდა.

ორი კვირის შემდეგ ფიტცსიმონსი აირჩიეს თავმჯდომარედ 5 წლით და მან მაშინვე დაურეკა თეთრ სახლში მრჩეველს, ჩარლზ კოლსონს: „ჩარლი, შეიძლება მისი განთავისუფლება იმ პირობით, რომ აღარ წამოაყენებს თავის კანდიდატურას არჩევითს თანამდებობაზე!"

ბატიმარმა თეთრი სახლიდან საახალწლო სიტყვარი 19
წლის 23 დეკემბერს მიიღო.

ყოველი შემთხვევისათვის, ჰოფამ სთხოვა დირექტორს ;
გო იუსტიციის სამინისტროში, ხომ არ არის მისი შეწყვ
შეზღუდული ხელისუფალთა რაიმე პირობებით. პასუხი მა
ვე მიიკიდა — „არავითარი შეზღუდვა არ არსებობს!"

ჰოფა სახლში დაბრუნდა. მას მაშინვე შემოესვივნენ
პორტიორები. ერთ-ერთმა მათგანმა ბედნიერ ჰოფას წაუკი
ანონიმური ოფიციალური ოქმიდან: „...პრეზიდენტმა შეარბ
სასჯელი იმ პირობით, რომ ჯეიმს ჰოფა არ მიიღებს არც პ
დაპირ და არც არაპირდაპირ მონაწილეობას რომელიმე პრო
სიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის არსებულებში 19
წლის 6 მარტამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალაში შევა თ
დაპირველი განაჩენი". ჰოფა გამძვინვარდა: „ეს ტყუილ, ფრ
ოიტცსიმონსმაც!.. მიმიიურთხებია პრეზიდენტის შეწყალ
ბისა. ვადაზე ადრე განთავისუფლება მე შეშეძლო მიმე
კანონით 1974 წელს და ყოველგვარი პირობების გარეშე.
ხომ 1980 წელს 67 წელი მისრულდება". მაგრამ, როდესაც
შვიდდა, პირობების შესახებ დაივიწყა და კვლავ მოინდომა
პერიის ხელში აღება. მაგრამ მის ამ მისწრაფებას არავინ
უჭერდა მხარს. კავშირის ახალ შეფს არავითარი სურვილი ა
ჰქონდა დაეთმო თავისი სავარძელი. გარდა ამისა, უცნობ
მსროლელების ჩარევამ ხელი შეუწყო იმას, რომ ჰოფას ჯგუ
ფი ძალიან შეეხელდა. ამიტომ ჯეიმსი ფრთხილად უნდა ყო
ფილიყო, მაგრამ ძალაუფლების სურვილი ძალზე ძლიერი იყო
და როგორც ყოველთვის, თავისი მიზნის მისაღწევად ის ნების
მიერ საშუალებას იყენებდა. ჰოფამ გადაწყვიტა თვალები აეხი
ლა კავშირის წევრებისათვის, თუ კი მას ხელმეორედ აირჩევ
დნენ! მან განიზრახა ეამბა „კოზა ნოსტრასთან" მეგობრული
მოლაპარაკების შესახებ. ეს მისი უკანასკნელი იდეა აღმოჩნდა.

1975 წლის 28 ივნისს საღამოს თავმჯდომარე ჰოფა მეგო
ბარმა ტონი ჯაკალონემ სამომავლო გეგმების განსახილველად
მიიწვია რესტორან „რედ ფოქსში" (წითელი მელა). ჰოფა ხა
ხარულით დათანხმდა. 30 ივნისს სადილის წინ ჰოფა გაემგზა
ვრა რესტორანისაკენ ლეიკ ორიონში. გზად მან შეიარა აერო
პორტთან მდებარე ავტობადგომის კანცელარიაში და მიიღ
თავისი წილი, რადგან რამდენიმე წლის წინათ ამ ბიზნესშ

—„ეახდა ფული პროფკავშირის სალაროდან. იქვე იყო ძვე-
ი პარტნიორი ლუის ლანტი. ჰოფას აშკარად სურდა, რომ
ი შეხვედრის შესახებ ყველას სცოდნოდა. „რესტორანში მე-
ველებიან ანტონიო ჯაკალონე, ტონი პროვენცანო და ეინზე
ე" — უთხრა მან ლინტის.

ანტონიო ჯაკალონე „მარდერ ისკორპორეიტიდში" ჯალათის
ალეობას ასრულებდა, ტონი პროვენცანო 1961 წლიდან
ტ ნიუ-ჯერსის სატვირთო ტრანსპორტის მძღოლთა კავში-
ის პოსი იყო, ლენი კი — ჯაკალონეს ხელზე მოსამსახურე.
ამ ანტონიო რესტორანში არ გამოჩენილა. იმ დროს, რო-
ც ჰოფა ნერვულად სვამდა წითელ ღვინოს, ჯაკალონე
ოქლის აბანოში ბანაობდა ათამდე „ნდობით აღჭურვილი"
ელით გარშემორტყმული.

საბის ნახევარზე, დათქმული დროიდან ნახევარი საათის
ადეგ, ჰოფამ სასლში დარეკა — „ჯაკალონეს არ დაურეკია?"
ლმა უარით უპასუხა. ჯეიმსმა კვლავ აკრიფა ავტო-
ბილის ტელეფონის ნომერი, მოიხმო ლინტო და უთხრა:
ქაკმა დალახერეს, ჯაკალონე არ მოვიდა. იქნებ ვერ მოა-
ხა, ხომ არ იცი სად იქნება?" ეს იყო უკანასკნელი სიტყვე-
, რომლებიც მისგან ლინტომ ან საერთოდ ვინმე სხვამ გა-
ა.

ჰოლიციამ გამოძიებით დაადგინა, რომ ჰოფა დაბრუნდა
ესტორანში და იქ ესაუბრა ჩარლზ ო' ბრიენს, მისი ყოფილი
აყვარლის ვაჟს, რომელიც ჯაკალონეს თანამშრომელი იყო. ამ
კანასკნელმა დაითანხმა ჰოფა გაჰყოლოდა სახლში, სადაც თით-
ის ანტონიო ჯაკალონე უნდა მისულიყო. მაგრამ იქ მას ელო-
ებოდა სამი მკვლელი: თომას ანდრეტა, ჯიმი სალვატორე და
ბრიელ ბრიეულიო. მათ მოკლეს ჰოფა, გვამი ლითონის კასრ-
ი ჩატენეს და დეტროიტში, დიბორნის კვარტალში, ფორდის
ერხნის სანაგვეზე დააგდეს.

ბოგვიანებით ჩარლზ ო' ბრიენს „მეგობრების" წრეში წა-
ისცდა: ჯეიმსი ავტომობილის ფრთად გადაიქცაო.

სატვირთო ტრანსპორტის მძღოლების პროფესიული კავ-
ირის თავმჯდომარის საიდუმლოებით მოცულმა აღსასრულმა
ველვარება გამოიწვია შეერთებულ შტატებშიც. ჯმუხი ჯე-
ს ჰოფას ისტორიამ საზოგადოებას ამცნო მაფიასა და ზოგი-

ერთ პროფკავშირულ ლიდერებს შორის მჭიდრო კავშირ-
არსებობის შესახებ. ჰოფას მემკვიდრე ფრენკ ფიტცსიმონ-
კი, ჯერ კიდევ 1978 წლის ივნისში არ მალავდა თავის სიძ-
თიებს „კეთილშობილთა საზოგადოებისადმი“. პრესკონფერენ-
ციის მონაწილეებს ხშირად ესმოდათ მისი სიტყვები: „პრო-
ვენცანა ჩემი მეგობარი იყო და დარჩება მომავალშიც“.

ტონი პროვენცანა, რომელსაც ვიწრო წრეში ტონი პრი-
ემაბდნენ, რაღაც საშუალებებით დაუსხლტა ჰოფას წინააღ-
ღეგ მიმართულ აფიორას, მაგრამ მოგვიანებით მაინც მოხვ-
ციისში ენტონი კასტელიტას მკვლელობაში მონაწილეობის-
ოვის.

ცუდი ბედი ეწია კავშირის ბანკირს ჯეკ დორფმანსაც. გ-
მოძიების ფედერალურმა ბიურომ აშკარა გახადა მისი „ძმური“
ურთიერთობა ნიკ ჩიველისთან, „კოზა ნოსტრას“ კანზასელ
„ნათლიასთან“.

1980 წლის პირველი დღეებიდანვე „კოზა ნოსტრასა“ დ-
ჰოფას ძველი ხელშეკრულების აღდგენაზე ზრუნავდა შეწყ-
ლებული ანტონი პროვენცანა. მან იკისრა ლას-ვეგასში კაზ-
ნოზე მეთვალყურეობის კონტროლი. მომდევნო წლის ივნისში
ის კვლავ ჩავიდა ლას-ვეგასში, თუმცა სულ სხვა მისიით. პრო-
ვენცანა სხვებთან ერთად არჩეული იყო განსაკუთრებულ დე-
ლეგატად, რომლებსაც ახალი თავმჯდომარე უნდა აერჩიათ
ფიტცსიმონსის ადგილი დაიკავა 66 წლის როი უილიამსმა კან-
ზას-სიტიდან.

პროფესიულ კავშირებსა და მაფიას შორის „მეგობრულ-
ხელშეკრულების“ დამაარსებლად საფუძვლიანად ასახელებენ
ალბერტო ანასტაზიას ან ჯეიმს ჰოფას, თუმცა მათი „ხელოვ-
ნება“ საოცარ სრულყოფამდე მიიყვანეს „ნათლიებმა“ ვიტი
ჯენოვეზემ და კარლო გამბინომ.

20. ᲓᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲨᲘᲜᲐᲝᲕᲘ

ვიტო ჯენოვეზეს სულის მოსასსენებელი წირვის ოს მუსიკოსები ისე კარგად ასრულებდნენ ნაწყვეტებს ვერ- ს „რექვიემიდან“, რომ ცრემლებიც კი მოჰგვარეს დამწუხ- ბულ სტუმრებს. სამაგიეროდ საზოგადოებამ საღამოს მოილ- ა. დამნაშაულობის სამყარო, როგორც ეს იტალიელებს სჩვე- ით, განსაკუთრებული ზარ-ზეიმით აღნიშნავდა გარდაცვა- ბასაც და მეფედ კურთხევასაც. ახალი „ნათლიას“ — გამბი- ს, მომავალი „capo di tutti capi“-ის სახე ნოჭებით დაფა- ლიყო. მას პოლიციის თავდასხმისა არ ეშინოდა, აღელვებ- მხოლოდ იმპერიის შიგნითა უთანხმოებანი, რომლებიც საქ- ისე აფუჭებდნენ, როგორც სწრაფი მდინარე გამოხრამავს ლმე თიხნარს. უთანხმოებანი, რომლებიც გამბინოს მშვიდ ობის საშუალებას არ აძლევდნენ, მრავალი წლის წინ და- ო.

პროფაჩის მოადგილე ჯოზეფ კოლომბოსა და გალოს ის ოს ძმას შორის შუღლი და მტრობა გადაიზარდა სიხ- ან შურისძიებებში და ანადგურებდა ყველას, ვინც გზაზე კა- ყრებოდა. კლანის თავკაცი ჯო გალო, კოლომბოს აზრით, ისმეტად აპარტავნობდა. გალოს „ოჯახი“ კი თვლიდა, რომ მიუღია შეპირებული ტერიტორია „მარდერ ინკორპორეი- დის“ დირექტორის ალბერტო ანასტაზიას მკელელობაში აწილეობისათვის, კოლომბო კი დაუმსახურებლად დაავიწ- ვეს.

ათწლიანი ომის მსველელობაში კოლომბომ მოასწრო შეექ- იტალია-ამერიკის ახალი კავშირი, გამხდარიყო მიზეზი 28 ის დაქვრივებისა, 36-მა მაფიოზიმ და 5-მა არამკიცხემ მი- წყალობით ყავარჯნები შეიძინა. გალოებს იგი ზემოდან და- რებდა — არავითარი ტრადიცია არ გააჩნიათ მაგ გადამჭიე- ხსო. გალოს კლანის დამაარსებლებს შორის არ იყო არც ი კეთილშობილი „ხარი“ ძველი სიცილიური „ჯოვიდან“. გალოებს კი შეტევისათვის და კუთვნილის დაპატრონები- ვის საკმაო ძალა არა ჰქონდათ.

სიძულვილმა ისინა ინტრიგებამდე მიიყვანა იმ ი[illegible], ᲒᲐᲚᲝᲡ კოლომბო ციხეში მიხვდებოდა.

ორიეე მსარეს ათობით მამაკაცი დაეღუპა. გამარ[illegible]ის

ომედი გალოებს 1972 წლის 7 აპრილს გადაეწურათ. ამ დღ
იტალიურ რესტორან „უბბერტო კლან ჰაუზში“ (მანჰეტენ
სამხრეთი ნაწილი) შევიდა ჯო გალო. მაფიის შინაომმა ბ
ხელი ვერ შეუშალა თაფლობის თვე გაეტარებინა თავის მეო
მეუღლე სინასთან. მისი მცველი პეტერ დიაპოულასი, რადგ
სიციელიელი არ იყო, კარისაკენ ზურგით იჯდა. დევნილ
და დამსჯელთა ძირითადი კანონის ეს უხეში დარღვევა
წლის ჯო გალომ გვიან შენიშნა. მკვლელები მის საყვარე
რესტორანში გვერდითი კარებიდან შევიდნენ. სამმა განგსტერ
მა კარაბინა დი ბიასეს მეთაურობით ოცჯერ გაისროლეს, ძერ
ქანში გაცვივდნენ, დაძრულ მანქანას შეახტნენ და გაუჩინარ
დნენ.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ ჯო გალოს მაინც მიფოფხდა მალბერისა და ჰეს
ლერის ქუჩების გადაკვეთამდე და გარდაიცვალა ბიჯმანის სა
ავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ. „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ 197
წლის 9 აპრილს გამოაქვეყნა ერთგვერდიანი ვრცელი ნეკრო
ლოგი. მკითხველებმა შეიტყვეს, რომ ოდესღაც მაკლელანის
კონგრესის წინაშე რობერტ კენედის შეკითხვაზე — „რამდენ
ხანია მაფიაში ხართ?“ ჯო გალომ ქედმაღლურად უპასუხ
„აქ ჭაბუკო, კარგი ხალიჩაა. მასზე კარტი ხომ არ გვეთ
ამაში?“.

ქვეყნის 26 შტატის გაზეთებმა დაბეჭდეს დაკრძალვის ამ
სახიელი ფოტოები და იქვე მოიყვანეს ჯოს დის, კარმელა
მიერ კუბოსთან წარმოთქმული შურისძიებით აღსავსე სიტყვე
ბი: „კვლავ დაიღვრება სისხლი ქუჩებში!“

ჯო გალოს შემდეგ „ოჯახის“ მართვა ხელთ აიღეს მისმ
ძმებმა ალბერტმა და ლარიმ. მათ მემკვიდრეობით გადაეცა
ზიზღი, შურისძიების ვალდებულება და გაწვრთნილი ლომი
რობლის თანხლებითაც ჯო გალო დადიოდა ურჩ გადამხდელე
ბთან.

ნაზი და ელეგანტური კარმელას წინასწარმეტყველება ას
რულდა: 10 აპრილს მოკვდა ჯენარო კიპრიო, ორი დღის შემ
დეგ რიჩარდ ქროსმენი, 16 აპრილს ტყვიით განგმირული დაე
ცა უილიამ დელარუსი, 19 აპრილს სიცოცხლეს გამოასალმე
დევიდ ვოლოვსკი. შემდეგ ამას მოჰყვა ტომას გრაციანის, რო
ზარიო სტაბილის, ვიქტორიო პერსონოს, ალფრედო ბიანკო
ი ... ...ვა. მაისის სამგლოვიარო ზარი სამ კვირას გაის

მოდა, ბრუკლინის [illegible] ი შავი ჰალსტუხი დაუკვეთა.

მეორარ მაფიოზთაგან ბევრს არ ესმოდა, რა [illegible] ლგურეებელი გრიგალი მხოლოდ ღა ღა ბოლოდ „ნათლია“ [illegible] ინტერესებში იყო. შეუსაბამელი „[illegible] ძია“ [illegible] არ თაკილობდა მლიქვნელობა, არ დარდობდა ფულისა და საბრძოლო მასალის ხარჯვას. მას მხოლოდ პატივმოყვარეობა ამოძრავებდა, უნდოდა „ნათლიებს“ შორის პირველი გამხდარიყო. ეს კი ყველა კონკურენტის განადგურებას ნიშნავდა. ათობით „ჯარისკაცი“ გადაარჩინა სიკვდილს სიდნეი ბლეიტერმა, რომელიც დაქირავებული იყო გალოს „ოჯახის“ მიერ და ერთდროულად მსახურობდა გამოძიების ფედერალური ბიუროს ნიუ-იორკის ცენტრში.

სიდნეისად საიდუმლო აგენტი სლეიტერი ცოცხალი ლეშია. ბრავალი წლის ომის შემდეგ დამშვიდებული მაფიოზთა ოჯახები 60 ათას დოლარს შეპირდნენ მას, ვინც ტყვიით გაუხვრეტდა თავს ან სხვა რომელიმე სასიცოცხლო ორგანოს უნამუსო სლეიტერის სხეულს.

1976 წელს სლეიტერის კვალი საბოლოოდ დაიკარგა სხვადასხვა ციხეებსა და პოლიციის უბნების თავშესაფრებში, რომლებსაც იგი ხშირად იცვლიდა. ის დაბეჯითებით ვარაუდობს, რადგან გასუქდა და შიშით აღსავსე ხანგრძლივ წუთებს იმაში ატარებს, რომ მსურველებს უამბოს გალოს კლანისაგან მიღებულ ამაზრზენ შთაბეჭდილებებზე.

ლარი გალომ სლეიტერი მიიღო 36 „ინკასატორთა“ შორის. ისინი 60-იანი წლების დასაწყისში ბრუკლინის რესტორნებს „იცავდნენ“. როგორც სლეიტერი იხსენებს: „მე შრომისმოყვარე და პატიოსანი ვიყავი მთელი წლის განმავლობაში. ერთხელ გამომიძახა „ნათლია“ ჯო გალომ მთავარ კანტორაში, რომელიც უშნო სამსართულიან შენობაში იყო მოთავსებული. მაშინ პირველად ვნახე მთავარი ბოსი. მას საუკეთესო მუქი ფერის კოსტიუმი და თეთრი ქათქათა პერანგი ეცვა. თავადაც სასიამოვნო გარეგნობისა იყო. აუდიენციის დროს მან ათეულის მეთაურად დამაწინაურა. ეს ნიშნავდა თვეში 100 დოლარით ხელფასის მომატებას. ამიერიდან მე პასუხისმგებელი ვიყავი ათი გადასახადის ამკრეფის საქმიანობაზე. შემდგომში კი „ნათლიამ“ სავახშო პროცენტების აკრეფაც მომანდო.

სლეიტერმა თავის განკარგულებაში მიიღო ორი პირადი „მსროლელი“, რომებიც ხელებს უსვრეტდნენ მევალეებს, თუ ისინი არ მოისურვებდნენ რეგულარულად გადაეხადათ ოცდაათიანი, ხშირად კი ას პროცენტამდე ვადიანი სესხიც.

„ნათლია“ ჯო გალომ მსხვილი მეწარმეების მსგავსად შემოიღო მკაცრი სპეციალიზაცია. მას სამუშაოდ აჰყავდა ექსპერტი ეკონომისტები, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის ადვოკატები, ქუჩებში ბრძოლებისათვის მომზადებული მკვლელები, სნაიპერები, ცივი იარაღის გამოყენებით უხმაურო მკვლელობების მცოდნეები.

მოხერხებული სლეიტერი, ცნობილი თავისი ულმობელობით, კვლავ დაწინაურდა და გადავიდა კანცელარიაში. თუ გალოს აგენტები, ნიუ-იორკში სადმე მიაგნებდნენ მაღაზიის ან სასტუმროს მეპატრონეს, მათ ბანკროტობა ემუქრებოდათ, რადგან სლეიტერი იწყებდა მოქმედებას. ერთხელაც „სუსტი, მაგრამ ჯერ კიდევ შემოსავლიანი საწარმო ავარჩიეთ და „ნათლიამ“ ორიოდე თვით მის მმართველად დამნიშნა. ცხადია, ზოგიერთი ოპერაციის დროს მსხვერპლიც იყო, მაგრამ მე ამასთან საერთო არაფერი მქონია. ასეთი საქმეებისათვის „ნათლიას“ განსაკუთრებული ასეული ჰყავდა. პოლიციამ რაღაც იყნოსა და ჯაშუში მომიგზავნა. ერთხელ ბარ „გრილში“ ვიჯექი კუთხის მაგიდასთან „ნათლია“ ჯო გალოსთან ერთად. შემოგვიერთდა „ლეიტენანტი“ ჰიმან ოველი. „შეფ, კარგად შებრაწული მტრედი ავარჩიე, მისი სახელია ტედი მოსი. მის ხელთაა ცამეტი ბარი, დიდი სამზარეულო, ნახევარი მილიონი ვალი და შესაბამისი სიძნელეები“ — თქვა ჰიმანმა. „მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, — ჩაიცინა გალომ, — რომ ბატონი მოსი პარტნიორს ეძებს“.

სიდნეი სლეიტერი წამოხტა, ახლა მისი ჯერი იყო. მოსთან ის შეიარაღებული რაზმის თანხლებით მივიდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შთაბეჭდილება ვერ მოახდინა — მოსმა მაფიის სამსახური უარყო. ასეთმა ურჩობამ განარისხა „ნათლია“ გალო. მან დაურეკა მოსს და დაჰირდა, რომ კარგი მსროლელი ურჩს გვამად აქცევს, თუ ის ახლავე არ გამოცხადდება სასტუმრო „ვრილის“ კანცელარიაში, სადაც ბატონი სლეიტერი ხელს აწერს მოსის კომპანიონად დანიშვნის ხელშეკრულებას. რესტორანების მეპატრონე ტედი მოსი იმწამსვე გამოცხად-

და, მაგრამ სავაჭრო ნუსხების გარეშე. ორი წუთის შემდეგ ოხ იატაკზე ეგდო და ერთ-ერთი „ბსროლელი“ მას მძიმე რევოლ-ვერით „ამუშავებდა“. როცა დალლილმა ჯალათმა შესვენება ით-ხოვა, მოსმა თავაზიანად იკითხა — როგორ პირობებს სთავა-ზობს ბატონი ჯო გალო პარტნიორობისათვის? — „ცველაფერი ძალიან მარტივია, ჩვენ სესხად მოგცემთ მეოთხედ მილიონს და დღეიდანვე მიეიღებ მოგების ნახევარს ყველა შენი საწარმო-დან. თუ შენი საქმე გაუარესდება, გადაგვიხდი პროცენტებს გა-ლიდან“.

მეორე დღეს საცოდავი, ნაცემი მოსი გამოცხადდა თავისი მთავარი ბულალტრითა და სავაჭრო ნუსხებით. იმავე დილით, ბრუკლინის სახელმწიფო ნოტარიუსმა დაამოწმა ხელშეკრულე-ბა. საღამოს თანადირექტორ სლეიტერს სახლში მიეყვანა მე-გობარი ქალი. მას ხასიათი გაუფუჭა პოლიციის პატრულმა, რომელმაც გააჩერა წყვილი და სხვადასხვა შეკითხვა მისცა. რამდენიმე საწარმოს თანამეპატრონე მშვიდად პასუხობდა, მე-რე კი გზა განაგრძო. მას აზრადაც არ მოსულია, რომ გუშინ ბარ „გრილში“ მისი მაგიდის მახლობლად იჯდა ორი აგენტი გამოძიების ფედერალური ბიუროდან და დაძაბული ისმენდა მის. დიალოგს „ნათლია“ გალოსთან. რას იფიქრებდა, რომ მათ უკვე დააპატიმრეს გალო და ახლა ბეჭდავდნენ ბრალდებას, რომელშიც ის მოხსენიებული იყო საშიშ გამომძალველად.

პირველად ამ ორი „ჩიტის“ თანამშრომლობის მანძილზე, მსხვერპლი პოლიციაში მივიდა. მოსს გაუმართლა, რადგან ნო-ტარიალური კანტორის მახლობლად მდებარე პოლიციის გან-ყოფილებას არაფერი ჰქონდა საერთო მაფიასთან. სამაგიეროდ, სლეიტერს, რომელიც დააპატიმრეს და მერე გამოუშვეს 10 ათას დოლარად, ბედმა უმტყუნა.

განგსტერულმა ერთგულებამ სლეიტერი ისევ გალოს სამ-სახურში მიიყვანა. „ყმაწვილო, — განაცხადა ჯო გალომ, — მე მგონია, კოლომბომ ისარგებლა ჩვენი ხანმოკლე არყოფნით, ამი-სათვის ჩვენ მას ერთხელ და სამუდამოდ შევაჩერებთ!“

ომის პირველ დღეებში ლარი გალო საბანაოდ წავიდა. მცველი ნაპირიდან უყურებდა. უცებ ლარი წყლის ქვეშ გაქრა, ორმა მამაკაცმა დაიჭირა იგი და ჩასვა მოტორიან ნავში, ხო-ლო 30 წუთის შემდეგ ის უკვე კოლომბოს მთავარ კანტორაში იყო. სუსტი და მუდამ მთვრალი ჯენტლმენი ლარი ასე უამბობ-

და ძმებს რაც შეემთხვა: „მდინარის მეორე ნაპირზე ჩამაგდეს მანქანაში და დაბტოვეს სასტუმროში, სახელწოდებით „სამი მზე". ნომერში კისერზე მარყუჟი ჩამომაცვეს, როცა გავინძრეოდი, მარყუჟს მოუჭერდნენ ხოლმე. თვითონ ძალზე მხიარულობდნენ, ამბობდნენ, რომ ჩემს შემდეგ ასეთივე გართობა მოელით ჯოს, ალბერტს, „ლეიტენანტებსა" და ათისთავებს. მერე გრძნობა დაკარგე და საავადმყოფოში აღმოვჩნდი".

დეტექტივები მაშინ შეცვივდნენ ნომერში, როცა ლარი გალო თითქმის მკვდარი იყო. მათ გამოიძახეს სასწრაფო დახმარება და წავიდნენ სლეიტერის მოსაყვანად. „ძვირფასო, ბატონო სლეიტერ, ჩვენ პროკურორთან ერთად გადავწყვიტეთ გამოძალვისათვის ორი წელი მოგისაჯოთ. თქვენი საქმე ცუდადაა, კვლავ ციხეში მოხვდებით. თუმცა, ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს, თუ თქვენ გვაცნობებთ კოლომბოსა და გალოს ომის სტრატეგიულ გეგმებს. მერს არ სურს არავითარი სისხლისღვრა", — განუცხადეს მათ სლეიტერს.

სლეიტერმა თანხმობა განაცხადა. პოლიციის ახლადგამომცხვარი საიდუმლო აგენტი კვირაში სამჯერ აწვდიდა ინფორმაციას პოლიციას. ამგვარად მან ათობით ნიუ-იორკელს გაუხანგრძლივა სიცოცხლე.

მაგრამ სლეიტერის საქმიანობა შეწყდა მაშინ, როდესაც გალოს ეჭვები გაუჩნდა და ერთ მშვენიერ დღეს სამართებლით დაუსერა მას სახე. იგი თვალში უმიზნებდა, მაგრამ სლეიტერმა მოახერხა თავის მობრუნება. პოლიციამ დაკარგა კარგი ინფორმატორი და ამდენად საშუალება აღარ ჰქონდა ომი შეეჩერებინა.

დასუსტებულ გალოს თვითონ გამბინომ შესთავაზა დახმარება, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე პირიქით მის მოწინააღმდეგეებს აძარაგებდა იარაღით. საერთოდ ყველაზე მეტ საჭურველს დასუსტებული მხარე ღებულობდა. მომდევნო 26 თვის განმავლობაში სროლა იმართებოდა თითქმის ყოველ მეორე ქუჩაზე. ყველაზე შთამბეჭდავ შეტაკებებს მაყურებლები პირდაპირი ტელეგადაცემების დროს უყურებდნენ. რეპორტიორებს არ გამოპარვიათ გალოს მებრძოლების მიერ ბრუკლინის უნივერმაღიდან მყიდველთა გამოძევება და შენობის ციხე-სიმაგრედ გადაქცევა. შენობის ფანჯრებში ხილით სავსე ტომრები გაჩნდა. მაცივრები ბარიკადებად აღმართეს შესასვლელებში. თუკი კოლომბოს წარმომადგენელი უნივერმაღს მიუახლოვდებოდა,

მას ტეტიების წვინიო უნიპანსლდებიდნენ. ეს [illegible]ერებელი სანაბაობა ბხოლოდ მაშინ დამთავრდა, როდესაც უნივერსიტეტს ალყა შემოარტყა ეროვნული გვარდიის რაზმმა, რომელმაც გალოს შეშლილი მეორეები საკუთარ ხანს აშიშმილა.

დამკრძალავი კანტორების მსახურებმა, გამომძიებლებმა და მოსამართლეებმა ვერ შეძლეს მაფიის დაშოშმინება. კმაყოფილი იყო ბხოლოდ კარლო გამბინო, რომლის პირადი მდივანი სწორედ ამ დროს საგანგებო კონფერენციის მონაწილეებს აგზავნიდა. ნიუ-იორკის კვარტალ ფორესტ ჰილზის სასტუმრო „ლა სტელაში" შედიოდნენ „ნათლიები" არიზონიდან, კალიფორნიიდან, ფლორიდიდან და ტეხასიდან. ოცდათ ბოსს უნდა გაერკვია გამბინოს როლი ამ თამაშში. მაგრამ ეს „ნათლიები" ომის პირველი დღეებიდანვე ირიცხებოდნენ გამოძიების ფედერალური ბიუროს ნიუ-იორკის ცენტრის შავ სიაში. მათ ის იყო დაიწყეს თათბირი, გამბინო ლაპარაკობდა აუცილებელი ცვლილებების შესახებ, მაგრამ მას სიტყვა პოლიციამ შეაწყვეტინა.

ინსპექტორებმა ფრედ ლუსენმა და სანფორდ გარელიკმა დააპატიმრეს კარლო გამბინო, კარლოს მარცელო, ანიელ გროსი, ენტონი კორილა, ფრენკ კალიანო, ენტონი კორალო, ჯოზეფ მარცელო, მაიკლ მირანდო, თომას ებოლი, სანტო ტრაფიკანტე, დელაკროსი, ელონგუსი და კოლომბო.

პროკურორმა ნატ ჰენტელმა ბედნიერმა იმით, რომ „კოზა ნოსტრას" წინააღმდეგ ასეთი ეფექტიანი სვლა გააკეთა, მეორე დღეს ინფარქტი მიიღო — მისმა წარმომადგენლებმა მაფიოზები გაანთავისუფლეს თითოეულ კაცზე ასი ათასი დოლარის საწინდრით.

მილიონ სამასი ათასი დოლარი მიიღო მაფიოზებისათვის ცენტრალურმა სადაზღვევო სააგენტომ. ჰენტელმა სასამართლო პროცესის დროსაც ვერ მოიპოვა წარმატება. ბრალდებულები ამტკიცებდნენ: „ჩვენ ერთად ვისადილეთ და ვფაქრობდით, ვინ გადაიხდიდა გადასახადს თომას ლუჩეზეს მაგივრად (ამან შთაბეჭდილება მოახდინა), რომელიც სასიკვდილო სარეცელზე წევს".

თორმეტი გახარებული „ნაათლია" ადვოკატების კარგი მუშაობის წყალობით სახლებში მიიჩქაროდა. მეცამეტე კი, „პირველთა შორის უპირველესი" თავს იტეხდა — „ეჭვს გარეშეა

კოლომბომ გაგვცა. მას ტახტზე სურს ასვლა". და მართლაც, ყველაფერი ლაპარაკობდა ამ ვარაუდის სასარგებლოდ.

ჯოზეფ კოლომბომ ხელი მოაწერა ზავს გალოსთან, მაგრამ გამბინოს ის პატივს მაინც არ სცემდა. გამბინოს ძალიან სძულდა ახალგაზრდა თაობა, რომელიც ისწრაფოდა პოლიტიკოსებთან კავშირისაკენ და პატივს აღარ სცემდა კეთილშობილთა საზოგადოების ტრადიციებს. განსაკუთრებული ფუფუნებითაც სწორედ მოღალატე კოლომბო ცხოვრობდა. „დონ" კარლო გამბინო გაბრაზებული ისმენდა ცნობას იმის შესახებ, რომ კოლომბომ კვლავ ახალი ცოლი შეირთო, რომ მოდის თანახმად ფან იყიდა ქალაქგარეთ ვილა ჩოგბურთის კორტებითა და ბილიკით ცხენოსნობისათვის, რომ იგი თამაშობდა გოლფს და აწყობდა პიკნიკებს, იწვევდა სახელმწიფო მოხელეებსა და პოლიტიკოსებს, რომლებმაც ალბათ არც კი იცოდნენ, ვინ იყო ნიუ-იორკის ნამდვილი თავკაცი. მაგრამ საკუთარი დიდებით თავბრუდახვეული კოლომბოს უფრო დიდი ცოდვა ჯერ კიდევ წინ იყო. განდგომილმა, ძველი საპატიო „უნიონე სიცილიანო" გადააქცია „იტალიურ-ამერიკულ ლიგად" და საპატიო თავმჯდომარეობა შესთავაზა ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორს როკფელერს, რომელმაც ასეთ „პატივზე" უარი თქვა.

„ლიგის" არსებობის წლისთავისადმი მიძღვნილი ბრწყინვალე ზეიმის შემდეგ, რომელსაც კოლომბო ხელმძღვანელობდა, რესტორან „რავენიტ სოშიელ ქლაბში" გამბინომ თათბირი მოიწვია. ამ რესტორანში ის ხშირად აწყობდა აუდიენციებს „კეთილი ძიას" ნიღბით და თანამემამულეებს უჩვენებდა რისი მიღწევა შეუძლია თავმდაბალ მაფიოზის. მაგრამ როგორც კი გამბინო ხმას აუწევდა, მისი ადიუტანტები წამსვე იარაღისკენ მიიჩქარიდნენ.

„ნათლიის" ქვეშევრდომთაგან, რომლებიც სიღატაკემ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, ხოლო სასოწარკვეთილებამ დანაშაულამდე მიიყვანა, ცოტამ თუ იცოდა მის შესახებ, რომ გამბინო დაიბადა 1900 წლის 24 აგვისტოს ზაფხულის ჭექა-ქუხილის დროს, სიცილიის სოფელ ლერკარა ფრიდში, პალერმოს მახლობლად. ეს უკვე საკმარისი იყო იმისათვის, რომ გამბინოს წინ ფართოდ გახსნილიყო „კოზა ნოსტრას" ყველა ბოსის კარი. ლერკარა ფრიდი ხომ „შავი ხელისა" და „კოზა ნოსტრას" დამაარსებლების თომას გაეტანო ლუჩეზესა და სალვატორე კარლო ლუჩანოს სამშობლოა.

ოცი წლის სიცილიელი კარლო გამბინო გაქრა ნორფოლკში გემ „ამფორადან“. მას ელოდებოდნენ მდიდარი ბიძაშვილები — ძმები პიტერ და ბილ კასტელანოები. მათ ურჩიეს გამბინოს შეეყვარებინა მათი და კატერინა, რომელიც დიდი მასერიას დისშვილი იყო. მილიონები, რომლებიც გამბინომ „მშრალი კანონის“ მოქმედების დროს კონტრაბანდული სასმელის გაყიდვით დააგროვა, დაებანდა ფირმა კოკა-კოლას მაღაზიებში, ბოთლების წარმოებაში, შემდეგ კი ჯენოვეზეს მხარდაჭერით შანტაჟს უწყობდა სასაკლაოებსა და ხორცის მაღაზიებს. გისაც არ სურდა „დაცვისათვის“ დიდი თანხის გადახდა, ის მათ უფუჭებდა სამაცივრო დანადგარებს ან უწამლავდა საქონელს, სასაკლაოები „კეთილ კაცს“ მანამ „იზიდავდა“, სანამ „ნიუიორკ გრინდერს ასოშიეიშნის“ ხორცის დამამუშავებელმა საწარმოებმა გამბინოს მიერ დადგენილი ფასებით არ დაიწყეს ვაჭრობა. გამყიდველები ყიდდნენ მხოლოდ მის ჰამბურგერებსა და ფუნთუშებს ცხელი სოსისით, რომლებიც დამზადებული იყო არა საქონლის ან ღორის, არამედ ცხენის ხორცისაგან.

ჯენოვეზეს გარდაცვალების შემდეგ გამბინომ ხელში აიღო ქალის ტანსაცმლის მაღაზიების მუშაკთა და აგრეთვე რესტორნებისა და სასტუმროების მოსამსახურეთა პროფესიული კავშირები. ასრულებდა რა მთავარი „ნათლიის“ ფუნქციებს, გამბინო ზრუნავდა სიცილიური ტრადიციებისა და კარგი რეპუტაციის შენარჩუნებაზე, ღებულობდა მომსვლელებს, იხდიდა ყველაზე ღარიბი თანაშემწეების ვალებს და ასწორებდა „დაწესებულებებისა და დაქვემდებარებული „ლეიტენანტების“ შეცდომებს“ რესტორან „რევენიტ სოშიელ ქლაბის“ სპეციალურ დარბაზში ბასუხობდა მთხოვნელებს. ფეოდალური მმართველის მსგავსად თავის გაქნევა უარის თქმას ნიშნავდა, ხოლო თუ ასისტენტს მიუბრუნდებოდა და ეტყოდა: „შეასრულეთ“, ნიშნავდა, რომ „ნათლია“ თხოვნას აკმაყოფილებდა. „კეთილი ძია“ და „სასტიკი ნათლია“ წყვეტდა ყველა პრობლემას, უპირველეს ყოველისა, კი იმას, რაც „ბატიოსნებას“ შეეხებოდა. ასეთ მნიშვნელოვან საქმეში სუბორდინაციასაც არღვევდა და ამიტომ ყველგან გაისმოდა: „კარლო დიდი კაცია!“

ერთხელ საბატო მურომ, მეტსახელად სემი მინტციმ, მაფიის უბრალო წევრმა, იჩივლა „ნათლიასთან“ თავის „ლეიტენანტ“ კარმინო ლამბარდოზიზე. „მე დავუბრუნებ პატიოსნებას

შენს ქალიშვილს", — დაამშვიდა იგი გამბინომ და ლამბარდიზი თავისთან დაიბარა:

„ჩვენ ვერ დავუშვებთ იმას, რომ რომელიმე ჩვენთაგანის ქალიშვილმა ღირსება დაკარგოს. შენ ის შეაცდინე, შენვე ცოლად უნდა შეირთო!" — ბრძანა „ნათლიამ".

ლამბარდიზის უკვე 27 წელია ბედნიერი ოჯახი ჰქონდა. მისი მეუღლე მერი მაფიოზებში სათანადო პატივისცემით სარგებლობდა.

„მერიმ იცის რა არის ღირსება, — დაუმატა გამბინომ, — შენ კი საკმაო სახსრები გაგაჩნია, რომ ორივე ოჯახი არჩინო, დანარჩენი თვითონ გადაწყვიტე".

ასეთი წინადადების შემდეგ ლამბარდიზიმ სიცოცხლე ამჯობინა და იონკერსის ეკლესიაში ჯვარი დაიწერა 30 წლით უმცროს ქალიშვილ არლენაზე, „ჯარისკაც" საბატო მუროს შვილზე.

რესტორან „რევენიტში" აუდიენსიის დამთავრების შემდეგ გამბინომ გაღაწყვიტა ამაყი კოლომბო, „ეს დიდი პოლიტიკაში", ჩამოეშორებინა. კოლომბოს საუბედურო, ლაპარაკი აღარ იყო აპრილის ხუმრობაზე. „ნათლიამ" კოლომბო ტელევიზორში ნახა. ჯერ კიდევ არ იყო მოშუშებული ლიგის დაარსებიდან ერთი წლის აღმნიშვნელი ზეიმით მიყენებული ჭრილობა. ამ „ცირკს" წინ უძღოდა იტალია-ამერიკის ერთიანობის დღე, რომელზეც სიცილიელებს მოჰქონდათ ტრანსპარანტები, რომლებიც ბრალს დებდნენ პოლიციას უცხოელებისადმი ანტიპათიაში. საზეიმო სვლას გამბინომ ასეთი კომენტარი გაუკეთა: „ეს კვლავ კოლომბოს ხრიკებია! ჩვენ პოლიციელებს მოვისყიდით ან ვკლავთ, მაგრამ თავს არასოდეს ვიმცირებთ!"

„ნათლიის" ბებერ, გაბოროტებულ ტვინში კოლომბოს მოკვლის გეგმა ჩაისახა.

1971 წლის 28 ივნისს, ლიგის მეორე წლისთავზე კოლუმბის მოედანზე შედგა ლიგის წევრების მრავალრიცხოვანი კრება. როგორც კი კოლომბომ, კრების თავმჯდომარემ, ლაპარაკი დაიწყო, ფოტორეპორტიორების ჯგუფიდან სამჯერ ისროლეს. ტელეოპერატორმა, ზანგმა ჯერომ ჯონსონმა კამერის ბერკეტის ნაცვლად ხელი დააჭირა შაშხანის ჩახმახს, რომელიც აპარატში იყო დამონტაჟებული. გინ დაიქირავა ჯერომ ჯონსონი? პოლიციამ ვერ შეძლო აეხსნა მკვლელობის მცდელობის მიზეზი.

ცხადი იყო მხოლოდ ის, რომ ისინი იყვნენ მაღალპროფესიონალი მკვლელები, რადგან სხვა „მსროლელმა“ იქვე მოსპო ჯონსონი. ზანგის ხელებში მოქცეული შაშხანა გამოხატავდა უდიდეს სიძულვილს, რომელსაც გამბინო კოლომბოსადმი გრძნობდა იქამდე, ვიდრე კოლომბო ინვალიდად იქცეოდა. „ნათლიები“ არასოდეს არ ეუბნებოდნენ უარს თავის კოლეგებს „ღირსეულ“ სიკვდილზე.

კოლუმბის მოედანზე გასროლამ ომის ახალი კერა დაანთო. „კოზა ნოსტრას“ ეროვნულ კომისიაში გამბინოს საქციელს გმობდა ბუფალოელი „ნათლია“ სტეფან მაგიდინო. „ჩემი ბიძაშვილი ჯო ბონანო, იგივე „ბანანი“, დასჯილი კოლომბოს მეგობარი და მოკავშირეა. მასაც სურს გახდეს მთელი მსოფლიოს მბრძანებელი! მას მიაჩნია, რომ მხოლოდ ის არის ღირსი ატაროს ტიტული „capo di tutti capi“, — განაცხადა მაგადინომ.

გამბინოს ახსოვდა, რომ 1963 წლის ზაფხულში ბონანოს ვაჟიშვილმა ის კინაღამ საიქიოს გაისტუმრა. მაშინ „ნათლიებმა“ დაადასტურეს ბონანოს კიღევ ერთი უხეში შეცდომა და განკარგულება გასცეს, რომ იგი აღსარებისათვის მოეყვანათ. „ნათლიებს“ შური ახრჩობდათ. ელეგანტური და გაბედული ჯო ბონანო ლანძღავდა გამბინოსა და „მარდერ ინკორპორეიტიდის“ მეთოდებს. მან გადაჭრა ძველი პრობლემა — როგორ მოეშორებინათ გვამები უკვალოდ. ბონანოს ახრად მოუვიდა ორსართულიანი კუბოების შექმნა. პირველ სართულზე ის ათავსებდა არარეგისტრირებულ „მობინადრეს“, მეორეზე კი განისვენებდა „საბუთებიანი“ გვამი. ასეთ საქმიანობაში რომ არავის შეეწუხებინა, ბონანომ იყიდა დამკრძალავი ბიურო და სამუშაოზე მიიღო ყველაზე ღონიერი მებარგულეები. ამ ტექნიკურ სიახლეს კიდევ ერთი სარგებლობა მოჰქონდა — ის ბიუროს მფლობელს უსპობდა შიშს საწამლავითა და ტყვიით ამოვსებული ცხედრების მიმართ, რომლებიც თავისებურ „მოწმეებს“ წარმოადგენდნენ პოლიციისათვის. თუ ხელისუფლება მოისურვებდა გაეგო, ვინ როგორ დატოვა ეს სამყარო, უნდა გაეხსნა ყველა კუბო, რომელშიც ჯოზეფ ბონანო აწვენდა მოქალაქეებს.

ზედმეტი იყო ლაპარაკი გაკვეთაზე, რაც გულისხმობდა ნათესავების თანხმობას. ვინ ისურვებდა, რომ პოლიციას მათი ოჯახის წევრები თოფით ან დანით მოკლული „მობინადრის“ საზოგადოებაში ენახა. „ბანანმა“ ფარული კუბოს პროტოტიპი

მხოლოდ ლილო გალანტეს გაუკეთა, რადგან მან ჭირვეული ბონანო თავისი დაცვის ქვეშ აიყვანა.

ჯო ბონანომ დიდსულოვნად აჩუქა გალანტეს თავისი სიმპათიური დამკრძალავი ბიუროც, უფრო ზუსტად, გაცვალა ის. გალანტესაგან მიღებულ ინფორმაციაში: „უმაღლესმა საბჭომ დაადგინა, რომ უნდა გაგასამართლონ. შენ უნდა გაქრე". მაგრამ ჯოს ჯერ ბევრი დაუმთავრებელი საქმე ჰქონდა.

1964 წლის შემოდგომაზე ექსპერტებმა „მარდერ ინკორპორეიტიდიდან" გააჩერეს ამბოხებული ბონანო, რომელიც ბრუნდებოდა თავის მოადგილე იურისტ უილიამ მალონესთან ერთად პოკერის პარტიის შემდეგ. ორმეტრიანმა „გორილამ" ხმამაღლა უბრძანა: „აბა, ჯო, ჩაჯექი, შეფებს შენთან ლაპარაკი სურთ!" ადვოკატი შეეცადა გაეპროტესტებინა გატაცება, მაგრამ იძულებული გახდა მოტეხილი ხელით დარჩენილიყო მეგობრის სახლთან, პარკ ავენიუსა და 36-ე ქუჩის კუთხეში.

ბონანო არათავაზიანად იქცეოდა დიდი საბჭოს წინაშე, რომელმაც საგანგებო კომისია შექმნა მისი საქმის გამოსაძიებლად. „ჯო გადაწყვეტილებას ნიუ-იორკში დაუცდის!" — ასეთი იყო დასკვნა. მაგრამ ჯოს არ სურდა ლოდინი, ის კარგად იცნობდა თავის მეგობრების მეგობრებს.

მომდევნო წლის იელისის პირველ დღეებში ერთ-ერთ რესტორანში ერთმანეთს შეხვდნენ თომას ებოლი, სემ ჯანკანა და კარმინე ტრაუმუნტი. ეროვნულმა კომისიამ მათ ჯოზეფ ბონანოს ცოდვების დაწვრილებით შესწავლა დაავალა. კომიტეტმა გადაწყვიტა: „დავსაჯოთ!" მაგრამ ჯომ დროზე მოასწრო მიმალვა. „კოზა ნოსტრას" უნდოდა გაფრენილი ჩიტი კვლავ გალიაში დაებრუნებინა. და არამარტო მას. ამერიკულმა პოლიციამაც გადაატრიალა მთელი დედაქალაქი და სიცილიის ხელისუფლებსაც მიმართა თხოვნით, რომ მოეძებნათ ბონანო მის მშობლიურ კასტელამარე დელ გოლფოში. ბონანოს დაპატიმრებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა სასამართლოს თავმჯდომარე რობერტ მორგენტანი, რომლის რჩევითაც „ინტერპოლმა" თხოვნა აფრიკაშიც კი გააგზავნა.

ახალგაზრდა ბონანომ, მისტერ ბილმა, როდესაც სრულწლოვანი გახდა, ხელი მოაწერა ხელშეკრულებას მამასთან ამის შესახებ, რომ თუ რომელიმე მათგანი ნებით ან უნებლიეთ იძულებული იქნებოდა გამქრალიყო, მაშინ ყოველ მეორე ნაბიჯი

ბათს დაელოდება მას „ჩვენს რესტორანში“, ტელეფონის აპარატთან.

3 დეკემბერს, შუაღამეს გაისმა ტელეფონის ზარი, მაგრამ ხმა მამისა არ იყო: „მამა-ნათლია“ უნებელია და თქვენ მაღლე ნახავთ ერთმანეთს!“ ამ საუბარს მოსამართლეც უსმენდა. მორგენტანმა დააპატიმრა ბილი იმ მოტივით, რომ იგი არ ამხელდა სად იმალებოდა მამამისი, რომელსაც ხელისუფლება ეძებდა.

ბონანო-უმცროსი ციხიდან მხოლოდ 1966 წლის 17 მაისს გამოვიდა. ამ დღეს, დილით ადრე, მანჰეტენში გამოცხადდა ჯოზეფ ბონანოც ადვოკატების აშალის თანხლებით. მისი იურისტების ნიჭიერებას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მათი კლიენტი, თუმცა ხანგრძლივი გამოძიების შემდეგ, მაგრამ მაინც გაანთავისუფლეს 150 ათასი დოლარის საწინდარით.

ბონანოს ერთგულმა მეგობრებმა სასტუმრო „ლა სკალაში“, რომელიც განუსაზღვრელი ვადით დაიქირავეს, მოაწყვეს ბრწყინვალე ზეიმი. ცეკვები შეწყდა იმის გამო, რომ ბონანოს „ლეიტენანტს“ ჯოზეფ ნოტარას, რომელიც მას მრავალი წლის მანძილზე ემსახურებოდა, ინფარქტმა დაარტყა. ნოტარას შემდეგ გარდაიცვალა მეორე მოადგილე, ჩლუნგი და ლოთი ფრენკ ლაბრუზო. სალარო კი გახვრეტილი ჯიბესავით იყო, ისევე როგორც მისი მმართველის მაზანკ კრეუგერის სხეული. ბონანოს კლანი ომის პირველ წლებიდანვე გაღატაკდა. ჯო ბონანო ხელფასს უხდიდა სამას დაქირავებულ პროფესიონალ მკვლელს, ხოლო მშვიდობიანობის დროსაც კი, თადარიგში ჰყავდა 175 კაცი. „კოზა ნოსტრას“ უმაღლეს საბჭოსთან დადებული ზავი თოფისწამლით იყო შემოყრილი. ახალი ომი 1969 წლის 6 თებერვალს დაიწყო. დამნაშავეთა სამყაროზე ბატონობისათვის აბსურდული ბრძოლის სამოცდამეოთხმეტე მსხვერპლი გახდა თომას ზუმო.

„კოზა ნოსტრას“ საკუთარი საავადმყოფო ესაჭიროებოდა. ბონანო და ტონი ებოლიც ჭრილობებს იშუშებდნენ. ამ დროს ციხეში შეწყდა ვიტო ჯენოვეზეს მაჯისცემა. ინტრიგების რაინდი და დამნაშავეთა სამყაროს მმართველი კარლო გამბინო ეწვია მომაკვდავ „ნათლიების ნათლიას“. სამოცდაათი წლის „capo di tutti capi“-ის დღეები დათვლილი იყო. მტრობის ასეთ ატმოსფეროში ვის ეცალა იმპერიისათვის? „ნათლიამ“ ხანგრძლივი ყოყმანის შედეგ მოუხმო ახალ პირველ მოად-

გილეს, ძლიერ ბიროვნებას — ანიელო დელაკროსეს, დამნაშავეობის სამყაროში ბატივისცემით „თავად კრავად" წოდებულს. 58 წლის მოადგილე და მისი შეფი ძველი დროის ადამიანები იყვნენ და მაფიის საშუალო ფენისათვის „პროგრესის" ეტაპზე სერიოზულ დაბრკოლებას ქმნიდნენ. მოდერნიზაციის სულწასულმა მომხრეებმა „მამა-ნათლიას" დაუგეს მახე, რომელშიაც მთავარი როლი გამოძიების ფედერალურმა ბიურომ შეასრულა. პოლიციის ინფორმატორმა კოლომბოს ბანდიდან ნიუ-იორკელ კანონის დამცველებს მიუთითა ცისფრად შეღებილ ფურგონზე ბრუკლინის ერთ-ერთ უკაცრიელ ქუჩაზე. ჯიხურის კედელზე ფარული მოსასმენი მოწყობილობის დაყენების შემდეგ კრიმინალისტები დარწმუნდნენ, რომ აქ იყო „კოზა ნოსტრას" მართვის შტაბი, რომელსაც ისინი ამაოდ ეძებდნენ ნიუ-იორკის გარეუბნების მდიდრულ სასახლეებში.

ფარულ მოსასმენ მოწყობილობას გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა დაუმატეს ჩამწერი აპარატიც, რომელიც იწერდა ყველაფერს, რაზედაც ლაპარაკი იყო სატელეფონო ხაზებსა თუ გამბინოს შტაბში. პროკურატურის მუშაკებმა ხუთი თვის განმავლობაში გადაიღეს 12 ათასი მეტრი სიგრძის ფერადი კინოფირი. ფარული კამერით გადაღებულ ფირზე მათ აღბეჭდეს კურიერები არიზონადან, ტეხასიდან, ფლორიდიდან და ათობით პოლიციელი და ექვსი სხვადასხვა სასამართლოს თანამშრომელი. ნახევარმილიონამდე მეტრი სიგრძის მაგნიტოფირები ასაბუთებდნენ, რომ „კოზა ნოსტრა" მონაწილეობას ღებულობდა ნიუ-იორკის ორასამდე ლეგალური საწარმოსა და ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე შტატის სამასამდე საზოგადოების საქმიანობაში.

სატელეფონო საუბრების ჩანაწერებმა პროკურორებს ნათელი სურათი დაუხატა იატაკქვეშა კანცელარიების სისტემაზე, ორგანიზებულ პროსტიტუციაზე, სადაზღვევო აფიორებზე, პროფკავშირების ხელმძღვანელებთან თანამშრომლობასა და და ნარკოტიკებით ვაჭრობაზე. თვით ყველაზე ურწმუნოებმაც კი დაიჯერეს, რომ ხალხმრავალ ქუჩებში, რომლებიც შეერთვოდნენ ნიუ-იორკის ლოუერ ისტ საიდს, გადამყიდველები და მაფიის წვრილი თანაშემწეები ყიდდნენ ჰერიოინს ნაყინის სახით და თან გაჰყვიროდნენ: „წითელი ლენტი, მწვანე ლენტი! უკეთესს ვერ იშოვით"!

წითელი ლენტი ნიშნავდა შეკვრას ირანული წარმოშობის შხამით, მწვანე კი — პაკისტანურს. ფინანსთა სამინისტროს აგენტებმა გაარკვიეს, რომ მარტო ელდრიჯ სტრიტზე, ლოუერ ისტ საიდში, მაფიოზები სულ რაღაც ერთი საათის განმავლობაში 500 დამკვეთს მოემსახურნენ. შედეგი? ყოველწლიურად, მარტო ნიუ-იორკში, ნარკოტიკების გამოყენების შედეგად იღუპება დაახლოებით ოთხასამდე ადამიანი.

გამოძიების ფედერალური ბიუროს განსაკუთრებული რაზმის წევრებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ფირზე აღბეჭდილი „ძლიერნი ამა სოფლისანი“ შეძლებდნენ გამოძიების მსვლელობაზე იმგვარად ემოქმედათ, რომ სკანდალი არ ატეხილიყო. პროკურორ გოლდთან — კაცთან, რომელიც უკომპრომისოდ მიისწრაფოდა სამართლიანობისაკენ, მოლაპარაკების შემდეგ პოლიციამ შეძლო გამოექვეყნებინა ორიათას ხუთასი გვერდი. ოქმის სახით ჩაწერილმა მაგნიტოფირმა ცხადყო, რომ „კოზა ნოსტრა“ შედგებოდა სულ რაღაც 6 ათასი მუდმივი წევრისაგან და 50 ათასი დაქირავებული დამნაშავისაგან, რომელთაც „საქმეშაოს“ დამთავრების შემდეგ ათავისუფლებდნენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი მაფიის ოცდაექვსი ბანდა ექვემდებარებოდა ნიუ-იორკის „კაპო და ტუტი კაპის“ დომინირებულ მდგომარეობას.

1979 წლის ურიცხვი დაპირებიდან, რომ მთავრობა დაიხსნიდა ამერიკას „კოზა ნოსტრასაგან“, ხორცი შეესხა მხოლოდ და მხოლოდ გრამფირფიტას, რომელიც „მაფიის ხმის“ სახელწოდებით გამოვიდა და 70 კაცის დაპატიმრებას.

გამბინოს ბრალი დასდეს 5 მილიონი დოლარის მოპარვის მცდელობაში. ეს თანხა გამოგზავნილი იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან „ჩეის მანჰეტენის“ ბანკისათვის. მაგრამ ვერ იპოვეს მოწმე, რომელიც მისცემდა ჩვენებას იმის შესახებ, რომ გამბინო ამ საქმის მონაწილე იყო. გამბინომ გადაიხადა საწინდარი 75 ათასი დოლარის ოდენობით, ხოლო სასამართლოს სხდომის დაწყების წინ ავად გახდა. ასობით პოლიციელიდან, რომლებიც ბრუკლინის ფურგონის ფარულმა კამერამ აღბეჭდა მხოლოდ ოცდათორმეტი შეიქნა იძულებული დაეტოვებინა სახელმწიფო სამსახური.

21. „ნათლია“ გალანტე, იგივე „სიგარეტ კარიერის ეშვერეალზე

ყველაზე თანამედროვე ვიდეოტელეფონების, თვითმფრინაველებისა და კომპიუტერების თაყვანისმცემელმა ახალგაზრდა მაფიოზებმა მარცხი განიცადეს. ისინი ამაოდ არწმუნებდნენ გამბინოს, რომ კომპიუტერების მეშვეობით შეძლებდნენ ბანკების ძარცვას ტყვიის გაუსროლელად. რა საჭიროა ბანქაბუთქი, თუკი მილიონების შეძენა შეიძლება რამდენიმე წამის საკითხი იყოს?

ფილიპ უინი, სახელმწიფო მრჩეველის მოადგილე, 1980 წელს ლოს-ანჟელოსში, საიუბილეო კონფერენციაზე გამოსვლისას ჩიოდა: „კომპიუტერების ბოროტად გამოყენება ძალზე სერიოზული პრობლემაა, რომელმაც განუზომელ მასშტაბს მიაღწია. ჩვენ არ ვიცით, რამდენი კაცი მონაწილეობს ამ საქმეში, მაგრამ ცხადია ერთი რამ — ეს არის არგაგონილი რაოდენობა“. ოფიციალური მონაცემებით, ყოველი „ნორმალური“ გაქურდვის დროს ბანკს აკლდება საშუალოდ სამი ათასი დოლარი, „კლასიკური გაძარცვის“ შემთხვევაში — ოცდახუთი ათასი დოლარი, მაგრამ კომპიუტერების მეშვეობით გატაცებული თანხა ოთხასი ათას დოლარს აღწევს.

სამოცდაათიანი წლების დამდეგს, როდესაც სუპერმოდერნული ქურდული სამყარო აყალიბებდა თანამედროვე მაფიას, გამბინოს გაუგზავნეს უკანასკნელი გაფრთხილება მისი ოცდაცხრა წლის ძმისწულის ემანუელის უსულო გვამის სახით. „ნათლიამ“ დიდად განიცადა ყმაწვილი კაცის დაღუპვა, მიუხედავად ამ გაფრთხილებისა პენსიაზე გასვლა არ ინდომა და გენერალური შეტევის თადარიგს შეუდგა. მაგრამ არ დასცალდა. გამბინოს გულმა ვერ გაუძლო უამრავ დრამატულ სცენებსა და გაუთავებელ სროლას. „ნათლიას“ ტანჯვა-წამებისა და სიძულვილის უკანასკნელი წლები დაეწყო 1974 წლის იანვარში, როდესაც თითქმის ყველასგან მივიწყებული კარმინე გალანტეს ადვოკატებმა ნამდვილი სასწაული მოახდინეს: მათმა კლიენტმა თავისუფლება მიიღო, თუმცა სამართლიანად ჰქონდა მისჯილი სამუდამო პატიმრობა.

გალანტეს არყოფნაში გარკვეული ცვლილებები მომხდარიყო მაფიის ხელმძღვანელობაში. „ნათლიები“ — ჯენოვეზე, ბრო-

ფაჩი და ლუჩეზე საალაოს აღარ იყენენ, გარდაცვლილიყო „დამნაშავეობის პრემიერი“ ფრენკ კოსტელოც, ჯო კოლიმპო სხვის დაუხმარებლად ლოგინიდან ვეღარ დგებოდა, ჯო ბონანო არგენტინაში იმალებოდა, ხოლო კარლო გამბინი ერთი საავადმყოფოდან მეორეში გადადიოდა. ძველი „კაპო დი ტუტი კაპი“ თუმცა ფორმალურად მართავდა ნიუ-იორკის უდიდეს და უმდიდრეს „ოჯახს“ და „კოზა ნოსტრას“ უზენაეს საბჭოსაც თავმჯდომარეობდა, მაგრამ დაავადებული გული საშუალებას არ აძლევდა კონტროლი გაეწია საკუთარი „ლეიტენანტებისათვის.“

კარმინე გალანტემ, იგივე „სიგარამ“, სცენაზე გამოჩენა თავისებურად აღნიშნა — ააფეთქა ფრენკ კოსტელოს საფლავი და ბრინჯაოს კუბო. დამნაშავეთა სამყარომ ეს აქტი მიიჩნია გაფრთხილებად, რომ გალანტე აქ არის და მზადაა ყველას წინააღმდეგ გაილაშქროს. მაგრამ მას არ ჰყავდა დაქირავებული მკვლელები და არც საკმარისი ფული გააჩნდა. თავისი ვეტერანი დებიუტით, რომელმაც დამნაშავეთა სამყაროც კი სახტად დატოვა, გალანტემ მაინც იშოვა დრო ძალების შესაკრებად; მისი ბანდა რომელშიც ოთხასათი პროფესიონალი მკვლელი შედიოდა, ჯერ კიდევ სუსტი იყო. სამაგიეროდ, მას მეტად საჭირო ნაცნობობა ჰქონდა. მას დახმარებას შეჰპირდნენ ბუფალინოს, კანზას-სიტისა და ახალი ორლეანის „ნათლიები“. ფარულად და სასწრაფოდ ჩამოდიოდნენ სიცილიელთა ყველაზე გამობრძმედილი „ასეულები“. ამიტომ „სიგარამ“ მშვიდად მიიღო თავის მსტოვართა პატაკი, რომ „ნათლიობის“ მთავარი კანდიდატი იყო ჭარმაგი, მაგრამ ბრგე დელაკროსე: „მას პირადად გამბინო შეჰპირდა იმპერიას კარგი სამსახურისათვის!“ გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაება მაფიის ყველაზე ახალგაზრდა ნაწილიც, ყოფილი „ნათლიების“ ჯენოვეზესა და გალოს შვილების ხელმძღვანელობით. სამოცდახუთი წლის დელაკროსე და მისი მეტოქე გალანტე სათვალავში არც კი აგდებდნენ ამ „ლაწირაკებს“. ორივე შეუპოვრობითა და სისასტიკით გამოირჩეოდნენ, ამასთან ერთად, გალანტეს ნახევარი სიცოცხლე ციხეში ჰქონდა გატარებული.

ხშირი ვიზიტების დროს დელაკროსე ართობდა „სიგარას“ თავშესაქცევი ფათერაკების მოყოლით. მათ შორის იყო ერთი ასეთი შემთხვევა: დელაკროსეს ბრუკლინში წაუსწრია პოლი-

ციის ორი ტექნიკოსისათვის, როდესაც ისინი მის ტელეფონს მოსასმენ მოწყობილობას უყენებდნენ. დელაკროსემ, რომელიც დამნაშავეთა სამყაროში „თავადი კრავის“ მეტსახელით იყო ცნობილი, ორივე ტექნიკოსი აიძულა ახლომდებარე იტალიურ რესტორანში შესულიყვნენ და აერჩიათ — სიკვლილი ან სპაგეტი, რომელშიაც მზარეულს დანაკუწებული მაგნიტოფონის ფირი შეერია. პოლიციელებმა ისევ სპაგეტი არჩიეს.

თავზეხელაღებული ყმაწვილი გალანტე გამასწორებელ სახლში პირველად ათი წლისა მოხვდა და უკვე ჩვიდმეტი წლისა სინგ-სინგში გამოუსწორებელ დამნაშავედ იყო ცნობილი. 1952 წლისათვის იგი ჯო ბონანოს ყველაზე გაელენიან ამფსონებში ითვლებოდა. „ეროვნულმა კომისიამ“ გაითვალისწინა მისი განათლება (იგი ფლობდა ფრანგულსა და რამდენიმე იტალიურ დიალექტს) და დაავალა საზღვარგარეთთან ნარკოტიკებით მრავალმილიონიანი ვაჭრობის მოწესრიგება.

ერთი წლის შემდეგ გალანტე, როგორც ჯო ბონანოს მოადგილე და „კოზა ნოსტრას“ რწმუნებული, ფულით სავსე ჩემოდნებით ჩავიდა კანადაში და იქ გააფორმა კავშირი მონრეალის ბანდებსა და ბონანოს კლანს შორის.

მომდევნო წლის შემოდგომაზე გალანტე მაფიის მონრეალელ წარმომადგენელთან ერთად იტალიაში გაფრინდა ლაკი ლუჩანოსთან საიდუმლო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. მილანში მათ საფუძველი ჩაუყარეს ნარკოტიკებით იატაკქვეშა ვაჭრობის საერთაშორისო ქსელს, რომელსაც მოგვიანებით „ფრანგული გზა“ ეწოდა. ეს ნიშნავდა, რომ ოპიუმი პაკისტანიდან ან თურქეთიდან ჩადიოდა მარსელში, სადაც კორსიკელი ფრანგი „მზარეულები“ მისგან ჰეროინს იღებდნენ და საბოლოო პროდუქტი იგზავნებოდა კანადასა და შეერთებულ შტატებში.

გალანტემ ოდესღაც აქტიური მონაწილეობა მიიღო „კუბის გზის“ შექმნაში. სანტა ტრაფიკანტეს, ფლორიდისა და ჰავანის მაფიის შეფის, მეშვეობით მან მიიღო დიქტატორ ბატისტას თანხმობა, რომ კუბაში შეეგროვებინა ტონობით ჰეროინი და შემდეგ კონტინენტზე გადაეგზავნა.

ხუთი წლის შემდეგ ამ ბიზნესს ხელი შეუშალა ამერიკის პოლიციამ. ფედერალური სასამართლოს წინაშე წარსდგა რამდენიმე „ნათლია“, მათ შორის გალანტეც, მოგვიანებით კი თვით

ჯიტო ჯენოგეზეც. გალანტეს მთელი დარჩენილი სიცოცხლე ლეავენსბურგში უნდა გაეტარებინა. მაგრამ ასე არ მოხდა.

1976 წლის 15 ოქტომბერს, პარასკევს, შეწყდა გამბინოს გულის ფეთქვა. დაკრძალვის ცერემონიალი სავსებით შეესაბამებოდა მაფიის წინაშე მის დამსახურებას. ოთხი დღის განმავლობაში ათასობით კაცი ეთხოვებოდა ცხედარს, რომელიც ბრუკლინში, მარიამ მწყალობლის ეკლესიაში იყო დასვენებული.

მგლოვიარე ორატორთა პლეადაში ყველაზე გულშიჩამწედომად გაისმოდა ეპისკოპოს დომინიკ სკლაფანის, გამბინოს სულის მთავარი გამნათებლის ხმა: „თქვენ ყველანი, მთელი მსოფლიოდან საგანგებოდ ჩამოსული ჭირისუფალნი, ვისაც წილად გხვდათ პატივი დასწრებოდით ამ ისტორიულ წუთს, იცნობდით უწესიერეს ღვთის შვილს, ქრისტიანული მოვალეობის ნიმუშს კარლო გამბინოს".

თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთმა დაბეჭდა დაკრძალვის რეპორტაჟი ერთნაირი სათაურით — „ნათლია გარდაიცვალა". რედაქტორებს ყველაზე მეტად აინტერესებდათ „ნათლიის" შვილები: ვაუები—კარლო, ჯოზეფი, ტომასი და ქალიშვილი ფილისი, ნიუ-იორკელი კარდიოლოგის ტომას სინატრას ცოლი. ამ ექიმის სამედიცინო „გამოგონებებმა" განუხორციელებელი გახადა ხელისუფალთა ცდები დაებრუნებინათ გამბინო იტალიაში. (ფილისისა და ტომასის შეუღლებამ მნიშვნელოვნად ვანამტკიცა ურთიერთობა ნიუ-იორკის კლანსა და მომღერალ ფრენკ სინატრას შორის).

დამნაშავეთა სამყარომ გამბინოს ხსოვნის პატივსაცემად დროებითი ზავი გამოაცხადა, ხოლო „კოზა ნოსტრას" „ეროვნულ კომისიას" ახალი „კაპო დი ტუტი კაპი" უნდა აერჩია.

გალანტე არ აპირებდა ლოდინს, თუ რით დამთავრდებოდა არჩევნები. თავისი მოკავშირის, „ბანანის" დაბრუნების შესახებ მან თავისებურად გააფრთხილა „ნათლია" ფილიპ რასტელი — მოუკლა ვაჟი ჯეიმსი ბრუკლინის ტანსაცმლის მაღაზიასთან. რასტელი ნაადრევად დაეპატრონა ჯოზეფ ბონანოს ბანდას. მაგრამ დაკრძალვის ცერემონიალზე მან გამოაცხადა, რომ არ ჰქონდა პრეტენზია არც ბონანოს ქონებაზე და არც „ნათლიების ნათლიის" პრესტიჟულ ტიტულზე. რასტელიმ ყველაფერი ისე მოაწყო, თითქოს მან, ძველმა მაფიოზმა, საქმეები გვერდზე გადადო და ახალგაზრდობას შულერობაში აოსტატებდა. მი-

სი ყურაღღებიანი ხელმძღვანელობით მომავალი „გამტყავებლები“ „მუშაობდნენ“ დიდი ბრილიანტის ბეჭდებით, რომლებსაც სარკეებად იყენებდნენ. ბეჭდის თვალს ხელისგულისკენ აბრუნებდნენ და ამრიგად ახერხებდნენ ქაღალდის დარიგებისას სხვისი ბანქოს დანახვას. მან დახვეწა აგრეთვე სხვა „დამხმარე საშუალებები“, რომლებსაც განეკუთვნებოდა სტრიპერებიც.

ეს იყო ბანქოს ქაღალდი, რომლის კიდეები და კუთხეები ძალზე ბასრი დანებით იყო დასერილი. და, თუმცა დანასერი მილიმეტრის მეათედს თუ შეადგენდა, საკმარისი იყო მაფიოზს თამაშის ან ბანქოს არევის დროს ქაღალდის კიდეზე ჩამოესვა ხელი, რომ გაეგო, სად რა ქაღალდი იყო.

თავისი ლექციების დროს რასტელი აოცებდა მსმენელებს ახალი ელექტრომაგნიტური „დამხმარე საშუალებებით“, ხოლო ვერცხლისწყლით ან თუჯით ამოვსებული კამათლები მას უკვე „განვლილ ეტაპად“ მიაჩნდა.

ამასობაში გალანტემ გადაწყვიტა „მიეხედა“ თავისი შემდეგი სერიოზული მეტოქის — კარმინო კონსალვოსათვის, რომელიც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ვერავინ და ვერაფერი შეუშლიდა ხელს ძალაუფლების მოპოვებაში. შესაძლოა, თავისი რეზიდენციის ფანჯრიდან ქვევით, მიწისაკენ რომ მიფრინავდა, აზრი შეეცვალა, მაგრამ ეს უკვე აღარავის აინტერესებდა, მიუხედავად იმისა, რომ ორმოც წელს მიღწეული კონსალვო მაფიოზების ნარკოტიკების ბიზნესის უდიდეს სპეციალისტად ითვლებოდა. როდესაც 1970 წელს „ოპიუმის ფრანგული გზა“ გადაიკეტა, კარმინო მექსიკიდან იღებდა ჰეროინს და მალე მილიონერიც გახდა. კონსალვო გადავიდა ნიუ-ჯერსის შტატის სასტუმრო „ფორტ ლის“ 24-ე სართულზე მდიდრულ პალატებში, რომლის ფანჯრიდან გადმოხტომაშიც ასე შეაშველეს ხელი „სიგარას“ მეგობრებმა. ოცდათორმეტი წლის ფრენკ კონსალვომ ფიცი დადო, რომ ძმის მოკვლისათვის შურს იძიებდა, მაგრამ საიქიოს გზას ისიც, ძმის მსგავსად, ფანჯრიდან გაუყენეს. ამჯერად ეს ნიუ-იორკის „მცირე იტალიის“ მაღლივი შენობის სხვენზე მოხდა.

გამბინოს მოადგილემ, ანიელო დელაკროსემ ამ ამბების შემდეგ სიმშვიდე დაკარგა, მაგრამ მას არც გალანტეს მემკვიდრეობის ხელიდან გაშვება უნდოდა. ხოლო როცა 1977 წლის მარტის დამლევს გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ ამერიკას აუწ-

ვა „სიგარამ“ გაიმარჯვეო, დელაკროსე ბედს შეურიგდა, თუმცა ბოღმა კი ჩაიხვია გულში.

„ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გალანტეს გამარჯვების შესახებ ცნობას დაურთო თავისი კომენტარი: „კარმინე გალანტე, იგივე „სიგარა“, დღეს უკვე „კაპო დი ტუტი კაპი“, მეორე მსოფლიო ომის დროს ხალხს ხოცავდა ჯენოვეზეს დავალებით, რომელიც ფაშისტი დიქტატურის მუსოლინის ახლო მეგობარი იყო. განთავისუფლების შემდეგ პირველი, რაც მან ჩაიდინა, ის იყო, რომ წუთისოფელს გამოასალმა „თეთრი სიკვდილის“ ორმოცდაორი ქორვაჭარი, რომლებიც ნიუ-იორკში მისგან პატენტის მიუღებლად „მუშაობდნენ“. პოლიცია მას ყველგან დაეძებს, მაგრამ ჯერჯერობით — ამაოდ...“

გამოძიების ფედერალური ბიუროს ცენტრალურ კარტოთეკაში გალანტე 119 475 ნომრად ჰყავდათ შეყვანილი. მას დაეძებდნენ ბევრ ქალაქში, მაგრამ არა ნიუ-იორკის მღიდართა უბანში — გრინვიჩ ვილეჯში. სწორედ აქ, უეიეერლი პლეისზე ვილაში, „ნათლია“ გალანტეს მთავარი საყრდენი პუნქტი ჰქონდა. იგი საყვარელ სიგარებს აბოლებდა შერიდანის მოედანზე თავის კერძო რეზიდენციაშიც, სადაც ყოველდღიურად მიდიოდა ოქროს „კადილაკ ელდორადოთი“.

ახალი „ნათლია“, როგორც პოლიციამ სამწუხაროდ ძალზე გვიან დაადგინა, არასდროს არ დადიოდა დოღზე, არ უყვარდა ღამის კლუბები და ოჯახზეც სამაგალითოდ ზრუნავდა. მისმა სამმა შვილმა — ვაჟმა და ორმა ქალიშვილმა, არც კი იცოდნენ, რომ მამა მაფიოზი ჰყავდათ.

1977 წლის გაზაფხულზე გალანტე გაცილებით უფრო დიდ იმპერიას ფლობდა, ვიდრე მისი წინამორბედნი — კარლო გამბინო და ლუჩანო, რომელთა ხელშიც იგი ყველასათვის უცნობი დაქირავებული მკვლელი იყო.

ნარკოტიკებით ვაჭრობის საკითხებში გალანტე კონტროლს უწევდა ყველა მიმწოდებელსა და გამყიდველს უდიდეს ტერიტორიაზე — მონრეალიდან მეხიკომდე, აკონტროლებდა აგრეთვე „ფრანგულ გზასაც“, რომელიც პალერმოს გამგებლობაში შედიოდა. მაგრამ „ნათლიების ნათლიას“ დიდხანს არ დასცალდა მოპოვებული ძალაუფლებით ტკბობა.

1977 წლის 12 ივლისს, დახუთულ საღამოს ნიუ-იორკის რესტორან „ჯო და მერის“ ბაღში ერთმანეთს შეხვდა ოთხი მა-

მაკაცი. განცალკევებულ ტერასაზე, რომელსაც ხშირი ტალავერი ამშვენებდა, ისინი რესტორანის მფლობელთან, ჯუზეპე ტურანოსთან ერთად ილხენდნენ. პოპულარული იტალიური რესტორანის ელეგანტურ შეფს ჯიბეში ედო ნიუ-იორკ-მილანის თვითმფრინავის ბილეთი. და იმ მომენტში, როდესაც ამ საიდუმლო სერობის მოთავე კარმინე გალანტემ ჭიქა ასწია და ტურანოს გზა დაულოცა, რესტორანის მთავარ შესასვლელთან უკანასკნელი მოდელის ცისფერი „მერკური" გაჩერდა. მანქანიდან ხუთნი გადმოვიდნენ. ერთი რესტორანის კარებში ჩადგა და ორი ავტომატი მოუღერა სტუმრებს, რომლებიც შეძრწუნებულნი გაშეშებულიყვნენ.

ოთხი განგსტერი ტერასაზე გავიდა და პროფესიული ოსტატობით დაუშინა მოქეიფეებს ტყვიამფრქვევისა და ავტომატების ცეცხლი. ერთმა მათგანმა კი ამ ხოცვა-ჟლეტვას ძველებური ლუპარის გრიალით დაუსვა წერტილი.

თაედასხმა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ პოლიციის მიერ გადაღებულ ფოტოსურათზე ტყვიით დაცხრილულ „ნათლიას" პირში ჩარჩენილი საყვარელი სიგარა მოუჩანდა. „კაპო დი ტუტი კაპი" და მისი პირადი მცველი ლეონარდო კოპოლა, ლეგენდარული ფრენკ კოპოლას დისწული, ტერასაზე დახოცეს. ტყვიით დაცხრილეს პოპულარული იტალიური სამზარეულოს მფლობელი და დაჭრეს მისი 27 წლის ვაჟი. იმ დროს, როდესაც მკვლელები თავიანთ ავ საქმეს ჩადიოდნენ, გალანტეს მთავარი მრჩეველი ბაღის შესასვლელის მახლობლად იდგა და მხოლოდ მას შემდეგ გაუჩინარდა, რაც სროლა შეწყდა. მან უბრალოდ დანიშნულების ადგილზე მიიყვანა მკვლელები, მაგრამ თავად არ გაუცია ძლევამოსილი მაფიოზის ლიკვიდაციის ბრძანება.

როდესაც, ამ ამბამდე რამდენიმე წლით ადრე, კოსტელოს საფლავი ააფეთქეს, გალანტეს უკვე ჰყავდა საგანგებო არმია, რომელშიც ძირითადად სიცილიაში აყვანილი ახალგაზრდა ფანატიკოსები შედიოდნენ. ფარული ლაშქარი, თუნდაც მცირერიცხოვანი, გაუმართლებელი ცოდვა იყო „ნათლიების" თვალში. გალანტე კი, ამასთან ერთად, ფუქსავატურად ხარჯავდა ფულს ნარკოტიკების შესაძენად. სარჩევარი და განაჩენის დასაბუთება კომისიაში შეიტანა გალანტეს მოსისხლე მტერმა და ამერიკის დამნაშავეთა სამყაროს მეუფის გეირგეინის მთავარმა კანდი-

დატმა დელაკროსემ: „ჯონების დონი კარმინე გალანტე სამუდამოდ უნდა გადადგეს, ვინაიდან ვერ უძღვება ჩვენს საზოგადოებას ისეთ რთულ პირობებში, როგორიც ესლა შეიქმნა ამერიკაში. კარმინეს ოცნება „კაპო დი ტუტი კაპის" ტიტულზე დიდად აღემატებოდა მის უნარს. მან უკვე ძალზე ბევრი გვაზარალა. ახალი მილიონების დაბანდება უაზრობაა".

რესტორან „ჯო და მერიში" გასროლით დაიწყო ახალგაზრდა განგსტერთა „ზოზინა პადრინოების" წინააღმდეგ ბრძოლის მეორე ეტაპი. ბუნებრივია, სანდაზმული მილიონერი „ნათლიები" სულ არ ჩქარობდნენ. ისინი სიამოვნებით მიირთმევდნენ აპერიტივს, სპაგეტის და ერთმანეთს უგზავნიდნენ დეპეშებს შიკრიკის ხელით, რაც იმას ნიშნავდა, რომ ზოგჯერ მთელი კვირა გავიდოდა, სანამ გამოიტანდნენ გადაწყვეტილებას რომელიმე ორ ოჯახს ან „ნათლიებს" შორის სადავო საკითხებთან, პოლიტიკოსებისა თუ პოლიციელების მოქრთამვის საქმეებთან დაკავშირებით.

„კოზა ნოსტრას" „ეროვნულმა საბჭომ" „სიგარას" სიკვდილის შემდეგ დაუყოვნებლივ დაამტკიცა უზენაეს „ნათლიად" პატივმოყვარე დელაკროსე და პარალელურად მიიღო გადაწყვეტილება — არავითარი ძალადობა მოწმეების თანდასწრებით. ძველ გვარდიას სურდა მტკიცედ მოეკიდებინა ფესი ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივ და საფინანსო სფეროებში და „კომპრომისით" დაეშოშმინებინა ახალგაზრდა მაფიოზები.

„კოზა ნოსტრას" გადასვლა „ნაკლებსმაურიან" სამუშაოზე და დანაშაულობათა „გაინტელეგენტურება" მეტიმეტად გვიან მოხდა. ამასთან ერთად, 1980 წელი ამერიკის დამნაშავეთა სამყაროს აბობოქრებული ზედაფენისათვის მთლად სასიკეთო ვერ იყო. პოლიცია კვლავ დაუბრუნდა ბრუკლინის ფანჩატურის მაგნიტოფონის ჩანაწერებს და ორგანიზებული დამნაშავეობის რამდენიმე ასეული წევრი დააპატიმრა. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ „თავადი კრავის" მოადგილე, ნიუ-იორკელი ფრენკ ტიერი და კანზას-სიტელი „ნაფილია" ნიკოლას ჩიველი.

ტიერი და მისი ამფსონები დააპატიმრეს „კოზა ნოსტრას" რიგებში მოკალათებული სუპერინფორმატორის ჯიმი ფრატიანოს დასმენის საფუძველზე. ფრატიანო, იგივე „სანდიოფალა", ისევე აჭიკჭიკებულიყო, როგორც ვალაჩი. მან „კოზა ნოსტრას"

ერთგულება შეჰფიცა 1948 წელს ლოს-ანჟელოსში, მიტოვებუ-ბული ხომალდის ტრიუმში. შემდეგი ოცდაათი წლის განმავ-ლობაში „კოზა ნოსტრას“ სახელითა და სასახელოდ უამრავი სხვადასხვაგვარი დანაშაული ჩაიდინა, მათ შორის, მკვლელო-ბებიც. ხოლო, როდესაც 1977 წელს „ნათლიებმა“ შეიტყვეს, რომ იგი მათ დაუკითხავად სხვა საქმეებსაც აგვარებდა, ლიკვი-დაცია დაუპირეს.

ფრატიანომ გატეხა ერთგულების ფიცი და ნიუ-იორკის პო-ლიციის სამმართველოს მიაკითხა. გამოძიების ფედერალური ბიუროს, რომელიც მას დაცვას დაპირდა, ფრატიანომ სანაცვ-ლოდ მიაწოდა საგულისხმო ცნობები დამნაშავეობათა სინდი-კატის შესახებ.

პირველად „სინდიოფალა“ მოწმედ გამოვიდა ცრუ ბანკრო-ტის — ნიუ-იორკის „ვესჩესტერ პრემიერ თეატრის“ საქმეში. სასამართლოში გამოიძახეს ფრენკ სინატრაც, რომელიც მანამ-დე საპატიო ნიშნით დააჯილდოვა ფილადელფიის საქალაქო საბჭომ. ფრატიანომ გულგრილად ჩამოთვალა რამდენი კაცი ჰყავდა მოკლული შეფების ბრძანებით. „როცა არ უნდა ეთხო-ვათ დავალებას ყოველთვის უყოყმანოდ ვასრულებდი. მაფიის წევრთა შორის მკვლელობები ჩვეულებრივი ამბავია და ხში-რად ამისათვის არც არის საჭირო რაღაც განსაკუთრებული საფუძველი. როდესაც რომელიმე მაფიოზთან სერიოზული უთანხმოება მომივიდოდა და შემეძლო გავლენა მომეხდინა შეფზე, მოწინააღმდეგე უკვე განწირული იყო. მას რომ უფრო დიდი პოსტი ჰკავებოდა, მეც იგივე ბედი მეწეოდა. ოდნავადაც არ მქეჯნის სინდისი, ვინაიდან იმათაც, ვინც მე მომიკლავს, არა ერთი და ორი კაცი ჰყავდათ საიქიოს გასტუმრებული“. — განაცხადა მან.

გამოძიების ფედერალური ბიუროს ორი მოსამსახურე, რომ-ლებმაც „სინდიოფალას“ წყალობით ბევრი რამ შეიტყვეს, სა-დაზღვევო კანტორების აგენტთა ნიღბით მოქმედებდნენ და ამ-რიგად შეძლეს დაახლოებოდნენ ახალი ორლეანის მაფიის ლე-გენდარულ შეფს, სამოცდაათი წლის კარლოს მარჩელოს, რო-მელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა რამდენიმე სადაზღვე-ვო კანტორის დაწვაში. მათ აგრეთვე მოახერხეს ჩაეწერათ იმ-დენი მაკომპრომეტირებელი საუბარი, რომ შეეძლოთ მარჩე-

ლო სამართალში მიეცათ ფალსიფიკაციის, შანტაჟისა და ლუიზიანას შტატის საზოგადო მოღვაწეთა მოსყიდვისათვის.

„ბრუკლინის ფანჩატურის“ საქმისა და „სინდიოფალას“ ჩვენებებისაგან დამოუკიდებლად დააპატიმრეს განგსტერები ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროზე. სანავსადგურო ქალაქების პროფკავშირულ ლიდერთა მიქრთამვის, შანტაჟისა და თორმეტი კაცის დახოცვისათვის ექვსი მაფიოზი ათობით წლით გამოეთხოვა თავისუფლებას.

მაგრამ თვით მოსამართლეებმაც, რომლებიც ამ პროცესებს უძღვებოდნენ, სასამართლოს დამთავრებისას განაცხადეს, რომ ვერ შეძლეს მოესპოთ „კოზა ნოსტრა“. დიდი-დიდი, რაც მათ მოახერხეს, ის იყო, რომ დროებით შეზღუდეს მაფიის გავლენა.

რამდენიძე თვის შემდეგ „კოზა ნოსტრა“ კვლავ ააქტიურებს საქმიანობას. ტრადიციულ სფეროებს დაემატა არალეგალურად გამოცემული ფირფიტები და მაგნიტოფონის ჩანაწერები. მილიონობით ამერიკელი ყოველდღიურად მეტნაკლებად სარგებლობს მაფიის მომსახურებით. დადის „დაცულ“ რესტორანებში, ერთობა „ცალხელა ბანდიტებით“, იყენებს კერძო სამსახურებს ძველმანების თავიდან მოსაშორებლად, თამაშობს სამორინეში, ყიდულობს სხვადასხვა აქციებს, ან ხარჯავს ფულს მარიხუანაზე, პორნოგრაფიულ ჟურნალებსა და ფილმებზე, ამასთან, არც კი იცის, რომ ამ მომსახურებებისა და პროდუქციის წარმოების გვარიან ნაწილს მაფია აფინანსებს და აკონტროლებს. მილიონობით ამერიკელი კი კითხულობს: როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო?

გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორმა უილიამ ჰ. უებსტერმა 1980 წლის მაისში იშვიათი გულახდილობით აღიარა: „ორგანიზებული დამნაშავეობა შეერთებულ შტატებს ართმევს მილიონობით დოლარს, რაც სერიოზულად უთხრის ძირს სახელმწიფოს ეკონომიკას იმის გამო, რომ ეს თანხა გადასახადით არ იბეგრება. მაფიის გავლენა პრაქტიკულად მთელ ჩვენს საზოგადოებაში იგრძნობა“.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში „კოზა ნოსტრას“ შეღწევა-გავრცელებაში მნიშვნელოვანწილად მიუძღვის ბრალი გამოძიების ფედერალური ბიუროს ყოფილ დირექტორს ჯონ ედგარ ჰუვერსაც.

22. ოპერაცია „დიდი ხელისჩამორთმევა“

სამოციანი წლების დასაწყისში ახი მილიონი ტელემაყურებელი ინტერესით ადევნებდა თვალს პრეზიდენტობის კანდიდატების კენედისა და ნიქსონის ცხარე დისკუსიებს. ყოველკვირეული „ტაიმი“ წერდა: „კენედი მოითხოვს მეტ სახსრებს თავდაცვისათვის, განათლებისა და საზოგადოებრივი სექტორისათვის. მან გამოიჩინა სიმტკიცე, სიდარბაისლე, ინტელიგენტურობა, პირუთვნელი ობიექტურობა და არასდროს არაფერი უთქვამს ზედმეტი. მას არც ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები ჰყვარებია“.

დემოკრატიული პარტიის კანდიდატის ჯონ ფიცჯერალდ კენედის გამარჯვება (34 221 463 ხმა 34 108 582-ის წინააღმდეგ) იყო არა მარტო რეფორმების, არამედ ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეტაპის დასაწყისიც.

კენედიმ იუსტიციის მინისტრად დანიშნა თავისი ძმა ბობი. ბევრს არ მოსწონდა მათი ოჯახის პოლიტიკა, მაგრამ პრეზიდენტი მტკიცედ ადგა თავისას. მას რობერტი საუკეთესო კანდიდატურად მიაჩნდა: „რობერტს ეყოფა საიმისო ვაჟკაცობა, რომ შემოიღოს თანასწორუფლებიანობა სამხრეთის შტატებში, რომლებიც სეგრეგაციის მომხრენი არიან და გაილაშქროს მაფიის წინააღმდეგ“.

ამავე დროს, არასწორი აღმოჩნდა კენედის გადაწყვეტილება, დაეტოვებინა ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულებების მეთაურებად წინა მთავრობის მიერ დანიშნული პირები, რომელთა შორისაც იყო გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი ედგარ ჰუვერი.

ოც წელიწადზე მეტხანს ჰუვერს არ უხდოდა ელიარებინა ყველასათვის ნათელი ჭეშმარიტება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მოქმედებდა „კოზა ნოსტრა“, მართვის ერთიანი ცენტრით. მოხდა ისე, რომ ჰუვერის ხელმძღვანელობის ათი წლის მანძილზე გამოძიების ფედერალური ბიურო, სენატის ორი და პრეზიდენტის ოთხი კომისია მუშაობდა ორგანიზებული დამნაშავეობის საკითხების გამოძიებაზე, მაგრამ მაინც ვერაფრით დაეხმარნენ მართლმსაჯულების ქალღმერთს.

მხოლოდ 1975 წელს, „ნათლიების“ აპალაჩინში გამიმწყვდევის შემდეგ ჰუვერმა დაუშვა მოსაზრება, რომ „რაღაც ამდაგვარი მართლაც არსებობს“. მაგრამ საერთო-სახელმწიფოებრივ, ფედერალურ გამოძიებაზე გაგონებაც კი არ სურდა — ეს ცალკეული შტატების პოლიციის საქმეაო. ამიტომ მის ცენტრსა და იუსტიციის სამინისტროს შორის კონფლიქტი წარმოიშვა. მინისტრმა უილიამ როჯერსმა, რომელიც ცდილობდა შეემცირებინა დანაშაულობათა რიცხვი, ჰუვერის ჯგუფზე ჩამოაყალიბა გამოძიების განსაკუთრებული ჯგუფი, რომელიც არ იყო დამოკიდებული გამოძიების ფედერალურ ბიუროზე. მან ჯგუფს ხელმძღვანელად დაუყენა ფედერალური პროკურორი მილტონ უესელი. მაგრამ ამ ჯგუფის მუშაობას მოსალოდნელი შედეგი არ მოჰყოლია. ჰუვერმა თავის აგენტებს აუკრძალა ყოველგვარი თანამშრომლობა უესელის ჯგუფთან.

როჯერსის იმედები გაცამტვერდა, ხოლო უესელის გუნდი დაიშალა. ამ კომისიის მხოლოდ ერთმა წევრმა, რიჩარდ ოგილვიმ, მოგვიანებით ილინოისის შტატის გუბერნატორმა, ციხეში უკრა თავი ალ კაპონეს თანაშემწეს ტონი აკარდოს. უესელის ჯგუფიდან მეორე, რომელსაც არ სურდა ფარ-ხმალი დაეყარა, იყო ედუარდ ალენი — კალიფორნიის ქალაქ სანტა-ანას პოლიციის შეფი. ვაშინგტონში გამართულ საიუბილეო კონფერენციაზე მან წამოაყენა წინადადება — დაეფუძნებინათ დამოუკიდებელი ფედერალური დაწესებულება „კოზა ნოსტრასთან“ საბრძოლველად.

ჰუვერმა ალენის წინააღმდეგ ისეთი სასტიკი ლაშქრობა წამოიწყო, რომ სანტა-ანა იძულებული გახდა პოლიციის შემადგენლობისათვის ახალი შეფი ეძებნა. საქმე ის იყო, რომ ალენი საჯაროდ საყვედურობდა გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორს უსიამოვნო ამბის გამო ბიუროს აგენტს უილიამ ვ. ტერნერს რომ შეემთხვა და რომელიც მან ჟურნალ „ნეიშნში“ ასე აღწერა: „ნათლიების“ აპალაჩინის თათბირის შემდეგ ჩვენ ვნახეთ, როგორ დაძვრებოდნენ გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები მანქანების სადგომებზე დასავლეთი სანაპიროს თითქმის ყველა ქალაქში, როგორ იწერდნენ აქა-იქ მანქანების ნომრებს. ეს ისე გამოიყურებოდა, თითქოს მაფიის წინააღმდეგ მართლაც დაწყებულიყო რაღაც დიდი შეტევა. მაგ-

რამ მომდევნო წლის გაზაფხულზე მთელი ეს შეტევა საპნის ბუშტივით გასკდა“.

მასშტაბური ჩხრეკა-დაპატიმრება შემადგენელი ნაწილი იყო სახელმწიფო აქციისა, რომელიც ჰუვერმა ჩაატარა, ოღონდ არა ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ. „ათასობით კარგად მომზადებულ აგენტს, — განაგრძობს ტერნერი, — უნდა ჩაეწერა სხვა შტატებიდან ჩამოსული მანქანების ნომრები, თუმცა მინიმალური იყო შანსი იმისა, რომ მათ შორის იპოვნიდნენ სწორედ იმ მანქანას, რომლითაც არალეგალურად შემოვიდნენ კონტრაბანდისტები ამერიკის შეერთებულ შტატებში. მიუხედავად ამისა, პოლიციას იმ დროს შეეძლო დაეპატიმრებინა ყველა „ნათლია“ და „ლეიტენანტი“. მთელი ათ წელიწად-ნახევრის განმავლობაში, რაც გამოძიების ფედერალურ ბიუროში ემუშაობდი, ვხედავდი, რომ ჰუვერი სირაქლემასავით ჩარგავდა ხოლმე თავს, როგორც კი საქმე მაფიას შეეხებოდა. იგი ამბობდა საშიში არაფერიაო, ანდა იტყოდა ხოლმე, მე არაფერი მესაქმება „კოზა ნოსტრასთან“, ეს ქალაქის პოლიციის საზრუნავიაო“.

ჰუვერი ანცვიფრებდა მთავრობებს (მან კი რამდენიმე მთავრობა გამოიცვალა) სტატისტიკური მონაცემებით. ხოლო, როდესაც მაფია ისე გაკადნიერდა, რომ დღისით-მზისით დაიწყო ხალხის ხოცვა, კორესპოდენტებმა იკითხეს, საინტერესოა, რას ფიქრობს ბიუროს შეფი ჰუვერიო? რედაქტორმა ჯონ კროსბიმ ჰუვერს გაუგზავნა ღია წერილი, რომელშიც აღნიშნავდა: „უკანასკნელი ოცდათექვსმეტი წლის მანძილზე, რაც თქვენ გამოძიების ფედერალური ბიუროს მეთაურობთ, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიზარდა დამნაშავეობა. თქვენი მოწყალე მზერის წინაშე „კოზა ნოსტრას“ სინდიკატის წევრები მდიდრდებიან, გარემოსილი არიან ფუფუნებითა და პატივისცემით“.

ყოვლისმძლე ჰუვერმა, რომელიც მიჩვეული იყო, რომ პრესა კრინტსაც ვერ სძრავდა მასზე, კროსბის მტკიცება შეურაცხყოფად მიიჩნია და განაცხადა, რომ გამოძიების ფედერალური ბიუროს არ მიუწვდება ხელი ყველა სახის დანაშაულობათა გამოძიებაზე.

ყველაზე მწვავე კონფლიქტი ჰუვერს მოუვიდა თავის შეფებთან — რობერტ და ჯონ კენედებთან. რობერტ კენედიმ შეურაცხყო გამოძიების ბიუროს წარმომადგენელი სიტყვებით: „კოზა

ნოსტრა“ ყველა იმ ბანდიტზე გაცილებით უფრო ძლიერი და საშინელია, რომელიც თქვენ ოდესმე შეგიპყრიათ“.

ჰუვერი წარსდგა კონგრესის კომიტეტის წინაშე, რომელიც ფინანსურ სახსრებს უნიშნავდა და როგორც მას სჩვეოდა, წარუდგინა სტატისტიკური ანგარიში: ამდენი და ამდენი დამნაშავე დავაპატიმრეთ, ამდენს დავადეთ მსჯავრი, ამდენი მანქანა გიპოვეთო... ბადეში კვლავ მოჰყვა რამდენიმე უმნიშვნელო მაფიოზი, მაგრამ დამნაშავეთა სამყაროს მეუფენი თავთავიანთ ადგილებზე დარჩნენ.

დაბოლოს, ჰოფას საქმეში მარცხის შემდეგ შეიძლება ითქვას, ფარ-ხმალი დაყარა არა ჰუვერმა, არამედ რობერტ კენედიმ. მან უხალისოდ განაცხადა: „კარგა ხანია, ისე აღარ მაწუხებს მაფიასთან ბრძოლაზე ფიქრი, როგორც წინათ“.

ჰუვერი ორმოცდარვა წლის განმავლობაში (1972 წლის მაისამდე) დაინტერესებული იყო, უწინარეს ყოვლისა, „სხვა მთავარი ამოცანებით“.

მაგრამ რობერტ კენედის საბოლოოდ მაინც არ დაუყრია ფარ-ხმალი. მან იუსტიციის სამინისტროში ჩამოაყალიბა გამოძიების ფედერალური ბიუროსაგან დამოუკიდებელი კომისია — დამნაშავეობის საკითხთა ეროვნული კომისია. იგი იმ აზრს ადგა, რომ უმჯობესია ციხეში ამოაყოფინოს თავი თუნდაც ერთ „ნათლიას“, ვიდრე „უამრავ წვრილ დამნაშავეს“. კენედის ოპერაციას, რომელსაც ჰუვერმა დემონსტრაციულად გამოუცხადა ბოიკოტი, ეწოდა „დიდი ხელისსამორთმევა“ და თავღაპირველად სავსებით საიმედოდ გამოიყურებოდა.

იუსტიციის სამინისტროს პროფკავშირის ყოფილი ხელმძღვანელი უილიამ ჰანდლეი მოგვიანებით წერდა: „ჩვენს პროფკავშირს ჰქონდა საქაღალდე ათასასი დამნაშავის შესახებ დაწვრილებითი ცნობებით. ჩვენ ვგრძნობდით, ვინ იყვნენ „კოზა ნოსტრას“ მბრძანებლები“. მთავარი ინფორმატორი გახდა ჯო ვალაჩი, „კოზა ნოსტრას“ საშუალო მოსელე, რომელიც ფედერალური სამართველოს ნარკოტიკებით ვაჭრობასთან მებრძოლმა განყოფილებამ დააპატიმრა. ვალაჩიმ შეტსარავი დეტალებით აღწერა „კოზა ნოსტრას“ სტრუქტურა, რომელსაც ჰუვერი თითქმის ყოველთვის მირაჟად წარმოსახავდა.

იმისათვის, რომ აქცია „დიდი ხელისსამორთმევა“ უფრო ქმედითი ყოფილიყო, კენედიმ წარმომადგენელთა პალატას მოს-

თხოვა გამოეტანა საგანგებო კანონი. კომიტეტის თავმჯდომარემ ემანუელ ცელერმა პროექტის მიღებისათვის აუცილებლად ჩათვალა ჰუვერის პირადი თანდასწრება. გამომძიების ფედერალური ბიუროს შეფმა ამაზე უარი თქვა, ხოლო პალატაში გამოსვლისას ამტკიცებდა, რომ გაცილებით უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენენ ზანგთა ორგანიზაციები, მაგალითად, „შავი ავაზები". ამიტომ ე. ცელერს სურდა, რომ კენედი ცდილიყო „შეეცვალა ბატონ ჰუვერის პოზიცია".

კენედები უკვე აღარ იყვნენ დამოკიდებულნი ფედერალური გამობიების შეფზე, მათ სხვა დამოუკიდებელი კომისიები ჩამოაყალიბეს. ამის შედეგად მხილებულ და მსჯავრდებულ „კოზა ნოსტრას" წევრთა რიცხვი 1960 წლის 19-დან, 1964 წელს ექვსას ოთხმოცამდე გაიზარდა. მაგრამ მომდევნო წლებში კვლავ მაფიამ იმარჯვა.

მართლაც, რომ ბედის ირონიაა — თეთრ სახლს მაფია მიუახლოვდა თავისი დაუძინებელი მტრის ჯ. კენედის წყალობით, რომელსაც ხმა მისცა ასათასობით ამომრჩეველმა სწორედ იმიტომ, რომ იგი უკომპრომისოდ გამოდიოდა ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ.

ამ საქმის სათავეებთან იდგა ორი კაცი — მომღერალი ფრენკ სინატრა და ჩიკაგოს სინდიკატის „ნათლია" სემ ჯანკანა, რომელიც დამნაშავეთა სამყაროში ცნობილი იყო „მომოს," „მოსისა" და „მუნის" მეტსახელით.

1957 წელს ჯანკანა დაეპატრონა კალიფორნიისა და ნევადის დამნაშავეთა სამყაროს. ჩიკაგოელი ნაძირალების წინანდელ „ნათლიასთან" ურთიერთობაში მას პრობლემა არა ჰქონია. აკარდოს ახსოვდა ჯონ ტორიოს ბრძნული სიტყვები და დროზე დაუთმო ადგილი უმცროსს, რათა კიდევ რამდენიმე წელიწადს დამტკბარიყო შვილიშვილების ცქერით გარეუბან რივერ ფორესტის ოცოთახიან ვილაში.

ჯანკანას, რომელიც თხუთმეტი წლიდან ხელმძღვანელობდა მოზარდთა ბანდას ჩიკაგოს 42-ე ქუჩაზე, 15 წლის მანძილზე ეკუთვნოდა სამი დიდი სამრეცხაო, ოთხი ავტომობილებით მოვაჭრე მაღაზია, ათზე მეტი სასტუმრო და რესტორანი. მეორე მსოფლიო ომის დროს იგი ჯარში უნდა გაეწვიათ, მაგრამ როდესაც განაცხადა, რომ მის ხელობას შეადგენს მხოლოდ და მხოლოდ ქურდობა და შანტაჟი, გაკვირვებულმა ოფიცრებმა ან-

ქეტაში ჩაუწერეს: ფსიქოპათი, დამახინჯებული პიროვნება, სპ-სახურისთვის უვარგისია.

გასაწვევი კომისიის გადაწყვეტილებამ „მომოს“ შესაძლებ-ლობა მისცა გაეფართოებინა ბენზინის „შავი ბაზარი“ და შეს-დგომოდა თანხების გამოძალვას ვაჭრებისაგან. ალ კაპონეს მსგავსად ჯანკანამაც მაღალ სფეროებს მიაღწია. ამ წარმატება-ში დიდი წელილი მიუძღოდათ მის მოადგილებს ფრენკ ფერარასა და გუს ალექსს. ჯანკანას უყვარდა ცნობილ ადამია-ნებთან დაახლოება, ხოლო ალექსის მეგობარი ქალი იყო კინო-ვარსკვლავი ფილის მაკგუაირი, დები მაკგუაირების განთქმული ტრიოს ყველაზე უმცროსი წევრი.

ტურფა მანდილოსნის რჩეულთა რიცხვს ეკუთვნოდა ფრენ-სის ალპერტ სინატრაც, იგივე „ფრენკი ბელადი“, „იტალიე-ლი“, „რომის პაპი“, „ფრენკიბოი“. იგი დაიბადა 1915 წელს ნიუ-იორკის ერთ-ერთი მრავალსართულიანი სახლის უკანა ეზოში, სადაც გაატარა მთელი ბავშვობა. მამამისი მრავალი წლის წინ პალერმოში შეერთებოდა ემიგრანტებს, რომლებიც ოკეანის მეორე ნაპირზე მიემგზავრებოდნენ ბედის საძიებლად. ფრენკ სინატრას სიჭაბუკეს მაფიის მომავალი ნებიერას ყვე-ლა ტიპიური ნიშანი ახასიათებდა. ისევე როგორც ლუჩანო და ალ კაპონე, სინატრა შედიოდა ყმაწვილების ჯგუფში, რომ-ლებსაც ხშირი შეტაკებანი ჰქონდათ პოლიციასთან. მისი საუ-კეთესო მეგობრები იყვნენ ძმები ფისჩეტები, რომელთაგან ერთ-ერთი კაპონეს ბანდის „ლეიტენანტობამდე“ დაწინაურდა, მეორე კი ბაგსი სიგელის მოადგილე გახდა.

„ფრენკიბოის“, როგორც ყველა იტალიელს, უყვარდა სიმ-ღერა და სასიამოვნო ხმა ჰქონდა. ერთხელ, რომელიღაც შან-ტანში იგი იმპრესარიომ ნახა და შესთავაზა კონტრაქტი, რო-მელმაც მას გზა გაუხსნა სცენისაკენ. ახალგაზრდა მომღერლის პოპულარობა იზრდებოდა, მაგრამ ჰონორარი, დადებული კონ-ტრაქტის თანახმად, ძველი რჩებოდა. ერთხელ სინატრას, რო-მელიც სიყმაწვილიდანვე ირიცხებოდა მაფიოზების კლანში, ეწვია ნიუ-ჯერსელი „ნათლია“ მორეტი: „ფრენკ, მარტოოდენ კარგი ხმა და ვაჟკაცური გარეგნობა არ არის საკმარისი. მომ-ღერალს რეკლამისათვის ფული სჭირდება!“. სინატრა დაეთან-ხმა, ხოლო ფულს, მაფიამ რომ დაბანდა საჭირო სარეკლამო კამპანიაში, იგი მთელი სიცოცხლე ისტუმრებდა.

„ფრენკიბოიმ" პირველად მიიღო პირადი დაცვა, ხოლო მის იმპრესარიოს შესთავაზეს ერთ დოლარად გაეყიდა კონტრაქტი, რომელიც სინატრასთან ჰქონდა დადებული. იმპრესარიომ თავდაპირველად გაძალიანება სცადა, მაგრამ, როდესაც საფეთქელზე ექვსვაზნიანი რევოლვერის ლულა მიადეს, უკვე ხმა აღარ ამოუღია. მალე ამის შემდეგ სინატრა ჩავიდა სიგელის ჰოლივუდის იმპერიაში, ხოლო 40-იანი წლების დამდეგს „ნათლია" მორეტის წყალობით უკვე ცნობილ მსახიობთა რიცხვს ეკუთვნოდა. იავის გამოჩენის პირველი შესაძლებლობა მან მიიღო ფილმში „ლას-ვეგასის ღამეები" და სწორედ ლას-ვეგასს დაუკავშირა სამუდამოდ თავისი სიცოცხლე.

მაფიოზმა მეცენატებმა მას აუყვანეს საუკეთესო სპეციალისტები, რომლებმაც დაარწმუნეს ფრენკი, რომ უმჯობესი იყო თავდაპირველად ემღერა სადა, გულში ჩამწვდომი ლექსები სიყვარულისა და ადამიანური ოცნებების შესახებ. ეს იყო მთავარი, რითაც სინატრამ ამერიკელები მიიზიდა.

ამფსონების წყალობით სინატრამ სულ მალე თავისი მილიონები ლას-ვეგასის ახალ კაზინოებში დააბანდა: ულამაზესი ტბის — ტახოს პირას მდებარე სასტუმრო „სენდსისა" და კაზინო „პალ-ნევა ლოჯის" რეკონსტრუქციაში მან სამ მილიონ-ნახევარი დოლარი დახარჯა. თავისთავად ეს კარგი იყო, მაგრამ სინატრას ამან დიდი უსიამოვნება მოუტანა და კინალამ შარში გახვია.

ეს შემთხვევა გაზეთებშიც მოხვდა ლას-ვეგასში მომხდარი ერთი ამბის გამო. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სინატრა შეეჯახა მილიონერ ჰოვარდ ჰიუზს, რომელმაც ნახევარი ლას-ვეგასი და მათ შორის სასტუმრო „სენდსი" იყიდა. გააფთრებული სინატრა, ჰიუზს რომ დაეძებდა, კაზინოში შევარდა. იქ რომ ვერ ნახა, ახლა დირექტორს ეცა. ატყდა ჩხუბი. „ფრენკიბოიმ" მოინდომა საპასუხო დარტყმა მიეყენებინა მეტოქისათვის, სკამის ფეხი მოიქნია და მოულოდნელად შემოსულ პოლიციელს სთხლიშა. მომღერალი მყისვე ქუჩაში გაუჩინარდა, დაქოქა თავისი „მერსედესი", შემდეგ მანქანა სასწრაფოდ მიატოვა და მინის კარებიდან კვლავ კაზინოში შევიდა, ვითომც იქ არაფერი მომხდარიყოს. მაგრამ ამჯერად დირექტორის წაცდლად ყოფილი მოკრივე დაუხვდა, რომელიც სასტუმროს ადმინისტრაციას დაქირავებული ჰყავდა აბეზართა დასაშოშმინებ-

ლად. თითქოსდა ამით ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ ამ ისტორიის შემდეგ ფრენკს გასაქანს არ აძლევდნენ რეპორტიორები, ისინი ათასნაირ საჩოთირო კითხვებს აძლევდნენ მას. ეგი კი ყველას ეუბნებოდა: „კოზა ნოსტრაში“ არავის ვიცნობო.

„ფრენკიბოიმ“, რომლის ძმაც, ექიმი ტომას სინატრა, გამხიზოს ოჯახის სიძე გახდა, გააერთიანა თავისი ინტერესები სასტუმრო „ფინტენებლოსთან“, რომელშიც დაედო ბინა მის მეგობარ ჯანკანასაც.

„რჩეულთა“ საზოგადოებაში სინატრას წარმატება იზრდებოდა ჰოლივუდის ახალგაზრდა მსახიობ ქალებთან მისი სამიჯნურო ინტრიგების ზრდის პროპორციულად.

ამ დროს პირველად სცადა მაფიამ როგორმე შეეღწია თეთრ სახლში. 1960 წლის თებერვალში ლას-ვეგასს ესტუმრა პრეზიდენტობის კანდიდატი ჯონ კენედი თავის 28 წლის ძმასთან, ედუარდთან ერთად. მასპინძელმა, დემოკრატთა თავკამოდებულმა მომხრემ, მომღერალმა სინატრამ კენედის პატივსაცემად გამართა ათობით კონცერტი, რომელთა შემოსავალი — მილიონნახევარი დოლარი მთლიანად არჩევნების ფონდში შეიტანა. გარდა ამისა, მანვე მოამზადა დიდებული საარჩევნო შოუ, რომელზეც სენატორი კენედი სიტყვით გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ექვსასი ყველაზე გავლენიანი მოღვაწის წინაშე. ფრენკმა იმაზეც იზრუნა, რომ მათი წასვლის შემდეგ გარდერობში დარჩენილიყო გვარიანი თანხა საარჩევნო რეკლამისათვის. ამის შემდეგ საქმეს გაუძღვა „ნათლია“ სემი ჯანკანა. მისი მითითებით სინატრამ ძმებ კენედებს სასტუმროში თავს დაახვია ულამაზესი კინოვარსკვლავი ქალები, რომლებმაც მთავარი როლი შეასრულეს მომავალ პრეზიდენტთან მაფიის თავკაცის დაახლოების საქმეში.

„სენდსის“ მზეთუნახავებს შორის გამოირჩეოდა ინტელიგენტური და საოცრად მიმზიდველი შავგვრემანი ჯუდით კემპბელი, პალმ-სპრინგსში სინატრას ვილის მუდმივი ბინადარი. ორი წლის წინ მისი მეუღლე, ბილი კემპბელი მსახიობთა იმ ჯგუფში შედიოდა, რომელსაც ფრენკ სინატრა და დინ მარტინი ხელმძღვანელობდნენ. 1959 წელს ჯუდით კემპბელი გაეყარა ქმარს და ფრენკ სინატრასთან გადმოვიდა საცხოვრებლად. მას უყვარდა „ფრენკიბოის“ მგზნებარე ტემპერამენტი, ლაღი, ბობოქარი ხასიათი და ხელგაშლილი ბრწყინვალე დარბაზობანი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ძმები კენედები ჯუდითს გაეარშიყნენ. რობერტს ჯონმა აჯობა და უკვე იმავე საღამოს ჯუდითს შესაძლებლობა მიეცა მომავალ პრეზიდენტთან ერთად ყოფილიყო ბანკეტზე და დასწრებოდა პრესკონფერენციას.

მოგვიანებით თავის წიგნში „ჯუდით კემპბელ ექსნერის მოგონებანი“ მსახიობი ქალი წერდა: „მახსოვს სასტუმრო „პლაზას“ ოთახი № 1651, სადაც ჩვენ უფრო ახლოს გავიცანით ერთმანეთი“.

კენედის თეთრ სახლში შესვლა ზარ-ზეიმით აღნიშნა „მომო“ ჯანკანამაც, თუმცა ეს ორი კაცი დიამეტრულად საწინააღმდეგო შეხედულებებს ადგა. მაგრამ რაღაც საერთო, რაც ჯერ კიდევ არ იცოდა პრეზიდენტმა, მათ მაინც ჰქონდათ: ეს იყო ჯუდით კემპბელი.

ჯანკანას წყალობით სინატრასათვის მუდამ ღია იყო თეთრი სახლის კარი.

1962 წლის აგვისტოში მაფიამ წამოიწყო ახალი „თამაში“, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა. იუსტიციის მინისტრმა რობერტ კენედიმ, მაფიის დაუძინებელმა მტერმა, პრეზიდენტს წარუდგინა საიდუმლო განცხადება სინატრასა და ჯანკანას შესახებ. მაფიიზი „ნათლიების“ სატელეფონო საუბრების მოსმენით მიღებული ცნობები ადასტურებდნენ, რომ სინატრა დროდადრო ხვდება „კოზა ნოსტრას“ წევრებს, მათ შორის, პიტერ ეპშტეინსა და ძმებ ფისჩეტებს. მაგრამ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ რობერტ კენედიმ შეძლო დაემტკიცებინა სინატრას სავაჭრო თანამშრომლობა „მომოსთან“, რომელსაც კენედების დინასტია არ სწყალობდა და ჰქონდა კიდეც საამისო საფუძველი.

კრახს ხელი შეუწყო თვით ჯანკანამ, რომელმაც უტიფრად შესთავაზა რობერტ კენედის: „ჩვენ შეგვიძლია ერთად გადავწყვიტოთ სადავო საკითხები. სინატრა თვითონ შეარჩევს შეხვედრების ადგილსა და დროს, ვინაიდან მე მაინც და მაინც არ მინდა გამოვჩნდე საზოგადოებრივ ადგილებში“. რობერტ კენედის არ მოეწონა ჯანკანას ტონი და მაშინვე ბრძანა, თვალი ედევნებინათ მისთვის.

იმ მიზეზის შესახებ, რომლის გამოც სინატრა დიდხანს ვერ გამოჩნდებოდა ვაშინგტონში, განცხადებაში საგანგებოდ იყო ნათქვამი. რობერტმა ძმას გაუგზავნა ფოტოსურათები, რომ-

ლებიც ცხადზე უცხადესად მოწმობდნენ, რომ პრეზიდენტისა და სინატრას საერთო ნაცნობი — ოცდაექვსი წლის ჯუდითი, ამასთანავე 52 წლის „ნათლიის“ მეგობარი ქალიც ყოფილა. მაგრამ მამხილებელი დოკუმენტი არც ამით მთავრდებოდა: „ჯანკანა მამაჩვენს (ყოფილი ელჩი ლონდონში ჯოზეფ კენედი) ფერისტს ეძახის. სიტყვასიტყვით მან ასე თქვა: „ეს მიკიტანი და პაპანისი — მაფიოზი პატრიკი „მშრალი კანონის“ დროს ჩვენ ბაქციეთ ხალხად. კანონის გაუქმების შემდეგ მათ ალკოჰოლიანი იატაკქვეშა ვაჭრობით მოგებული მილიონები ნავთობში დააბანდეს და გამდიდრდნენ, ხოლო როდესაც სიმდიდრის წყალობით პოლიტიკაში გაძვრნენ, ჩვენ ფეხებზე დაგვიკიდეს!“

თეთრი სახლის მფლობელმა გაწყვიტა ურთიერთობა კემპბელთან, ხოლო მისმა ძმამ რობერტმა გააძლიერა ოპერაცია „დიდი ხელისჩამორთმევა“. „ნათლიებმა“ შეებით ამოისუნთქეს მხოლოდ ჯონ კენედის მკვლელობის შემდეგ. ხელისუფალთათვის საიდუმლო არ ყოფილა, რომ ამ წუთს ისინი მოუომენლად ელოდნენ და არაერთგზის უფიქრიათ ორივე ძმის მოკვლა.

კემპბელის ისტორიას ზედ დაერთო მისი საყვარლის სინატრას დრამაც. პრეზიდენტმა კენედიმ მიიღო ცნობა, რომ იუსტიციის სამინისტროს საგანგებო რაზმის აგენტებს ჩაუწერიათ ჯანკანას საუბარი მაფიის მეორე გავლენიან შეფთან ჯონ ფორმოზასთან, რომელიც მოითხოვდა, „მარდერ ინკორპორეიტიდმა“ სინატრა სიცოცხლეს უნდა გამოასალმოსო.

საფუძველი: ოპერაცია „თეთრი სახლი“ საბოლოოდ უნაყოფო გამოდგა და მაფიამ კიდევ ერთი დამარცხება იწვნია რობერტ კენედისაგან.

სინატრა იხსნა ჯანკანამ, რომელმაც კატეგორიულად განაცხადა: „არა, მე სულ სხვა გეგმები მაქვს ფრენკისთან დაკავშირებით!“ აქ თავისი როლი ითამაშა გულწრფელმა მადლიერებამაც, მაგრამ არამც და არამც თანაგრძნობამ. ჯანკანას საკმარისად ჰქონდა ჩადენილი დანაშაულობანი, მაგრამ ერთ-ერთს იმის წყალობით გადაურჩა, რომ სინატრას კაზინოში დაიმალა.

ამასთან ერთად, ჯანკანას სჭირდებოდა ვაჭრობისათვის სინატრას მხარდაჭერა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მან ცუდი არჩევანი გაეკეთა. ვინაიდან მომღერალმა კაზინოს ლიცენზია დაკარგა სწორედ იმიტომ, რომ ტახოს ტბისპირა სასტუმროში დაასახლა ჯანკანა. „ფრენკიბოი“ იძულებული გახდა ლიცენზია დაებრუნებინა და ახლა რესპუბლიკელებს მიმხრობოდა,

ახლა იგი რიჩარდ ნიქსონსა და სპაირ აგნიუს უმღერიდა.

სინატრას ჩამქრალი ვარსკვლავი კვლავ აკიაფდა, როდესაც ახალი მოვლენები დატრიალდა: განგსტერებმა ფრენკს ვაჟი მოსტაცეს. მსახიობი თმებს იგლეჯდა, ტიროდა, ყველგან დაეძებდა დაბოლოს, ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მეოთხედ მილიონად იხსნა შვილი. რეპორტაჟების ნიაღვარში სადღაც ჩაიკარგა პოლიციის ცნობა იმის შესახებ, რომ მოტაცება ვილაცის მიერ იყო ინსცენირებული. ეს იყო „ნათლია" გამბინოს მიერ ინსპირირებული ეშმაკური, შემოვლითი მანევრი. საზოგადოებრიობა აღარაფერს ერჩოდა მომღერალს, კაცი, რომელმაც სახელი გაიტეხა მაფიასთან კავშირით, სენტიმენტალური ამერიკელების თვალში მყისვე გადაიქცა „მზრუნველ მამიკოდ".

„ფრენკიბოიმ" დიდი ენერგიით მოჰკიდა ხელი ფილმებსა და პოლიტიკას. იგი გულისწყრომით გმობდა დემოკრატებს, ვინაიდან ვერ დაევიწყებინა ბოროტება, რომელიც კენედებმა მოუტანეს.

ხოლო ნიქსონის შემდეგ სინატრა ასევე მგზნებარედ ეფიცებოდა ერთგულებას ყოფილ ჰოლივუდელ მსახიობსა და ძმაკაცს რონალდ რეიგანს. მაგრამ აქ იწყება ახალი მოვლენები, რომელთა დასასრული ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით.

სინატრა, ზოგჯერ უხალისოდ, ეხმარება რესპუბლიკელებსაც და „კოზა ნოსტრასაც", მაფიას — იმით, რომ ყველაზე დიდი ცოდვილნი მამა აბრამის ბატკნებად გამოჰყავს საზოგადოებრიობის თვალში. სისტემა უბრალოა. ადამიანები ფიქრობენ, თუკი განთქმული ფრენკ სინატრა პრეზიდენტებს ხვდება და ამავე დროს მეგობრები ჰყავს „კოზა ნოსტრაში", ხომ არ შეიძლება, რომ მაფიაში მართლაც ისეთი ცუდი ადამიანები იყვნენ, როგორც ამბობენ. სწორედ ეს არის სამსახური, რომელსაც მომღერალი უწევს სიცილიელ მეგობრებს. მისი ღვაწლი მაფიის გარკვეულ მორალურ რეაბილიტაციაში საკმაოდ დიდია. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ „ფრენკიბოის" თავისი თავი ავიწყდება. ნევადის კაზინოში ლიცენზიის დაკარგვა მას მრავალ წელიწადს არ აძლევდა მოსვენებას. და არამარტო მას. ამ უსიამოვნებამ ბევრს გაუჩინა პრობლემები. და თუმცა ნიქსონის დროს მომღერალი ვიცე-პრეზიდენტ სპაირ აგნიუს მეგობართა წრეს ეკუთვნოდა, ამ გავლენიანმა კაცმაც ვერ გაბე-

და, საზოგადოებრიობისა და ამომრჩევლების შიშით, თავდებად დასდგომოდა მას ლიცენზიების დაბრუნების საქმეში.

დღე, რომელსაც დიდხანს მოელოდნენ, დადგა 1980 წლის უკანასკნელ თვეში. რონალდ რეიგანმა გაიმარჯვა პრეზიდენტის არჩევნებში, ხოლო სინატრა 6 დეკემბერს თავისი დაბადების 65 წლისთავს აღნიშნავდა. მისალოცად მისულ სტუმრებს შორის იყო ამერიკის შეერთებული შტატების მეორმოცე პრეზიდენტის პირადი ადვოკატი უილიამ ფრენკ სმიტი, რომელიც რეიგანმა გენერალურ პროკურორად დანიშნა. ეს უკვე მეტისმეტი იყო. გაზეთებმა დაუფარავი გაოცებით მიაპყრეს ყურადღება იმ ფაქტს, რომ სინატრა ახალი პრეზიდენტის მეგობართა რიცხვს ეკუთვნოდა. მათვე დაბეჭდეს 1976 წელს სინატრას ქორწილზე გადაღებული ფოტოსურათები, რომელზეც აღბეჭდილი იყო იმხანად არჩევნებში დამარცხებული კანდიდატი და ქორწილის საპატიო სტუმარი — რონალდ რეიგანი.

ახლა მომღერალს უკვე შეეძლო შეეტანა თხოვნა ლიცენზიის დაბრუნების შესახებ. ანკეტაში, სადაც მთხოვნელს უნდა ჩამოეთვალა ამერიკის შეერთებული შტატების ხუთი პატივცემული მოქალაქე, პირადად რომ უდგებოდნენ თავდებად, გაჩნდა პრეზიდენტის სრული სახელი — რონალდ ვილსონ რეიგანი. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ნევადის ხელისუფალთ თხოვნა დაეკმაყოფილებინათ. მიღებულმა ლიცენზიამ სინატრას დიდძალი ფული მოუტანა.

მაფიაზე კენედის შემოტევის შემდეგ სემ ჯანკანა ძალზე აფორიაქებული იყო. იგი ისე დააშინეს კენედებმა, რომ გვარი შეიცვალა და საცხოვრებლად მექსიკაში გადავიდა. მაგრამ აქაც, ქალაქ კუერნავაკას მახლობელ სოფელში, მდიდრულ სახლში მცხოვრები თავისას არ იშლიდა პატივმოყვარე „მომო“ ჯანკანა, იმხანად რიკარდო სკალეტი, და ყველას აოცებდა ძღიერებითა და ფუფუნებით. ლოს-ანჟელოსიდან მასთან ხშირად ჩამოდიოდნენ მეგობრები, რათა მექსიკის პეიზაჟებით დამტკბარიყვნენ.

მართალია „ნათლია“ კაქტუსების ქვეყნიდან მართავდა თავისი შეფის, ალ კაპონეს ტერიტორიას, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში. ბოსტონის რესტორან „არტურ ფარმში“ მან

ჩამოაყალიბა სპეციალიზებული ბიური და გააუმჯობესა კავშირი შვეიცარიის ბანკებთან, რომლებშიც „კოზა ნოსტრა“ ხშირად აბანდებდა ძირითადად კაზინოში მოგებულ „ცხელ-ცხელ“ ფულს.

ცოტა ხნის შემდეგ ჯანკანასა და მის ძველ თანაშემწეს მაიერ ლანსკის ხუთი სამორინე ჰქონდათ დიდ ბრიტანეთში და ათობით ფილიალი — ახლო აღმოსავლეთში.

თავის დროზე ლანსკიმ „მარდერ ინკორპორეიტიდის“ ხელმძღვანელობაში მოიკალათა. მართალია, იგი სხვადასხვა ბრალდებით შვიდჯერ იყო დაპატიმრებული, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ გაასამართლეს. ვიეტნამის ომმა რომ გადაიარა და ამერიკა თანდათან დამშვიდდა, ლანსკიც გაიხსენეს.

უსამართლობით ღრმად შეურაცხყოფილი ლანსკი მეუღლეთურთ გადავიდა საცხოვრებლად ისრაელში, რათა აქ, ოდინდელ სამშობლოში დამფრთხალი მაფიოზიდან გადაქცეულიყო პატიეცემულ ვაჭარ სუხოვლანსკად. მაგრამ რედაქტორმა ლავიმა პრესაში გამოაქვეყნა „უცილობელი დამამტკიცებელი საბუთი“, რომ ლანსკი „კოზა ნოსტრას“ ფილიალს აარსებდა ისრაელში. სახელმწიფო მდივანი გაბრიელ ბახი (რომელიც ლანსკის ჩამოსვლის მერე ვერ აუდიოდა მის ახალ-ახალ დანაშაულობათა გამოძიებას) ვაშინგტონში გაფრინდა, რათა შეესწავლა ლანსკის მოღვაწეობა. ისრაელში დაბრუნებისას ბახმა განაცხადა, რომ მაიერ ლანსკი — ეს არის კაცი, რომელსაც აქეს გენიოსის ჭკუა იმ მხრივ, რაც დანაშაულობათა ორგანიზაციას შეეხება. ამიტომ 1972 წლის ნოემბერში ლანსკი თვითმფრინავით ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნდა.

ნიუ-იორკში მას უკვე ელოდებოდნენ გამოძიების ფედერალური ბიუროს წევრები. მაგრამ „ლტოლვილმა“ რედაქტორ ბენდანისათვის ინტერვიუს მიცემა მაინც მოასწრო.

ლ ა ნ ს კ ი: „მე თუ აქ განგსტერს მიწოდებენ, მაშასადამე, ამერიკის შეერთებულ შტატებში განგსტერების გარდა არავის უცხოვრია“.

ბ ე ნ დ ა ნ ი: „თქვენ მოგიკლავთ, მაგალითად, ბარეტი და, მგონი, სიგელი. ახლა თქვენ გაგასამართლებენ იმ დანაშაულობებისთვისაც, ლუჩანოსთან ერთად რომ ჩაიდინეთ ევროპაში. იქნებ იმის თქმასაც აპირებთ, რომ ამხანაგები არ იყავით?!“

ლ ა ნ ს კ ი: „ლუჩანოს რა თქმა უნდა, ვიცნობდი. მაგრამ

ოქვენ რა გგონიათ, ჯანკანას კაზინოში თეოლოგიის სემინარიელი სტუდენტები დადიან? შემიძლია გავიხსენო, რომ ლასვეგასში ასობით გამოჩენილი ადამიანი მინახავს".

ამ საუბრის შემდეგ ლანსკი დააპატიმრეს, ხოლო მეორე დღეს გამოუშვეს 650 ათასი დოლარის გადახდის შემდეგ. „სანამ სასამართლოს წინაშე წარვსდგებოდე, — კანაცხადა მაიამის ფარულ რეზიდენციაში ლანსკიმ, — მოდი ერთი, ქალებს დაგერევი!"

ფედერალური სამმართველოს ნარკოტიკებით ვაჭრობასთან მებრძოლი განყოფილების მონაცემებით ლანსკი, ჯანკანა და მათი „საქმისმწარმოებელი" ალბერტო სიცილია ფალკონი, ყოველ კვირას, ამერიკის შეერთებულ შტატებში აგზავნიდნენ 3,5 მილიონი დოლარის „თეთრ სიკვდილს".

23. პოკერში მოგებული მსასიობი ძალი

ვინსენტ ტერესას ბურთიანით დიდი თავი 1971 წლიდან ნახევარ მილიონ დოლარად იყო შეფასებული „კოზა ნოსტრას" „უმაღლესი საბჭოს" მიერ. მაფიოზები ჯოზეფ ვალაჩი და აბე რილესი ერთადერთნი არ იყვნენ, რომლებიც სიკვდილის შიშმა გამცემლობის გზაზე დააყენა და რომლებიც თვითონვე, მცირეოდენი ეჭვის შემთხვევაშიც კი არავის ინდობდნენ. ვინსენტ ტერესა და ლასკა იყვნენ უკანასკნელი მოწმეები, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების პოლიციამ ძვირადღირებული დაცვა შესთავაზა.

150-კილოგრამიანი ბოსტონელი მაფიოზი ტერესა, იგივე „ბიგ ვინი", დაპატიმრებული 1969 წელს, ცხოვრობდა სადღაც აღმოსავლეთ სანაპიროზე სამხედრო პოლიციის ფრიზელი დაცვის ქვეშ. სიცილიიდან გადმოსახლებულთა შთამომავალი, „კოზა ნოსტრას" მაფიოზების ექსკოლეგა არ დადიოდა კინოში, არ ელაპარაკებოდა მეზობლებს და ხალხში მხოლოდ მაშინ გამოჩნდებოდა ხოლმე, როცა ამას იუსტიციის სამინისტრო მოითხოვდა. განგსტერების თვალში „ბიგ ვინიმ" ჩაიდინა მიუტევებელი დანაშაული — დაარღვია დუმილის კანონი და გახდა მთავარი მოწმე ყოფილი თანამოსაქმეების წინააღმდეგ.

და არამარტო მათ წინააღმდეგ. მან დაუმტკიცა ქვეყანას, რომ ჰაიტის პრეზიდენტმა ფრანსუა დიუვალიემ, „მამა დოკად" წოდებულმა, „კოზა ნოსტრას" დახმარებით გააჩანაგა კარიბის ზღვის ეს მშვენიერი კუნძული.

ტერესა პოლიციას ეხმარებოდა 1971 წლის აგვისტოს პირველი კვირიდანვე, როდესაც იგი წარსდგა გამოძიების კომიტეტის წინაშე მოდურ, მწვანე პიჯაკში და მდოგვისფერ, ზოლებიან შარვალში. სხვა დამნაშავეებთან ერთად, რომლებიც ყოფილ კოლეგებს ამხილებდნენ, მან მიიღო დაახლოებით 40 მილიონი დოლარი. შემდგომში ყალბი ჩეკების მეტად რაფინირებულმა გამსაღებელმა და პირველი კლასის აზარტულმა მოთამაშემ დაარწმუნა სასამართლოს წევრები, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში აღარ დარჩა სფერო, სადაც მაფიას ხელი არ მიუწვდებოდა. ურწმუნო მსაჯულებს ვინსენტი უმტკიცებდა, რომ იცის რასაც ამბობს: „მე ისტორიაც კარგად ვიცი, მე ვარ მაფიის წმინდა სისხლის „ნათლიის" შვილიშვილი".

ტერესები ეკუთვნოდნენ კლასიკურ მაფიოზ გამომძალველებს მოყოლებული ჯერ კიდევ ვინსენტის ბაბუასაგან, რომელიც 1895 წელს იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა სამშობლო მკვლელობის გამო. მაგრამ, როგორც კი ფეხი დადგა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, იგი კვლავ დაუკავშირდა თავის სიცილიელ მეგობრებს და მალე ბოსტონის დასავლეთ კვარტალში მოჩხუბართა ბანდის მეთაურიც გახდა. მისი ვაჟი კოსმო არ იზიარებდა მამის ცხოვრების წესს და ხელი მიჰყო ქათმების მოშენებას.

სამაგიეროდ, 1928 წელს დაბადებული კოსმოს ვაჟი, ვინსენტ ტერესა, გაბედულად გაჰყვა ბაბუის კვალს. უკვე 12 წლის ასაკში ჩაიდინა მან პირველი ქურდობა კარტში წაგებული ფულის გასასტუმრებლად, ხოლო 16 წლისა იგი გარიცხეს სკოლიდან, რადგან 5 ათასი დოლარი მოიპარა საფოსტო მატარებლიდან. ნაქურდალიდან მას ცენტიც არ დარჩა, პირიქით, შულერების ვალიც დაედო. ბოლოს და ბოლოს იგი პოლიციელებს დაემალა და არმიას შეაფარა თავი.

ამის შემდეგ, ნოემბერში ვინსენტმა მზარეულად დაიწყო მუშაობა ამერიკულ ნალმოსანზე. თავის მდგომარეობას ის იმდენად დამამცირებლად მიიჩნევდა, რომ გვერდზე გადადო წინსაფარი და მეზღვაურის ზურგჩანთაში მოათავსა 14 ათასი დო-

ლარი გემის სეიფიდან. ბოსტონში იგი მძღოლი ლუი ანტონიოს სახელით ჩავიდა.

ტერესას სიყვარულშიც უმართლებდა და მალე ის დაქორწინდა კიდეც ქალიშვილზე, რომელსაც სახელად ერქვა ბლანში. მის ნათესავებს შორის იყო მოხუცი, მაგრამ გამოცდილი გრაფიკოსი, მაფიის ექსპერტი ყალბი ჩეკების დამზადების დარგში. ის აგრეთვე ამზადებდა მანქანის მართვის ყალბ მოწმობებს, რომლებიც ვინსენტისათვის აუცილებელი იყო ჩეკების „ნაღდ" ფულზე გაცვლისათვის. თუმცა ტიპოგრაფია ძალზე ბატარა ჰქონდა, მაგრამ შრომისმოყვარე სიმამრმა იქ იმდენი ყალბი საბუთი დაამზადა, რომ ტერესამ და მისმა მეგობრებმა მათი საშუალებით შეძლეს გაეცურებინათ თვითმომსახურების მაღაზიები, ოტელები, უნივერმაღები და ბანკები რამდენიმე შტატში. ათი წლის თაღლითობისა და ქურდობის შემდეგ ვინსენტმა 55 ათასი დააბანდა ავტოსადგურში, რომელიც დაზღვეული იყო 120 ათასად. ავტოსადგური „მოულოდნელმა" ხანძარმა შთანთქა, ტერესამ კი საკმაოდ დიდი დაზღვევის თანხა ჩაიჯიბა.

ვინიმ 6 თვის შემდეგ დააარსა საკახშო ფირმა „პირანია კომპანის" სახელწოდებით. ამ უცნაური სახელწოდების ახსნა შეეძლოთ იმათ, ვისაც ამ კომპანიისათვის მაღალი პროცენტის გადახდა „დაავიწყდათ". „გვინდოდა, რომ ჩვენს საწარმოს მკაცრის რეპუტაცია ჰქონოდა", — განმარტავდა მოგვიანებით ტერესა, — „თუ ვინმე უარს იტყოდა პროცენტების გადახდაზე, ჩვენ მას ხელს ჩავაყოფინებდით დიდ აკვარიუმში. მასში მოცურავე თევზებს ერთის შეხედვით არაფერი განსაკუთრებული არა ჰქონდათ, გარდა ეშმაკის სახისა. პირანიას სამკუთხა კბილები იმდენად ბასრია, რომ დაზარალებული ვერ გრძნობს ნაკბენს, ვიდრე სისხლს არ შენიშნავს.

თავდაპირველად, ჩვენ თითოეულ კლიენტს ეუკითხავდით ცნობილი იხტიოლოგის, დოქტორ მაიერსის დასკვნას იმის შესახებ, რომ პირანიას შეუძლია მოაჭამოს ადამიანს მთელი მტევანიც კი. პირანიას კბილების შესაძლებლობების გაცნობა, როგორც წესი, საჭირო ზემოქმედებას ახდენდა."

მას შემდეგ, რაც ფირმა „პირანია კომპანიმ" არსებობა შეწყვიტა, ტერესამ სხვა სახის თაღლითობებს მიმართა. ასე, მაგალითად, მოპარული კრედიტის ბილეთებით მისმა პატარა ბან-

დამ კრედიტით შეიძინა 72 „კადილაკისა“ და „ლინკოლნის“ მარკის ავტომობილი და გააგზავნა ზღვის გაღმა — თითოეული 3 ათას დოლარად. როდესაც განგსტერები პირველად დააპატიმრეს, მათ აღმოაჩნდათ ნახევარი მილიონი დოლარი. განაჩენის თანასმად, ტერესა ციხეში წელიწადნახევარი უნდა მჯდარიყო, მაგრამ იმ დროისათვის მას უკვე საკმაოდ ჰყავდა გავლენიანი ნაცნობები და ამიტომაც ეს სასჯელი პირობითად შეუცვალეს. სულ მალე ტერესა შეუერთდა მაფიოზების ახალ რაზმს. ოთხი ბანკის წარმატებით „გაწმენდის“ შემდეგ, რაზმმა იატაკქვეშა ბანქოს სათამაშო სახლების ტერორიზებას მიჰყო ხელი. ისინი საკმაოდ მარტივად მოქმედებდნენ. თავზე წინდას ჩამოაცვამდნენ, შეიჭრებოდნენ დარბაზში, მაგიდიდან ფულს მოხვეტდნენ და პისტოლეტების საშუალებით მოთამაშეებს აიძულებდნენ თავიდან ფეხებამდე გაშიშვლებულიყვნენ. ამის წყალობით საკმაო დრო ეძლეოდათ, რომ მიმალულიყვნენ.

„ბიზნესი“ დამაკმაყოფილებლად ვითარდებოდა და უფრო მეტად მომგებიანიც იქნებოდა, რომ ერთხელაც ისინი არ დასცემოდნენ სათამაშო კლუბს, რომელიც იმყოფებოდა ცნობილი ბოსტონელი მაფიოზის „ლეიტენანტ“ „მელია“ მაიკის „დაცვის“ ქვეშ. ტერესას ერთ-ერთმა სიცილიელმა ბიძამ ითხოვა, რომ მაიკის ხალხს ეპატიებინათ დამნაშავეებისათვის, მაგრამ ის გააფრთხილეს: „თუკი ერთხელ კიდევ ჩაერევი ჩვენს საქმეში, გაგსრესთ და, იცოდე, მდინარეში გადაგიძახებთ“. ტერესასათვის ნათელი გახდა, რომ ვიდრე ის არ გახდებოდა „კეთილშობილთა საზოგადოების“ წევრი, მისი ამბიციები მიზანს ვერ მიაღწევდა.

იმ დროს ბოსტონის დამნაშავეთა სამყაროს მეფე იყო რაიმონდ პატრიარქი, იგივე „რეი ბარონი“. ერთის შეხედვით, ეს იყო შეუმჩნეველი ბატონი, მაგრამ პოლიციამ კარგად იცოდა, რომ ის ახალი ინგლისის მეტად საშიში ელემენტი იყო. მისი მთავარი რეზიდენცია მდებარეობდა პროვიდენსში, შტატ როდაილენდის დედაქალაქში, შტაბი კი ფირმა „ნეშნლ სიგარეტ კომპანის“ კანცელარიებში. იქიდან ხელმძღვანელობდა იგი მაფიის 500 მუდმივ წევრსა და თითქმის 5 ათას დაქირავებულ დამნაშავეს, რომლებიც მარტო მის ბრძანებას ასრულებდნენ. თვითონ კი ეკუთვნოდა განგსტერთა თორმეტწევრიან კომისიას, ანუ „კოზა ნოსტრას“ უმაღლეს საბჭოს.

ბოსტონელ მაფიოზთა სამოქმედო გეგმის შედგენა ევალებოდა პატრიარქის მოადგილეს ენრიკო ჰენრის. თავისი მეტსახელის — „მოსამართლე“ — ერთგული ჰენრი პატრონობდა მაფიის სალაროსა და ხორცს ასსამდა „ნათლიის“ იდეებს. მხოლოდ „მოსამართლეს“ შეეძლო ეშუამდგომლა „ნათლიასთან“ ტერესას მაფიის წევრად მიღების შესახებ. მაგრამ „ნათლიამ“ განგსტერს უთხრა: „არასოდეს დაივიწყო, რომ მთავარი „კოზა ნოსტრას“ ოჯახია, მერე კი შენი საკუთარი!“

„მოსამართლემ“ ტერესას დაავალა სხვადასხვა თაღლითობაში მონაწილეობის მიღება და მოპარული საქონლის გაყიდვა. ერთი წლის შემდეგ კი იგი უკვე „ბანკროტთა“ განყოფილებაშია. აქ ვინსენტს ახალი არაფერი აღმოუჩენია. აკეთებდა იმას, რაც საკუთარი პრაქტიკიდანაც კარგად იცოდა — აარსებდა პატარა ფირმას, ან მაღაზიას და შეკვეთილი საქონლის ღირებულებას იხდიდა, წლის ბოლოამდე რამდენიმე თვით ადრე იგი მათ დიდ თანხად აზღვევდა. შობისწინა ალიოქოთში გამყიდველები მალავდნენ ყველაზე ძვირადღირებულ საქონელს, ხოლო ვინსენტი კი „სახანძრო განყოფილებიდან“ იწვევდა სპეციალისტს.

დაზღვევის ხშირი ინკასირება ვინსენტს მოსწყინდა და მან შეცვლა ითხოვა. ის გადაიყვანეს ფეხბურთელთა მოსყიდვისა და ცხენების დოღის ყალბი ფსონების უწყებაში. აქედან იგი კაზინოში გადავიდა. ამ სფეროში ვინსენტმა ისე გამოიჩინა თავი, როგორც არავინ არც მანამდე და არც მის შემდეგ. ბოსტონში პატრიარქის ბანდა ამ საქმიანობას ყოველმხრივ უწყობდა ხელს — აქ მას თითქმის მთელი პოლიცია ჰყავდა მოსყიდული. „ამ ქალაქში, — ფიცულობდა მოგვიანებით ტერესა, — ჩვენს მიერ მოსყიდული იყო ქალაქის ყველა პოლიციელი“.

პროვიდენსში პატრიარქს ქალაქის მმართველებს შორისაც ბევრი ჰყავდა მოსყიდული. საშობაოდ ისინი რამდენიმე პოლიციელთან ერთად იდგენენ ხოლმე რიგში „ნეშნლ სიგარეტ-კომპანის“ კანცელარიასთან, „ნათლიის“ ბუღალტერი კი მათ ფულით სავსე პარკებს ურიგებდა. ამგვარი სანახაობის ხილვა შეიძლებოდა რივერის, სამერვილისა და სპრინგფილდის ფილიალებში. კორუფცია ბიზნესის შემადგენელ ნაწილად იქცა და მაფიას წელიწადში 700 მილიონი დოლარის შემოსავალს

აძლეედა. ტერესას მეგობრები ისე უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავი, რომ სრულიად დაავიწყდათ გამოძიების ფედერალური ბიუროს არსებობა. მაგრამ 1962 წლის ბოლოს ბოსტონში გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები გამოჩნდნენ. მათ თან ჩამოიტანეს ჩანთები, რომლითაც ჩვეულებრივ მექანიკოსები დადიან და „ნეშნლ სიგარეტ სერვის კომპანის“ ტელეფონები ისე „შეაკეთეს“ რომ შეიძლებოდა ლაპარაკის ჩუმად მოსმენა. ამჯერად მათ მხოლოდ ნარკოტიკები და 23 წლის ნიუ-იორკელი კრისტიან უოშბოუ აინტერესებდათ. ეს იყო ფირმა „პანამიენ ქემისთს ენდ ფუდზ პროდაქტს ინკორპორეიტიდის“ მფლობელი, რომელიც ესპანეთიდან ამერიკაში აგზავნიდა სარდინებს. ყოველი მეორე კონსერვის ქილაში ჰეროინი იყო.

1966 წლის ოქტომბერში ორმა სერჟანტმა დააპატიმრა ვინმე ჯოზეფ ბარბოზა, მეტსახელად „ჯოზეფ მხეცი“. იგი იყო „ნათლია“ პატრიარქის მკვლელების რაზმის მეთაური. მის დაპატიმრებას პატრიარქი წონასწორობიდან არ გამოუყვანია და როდესაც ბარბოზას რაზმის წევრებმა მოინდომეს შეფის განთავისუფლება, მან ბრძანა: „ჯერ საჭიროა კვალის დაფარვა და ლიდინი! ბარბოზა დააპატიმრეს რესტორან „416 ლაუნჯში“ მომხდარი მკვლელობისათვის. გამომძიებლებმა ვერაფერი გაარკვიეს, რადგან მოწმეები უკვე განისვენებდნენ რესტორანის მახლობლად მშენებარე უნივერმაღის საძირკველში. პატრიარქმა მოახერხა გაეგო იმ საიდუმლო აგენტის სახელი, რომელმაც პოლიციის შეფს შეატყობინა რესტორანში მომხდარი სროლისა და გვამების საოცარი გაუჩინარების შესახებ.

1967 წლის აპრილში პატრიარქის ხალხი ჩაუსაფრდა ამ აგენტს და მასთან ერთად მდინარისაკენ გაემართა. გზად მსხვერპლმა შეამჩნია, რომ კვალში მდევარი მიყვებოდა. მაგრამ ქალაქში არანორმალური სისწრაფით მოძრაობამაც ვერ უშველა მას თავი დაეღწია მკვლელებისაგან. მდინარის ახლოს მაფიოზებმა გააჩერეს მანქანა და გაიქცნენ. თუმცა ერთ-ერთი მათგანის დაკავება პოლიციამ მაინც შეძლო. ბარბოზამ ნაცნობი მაფიოზი ციხის დერეფანში დაინახა და იმედი მიეცა, მაგრამ მოულოდნელად ავად გახდა, და ბოდვისას „ნათლია“ პატრიარქის სახელი წამოსცდა. პოლიციამ მისი ბოდვა ჩაიწერა მაგნიტოფონზე და ბარბოზას დამუშავება დაიწყო: „ელექტრულ სავარძელს შეიძლება გადაურჩე და პროკურორი ალ-

ბათ სულ რაღაც ოცდაოდე წელიწადს მოგისჯის, მაფია კი არა-ფერს გაპატიებს!"

ბარბოზამ კარგად იცოდა ადგილობრივ პოლიციაში კორუფციის არსებობის შესახებ და დახმარება სთხოვა ფედერალურ ხელისუფლებას, კერძოდ გამოძიების ფედერალურ ბიუროს „ი. ს. მარშალს სერვისის" სპეციალურ პოლიციას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ იყო ორგანიზებული, რომ საჭირო მოწმეები მათი „მეგობრებისაგან" დაეცვა.

ბარბოზა დათანხმდა მიეცა ჩვენებები თუ გადაიყვანდნენ უსაფრთხო ადგილზე სანაპიროს მახლობლად, კუნძულ ტეტ-ჩერზე. პატრიარქმა ამის შესახებ მხოლოდ სამი დღის შემდეგ გაიგო. მან მაშინვე გასცა ბრძანება: „ტერესა, წაიყვანე იახტა „ლივინგ ენდი", მსროლელები და გააგზავნე ბარბოზა მის წინაპრებთან!"

ვინსენტი ხელმოცარული დაბრუნდა და მოახსენა: „ჩვენ დავინახეთ დაცვა, თექვსმეტკალიბრიანი ავტომატებით შეიარაღებული სამხედრო პოლიციელები, მაგრამ ბარბოზას ცხვარიც კი არ გამოუყვია გარეთ!"

ანდა როგორ შეძლებდა გამოჩენას, თუ დაცვის ფრთხილმა მეთაურმა ბარბოზა გადაიყვანა ძველ მიტოვებულ კარმიდამოში ბოსტონის მახლობლად. პატრიარქმა ახალი მისამართი მეორე დღესვე გაიგო და იქ „მსროლელები" გაგზავნა. მაგრამ ისინიც ტერესასავით ხელცარიელები დაბრუნდნენ. ბარბოზასთან შეღწევა შეუძლებელი იყო. ვერ შეასრულა „ნათლიისათვის" მიცემული დაპირება რედ კელიმაც, რომელსაც უნდა „გაექრო" მიღალატე სასამართლო დარბაზში პირველი დაკითხვის დროს. რაც უფრო ლოიალურად ექცეოდნენ მოწმეებს „მარშალს სერვისის" თანამშრომლები, მით უფრო დიდ პანიკაში ვარდებოდა პატრიარქის ხალხი. პოლიციას საშუალება მიეცა დაეწყო გადამწყვეტი შეტევა ბოსტონის ნარკოტიკებით მოვაჭრე დამნაშავეთა სამყაროზე.

კარგად ორგანიზებული შეტევის შედეგები დაემჩნა პატრიარქის კლანსაც. 1968 წლის ბოლოს „ნათლიას" მიუსაჯეს 15 წლის პატიმრობა, მის მოადგილეს ენრიკო პენრის ანუ „მოსამართლეს" — სიკვდილი. ციხეში უკრეს თავი სამ „ლეიტენანტს" და რამდენიმე ათეულ რიგით მაფიოზს.

ტერესა კიდევ ერთ წელიწადს ყოყმანობდა. საბოლოო ანგა-

რიშში გადაწყვეტილება მას ერთ-ერთი დიდი სასტუმროს დაკარგვამ მიაყენა. ვინსენტს აცოფებდა არა მისი თანამოსაქმის უყაირათობა, რომელსაც თავს დაეცა ფედერალური პოლიცია, არამედ პატრიარქის ოჯახის წევრთა უმადურობა: „გააჩნიათ კანონები, გაუთავებლად საუბრობენ პატიოსნებაზე, მე კი გამქურდეს. მე მჭირდებოდა ორმოცდაათი ათასი დოლარი გამოსასყიდად, მათ კი არაფერი გაიმეტეს. ეს მაშინ, როცა მათ სალაროში ჩემი ოთხმოცი ათასი დოლარია. ეს აშკარა უსინდისობაა. დამაცადონ თუ არ გავცე!" ხოლო როდესაც პოლიციამ ცეცხლზე ნავთი გადაასხა ელექტროსკამის გასსენებით ტერესამ მართლა არ დაინდო თავისიანები და ბრალმდებლების ყველაზე სასურველ მოწმედ გადაიქცა. ამაშიც მან ბაჯობა ყველა მის წინამორბედ მოწმეებს.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი ჩვენებები კაზინოების ორგანიზაციის საქმეს შეესებოდა. ოდესღაც „ნათლიამ" ჰაიტის რესპუბლიკის პრეზიდენტთან შეხვედრაზე მიიწვია გამოცდილი ტერესა ორ სხვა მაფიოზთან ერთად. პორტ-ო-პრენსში, პრეზიდენტის სასახლეში ისინი შეეიდნენ ოფიცერთან ერთად, რომელმაც ისინი მიაცილა პრეზიდენტის სასახლის მეორე სართულის კარებამდე. იქ „კოზა ნოსტრას" ეს სამი წარმომადგენელი მიიღო განსაკუთრებული რაზმის — „ტონტონ-მაკუტას" კაპიტანმა. შემდეგი სართულის გაყვანის შემდეგ ისინი შეეიდნენ სალონში, სადაც მაგიდის თაუზე ოჯახური დინასტიის დამფუძნებლის დიდი ფოტოსურათი ეკიდა. მაგიდასთან კი წევრები ისხდნენ, სასუფევლო ფორმაში გამოწყობილი შავი კაცი ოჯახ. წევრმა მას სიბერე კი ძრა ბრიდა, არაჩვეულებრივ მეგობარ და ინდივიდი.

ამგვარად, 1967 წლის იანვარში ვინსენტ ტერესა ფაქტობრივ პრეზიდენტ დაუკავშირდა. ტერესამ მას ურჩია კაზინოების მოწყობით გამოეცოცხლებინა ტურიზმი და დაუმატა, რომ „ეს გააუმჯობესებს ჰაიტელების მატერიალურ და სოციალურ მდგომარეობას!"

არსებითად საუბარი ეხებოდა იმას, თუ როგორ მიეზიდათ ნდიდარი ტურისტები ჰაიტის კაზინოებში. ამ საქმეს ისიც შეუწყობდა ხელს, რომ მომავალი მოთამაშეები ცენტსაც კი არ გადაიხდიდნენ, მთავარი იყო მათ ანგარიში ჰქონოდათ ბანკში. კაზინო ამოწმებდა კლიენტების საბანკო ანგარიშებს და მათ

შეეძლოთ ეთამაშათ რამდენიც და როცა სურდათ. ხოლო კრედიტით თამაში უფრო გაბედულად შეიძლებოდა და, რაც მთავარია, აქ მათ არ შეაწუხებდნენ გადასახადის ამკრეფები, რომლებიც კერძო მეწარმეთა შემოსავალს აკონტროლებენ.

ერთადერთი რაც პრეზიდენტს უნდა გაეკეთებინა, ეს იყო რამდენიმე კარგი გოგონასა და წყვილი გაქნილი თაღლითის მოძებნა. „ჰაიტი ნამდვილი სამოთხეა, — უმტკიცებდა ტერესა თანამოსაქმეებს, — ნიუ-იორკელ ებრაელებს მართალია აქეთ აქ კაზინო, მაგრამ საკმარისი იქნება ერთი გაფრთხილება და ისინი იმ წუთში გაქრებიან იქიდან“.

ყველაზე უფრო დაინტერესებული, რასაკვირველია, პრეზიდენტი დიუვალიე იყო. მეორე შეხვედრის დროს იგი დაძაბული უსმენდა მაფიოზ დეივ ჯოს, რომელიც მას აღუწერდა რულეტის მომგებიანობას, ხოლო ტერესა კი ამ დროს ასე უხატავდა მომავალს: „ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ ამ პატარა კაზინოდან ელ რანჩში პირველხარისხოვან მონტე-კარლოს შევქმნით, უამრავ ფულს დავაგროვებთ, ვიდრე რომელიმე ჩვენთაგანი თითის განძრევას მოასწრებდეს!“

„მამა დოკი“ არაფერს არ ამბობდა, მხოლოდ თავს აქნევდა და ხანდახან თუ ჩაიბურდღუნებდა ფრანგულის ადგილობრივი კრეოლური დიალექტისა და ინგლისურის ნარევ ენაზე. ეს იყო ვაქნილი, მკაცრი და საშიში მოხუცი, რომელმაც 12 წლის მმართველობის მანძილზე 12 ათასი ჰაიტელი აწამა. მაგრამ „ნათლიებს“ შეეძლოთ მშვიდად ყოფილიყვნენ. ისინი პრეზიდენტს სთავაზობდნენ იმას, რაც მას მთელი ცხოვრება აინტერესებდა — ფულს! აუდენცია ერთ საათს გაგრძელდა. „მამა დოკმა“ კომენტარი არაფერს გაუკეთა, მადლობა მოიხადა და მიახვედრა, რომ მათ მწყალობელი თვალით უყურებდა.

ერთი კვირის შემდეგ დიუვალიემ ტერესას დაურეკა და გაუცხადა, რომ თანახმაა ძველის გაფართოებასა და ახალი კაზინოს მშენებლობაზე ელ რანჩში. „კოზა ნოსტრამ“ ეს კაზინო მიაწყო ჩვეული ფუფუნებით. მშვენიერი ბაღის ცენტრში იყო აუზი, ხოლო ფანჯრებიდან სტუმრები გადაჰყურებდნენ ძვირადღირებულ ქანდაკებებს. კაზინოში იყო მაგიდები ბანქოს, ძვლის კოჭებით სათამაშოდ, რულეტის სათამაშო მაგიდებს კი გვერდს სათამაშო ავტომატები უმშვენებდნენ.

კაზინოს საზეიმო გახსნის წინ პრეზიდენტმა განაცხადა,

რომ ის კარგად იცნობდა მაფიას და შემდეგ ტერესას შესთავაზა: „მოთამაშეები შეგიძლიათ ჩამოიყვანოთ საიდანაც გნებავთ, ოღონდ მაგიდებთან კი ჩემი ხალხი იდგება". „ტონტონ-მაკუტას" შეიარაღებულ მკვლელებს, ასეთი კი პრეზიდენტს 12 ათასი ჰყავდა, თვალი უნდა ედევნებინათ კლიენტებისათვის იმ მომენტიდან, როცა ისინი კაზინოში მაგიდასთან მივიდოდნენ, საბოლოო ანგარიშსწორებამდე. ამასთან, მაფიას პრეზიდენტისათვის უნდა გადაედო კაზინოს შემოსავლის 10 %.

„მაგრამ მოხდა პირიქით. დიუვალიეს პოლიციელებს ვისკის ვალევინებდით და ისინი ვერ ხვდებოდნენ, რომ ყოველ მაგიდაში იყო ყუთი ორმაგი ფსკერით. ისინი ჩვენ ადრეე გავაკეთეთ, სანამ კაზინო გაიხსნებოდა. როდესაც მსხვილი კუპიურა გამოჩნდებოდა, ჩვენი კაცი მაგიდასთან ხელს აჭერდა ღილაკს, ძირი იხსნებოდა და ფული საიდუმლო განყოფილებაში ვარდებოდა". ვინსენტმა ჰაიტში ჩაიყვანა თავისი ამფსონები. ტერესაზე მუშაობდა კარტით მაქინაციების ოსტატი ინკერს ჯო სემერტინიც, ხოლო ჯო სალისტინო და თვით ვინი ტერესა მხოლოდ ყველაზე მდიდარ მოთამაშეებთან თამაშობდნენ. მათ საკუთარი საიდუმლო ნიშნები ჰქონდათ. მაგალითად, მუჭი ნიშნავდა „დამატებას", სამი თითი — „საკმარისია", ხოლო მარცხენა თვალის დახუჭვა — „მოგებული ქაღალდი". ასე რომ არავის შეეძლო მათი მოგება, რაც არ უნდა გაეკეთებინა. ჯოს შეეძლო ყველასათვის შეუჩნეველად მიეცა ვინსენტისათვის ყალბი ბანქოს ქაღალდი. ამგვარი თაღლითობით ტერესა და მისი მეგობრები კვირაში 15-20 ათას დოლარს იგებდნენ.

პრეზიდენტმა მალე ისევ მიიწვია ვინსენტი. მათ ერთად ივახშმეს. როცა მსახურებმა ბრენდი მოართვეს, პრეზიდენტმა სტუმარს თავისი ჩანაფიქრი გააცნო: „თქვენ კარგად მუშაობთ. საჭიროა კუნძულზე აშენდეს ახალი კაზინოები". „მამა დოკს" მიაჩნდა, რომ კაზინოები მის ქვეყანაში კულტურას შეიტანდნენ. პორტ-ო-პრენსში დიქტატორს ჰქონდა მთელი რიგი ცარიელი სასტუმროები. მას მალე დაავიწყდა თავისი ადრე მიცემული დაპირება ტურიზმის განვითარების თაობაზე და გავარა მათი მფლობელები. „მე თქვენ მოგცემთ საუკეთესო სახლებს, ხოლო როდესაც კაზინოებს მოაწყობთ, მათ მმართველობას იკისრებთ!" — სთავაზობდა იგი ვინსენტს.

დიქტატორი მცირე ხანს ჩაფიქრდა და შეშლილ განაგრძო: „ვინსენტ, თუ თქვენ სამუდამოდ დამკვიდრდებით ჩემს ქვეყანაში, მოგცემთ დიდ მამულს მთებში, იცხოვრებთ მეფესავით და ერთად დიდძალ ფულს დავაგროვებთ. მე თქვენ თავიდან ავაცილებთ გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებს“.

შეჭველია, დიუვალიეს დაპირება სერიოზული იყო. ჰაიტის პრეზიდენტი იგი გასდა ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით, მაგრამ თავის სამუშაო რეზიდენციაში ის „კოზა ნოსტრას“ წევრებს მალავდა, მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონმა ალბათ ასჯერ მაინც მოითხოვა მათი გადაცემა. მაგალითად, დეივ ლაკოვეტიმ დიუვალიეს ქათქათა რეზიდენციაში სამი თვე გაატარა, თუმცა გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლები კუნძულზე იმყოფებოდნენ მისი დაპატიმრების ორდერით ხელში. „ნათლია“ ბონანო ჰაიტში პრეზიდენტს მშვიდად ეთამაშებოდა კარტს, ამ დროს კი ათი შტატის პოლიციის სამმართველოები ერთი წლის განმავლობაში მიელ დედამიწაზე დაეძებდნენ მას.

ცოტა ხნით ადრე, ვიდრე „ბარონი“ პატრიარქი წარსდგებოდა სასამართლოს წინაშე, ტერესამ გადაწყვიტა მისი დამალვა ჰაიტის პრეზიდენტის ერთ-ერთ ვილაში, კუნძულის დასავლეთ ნაწილში, მაგრამ „ნათლია“ დარწმუნებული იყო, რომ ადვილად გამოძვრებოდა.

დიუვალიეს ახალი წინადადებით აღფრთოვანებული ტერესა პატრიარქისაკენ მიიჩქაროდა. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ ბოსტონის სასტუმრო „ვარსკვლავში“. მაგრამ პატრიარქისაგან ტერესამ ვერ მიიღო სასიხარულო პასუხი: „ვინი, ეს ძალიან კარგი იდეაა. მაგრამ მისი განხორციელებით შენ დაარღვევდი ხელშეკრულებას შტატების დაყოფაზე, დაარღვევდი „უმაღლესი საბჭოს“ გეგმებს! ისიც საკმარისია, რომ თქვენ დაეტაკეთ იქ სადაც საჭიროა“. მართალია, „ბარონმა ტერესას გული გაუტეხა, მაგრამ სამაგიეროდ იხსნა იგი „მარდერ ინკორპორეიტიდის“ მკვლელებისაგან.

„მინდა დავუმატო, — მოგვიანებით განაცხადა ტერესამ, — რომ მე ვაგრძნობინე „დოკს,“ თუ როგორ პატივს ვცემ მას. როცა უკანასკნელად ვიყავი ჰაიტში, ბოსი უკვე ციხეში იყო და მე ავუხსენი პრეზიდენტს, რომ არ შემიძლია მისი წინადადების მიღება. შემდეგ მე ვკითხე, ხომ არ სურდა მას საჩუქრად

ასალი „ლიმუზინ-კადილაკი“. იგი აღფრთოვანდა. ხოლო როცა გავაფრთხილე, რომ მანქანა მოპარულია, „მამა დოკმა“ ალალად გადაიხარხარა: ამაზე ძვირფასი ვინსენტ ნუ შეწუხდებით, როგორც კი ავტომობილი კუნძულზე იქნება, მას საფრთხე აღარ მოელინო“.

ვინსენტ ტერესამ კიდევ მოასწრო „ესკვაეირ სპორტსმენს ქლაბის“ დაარსება. ეს დაწესებულება მას საშუალებას აძლევდა ყოველგვარი საფრთხის გარეშე გადაეყვანა მოთამაშეები მთელი მსოფლიოს კაზინოებში. ამ საპატიო საზოგადოების კანცელარიები განლაგებული იყო ბოსტონის ვესტ ენდის ცათამბჯენებში და ყოველ თვეს აწყობდა მოგზაურობებს ლონდონის კაზინო „კოლონში“, ჰაიტისა და პორტუგალიის სანაპიროებზე. ამ ზღიარულ მოგზაურობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ექიმები, მოსამართლეები, მარტოსელა განუსტერები, ადვოკატები და გუბერნატორები. „ესკვაეირ სპორტსმენს ქლაბი“ თვითმფრინაველს აღარ ქირაობდა. ის დებდა სელშეკრულებებს შეერთებული შტატების საავიაციო ფირმებთან განსაკუთრებული ტარიფით. ყოველ მეთბუთმეტე მგზავრზე ტერესა ერთ ბილეთს უფასოდ იღებდა. „სპორტსმენს ქლაბის“ მუდმივი ჯიბესქელა კლიენტების უსაგვარლესი გასართობი ადგილი გახდა ერთ-ერთი ულამაზესი არქიპელაგი ატლანტის ოკეანის დასავლეთ ნაწილში. ტერესას მოგზაურობამდე ოცი წლით ადრე „კოსა ლისტრამ“ ბაჰამის კუნძულების ულამაზესი დედაქალაქი ნასაუ, ბინლიფებული კუნძულ ნიუ-პროვიდენსზე, გადააქცია სასტუმროებად, რესტორანებად და კაზინოებად. ბაჰამის კუნძულების ასეთი ეერისტეელება უნდა მიეწეროს ამ ადგილების, პირველია სტატუორდ სანდსი, მეორე — მილიონერი უილეს გრეგსი, მესამე — მაიერ ლანსკი. ეს უკანასკნელი დამნაშავეობათა საუკუნის დაუკავშირდა ბაგსი სიგელთან ერთად და ბევრ ისინი გაჭაღნენ ფრენკ კოსტელოს იმპერიის „ლეიტენანტები“. ეაასლოებით ამ დროისათვის ინგლისელი სტაფორდ სანდსი დაუკავშირდა ამერიკელ უოლეს გროუვსს, რომლის სახელიც მეორე მსოფლიო ომამდე ბრწყინავდა უოლ სტრიტის მილიონერთა შორის.

გაშინგტონის იუსტიციის სამინისტრო თვლიდა, რომ გროუვსი ძალიან მსხვილ საფინანსო სპეკულაციებში იყო გარეული და მისი პიროვნებით დაინტერესა გამოძიების ფედე-

რალური ბიურო. აღმოჩენილი ვაჟლანგვისათვის მოსამართლეებმა მას ორი წლის კატორღა მიუსაჯეს. მილიტარისტული იაპონიის ჰერლ ჰარბორზე თავდასხმის დროს „ფინანსისტი“ გადავიდა ბაჰამის კუნძულებზე. ლანსკიმ „ბირჟის გენიოსს“ შესთავაზა ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე უკაცრიელი კუნძული — დიდი ბაჰამა. „მშრალი კანონის“ მოქმედების დროს იქ იყო „კოზა ნოსტრას“ კონტრაბანდისტული სპირტიანი სასმელების უმნიშვნელოვანესი საწყობი.

მტკნარი წყლის საკმარისმა რაოდენობამ და ზღვის სიღრმემ სანაპიროსთან, რაც დიდ ხომალდებს კუნძულთან მიახლოების საშუალებას აძლევდა, დაინტერესა გროუვსი. დასაწყისში მან მოქებნა გავლენიანი ადვოკატი კუნძულზე სტაფორდ სანდსი. მისი დახმარებით გროუვსმა კავშირი დაამყარა მმართველ პოლიტიკურ პარტიასთან. სანდსი, ამ ბრიტანული კოლონიის მაშინდელი მთავრობის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, აღტაცებული იყო კუნძულ დიდი ბაჰამის განვითარების ვეგმებით და დიდი როლი შეასრულა იმაში, რომ პარლამენტმა 1955 წელს დაამტკიცა კაზინაროებრივი კუნ მდინარის თაობაზე. ეს იყო მდინარე, რომელიც კუნძულს ორ ნაწილად აყოფდა.

ეს იყო ყველაზე განსაკიცფრებელი შეთანხმება, რომელიც ოდესმე მოხდებოდა მთავრობასა და კერძო პირს შორის. ამით უფასოდ „განმტკიცდა „კოზა ნოსტრას“ ვაჟლანგი დიდი ბაჰამის კუნძულზე და ხელშეკრული შესაძლებელი გროუვსს ეკონომიკის შესაბამისად, რასაც მოსურვებელ ხედავს ორმოცი კილომეტრის ფერიბოტის კუნძულზე. მთავრობამ მას ოთხი ჰექტარი ფასად დოლარად მიანიჭა. მოლაპარაკებანი ამ კაქნილის საქმოსანში ოცდაცერიტორია მთავრობის უკანონო მიზეზიდა, ოღონდ თავად ჰექტარი უკვე 125 000 დოლარად ღირდა.

ამ კუნძულზე დაარსებული სათამაშო სახლები, რასაკვირველია, კანონიერებულები იყვნენ ყოველგვარი გადასახადებისაგან ორმოცდაათიანი წლების ბოლომდე. ერთი რამ არ პყოფნიდათ საქმოსნებს — მოეკონებინათ საბილი თავიანთი საზოთხისათვის. გაიმარჯვა ლანსკის წინადადებამ და მას ფრიპორტი — თავისუფალი პორტი დაარქვეს.

მეკობრეების ყოფილ სამყოფელს ახლა ჰქონდა ნავსადგური და ყველაფერი რასაც მდიდრები მოისურვებდნენ: ბარები, ბორდელები, გოლფის სათამაშო მოედნები და დიდი ეკლესია.

მაგრამ 1973 წლის 10 ივლისს შავი ღრუბლები შეიყარა მაფიის თავზე. ამ დღეს ბაჰამის კუნძულები დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. ლანსკი და მისი თანამზრახველნი იძულებულები გახდნენ ნევადაში გადაბარგებულიყვნენ. ამ შტატში, რომელსაც იტალიაზე დიდი ტერიტორია უჭირავს, მაგრამ მოსახლეობის რაოდენობით პალერმოს არ აღემატება, მსურველებს ელოდა სასტუმროების ათასობით ცარიელი ნომერი, 16 ათასი სათამაშო მაგიდა კაზინოში და 143 ეკლესია. მაფიის წყალობით მალე უკვე აღარც ეს რაოდენობა ყოფნიდა მოზღვავებულ სტუმრებს. სათამაშო აზარტი და რეკლამა, რომელშიც ამდენ სახსრებს ხარჯავდა მაფია ლას-ვეგასში იწვევდა არა მარტო მოთამაშეებს, არამედ ტურისტებსაც. დამწყებთა წასახალისებლად კი მწვანე მაუდის მაგიდებზე რამდენიმე უფასო ჟეტონი მოამზადეს წინდახედულმა მაფიოზებმა.

ლას-ვეგასი წარმოდგენდა თავისუფალ სარბიელს ყველასათვის, მაგრამ ვერავინ გაბედავდა ზიანი მიეყენებინა „ნათლიების" ბატონობისათვის. სემ ჯანკანა როგორც სასტუმროების „დეზერტ ინისა" და „სტარ დასტის" „საქმის მწარმოებელი" ყოველთვიურად იღებდა 65 ათას დოლარს. ხანდახან ის იძულებული ხდებოდა ჭკუა ესწავლებინა შეუვნებელი ხალხისათვის, რომელთა რიცხვსაც განეკუთვნებოდა ვინმე ტონი კორნერიც. ტონიმ ძალზედ უცნაური ვითარებაში იყიდა სასტუმრო და კაზინო „სტარ დასტი", ხოლო მეზობელ სასტუმრო „დეზერტ ინში" დაუვიწყარი ბანკეტი გადაიხადა ამ ამბის აღსანიშნავად. მაგრამ მისი სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. მას შემდეგ რაც ნამცხვარი შეჭამა, მან სამუდამოდ მიიძინა. ეს სემ ჯანკანამ ურჩია ოფიციანტს, რომელი შხამი გამოეყენებინა.

მაფიის ნევადაში შეჭრის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის სიმპათიურ მამაკაცს, რომელიც 30-იან წლების ბოლოს მაფიამ დანიშნა კალიფორნიისა და ნევადის მომავალი საწარმოების გენერალურ დირექტორად. ბენიამენ სიგელის დანიშვნას, რომელსაც მეგობართა წრეში იცნობდნენ „ლამაზი ბაგსის" სახელით ერთდროულად უნდა გადაეწყვიტა პრობლემა, რომელიც ტონი ფაბრიციოს მკვლელობის შემდეგ წამოიჭრა. „სასაცილო ტონის", რომელიც ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდა „მარდერ ინკორპორეიტიდის" შეფს ანასტაზიას, ვი-

ღაც ქალბატონი შეუყვარდა და შეატყობინა შეფს, რომ აპირებდა საქმიდან გასვლას. ამ უმადური ადამიანის მიმართ „განაჩენის“ აღსრულება ბაგსის დაევალა. ანასტაზიას დაუღეერობით პოლიციამ მიაგნო მკვლელობის ადგილს და გაიგო მკვლელთა სახელები. ამიტომ „ნათლიებმა“ გადაწყვიტეს, რომ სიგელისათვის უკეთესი იქნებოდა, თუ იგი გადაიკარგებოდა სადმე შორეულ მხარეში.

ბაგსიმ მთავარი შტაბი ლოს-ანჟელოსში, მდიდრულ ოცდაათოთახიან ვილაში გადაიტანა და მაშინვე გადაწყვიტა, რომ იქაური სამშენებლო ფირმა ააშენებდა რეზიდენციას, რომელიც შესაფერისი იქნებოდა მომავალი „ნათლიისათვის“. ლეკეს მოწაფემ ჰოლივუდში უცნაური მდიდრის როლი იმდენად კარგად შესრულა, რომ კინოსტუდიის მფლობელებისა და ეკრანის ვარსკვლავების ნდობა მოიპოვა. გრაფინია დი ფიასო, რომელსაც იტალიელ დიდებულთან ქორწინებამდე პროზაული სახელი დოროთი ტეილორი ერქვა, ბაგსიმ მოაჯადოვა მომხიბვლელობითა და ფანტასტიკური საბანკო ანგარიშებით. სიგელის ვილაში ამ ლამაზმანის ხშირი სტუმრობა თავისებურ რეკლამად იქცა. ბრწყინვალე ვილიდან თითქმის ყოველ საღამოს ისმოდა მუსიკის ხმები, ხოლო სიგელის ერთგული სტუმრები: სტუდიის დირექტორები, მხატვრები, სცენარისტები, მწერლები და მსახიობები, მოდიოდნენ მეგობრის სანახავად. ბაგსიმ მალე ისეთი კარგი რეპუტაცია შეიძინა, რომ შეეძლო თავის საქმეს შესდგომოდა.

მან შანტაჟით დაიწყო: ვახშამზე მოიწვია ცნობილი კინომსახიობი და დაარწმუნა იგი, რომ მას ძალზე მცირე ჰონორარს უხდიდნენ. „მე გასწავლი, თუ როგორ უნდა გამოასწორო ეს. როდესაც გადაღებები გადამწყვეტ სტადიაში შევა, შენ ეტყვი რეჟისორს, რომ ავად გახდი“ — დაარიგა ბაგსიმ.

მსახიობი წინააღმდეგი არ იყო, სტუდიის დირექტორიც დათანხმდა, როდესაც სიგელმა მოახსენა: „პატივცემულო დირექტორო, მე ვიცი რაოდენ დიდი თანხით დააფინანსეთ ფილმი, ახლა კი ასეთი გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: ჩემი მეგობარი ავადმყოფობას იგონებს, მაგრამ მე დიდი გავლენა მაქვს მასზე და შემიძლია დაგეხმაროთ. დირექტორმა დახმარებისათვის 50 ათასი დოლარი გაიღო. ამ თანხიდან მსახიობს მხოლოდ მეხუთედი შეხვდა. ასეთი ოინი ბაგსმა რამდენჯერმე გაიმეორა.

ჩანაფიქრის მეორე ნაწილი კი იმაში მდგომარეობდა, რომ კინოვარსკვლავები ღებულობდნენ თხოვნა-მუქარის წერილებს, რომელსაც ხელს აწერდნენ მათგან დაკიწყებული ნათესავები ან მშობლები. წერილის ბოლოში კი იმუქრებოდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ არ გაუწევდნენ დახმარებას ათასი დოლარის ოდენობით, მაშინ სააშკარაოზე გამოიტანდნენ მათი ცხოვრების ზოგიერთ ფაქტებს. ფული მათ უნდა გადაეგზავნათ ლოს-ანჟელოსის ბანკში, რომელიც ბაგსის ეკუთვნოდა.

კეროლ ლომბარდომ მიიღო წერილი „ბიძისაგან", რომელიც მოითხოვდა ათას დოლარს, წინააღმდეგ შემთხვევაში სიღარიბე აიძულებდა მას გაემჟღავნებინა კეროლის ბინძური საქმიანობა, რომლითაც ის დიდძალ ფულს შოულობდა, ამ დროს კი მშობლები სიღარიბეში ყავდა. კლოდეტ კოლბერტმა მსგავსი შინაარსის წერილები მიიღო სამი ბებიისაგან, ოთხი ბაბუისაგან და ორი დეიდისაგან. ასეთივე მოთხოვნები მოუვიდა მაი ვესტს. მაგრამ ეს კინოვარსკვლავთა შანტაჟის მხოლოდ დასაწყისი იყო.

ნიუ-იორკელი, ჩიკაგოელი, კლივლენდელი „ნათლიები" აღტაცებულნი იყვნენ სიგელის ნიჭით და მას დამხმარე პერსონალი გამოუყვეს. მათ დაევალათ შანტაჟით მოპოვებულა ფული დაებანდებინათ სხვადასხვა კინოსინდიკატებში და თავის გავლენისათვის დაექვემდებარებინათ კინოსა და თეატრის პროფკავშირები. ორი წლის შემდეგ სიგელის ადმინისტრაციის წარმომადგენლები სათავეში ჩაუდგნენ პროფკავშირთა საბჭოებს. გაფიცვების მუქარით მათ ფულის გამოძალვა დაუწყეს კინოთეატრებისა და შემდეგ კი, სტუდიების მფლობელებს.

მომდევნო წელს სიგელმა ჰოლივუდის ორ უდიდეს ფირმას — „თეენთი სენჩერი ფოქსსა" და „პარამაუნტს" — თავს მოასვია ხელშეკრულება. მანამდე კი იგი ესტუმრა ამ ფირმების მეპატრონეებს და თავაზიანად ჰკითხა, სურდათ თუ არა მათ, რომ გადაღებების დროს სიმშვიდე ჰქონოდათ.

ბაგსის უცერემონიო გამოძალვები, ძარცვები და მკვლელობები გრძელდებოდა. ასალ სასტუმროთა მშენებლობანიც წინ მიიწევდა იმ წუთამდე, ვიდრე კინოს მაგიურმა ძალამ ლოს-ანჟელოსში ვირჯინია ჰილი ამ მიიზიდა. იგი ჩვიდმეტი წლის იყო, მაგრამ უკვე დაპურობილი ჰყავდა ოთხი მამაკაცი. პირველი იყო ჩიკაგოელი პროფესიონალი მოცეკვავე, რომელიც ოთ-

ხი თვის მერე შეცვალა ავსტრიელმა არისტოკრატმა, შესაძლე ვაჭართა უმაღლესი ლიგიდან იყო, ხოლო მეოთხე ჯო ეპშტეინი „კოზა ნოსტრას“ ბრძანებით მართავდა ჩიკაგოს სარისკიბოებსა და კაზინოებს. „მაფიის ვარდის“ — ვირჯინია ჰილის ლეგენდარულ მფლანგველობას საზღვარი არა ჰქონდა. რეპორტიორებს ის ეუბნებოდა, რომ ჰქონდა შემოსავლის ორი წყარო: მამაკაცები და ცხენები. მაგრამ სიგელი ერთადერთი იყო კალიფორნიაში, რომელმაც ჰილი პოკერში მოიგო. ვირჯინიას კი სიგელის მილიონები სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა. ამიტომ მან „კოზა ნოსტრას“ ინტერესების დაცვის გასაძლიერებლად „უმაღლეს საბჭოს“ მოსთხოვა დამატებითი სახსრები და ახალი შეიარაღებული რაზმი. კინომსახიობებს შორის გამოჩნდა ორი „ლეიტენანტი“ ელეგანტური, შეიარაღებული მამაკაცების თანხლებით. ერთ-ერთი მათგანი იყო მიკი კოჰენი ბრუკლინიდან, მეორე კი ჯეკ დრაგნა. ბაგსმა მათ მიანდო არალეგალური სათამაშო სახლები და ნარკოტიკებით ვაჭრობა.

ჯეკ დრაგნამ სიგელის რჩევით შეიძინა ძველი სამგზავრო გემი და იგი კაზინოდ გადააქცია. შუადამის შემდეგ მოთამაშეებისათვის ტრიუმფში იხსნებოდა უმდიდრესი ბარი და სარისკიპო. „ლეიტენანტები“ იმდენს შოულობდნენ, რომ დააკმაყოფილეს შეფის სურვილი და იგი „ვარდის ვარდთან“ ერთად ჰოლიუდის რამდენიმე ვარსკვლავთან ერთად ახალი „ძარცვა სელსინით“ მსოფლიოს გარშემო საბოლოოდ გეგეარა.

კომპანიამ მოგზაურობის ღირს უფრო მეტი შესაძენი დადია, ვიდრე მტკნარი წყალი. მოგზაურობიდან ბანერეგების შემდეგ სიგელისათვის ბოლოდ ბანერეგებიც ხელმისაწვდომი გახდა.

ერთ დრეტლიან ღდეს სიგელმა ბოისურვა გრაფინია ლ ფაბიანისთან ერთად ოტალიის ლურჯი ცის ქვეშ გასეირნება. რომში გრაფინიას ტიტულის შეწყობით ისინი მიაღწა ბულონინმ და მისმა სიძემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა გრაფმა ჩიანომ. საზეიმო ცერემონიამ ნათლად უჩვენა, თუ რაოდენ „სერიოზულად“ ფიქრობდა ფაშისტი დიქტატორი მაფიასთან ბრძოლაზე.

მარადიული ქალაქიდან ოკეანის მეორე სანაპიროზე დაბრუნებამ სიგელზე იმოქმედა, როგორც ცივმა შხაპმა — მას ელოდებოდნენ კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები.

„თქვენ დაპატიმრებული ხართ ჰარი გრინბერგის მკვლელობისათვის“ — გააცნეს მათ სიგელს ბრალდება.

სიგელი იძულებული გახდა იმპერია გადაეცა დრაგნასა და კოჰენისათვის. ხოლო, როდესაც მეორე მსოფლიო ომი დაიწყო ის ისევ თავისუფალი იყო და კვლავ განსაკუთრებული ენერგიით შეუდგა კაზინოების შენებას ლოს-ანჟელოსის გარეუბანში. „ომი მოითხოვს გართობას!“ — ამბობდა იგი. სიგელი ერთობოდა „მაფიის ვარდთან“, რომელიც მისი არყოფნის დროს ჩარლი ფისჩეტის მიერ იყო განებივრებული. ჩარლი სიამოვნებით დაშორდა მას, რადგან ჰილს ერთი ღამის განმავლობაში შეეძლო 10 000 დოლარი დაეხარჯა. სიგელი სხვანაირი რაინდი იყო. მან კვლავ მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა მოაწყო, რომელშიც საესტრადო ორკესტრიც წაიყვანა. ასეთ სიტუაციაში მოხდა ისე, რომ მას ვალად დაედო ორი მილიონი დოლარი მაფიის ფონდიდან. ეს ვალი თანდათანობით იზრდებოდა. ამასთან ერთად, მცირდებოდა მისი დაინტერესება ლას-ვეგასით. ვირჯინია სიკვდილს ეუბნებოდა, რომ იგი ნევადაში არ იცხოვრებდა: „მე არ მიყვარს კაქტუსები!“ ბაგსის მძიმე დღეები დაუდგა. ბოლოს მას ისრად მოუვიდა ლას-ვეგასში გაეგზავნა რამდენიმე ახალგაზრდა, რომ მოეძებნათ თავისუფალი ადგილი კაზინოსა და ფეშენებელური სასტუმროს ასაშენებლად, რომელიც სინამდვილეში სათამაშო სახლი და შენიღბული საროსკიპო იქნებოდა. კომპლექსმა მიიღო სახელი „ფლამინგო ჰოტელ“. „უმაღლესი საბჭოს“ წარმომადგენელი „დონები“ დათანხმდნენ მის მშენებლობაზე და გაუგზავნეს სიგელს საჭირო ექვსი მილიონი დოლარი. კაზინოს მშენებლობაზე სიგელს საბჭოსოვის არაფერი მოუხსენებია და მთელი მოგება მის ჯიბეში გადადიოდა.

ვირჯინიას მშვენიერებით მთლიანად დაკავებულმა სიგელმა, დაივიწყა „კოზა ნოსტრას“ შესაძლებლობები.

1946 წელს ამოქმედდა სასტუმრო „ფლამინგოს“ კომპლექსი. ლას-ვეგასში ჩამოვიდნენ „ნათლიები“ ნიუ-იორკიდან და მხოლოდ საზეიმო გახსნის შემდეგ შენიშნეს, რომ სიგელმა გაფლანგა ექვსი მილიონი დოლარი. „ნახევარი წლის შემდეგ,— სიტყვა მისცა მათ სიგელმა, — ყველაფერს დავაბრუნებ და მოგებაც კი დაგვრჩება“. სიგელი შეიძლება მართალს იტყოდა, მაგრამ „ნათლიები“ სხვანაირად ფიქრობდნენ. სიგელი ამაში დარ-

წმუნდა ვირჯინიასთან სტუმრობისას შემდეგი წლის 20 ივნისს.

„მაფიის ვარდი“ ცხოვრობდა ვილაში, რომლის მფლობელიც იყო ერთ დროს პოპულარული მსახიობი რუდოლფ ვალენტინო. სიგელმა კარი ბრილიანტებით მოჭედილი ოქროს გასაღებით გააღო და ელოდებოდა დიასახლისის გამოჩენას. მან სავარძელში მოკალათებაც ვერ მოასწრო, რომ ფანჯარაში ორი უცნობი გამოჩნდა — სიგელს სამი ტყვია თავში მოხვდა, ხოლო მეოთხე — ზაფხულის ქალღმერთის ალეგასტრისაგან დამზადებულ ფიგურას, რომელიც მას ვირჯინიასათვის უნდა ეჩუქებინა.

ბაგსი დიდების მწვერვალზე იყო, როდესაც მას შესაძლებლობა მიეცა, გამხდარიყო „კოზა ნოსტრას“ „უმაღლესი საბჭოს“ წევრი. მაგრამ ლოს-ანჟელოსში ვირჯინია ჰილის ვილაში სალამოს 10 საათზე გასროლილმა ტყვიამ შეწყვიტა მისი კარიერა. 10 წუთის შემდეგ კი ლას-ვეგასის სასტუროო „ფლამინგოში“ ერთ-ერთმა მაფიოზიმ მიმართა დირექტორს და გადასცა ხელმოწერილი საბუთი: „ბატონო დირექტორო, მოძებნეთ თქვენთვის სხვა სამუშაო ადგილი, ბატონი სიგელი მოკვდა“.

ბენიამინ სიგელზე ისევ ალაპარაკდნენ, მაგრამ ახლა უკვე ვირჯინია ჰილთან დაკავშირებით. ჰოლივუდის მშვენიერი ბრიმადონა დიდხანს არ დარჩენილა მარტო. სან-ვოლეიში მან გაიცნო მოთხილამურეთა მწვრთნელი და მალე გვარიც შეიცვალა. იგი ძალზე ადვილად და ხალისიანად ჩაება ახალ აფიორებში, ყველფდა უამრავ მამაკაცს და თავისი დაბადების ოცდაერთხუთმეტე წლისთავზე ქალბატონ ჰაუსერის გვარით წარსდგა სენატორ კეფოვერის კომისიის წინაშე. იგი თავაზიანად და მონდომებით პასუხობდა ყველა კითხვაზე, დაწვრილებით აღწერდა მდიდრულ ბანკეტებსა და ორგიებს ბაგსის სიგელის სასახლეში: „როცა ჩვენ განსაკუთრებით საპატიო სტუმარს ვეპატიჟებოდით, სალონის აუზს ვავსებდით შამპანურით. ლამაზი, შიშველი ქალების ატრაქციონი წყდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე მათგანს შამპანურს უსხამდნენ აუზიდან“.

ხოლო როდესაც „მაფიის ვარდს“ ეკითხებოდნენ ევროპელ სტუმრებზე, რომლებიც ჩამოდიოდნენ სიგელთან ომის ბოლო წლებში, იგი პასუხობდა: „ვინ იყვნენ ის ბატონები არ ვიცი“.

პოლიციას ასევე აინტერესებდა, თუ რომელი ყოველისმცოდ-

წე ავრცელებდა ელვასავით ისეთ ინფორმაციას, როგორც ბაგ-
სის სიკვდილი იყო. სასტუმრო „ფლამინგოში“ ჩვენებების მი-
საღებად მისული პოლიციელები გააოცა იმან, რომ იქ უკვე
ახალი დირექტორი დახვდათ, სახელად სარდორფ ადლერი.
„ჩემმა წინამორბედმა ზუსტად გუშინ საღამოს მოიკლა თა-
ვი“ — აცნობა მან პოლიციელებს.

საერთაშორისო სასტუმრო „ფლამინგოში“ ომისშემდგომმა
გამოძიებამ გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები და-
ყენა ორი მაფიოზის კვალზე, რომლებიც ყველაზე უფრო
ფრთხილ მკვლელებად ითვლებოდნენ.

24. ორი მაფიის საიდუმლო

მხოლოდ 80-იან წლებში შეძლეს ბრიტანელმა
რეპორტიორებმა და საფრანგეთის საიდუმლო პოლიციამ აეხ-
დათ ფარდა საიდუმლოებისათვის, რომელიც აერთიანებდა ორ
ყველაზე უფრო საშიშ ბანდას — „კოზა ნოსტრასა“ და სს-ის
ნაცისტურ ორგანიზაციას. არცთუ ისე ცოტა ხალხი, რომლე-
ბიც ცდილობდნენ როგორმე აეხსნათ ეს საიდუმლოება, შეე-
წირა ამ ამბავს.

სალვატორე ლუჩანომ და ვიტო ჯენოვეზემ ამერიკასა და
ევროპას შორის ომის დროს დამყარებული კავშირი გამოიყე-
ნეს მიზნებისათვის, რომელთა შესახებაც, რასაკვირველია, არა-
ვინ არაფერი იცოდა. ომის პირველ წლებში ნაცისტები ეძებდ-
ნენ სპეციალისტებს ყალბი საბუთების შესადგენად, ხოლო მო-
ვევიანებით კი ნაძარცვი სიმდიდრის გადასატანად და დასამა-
ლად. ყველაზე უფრო სარწმუნოა ის, რომ „კოზა ნოსტრა“
თანამშრომლობდა სამხედრო დამნაშავეებთან უკვე 1940 წლი-
დან. შუამავლები კი ნეაპოლელი ფაშისტები იყვნენ.

სს-ის ხელმძღვანელობის წარმომადგენლები და „კოზა
ნოსტრას“ „ნათლიები“ 1944 წლის 14 აგვისტოს სტრასბურგ-
ში, სასტუმრო „მეისონ რუჟ“-ში შეხვდნენ ერთმანეთს ნაცის-
ტური იმპერიის უმაღლესი წარმომადგენლების თათბირის
მეორე დღეს და ხელი მოაწერეს ოფიციალურ შეთანხმებებს.
ამ უაღრესად გასაიდუმლოებული კონფერენციის წარმომად-

გენლები იშვიათი გამონაკლისის გარდა სამოქალაქო ტანსაცმელში იყვნენ და არ ჰქონდათ უფლება გაეკეთებინათ რაიმე ჩანაწერები. მხოლოდ ომის დამთავრების შემდგომ სამხედრო დამნაშავეთა საქმეების გამომძიებელი მოკავშირეთა კომისიის ზოგიერთმა წევრმა გაკვრით ახსენა, რომ იმ კონფერენციაზე აწყობდნენ, თუ როგორ გადაეწყვიტათ ურთიერთთანმშრომლობის საკითხები, რომლებიც „უნდა გაგრძელებულიყო" წაგებული ომის შემდეგ. წამყვანმა რეფერენტმა იმპერიის უსაფრთხოების დაცვის ბერლინის მთავარი სამმართველოდან, ივარაუდა, რომ სტრასბურგში ნაცისტური პარტია და სს ალბათ 1915 წლის ბოლომდე არალეგალურად მოქმედებდა.

ნაცისტები იღებდნენ ზომებს, რათა ნაცისტური პარტიის და სს-ის ყველაზე უფრო გავლენიან წევრებს შეძლებოდათ გაქრობა, უმეტესად ლათინური ამერიკის ქვეყნებში. გაქცევები და მათი ომისშემდგომი არსებობა ნაწილობრივ უნდა უზრუნველეყო საგანძურს, რომლის ღირებულების შესახებ ზუსტი მონაცემები არ არსებობს.

ეს ეგრეთ წოდებული ნაცისტური საგანძური ძირითადად იმ ოქროსაგან შეღგებოდა, რომელიც კანონით — ნიშნობის ბეჭდების გარდა, იმპერიის ყოველ მოქალაქეს სახელმწიფოსათვის უნდა გადაეცა.

ბერლინის სეიფებში მიედინებოდა აგრეთვე ათასობით ადამიანის საკუთრება, რომლებიც საკონცენტრაციო ბანაკებში იყვნენ გაძარცვულნი და მოკლულნი. გესტაპომ ხელში ჩაიგდო შვეიცარიის ბანკის ბევრი ანგარიშიც. ისინი ეკუთვნოდა მდიდარ პატიმრებს, რომელთაც კოდები და ციფრების საიდუმლო კომბინაციები სატუსაღოს საწამებლებში ათქმევინეს.

ექსპერტების ზუსტი ანგარიშით ჰიტლერელებმა მხოლოდ ევროპაში დაიტაცეს 300 ტონა ოქრო და სულ მცირე 150 000 კულტურულ-ისტორიული კოლექცია. მუზეუმების, გალერეების და კერძო კოლექციების ძარცვა იმდენად სისტემატური იყო, რომ იმპერიის მმართველი და აღმოსავლეთის ოკუპირებული ტერიტორიის მინისტრი ალფრედ როზენბერგი ჰიტლერის განკარგულებით გახდა ხელმძღვანელი რაზმისა, რომლის წევრები განსაკუთრებული ნიშნის მქონე ყავისფერ ფორმას ატარებდნენ და ძირითადად დაკავებული იყვნენ როგორც აღმოსაკლეთის, ისე დასავლეთის ტერიტორიების ძარცვით.

ვალუტისა და ოქროს ყველაზე საიდუმლო წყაროს წარმოადგენდა ყალბი ფულის გამოშვება. 1939 წლის სექტემბერში ჰეიდრიხმა გამოსცა ბრძანება საზღვარგარეთული ვალუტის ყალბი კუპიურების გამოშვების შესახებ. მათი საშუალებით შეძლებდნენ საჭირო ნედლეულის შეძენას ნეიტრალურ ქვეყნებში, უმთავრესად შვეციაში, შვეიცარიაში და ოკეანისგაღმა ქვეყნებში. ყალბი ფულის საბეჭდი საამქროს დირექტორი გახლდათ სს-ის კაპიტანი ალფრედ ნაუოკი. გერმანელმა მაოემატიკოსებმა გამოიანგარიშეს ნუმერაციის სისტემა ინგლისურ ბანკებში. სს-ის შეფებმა საკონცენტრაციო ბანაკებიდან ამოარჩიეს ლიტოგრაფები და სხვა სპეციალისტები, რომლებიც ფულის წარმოებასთან იყვნენ დაკავშირებულნი. ბერლინ-გრიუნვალდში საამქრო ფუნქციონირებდა 1942 წლამდე. შემდგომ ყალბი ფულის გამომშვები საწარმოს შეფი გახდა ბერნარდ კრიუგერი, რომელიც მანამდე საიდუმლო სამსახურის ჯგუფს ხელმძღვანელობდა საზღვარგარეთ. ყალბი მონეტების მთავარი შტაბი მოთავსებული იყო სს-ის აგენტების სკოლაში ფრიედენტალში და სასსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკის მახლობლად მდებარე ბლოკ 18/19-ში.

კრიუგერის ბრძანებით მანეთის, იუგოსლავიური ფულის ერიეულებისა და დოლარების გარდა დაიბეჭდა ასოცდაათი მილიონი ფუნტი სტერლინგი. ომის დამთავრებიდან ხუთი წლის შემდეგ ბრიტანელი ფინანსისტი ჟურნალში „ტელეგრაფ", წერდა, რომ ყალბი ფული იმდენად კარგად იყო დამზადებული, რომ მათი გარჩევა ბანკის მოლარეებსაც კი უჭირდათ, მხოლოდ „ბენკ ოფ ინგლენდის" სპეციალისტებმა და „სკოტლანდ იარდის" თანამშრომლებმა შეძლეს კუპიურების სიყალბის დამტკიცება.

მაგრამ რა მეთოდებით უნდა ჩაეშვათ წარმოებაში ასეთი რაოდენობის ყალბი ფული და როგორ უნდა შეეძინათ მათი საშუალებით ოქრო და მყარი ვალუტა?

1940 წლიდან დოქტორ ვილჰელმ ჰიოტლის მთავარი საზრუნავი ეს იყო. მას შემდეგ, რაც ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა ბერნარდ კრიუგერი და ყალბი ფულის წარმოება ტიპოგრაფიის დონემდე ავიდა, მან გასცა განკარგულება განსაკუთრებული განყოფილების შექმნის შესახებ, რომელიც მაფიასთან ერთად ამუშავებდა.

ამ განყოფილების უფროსს, სს-ის ოფიცერსა და სდ-ს რომის განყოფილების შეფს, ვილი გრიიბლს ჰქონდა მაფიასთან თანამშრომლობის გამოცდილება. როგორც გრიიბლმა დადასტურა, მაფიასთან ყველაზე უფრო მჭიდრო, გულითადი ურთიერთობა ჰქონდა აგენტ შვენდს.

არისტოკრატი ფრიდრიხ შვენდი დაიბადა 1906 წლის ნოემბერში ვიურტემბერის ბოკინგენში და 30 წლისა დასახლდა იტალიაში როგორც ვაჭრობის ექსპერტი. „ნათლია" ჯენოვეზეს ის პირადად იცნობდა. მაფიოზი ფრიდრიხ შვენდი რომის ახლოს იჯდა ციხეში, როდესაც მისი არსებობა გაიხსენეს ფაშისტებმა, რომლებისთვისაც მან შემდგომ ბევრი საქმეები მოაგვარა.

სს-ის შტურმბანფიურერმა ვილჰელმ ჰიოტლმა მიგვიანებით აღიარა: „შვენდი იყო განსაკუთრებულად მომბიბვლელი ადამიანი, ის მაშინვე დაგვთანხმდა თანამშრომლობაზე. ჩვენ კი მადლობა იმით გადავუხადეთ, რომ იგი იტალიის მთავრობას მაშინვე გავათავისუფლებინეთ ციხიდან. პირველად ჩვენ ერთმანეთს შევხვდით 1940 წელს, რომის რესტორანში „ილპია". მე ჩამოვედი ბერლინიდან, ის კი გამოვიდა ციხიდან, რომელიც მხოლოდ 30 კმ-ით იყო დაშორებული იტალიის დედაქალაქიდან".

ესესელმა ჰიოტლმა ჩამოსვლისთანავე აცნობა სს-ის გრუპენფიურერ შელენბერგს შვენდის თანხმობის შესახებ. გესტაპომაც დაუყოვნებლივ აცნობა სს-ს, რომ ყოფილ მექანიკოსს, ვაჭარსა და იტალიის მაფიის წევრს გააჩნია ყველა მონაცემი დავალებების შესასრულებლად. შვენდმა თავდაპირველად მოიბოვა ამერიკელი მილიონერის, მისის ბანმის ნდობა და ფული. სოფლის პროდუქტის გადამმუშავებელი ფირმის მეპატრონეს და შვენდის საყვარელს საჭირო კონტაქტები ჰქონდა აშშ-სა და სამხრეთ ამერიკაში. მეორე შეხვედრა მაფიოზ შვენდისა და ჰიოტლისა, რომელიც სს-მა ბერლინში გაგზავნა, შედგა რესტორანში „პორშთან". მდიდრული ვახშმის ბოლოს მათ ხელი მოაწერეს თანამშრომლობის ხელშეკრულებას. შვენდმა მიიღო სს-ის სამხედრო წიგნაკი, გესტაპოს მოწმობა, დიპლომატიური პასპორტი, ხოლო მისი მეგობრები მაფიიდან მიიღებდნენ ერთ მესამედს ყალბი ფულის შემოსავლიდან.

რესტორნის სალონში იდგა ყალბი ფულით სავსე ჩემოდა-

ნი, რომელშიც ციურიხის ვალუტის მაშინდელი კურსის თანასწორად 500 000 ფუნტი სტერლინგი იდო. ეს თანხა შეესაბამებოდა ათ მილიონ მარკას. ფული ისე გამოიყურებოდა, თითქოს მრავალი ადამიანის ხელში მოხვედრილიყო. ახლა კი ბატონ შვენდს უნდა ეჩვენებინა, თუ რისი გაკეთება შეეძლო.

ყალბი ფულის ნიმუშების ერთი ნაწილი შვენდმა ჩაიტანა ნეაპოლში, ხოლო მეორე კი ოპატიში — ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე. მაფიის წვრილი მოხელეები მაშინვე მიხვდნენ, თუ რა ბიზნესის გაკეთება შეიძლებოდა. იტალიელი ფაშისტებისაგან მათ გესტაპო დაიცავდა.

ერთ-ერთმა მათგანმა, მეტსახელად „რკინის ნერვები", კუპიურები მაშინვე ბანკში გააქანა. „ფუნტი სტერლინგები? ახლა ომის დროს?"—გაოცებული დაყურებდა ბანკის მოხელე ფულს. „ნუ ღელავთ, მე მხოლოდ მაინტერესებდა..." — წამოიწყო მაფიოზმ. „...არა, არა ფული სრულ წესრიგშია" — შეაწყვეტინა მას მოხელემ. მისი სიტყვები ბანკის განყოფილების გამგემაც დააძოწმა. შეენდმა მთელი ჩემოდანი ფული ხუთ კვირაში გააწალდა. შვენდი სს-ის ობერშტურმფიურერი გახდა და ნება მიეცა ყალბისმქმელებისაგან, სპეკულანტებისა და მაფიოზებისაგან შეექმნა საკუთარი რაზმი. ყალბი ფულით ავსებული ჩემოდნები შვეიცარიის, შვეიცის, სამხრეთ ამერიკის გზებზე ბოგზიაურობდნენ.

შვენდმა მთელი ბსოფლიო მაფიის ბაღეში ვალა. მხოლოდ ნასეფარი წელი კაცად თანამშრომლობდნენ ეს ოლსლიანი შვენდი, გახდა დოქტორი ვენდიგი. მას ნება დართეს ეტარებინა სს-ის მაიორის ფორმა, ხოლო მისი წლიური შემოსავალი კი ოც მილიონ მარკაზე მეტი იყო.

ცინსეიმაკრე „ლაბერსის" პატრონი უკვე აღარ ფალიფა ყალბი ფულით სავსე ჩემოდნებით, არამედ კონტროლს უწევდა ბერლინის ბაღრაგს, რომელსაც ჩამოჰქონდა „გასანაწილებელი მასალა" და ჰიტლერის პორტრეტთან სავარძელში მოკალათებული თავნებურად ანგარიშობდა, თუ რამდენი უნდა ჩაედო საკუთარ ჯიბეში. ჰოლანდიაში, ბელგიასა და ჩრ. საფრანგეთში ყალბი ფულის გასაღებაზე ზუშაობდა გეორგ სპენზერ შპიცი.

შვენდს ჰქონდა საკუთარი გემი, რომლითაც ყალბ ფულს გზავნიდა „კოზა ნოსტრას" „ლეიტენანტებთან" ანგლოამერი-

კული ფლოტის ზურგში, ჩრდილო აფრიკაში. ხოლო სამხრეთ ამერიკაში ძველი საეჭვო კონტაქტების აღდგენაში მას დაეხმარა დიქტატორ მუსოლინის სიძე გრაფი ჩიანო.

მაფიოზმა შვენდმა თავისი თავი დააჯერა, რომ მას ნამდვილად შეეძლო დოქტორ ვენდიგად გადაქცევა. მიატოვა ცოლი, შეირთო ახალგაზრდა მდივანი ქალი, ხოლო თავისუფალ დღეებს იტალიურ რივიერაზე ატარებდა. 1944 წელს გაქრა მისი თანამშრომელი თეოფილ კამბერი — ერთნახევარი მილიონი ფუნტით, იმ დროს როდესაც შვენდმა მას უბრძანა, რომ ეს ყალბი ფულის პარტია გაეგზავნა ტერსტიში, მანქანაში კამბერთან ერთად იჯდა მძღოლი და მდივანი. კამბერმა ბალზანომთან ახლოს რევოლვერი იძრო და აიძულა მძღოლი მანქანა გაეჩერებინა. თანამგზავრები ჩამოყარა, თვითონ კი წავიდა, რათა უზრუნველეყო თავისი ომისშემდგომი მომავალი. სიჩქარეში მან ერთი შეცდომა დაუშვა: თავისი თანამშრომლები ვერმახტის კაზარმებთან ახლოს ჩამოსვა. ნაწილის მეთაურმა განგაში გამოაცხადა და საველე პოლიციამ დააპატიმრა გაქცეული. შვენდმა მომხდარი ინციდენტის შესახებ შეატყობინა ბერლინს, კალტენბუნერისაგან კი მოვიდა ბრძანება — სასწრაფოდ ჩამოახრჩეთო.

მეორე დღეს, ადრე დილით ციხესიმაგრე ლაბერსიდან გამოვიდა ორი მანქანა. პირველ მანქანაში იჯდა შვენდი, რომელსაც არ სურდა ომის ბოლოს თავისი ხელით ვინმე ჩაეხრჩო, მძღოლი და სს-ის ოფიცერი გლავანდსი. მეორეში იჯდა კამბერი, რომელიც სამხედრო სასამართლოსათვის უნდა გადაეცათ.

ერთი საათის მგზავრობის შემდეგ წინა მანქანა გაჩერდა. ყველა გზაზე გადმოვიდა. გაისმა სამი გასროლის ხმა. გზაზე მკედარი კამბერი დატოვეს. ამ შემთხვევამ, რომელიც 60-იან წლებშიც არაერთხელ გახდა გამოძიების საგანი დასავლეთ გერმანიისა და იტალიის პროკურატურებში, მართალია ბუნდოვნად, მაგრამ პირველად მიანიშნა სს-ისა და მაფიის თანამშრომლობაზე.

მეკუბოვე ფრანც შიოპფმა დაამოწმა, რომ განსვენებული კამბერი, რომელსაც სამი ტყვია ჰქონდა მოხვეღრილი თავში, უნდა დაესაფლავებინა ღამით, კუბოს გარეშე, როგორც თვით-

მკელელი. შვენდმა სიკვდილის დასკვნაში ჩაწერა: „მოკლული იქსა გაქცევისას“.

შემდგომი გამოძიების დროს კი გაირკვა, რომ მოქმედება სულ სხვა ვითარებაში მოხდა და შვენდს დაუსწრებლად 24 წლის პატიმრობა მიუსაჯეს.

1945 წლის გაზაფხულზე შვენდი ყოველგვარი ილუზიების გარეშე ახალი სახელითა და გარეგნობით მოკავშირეების მოსვლას ელოდებოდა. „ნათლია“ ჯენოვეზეს დახმარებით მან ამერიკის პირველი ქვეითი დივიზიის ოფიცრისაგან იყიდა მაიორის ფორმა და სახელი კემპი. მაგრამ გაქცევამდე მან ერთნახევარი მილიონი შვეიცარული ფრანკი შეიტანა ვადუცის ბანკში და კიდევ მილიონი ტერსტში. შემდეგ სამხედრო სალაროს ნარჩენებიანად ეწვია კაუნსერტალს და წისქვილის ახლოს ჩაფლო 20 კგ ოქრო, 80 ათასი დოლარი, 100 ათასი შვეიცარული ფრანკი და ძვირფასი თვლებით სავსე ფოლადის ზარდახშა. განძს მიამატა რკინის ჯვარიც, რომლითაც ჰიტლერის ბრძანებით დააჯილდოვეს განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

ზალცბურგის, ლინცის და შტირის ჰრადცის სამკუთხედი, სადაც კალტენბრუნერმა ნაცისტური პოლიტიკური მოღვაწეებისათვის „ალპური სიმაგრე“ დააარსა და სადაც შვენდიც მიიმალა, 1945 წლის მაისში სს-ის კოლონიას დაემსგავსა. აქ იყვნენ ეიხმანი, ჰიოტლი, ფაშიუნკი, კრიუგერი და შვენდი.

სს-ის შტურმბანფიურერი შვენდი და დოქტორი ჰიოტლი განაგრძობდნენ გზას შვეიცარიისაკენ. საზღვარზე გადასვლის შემდეგ მათ ბედი აღარ სწყალობდათ. ამერიკელებმა შვენდს (იგივე კემპი) გააძრეს მაიორის ფორმა და გადაწყვიტეს, რომ იგი იმუშავებდა ამერიკელი სამხედრო საიდუმლო სამსახურის მიუნხენის ფილიალში დამხმარე მთარგმნელად. თავაზიანი მოპყრობის გარემოცვაში მან გაატარა თერთმეტი თვე. და რა თქმა უნდა არც იჩქარებდა არსად, რომ არ შეეტყო, ვალბი ფულისმჭრელებით ინტერპოლის დაინტერესება.

შვენდი იქიდანაც აიბარგა. მას ბევრი არასასიამოვნო ისტორია გადახდა თავს, მაგრამ ამჯერად იგი ამერიკის სამხედრო პოლიციამ დააპატიმრა შავ ბაზარზე სპეკულაციასათვის. ამგვარად იგი მოხვდა შტედელპეიმის ციხის საკანში, სადაც სრულიად შემთხვევით მასთან ერთად მოხვდა მისი ყოფილი

თაწამებძროლი შპიტცი, რომელიც, მიუხედავად თავისი ებრაული წარმოშობისა, სს-ის თანამშრომელი იყო. „არაარიელ გეორგ სპენსერ შპიტცსა და მის ქერაოიანან მეგობარ ქალ ერიკას მფარველობდა ჰიტლერის ფოტოგრაფი ჰოფმანი.

იმპერიის დაცემის შემდეგ მიუნხენის სასამართლომ გასცა შპიტცის დაპატიმრების ორდერი, მაგრამ სს-ისა და მაფიის ცნობილი თანამშრომელი ციხეში ნაცისტების წინააღმდეგ მედგარ მებრძოლად გადაიქცა. გაწეული „დახმარებისათვის“ და საკმაო თანხის წყალობით შპიტცმა მოიპოვა ამერიკის სადაზვერვო ორგანოების (კრიმინალური გამოძიების განყოფილება) წევრების ჩარლზ მაიკლისა და ერიკ ტრიმის კეთილგანწყობა. შვენდს საკანში შესვლისთანავე შპიტცის სმა მოესმა: „თუ გსურს აქედან ცოცხალი გახვიდე, ფულები დაყაჭე!“ შვენდს ეს სურდა და ამიტომ ფული გაიმეტა. მაგრამ ჭკვიანმა ებრაელმა თანხის ნაწილი თავისთვის გადამალა. სამხედრო ჯიპი, რომელშიც ისხდნენ კრიმინალური გამოძიების ორივე შეფი კაუსსერტალის ველზე წისქვილთან შეჩერდა. შვენდი იძულებული იყო ცარიელა ხელებით ეთხარა ოქრო. ეშმაკის ლითონის პატიოსანი განაწილების შედეგად მან მიიღო შესაძლებლობა გამხდარიყო პოლონელი მოქალაქე ვენცესლავ ტური და ევროპის ნაცვლად სამხრეთ ამერიკაში აღმოჩენილიყო. უშიშროების სამსახურის პასპორტით იგი ჯერ ბოლივიაში დასახლდა, შემდეგ კი პერუში. ორ წელს იცდიდა დაცარიელებულ სოფელ ტინგო მარიაში და ყალბ ფულს ასაღებდა. გაღიზიანებულმა ბალაზანოს სასამართლოს შეუპოვრობით, რომელსაც იტალიაში სურდა მისი დაბრუნება, იღბლიანმა ბიზნესმენმა ისევ შეიცვალა სახელი. ამჯერად დონ ფედერიკო დაირქვა და მესამედ დაქორწინდა ჰელა ნეუბახზე. ოჯახურ გარემოცვაში შვენდი მომძლავრდა და დაიწყო შურისძიებაზე ფიქრი. პირველი, ვისაც თავს დაესხა, იყო მისი ყოფილი თანამშრომელი შპიტცი, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გადაიქცა შეძლებულ და პატივცემულ მოქალაქედ. მას ეკუთვნოდა მიუნხენის საბანკო სახლ „აუგუსტ ლენ“-ის ნახევარი, სათამაშო ცენტრები შვიდ ქალაქში, თანამედროვე საჯინიბო საჯირითო ცხენებით და ფეშენებელური ვილა განთქმული ჰერცოგის პარკში.

50-იან წლებში ციურიხში ყოფნისას, შპიტცი ხშირად

იგონებდა თავის შეფს და დარწმუნებული იყო, რომ იგი ჯოჯოხეთში იმყოფებოდა. ამიტომ უფრო დიდი იყო მისი გაოცება, როდესაც, 1960 წელს ლიმაში მცხოვრები შვენდისაგან მიიღო თამასუქი, რომლის თანახმად მას უნდა დაებრუნებინა ვალი 2,5 მლნ მარკის ოდენობით.

თითქმის იმავე დროს შპიტცს შანტაჟისათვის უჩივლა შპიტცის მეგობარ ჰოფმანის ქალიშვილმა ჰენრიეტა ფონ შირახმა. მიუნხენის პროკურატურამ საქმე სკრუპულოზულად გამოიძია და 1960 წელს შპიტცმა თავის ვილაში მიიღო სასამართლოს უწყება. ასეთი უმადურობა მან ვერ გადაიტანა. გამოძახებულმა ექიმმა აღნიშნა მისი სიკვდილი გულის გაჩერების გამო.

პროცესი არ შედგა, მაგრამ კორესპონდენტები ძალიან დაინტერესა სახელმა დონ ფედერიკომ, რომელიც ხშირად იხსენიებოდა ამ საქმესთან დაკავშირებით. რამდენიმე ხნის შემდეგ კი იტალიის. პროკურატურამ მოითხოვა არსებული მონაცემების მიხედვით ერთ-ერთი მოქალაქის, რომელიც ძალიან ჰგავდა სს-ის ყოფილ თანამშრომელ და მაფიოზს შვენდს, დონ ფედერიკოსთან იდენტიფიცირება.

1973 წლის 13 აპრილის დილით ლიმის პოლიცია ესტეფრა ბენერის სახლს და სარდაფში აღმოაჩინა საეჭვო კორესპონდენცია. ღიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა დონ ფედერიკოს მეალიი კავშირის დადგენა „კოზა ნოსტრასთან“ და სამხედრო დანაშაულებთან, რომლებსაც ეძებდა რამდენიმე ევროპული სახელმწიფო.

ერთ-ერთი მაფიანი იყო საყოველთაოდ ცნობილი სამხედრო დანაშაულე ლეონის ბენისტაბის უფროსი კლაუს ბარბიე, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ამაოდ ეძებდნენ საფრანგეთი და გერ. მხოლოდ 1983 წლის თებერვალში შეძლეს ბარბიეს, ფეიეე ალტმანის, დაპატიმრება და ლიონში ჩაყვანა.

დონ ფედერიკოს, იგივე შვენდს, სავალუტო მაქინაციებისათვის მიესაჯა ორი წლის პატიმრობა და გაძევებული იქნა ჰერუდან. 1976 წლის 4 ივლისს იტალიელი და დასავლეთ ვერმანელი კრიმინალისტები მოუთმენლად ელოდნენ მის გამოსვლას თვითმფრინავიდან ფრანკფურტის აეროპორტში. მან დაკითხვისას აღიარა, რომ ბარბიე მისი თანამონაწილე იყო — ჯესელი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა მაფიის წევრი.

ბარბიესა და მისი თანამონაწილეების საქმის საფრანგე-

თის საიდუმლო სამსახურის გამოძიების მასალებიდან ნათელი გახდა, რომ 1944 წლის სტრასბურგის კონფერენციის გაგრძელებას წარმოადგენდა „კოზა ნოსტრას“, კლასიკური სიცილიური მაფიისა და სს-ის სამხედრო დამნაშავეთა თათბირი, რომელიც ოთხი წლის შემდეგ ჩატარდა ჰავანაში.

1948 წლის 19 მაისს ოტელ „კასა მარინაში“ თათბირზე იმყოფებოდა ლაკი ლუჩანოც და მისი უახლოესი პირებიც. მოლაპარაკების შედეგად მიღებული იყო ახალი შეთანხმება, რომ მაფია დაეხმარება სამხედრო დამნაშავეებს ამერიკის კონტინენტზე. ზოგიერთი „ნათლია“, მათ შორის ვიტო ჯენოვეზეც, იტალიასა და ავსტრიაში განლაგებულ სამხედრო ტყვეების ამერიკულ ბანაკებში თავისუფლად მოქმედებდნენ. მათი დახმარებით გედის ბანაკიდან გაიქცა ათეულობით ესესელი.

ყალბი მოწმობებისა და გზის ხარჯებს იხდიდა სს-ის შტარლარტენფიურერი ვალტერ რაუფი, იგივე კომგე და თან შვენდის ხელშეწყობით ამარაგებდა მათ ყალბი ბანკნოტებით კრიუგერის „სახელოსნოდან“.

კუნძულზე ეადმომისხდარი 160 ათასი ამერიკელიდან ცოტა ვინმემ თუ იცოდა რა ვერაგი იყო მაფია, რომელიც ორმაგ თამაშს ეწეოდა. ომის დამთავრებიდან მხოლოდ საკმაო ხნის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ „ნათლიები“ სამხრეთ სიცილიიდან ხელს უწყობდნენ იტალიელ ფაშისტებს რომში ლამქრობაში ყოფილ კიდევ 1922 წლის ოქტომბერში. როდესაც ამ ამბიონ ერთი წლის შემდეგ სიცილიაში გამოჩნდნენ მუსოლინის მოსმენილები, მათ მაფიასთან საერთო ინტერესები აღმოჩნდა, ყოველ შემთხვევაში თავიდან მაინც. მაფიოზებს უბარიერო, რომ ფაშისტები ომს უცხადებდნენ ყველაფერ მოწინააღმ. ახალს, მაგრამ არ სურდათ ძალაუფლებისა და სიმდიდრის გინაწილება ახალმოსულთათვის. ფაშისტური პროპაგანდა ხშირად აღნიშნავდა მაფიასა და შავერანგიანებს შორის ღიდი ხნის მეგობრულ კავშირს. ჯერ კიდევ მუსოლინის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე „ნათლიამ“ კალოგერო ვიცინიმ დავალება მიიღო გადაემალა პოლიციისგან ფაშისტი მკვლელი. იმ დროს უმთავრესი „ნათლიის“ ვიტო კაშია ფეროს მოადგილედ არჩეული ვიცინი ყველაფერს აკეთებდა, რაც საჭირო იყო. სხვათაშორის, არც დევნილი სჩადიოდა რაიმე ისეთს, რაც მაფიის კანონებს ეწინააღმდეგებოდა.

პირველი არასასიამოვნო სიურპრიზი მაფიისთვის იყო ხელფასის სწრაფი შემცირება სახელმწიფო დაწესებულებებსა და სამსახურებში. შემცირდა ასევე ნადავლი და ქრთამი ტრადიციული „დაცვისათვის". მაფიამ ძალე მორიგი დარტყმა განიცადა: ფაშისტებმა გაზარდეს ბეგარა, გადასახადი მარცვლეულზე და თვითონ დაიწყეს მიწათმფლობელთა „დაცვა!" მაფიას ბედი არ სწყალობდა. მოგვიანებით „კეთილშობილთა საზოგადოებამ" შეიტყო, რომ ფაშისტური პარტიის ყოველკვირეულმა ორგანომ პალერმოში მაფია მტრად გამოაცხადა. „ნათლიები" აღარ ეჭვობდნენ, რომ მუსოლინის საკუთარი მკელელებიც საკმარისი ჰყავდა და მაფია არ სჭირდებოდა. უთანხმოება გარდუვალი იყო. საოცარ სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ მხოლოდ მაფიის პირამიდის მწვერვალზე მყოფნი, მაშინაც კი, როდესაც ფაშისტურმა რეჟიმმა გააუქმა არჩევნები და პოლიტიკურმა კორუფციამ აზრი დაკარგა. 1926 წლიდან დიქტატორს არ ჭირდებოდა ხმები. მან გარდა ფაშისტურისა ყველა პოლიტიკური პარტიის არსებობა აკრძალა.

„ნათლიებზე" თავდასხმა მუსოლინის სიცილიაში მოგზაურობამ დაჩქარა. პატარა ქალაქ პეანა დეი გრეჩიში სტუმრობისას მუსოლინიმ გადაწყვიტა ესარგებლა ადგილობრივი მაფიის „ნათლიის" ციჩიოს ავტომანქანით. ციჩიო დიქტატორის გვერდით მოთავსდა და როდესაც პოლიციის ექსკორტი დაიძრა, იგი ქედმაღლურად გადაიხარა ღრმად პატივცემული სტუმრისაკენ და უთხრა: „რა საჭიროა ამდენი პოლიციელი? ვიდრე ჩემს ახლოს იმყოფებით, ნურაფრის გეშინიათ." „აქ ბრძანებებს ვიძლევი მე"! — უხეშად შენიშნა მუსოლინიმ და ამით აგრძნობინა მაფიის მაღალი წოდების პირებს, რომ შეუძლია მაფიის „ნათლიის" შეურაცხყოფა. პასუხი მან საათნახევრის შემდეგ მიიღო. საზეიმოდ მორთულ მოედანზე, სადაც „იტალიის გამოჩენილი გადამრჩენელი" უნდა გამოსულიყო სიტყვით, ხალხის ნაცვლად მხოლოდ რამდენიმე პოლიციელი დადიოდა. ხალხმა შეასრულა „ნათლია" ციჩიოს სურვილი.

პეანა დეი გრეჩიში მომხდარმა ინციდენტმა დიდი გამოხმაურება პოვა რომში. პოლიციის შეფმა ცეზარე მორიმ მიიღო ბრძანება დაუყოვნებლივ შეტევაზე გადასულიყო.

მორიმ, ან „რკინის შეფმა“ დაინიშნა თუ არა სიცილის პრეფექტად, მიიღო საგანგებო უფლებები. იგი წარმოშობით ჩრდილოეთ იტალიიდან იყო, და „ნათლიები“ მის მიმართ არავითარ თავაზიანობას არ იჩენდნენ.

მალალი წოდების მოხელეების მიმართ თავისი უნდობლობა მორმა შეძლო გამოეხატა პალერმოს ფაშისტური ხელმძღვანელობის სხდომაზე 1925 წლის 3 მაისს, რადგან მათ „ვერ შეძლეს მეორეხარისხოვანი მეგობრული კავშირების ლიკვიდაცია“. გაზეთ „სიცილია ნუოვა“-ში (რომელიც აქამდე თანამშრომლობის მომხრე იყო) გაჩნდა მოწინავე სტატია სათაურით: „ფაშისტები გაწყვეტენ მაფიასთან კავშირის ჯაჭვს.“

ფაშისტური რეჟიმის ყველა გამოცდილი საშუალების გამოყენებითაც კი არ იყო ადვილი იმის შესრულება, რასაც დუჩე ცალყბად დაჰპირდა ხალხს პატარა ქალაქ აგრიგენტოში — კუნძულს მაფიისაგან გავანთავისუფლებო. მორი, დიქტატორისაგან განსხვავებით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სიტყვებს. თუმცა, მან არ იცოდა ყველაფერი, რაც ცნობილი იყო მისი შეფისათვის, კერძოდ, ის რომ ასეულობით მაფიოზი ატარებდა ფაშისტური პარტიის მოწმობას.

მორმა პირველმა გასცა ორდერი ციჩიოს დაპატიმრებაზე „მუსოლინის შეურაცხმყოფელი მოქმედებისათვის“. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ „ნათლიის“ დაპატიმრება რთული საქმე იყო. მორი იძულებული გახდა უფრო მოქნილი მეთოდებით ესარგებლა და პეანა დეი გრეჩის მაფიის „ნათლიას“ პირადი მოწვევა გაუგზავნა საზეიმო კოქტეილზე.

რატუშის გვარდიელების რაზმმა ძლივს შეძლო „ნათლიის“ მოთავსება უჩიარდონეს ციხეში.

მორის აპარატი უფრო მეტ სისასტიკეს იჩენდა, ვიდრე მაფია. „ნათლიები“ ამას არ მოელოდნენ. მაფიაზე თავდასხმა რომმა ჩაატარა როგორც სასტიკი, მაგრამ საჭირო სპექტაკლი, მთავარ როლს მოღალატე იუსტიცია თამაშობდა, მაშინ როდესაც „რკინის შეფი“ — ლუციფერის როლში იყო. „რკინის შეფის“ ბრძყალებში მაფიის ისტორიაში პირველად და უკანასკნელად მოექცა სოფლები: განგი, კორლეონე, მილმერი, პრიცი, ჩიანციანა და პარტინიკო. თუმცა „ნათლიე-

ბი“ და მათი „ლეიტენანტები“ დასჯილთა სიებში არ მოხვედრილან.

აქტიური, მაგრამ ცუდად ინფორმირებული პრეფექტის აღსასრულიც მალე დადგა — მას შემდეგ, რაც მან უმაღლესი ფაშისტური საბჭოს სხდომაზე განაცხადა: „... მოსამართლენიც შეიძლება შეცდნენ!“ პალერმოს გენერალური პროკურორის ბრძანებით არქივარიუსები იძულებულები გახდნენ ამოექექათ დამტვერილი სასამართლო აქტები.

ოდესღაც დამნაშავეთა გამართლებით დამთავრებული პროცესები, კვლავ გახდა მსჯელობის საგანი. მაფიოზებს ყველგან ასამართლებდნენ, ისეთ პატარა ქალაქებშიც კი, როგორიც იყო პეტი და იმერესი. მაფიასთან ბრძოლის საბაბით ფაშისტები ანგარიშს უსწორებდნენ ყველას. როგორც კი აღმოჩნდა, რომ უკიდურესად სასტიკ ტერორს და განაჩენებს შეიძლებოდა შეერყია სიჩუმის ტრადიციული კედელი, ამოქმედდნენ ყველაზე ბნელი ძალები. წამების შემდეგ პატიმრები აღიარებდნენ კავშირს ფაშისტური პარტიის მეთაურებთან. ამას იმათგან, რა თქმა უნდა, არავინ არ მოელოდა, და მათ მიერ დასახელებულთაგან ცოტა ვინმე თუ მოხვდა საკონცენტრაციო ბანაკებში. მათთვის ყველაზე დიდი სასჯელი იყო თანამდებობიდან განთავისუფლება. მაგალითად ვილაბატენაში პარტიიდან 12 თვე გარიცხული იყო ფაშისტური პარტიის მდივანი, რადგან პარტიის წევრთაგან 47% მაფიის ერთგული მსახურები იყვნენ.

ძლევამოსილი „მეგობრები“ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ პრეფექტმა მეტისმეტად შორს შეტოპა და დასახმარებლად ცენტრს მიმართეს. რომში სიგნალები მიდიოდა პარტიის პალერმოელი წევრებისგანაც: „პრეფექტს ძალა არ შესწევს მოაგვაროს რთული ურთიერთობანი სახელმწიფოს, ფაშისტურ პარტიას, მაფიასა და მოსახლეობას შორის“. დაძაბული ურთიერთობა მოაგვარა რომის სამხედრო სამინისტროს გენერალმა დი ჯიორდიომ. ეს მან გარიგებით მოახერხა, რაც ასე ტიპიური იყო დიქტატურისა და „დონებისათვის“. „ნათლიებმა“ თავიანთი ჯარისკაცების სიცოცხლის ფასად მოიპოვეს თავისუფლება, მათი ადგილი კი დაიკავეს ფაშისტური პარტიის წევრებმა. გვარდიელები, უპირველესად კი სამხედრო პოლიცია, განაგრძობდნენ მაფიის სიებში აღნიშნულ მოქალაქეთა

და დაწესებულებების „დაცვას“. იმ შემთხვევაში, როდესაც „ნათლიები“ თანახმა იყვნენ ფაშისტებთან ერთად გაეყოთ ძალაუფლება და შემოსავლის ნაწილი, არავითარი პრობლემები არ არსებობდა. მაგრამ როდესაც მაფია დათმობაზე უარს ამბობდა, იმართებოდა ულმობელი რეპრესიები.

ტრაგიკომიკური ღალატი და სიტყვიერი ომი გადაიტანა მორიმაც და მისი ენთუზიაზმიც გადარჩენაზე ოცნებაში გადაიზარდა. ამის გამო 1929 წელს მან გამოაცხადა, რომ ფაშიზმმა დაამარცხა მაფია: „ჩვენ გავიმარჯვეთ იქ, რაშიც დამარცხებული გამოდიოდა იტალიის ყველა უწინდელი ხელისუფლება“. თავისი მტკიცება მკვლელობებისა და თავდასხმების შესახებ შთამბეჭდავი მონაცემებით დაასაბუთა. ბევრი მის მიერ მოტანილ ციფრებს ეჭვის თვალით უცქერდა. „ნათლია“ კალოჯერო ვიცინი მშვიდად განაგრძობდა „კეთილშობილია საზოგადოების“ ხელმძღვანელობას მას შემდეგაც, რაც პრეფექტი დაითხოვეს.

გარკვეული პრობლემების წინაშე იდგა მხოლოდ „ნაწილიების ნათლია“ ვიტო კაშია ფერრო, ამერიკის ჰოლიციის ლეიტენანტის ჯო პეტროსინოს მკვლელი. „ნათლიების ნაწილის“ დაპატიმრებისას ფაშისტებს ჰქონდათ დოკუმენტები, რომელთა თანახმად ფერროს ჩადენილი ჰქონდა 26 მკვლელობა. 1929 წელს ფერრო ლიბერეს. პრესაში მას დაპატიმრებაც გასცა თვით მუსოლინიმ. იტალიელი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პროკურორმა „დონი“ ნაოლოდ ინიციერმ დაადასტურა უმნიშვნელო რამეში, რომ „ნათლია“ ლაპარაკობდა „კოზა ნოსტრას“ დასმარებით კონტროლს გაუწევდა ანტიფაშისტებს, რომლებიც ემიგრირებული იყვნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ფაშისტებსა და მაფიას შორის კავშირი ბანაფლე გრძელდებოდა სანამ კუნძულელები სრულიად გაიტაცებოდნენ.

ლლეებსა და კვირეს ახალი შინაარსი შესძინა სამხედრო მოვლენებმა. სიცილიაში უფრო ადრე, ვიდრე სხვაგან, მუსოლინის წინამძღოლებმა მიმალვა არჩიეს. ამას ხელი შეუწყო „კოზა ნოსტრამ“, რომელმაც გააფრთხილა ფაშისტები, რომ სიცილიაზე თავდასხმა მზადდებოდა.

ამ ინფორმაციისთვის სიამოვნებით გაიღეს საფასური

რჩეულმა ფაშისტებმა — პალერმოს ციხიდან თავი დაიხსნა ბევრმა მაფიოზიმ.

თავდასხმის მიახლოებითი ვადების გაცემამ „ნათლიებსაც" მოუთბო ხელი, რამეთუ გაქცეულმა ფაშისტებმა თავიანთი ზედმეტი ბარგი მათ დაუტოვეს.

მაგრამ რა მოხდებოდა, თუ მოკავშირეთა გამარჯვების შემდეგ ვინმე გაამხელდა მათ საქციელს კოლაბორაციის პერიოდში? „ნათლიებმა" აქაც იპოვეს გამოსავალი: „დონ" ვიტო ფეროს სამშობლოში კარაბინერებმა იპოვეს ფაშისტური პარტიის მდივანი პერიკონი თავში შვიდი ნატყვიარით.

თავდასხმის წინა დღეებში მაფია ისევ გონივრულად მოიქცა. ქედი მოიხარა უკეთესი დროის მოლოდინში და დახმარების ხელი გაუწოდა განმათავისუფლებს. მორის მიერ მაფიის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში, მაფიამ თავიდან მოიშორა თავისი სახელგატეხილი წევრები, რომლებიც ფაშისტურ პარტიაში შედიოდნენ და საზოგადოებრიობას წარუდგნენ, როგორც ფაშისტური რეჟიმის მსხვერპლნი.

განთავისუფლების დღისთვის მაფია დიდხანს, გულმოდგინედ ემზადებოდა და ბეჭდავდა ფურცლებს მოწოდებით „ძირს მუსოლინი!".

25. იმ, სადაც ფულს სუნი არ უდის

ამერიკის საოკუპაციო სამმართველოს თანამშრომლებმა ომში მუსოლინის წინააღმდეგ დახმარებისათვის ჯილდოდ რამოდენიმე სოფელში თავკაცებად დანიშნეს ადამიანები, რომლებიც მაფიასთან იყვნენ დაკავშირებულები. მაგრამ ზოგიერთ საკითხში „ნათლიების" ვარაუდი არ გამართლდა. ისინი გაოცებული იყვნენ, ვინაიდან ჯარისკაცთა უმრავლესობა, განსაკუთრებით კი კუნძულზე დარჩენილნი, საუბრობდნენ ადგილობრივ დიალექტზე. სწრაფად ერკვეოდნენ და აგვირებდნენ ყველა საკითხს. ეს შესანიშნავი ემაწვილები წარმოშობით ჩიკაგოდან ან ნიუ-იორკიდან იყვნენ. ისინი არ გამოირჩეოდნენ ახალგაზრდული ასაკით, მაგრამ როგორც ამერიკაში, აქაც ვერ ეგუებოდნენ ვაჭრობის მოძველებულ მეთოდებს.

ვიტო ჯენოვეზემ განთავისუფლების შემდგომი თვეები ღაახასიათა, როგორც ყველაზე შავი დღეები ძველი მაფიისათვის. სიცილიური სოფლების „ნათლიები" ისე გაღარიბდნენ, რომ „პიკიოტოებს" თავიანთი ნათესავი ან ახლობელი ქალები მიჰყავდათ ქალაქში, საროსკიპოებში, რომელთა წინ იდგნენ დოლარებით ჯიბეგამოტენილი ჯარისკაცები. ასეთი დამამცირებელი მოქმედება „კოზა ნოსტრას" წარგზავნილებმა სწრაფად შეწყვიტეს. ჩიკაგოელი მაფიოზების რამოდენიმე თვის მოღვაწეობის შემდეგ პალერმოში აღარ დარჩა არც ერთი ინდივიდუალურად „მომუშავე" მეძავი. პანსიონებმაც შეიცვალეს სტილი, დააწესეს მაღალი წრის ნორმები და ფასები. დილით კი საროსკიპო სახლებს ფულის ასაკრეფად ჩამოუვლიდა სუფთად ჩაცმული, სიცილიელი ინკასატორი „თითილოკია" ჯეიკი.

ყველაფერს მაინც რეკეტი ჯობდა. როგორც განსვენებული ალ კაპონე ამბობდა: მდიდრები, მეწარმეები და ხელოსნები მშიშრები არიან, აქვთ ფული და სწრაფად იხდიან „გადასახადს". მაგრამ სოფლელ „ნათლიებს" არ ჰქონდათ კავშირი საზღვარგარეთელ კოლეგებთან და იძულებული იყვნენ მხოლოდ კონტრაბანდით დაკმაყოფილებულიყვნენ.

მათ შორის, ვინც მაფიას ეხმარებოდა როგორც კონტრაბანდისტი, იყო 19 წლის ახალგაზრდა სალვატორე ჯულიანო. ის დაიბადა პარტინიკში. ოჯახში მეოთხე შვილი იყო. ერთხელ, 1943 წ. სექტემბერში ახალგაზრდა ჯულიანო პოლიციელებმა გააჩერეს სან ჯუზეპე ჟატოდან ჩრდილოეთისკენ მიმავალ გზაზე. ისინი კონტრაბანდისტების საყვარელ ბილიკზე იყვნენ ჩასაფრებულები, მაგრამ ჯულიანოს ვერ აღმოუჩინეს ვერც სიგარეტები, ვერც ნარკოტიკები. მას მხოლოდ ორი ტომარა მარცვლეული მიჰქონდა შავ ბაზარზე გასაყიდად. დაკავებისას ჯულიანო დუმდა. შემდგომ, ისე როგორც „კეთილშობილთა საზოგადოების" ჯარისკაცს ეკადრებოდა, უცებ გაისროლა და ბილიკზე, მცხუნვარე მზის ქვეშ, დატოვა ორი პოლიციელის უსულო სხეული. „პიკიოტომ" ხორბალი საწყობში ჩააბარა და „პადრინოს" შეატყობინა რაც მოხდა გზაში. „წადი გამოქვაბულში „სამ ჯვართან!" — უბრძანა „პადრინომ". მალე ჯულიანოს ოცნება აუხდა, იგი გახდა ძველი მაფიის ყველაზე გამოჩენილი წევრი.

კუნძული მძიმე პერიოდს განიცდიდა. შესაძლოა ამის შედეგიც იყო, რომ კუნძულზე ამერიკის ჯარების გადასხდომის შემდეგ ბევრმა მხარი დაუჭირა ლოზუნგს: „სიცილია — სიცილიელებს!“ თუმცა მათთვის არ იყო ცნობილი, რომ სეპარატისტების მეთაური ფინოჩიარო აპრილე ოცნებობდა ამერიკასთან შეერთებულ რესპუბლიკაზე. მისი მოადგილეები და მაფიის „ნათლიები“ შეიკრიბნენ სასტუმრო „ოლიმპიაში“, რათა შეეიარაღებინათ ახალი, ნებაყოფლობითი სამხედრო რაზმი „ეზერჩიტო ვოლონტარიო პერ ინდიპენდენსა სიცილიანა“, რომელიც ცნობილი იყო შემოკლებული სახელით „ევის“. „ევისის“ მიმდევრები, სეპარატისტი და მონარქისტი ფანატიკოსები ატარებდნენ ყვითელი და მუქწითელი ბაბთებით შემკულ კოკარდიან ქუდებს, ხოლო ღამ-ღამობით კედლებზე აწერდნენ:

„გაუმარჯოს დამოუკიდებელ სიცილიას! გაუმარჯოს ამერიკას! გაუმარჯოს ორმოცდამეცხრე ვარსკვლავს! გაუმარჯოს ფინოჩიარო აპრილეს!“

მხოლოდ მაფიის „ნათლიები“ არ იყვნენ საბოლოო შედეგში დარწმუნებული, რადგან მუსოლინი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ომობდა კიდეც.

„ნათლიები“ მხოლოდ თავიანთ მოადგილეებსა და პრეფექტ მორის ჯარისკაცებს აძლევდნენ უფლებას საჯაროდ ეღიარებინათ ლოზუნგი „გაუმარჯოს ვარსკვლავების ქვეყანას!“

უწინდელ მონარქიაზე მეოცნებეთაგან, თუმცა ისინი ამერიკელი ჯარისკაცების ფორმას ატარებდნენ, ყველას როდი სჯეროდა სიცილიის ამერიკასთან შეერთებისა. მიუხედავად ამისა, მათ მიიღეს მონაწილეობა „ევისის“ შექმნაში და უნდოდათ ჩამოეყალიბებინათ მოხალისეთა არმია. მათ არ აწუხებდათ ის ამბავი, რომ გარიბალდის ოცნება ქვეყნის გაერთიანებაზე განუხორციელებელი დარჩებოდა. სეპარატისტების წინამძღოლი აპრილე მაფიის „ნათლიას“ ვილალბაში შეხვდა. მას სურდა „ნათლიას“ დაესახელებინა მოხალისეთა რაზმების ახალი მეთაურის კანდიდატურა და ამასთანავე მაფიასთან ძველი ხელშეკრულების განახლება.

„კეთილშობილთა საზოგადოებას“ აღარ უხდებოდა პოლიციელთა სპეციალური რაზმის ფუნქციების შესრულება, როგორც ოდესღაც, მაგრამ სიცილიაში წესრიგის დამყარება მაინც

სურდა. დეპუტატი ან სოფლის მამასახლისი პასუხს აგებდა ურჩების დევნაზე, ხოლო მაფია — არჩევნებში გამარჯვებაზე.

„ნათლიამ“ „ევისის“ მეთაურის პოსტზე ახალგაზრდა ჯულიანოს მისცა რეკომენდაცია.

მალე ახალი მეთაურის ბრძანებები ეხებოდა განურჩევლად ყველას, გლეხობას თუ პოლიციელებს, დემოკრატიული თუ სახალხო პარტიების წარმომადგენლებს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჯულიანოს ბრძანებით დაიხოცა ბევრი ადამიანი, ამერიკის ოკუპაციურმა ხელისუფლებამ მისდამი რწმენა დაკარგა და ნდობა გამოუცხადა დე გასპერის უფრო ზომიერ ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიას.

ამრიგად, „ევისი“ გადაიქცა არალეგალურ არმიად, მაფიასთანაც თანამშრომლობდა, მაგრამ მაფიის „ოჯახის“ წევრად მაინც არ მიიღეს. სეპარატისტების ხელმძღვანელობის მორიგ და უკანასკნელ სხდომაზე ჯულიანო მონაწილეობდა უკვე როგორც „ევისის“ ჯარების პოლკოვნიკი. ახლადგამომცხვარ პოლკოვნიკს არმიის შესანახად ძალიან მცირე თანხას უყოფდნენ, „დანარჩენი თანხა იშოვე ძველი ხერხებით, როგორც ყოველთვის შიულობდით“ — შესთავაზეს ჯულიანოს და ისიც დათანხმდა. თან გადაწყვიტა, უსიტყვოდ დალოდებოდა ნიშანს აჯანყებისათვის. ამერიკის ხელისუფლება აშკარად მიემხრო ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწეებს და უარყო „ევისთან“ და მაფიასთან ყოველგვარი ურთიერთობა.

სეპარატისტების ავანტიურისტული გეგმა განწირული იყო. იტალია რესპუბლიკად გამოცხადდა. „ნათლიებიც“ იძულებული გახდნენ მიეღოთ გადაწყვეტილება — ოფიციალურად გადასულიყვნენ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის მხარეზე, მაგრამ მათთვის დამახასიათებელი ორპირობით სეპარატისტებსაც ჰპირდებოდნენ, რომ „ევისის“ შეიარაღებული რაზმები დაიცავდნენ მათ ქონებას ღატაკებისაგან.

პოლკოვნიკმა ჯულიანომ მიიღო ახალი დავალება: გადაეწყვა ურჩი გლეხებისთვის სახლები და ჭკუა ესწავლებინა მათთვის, ვინც აქეზებდა წვრილ არენდატორებს.

„ნათლიებს“ კიდევ დიდხანს ეცვლებოდათ სახე სიბრაზისაგან, როდესაც იხსენებდნენ განთავისუფლების შემდგომ პირველ თვეებს. 1944 წლის 16 სექტემბერს ვილალბას მოედანზე საჯაროდ სიტყვით გამოდიოდა მაფიის მტერი ლი კაუზი. მან

ოლოლებში ჩახედა „დონს“ და თქვა: „მაფია — ეს არის სიცილიის ჭუჭყი!“ „ნათლია“ ყვირილით წამოიჭრა ადგილიდან: „ეს უსინდისო ტყუილია!“ ამავე დროს, თითქოს ბრძანება იყო გაცემული, მოედანზე სროლის ხმები გაისმა. დაიჭრა ცხრა ადამიანი. დამნაშავეები არ დასჯილან. ისინი იმ რაზმის ჯარისკაცები იყვნენ, რომელსაც სათავეში ედგა საოცრად ლამაზი და ახალგაზრდა, ციმფერთვალება ჯულიანო. მომდევნო წლებში ის მრავალ სხვა ბოროტმოქმედებაში მიიღებს მონაწილეობას.

ჯულიანო და კეთილი გამომეტყველების მქონე ძია კალო კიდევ დიდხანს ჩადიოდნენ საშინელ დანაშაულობებს. 1947 წლის 28 ივნისის საღამოს ნარუში გაისმა სროლის ხმა. პინო კამილერის სიკვდილს მოჰყვა პროფკავშირების სხვა ლიდერის გაეტანო ჯუარინოს სიკვდილი.

ომისშემდგომი სიცილიური მაფიის მამამთავარი „ნათლია“ კალო ანუ კალოგერო ვიტინი მონაწილეობდა აგრეთვე პერნარდინო ვერიოს და ჯიოვანი ზანგარას მკვლელობებშიც.

ვილალბას მაფიის „დონად“ არჩევის დღეს კალომ ბრძანა ნიკოლო ჩიანციანოს და ლუჩიანო ნიკოლეტის დასჯა. მეორე მსოფლიო ომის დროს კორმონედში დაილუპა 109 მოქალაქე, ხოლო ომისშემდგომ ექვს წელიწადში მაფიამ დახვრიტა 138 მოქალაქე.

1947 წლის პირველ მაისს ჟატოს ველის ზემოთ მდებარე „პორტელა დელა ჯინესტრას“ ზეგანზე შეიკრიბნენ გლეხები ოჯახებით. ათი საათისთვის ტრიბუნაზე ავიდა სახალხო ბლოკის მდივანი ჯიაკომო სკირო, წარმოშობით პიანო დეი გრეჩიდან. მისი სიტყვა სროლამ შეწყვიტა. სისხლისღვრა 10 წუთს გრძელდებოდა. პოლკოვნიკ ჯულიანოს მიერ დახოცილთა სიას კიდევ 15 მოკლული და 80 დაჭრილი დაემატა. მოგვიანებით პოლიციამ გამოარკვია, რომ მკვლელობა ჩაიდინა ჯულიანოს ორასკაციანმა რაზმმა, რომელიც თავს აფარებდა კლდოვან მთებს. მაგრამ ამჯერად მაფიამ ვერ გაიმარჯვა. შინაგან საქმეთა მინისტრმა გადაწყვიტა საქმის დეტალური შესწავლა. დონ კალო და მისი მეგობრები მიხვდნენ, რომ ჯულიანოს არმია მათთვის ხელისშემშლელი გახდა. მათ არმია დაშალეს, მაგრამ მისი ბირთვი, რომელიც 86 განგსტერისაგან შედგებოდა, შეინარჩუნეს.

ამის შემდეგ დიდ დროს არ გაეკვლო, რომ ჯულიანიმ გაძარცვა პალერმო-ტრაპანის მიმართულებით მიმავალი რეგულარული მატარებლის მგზავრები. პალერმოს პოლიციის უფროსი, გენერალი ბრანკო ამის შემდეგ კომპრომისზე წავიდა და განაცხადა: ვინც მხარს უჭერს სეპარატისტებს პატრიოტული გრძნობის გამო და ვინც ნაბარდება პოლიციას, შეიძლება ამნისტიამ გაანთავისუფლოსო. ჯულიანოს შეწყალება არ ეხებოდა. უფრო მეტიც, იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა რომიტომ მის დასაჭერად სამი მილიონი ლირა გამოაჭყო. მაგრამ ჯულიანოს დაპატიმრება, რომელსაც ყოველ ნაფეტში ჰყავდა მომხრეები, არ იყო იოლი საქმე.

მონტელეპრე, სადაც ცხოვრობდნენ ჯულიანოს მშობლები, სავსე იყო ჟანდარმებით. ექვსიათასიან ქალაქში სახლების ნხრეკას ბოლო არ უჩანდა. ქუჩაში საღამოს 9 საათის შემდეგ გამოსვლა აიკრძალა, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა. პოლიცია უძლური აღმოჩნდა. ასე გრძელდებოდა 1949 წლამდე, ჯულიანოს დაჭერამდე. კუნძულზე ნამოვიდა ბანდიტებთან მებრძოლი საგანგებო რაზმი. რაზმის მეთაური პოლკოვნიკი უგო ლუკა, რომელმაც თავი გამოიჩინა ფაშისტებთან სამსახურში და რომელიც ცნობილი იყო ზედმეტი სახელით „ლოურენსი“, მალე გაეცენო ჯულიანოს საქმიანობას. ეს შემდეგ ვითარებაში მოხდა: მისი თანმხლები მანქანა ჯულიანოს მიერ დანაღმულ გზაზე აფეთქდა. ლუკამ დაკარგა ოთხი ჟანდარმი. ამის გამო მან საგანგებო რაზმის რაოდენობა 3 ათას კაცამდე გაზარდა და მკვლელის დაჭერისათვის დააწესა ფულადი ჯილდო ხუთ მილიონ ლირამდე.

1950 წლის 5 ივლისს იტალიურმა რადიომ გადმოსცა: „სახელმწიფო დამნაშავე ჯულიანო მკვდარია“.

პალერმოს კრიმინალისტიკის მუზეუმის თანამშრომლებმა სიკვდილის შემდგომ დაამზადეს მისი ნიღაბი. ევამის ვაკეთისას მის ზურგზე ვერ აღმოაჩინეს ვერც ერთი ნატყეიარი, იუმცა პოლიციას ოქმში ეწერა, რომ დამნაშავე მოკლული იყო გაქცევის მცდელობისას. სამაგიეროდ, მოკლულის მარჯვენა მხარიდან ამოიღეს 16 ავტომატისა და 2 პისტოლეტის ტყვია. იუდის როლი ითამაშა ჯულიანოს მოადგილემ, გასპარე პისციოტამ. პოლიციამ იგი დეკემბერში დააპატიმრა.

პოლკოვნიკი ლუკა და „სახალხო გმირი“ კაპიტანი პერენცა

მოღალატეზე „განაწყენებული“ იყვნენ — ჩვენ ჯულიანოს ცოცხლად შევიპყრობდით, ასე ლაჩრულად რომ არ გაქცეულიყო. ამის საპასუხოდ დაპატიმრებულმა წერილობითი განცხადება გააკეთა. „მე, გასპარე პისჩიოტამ, ხელისუფლებასთან მოლაპარაკების თანახმად, 1950 წლის 5 ივლისს, ღამით, ორი გასროლით მოვკალი მძინარე სალვატორე ჯულიანო“.

პოლიციის ოფიცრებს არ სურდათ დიდებისა და ჯილდოს დაკარგვა. მათი ტყუილი სამარცხვინო იყო. სასამართლო ძიებამ პისჩიოტას წინააღმდეგ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მოკლა თავისი სიცილიელი მეთაური ჯულიანო პისტოლეტიდან ორი გასროლით, ხოლო შემდეგ შემოცვივდნენ ქუჩაში მომლოდინე პოლიციელები და ავტომატებიდან ესროლეს უკვე მკვდარ სხეულს.

პისჩიოტა და მისი მომხრენი ეიტერბოს სააპელაციო სასამართლოს წინაშე ითხოვდნენ, რომ განაჩენის გამოტანისას მხედველობაში მიეღო პისჩიოტას დამსახურება ჯულიანოს მკვლელობის საქმეში. თუ როგორ ეითარებაში მოხდა ყოველივე, მოგითხრობთ სასამართლოს მწერლის მიერ შედგენილი ოქმის ნაწყვეტი.

სასამართლოს თავმჯდომარე: „რატომ არ ჩააბარეთ პოლიციას ცოცხალი ჯულიანო?“

პისჩიოტა: „მათ ცოცხალი ჯულიანო არ უნდოდათ“.

პროცესი დიდხანს გაგრძელდა. მოწმეებს ავიწყდებოდათ ფაქტები და რაც მთავარია, არავინ იცოდა, თუ რა ბედი ეწია ჯულიანოს არქივს.

1952 წლის მაისში გასპარე პისჩიოტას და ჯულიანოს ბანდის დანარჩენ წევრებს, სულ თერთმეტ კაცს, მიესაჯათ სამუდამო პატიმრობა. თავისუფლებაში იმყოფებოდა ჯულიანოს მხოლოდ ერთი მომხრე სალვატორე პასო ტემპო. ხუთი დღის შემდეგ გლეხებმა მისი გვამიც იპოვეს ტრაპანის მახლობლად. მსგავსი ბედი ელოდა პიანელის — ძმობის უკანასკნელ წარმომადგენელსაც, რომელიც მოსამართლეებმა გაანთავისუფლეს სამხილთა უქონლობის გამო. იგი ავტობუსის მგზავრებმა შენიშნეს მონტელეპრეს გზაზე. მეორე დღეს კარაბინერებმა აღმოაჩინეს მისი გვამი. პიანელი ძალადობის მსხვერპლი გამხდარიყო. მოკლეს ადვოკატი როდოლფ ჯილიოც, ჯულიანოს არქივის მცველი. ვინ მოკლა ისინი? მკვლელების გვარებს ჩურ-

ნულით იმეორებდნენ: კალო და ლუჩანო. კატორღული ციხის პატიმრები უჩიარდონენში ყოველ დილით ღებულობდნენ ფინჯან ყავას. 1954 წლის 9 თებერვლის დილას ყავისფერი სითხე მიიღეს მეხუთე საკნის პატიმრებმაც — გასპარე პისჩიოტამ და მისმა მამობილმა სალვატორემ. შემდგომ ციხის ექიმმა დაადგინა სტრიქნინით მოწამვლა. როგორც გაირკვა, პისჩიოტას შეპირდნენ უჩიარდონეს ციხიდან გათავისუფლებას იმის სანაცვლოდ, თუ იგი გაიხსენებდა იმ პოლიციელებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა გვარებს, ვისთანაც თანამშრომლობდა მისი შეფი. პისჩიოტა იძულებული გახადეს დაეწერა მათი სახელები და თანაც სამუდამოდ.

ხუთი თვის შემდეგ გარდაიცვალა ისიც, ვინც ხელი მოაწერა მაფიასა და სეპარატისტებს შორის კავშირზე — „დონ“ კალო. მისი გარდაცვალების დღიდან ვილალბას საზოგადოებრივ შენობებზე 8 დღის განმავლობაში ფრიალებდა შავი ალმები. გლოვა გამოაცხადა ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიამაც. მათ დახურეს თავიანთი ფილიალი.

სამოცდაჩვიდმეტი წლის „ნათლიის“ საფლავის მარმარილოს ფილაზე, რომელიც შეამბეჭდავ მავზოლეუმს ამშვენებდა, ამოტვიფრეს წარწერა: „იყო ღირსეული ადამიანი“. აქამდე ვილალბას სასაფლაოს არ ახსოვდა ამდენი წარჩინებული და მაღალი საეკლესიო წოდების პირი. სახელგანთქმულმა ღირსეულმა ვაჟკაცმა, კალო ვიტინიმ, უკვე თექვსმეტი წლისამ ჩაიდინა დანაშაული. იგი გაანთავისუფლეს სამხილთა უქონლობის გამო. ასე კიდევ ბევრჯერ მოხდა. მისი ძალაუფლება ზვავივით იზრდებოდა, ხოლო მისი მეთოდები შესაბამისად განურჩეველი ხდებოდა. სამხედრო მინისტრმა დაავალა გენერალ მოჩის მისი დაპატიმრება. გენერალმა ბრძანება შეასრულა, მაგრამ სასამართლო პროცესი ხანმოკლე იყო. მოწმეები ისე გაცხოველებით ამტკიცებდნენ კალოს უდანაშაულობას, რომ ბევრის მნახველი სასამართლო წევრებიც გაოცდნენ.

თავისი ხაგრძლივი სიცოცხლის მანძილზე კალოს ძალაუფლება და ქონება ზღაპრულად სწრაფად იზრდებოდა. მისი ოჯახშემდგომი ორგანიზაცია უკვე ამერიკული „კოზა ნოსტრას“ მეთოდებით ხელმძღვანელობდა.

კალოს ძალაუფლება კიდევ უფრო მატულობდა ვიტო ჯენოვეზესა და ლაკი ლუჩანოსთან კავშირის წყალობით.

ძაი შორის, ვისაც დონ კალოს კუბო ეიჭირნდა, იმყოფებოდა მაცვალებულის ბერკეტდრე და მიმდევარი, მხოლოდ 56 წლის ჯუზეპე რუსო. ვერაკინ და ვერასოდეს ვერ შეძლებდ გამოეცნო, თუ რამდენი და როგორი საშინელი დანაშაულებანი ჰქონდათ ჩადენილი იმ ადამიანებს, რომლებიც მონაწილეობდნენ მაფიის მთავარი ბოსის საზეიმო დაკრძალვაში.

ჯუზეპე რუსოც ასევე ჯიბით ატარებდა ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ბილეთს. ეს ბილეთი დაეხმარა მას, რომ მუსიმელის მამასახლისად აერჩიათ. შემდგომი „ნათლია" კორლეონელი ნავარაც ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი სექციის თავმჯდომარე იყო იმ დღემდე, ვიდრე იგი არ წააქცია ლუჩანო ლიგიოს ტყვიამ.

ანტონიო ვიკარი, რომელიც გაასამართლა პალერმოს უმაღლესმა სასამართლომ, დანაშაულის მოსახდელად ჩრდილოეთში გამგზავრებამდე იყო პალერმოს საქალაქო საბჭოს იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილე და ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის მდივანი.

მის შესახებ კამპორეალეს ციხის უფროსმა თავის დღიურში ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „ზუსტად არ ვიცი იყო თუ არა მაფიის წევრი, მაგრამ შეუძლებელია იყო ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წევრი და არ იყო მაფიოზი". მას შემდეგ დიდი დრო არ გასულა, რომ ერთხელ, როდესაც ციხის უფროსი თავისი „დაწესებულებიდან" გამოდიოდა, ქუჩის განათება გამოირთო და გაისმა გასროლის ხმები. ექიმებმა მას სხეულიდან 21 ტყვია ამოაცალეს. მისი დანაშაული კი იმით შემოიფარგლებოდა, რომ არ ისურვა ადგილობრივ „ნათლია" ვანი სკოთან მეგობრობა.

ომისშემდგომი კლასიკური მაფიის რიგებში დიდი ხნის წინათ მოსალოდნელმა კრიზისის ნიშნებმა თავი იჩინა უკვე სამგლოვიარო პროცესიის დროს. საიცრად დიდი დრო დასჭირდა კამათს „ნათლიებსა" და „ლეიტენანტებს" შორის, რომლებიც ვილალბაში ამერიკიდან ჩამოვიდნენ, იმის შესახებ, თუ ვის უნდა წაელო მაფიის წესჩვეულების თანახმად კუბოს თავთან დამაგრებული ბაგირი. ბოლოს შეთანხმდნენ, რომ იგი ხელში ჰქონდა ერთ-ერთ უმდიდრეს იტალიელს, ცნობილ ფსევდონიმით „უწმინდესი ღვდა".

50-იანი წლების დასაწყისში. მიწის რეფორმის გამოცხადე-

ბასთანაც, სახელმწიფო საოლქო კომისიამ რუსი ალიარა როგორც შედარებით სამართლიანი „ნათლია“ და ღაიგალა მას მემამულეთა და იტალიიდან წასულ ფაშისტთა ნაკვეთების ექსპროპრირება.

რუსო მოქმედებდა, როგორც შუასაუკუნეების ბატონი და ურიგებდა მიწებს ყველაზე ერთგულთ, ამაო, ვისაც უფლება ჰქონდა ეწოდებინა მისთვის „ბიძია პეპე“.

დაკრძალვის შემდეგ დაიწყო ულმობელი ბრძოლა ქალაქებში გავლენის მოპოვებისათვის. ახალგაზრდა მაფიოზებს, რომელთაც იტაცებდა აუტომობილები და ელეგანტური ქალები, მიწა არ აინტერესებდათ. ჯენკო რუსოს არჩევა სინამდვილეში მხოლოდ კომპრომისი იყო.

ვერცხლის ბაგირი დონ კალოს კუბოსთან პალერმოს მაფიის შეფსაც ეპყრა ხელთ. მისი სახელი იყო პაოლო ბონტა. იგი არ ეკუთვნოდა ახალგაზრდებს, მაგრამ ადვილად მიხვდა, რომ უნდა დაკავშირებოდა ახალ მაფიას. მასაც ისევე როგორც ბევრ სხვას არ მოსწონდა ნავარასა და ჯენკო რუსოს მსგავსი უფროსი თაობის „ნათლიები“.

საოლქო საავადმყოფოს მთავარი ექიმი მიქელე ნავარა, კორლეონედან მართავდა პალერმოს სამხრეთ ოლქებს. იგი გახდა ბონომიანის კლერიკალების კავშირისა და კორლეონელი მიწათმფლობელების კავშირის თავმჯდომარე. თუ რა ეზით მიაღწია ამას, მოგითხრობდათ კორლეონეს სასაფლაოს ბევრი საფლავის ქვის წარწერა.

მაფიოზთა შორის, ვისაც სურდა მაფიის ხელმძღვანელობა, პირველ ადგილზე იდგა მუშათა სოციალისტური პარტიის კორლეონეს სექციის თავმჯდომარე პლაჩიდო რიციოტო. მან ღააარსა ის სექცია და აკანყებული გლეხების ბელადის ბერნარდინო ვეროსის პატივსაცემად მისი სახელი უწოდა.

1948 წ. 8 მარტს ღამით „ნათლია“ კალოსა და დოქტორ ნავარას დაჟინებით რიციოტოს სასიკვდილო განაჩენი ვამოუტანეს. მეორე დღეს, როდესაც ოცდაცამეტი წლის პლაჩიდო რიციოტო კორლეონეში მარშალის ქუჩაზე მიდიოდა, მას გზა ორმა კაცმა გადაუღობა: „წამოდი ჩვენთან, ზოგიერთი რამ უნდა გავარკვიოთ“. ქალაქის განაპირას მათ მესამეც შეუერთდათ და სწორედ მან მოკლა რიციოტო.

შეკლელობის შემთხვევითი მოწმე გახდა თორმეტი წლის

ჯუზეპე სატერცა. საშინელმა სცენამ ბიჭზე ისე ძლიერ იმოქმედა, რომ იგი ნერვულ შოკში ჩავარდა, და მხოლოდ საავადმყოფოში შეძლეს მისი შოკიდან გამოყვანა. ამრიგად, მისმა მკურნალმა ექიმმა შეიტყო ნერვული აშლილობის მიზეზი და მკვლელის სახელი: „ბატონი რიციოტი მოკლა ლუჩანო ლიგიომ". დილით ბიჭს ჩვენება უნდა მიეცა პოლიციისათვის. გვიან ღამით ნავარამ პაციენტს სასიკვდილო ნემსი გაუკეთა, ხოლ. სიკვდილის მიზეზად ჩაწერა: „გულის უეცარი დამბლა".

ორი წლის სიჩუმის შემდეგ ალაპარაკდა მეგობრებზე რაღაცით განაწყენებული რიციოტის ერთ-ერთი მომტაცებელი. მისი რჩევით მეხანძრეები ჩაეშვნენ კარლეონეს აღმოსავლეთით 20 კმ-ით დაშორებულ სამოცმეტრიან მაღაროში, სადაც მაფიოზები თავიანთ მსხვერპლთ აქრობდნენ. იქვე ნახეს რიციოტის ჩონჩხიც.

მიუხედავად ამისა, მკვლელობაში ბრალდებული ლუჩანო ლიგიო სამხილთა უკმარისობის გამო გაანთავისუფლეს.

ლუჩანო, ფრანჩესკო პაოლო ლიგიოს პირმშო, ამ ქვეყანას მოევლინა 1925 წლის თებერვალში, კორლეონეში, მაგრამ მისი მასწავლებლები იყვნენ არა სიცილიელები, არამედ „კოზა ნოსტრას" ექსპერტები ჯო პროფაჩი და ფრენკ კოსტელო. კუნძულზე იგი ხელმეორედ მეშვიდე ამერიკულ არმიასთან ერთად მოხვდა. მისი პირველი დავალება იყო მოდერნიზაცია: ძველი ლუპარების მაგივრად — ავტომატები, ძველი „ფორდების" ნაცვლად „ალფა რომეოს" მარკის ავტომანქანები. ასევე მას უნდა მოემზადებინა წმინდა ვალენტინის დღე და გამხდარიყო რუსოსა და ნავარას წინააღმდეგ ოპოზიციის ბელადი. აღმოჩნდა, რომ სიცილიელი „ულვაშების" ლიკვიდაცია არც ისე იოლი საქმე იყო, როგორც ეს მოხდა ოდესღაც ნიუ-იორკში. მათი გავლენა ძალიან დიდი იყო. პალერმოში, სოფლის მეურნეობის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებდა დოქტორი ბუჩელატო კასტელამარე დელ გოლფოდან, რომელიც მაფიის ისტორიულ ბასტიონს წარმოადგენდა. ბუჩელატო არ იყო ერთადერთი პიროვნება, ვინც „ნათლიების" დახმარებით სიცილიური ბიუროკრატიის უმაღლეს საფეხურზე აღმოჩნდა. მისი მეგობარი, დოქტორი კაიოცო მრეწველობასა და ვაჭრობას კურირებდა.

კაიოცოც კასტელამარე დელ გოლფოდან იყო. „ნათლიის"

გადაწყვეტილებით იგი გახდა მათი ინტერესების დამცველი ტრაპანის ოლქში.

იმგვარივე კავშირი, როგორიც კლასიკურმა მაფიამ დაამყარა პოლიტიკოსებთან, დამყარდა „ნათლიებსა“ და პოლიციას შორისაც. პირველი თვალსაჩინო მაგალითი იყო შემდეგი ამბავი: ჩრდილოეთ იტალიის ციხიდან გაქრა ყველასათვის ცნობილი მაფიოზი სალვატორე ფერერი, იგივე „ფრა დიავოლო“. პოლიციამ გამოაცხადა მისი საერთო-სახელმწიფო ძებნა, ამიტომ იგი რამდენიმე წელს ცხოვრობდა პოლიციის ინსპექტორ ეტორე შესანის სახელით. მაგრამ მაფიამ პოლიციას საშაგიერო საბუქარი მიუძღვნა ფერერის სახით. ძველი ტრადიციის თანახმად „ნათლიებმა“ იღებდნენ გადაწყვეტილებას, თუ როგორ სიკვდილს იმსახურებდა ცოცხალი — საპატიო სიკვდილს თუ პოლიციის ხელში გადაცემას. „დიავოლოს“ მიმართ შხილოდ მეორე სასჯელება გამოიყენებოდა.

მაფიამ სინანულის გარეშე შეატყობინა რომის პოლიციას, სად იმალებოდა მისი წევრი. სიძნელე მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ „ფრა დიავოლო“, როგორც საიდუმლო აგენტი, ვერ წარსდგებოდა სასამართლოს წინაშე. ხელისუფლებისა და „ნათლიების“ სასიამოვნოდ ყველა საკითხი გადაჭრა კაპიტანმა ჯიალომბარდომ. მან მოკლა ფერერი „ეპქცევის მცდელობისას“ ალკარნუში, პოლიციის უბანზე.

„გუშაგების ცვლა“ „დონ“ კალოს წასვლის შემდეგ შეუჩერებლად გრძელდებოდა, მაგრამ ახალმა მაფიამ კიდევ ბევრი ტყვია-წამალი დახარჯა, ვიდრე გამარჯვებას იზეიმებდა.

26. „ნათლიების“ ისტორია საკანში არ მთავრდება

მაფიის ბნელი საქმეების მამხილებელი მაგალითები ამოუწურავია. 1958 წლის 12 აგვისტოს მთავარი ექიმი ნავარა მეგობრებთან ერთად საავადმყოფოდან შინ ბრუნდებოდა. გადატვირთულ გზაჯვარედინთან მათ „ფიატს“ გზა გადაუღობა დიდმა ლიმუზინმა. ორიოდ წუთში ისინი შეეძლოთ

პირდაპირ მორგში წაესვენებინათ. მეგობრები ასსამოცდ
ათამდე ტყვიით იყვნენ დაცხრილული. ლიგიომ აღნიშნა, რ
ცნობდა ანასტაზიას მეთოდებს. ანასტაზია ისევე როგორ
ჯენოვეზე თვლიდა, რომ „ნათლიის" მოკვლა საკმარისი
იყო. ამის გამო იყო, რომ 6 სექტემბრის ღამეს საიქიოსაკ
გზას გაუყენეს დოქტორ ნავარას ხუთი თანამშრომელი, ხ
ლო შემდეგ კი კიდევ რამდენიმე ადამიანი.

პოლიციამ შეძლო დაეკავებინა ერთ-ერთი მკველი, მ
რამ მისმა მეგობრებმა ისე მოაგვარეს საქმე, რომ ლიმ
სასამართლოს არც კი გაკარებია. საქმე წლობით ჭიანურდ
ბოდა, და 1963 წლის 23 აგვისტოს საჭირო გახდა სიცილი
რეგიონალურ პარლამენტში რიგგარეშე სხდომა შემდგარიყ
სენატორი ფელიჩიანო როსიტო ოლქის მთავრობის მოქმ
დებას თავგამოდებით აკრიტიკებდა:

— ხელისუფალთ არ სურთ გამოძიება დააჩქარონ. მე
სისხლი იღვრება იქ, სადაც ქრისტიანულ-დემოკრატიულ
პარტიამ ყველაზე მეტი ხმა დააგროვა. ამ სხდომაზე იმყოფ
ბა მაფიის წევრი და ეს არის დინო კანცონერი, ლუჩანო ლ
გიოს ადვოკატი!

სტენოგრაფისტებმა ჩააწიკწიკეს დინო კანცონერის პას
ხი:

— ღრმად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო, ბატ
როსიტოს მიერ გამოთქმული ყველა ბრალდება ჭეშმარიტ
ბასაა მოკლებული. საჭიროა დაცულ იქნეს სხვაობა პრ
ფესიონალურ და პარლამენტარულ ფუნქციებს შორის. ჩვე
თან სამოქალაქო და დემოკრატიული წყობაა...

მარაროს ადვოკატმა კანცონერს სიტყვა მოუჭრა:

— გვითხარით, გეთაყვა, ლიგიო სად იმალება?

კანცონერი: — მე კარგად მესმის, რომ ზოგიერთებს არ მო
წონთ ჩემი პროფესიის სამართლებრივი მხარე.

სხდომათა დარბაზში ხმაური ატყდა.

პრეზიდენტი: — გადადით პირდაპირ ლიგიოს საქმეზე!

ლა ტორეს წარმომადგენელი: — კორლეონეს მახლობლ
მოკლეს არამარტო პლაჩიდო რიკოტო. მეხანძრეებმა მღვ
მის ფსკერიდან მისი ჩონჩხის გარდა სხვათა გვამებიც ამ
იტანეს. ძნელიცაა დაითვალო, თუ რამდენი გვამი ლპება დღ
საც ამ უფსკრულის ფსკერზე. პალერმოს გენერალურმა პრ

კურორმა სკალიონემ შეწყვიტა შემდგომი ძიება ამ საქმის ორგვლივ და ლიგიო გაათავისუფლა. რატომ მიიქცა პროკურორი სკალიონე ასე?

დეპუტატებმა ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ 1971 წელს, სკალიონეს ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ მიიღეს.

ულმობელი ბრძოლა სიცილიაში დამთავრდა 1963 წლის ივნისში ავტომობილის აფეთქებით. გარაჟის წინ მომხდარი აფეთქებისას ორი ქვეითად მოსიარულე ადამიანი დაიღუპა. მეორე დღეს კი იმ ავტომობილის მსგავსი მანქანა გამოჩნდა ჩიაკულის ქუჩაზე. ავტომობილთან მოიჭრა პოლიციელთა რაზმი და ერთ-ერთმა კარაბინერმა მისი კარი გააღო. აფეთქებამ იმსხვერპლა ექვსი კარაბინერი, მეშვიდე კი საავადმყოფოში გარდაიცვალა. ვისთვის იყო ეს მახე დაგებული, არავინ იცოდა, მაგრამ აღნიშნულმა საქმემ რომამდე მიაღწია.

ამ სისხლიანმა ქმედებამ ბოლო მოუღო მაფიის კავშირს იტალიის პოლიციასთან. სიცილიაში ჩამოვიდა მაფიის წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალური კომისია. რომმა პალერმოში სამხედრო წესები შემოიღო. დაიწყო მთელ კვარტალებზე ალყის შემორტყმა, დაპატიმრებები, დაკითხვები. სანაპიროს გასწვრივ სპეციალური გემები მორიგეობდნენ, რათა მაფიოზებისთვის გზა გადაეჭრათ. ამბობდნენ, რომ პოლიცია ასე მანამდე იმოქმედებს, ვიდრე მაფიას არ გაანადგურებსო. რამდენიმე წლის მანძილზე ამას 12 ათასამდე კარაბინერი ემსახურებოდა. ჩამოყალიბდა ჯგუფი „სკუადრა მობილე". პალერმოს ქუჩებში განუწყვეტლივ პატრულირებდნენ დაჯავშნული მანქანები. „ნათლიებმა", როგორც ყოველთვის, დროებით უკან დაიხიეს და მიჩუმდნენ.

1964 წლის თებერვლის პირველ დღეებში სახელმწიფო კომისიამ ანონიმური წერილი მიიღო. ჩიაკულის ქუჩაზე მომხდარი უბედურების მიზეზად ასახელებდნენ ვინმე პიეტრო ტორეტას, რომელიც პალერმოს მახლობლად ცხოვრობდა. ტორეტა დააპატიმრეს. მან იმთავითვე უარყო ავტომობილის აფეთქების საქმეში მონაწილეობა. დღემდე არავინ იცის, რამ განაპირობა დონ რუსოს — იგივე „ბიძია პეპეს" გადაწყვეტილება დახმარებოდა უმნიშვნელო მაფიოზის. შესაძლოა, მას შეეშინდა კიდეც, რომ ტორეტა არ ალაპარაკებულიყო. ან იქნებ ახალი მაფიისათვის სურდა ეჩვენებინა, თუ როგორი

იყო სიცილიური პატიოსნება. „დონი" არ შემცდარა. დაპატიმრებიდან ერთი დღის შემდეგ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის მდივანმა მუსომელიდან პალერმოს პოლიციის უფროსს აცნობა: „1964 წლის 5 თებერვალს სასამართლოს წინაშე წარსდგა პატიოსანი ადამიანი მხოლოდ იმიტომ, რომ ქალაქში მორწმენებითი სიმშვიდე დამკვიდრებულიყო".

სასამართლო ტრიბუნალის წევრებმა ღვთისმსახურთა მრავალი ქადაგება მოისმინეს, რომლებსაც თავიანთ მგზნებარე გამოსვლებში ცამდე აჰყავდათ „ნათლია" პეპე და თან ბოლოს ამატებდნენ: „ახლა კი ვილოცოთ, შვილნო ჩვენნო, ბატონი რუსოსათვის". და ლოცვა მქადაგებლისა შესმენილ იქნა. ეფიქრა, რუსოს შეეძლო ისიც კი აერჩია, თუ სად გაეტარებინა ვადასახლების ხუთი წელი. მან ლომბარდიაში ბერკეტმოსაან ახლომდებარე დაბა ლოვერე აირჩია. „უწმინდეს ქალის" იქიდანაც შეეძლო ეშალოთა [illegible] ვეობის საშველი. იგი ტელეფონსაც ფლობდა, მაგრამ ეს [illegible]ტს სამწუხაროდ ნაკლიც ჰქონდა — მასში შეეძლებოდა რიერთოთ მოსასმენი მოწყობილება. ამის შესახებ „ნათლიის" ეცყობა დაავიწყდა და ბედეკმაც არ დააყოვნა. 1963 წლის 2 ავგისტოს პალერმოში მას ბრალად დაედო, რომ ლოვერედან ბრძანება გასცა ჩაედინათ რამდენიმე დანაშაული. „ნათლია" არავინ არ გააფრთხილა, რომ იწყებოდა ჯვაროსნული ლაშქრობა დანაშაულებათა წინააღმდეგ. ვიდრე იგი ბადრაგის თანხლებით ჩავიდოდა პალერმოში, რომის პოლიციამ დაიჭირა მაფიოზი ფრენკ კოპოლა, რომელიც ოდესღაც განგსტერთა „ოჯახს" მეთაურობდა კანზას-სიტიში.

კოპოლას შემდეგ პალერმოს, რომისა და მილანის ციხეებში მოხვდნენ „კოზა ნოსტრასა" და მაფიის ათეულობით სხვა წევრი. ისინი იმდენად ბევრნი იყვნენ, რომ კალაბრიის დედაქალაქ კატანძაროში იძულებული გახდნენ სასამართლოს სხდომა დიდ სპორტულ დარბაზში გაემართათ. უზარმაზარ, ფოლადის მილებისაგან დამზადებულ გალიებში 113 დამნაშავე იჯდა. პროცესი ხანგრძლივი იყო. იგი 14 თვეს გრძელდებოდა. „ნათლიების" სისხლიან ისტორიაში კი ეს პროცესი მხოლოდ ეპიზოდს წარმოადგენდა. გალიებში მსხდომი მაფიოზები რესპექტაბელური მოქალაქეებივით გამოიყურებოდნენ, ისინი ნაკლებად ჰგავდნენ თავზეხელაღებულ განგსტერებს,

ეწეოდნენ ან ღეჭავდნენ სალეჭ რეზინს იმ დროს, როდესაც გამომძიებლები ხსნიდნენ მკვლელობებისა და შანტაჟის დეტალებს. „ნათლიები“ ელოდნენ, რომ როგორც ყოველთვის მათ უდანაშაულოდ ცნობდნენ, მაგრამ მოსამართლეებმა შემდეგი განაჩენი გამოუტანეს — თავისუფლების აღკვეთა 5-დან 11 წლამდე, ხოლო მაფიის მთავარ ბოსებს და ბარბერასა და პიეტრო ტორეტას — 27 წლით პატიმრობა. 40 მაფიოზის ძიებნეს ბრალდება ან აკმარეს სასჯელი 3 თვიდან 4 წლამდე. მსჯავრდადებულთა შორის იყო 69 წლის ვინსენტო ბარბერა, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე. „კოზა ნოსტრისგან“ მან მიიღო ღალატება იტალიაში მოქმედებისა სიადგი, რათა ბანტაჟი მოეწყოთ მრეწველობის პროფესიული კავშირებისათვის.

ამერიკის დეტექტივებსა და სიცილიას შორის სწორი მიგნაურობის გასაგრძელებლად მან პოლიციას მოახსენა, რომ ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას, აგროვებს ფულს ნიუიორკში გაღატაკებულთა ეკლესიის გუმბათის აშენებლად.

დაპატიმრებულთა შორის შემდეგი იყო 59 წლის კალოგერო ორლანდო, იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის შორეული ნათესავი. ორლანდო სამხრეთ იტალიის „ნათლიებს“ შორის ყველაფერზე მდიდარი იყო. მისი დაპატიმრებისთანავე გავლენიანი ვაჭრების ჯგუფმა ხელი მოაწერა პეტიციას მის განთავისუფლებაზე. მათ დამალეს, რომ გარდა ძირითადი საქმიანობისა, ორლანდო იყო ფირმა „მამა მია ოლივ ოილ კომპანის“ თავმჯდომარე, რომელიც დააარსა „კოზა ნოსტრას“ „ნათლიამ“ ჯო პროფაჩიმ. ამ ფირმის მარკიანი კონსერვის ქილები თეთრი ფუნვილით იყო სავსე.

მაფიისთვის, რომელთანაც იუსტიციის აპარატი წლების მანძილზე მჭიდროდ თანამშრომლობდა, განაჩენი მოულოდნელ დარტყმას წარმოადგენდა. თუმცა მაფიის „ნათლიებს“ კოპოლასა და ლიგიოს მაინც ვერ ჩაავლეს ხელი.

ფრანჩესკო პაოლო კოპოლა, მეტსახელად „სამთითა ფრენკი“, გახდა ლუჩანოს მემკვიდრე აპენინის ნახევარკუნძულზე. ოდესღაც ამერიკაში ქალაქ დეტროიტში გამოჩნდა 26 წლის სიცილიელი მაფიოზი, და პირველი დღეებიდანვე ლაკი ლუჩანოს ერთგულ მეგობართა რიცხვში მოხვდა.

მეტსახელი „სამთითა“ კოპოლას იმისათვის შეარქვეს, რომ ერთხელ ბანკის გაძარცვის დროს მას პოლიციამ „შეუშალა ხელი“ და გაქცევისას საჩვენებელი და შუა თითი სეიფის კარში მოუყვა.

შეუმჩნეველმა, მხოლოდ 158 სმ სიმაღლის მქონე „სამთითამ“ ბევრი მაფიოზური ომი გადაიტანა. მან თავიდან აიცილა ბგრეთვე პოლიციის ხაფანგები. სენატორ კეფოვერის კომისიამ აღნიშნა, რომ კოპოლას დიდი დამსახურება მიუძღოდა კანზას-სიტის ცუდი რეპუტაციის შექმნაში, რომლის წყალობითაც ხალხი საღამოს ქუჩაში გამოსვლას ვერ ბედავდა.

1948 წელს, როდესაც მოკვდა კოპოლას შეფი ლუჩანო, მან აიღო თავის თავზე მაკაგშირებელის ფუნქცია მაფიის სხვადასხვა „ოჯახებს“ შორის.

იტალიის მართლმსაჯულებამ ვერასდროს ვერ დაუმტკიცა კოპოლას დანაშაული. იგი 36-ჯერ დააკავეს და ამდენჯერვე გაათავისუფლეს.

მილანის გაზეთებმა კიდევ ერთი მეტსახელი მოუძებნეს „არასაკმარისი სამხილების მეფე.“ სენატორი ჯიროლამო ლი კაუზი არაერთხელ აღნიშნავდა და მიუთითებდა იტალიის პარლამენტს მის პიროვნებაზე, მაგრამ „სამთითას“ გავლენიანი პირები იცავდნენ. ფრენკ კოპოლას დეტროიტულ გამოცდილებას იყენებდნენ სხვებიც, კერძოდ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატი ჯიროლამო მასერი. ის მასერი, რომელიც მუსოლინის დროს ჩიკაგოში იტალიის კონსული იყო. კაუზის მხოლოდ მეექვსე გამოსვლის შემდეგ გახდა კოპოლა იძულებული გადასულიყო რომიდან მშობლიურ პარტინიკოში. დასავლეთ სიცილიის ქალაქმა განსაკუთრებული პატივისცემით მიიღო კოპოლა. რომიდან გამოძევებულს ელოდა პატერ ლა როსა ორკესტრის თანხლებით და ქალაქის მერი. მათ მიაცილეს კოპოლა ვილა „მარგერიტაში“.

„არასაკმარისი სამხილების მეფე“ მონდომებით უხსნიდა სოფლის მცხოვრებლებს, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია საუკეთესო პარტია იყო. მაგრამ პოლიციის შეფი ანჯელო მანგანო მაინც არ ისვენებდა. მისი ბრძანებით შეამოწმეს რამდენიმე ტონა ფორთოხალი. ეს საქონელი კოპოლას მიერ იყო გადაგზავნილი პალერმოდან ნიუ-ჯერსიში. მწიფე

მსხვილი ნაყოფის თითქმის ნახევარი სუფია პერიანს შეიცავდა. „სამთითა“ იძულებული გახდა სასამართლოს წინაშე წარმდგარიყო. როგორც ყოველთვის, მანტიებში გამოწყობილ ბატონებს არ გააჩნდათ საკმარისი ფაქტები დანაშაულის დასამტკიცებლად. მაფიოზის განთავისუფლებიდან ზუსტად 15 დღის შემდეგ პოლიციის შეფი მანგანო სასწაულებრივად გადაურჩა ორ თავდამსხმელს და მხოლოდ მსუბუქად დაიჭრა. კოპოლა, ისევე როგორც ფორთოხლების საქმეში, პოლიციის შეფის მკვლელობის მცდელობაში ან მის დამინებაშიც უდანაშაულოდ ცნეს. არ გაუმართლა მხოლოდ მის ძმისწულ აგოსტინოს, რომელმაც ბიძისგან მემკვიდრეობით მხოლოდ ბოროტმოქმედებისკენ მიდრეკილება მიიღო. 1947 წელს მას, როგორც მილანის ოლქში მოთარაშე მძარცველთა ხელმძღვანელსა და ახალი მაფიის წევრს, 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მისი განთავისუფლება მხოლოდ ხუთნახევარი წლის შემდეგ შეძლეს. „სამთითას“ მიაჩნდა, რომ აგოსტინომ კარგი გაკვეთილი მიიღო.

იმის ერთადერთი ახსნა „არასაკმარისი სამხილების მეფე“ თუ რატომ არ მჯდარა არასდროს ციხეში იყო ის, რომ თანდაყოლილი ინსტინქტით იგი ქრთამს მხოლოდ ერთგულ ადამიანებს აძლევდა. ასეთი იყო პალერმოში გენერალური პროკურორი პიეტრო სკალიონე. კოპოლა მის მკვლელობაშიც „არ მონაწილეობდა“. ან როგორ იქნებოდა კოპოლა დამნაშავე, როდესაც მორჩილებაში ჰყავდა გენერალური პროკურორი რომოლი პეტრონიც, რომლის პირად ანგარიშზე კოპოლამ ერთჯერადად 3 მილიონი დოლარი შეიტანა?!

კოპოლა ციხის მძიმე რკინის კარს მიღმა მხოლოდ 1981 წლის 25 თებერვალს აღმოჩნდა. იგი დააკავეს რომის სამხრეთით დაახლოებით 20 კმ-ზე, პომეჩიის სასახლეში. ოთხმოცდაერთი წლის მაფიოზის ბრალად ედებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ნარკოტიკების კონტრაბანდა. სამხილს წარმოადგენდა სასახლეში აღმოჩენილი ჰეროინ ს მსხვილი პარტია. მიუხედავად ამისა, დამნაშავემ სასამართლოს თავმჯდომარის პირველ შეკითხვაზე: „თქვენ იცით, რა დანაშაული ჩაიდინეთ?“ უპასუხა: „წარმოდგენაც კი არა მაქვს, ბატონო მოსამართლევ, და თქვენ მალე დარწმუნდებით, რომ აქ რაღაც შეცდომაა...“. გავლენიანმა მფარველებმა, ორგანიზებულ დამ-

ნაშავეთა ძალაუფლებამ, საუკეთესო ადვოკატებმა იმავე წლის ივნისში დაამტკიცეს, რომ „მართლაც“ შეცდომას ჰქონდა ადგილი...

ერთადერთი წლის მცდელობის შემდეგ 1976 წელს პოლიციამ დააპატიმრა ლიგიოც, ოღი იმალებოდა მაფიოზ ჯუზეპე ბერტოლინის არაყის საბლელ ქარხანაში, პარტინიკოში. პროკურორი სკალიონე ორიეე მაფიოზის იცნობდა, ორივესთან ერთად ქეიფობდა ბერტოლინის კორწილში. ლიგიო გაანთავისუფლეს „საეჭვოების უქონლობის“ გამო. ერთი წლის შემდეგ იგი კვლავ წარსდგა სასამართლოს წინაშე და ისევ განთავისუფლების დადგენილება იქნა მიღებული. ადვოკატებმა შეძლეს პროცესი ორი წლით გადაწყვიტეს. რომი თვლიდა, რომ პალერმო არცთუ მთლად უსაფრთხო ადგილი იყო და ეშიოდა, რომ პროცესი მიტანილიყო საპორტო ქალაქ ბარიში, აპულიაში.

1969 წლის გაზაფხულზე, დიდ ვალიაში სასამართლოს წინაშე ისხდნენ ლიგიალ და 63 მისი კომპანიონი.

სასელმწიფო პროკურორი პირადად ლიგიოს ადანაშაულებს 9 მკვლელობასა და ოცდაშვიდ მკვლელობის მცდელობაში.

სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სხდომაზე თავმჯდომარემ წაიკითხა ოქმი, საიდანაც დღესავით ნათელი იყო, რომ ლიგიო ხელშეძღვანელობდა ჩიაკულის პოლიციელების მკვლელობას და რომ მან თავისი ურიცხვი ქონება შანტაჟით შეიძინა.

ნაფიცი მსაჯულები 9 საათს თათბირობდნენ, ზოგიერთი მათგანი შიშისაგან კანკალებდა. სასამართლო პროცესის დროს მათ მიიღეს სამი ანონიმური მუქარის წერილი: „თუ ამ პატიოსან ადამიანს დამნაშავედ ცნობთ, გაგანადგურებთ!“

10 ივნისს ნაფიცი მსაჯულები შეუდგნენ განაჩენის გამოტანის ცერემონიალს. შიშისაგან გაფითრებულმა მოსამართლემ გამოაცხადა, რომ მსჯავრდადებულნი სამხილის უქონლობის გამო განთავისუფლებული არიან. იმავე საღამოს ლიგიომ დატოვა საკანი და ციხიდან გამოვიდა როგორც უმწიკვლო მოქალაქე. საზოგადოებრიობის აღშფოთებას სასამართლო მხედველობაში არ იღებდა. პროკურორი გაათავისუფლეს თანამდებობიდან, ხოლო პალერმოში იძულებული გახდნენ დაპატიმრების ახალი ბრძანება გამოეცათ. მაგრამ ლიგიოს არა-

ვინ აწუხებდა. მისმა ადვოკატებმა მოახერხეს, რომ ლაგიო პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ტარანტის საავადმყოფოში მოთავსებულიყო. მოგვიანებით იგი გადავიდა რომის „ეილა მარგერეტის“ არისტოკრატიულ კლინიკაში.

ლიგიოს გასაქცევად პირობები პირადად გენერალურმა პროკურორმა სკალიონემ მოამზადა. მან მიქნილი იურიდიული ხელების მეშვეობით მიაღწია იმის, რომ 1969 წლის 19 ნოემბერს ხელმოწერილი დასტამრეების ძრძანება ძრძოალა ერცელდებოდა სახელმწიფო მასმედიაზე, მაგრამ პრაქტიკულად ძალა ჰქონდა მხოლოდ გორგონაში, ლიგიოს სამშობლოში, სადაც გაზეთების ერთეული ეგზემპლარი არ ფიქსირდებოდა. მაგრამ სასაზღვრო [illegible] ... [illegible] ... ბულმა გაიცა ბრძანება ლიგიოს დაბ[illegible] ... [illegible] თავს ... [illegible] ... ევ სიცილიას! ... [illegible] ... პროკურორის ეს განცხადება [illegible] ... [illegible] ... იცოდა, ძალიან ბევრი რამ! ... [illegible] ... ლებელი კოდექსი შეაცრად მოითხოვდა, რომ ბაფიას საიდუმლო არ უნდა გახლეჩოდა კუნძულის ტერიტორიას. სკალიონე მოკლეს არა იმიტომ რომ ბაიზე ბაფიას, არამედ იმიტომ, რომ შეეძლო ჩაედინა. მან სა[illegible] ... [illegible] ... კუნძულზე საჭუდამოდ, მიუხედავად [illegible], რომ მას ... [illegible] ... ადამ ყარაულობდა პოლიცია და უსაშველოდ არავის არ უშვებდნენ. მეორე მხრივ მათ არ შეეძლიოთ პროკურორისათვის გასეირნება აეკრძალათ. უკანასკნელად იგი 1971 წლის 5 მაისს გამოვიდა სახლიდან, რათა ყვავილები მიეტანა გარდაცვლილი მეუღლის საფლავზე. უახლოესი მონასტრის ზარებმა 11-ჯერ ჩამოკრეს. სკალიონემ იფიქრა: „ხვალ აქ კიდევ მოვალ, სამი დღის შემდეგ კი ამას ვეღარ შეეძლება“. მთავრობამ ნება დართო მას გამგზავრებულიყო მშობლიური სიცილიიდან იტალიის რომელიმე შორეულ, ჩრდილოეთის პროვინციაში.

პროკურორი გამოვიდა სასაფლაოდან და გაემართა მუქი ლურჯი ფიატისკენ, რომლის თეთრ დაფაზე იყო აღნიშნული ნომერი TS 58152. ყველამ იცოდა, რომ ასეთი ნომრის მქონე მანქანა მთავრობის დაცვის ქვეშ იმყოფებოდა.

პროკურორის მძღოლი, 41 წლის ანტონიო ლო რუსო, ორი

შეილის მამა, საჭესთან იჯდა და ელოდებოდა მას. პირადმა მცველმა დილითვე ითხოვა დასვენების დღე. მძღოლი, როგორც ყოველთვის დაიძრა კვიპაროსის ქუჩისაკენ, სადაც მონასტერი მდებარეობდა. მან სვლა შეანელა, როდესაც შენიშნა დიდი სიზწრაფით მომავალი თეთრი ფიატი. მძღოლს სურდა იგი გაეტარებინა, მაგრამ ამ დროს ფიატიდან გადმოხტნენ ორნი, ერთი ავტომატით, მეორე კი პისტოლეტით შეიარაღებული. ამავე დროს სასაფლაოს მხრიდან გამოჩნდა მესამეც და სამივემ ერთად ატეხა სროლა. პროკურორს ტყვია თავში მოხვდა და ძირს ჩაცურდა. მძღოლი კი ორი ტყვიით მკერდგანგმირული საჭეს დაემხო ზედ. სანამ კვიპაროსის ქუჩაზე მცხოვრები დურგალი განგაშს ატეხდა, ფიატი თვალს მიეფარა. დურგალს არაფერი არ დაუნახავს, მაგრამ გაიგონა სროლის ხმა და აკრიფა ტელეფონის ნომერი 113. მკვლელობის ადგილზე მოსულმა პოლიციამ სხვა ვერაფერი ვერ შეიტყო. დამნაშავეები თითქოს მიწამ ჩაყლაპა. არავის არაფერი დაენახა და არც არავის არაფერი გაეგონა.

მკვლელობიდან ორი დღის შემდეგ დილით ადრე იუსტიციის სასახლეში პანაშვიდს ხუთი ათასი ადამიანი ესწრებოდა. მოედანზე იდგა ორი კუბო. გამოსვლები მაღალფარდოვანი და სიტყვამრავალი იყო, როგორც ეს სიცილიაშია მიღებული. ყვავილებისა და გვირგვინების ზღვაში მაფიის გამოგზავნილი კალათაც ერია.

მსვლელობამ გადაინაცვლა კოზა პროფეზას ეკლესიაში. გარდაცვლილის ახლობლებში გამოირჩეოდა ყოფილი მტვირთავი, ამჯერად მშენებლობის მწარმოებელი ფრანჩესკო ვასალო. მრავალი წლის უკან მას ქატოთი ვაჭრობით გაჰქონდა თავი, ახლა კი იგი გახლდათ ორასი სახლისა და ვილის მფლობელი. უკანონო გზით მან მოიპოვა სკოლის მშენებლობის უფლება, საერთო ღირებულებით 400 მლნ ლირა. მაგრამ ამის საფუძველზე როგორ დააპატიმრებდნენ? იგი უკვე სამჯერ ფიგურირებდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირთა სიებში. მაგრამ რამდენჯერაც წარსდგა სასამართლოს წინაშე იმდენჯერ უმწიკვლო გამოდიოდა. ეს კი ადვოკატ ბელავისტეს დამსახურება იყო. ბელავისტე პალერმოს უნივერსიტეტის სისხლის სამართალის კათედრის პროფესორი იყო, მისი ასისტენტი კი — მოკლული პროკურორის ვაჟიშვილი.

დარდით გულდამძიმებული ოცდათორმეტი წლის პროფესორის ასისტენტი ანტონიო ჭირისუფალთა შორის იდგა და უკვე 2 დღის შემდეგ იგი წერს საჩივარს მემარცხენე გაზეთ „ლ' ორა"-ს რედაქტორის სახელზე, რადგან მის გაზეთში გაჩნდა მხატვარ კარუზოს ნახატი, რომელზეც გენერალური პროკურორი აღბეჭდილიყო მაფიის წინამძღოლებს შორის. გაზეთის რედაქციამ მორიგ სტატიაში უცერემონიოდ შენიშნა, რომ პროკურორი პიეტრო სკალიონე დაიბადა პატარა ქალაქ ლერკარა ფრიდში, სადაც დაიბადა მრავალი „ნათლია" და მათ შორის ლაკი ლუჩანო. მეორე დღეს სარედაქციო შენობაში ყუმბარა აფეთქდა. პალერმოს გაზეთი სდუმდა. მხოლოდ შორეული რომისა და მილანის რედაქციები სვამდნენ შეკითხვას მოწინავე სტატიებში: რამდენ ხანს იბოგინებს კიდევ მაფია დაუსჯელად და შეუქმნის საფრთხეს საზოგადოებრივ წესრიგს?

რომის სასამართლოს გადაწყვეტილებით სკალიონე-უმცროსის საჩივარი უნდა განეხილა ადამიანს, რომელსაც არ ჰქონდა არავითარი საერთო სიცილიის საზოგადოების ინტერესებთან. არჩევანი შეჩერდა გენუის სასამართლოს თავმჯდომარეზე. დოქტორმა მარიო დე ლუჩამ გადაწყვიტა, რომ პირველ რიგში გამოეძიებინა ყველაზე ძველი და ყველაზე საიდუმლოებით მოცული საქმეები. მან იცოდა, რომ პალერმოში ყველანი შიშისგან კანკალებდნენ და, რომ გაზეთ „ლ' ორას" მხრივ დიდი გაბედულება იყო სიმართლის დაწერა, მან ისიც იცოდა, რომ მაფიის შესახებ სტატიების ავტორმა, ჟურნალისტმა მაურო დე მაურომ იმდენად გაანაწყენა „ნათლიები", რომ ეს უკანასკნელნი იძულებულნი გახდნენ მის წინააღმდეგ ზომები მიეღოთ.

მოსამართლე მარიო დე ლუჩამ გაარკვია, რომ დოქტორმა სკალიონემ მთელი სიცოცხლე სიცილიაში გაატარა, გარდა იმ ორი წლისა, როდესაც იგი იტალიის დედაქალაქში საკასაციო დაწესებულებაში მუშაობდა. ამიტომაც რომისათვის არავინ იყო მასზე უფრო კომპეტენტური ყოველისშემძლე მაფიის საქმეებში.

პალერმოში პროკურორს ბიძია პიეტროს უწოდებდნენ. რატომ? — თავს იმტვრევედა მოსამართლე. გენერალური პროკურორისთვის ცოტა უცნაური ზედმეტი სახელია. პასუხი ამ შეკითხვაზე მან მხოლოდ სამი წლის შემდეგ მიიღო, როდესაც პალერმოს ჟანდარმერიის ოფიცერმა მაიორმა ფრანჩესკო ფორლეამ

მაგიდაზე დადო დალუქული პაკეტი, რომელშიც სამწლიანი საიდუმლო გამოძიების შედეგები იყო.

მოსამართლე მარიო დე ლუჩამ მოუთმენლად გახსნა პაკეტი და ხარბად დაუწყო კითხვა ოქმის 55 ფურცელს. ეს იყო პირველი შეტყობინება, როდესაც მაღალი რანგის საჯამართლო მოხელე — თუნდაც სიკვდილის შემდეგ — ზუსტად და ნათლად იყო ღასასიათებული, როგორც „ნათლიების“ აქტიური დამბმარე.

დოკუმენტი შეიცავდა ასზე მეტ სახელს და თანმიმდევრულად ასახავდა უკანასკნელი ათწლეულის სისხლიანი თავგადასავლების ქრონიკას. უფრო ხშირად ოქმში მეორდებოდა შემდეგი სახელები: ვიტო რიგიო (მოკლული პროკურორის დის, ბარბარა სკალიონეს ქმარი), სალვატორე ვიტალე (ნარკოტიკების მომწოდებელი და „კოზა ნოსტრას“ წევრი) და ფრენკ კოპოლა („კოზა ნოსტრას“ „ეკს-ნათლია“).

დოკუმენტში ფიგურირებდა ის სახელებიც, რომლებიც 1965 წელს ამერიკის დასავლეთმა და იტალიის პოლიციამ შეიტანეს ოცი ყველაზე ხაშიში ბოროტმოქმედის სიაში. კალოგერო ორლანდო და ჩეზარე მაიზელო, რომელთა სახელების ხსენებაზეც კი გენუის სასამართლოს თავმჯდომარეს ურუანტელი უვლიდა ტანში.

ყველაზე დიდი ნადავლი, რაც გამოძიების ბადეში შეიძლებოდა მოხვედრილიყო, იყო პიეტრო ლონგო, სახელი რომელიც აქამდე უცნობი იყო მაფიის გამოცდილი ექსპერტებისთვისაც კი. მაგრამ სწორედ ამ წვერმოუპარსავმა გლეხმა მელიის ეშმაკური გამოსედვით, მიიღო მაფიის წევრად იუსტიციის სამსახურის ახალგაზრდა თანამშრომელი — სკალიონე.

თუ რა პირობები დაედო საფუძვლად მოლაპარაკებას, ეს საიდუმლოდ დარჩა. ფაქტი იყო მხოლოდ ის, რომ 1933 წლიდან „ნათლიებს“ საგამოძიებო ორგანოების კეთილგანწყობის იმედი ჰქონდათ. სკალიონე კი ელვისებური სისწრაფით მიიწევდა ზევით.

1940 წელს სკალიონე დანიშნეს გენერალური პროკურორის მოადგილედ და პოლკოვნიკ ჯულიანოს საქმე დაავალეს. მისთვის ცნობილი იყო, რომ პალერმოს გარეუბან პორტელა დელა ჯინესტრაში საპირველმაისო დემონსტრაციის მონაწილეებს ტყვია დაუშინეს პოლკოვნიკ სალვატორე ჯულიანოს ბრძანებით. სკალიონე სხვას ამტკიცებდა, მოგვიანებით

კი მივიდა კატეგორიულ დასკვნამდე, რომ ჯულიანო მოაკვლევინა კაპიტანმა ანტონიო პერუნცამ, თუმცა იმ დროს ყველა ფაქტი სხვა ვერსიაზე მიუთითებდა. სკალიონეს იმის გაგონებაც კი არ სურდა, რომ განგსტერების მეთაური მოკლა მისივე ერთგულმა მოადგილემ — პასჩიოტამ მაღალი წრის რომაელი ქალების მოთხოვნით. სკალიონე თავის მოსაზრების თავეკამოდებით იცავდა, მიუხედავად იმისა, რომ მოწმეები სხვას ამტკიცებდნენ. უნიარდონეს ცხედრის პასჩიოტას მიერ მელის ამბავიც სამუდამოდ დარჩა „გაუსაღლელ საქმეთა“ შორის.

1963 წელს, როდესაც სკალიონე პალერმის გენერალურ პროკურორად დანიშნეს, სიცილიის დეკანოზების პრეფექტის მოადგილემ მთავრობის ბრძანებით ძს სასჯელებლო საქმეთა სპეციალურების ბოქმედების შესახებ საგანგებო სასამართლოთა საქმე გაუგზავნა. მაფიის მიერ ძარცვისა და ჯანიანო მაქანაციების შესახებ ოქმები პროკურორის ხელში წელიწადნახევარი ინახა შენახული სეიფში. ხოლო, როდესაც ბელსუკევიჩის დაკითხვებული მოთხოვნით იძულებული გახდა დაეწყო გაძიება, დაკმაყოფილდა იმით, რომ გამოიძახა რამდენიმე რიგითი მაფიოზი და დაადანაშაულა ისინი საშინელი სამუშაოებში უმნიშვნელო მაქინაციებისათვის.

სკალიონეს საქმიანობას წერტილი დაუსვა ლუჩანო ლიგიომ. მიზეზი პროკურორის საკვდილისა იყო ის, რომ მან ბევრი რამ იცოდა ნავთობის სახელმწიფო კომპანიის პრეზიდენტის ენრიკო მატეის საიდუმლოებით მოცული დალუპვის შესახებ.

მხოლოდ ათი წლის შემდეგ გაირკვა, თუ რატომ გაქრა „ვილა წმინდა მარგერეტის“ კლინიკიდან ლიგიო ზუსტად 14 ნოემბერს — სკალიონეს სიკვდილის დღეს. „მძიმედ ავადმყოფი“ ლიგიო მეორე დღეს სრულიად ჯანმრთელი და ძალღონით სავსე მნიშვნელოვან თათბირს ატარებდა სიცილიელ და იტალიელ „ნათლიებთან“ მილანში.

ლიგიომ შეიმუშავა საერთაშორისო მაფიის შექმნის გეგმა, რასაც ხელი შეუწყო პარლამენტის მიერ გამოცემულმა კანონმა „ნათლიების“ და ყველაზე სახიფათო მაფიოზების სამხრეთიდან ჩრდილოეთში გადასახლების შესახებ. თავისი დაუფიქრებელი გადაწყვეტილებით ხელისუფლება დაეხმარა

მაფიას დანაშაულებრივი საქმიანობის ქსელი გაება დასავლეთ ევროპაში.

ლიგიომ, რომელიც მილანის კონფერენციამ „ნათლიების ნათლიად" დაამტკიცა, დაუნაწილა გავლენის სფეროები ცალკეულ „ოჯახებს".

ტომაზო ბუშეტას ნარკოტიკების ტრანსპორტირება დაევალა, ძმები გრეკების „ოჯახმა" მიიღო საფრანგეთში საქმიანობის უფლება, ხოლო „დონ" ჯერალდინო ალბერტმა ითავა მაფიის ხელმძღვანელობა სამხრეთ იტალიაში.

„ნათლია" ლიგიომ თავისთვის ყველაზე დიდი „სამფლობელო" დაიტოვა — ჩრდილოეთ იტალია, შვეიცარია და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. „მე იქ წესრიგს დავამყარებ, მაგრამ ჯერ საჭიროა საქმეები მოვაგვარო ბალერმოში".

ლიგიოს მიერ ჩატარებულმა „პალერმოს წმენდამ" სისხლის ტბები დააყენა. ტუჩის ომებით კმაყოფილი იყო მხოლოდ კარმელო ნაპოლი, რომელიც ფლობდა სამ დამკრძალავ ბიუროს. იგი დაკრძალვას გვირგვინებით, მუსიკოსებით, სანთლებით უზრუნველყოფდა. მხოლოდ ერთხელ სცადეს მისთვის კონკურენციის გაწევა. წინდაუხედავმა მეწარმემ თავისი შეცდომა სრულად მხოლოდ მაშინ შეიგნო, როდესაც სამგლოვიარო სახლში არ გამოცხადდნენ კუბოს წამღებნი. იქვე აღმოჩნდნენ მოხალისეები. პროცესია დაიძრა, მაგრამ გატყდა ხაკაცე, რომელზეც იდო კუბო და მიცვალებული გადმოვარდა. ხაკაცის შეკეთებისა და რამდენიმე წვრილმანი უსიამოვნების შემდეგ პროცესიამ მიაღწია ეკლესიას — იქ კი მღვდელი ვერ ნახეს. იქაც მოიძებნა შემცვლელი, მაგრამ ღვთისმსახურებმა ვერ იპოვეს სარიტუალო ტანსაცმელი. შემდეგ ეკლესიიდან მომავალთ ფეხქვეშ ბეტარდა აუფეთქდათ. სასოწარკვეთილი ჭირისუფლები კუბოს მისცვივდნენ, რათა დროზე დაეტოვებინათ იქაურობა, მაგრამ სწორედ სასაფლაოზე ელოდათ მათ ყველაზე დიდი სიურპრიზი. წინასწარ მომზადებულ ხამუდამო განსასვენებელში მესაფლავეს, რა თქმა უნდა შეცდომით, სხვა მიცვალებული დაესაფლავებინა.

სულ მალე კი პალერმოს „ლეიტენანტებმა" თვით კარმელო ნაპოლიც გააცილეს უკანასკნელ გზაზე. ახალ მაფიას

ეუმორის გრძნობაც ჰქონდა. ერთხელ დილით ნაპოლიმ თავისი სახლის კარზე სამგლოვიარო განცხადება დაინახა: „ღრმა მწუხარებით ვიუწყებით ძვირფას მეგობარ კარმელო ნაპოლის გარდაცვალებას“.

ავტომატიდან გასროლა მხოლოდ საღამოს გაისმა. დამკრძალავი ბიუროს მფლობელებს შეეძლოთ გაეხარათ. მათ უცებ ორი შეკვეთა მიიღეს. ნაპოლისთან ერთად ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა სრულიად უდანაშაულო მოხუცი მამაკაციც.

დახვეწილი ბატონი ლუჩანო ლიგიო სასამართლოს წინაშე მხოლოდ 1980 წელს წარსდგა. ბოლოს და ბოლოს მილანში რთული გამოძიების შემდეგ გამოჩნდა ერთადერთი მოწმე, რომელმაც გაბედა „ნათლიების ნათლიის“ წინააღმდეგ ჩვენების მიცემა. ეს იყო საგადასახადო კანტორა. გამოძიებისათვის შექმნილმა საგანგებო კომისიამ მოითხოვა მისი ქონების ნაწილის კონფისკაცია და ამ გზით დავალიანების დაფარვა. მაგრამ კომპეტენტურმა პირებმა გაოცება ვერ დამალეს, როდესაც გაირკვა, რომ ლიგიოს სახსრები არ ჰქონდა, ვინაიდან სიცილიის დედაქალაქში მრავალი მშენებარე სახლის პატრონი ის კი არ იყო, როგორც ეგონათ, არამედ რვა დაჩაჩანაკებული მოხუცი. ოდესღაც მათ ყოველგვარი კანონის დაცვით მოითხოვეს ნებართვა მშენებლობაზე, ძლივს მიიღეს იგი და დაიწყეს მშენებლობა.

ზოგიერთი პრობლემა ლიგიოს მაინც რჩებოდა. მისი ქვეშევრდომების ლტოლვა „ნათლიების ნათლიის“ ტახტისაკენ უფრო ძლიერი იყო, ვიდრე დისციპლინა. მისმა უმადურმა მოადგილეებმა გადაწყვიტეს, რომ, რადგან ბოსი ციხეში იყო, მათ დაეკავებინათ მისი ადგილი. ლიგიომ გააფრთხილა ძალაუფლებაზე მეოცნებენი, დავბრუნდები და ანგარიშს გაგისწორებთო. სინამდვილეში, ანგარიშსწორება მან ციხეშივე დაიწყო. პირველი იყო დამკრძალავი ბიუროს მფლობელი კარმელო ნაპოლი, რომელიც სიკვდილამდე ზუსტი ზომების მიხედვით ამზადებდა კუბოებს თანამოქალაქეთათვის, რომელთაც არც კი დაესიზმრებოდათ, რომ ასეთი რამ შეიძლება დასჭირებოდათ, მაგ ძალიან ბევრი იცოდა. ლიგიომ კიდევ ოცდასამი მაფიოზი იმსხვერპლა და მხოლოდ ამის შემდეგ ჩათვალა მის სამფლობელოში მოგვარებულად საქმე. ლიგიოს ოცდამეოთხე მსხვერპლი იყო პოლკოვნიკი ჯუზეპე რუსო.

იგი არც მაფიოზი იყო და არც ნარკოტიკების გამყიდველი. იგი მხოლოდ სპეციალური დანიშნულების ჯგუფის უფროსი იყო, რომელმაც ოცი წლის მუშაობის განმავლობაში ათასობით განგსტერი გაგზავნა ციხეში.

1977 წლის აგვისტოს პირველ დღეებში პოლკოვნიკი რუსო მასწავლებელ ფილიპ კოსტასთან ერთად კორლეონეს მახლობლად გარეუბან ფიკუციაში, ბაღში დასეირნობდა. ლიგიოს აზრით იგი არანორმალური იყო, რადგანაც სჯეროდა სამართლიანობის. კორესპონდენტთან ერთ-ერთი უკანასკნელი საუბრის დროს პოლკოვნიკმა დაუფარავი ზიზღით განაცხადა: სამსახურა დავიწყე იმ რწმენით, რომ ეს იყო იტალიისათვის მეტად საჭირო საქმე. მაგრამ ვისაც მე ვიჭერდი მას სხვები ათავისუფლებდნენ.

მკვლელები ეტყობა „ფიატ-128"-ით მივიდნენ. ისინი ოთხნი იყვნენ. კორლეონეს ნაპირზე გაისმა ოთხი გასროლის ხმა. ორი ტყვია ომას მოხვდა, ვისთან ერთადაც რუსო სასეირნოდ გამოვიდა.

პოლკოვნიკმა გამოიძია 641 ყველაზე უფრო მძიმე შემთხვევა მილანში, რომში, პალერმოში და ყველა ძიების კვალს იგი ლიგიოს სამშობლოში, კორლეონეში მიჰყავდა. მაგრამ არ არსებობდა არავითარი დამამტკიცებელი საბუთები. ლიგიო კი. მილანის ციხეში მოთმინებით ელოდებოდა, როდის დაადგამდა მისი მდევნელი ფეხს კორლეონეს მიწაზე.

მაფიის ახალი ერა დაიწყო ნეოფაშიზმის და პოლიტიკური ტერორიზმის აღმავლობის ვითარებაში. მანამდე მოქმედი ტაბუ — ზოგიერთი გამონაკლისის გარდა — კრძალავდა სახელმწიფო წარმომადგენლებისა და ხელისუფალთა მკვლელობას. „ნათლიები" მათ ქრთამით ან მუქარით „იძენდნენ". მაფიის ახალ „ნამუშევარს" წარმოადგენდა იტალიის გენერალური პროკურორის მოადგილის ვიტორიო ოკარზიოს მკვლელობა. წინასწარმა გამოძიებამ ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. თავდამსხმელები დაუფარავად მოქმედებდნენ. დადგინდა, რომ დამნაშავეები არ ჩქარობდნენ და მსხვერპლს თავი კაპიუშონით დაუფარეს. ეს იყო სიმბოლური ჟესტი, რაც ნიშნავდა სიკვდილმისჯილ ადამიანს.

თავდასხმის ორგანიზატორებმა ძირისძირამდე შეისწავლეს ოკარზიოს ყველა ჩვევა. მისი სახლის მახლობლად მკვლელე-

ბის მანქანასთან ერთად იდგა კიდევ ერთი „რენო“ სამი მაფიოზით, ორიც მოშორებით ელოდა მოტოციკლეტით, დანარჩენები კი თვალყურს ადევნებდნენ უახლოეს გზაჯვარედინებს. ეს არ იყო იმპროვიზებული აქცია.

ექსპერტებმა აღმოაჩინეს, რომ ტყვიები იტალიაში იყო დამზადებული და მწარმოებელი იყო ფირმა „ფიორი“. რომელიც იტალიის პოლიციასა და არმიას ამარაგებდა.

ნასმარ ტყვიებზე არაკითარი მისანიშნებელი არ იყო. მაგრამ შემდგომში სხვა სპეციალისტების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ტყვიები ნასროლი იყო აშშ-დან ექსპორტირებული „იგრეი M-10“-ის ტიპის ავტომატიდან. პოლიცია აკვირდებოდა, თუ ვის შეეძლებოდა ჰქონოდა ეს იარაღი მაფიასა თუ ამერიკული „კოზა ნოსტრას“ ჯგუფს.

ოკარზიო გახლდათ იტალიის იუსტიციის სამინისტროს ერთადერთი წარმომადგენელი, რომელსაც მოსაკის ნაწილებიდან ერთი მაღლიანი სურათის შედგენა შეეძლო. თავისი ცოლისა „ნათლიებისთვის“ საშიშროებას წარმოადგენდა პალერმოს გენერალური პროკურორი გაეტანო კოსტაც, რომელმაც სკალიონე შეცვალა.

მაფიის დამნაშავეთა საქმის დეტალური გამოკვლევა მან 1980 წლის მაისში დაამთავრა იმით, რომ ათეული ადამიანის დასაპატიმრებლად ორდერები გასცა, მიუხედავად იმისა, რომ „სურგს უკან სიკვდილის მთესველ ძალას გრძნობდა“.

ეკლიანი გზა, რომელსაც შედეგად კოსტას სიკვდილი მოჰყვა 1980 წლის ექვს აგვისტოს, დაიწყო ჯერ კიდევ 1979 წლის ივნისში, როცა აეროპორტში ტრანზიტიორზე ორი ჩემოდანი აღმოჩნდა. მათი მფლობელი უმალვე გაუჩინარდა როგორც კი შენიშნა, რომ პოლიციამ ჩემოდნები გახსნა. გაოცებული დარჩნენ საბაჟოს თანამშრომლებიც. ჩემოდნიდან გადმოცვივდა მწვანე ფერის ბანკნოტები — სულ 600 000 დოლარი ნაღდი ფული. ბორის ჯულიანომ, იმ დროს პალერმოს პოლიციის ოპერატიული განყოფილების უფროსმა, განკარგულება გასცა დაუყოვნებლივ გამოეძახათ გაეტანო ბადალემენტი, აწ გარდაცვლილი „კოზა ნოსტრას“ შეფის კარლო გამბინოს შტაბის წევრი, მაგრამ ბადალემენტი დუმდა. ჯულიანომ თხოვნით მიმართა ამერიკის გამოძიების ფედერალურ ბიუროს. სანამ იგი ელოდა ცნობას ამერიკის შეერთებული შტატებიდან, მისმა ხა-

ლჩმა პალერმოს ბანკები შეამოწმეს. ქალაქის სოცდაზღვევაში მათ სიურპრიზი ელოდათ. რამდენიმე თვის წინ ვიღაც უცნობმა ადამიანმა ორი ანგარიში გახსნა პინო და რობერტის სახელზე. პოლიციამ არ იცოდა რას ნიშნავდა ეს ყველაფერი, მაგრამ ერთი კია, ბედმა გაუღიმა მაფიის ერთ-ერთი წევრის ამოცნობისას, რომელიც ისე გამოთვრა კაფე-ბარ „სახლვაო ნავსადგურში", რომ 38-კალიბრიანი პისტოლეტი მაგიდაზე დარჩა, კომისარიატში მაფიოზი, სახელად პიეტრო, დუმდა, ვინაიდან კარგად იცოდა რას ნიშნავდა დუმილის კანონის დარღვევა. მაგრამ მის მაგივრად ჯიბეში ნაპოვნი ქაღალდი ალაბარაკდა. ეს იყო ელექტროენერგიის დანახარჯების გადასახდელი ქვითარი ზუსტი მისამართით: პეჩორი ჯირალდის ქ. № 5.

პოლიციას პიეტროს ბინის გაჩხრეკისას ახალი სიურპრიზი ელოდა. კარადებში იპოვეს 4 კგ სუფთა ჰეროინი, სოლო ფარულ საცავში — იარაღების ბატარა არსენალი. პისტოლეტ „ჰეკლერ უნდ კოხის" და ამერიკული კარაბინების გვერდით იდო წიგნაკი ტელეფონების ნომრების კოდირებული აღნიშვნით და მაფიოზი მეგობრების ფერადი ფოტოები. აქვე იყო ჰეროინის ვაჭრობით მიღებული მოგების ანგარიშები. ეს თანხა 10 მილიარდ ლირაზე მეტი იყო.

ბორის ჯულიანომ ბოლოს და ბოლოს ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიიღო ცნობა, რომ პალერმოში გამოაგზავნეს „კოზა ნოსტრას" წარმომადგენელი, მაგრამ „რატომღაც" მან დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია. როგორც გამოირკვა იგი ბრუკლინის რესტორან „ჯო და მერიში" მოკლეს კონკურენტი „ოჯახის" განგსტერებმა, იმიტომ, რომ მან მიანდო 500 მილიონი დოლარი საერთაშორისო მასშტაბის აფერისტს მ. სინდონოს, რის შედეგადაც გაკოტრდა ამერიკის შეერთებულ შტატებში სიდიდით მეოთხე ბანკი „ფრანკლინ ნეიშნლ ბენკი".

„კოზა ნოსტრას" ახალ „ნათლიებს" შესამჩნევად დაეტყოთ ფულის ნაკლებობა. ამის გამო მათ დააჩქარეს ჰეროინის გაყიდვა სიცილიაში. ნაღდ ფულს ელოდნენ ნიუ-იორკშიც. ჯულიანომ კვლავ მიმართა გამოძიების ფედერალურ ბიუროს დახმარებისათვის. პასუხი მან დაუყოვნებლივ მიიღო: „ნათლიები" ინცერილო და სპატოლა, რომლებიც თქვენ გაინტერესებდათ, მიეკუთვნებიან „კოზა ნოსტრას" ხელმძღვანელობას. ისინი ბრუკლინსა და ნიუ-ჯერსიში მოღვაწეობენ". ჯულიანოს მოღვაწეობა დამთავრდა 21 ივლისს, დილით კაფე-ბისტროში, სადაც იგი

ოველდღე სამსახურში მიმავალი ფინჯან ყავას შეექცეოდა. ჯულიანოს სიკვდილის შემდეგ გამოძიებას ხელი მოჰკიდა მოსამართლე ცეზარე ტერანოვამ. მაფიისთვის ეს იყო მოუსყიდველი მოსამართლე და საშიში მტერი. ვერაგი სიკვდილი ც. ტერანოვას 1979 წლის სექტემბერში ელოდა. მოსამართლის სიკვდილიდან მხოლოდ სამი კვირა გავიდა, როდესაც რომაელი ვექილის როდოლფ გუცის კაბინეტში შევიდა ახალგაზრდა კაცი „ნათლია" სპატოლას „ოჯახიდან". შურისძიების გრძნობით აღვსილმა მაფიოზმა შელამაზების გარეშე დაიწყო მოყოლა მაფიის შავბნელ საქმეებზე. გავიდა ცოტაოდენი ხანი და ცისეში აღმოჩნდნენ სპატოლას ძმები და მათი პარტნიორი ინცერილლოები, რომლებიც სამშენებლო ფირმის ნიღბით მოღვაწეობდნენ. დაპატიმრებულთაგან არც ერთს არ შეეძლო აეხსნა, თუ როგორ შეიძლებოდა აეშენებინათ ხუთი წლის მანძილზე ათი უზარმაზარი შენობა და ამასთანავე არ ჰქონოდათ საბანკო კრედიტი. იყო ბევრი სხვა შეკვეთაც, რამდენიმე ასეული მილიარდი ლირის ოდენობით.

კრიმინალისტებმა დაიწყეს ფირმის საბანკო ანგარიშების დეტალური შესწავლა. მათ აღმოაჩინეს, რომ ეს ფირმა კორუფციის უხილავი ძაფებით დაკავშირებული იყო თვით უმაღლეს სახელმწიფო მოღვაწეებთან. ამ საქმით დაინტერესდა პერსანტინო მატერეილა. იგი სიცილიის მთავრობის თავმჯდომარე იყო 1978 წლიდან. მატერეილა არ ეკუთვნოდა არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, მაგრამ აშკარად არ სურდა თავისი წინამორბედების გზით სიარული, რომლებიც მაფიას ჰყავდა მოსყიდული. მან დააწესა კონტროლი იმ სახელმწიფო დოტაციებზე, რომელიც გამოეოფილი იყო პალერმოს რეკონსტრუქციისათვის.

საქმე ეხებოდა ასობით მილიარდ ლირას. მას მართალია საქმე დეტალურად არ ჰქონდა შესწავლილი მაგრამ შეძლო ფაქტების შეგროვება და აღმოაჩინა ის, რაზეც მოსამართლეებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. სამშენებლო მოლაპარაკებათა უმრავლესობა ეკუთვნოდა მაფიის დაწესებულებებს ან ფირმებს, რომლებიც მაფიას უხდიდნენ თანხას „დაცვისათვის". აშკარა ფაქტები მაფიის წინააღმდეგ იმდენი იყო, რომ სიცილიის მთავრობის თავმჯდომარეს თავის სახლთან 1980 წლის 3 იანვარს კვირას სამი მკვლელი ჩაუსაფრდა. მათ იმ მომენტში ის-

რილეს, როდესაც სახელმწიფო მოღვაწის თორმეტი წლის ვაჟი მამას გარაჟის კარებს უღებდა.

ჯულიანოსა და მატერეილას მკვლელობის შემდეგ პალერმოს გენერალურმა პროკურორმა თავისი მოადგილეები და მოსამართლენი შეკრიბა და მოსთხოვა მათ დაეჩქარებინათ გამოძიების ტემპები და დაეკავშირებინათ სამშენებლო ფირმა „სპატოლა ინცერილოს" მოღვაწეობა ყოველივე იმასთან, რაც ცნობილი იყო ლიგიოს შესახებ. გამოძიებას ხელმძღვანელობდა კაპიტანი ემანუელე ბაზილე. ოცდაათი წლის პოლიციელი ჯიბით ატარებდა ფოტოს, რომელიც ჯულიანომ იპოვა ბეჩორი ვალერალდის ქუჩაზე მაკიოზების ბუნაგში. სურათზე აღბეჭდილი იყო პალი მშვენიერი ალუზით, იქვე ასლოს იდგა რამდენიმე მაბაკაცი სერიოზული გამომეტყველებით. ისინი გარს ერტყმოდნენ ასე 50-ოდე წლის მაბაკაცს, რომელსაც ძლივს შესამჩნევი ღიმილი ადბეჭდოდა სახეზე. იგი უდავოდ ამ ვილის მფლობელი იყო. კაპიტანი ბაზილე ეძებდა ამ ვილას, იშოვა ვერტმფრენი და მფრინავიც. დაიწყო სიცილიის დედაქალაქისა და მისი გარეუბნების შესწავლა. მათ ქალაქის გეგმაზე აღნიშნეს ყველა ვილა აუზით და „კეთილშობილთა საზოგადოების" რამდენიმე ათეული წევრის კვალს დაადგნენ. გამოძიება წარმატებით მიმდინარეობდა 1980 წლის 4 მაისამდე. ამ დღეს კაპიტანმა ბაზილემ თავის უფროსს ნებართვა თხოვა, რათა მონაწილეობა მიეღო საეკლესიო დღესასწაულში. შუადამისას იგი მშვენიერ ხასიათზე ბრუნდებოდა შინ ცოლთან ერთად. ბაზილეს პატარა ბიჭუნას მამის მკლავებში ეძინა. ისინი არ ჩქარობდნენ. არც მკვლელები ჩქარობდნენ. იქვე ახლოს მოსეირნეებმა გასროლის ხმა ცენტრალურ მოედანზე მიმდინარე ზეიმის ნაწილად ჩათვალეს — იმ დღეს ხომ დღესასწაული იყო.

აქ მთავრდება ისტორია, რომელიც წინ უძღოდა პალერმოს გენერალური პროკურორის გაეტანო კოსტას სიკვდილს 1980 წლის აგვისტოში. მაგრამ ამით არ მთავრდება ამერიკულ-სიცილიური დამნაშავეობის ისტორია. 1981 წლის დასაწყისში ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიამ იგი დაახასიათა როგორც საზოგადოებრივი მტერი.

ამისთვის გარკვეული საფუძველი არსებობდა. მაფიასთან ბრძოლის იტალიის პარლამენტის კომისიამ თავის ათასგვერდიან საქმეში დაამტკიცა მაფიის მეთაური განგსტერების თა-

წამშრომლობა ზოგიერთ დაწესებულებასთან და პოლიტიკურ პარტიასთან. 1980 წლის ყოველ მეოთხე დღეს იტალიაში ხდებოდა მკვლელობა ან ძარცვა, რაშიც მაფიის ხელი ერია. ასეთ საშიშ სიტუაციაში მაფიის წინააღმდეგ მებრძოლი კომისია დარწმუნდა, რომ ჯერ კიდევ მოიძებნებოდნენ პატიოსანი მოსამართლეები, პროკურორები და პოლიციელები. მათი მოსაზრება დაადასტურა მაფიის ერთ-ერთმა დამსმენმა ლაპორტამ.

როზარიო ლაპორტა 1981 წლის 18 აპრილიდან გადაპყავდათ იტალიის ერთი ციხიდან მეორეში (ეს გაგრძელდა 1982 წლის დასასრულამდე). მას მეტად მკაცრ მეთვალყურეობას უწევდნენ. გულდასმით ისინჯებოდა ყოველი წერილი და ამანათი, რომლებსაც იგი ღებულობდა. ლაპორტა არ იყო პარველზარისხოვანი „ნათლია". იგი მხოლოდ მაფიის ერთ-ერთი რიგითი წევრი იყო, რომელსაც ქურდობისათვის 13 წელი მიუსაჯეს. „კეთილშობილთა საზოგადოებასთან" კავშირს ლაპორტა ნიღბავდა ბოსტნეულის გამყიდველის საფარქვეშ. მაფიის სხვა პატიმარ წევრთაგან განსხვავებით იგი სიამოვნებით თანამშრომლობდა პოლიციასთან. მან „სიმღერა" ნებაყოფლობით დაიწყო. მისმა ჩვენებებმა ოქმის სამასი გვერდი გაავსო. ლაპორტამ დაასახელა ორი ასეული სახელი ყოფილი თანამშრომლებისა, რომელთაგან 113 ციხეში მოხვედა. ლაპორტამ ნათელი მოჰფინა ძარცვის ათ საქმეს და ამხილა მაფიის კლანის „მაფია ინტერნეიშნლ"-ის შინაგანი ორგანიზაცია, რომელიც 1975 წელს მოქმედებდა მილანში. მან თავის ჩვენებებში დაწვრილებით აღწერა იმ ძარცვათა მეთოდები და მომზადება, რომლებშიც თვითონ მონაწილეობდა: პირველ ეტაპზე ეძებდნენ დამხმარეებს. ბანდის „ნათლია" ჯერალდო ალბერტი ცდილობდა ამოერჩია ხალხი სიცილიელი ემიგრანტების ღარიბი გარემოცვიდან ან ეპოვა მათ შორის უკვე სასჯელმოხდილი პირნი. ამორჩეულ ხალხს მაფია უზრუნველყოფდა სამსახურით, მართალია დროებით, ვიდრე დავალებას შეასრულებდნენ. მოტაცებული მსხვერპლის გადასამალად „ნათლიები" იყენებდნენ ყოველგვარი ეჭვის გარეშე მყოფ პირთა ბინებს.

ლაპორტამ დაუმტკიცა ქალაქ მილანის პროკურორს ლუკა ბარდის, რომ მაფიის კანონები ჯერ კიდევ ძალიან მყარი იყო. ამის საილუსტრაციოდ ლაპორტამ მოიყვანა შემთხვევა მაფიოზ ალესანდრო კარმელოსი, რომელიც შემთხვევით დააპატიმრეს.

„ნათლიები" წუხდნენ: კარმელო სუსტი ნებისყოფისაა და
საძლოა ალაპარაკდესო. ამიტომ „მიუსაჯეს" მას სამგვარი
კვდილი. ჯერ დაჭრეს, შემდეგ დახვრიტეს და ბოლოს მისი ც
დარი დაწვეს. ბანდამ ასეთივე განაჩენი გამოუტანა ლაპორტ
ამიტომ მისი უმთავრესი საზრუნავი იყო დარჩენილი სიცო
ლე საიმედო თავშესაფარში გაეტარებინა. მილანმა ლაპორ
წყალობით, ამოიხუნთქა, მაგრამ არ დაუსვენია. „ნათლიე
წაგების შემდეგაც კი გააჩნდათ საკმაო ფანტაზია, რათა ახ
დანაშაულობანი ჩაედინათ.

1981 წლის 23 ნოემბერს იტალიაში მოხდა მიწისძ
ბიძგები იგრძნობოდა ეგოლში, სალერმოს ახლოს კამპანისა
ბაზილიკატუს მიმართულებით აპენინებსა და ტირენის ზ
შორის. ორასი ქალაქისა და სოფლის ნანგრევებში დაიღ
სულ მცირე შვიდი ათასი ადამიანი და თითქმის ნახევარი
ლიონი უსახლკაროდ დარჩა. მიწისძვრამ განსაკუთრებით ზ
ზიანა ნეაპოლის ღარიბთა კვარტალები.

რამდენი ადამიანი იმსხვერპლა მიწისძვრამ და რამდენი მ
ლეს „ნათლიების" ბრძანებით? მიწისძვრა, რევოლუცია და ო
ბი — ეს ის მოვლენებია, რომლებიც საუკუნიდან საუკუნ
ასე ადვილად ნთქავს ცოცხლებსაც და მკვდრებსაც! ამჯერა
„ნათლიები" ხელს ითბობდნენ პანიკით მოცული ხალხის უ
დურებაზე.

სხვათა უბედურების ხარჯზე მცხოვრებ „ჰომო საპიენს
მოდგმის მტაცებლების მოხერხებას საზღვარი არ ჰქონდა.
იწყო მიცვალებულთა ძარცვა, შემოტანილი წამლებისა და პ
დუქტების ქურდობა.

დროებით ბანაკებში კატასტროფის უკვე მესამე დღეს ო
ქილა კონსერვირებული რძე ნიშნობის ბეჭედზე იცვლებო
ხოლო პენიცილინი ძვირფას გულქანდაზე. სულ მცირე ათ
წელი იყო, რაც „კეთილშობილთა საზოგადოება" ფლო
წყალს ან ახორციელებდა მასზე კონტროლს. და ისევ ხელს
რელი შემთხვევა — სოფლებში უწყლობისა და უსინათლო
დროს მაფიოზები ძვირფას სითხეს ხუთჯერ უფრო ძვი
ჰყიდდნენ.

დაზარალებულებმა, რომელთა ნათესავებიც ნანგრევე
დარჩნენ, პოლიციას თხოვეს დახმარება. 24 საათი დასჭი
პოლიციას რათა აღმოეჩინა, რომ პოლიციელთა შორის, რ

ლებიც აკონტროლებდნენ წამლების, ლოვინის და საკეების გაცემას, იყვნენ აგრეთვე პოლიციის ტანსაცმელში გადაცმული მაფიის წევრებიც.

განგსტერები არმიის ფორმით იწონებდნენ თავს, ისინი ცვლიდნენ ტრანსპორტის მარშრუტებს, რათა მანქანები პირდაპირ იქ მოხვედრილიყვნენ, სადაც მათ სურდათ.

ბოროტმოქმედები სხვების უბედურებაზე მდიდრდებოდნენ ყველა შესაძლო ხერხებით — ასი პროცენტი გააძვირეს კუბოები, ხოლო მაღაზიებში და რესტორანებში, რომლებიც ჯერ კიდევ ღია იყო, პროდუქტები სამჯერ უფრო ძვირი ღირდა.

ყველაზე საშინელი მაინც ბავშვების მოტაცება იყო. „თავისუფალი ვაჭრობა ბავშვებით", „ტრაგედია ტრაგედიაში", „ვაჭრობა უდანაშაულოებით" — ასე ეწერდა იტალიურ გაზეთებში სტატიათა სათაურები.

ხელისუფლების წარმომადგენელი ზამბერლეტი ჩიოდა: „მაფიამ მიითვისა გადარჩენისთვის აუცილებელი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილი და ამიტომ აუცილებლად უნდა გამოგიყენოთ 1965 წელს მიღებული მაფიის წინააღმდეგ არსებული კანონი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა „ნათლიების" დეპორტირებას". იგივეს ამბობდა მისი წინამორბედი 1968 წელს, როდესაც მიწისძვრამ უსახლკაროდ დატოვა ათეულათასობით ადამიანი, ხოლო მაფია „ანაწილებდა" საზღვარგარეთიდან შემოსულ დახმარებას.

1982 წლის პირველ დღეებში იტალიის მთავრობამ დაიწყო მაფიის წინააღმდეგ ფრონტალური შეტევის მომზადება.

ტერორის საწინააღმდეგო რაზმების უფროსი, გენერალი კარლო ალბერტო დალა კიეზა წერდა: „ახალი დანაშაულებრივი მოქმედება მაფიისა, რომელიც პალერმოს პროვინციაში იჩენს თავს, დაკავშირებულია იმასთან, რომ მაფიის მთავარი ინტერესი მიმართულია გამაბრუებელი შხამებით ვაჭრობის ორგანიზაციისაკენ. მათთვის შესაძლო საშიშ პირებს მაფია გზიდან ჩამოიცილებს". მაფიის მსხვილ კონცერნში როლების გადანაწილებას თან ახლდა მრავალი მკვლელობა. ამიტომ მოსამართლე ჯიოვანო ფალკონემ და მისმა კოლეგებმა თითქმის მილიონიან პალერმოში და მთელ პროვინციაში გამოძიების ახალ ტაქტიკას მიმართეს: „ჩვენ მივდივართ ბანკებში და ვადანაშაულებთ ბოსებს მათ ფინანსურ მაქინაციებში. აქამდე ჩვენ

ვცდებოდით, რომ ვიძიებდით მხოლოდ მკვლელობებს, რათა გვეპოვა მკვლელები და მათი დამქირავებლები. გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ჩვენ ჩვეულებრივ ვერ ვპოულობთ ვერავითარ დამამტკიცებელ საბუთებს. იგივე მეთოდი გამოიყენა გენერალმა კარლო ალბერტო დალა კიესამაც, რომელიც რომმა პალერმოს პრეფექტად დანიშნა. კიესას უნდოდა განგსტერები თარიღებისა და საბანკო ანგარიშების შედარების გზით გაენაღგურებინა. მას უფრო მეტად ის აინტერესებდა, თუ საიდან გაჩნდა უზარმაზარი თანხები, რომლებიც მშენებლებმა მაღლიე შენობებად, ვილების წყებად და სასტუმროებად გადააქციეს. მას სურდა გაერკვია ორი ათასი სიცილიელი სენიორის უზარმაზარი ქონების წარმოშობა, რომლებიც ერთი შეხედვით არავითარ ეჭვს არ იწვევდნენ; უნდოდა ვაეკვო, თუ ვინ დააბანდა პალერმის ბანკში რვა ტრილიონი ლირა და საიდან მოიტანა იგი ფულიანელმა. „საკმაოდ მსუქანი თანხაა ლირები ქალაქისათვის" — ირონიულად შენიშნა კიესამ. მან იცოდა, რომ ეს „ერკვევი თანხა" ძირითადად „ჭუჭყიანი" ფული იყო, რომელიც ქურდობით, პროსტიტუციით, ნარკოტიკებითა და ბარაღით არალეგალური ვაჭრობით იყო ნაშოვნი. ახალი პრეფექტი პალერმელში აპრილის ბოლო დღეს ჩამოფრინდა. მან თანამდებობაზე დანიშვნისთანავე უთხრა მეგობრებს: „მე პირადად შეიძლება მეშინოდეს, მაგრამ როგორც პრეფექტს არა მაქვს უფლება სხვას დავანახო შიში".

კიესასათვის კუნძული არ იყო უცნობი. იგი აქ 1948 წელს ლეგენდარულ ბანდიტ ჯულიანოს დროს კარაბინერების ლეიტენანტად მუშაობდა. 18 წლის შემდეგ იგი კვლავ დაბრუნდა სიცილიაში, ამჯერად ხელმძღვანელობდა კარაბინერების ჯგუფს, რომელიც მაფიის წინააღმდეგ საბრძოლველად ჩამოაყალიბეს. მან დააპატიმრა და სასამართლოს დარბაზში მიიყვანა მაფიის 76 ბოსი, მაგრამ დუმილის კანონს ვერ გაუმკლავდა. 7 წლის შემდეგ იგი წავიდა სიცილიიდან და თან წაიყოლა მაფიოზების დაცინვა, რომლებიც გაანთავისუფლეს „მათ წინააღმდეგ დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთების უკმარისობის გამო". მაგრამ ამდენი დრო კუნძულზე მან ტყუილად არ გაატარა. თავისი დაკვირვებები კიესამ აღწერა პარლამენტის კომისიისათვის დაწერილ მოხსენებაში „ანტიმაფია", რომელშიც მან მაღალი თანამდებობის მოხელეებიდან პირველმა გამოააშკარავა ისტო-

რიული დამოკიდებულება სიცილიის დამნაშავეობის სამყაროსა და ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებასთან.

ყოველივე ეს კიეზას კარგად ახსოვდა, როდესაც პრეფექტის პოსტზე დანიშნეს დავალებით — რაც შეიძლება მალე მოესპო მაფია.

თანამედროვე იტალიის პირობებში ამ დავალების შესრულება თითქმის შეუძლებელი იყო და გენერალი არც ამტკიცებდა, რომ შეძლებდა მაფიის მოსპობას. იგი ისახავდა უფრო მოკრძალებულ მიზანს: რაც შეიძლება მეტად შეეზღუდა მაფიის დანაშაულებრივი საქმიანობა.

ღალა კიეზას თავდადება არანაკლებ ეჭვიანი იყო, მაგრამ შესაძლო წარმატებას მისი ჩამოსვლის პირველივე დღეებიდან ხელს უშლიდა პარლამენტის ხელმძღვანელობა. გენერალს ბიოკოტი გამოუცხადა ბევრმა ადგილობრივი პოლიციის უფროსმაც და საფინანსო წრეების წარმომადგენლებმაც, მაგრამ სიცილიის მმართველობის ამგვარმა პოზიციამ არ გააოცა გენერალი. ის ეყრდნობოდა ცენტრალურ მმართველობას რომში. უნდოდა შეექმნა მაკოორდინირებელი ცენტრი სამი მთავარი უსაფრთხოების სამსახურისთვის: კარაბინერებისთვის, პოლიციისთვის და საფინანსო კონტროლისთვის. ამ ორგანოს კონტროლი უნდა გაეწია მათი მუშაობისათვის იტალიის მთელ ტერიტორიაზე. არავინ იცოდა გენერალზე უკეთესად, რომ მაფიამ უკვე დიდი ხანი იყო, რაც მესინის სრუტე გადაკვეთა. სხვა სიტყვებით, გენერალი მოითხოვდა განსაკუთრებულ უფლებებს. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავდა, რომ რომს უნდა დაემტკიცებინა მაფიის საწინააღმდეგო კანონები და მთავრობა მისცემდა მას განსაკუთრებულ უფლებებს. მისი გეგმის საწინააღმდეგოდ გამოვიდნენ აგრეთვე სიცილიის პოლიტიკური მოღვაწეები, პოლიციის კომისრები და იტალიის რამდენიმე პროვინციის პრეფექტები. თანახმა არ იყო შინაგან საქმეთა მინისტრიც, ამიტომ დალა კიეზამ არ მიიღო ის, რაც სჭირდებოდა ბრძოლისთვის. იგი უარმიო გენერალს დაემსგავსა და მაინც საკუთარი შტაბის დახმარებით თავისი საქმიანობის 120 დღეში გახსნა ათობით საქმე და დააპატიმრა ისეთი პირები, რომ მაფია იძულებული იყო გაეფრთხილებინა რომი — დალა კიეზა უნდა შეეჩერებინათ, რათა არ გამომჟღავნებულიყო დამნაშავეობის სამყაროსა და პოლიციურ ხელისუფლებას შორის კავშირი. „თავს

შუა ზღვაში პატარა ნაეში მარტოდმარტო მცურავივით ვგრძნობ!" თქვა კიეზამ 1982 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში თავის ბოლო ინტერვიუში რომის გაზეთისთვის „ლა რეპუბლიკა". „თუ ქარიშხალი ატყდა, ასე თუ ისე, მაინც ფსკერზე დავეშვები" — დაამატა მან. ქარიშხალი, რომელზედაც იგი ლაპარაკობდა, რამდენიმე დღეში დაიწყო, პარასკევ საღამოს, 3 სექტემბერს.

ემანუელა დალა კიეზა ჩვეულებისამებრ ჩამოვიდა თავის ქმართან უიტეკერის ვილაში, სადაც განლაგებული იყო პალერმოს პრეფექტურა. ვიდრე კიეზას ცოლი კანცელარიიდან მილანში თავის დედას ურეკავდა, მისი ქმარი მთავარ შესასვლელში პოლიციელებთან ხუმრობდა:

— ბატონო პრეფექტო, როდის შეწყვეტთ სახლში სიარულს როგორც ჩვეულებრივი მოკვდავი?

— თუ გსურთ ხვალვე შევიძენ პარიკს, ქალის ტანსაცმელში გამოვეწყობი, მაშინ ვერავინ მიცნობს, — ხუმრობით უპასუხა გენერალმა.

როცა ქალბატონი კიეზა კანცელარიიდან გამოვიდა, პრეფექტმა პოლიციელს ანიშნა უკან გაჰყოლოდა. ამ პოლიციელმა ითავა გენერალ კიეზას მეუღლის პირადი ავტომობილის თანხლება. ტერორისტებთან ბრძოლის მრავალი წლის გამოცდილების შედეგად გენერალმა იცოდა, რომ ჯავშნიანი მანქანა პოლიციელების თანხლებით შესაძლოა უსარგებლო ყოფილიყო თავდასხმის შემთხვევაში, როგორც ეს იტალიის პრემიერ-მინისტრ ალდო მოროზე თავდასხმის დროს მოხდა — რამდენიმე წამში თავდამსხმელებმა დახოცეს მისი ხუთკაციანი დაცვა. თუმცა კიეზა ძლიერი დაცვითაც რომ ყოფილიყო, სიკვდილს მაინც ვერ გადაურჩებოდა. მაფიოზები მას ერთდროულად რამდენიმე გზაჯვარედინთან ჩასაფრებოდნენ და ერთმანეთს რადიოს საშუალებით უკავშირდებოდნენ. კიეზამ მაშინვე შენიშნა საპირისპირო მხრიდან დაძრული უზარმაზარი სატვირთო მანქანა, ხოლო მარჯვნიდან „ფიატი-131". ვიდრე დაცვა გონს მოეგებოდა და იარაღს მოიმარჯვებდა, გაისმა სროლის ხმა. დალა კიეზასა და მის მეუღლეს ბანდიტების 30 ტყვია მოხვდათ.

დილით იტალიურ პრესაში გაჩნდა სათაურები: „ღია ომის აქტი", „ოდესღაც „კეთილშობილთა საზოგადოება" ქალებს მაინც იბრალებდა!", „მისი ეშინოდათ!"

და როგორც ყოველთვის, სიცილიაში გამომძიებლებმა ვერ იპოვეს მკვლელობის ვერც ერთი მოწმე, თუმცა მკვლელობა დედაქალაქში მოხდა. მოწმეები არ არსებობდნენ. ეს პალერმოსთვის ისევე იყო დამახასიათებელი, როგორც თვით მაფია. „არაფერი არ ვიცი, არაფერი არ დამინახავს." „მე იქ არ ვყოფილვარ და თუ ვიყავი, მეძინა" — გაისმოდა ტრადიციული პასუხები. თუ რა პატივს სცემდნენ პალერმოს მცხოვრებნი ადგილობრივ და რომის ხელისუფლების წარმომადგენლებს, თვალნათლივ გამოჩნდა კიეზას დაკრძალვის დღეს. ისინი ხმაურითა და სტვენით ესალმებოდნენ მათ. ასევე „მიესალმნენ" ისინი შინაგან საქმეთა მინისტრს და პრემიერ-მინისტრს. შერცხვენას მხოლოდ რესპუბლიკის პრეზიდენტი ალესანდრო პერტინი გადაურჩა.

ალდო მოროს მკვლელობის შემდეგ ყველაზე ვერაგმა თავდასხმამ, როგორც აღნიშნავდა გაზეთი „ლა სტამპა", რომში პოლიტიკური არეულობა გამოიწვია. ამ საზარელი მკვლელობიდან რეკორდულად მცირე დროში, 48 საათში მთავრობამ დანიშნა ახალი პრეფექტი ემანუელ დე ფრანჩესკო. საიდუმლო სამსახურის ყოფილი უფროსი ისევე კარგად იცნობდა მაფიას, როგორც დალა კიეზა. ახალი პრეფექტი სასწრაფოდ გაფრინდა სიცილიის დედაქალაქში. გარდა შეუზღუდავი უფლებებისა, მან მიიღო კუნძულზე მაფიის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინირების უფლება — ის, რაზეც უარი უთხრეს დალა კიეზას.

ოთხი დღის შემდეგ წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა ახალი კანონი მაფიის წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც მაფიასთან კავშირისათვის განურჩევლად ყველა ისჯებოდა 3 წლიდან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. ამ კანონის პროექტი ჯერ კიდევ 1980 წელს იყო შემოთავაზებული იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრის და დეპუტატის პიო ლა ტორეს მიერ, მაგრამ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წინანდელმა ხელმძღვანელობამ ყურადღება არ მიაქცია ამ პროექტს. ხოლო, როდესაც რამდენიმე თვის შემდეგ ლა ტორემ პარლამენტს შესთავაზა მაფიის დანაშაულებრივი საქმიანობა სახელმწიფო პრობლემად ეცნო, ამით თვითონ მოაწერა ხელი თავის სასიკვდილო განაჩენს. პიო ლა ტორე მაფიის თვითნებობის წინააღმდეგ 1945 წლიდან იბრძოდა. 1982 წლის აპრილში მაფიოზებმა იგი გია კლარინიზე მდებარე პალერმოს მთავარ საგზურთან მოკლეს.

გენერალ ფრანჩესკოს დანიშვნამ და ახალი კანონების მიღებამ იტალიის საზოგადოებრიობა ვერ დაამშვიდა. 1982 წლის ბოლოს იტალიური გაზეთების კომენტატორები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ განსაკუთრებული კანონებიც კი უშედეგო იქნებოდა, თუ არ გაუმჯობესდებოდა მაფიის წევრების დევნის მეთოდები. მოსამართლე ჯუისტო შატკანო წერდა: „გარდა პირადი რისკისა, იძულებული ვართ გამოძიება თითქმის ბრმად ჩავატაროთ. არ გაგვაჩნია მონაცემების დასამუშავებლად ელემენტარული საშუალებებიც კი. ცოტა ხნის წინათ ორმა მოსამართლემ, ერთმა ჩრდილოეთში, პერგამოში, მეორემ კი პალერმოში, გაარკვიეს, რომ იძიებენ მაფიის ერთი და იგივე წევრის საქმეს. როგორ მივიდნენ ამ დასკვნამდე? მათ ამის შესახებ გაზეთში წაიკითხეს. არ არის გასაკვირი, რომ ასეთ სიტუაციაში პალერმოს პოლიციის განსაკუთრებული რაზმის შეფი დანტონე მაფიის „ოჯახების“ ახალი იერარქიის შეფეგენის ბროცესს შემდეგი სიტყვებით ახასიათებდა: „ჩვენ ვდგავართ მორიგი სისხლიანი ორგიის წინაშე“.

ორგიამაც არ დააყოვნა. კიეზასა და მისი ცოლის მკვლელობის შემდეგ მაფიამ იმსხვერპლა პალერმოს კიდევ 44 მცხოვრები. იმავე წელს მხოლოდ ნეაპოლში მოკლეს კიდევ 260 კაცი. ძალიან სევდიანად ეღერდა ჟურნალ „ეპოკა“-ს სიტყვები 1983 წლის პირველ დღეებში: „მიუხედავად ყველა გადაწყვეტილებისა და ოფიციალური ორგანოების ზცდელობისა, პალერმოში და მთელ სიცილიაში, როგორც ადრე, ისევე ახლაც ბატონობს მაფია. ეს სიტუაცია რომ შეიცვალოს, საჭიროა იტალიაში მოხდეს პოლიტიკური მიწისძვრის მსგავსი რამ!“

დალა კიეზას მოკვლით სიცილიის მაფიას თითქოს მთავრობის გაფრთხილება სურდა მომავლისათვის, რომ „კუესტა გუერა ე კოზა ნოსტრა“ — ეს ომი ჩვენი საქმეაო. ამის თაობაზე გაზეთი „ლა სტამპა“ წერდა: „ყველაზე ადრე ეს გაფრთხილება თვით პრეფექტმა ფრანჩესკომ მიიღო და მან 1983 წელს შეიმუშავა მაფიასთან ბრძოლის გეგმა, რომელიც საუკუნის ბოლომდე უნდა დასრულებულიყო.

იყო დრო, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და იტალიის პოლიტიკური მოღვაწენი ფიქრობდნენ, რომ „ნათლიები“ ამოხოცავდნენ ერთმანეთს და შემდეგ სიმშვიდე დაისადგურებდა .ახლა ისინი სხვა აზრისანი არიან. ეჭვს გარეშეა,

რომ ორგანიზებული დამნაშავეობა მუდმივად იარსებებს, თუმცა მათი ბოსები ყოველთვის როდი ხვდებიან ანატომებთან, მოსამართლეებთან, ან ციხეში. მაფიას ყოველთვის გააჩნია ახალი რეზერვები — უპირველეს ყოვლისა, მათი შვილები. ოცნება — შეცვალონ მამები და პაპები, ბავშვებს დაბადებისთანავე უნდებათ.

მზის, ტემპერამენტის, დიდი ისტორიისა და იმედების მქონე მშვენიერ ქვეყანას დღეს ახასიათებს მაფიისადმი შემეუებლობაც. „იმას, რასაც ნელენ ვუძლებთ, ვერც ერთი ხალხი ვერ გაუძლებდა. მაფიასთან ერთად ცხოვრება, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისები — სასწაულებრივია, რომ იტალიამ და იტალიელებმა გაუძლეს ყოველივე ამას." ეს სიტყვები ეკუთვნის რომის იმპერიის შესახებ შრომების ავტორს, ისტორიკოსს, ტერორიზმისა და მაფიის წინააღმდეგ მებრძოლს ინდრო მონტანელის. მაგრამ თანამედროვე იტალიაში არ შეიძლება „კეთილშობილთა საზოგადოების" საშიშროების შესახებ საუბარი. 1977 წლის 7 ივნისს მონტანელის წინააღმდეგ მაფიის რაზმმა საპასუხო აქცია ჩაატარა. იმ დროიდან იგი ეკუთვნის „სკუამბეტიკატის", ანუ ხალხს, რომელიც ალიარებდა მაფიის უძლეველობას. მას შორი მანძილიდან ესროლეს ფეხებში, თანაც ორჯერ და ორივე კიღური დაუსახიჩრეს. მონტანელის იგივე ბედი ეწია, რაც ათეულ სხვა მამაც მოქალაქეს, პოლიციელს, პროკურორსა თუ მოსამართლეს, რომელთა მიმდევრებიც შესაძლოა ოდესმე მაფიასთან ბრძოლას ბოლომდე მიიყვანენ.

შინაარსი

1. აჯანყებულები და მაფიის დაარსება 8
2. უკანასკნელმა ბანდიტმა მოაჭენა ცხენი „შავ ხელთან“ . . . 11
3. ალ კაპონე ქარების ქალაქში გადაბარგდა 21
4. დიდსა ჯიმმა კოლოსიმომ აირჩია ქალაქის მმართველობა . . 30
5. ამერიკამ ლუდი დაასამარა, სმის საღერღელი კი ყველას აეშალა 37
6. ჯინის ჯადოქრები 53
7. მიჯნურობა დღე 73
8. პრეზიდენტ ჰუვერის თეთრად გათენებული ღამე . . . 90
9. ფ. დ. რუზველტი: კაცსა ლუდი თითოეულისათვის 95
10. „ლირმუცელა“ მასერიას „ხეშეში წვერის“ აჩრდილი . . . 106
11. ლუსიანოს სიცილიური „საიდუმლო სერობა“ 114
12. ნიუ-იორკის გმირი თომას დიუი 121
13. როცა აბემ „სიმღერა დაიწყო“ 127
14. დამნაშავეთა საფყაროსა და საიდუმლო სამსახურის მეფე . . 136
15. „ნათლია“ ჯენოვეზე საქმეს შეუდგა 150
16. არავის არაფერი გაუგია, არავინ არაფერი იცის 160
17. სენატორების საბჭო ნიუ-იორკში 173
18. როგორ გაანძანდეს „ნათლიებმა“ ფილტვები ტყვია-წამლისაგან 182
19. თავეჯდომარე პოფას „მეგობრული ხელშეკრულება“ . . . 201
20. და ისევ შინაომი 215
21. „ნათლია“ გალანტე, იგივე „სიგარა“, კარიერის მწვერვალზე . 230
22. ოპერაცია „დიდი ხელის ზამორთმევა“ 240
23. პოკერში მოგებული მსახიობი ქალი 253
24. ორი მაფიის საიდუმლო 272
25. იქ, სადაც ფულს სუნი არ უდის 286
26. „ნათლიების“ ისტორია საკანში არ მთავრდება 297

რედაქტორი დ. დემეტრაშვილი
გამომცემლობის რედაქტორები: ზ. თეთრაძე, ა. ფანჯიკიძე
მხატვარი რ. მაჭარაშვილი
მხატვრული რედაქტორი ლ. ღვინჯილია
ტექნიკური რედაქტორი ე. ციხელაშვილი
კორექტორი ლ. არჩვაძე
ტექნიკური რედაქტორი ე. ციხელაშვილი
გამომშვები ზ. წივწივაძე

სბ № 5505

გადაეცა წარმოებას 16.06.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.12.87. საბეჭდი ქაღალდი № 1. 84×108 1/32. გარნიტური ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნახეჭდი თაბახი 17,22+ჩაკვრა 0,84. პირ. სღ.-გატ. 17,43. სააღრ.-საგამომც. თაბახი 16,63. ტირაჟი 20.000 შეკვეთა 1433
ფასი 1 მან. 90 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.